საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

პარალელი

11

2019

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახობაძე
ირაკლი გაბისონია
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
გიორგი კულდონაშვილი
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ:

დრამატურგია

რევაზ მიშველაძე – ქართველობა ბედისწერაა 5

პროზა, პოეზია

ცირა ნუცუბიძე – ლექსები 22
გიული მურადაშვილი – ჩანახატი 24
ჟუჟუნა გიგაური – ლექსები 28
ირმა კეცხოველი – ლექსები 32
კახა გვარუციძე – ლექსები 38
ნათია ცერცვაძე – ლექსები 43
ლუკა ფადიურაშვილი – მოთხრობა 44

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის შრომები

იგორ კვესელავა – რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკურ-სამართლებრივი გააზრების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და საერთაშორისო სივრცეში 50
ედიშერ გვენეტაძე – ზოგიერთი საკითხი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური ანატომიიდან. 90
ჰენრი კუპრაშვილი,
ოთარ დავითაშვილი – სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები . . . 98

კულტუროლოგიის ინსტიტუტის შრომები

რევაზ მიშველაძე – პოლიტიკის კულტურა და კულტურისა პოლიტიკა 112
სოსო სიგუა – გვარ-ტომი და ფუძე-ენა. 129
მურმან თავდიშვილი – ნააზრევი მესხი მკვლევრისა 142
თამარ ბლიაძე – ხელისუფლების კულტურული პოლიტიკა (XXI საუკუნის პირველი ნახევარი). 149

ეკა ცხადაძე – გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ - კოლხი ზეკაცის ვნებები . .156
ეკა ცხადაძე – რევაზ მიშველაძის ახალი რომანის მხატვრული და იდეური ასპექტები 160

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ვახტანგ დავითაია – მისი ვერ შურდათ (ირაკლი ციციშვილი 100 წლისაა) 166
თეიმურაზ ფანჯიკიძე – მართლმადიდებლობა და ეროვნულობა განუყრელია . .173
კონსტანტინე გამსახურდია – ერთი მანიქეური მისიის შესახებ 183
ბადრი ცხადაძე – „ვინც ეს წიგნი მოიპაროს“ 195
ბადრი ცხადაძე – ზოგი გარეული ცხოველის საახელებისაგან წარმოქმნილი საკუთარი სახელის ეტიმოლოგიისათვის 198
ბადრი ცხადაძე – უახლოესი ცოცხალი წინაპრის (მამა-პაპის) სახელის დარქმევის ტრადიციულობისათვის საქართველოში 202
მურად შონია – ფილოსოფიის პრაქტიკული დანიშნულებისათვის (მეორე ნაწილი). 206
რეზო (ემილიანე) ადამია – გოდება და ვედრება ყოველთა 215
გელა ღვინეფაძე – ღვინის სახელდებისათვის 233
ივანე (მამუკა) გიორგაძე – სახელმწიფო, ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება - პრობლემები და პერსპექტივები 236
ეთერ შამანაძე – ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის (ნატოს) სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები 254
თინათინ კოსტავა – პიროვნების და საზოგადოების თანაფარდობის პრობლემა . . 261
შოთა ოთხოზორია – რუსეთი, როგორც პარტნიორი საერთაშორისო ურთიერთობებში. 267
თამაზ ბიბილური – აბრეშუმის გზა და საქართველო 273
რ. ღიბრაძე – დემოგრაფია პოლიტიკის პოლიტიკაა! 283
ნუგზარ (ზაზა) იაშვილი – ვის ეკუთვნის პრიორიტეტი ქართველ თავადს თუ ამერიკელებს? 295

✍ *რევაზ მიშველაძე*

ქართველობა ბედისწერაა

პიესა ორი მსახიობის თეატრისთვის

მოქმედნი:

გრიგოლ ბაქრაძე
გიორგი ბაქრაძე
(მანვე შეასრულოს მემატიანის და გამომძიებლის როლები)

იხსნება ფარდა.
გაისმის დოლის ხმა აჭარული ცეკვა „ხორუმის“ მოტივზე.
ცარიელ სცენაზე ფაციფუცით გარბის და გამორბის გიორგი.
წამდაუწუმ საათზე იხედება.
გიორგი შეჩერდა.
ხელი ჩაიქნია და ავანსცენაზე გამოდის,
დოლის ხმა შეწყდა.
დარცხვენილი გიორგი მაყურებელს მიმართავს:

გიორგი - დიდი მადლობა მობრძანებისთვის.

მაპატიეთ, მაგრამ ერთი საჩოთირო რამ შეგვემთხვა: გრიგოლ ბაქრაძის როლის შემსრულებელი მსახიობი ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო ვერ მობრძანდა.

სხვა გზა არ არის, მე უნდა გამოვიყენო თქვენი მაღალი ყურადღება.

მაშ, ასე.

ყველანი ვართ?

ადმინისტრატორო, გააღეთ კარი და შემოუშვით ყველა, ვისაც სურვილი აქვს.

უბილეთონი აი, აქ, მთავრობისათვის განკუთვნილ პირველ რიგში დასხდნენ.

მე ვინა ვარ?

საქართველოს თანამდევი სული, რომელსაც მემატიანეს ეძახით.

დავიწყებ იმით, რომ ერთი საიდუმლოება უნდა გაგანდოთ:

აქ ვინც ვართ, რასაკვირველია, თქვენი დასტურით, ვხდებით საქართველოს გადარჩენისათვისა მებრძოლი ჯგუფის წევრები.

ზოგს ყოყმანს ვატყობ.

შეგეშინდათ?

კარგი, თქვენს თანხმობას კიდევ ერთ საათს დაველოდები.

ასე რომ, ამბის მიმტანებო, ნუ უჩქარებთ. იქნებ თქვენც დაგიჯდეთ ჭკუაში ამ ჯგუფის წევრობა. ერთი საათის შემდეგ კართან დავდგები და გასვლისას თვალებში ჩაგხედავთ.

საქართველოს ხსნა თქვენს სინდისზე და ნება-სურვილზე იქნება.

მანამდე კი, ეცადეთ, ყურადღებით მომისმინოთ (სინათლე ქრება. მოისმის „ მუმლი მუხასა“...

ჩვენ ახლახან დამოუკიდებლობის ასი წელი ვიზეიმეთ.

თურმე ჩვენ ასი წლის სახელმწიფო ვყოფილვართ.

ჩვენი ისტორია, რასაკვირველია, ცუდად ვიცით, მაგრამ იმდენი კი მოგვეხსენება, რომ მას შემდეგ, რაც ერთმა მეფემ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი ჩამოასხა, სამიათას ხუთასზე მეტი წლი გავიდა.

და ათასეული წლები ჰკლავდნენ ქართულ სახელმწიფოს:

ჰკლავდნენ, როცა ვახტანგ გორგასალს მოღალატემ მახვილი მიპარვით ჩასცა მხარში.

ჰკლავდნენ, როცა შუშანიკ დედოფალს საკანში აწამებდნენ.

ჰკლავდნენ, როცა დავით აღმაშენებელს თავის მიერ გათავისუფლებულ თბილისში არ უშვებდნენ.

ჰკლავდნენ, როცა თამარს სასახლისა მოედანზე ყუთლუ არსლანმა ღალატის კარავი დაუდგა.

ჰკლავდნენ, როცა რუსთაველი იძულებული გახადეს პალესტინაში გახიზნულიყო.

ჰკლავდნენ, როცა სულხან-საბა წვერით ათრიეს.

და ბოლოსა, მაინც მოჰკლეს...

მოჰკლეს 1801 წელს, როცა რუსეთმა საქართველოს სამეფო გააუქმა.

ამის გადამტანი საქართველო მხოლოდ ასი წლის როგორ იქნება.

თუმცა მეისტორიემ თავისი საქმე იცის და გიამბობთ ჩვენი სამშობლოს ტკივილიან ბოლო ასწლეულზე.

წარსულიდან ჩემი დიდი პაპის სულს გამოვიხმობ:

სადღაც, კულისებს მიღმა მღერიან „ჩაკრულოს“.

ხმა თანდათან ძლიერდება და მთელ დარბაზს ავსებს.

შემოდის 70-ს მიტანებული მოხუცი გრიგოლ ბაქრაძე.

ტაბლასთან მივიდა.

ჯამში დოქიდან ღვინო ჩამოასხა.

ცოტა მოსვა და დადგა.

გრიგოლ - მიხარია, ბაბა, შენი ახლანდელი გაწიწმატება. ასე უნდა, აბა, რა. რომ არ გეთქვა ჩემთვის: რას დაგვჩხავი ყვავივით, ნახავ ა გერ, თუ არ შე-ცვლით ქვეყანას, თუ არ დაიყაროს სამ-ოთხ წელიწადში სარჩო-საბადებელიო, მეწყინებოდა.

შენი ქიჩმაჩი და დაჯერებული გასვლა-გამოსვლა გულს მიხარებს. თუ არ გჯერა იმისი, რასაც აკეთებ, წყლის ნაყვაა ყველაფერი. როგორ მითხარი?

თქვენ, ძველებს კვირაში ორი პარასკევი გაქვთო? თქვენი გაფუჭებულიც და ჩვენიც, ახლა ორივე ერთად ჩვენი გასასწორებელი შეიქმნაო? მაგრამ სანამ ქვეყანას გაასწორებდეთ, სანამ გამრუდებულ საქმეს წაღმა წაიყვანდეთ, მანამდე თავდაჭერა და მოკრძალება გმართებთ. არაა ასე ადვილი წლების ნამუდრეგალის გამოკეთება. შენ თვითონ ამბობ: გონჯ პატარძალს ფერუმარილი ვეღარას უშველისო, შენც რომ არ მითხრა, ძალათ გამლამაზებლებს რომ არ ჰგავხართ, მეც გატყობთ კოჭებში, მაგრამ ვნახოთ, რა ქალაქს ააშენებთ. - „აგერ შენ და აგერ კრეტაო“, ბერძნები იტყვიან. ძირძველი, ჭკვიანი ხალხია ბერძნები. იქნებ, მე ვეღარ ვიცხოვრო თქვენს ანაყვავებ ქვეყანაში, მაგრამ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ თქვენს საწაღმართო ჩანაფიქრში. ძალიან კი მინდა, ვნახო, რამდენ ხანს შეგრჩებათ ქვეყნის განხლების ხალისი.

არაა, ბაბა, ასე ადვილი, მეთქი, რომ გეუბნები, არ გჯერა, ვხედავ. ნამდვილად ასე სჯობდა. შენ რომ ჩვემთვის ჭკუის საკითხავად მოსულიყავი, იქნებ ისეთი რამ მერჩია, ერთხელ და საბოლოოდ გაგტეხოდა გული და სხვა საჭიდაო-საასპარეზოს დადგომოდი. მოდით, სცადეთ თქვენც, იქნებ თქვენმა აჯობოს, იქნებ არც ისე ბნელადაა საქმე, როგორც მე მგონია ახლა, ამ წუთში. თქვენი მდგომარეობა ჩვენსაზე იოლია მეთქი რომ გითხრა, არ გეწყინოს. სამოცს გადაშორებულ კაცს რაღაცეები დამეჯერება და, თუ ცოტა მაინც მენდობი, მადლობელი ვიქნები. ჩვენ ვინ გვეტყოდა, მთლად კარგად არ გვაქვს ჯერ გარკვეული, რა გვინდა ისტორიისაგანო, მაგრამ ურმის და გზის არ იყოს, ახლა გამოჩნდა, რომ არ აგვიღია მთლად სწორი გეზი.

ჩვენ, უბრალო ხალხს გვეუბნებოდნენ: რავარც იქნა, მივაგენით ჭკუის მაიდანს, ეშველება აწი მუშას, ახალ ქვეყანას ვაშენებთ და მოგვყევითო.

არ მიყვები ამნაირ ჭკვიანურ დაძახილს? ხელი დავიკაპიწეთ და მივყევით.

მე მუშა კაცი ვარ, ბაბა, კი, ობჩის ოთხწლედი დავამთავრე და ორწლიან გადასაამზადებელზეც ვიმეცადინე. მარა მიწის საქმე ვარჩიე ყველაფერს, ჩემი დღე და მოსწრება თოხს ვურტყამდი მიწას. თოხს მიწას ვერ ააცილებ და დიდი სკოლა-ფილოსოფია ამ საქმეს არ სჭირდება. ჩემს დღეზე გიყვები, სხვის ცხოვრებასთან რა ხელი მაქვს. სხვა, ალბათ, სხვანაირად ცხოვრობდა.

ახლა თქვენი ძალა იმაშია, რომ შეგიძლიათ გადახედოთ ჩვენს გზას და დედალ-მამალი ცალკე დაალაგოთ; რაში ვიყავით მართალი, რაში არა, გაზომაწონოთ და კაი გაიჭკუისოთ, ცუდი გადაყაროთ. ჩვენ ვისთვის შეგვეხედა, ჩვენ წინ ვინ იარა? როგორც გაზეთებში წერია ისტორიის ახალ ფურცელსა ვწერდით. „კი, რა საკვირველია, ყველაფერი აწონდაწონილი გვაქვს, არ შეგეშინდეთ, მისხალში არ შვეცდებითო“, გვეუბნებოდნენ ჩვენი ბელადები, მარამ შეუმცდარი არი ვინმე?

ახლა ამას რატომ გელაპარაკები, თუ იცი? პატიება უნდა გთხოვო, ბაბია, ამ დღეში რომ ჩაგაგდე, და ისიც უნდა შეგეხვეწო, რომ საფლავიდან ნუ ამომიღებ. არ ვარ ამის ღირსი მე. ჩემს რწმენას ვემსახურებოდი ისე, როგორც ახლა შენ შენს რწმენას ემსახურები. რა ვიცოდი, რა ბაბილონის გოდოლს ვაშენებდი.

ისე რომ არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ამას ახლა ქვეყანა ხედავს. რომ ვიძახოთ, ავშენდითო, თავის მოტყუება იქნება. კაი ხანს გარეთ მტერს ვუვსებდით თვალს და შიგნით მოყვარეს. ახლა ტყუილები აღარ გადის,

ხელის გულივით ჩანს მსოფლიო. დამიგდე ყური კარგად. რევოლუციის ბიჭების სახელით გელაპარაკები. შენზე ნაკლები არც მტკაველი გვქონდა და კაი მთქმელის კაი გამგონებელნიც ვიყავით. თხუთმეტი წელი შემიასრულდა და ნიკოლოზ მეფეც დავამხვეთ. ჩვენს სოფელში რომ ხმა ამოვიდა, ხელმწიფე ჩამოაგდესო, ბევრმა არ დაიჯერა. მეფის ჩამოგდება თუ ხალხს შეეძლო, უბრალო კაცის ტვინი ვერ წვდებოდა, ხელმწიფე ღმერთის დანიშნული და ღმერთივით შეუხებელი გვეგონა. გუშინდელივით მახსოვს, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში შეგვყარა რევკომის წევრმა მორგოშიამ. ზარი დარეკეს, თორემ ისე ვინ გავიდოდა, დაღლილი იყო ხალხი რევოლუციებით. ასრულდა ჩვენი ოცნებაო, მორგოშიამ, გამომგზავნეს, რომ გაუწყოთ, საქართველო დღეიდან თავისუფალიაო. რავარც მოგეხასიათოთ, ისე იცხოვრეთ, აწი რაც გინდათ თქვით და რაც გინდათ – აცხვეთო.

კულისებიდან მოისმის მაშინდელი რევოლუციური სიმღერა: „შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა, რომელ პარტიას ეკუთვნის ეძგვერაძე ბარნაბა“.

მას მერე კაი დრო გავიდა და რომ არ მოგატყუო, ისე გაბადრულ-გახარებული მეზობლები მერე აღარ მინახავს. ყველას რაღაც ჩინ-ტიტული ჩამოურიგა მაშინ მორგოშიამ. მე ვითომ, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის სოფლის რაზმის კომისრად ამირჩია. წავიდა მორგოშია და ჩვენ ისევ ჩვენს ეზო-ბარდს მივუბრუნდით. კომისრობა, რევკომობა და აგიტატორობა საგარეო ხალათს მივაკიდეთ და მიწას დავუწყეთ ჩხუტური.

ქვეყანა რომ ძველებურად არ იყო, იმაზე ვატყობდით, რომ ბეგარაზე არავინ გვეძახდა და გადასახადის დაგვიანებაზე სახლში არავინ გვივარდებოდა. ათასში ერთხელ გაბონებული გულის ტკაცუნით ტომარაგადაკიდებული რწმუნებული ჩამოივლიდა და მორცხვად ჩამოგვძახებდა: საქართველოს მთავრობას ჭადი შემოაკლდა და სიმინდს ხომ არ შეელევით გასაყიდადო. გარდა ამისა, სოფლის ცენტრში ხანდახან გამოჩნდებოდნენ მოკლეშარვლიანი ინგლისელები. ცხოვრება თითქოს ჩაწყნარდა და ჩვენს ჭირნახულსაც ფასი დაედო, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ასე არ გაგრძელდებოდა. მთავრობას რომ საზღვრის გამაგრება დაავიწყდება, გააღებს ჭიშკარს და განუკითხავად შემოუშვებს მტერმოყვარეს, ზურგზე ტომარას რომ გადაიკიდებს და სოფელ-სოფელ რომ ივლის, მშია, შემეწირე, არაა მისი საქმე კარგად.

- რაღაც სამ-ოთხ წელიწადში აგვიხდა წინათგრძნობა. - საქართველოსა მთავრობა გეიქცა, ბოლშევიკები შემოვიდნენო. სანამ თვითონ ბოლშევიკები მოაღწევდნენ ჩვენს სოფლამდე, ხმა უფრო ადრე დაგვეცა. - მოვიდნენ და პირველ დღესვე ცხრამეტი კაცი დაგვიჭირეს.

- თქვენა მენშევიკების დამქაშები ხართო, ჟორდანიას სამსახურში იყავით და დროებით მთავრობას უჭერდით მხარსაო. ხატზე დავიფიცავ, ჩვენ არც დროებით მთავრობას ვეფიცებოდით ერთგულებას და არც მუდმივს ჩავდგომივართ კრიჭაში. გლეხები ვიყავით და გითხარი, მიწას ვულაყუნებდით თოხს. იყავი ახალგაზრდობის კომისარიო, მორგოშიამ და რატომ ვეტყოდი უარს. ღვთის წინაშე, ცოდოს ვერ დავიდებ, რა უნდა მეკეთებინა მე,

როგორც კომისარს, არ მიკითხავს და არც თვითონ მორგოშიას უთქვამს. ადვილი შესაძლებელია თვითონაც არ სცოდნოდა.

- გამომიშვეს ორ წელიწადში და ის იყო პატარა ფეხი წამოვიდგი, ცოლის შერთვას ვაპირებდი, ისევ შემაბრუნეს ციხეში და კინაღამ ჩამომახრჩვეს - ქაქუცასთან გქონდა კავშირიო. თხუთმეტი კაცი გააქვრეს მაშინ ჩვენი პატარა სოფლიდან, რავარც მე არ მენახა ქაქუცა, ისე არ იცოდნენ საწყლებმა მისი ასავალ-დასავალი.

- შევეცოდე, ალბათ, ვიღაცას და ორ კვირაში გამომიშვეს. რანაირად გადავრჩი, ახლაც მიკვირს. არაა მთლად კაი საქმე მაგ დროს გადარჩენა. სანამ არ გამაბადრაგეს და ხელახლა არ დამიჭირეს, კაი შვიდი წელი სოფელი ალმაცერად მიყურებდა. ეს ის დროა, კოლექტივი რომ შემოვიღეთ და სიმღერ-სიმღერით რომ გადი-გამოდიოდნენ ბრიგადები სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. ახლა არ არია, შემართული და დარაზმული ხალხი, მაშინ უნდა გენახა. წუწუნს ვერ გაბედავდი, წელის ტკივილს ვერ დაიჩივლებდი, კოლექტივიზაციის მტრად და მეჩრდილიად გამოგაცხადებდნენ მაშინათვე.

კულისებიდან მოისმის მეგრული სიმღერა საამურ ცხოვრებაზე და სტალინურ კონსტიტუციაზე: „სტალინური კონსატიტუცია ირ ქიანას ახარენს, ირ ქიანაშ მახანეფი გიახიოლუნათეს“.

ვირის აბაბოში ნამყოფი ვარ და მაინცდამაინც საერთო ბრუნვა-ტრიალში არ ვმონაწილეობ, თურმე არაა გაჩუმების და შენთვის ყოფნისა დრო. უნდა იხარხალო სხვასავით და იხმაურო შენც. რომ არ ვქენი ისე, იმიტომ იყო ერთ მშვენიერ დღეს შავსიელად რომ გამომაცხადეს. ცოლ-შვილი ერთი თხის და სამზადისი სახლის ამარა რომ დამიტოვეს, კულაკად რომ მომნათლეს და სამაზრო ციხეში რომ მიკრეს თავი. მესამე დაჭერაზეც შვიდ თვეზე მეტი არ გავუჩერებივართ.

კულაკობა და ჯიუტობა არ გაბედო, თვარა ციმბირი აქეთ დაგრჩებაო.

არც კულაკობა ვიცოდი და რა იყო ჩემი ჯიუტობა ამ ხნის მოვიყარე, კაცს არ გაუგონია. ურჩობა კი არა, მთავრობას უნდა, ცეცხლში გადავარდითო, რომ დაეძახათ, პირველი გავქანდებოდი. დრო იყო იმნაირი, ჩემო ბაბა.

ეკლესიები რომ დავანგრიეთ და საღვთო წიგნები დავწვით, ჭკუათმყოფელი იზამდა? ახლაც გაიგონებ მაშინდელ ხუმრობას, თემსაბჭოს თავმჯდომარე სოფლის თვალწინ ხატს პუგაჩს რომ ესროდა: მიქნას, აბა, თქვენმა ღმერთმა რამე, თუ არსებობს ნამდვილადო. მეტი არა გიქნას, გადუყვანიხარ ჭკუიდანო, მნათემ დაუძახა თურმე.

მართლაც და, უარესს რას დაგმარეთბს ღმერთი კაცს.

რანაირად უნდა დაგესხას თავრეტი, ხატს თოფი რომ ესროლო.

- ამ გრიალ-ჟრიამულში, ნგრევა-შენებაში და „აბა, ჰეს“ ძახილში ოცდაჩვიდმეტიც მოვიდა. ისედაც ჭანჭიკად მიაჩნდათ ადამიანი და იმ წლებში მთლად გაუფასურდა. შიშის ზაფრა იცი შენ, რა არის? მტრისას და ავისას, აფთარი რომ შეგეჩეხოს ტყეში, შეშინებით როგორ არ შეგეშინდება, მაგრამ ის შიში ერთწუთსაა, მეტს ხომ არა. ან შენ გაიქცევი, ან აფთარი. თუ თოფი გაქვს, ან შენ ესვრი, ან ის შეგჭამს, ხომ? ახლა წარმოიდგინე: უსაშველოდ გაგრძელდეს ის ერთი წუთი, აფთარი კარებზე მედგას, ვერც უკეტავდე და

ვერც გარეთ გამოდიოდე. ამნაირ შიშის ზაფრაში ჩავარდა ხალხი. ჯერ ჩვენი სოფელი რაა, რაღაც სამოცი კინკილა მოსახლე ვართ და აქ რა იყო, სხვაგან რა იქნებოდა.

ავდგებოდი დილით, მეზობლის გადაძახებისა მეშინოდა. ღამე გვაკითხავდნენ „ხალხის მტრებს“. შუაღამისას მეზობელს რომ დაეკაკუნებინა, შენ შენი დაგემართებოდა. მიეცა მაზანდა დასმენას და ცილისწამებას. ავსიტყვებს და გულბოღმიანებს ამინდი დაუდგათ. მე ოცდაჩვიდმეტის ოქტომბერში დამაპატიმრეს. რასაკვირველია, ველოდი დაჭერას. ჩემს „აყვანაში“ წელი გაღაფული ჰქონდათ. გასაბჭოების დროს დამიჭირეს, ქაქუცას ამბავზე დამიჭირეს, განკულაკების დროსაც ჩამსვეს და ახლა რა ხათრ-სიყვარულით ამივლიდნენ გვერდს. მომაკითხეს შუაღამეზე და დიდხანს არ დამიყოვნებია ჩემი მზრუნველები, ბარგი ჩაწყობილი მქონდა. მე, რასკავირველია, მივყევი, ოჩანი ხარივით გაწევა არ დამიწყია, მაგრამ როგორც მერე გავიგე, ჩემს ცოლს აუტეხია ერთი ამბავი. - „ვინაა ტროცკისტი, თქვე უნამუსოებოვო, აღარ მოგწყინდათ მართალი კაცის დევნაო? რა პასუხს გვაძლევთ ჩვენ, ვინ ურჩენს ოთხ შვილსო?“

პასუხი ის მიუციათ, რომ ჩემი დაპატიმრების ორი კვირის თავზე აუყვანიათ ჩემი ცოლიც.

წამით სინათლე ქვრება. ისევ ინთება.

შემოდის ტანსაცმელშემოხეული, ნაცემი გრიგოლ ბაქრაძე. რამპის შუქი მას ერთს ანათებს.

სკამზე ზურგით მხარზე, ღვედგადაჭიმული გამომძიებელი ზის.

გამომძიებელი **-** მოქალაქე ბაქრაძევ, მესამეჯერ გეკითხები, რატომ იწვალებ თავს.

გრიგოლ - მე ვიწვალებ?

გამომძიებელი - აბა, მე მსიამოვნებს ღამის ოთხ საათზე შენთან ლაპარაკი? აღიარე, შე კაცო, და დავისვენებთ ორივე.

გრიგოლ - რა ვაღიარო?

გამომძიებელი - ა, ქაღალდი და დაწერე, ვინ ჩაგაბა ამ საქმეში, სად იკრიბებოდით, რატომ დათესეთ მოწამლული სიმინდი, როგორ აპირებდით რევკომის მოკვლას წყალსადენის აფეთქებას.

გრიგოლ - იმ კარგ დედ-მამას გაფიცებ, შენ გჯერა, რასაც მეკითხები?

გამომძიებელი - არა, არა. მე აქ არ უნდა ვმუშაობდე, ჩემი გულის კაცი აქ არ უნდა იყოს. ახლა კეტი უნდა მეჭიროს ხელში და ცხვირპირს გილეწავდე, მაშინ სხვანაირად ილაპარაკებდი.

გრიგოლ - როგორც ხედავ, ჩემთვის ცემა არ დაუკლიათ. ტკივილის შეგრძნებაც აღარ მაქვს.

გამომძიებელი - ვისი ბრალია მერე ამ დღეში, რომ ხარ? შენი ბრალია, მეტი არავისი, შეგვიცოდე ჩვენც. ჩვენც ხალხი ვართ, ცოლ-შვილი გყავს, დაწერე და გათავდება ყველაფერი.

გრიგოლ - რა დავწერო, რაც არ ვიცი.

გამომძიებელი - გაიკვირვე ჰო, გაიკვირვე. არ იცი არაფერი, მე დავთესე მოწამლული სიმინდი, მე ვაპირებდი ბერიას მოკვლას.

გრიგოლ - ღმერთი რომ არ გწამს კი ვიცი, მაგრამ სირცხვილის ნატამალი მაინც არ მოგეძევება, შე კაცო? სად იყო, ვინ მომცა მოწამლული სიმინდი.

გამომძიებელი - კარგი, სიმინდს დავანებოთ თავი, აბა, შენს გულში ჩაიხედე, შენ ახლა მეოთხეჯერ ხარ დაჭერილი. რატომ იბატკნებ თავს. ყოველთვის მართალი როგორ იყავი. სულ უდანაშაულოდ. საულ არაფერზე გიჭერდნენ?

გრიგოლ - შენ ისიც კარგად გეცოდინება, რაზე ვიჯექი.

გამომძიებელი - ჩამოგითვალო? მე ჩამოგითვალო მაინცდამაინც? შენ აღარ გახსოვს? მენშევიკებთან არ იყავი სოფლის რაზმის კომისარი? ქაქუცა ჩოლოყაშვილს არ მიუტანე სამი ვინტოვკა? კულაკებს არ თანაუგრძნობდი? ტყვილად ვინ დაგიჭერდა, ვის ჰქონდა შენი ჯინი.

გრიგოლ - ფიცის თქვენ არ გჯერათ და რანაირად ვიმართლო თავი. რას ჰქვია მენშევიკების დამქაში, თოხი და ბარი არ გამიგდია ხელიდან. ისე ნახა შენმა დამაწყევარმა სიკეთე, რავარც მე ქაქუცასთან მქონდა კავშირი. რომელი კულაკი მე ვიყავი, წლიდან წლამდე ძლივს გამქონდა თავი, ცოდვას სად მიუდიხართ.

გამომძიებელი - არ მინდოდა მეთქვა, მარა შენმა ცოლმა ყველაფერი გვითხრა.

გრიგოლ (შეძრწუნდა) - ა, რაიო? ჩემს ცოლს აქ რა უნდოდა. ჩემს ცოლს მაინც რაღაც ერჩოდით!

გამომძიებელი - რა გაყვირებს, თავი სად გგონია. მოვიქცეოდი ჭკვიანურად და არ დავკითხავდით შენს ცოლს.

გრიგოლ - ცოლ-შვილი მაინც რაზე დამიწიოკეთ. სადაა ჩემი მარიამი, მითხარი, მითხარი თვარა ამოვიგლეჯ ენას ახლავე! ამ წუთში!

გამომძიებელი - დაწყნარდი, დაწყნარდი, შენი გადარევის არავის ეშინია აქ. ჭკვიანი ქალი ყოფილა, გვითხრა ყველაფერი და უბატონოდ ხმა არ გაგვიცია.

გრიგოლ - რა გითხრათ?!

გამომძიებელი - რა გვითხრა და ყველაფერი; როგორ იკრიბებოდით შენს სამზადში, როგორ დათესეთ მოხარშული ლობიო ჯავახაძის ფერდობზე.

გრიგოლ (ისტერიული სიცილით) - რატომ დავთესეთო მოხარშული ლობიოს თესლი, რა თქვა?

გამომძიებელი - რომ არ ამოსულიყო და კოლმეურნეობას ზარალი ენახა. კარგად იცი შენ, რატომაც დათესეთ.

გრიგოლ - კიდევ რა გითხრათ?

გამომძიებელი - რა და ცენტრიდან რომ მწვანეპლაშიანი სტუმარი გყავდათ წინა კვირას, ამონალი, ოთხი ხელყუმბარა და სახრჩობელის სამი ყულფი რომ ჩამოგიტანათ!

გრიგოლ - სა წევიღე მერე ეს იარაღი, არ გითხრათ?

გამომძიებელი - გვეტყვის, ნუ გეშინია. ყველაფერს გვეტყვის.

გრიგოლ - ღმერთო! ხედავ ამას ყველაფერს?! გესმის ეს ყველაფერი?!

გამომძიებელი - კი, აბა, ესმის. აქამდე ხომ ძალიან გშველოდა შენი ღმერთი და აწი უფრო გიშველის. ჰე, რა ვქნათ ახლა, აღიარებ, დაწერ ყველაფერს თუ გვყავდეს შენი ცოლი საკანში.

გრიგოლ - სად არის, რომელ კამერაშია?

გამომძიებელი - აქვეა, შორს არ არის. ეგ არის მხოლოდ საჭმელზე უარს ამბობს. თუ გინდა დაგაპირისპირებთ.

გრიგოლ - არ მინდა.

გამომძიებელი - ამ დილით ცოტა შეუძლოდ იყო, თავი ტკიოდა.

გრიგოლ - რატომ? ურტყით იმასაც? არ შეგეცოდათ ოთხი შვილის დედა?

გამომძიებელი - შენი ცოლი ჯერ არავის უცემია, უბრალოდ კამერის ჰაერი ვერ აიტანა... თანაც ბავშვებზე დარდობს. ჩვენ არ ვიცოდით, თურმე ასთმა ჰქონია.

გრიგოლ - რას იზამთ ახლა, არ აპირებთ ჩემი ცოლის გაშვებას?

გამომძიებელი - თუ ჭკუაზე მოხვალ და გმირის თამაშს თავს დაანებებ, გავუშვებთ.

გრიგოლ - ვაი ჩემს დღეს... დაწერე რაც გინდა, ხელს მოგიწერთ!

სინათლე ქრება.

მოისმის სევდიანი სიმღერა „სიონში შევალ, სანთელს დავანთებ, დაღუ-ჰულ გმირთა მოსაგონებლად, ნეტავ ვიცოდე, რომელ მხარეს ხარ, ან რომელ მიწას მიბარებული“.

შემოდის გრიგოლ ბაქრაძე.

გრიგოლ - მომატყუა გამომძიებელმა.

მე, ჩემდა იღბლად დავბრუნდი, მაგრამ ჩემი მარიამის ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ. ახლა მისი ძვლებიც აღარ იქნება მიწაში. რეაბლიტაციები რომ ჩამოგვირიგეს, იმ უბედურ დღეზე გაჩენილის საბუთებსაც ვერსად მიაკვლიეს. კოლმეურნეობის კანტორაში ერთი პატარა გაყვითლებული ქაღალდიღა ვიპოვეთ. 1937 წლის დეკემბერში ჩატარებული კოლმეურნეობის კრების ოქმის ამონაწერი: „გაირიცხოს კოლწევრობიდან ხალხის მტრის, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტის გრიგოლი ბაქრაძის ცოლი - მარიამ სხვიტარიძე, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში აღმოჩნდა თავის მეუღლესთანო“.

კოლექტივიდან რომ გარიცხეს, მაშინ, ვინ იცის, ჩემი მარიამი ცოცხალიც აღარ იყო. ბავშვები, როგორც მაშინ მიღებული იყო, ნათესავებმა დაირიგეს. კაი ხანს მამას არც კი მეძახდნენ, გადაჩვეული იყვნენ, ვერც გაამტყუნებ. ორმოცდაორში ციმბირიდან პირდაპირ ფრონტზე წამიყვანეს.

აქ კულისებიდან ისმის ლევიტანის ხმას, ინფორმაცია ომის დაწყების შესახებ (რადიოს ფონდშია დაცული).

მე, „ხალხის მტერს“ ფოთი მომცეს ხელში და ხალხის და ქვეყნის დაცვა მანდეს. არ გაგიკვირდება? გადავრჩი ტყვიის წვიმას. დავბრუნდი ორმოცდა-ხუთში. მოვიძიე ჩემი შვილები. ცოლი აღარ შემირთავს. შემოვღობე გაპარ-ტახებული ეზო, გავმართე ოდა და ორმოცდაცხრაში ისევ დამიჭირეს. ეს ბოლო დაჭერა მაინც რაღა იყო. ჰიტლერი დამარცხებულია, მსოფლიოში პირველი სა-ხელმწიფო ხარ, გამარჯვებული და გამართული, რაღა დროს ტყვილად დაჭე-რები და რეპრესიებია. ხომ გითხარი, სიაში ვიყავი სადღაც და როცა „წესრიგის დამყარების“ ან წმენდის კამპანია ჩამოივლიდა, ჩემს ჭიშკარს არ აცდებოდნენ. მეხუთე დაპატიმრებიდან რომ დავბრუნდი, ჯანმრთელობა გატეხილი მქონდა, ორმოცდათხუთმეტი წელი იყო. სტალინი აღარ იყო ცოცხალი.

- მერე დავიბენით. ამხელა სახელმწიფოს გაძღოლა, როცა არც ჭკუა გიჭ-რის მაინცდამაინც და ვერც ქვეყნის საქმეებში ერკვევი, ნამეტანი ძნელი გამოდგა.

თქვენმა თაობამ არც სტალინი აღარ იცის. ჩვენთვის კი მთელი ცხოვრება იყო, ბაბა, და ამიტომაა, რომ წამოვწითლდები ხოლმე სახეზე, როცა გლახად ახსენებენ. მე რაც გამიკეთა, ხომ ხედავ, თუ ყურადღებით მისმენდი, ჩემზე დიდი მაგინებელი არ უნდა ჰყავდეს. მთელი ცხოვრება შიშში გამატარებინა და უდანაშაულო კაცი ხუთჯერ ჩამსვა ციხეში, მაგრამ მაინც ვერ ვუმეტებ. რა ვიცი, რა მემართება, სტალინი ჩემი სისუსტეა მაინც.

- მოგაბეზრე თავი. ვიცი ახლა სტალინზე ლაპარაკის დრო არ არის, ასე ფიქრობ შენ. დღევანდელ საქმეს უნდა მივხედოთ. კი, ბატონო, მაგრამ შენ ჭკვიანი კაცი ხარ და თუ უკან არ მოიხედე, წინა კაცის ნავალი არ გაით-ვალისწინე, წინ წასვლა გაგიჭირდება. ცხოვრებას თავისი კანონები ჰქონია, ბაბა. ისტორიაზე მიძალება რომ არ შეიძლება, ახლა მივხვდით, ა, ურემი რომ კინაღამ გადაბრუნდა. სახელმწიფო ჭკუის კარნახით უნდა აშენო, თორემ ცეცხლით და მათრახით გამაგრებულს, ცეცხლი და მათრახი დაანგრევს როცა იქნება. დავფათურობთ ახლა დანგრეულ ბუდეებზე, ვაბრუნებთ საფლავის ქვებს, იქნება რამე გადაგვირჩაო. იმ ქვებს, რომლებზეც წარწერები ჩვენ თვი-თონ წავშალეთ. ადამიანის შვილისა ხალხის მეხსიერებიდან ამოღების მუღამი მაინც ვინღა გვასწავლა?

მეგონა მშვიდად გავივლიდი სიბერის დღეებს. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული იწყებოდა, გადამხდა გადასახდელი, აწი რაღა უნდა მოხდეს, ახლა კრიალოსანი და ბუხარია-მეთქი ჩემი დღეების ბოლო ქრონიკა, მარა კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ციხე-ციხე ჩემს ტანჯვა-ძრომიაში დაზრდი-ლიყვნენ ჩემო ბატონო, ჩემი შვილთაშვილები, ილიასა და ქაქუცა ჩოლოყა-შვილის კვალზე შემდგარიყვნენ პირტიტველი ბიჭები, დიახაც არ აპირებდნენ ჩემი შეცდომების მონად დარჩენას და ჩეკას ნ.კ.ვ.დ-ს და კეკებეს მიერ სამოცდაათი წლის განმავლობაში შიშის და ზარის, გულაგ-საპყრობილეების და დასმენა-დაკითხვებისა რკინისა ფარდიან ქვეყნის ქუჩებში პირველი პროკ-

ლამაციები გამოჩნდა, გაფიცვები და მიტინგები დაიწყო. თვალყურს არ უჯერებდი ჩვენთან გაფიცვები და მიტინგები რავა შეიძლება-მეთქი და 9 აპრილიც მოვიდა.

მე იმ ღამეს სახლში რა გამაჩერებდა. თბილისში ვიყავი შვილიშვილთან, გამოვედი რუსთაველზე, მარა ახლაც ყურში ჩამესმის იმ საშინელი სიჩუმის ზარის რეკვა და კათალიკოსის ხმა.

კათალიკოსის ხმა: „ჩემო სულიერო შვილებო, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო განსაცდელშია. მე მოგმართავთ თქვენ, საქართველოს თავდადებულ შვილებს: ესაა მაცნობეს, რომ ტანკები გვიახლოვდებიან. საშიშროება რეალურია. შვილებო, არ იფიქროთ, რომ თქვენ წინაშე მთავრობამ მომავლინა. ვგრძნობ ამ მოედანზე სისხლი დაიღვრება. ნუ იქნებით ძალმომრეობის მსხვერპლნი. თქვენი სიცოცხლე საქართველოს სჭირდება. განკითხვის საზარელ დრომდე წუთებიღა რჩება. გემუდარებით, წავიდეთ ტაძარში და ვილოცოთ საქართველოსთვის, ღმერთს შევავედროთ ჩვენი ტანჯული ერი. ღმერთი გვფარავდეს, ღმერთი ჩვენთანაა“.

გრიგოლ ბაქრაძე - რაკი ამგვარი საზეიმო განწყობა სუფევდა, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის გამოსვლაც არ მივიტანეთ გულთან. ღვთის მოციქულმა გაგვაფრთხილა, ტანკები მოდიანო, მაგრამ იმდენად ვენდობოდით ახალ, საგარდაქმნო მოძრაობას, იმდენად გვჯეროდა ვიღაც-ვიღაცეების, რომ ვერ წარმოვიდგენდით, თუ მშვიდობიან უიარაღო მოქალაქეებს თავსა დაგვესხმებოდნენ. ტანკებმა ადამიანთა სახელდახელო დერეფანში გაიარეს და დადგნენ. წამით წამოწვა სამარისებული სიჩუმე. მიკროფონი გამოირთო. პროჟექტორები ჩააქვრეს. მარტო სანთლები ბჟუტავდა აქა-იქ.

„ღმერთო, ახლა რაღაც საშინელება მოხდება-მეთქი“, ისევ წამართვა შიშმა თვალსინათლე. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. ჩვენს თვალწინ ხელნიჩბიანი მკვლელები აღიმართნენ. ჩემი გონებიდან არ ამოვა ის, სიკვდილისწინა, ცეკვა-სიმღერა. თითქოსდა განწირულთა როკვა იყო. ხელნიჩბიანი მკვლელები ერთმანეთში არეულ ადამიანთა გროვას აცხრებოდნენ და გამეტებით სცემდნენ და ხოცავდნენ, სადაც კი მოუხდებოდათ. სცემდნენ და კლავ დნენ, გაქცეულს, წაქცეულსა, მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს. ეს არ იყო წესრიგის დამყარებისკენ მიმართული ცემა, ეს იყო რბევის, ხოცვის, ანგარიშის გასწორების აქცია.

- ზურგზე საშინელი დარტყმა ვიგრძენი, გრძნობა არ დამიკარგავს, ეს მოხუცი კაცი, კატის სიმარდით შევვარდი მაღლა, გაზონებში და ნარგავებს ჩაბღაუჭებულმა გრილ მიწაში ჩავრგე თავი. ნეტავ არ გადავრჩენილიყავ. 9 აპრილს მერე საქართველო გადასხვაფერდა. ქვეყანა ორსახოვანი გახდა. ერთნი ძველ რეჟიმს იცავენ, მეორენი - ძველ რეჟიმს ამხობენ, მარა გაჩნდა ახალი ფენაც: ორსახოვანი ადამიანი: დღისით მავანს თეთრი ხალათი აცვია და ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, ღამით ოპიუმს ჰყიდის. დღისით წესრიგის დაცვის სამსახურში ვხედავთ, ღამით ავტომატმომარჯვებული შარაგზის

ყაჩაღია. დღისით ბებიაქალია, ღამით მესაფლავე. დღისით სამშობლოს გუშაგია, ღამით სამშობლოს გამყიდველი.

დაიბნა ხალხი, ბაბა და ასე დაბნეულებს მწიფე მსხალივით დაგვეცა თავზე იმპერიის დაშლა. რას მევესწარი! თბილისის თავზე ნოე ჟორდანიას დროშა ფრიალებდა!

ასე იყო მაშინაც თვრამეტში. რუსის მთავრობა თავისი ნებით გადადგა. ჩავიცვი რკინის ქალამნები და გამოვედი ქუჩაში. თბილისში ძლივს ჩამოვაღწიე.

მინდა გამსახურდიასთან შევიდე და ვუთხრა დიდი კაცი ხარ, ბაბა, შენ, დიდი საქმე გაუკეთე ქვეყანას! ახლა გმართებს ჭკუა, მისხალ-მისხალ უნდა ვაშენოთ ახალი სახელმწიფო, უნდა იდავითო, ბაბა, დიდი კოწიას ბიჭი ხარ, განათლება არ გაკლია, მომფერებელი, შემრიგებელი პრეზიდენტი უნდა იყო, ქვეყნის ორსახოვნებას წერტილი უნდა დაუსვა, გატეხილი ხიდი უნდა გაამთელო. ჩვენ უნათესაო ქვეყანა ვართ. ჩრდილოეთთანაც კარგად უნდა ვიყვეთ და დასავლეთთანაც შერიგება უნდა იყოსა ჩვენი ლოზუნგი-მეთქი.

კიდევ ბევრი რამის თქმას ვაპირებდი, მარა გამსახურდიასთან არ შემიშვეს.

პრეზიდენტს არ სცალიაო. შეიძლება მართლა ვერ მეიცალა ჩემთვის. ეგება თვითონაც იცოდა, რაც უნდა მეთქვა, მარა მაინც ვფიქრობ, ცოტა მეტი გამჭრიახობა რომ გამოეჩინა, ის არ მოუვიდოდა, რაც მოუვიდა. მაარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალია, ბაბა და ნამეტანი თავდაჯერებაც არ ვარგა. რუსთაველი ბრძანებს: „ სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო“.

არ გეწყინოს ეს ბებერი კაცი ბნელი და მძიმე დროის ლაბირინთში რომ დავფათურობ.

შეიძლება, სოლომონ ბრძენის ჭკუაც რომ ჰქონოდა და უშეცდომოდაც ევლო, მაინც დაემხოთ ეროვნული ხელისუფლება. რუსს არ უნდოდა, ბაბა, ჩვენი თავისუფლება სამ წელიწადში დაგვინგრია თავისუფლების კოშკი, რუსთაველზე შემოსული ტანკებით სარმა გამოგვკრა.

ესეც არ გვაკმარა. შვიდიოდე თვეში აფხაზეთის ომში ჩაგვითრია. „აფხაზეთის ომი“ წამომაცდა?

არა ბაბა, არა, არ დეიჯერო, ეს იყო სამამულო ომი რუსეთთან. მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ რუსი გვებრძოდა. და, ჩემდა გასაკვირად, როგორც მაშინ, მე-11 არმიის შემოსვლის დროს, მსოფლიომ ახლაც ყური მოიყრუა და პირში წყალი ჩაიგუბა.

წავაგეთ ომი რუსის ჯართან. წავგვართვეს აფხაზეთი და სამაჩაბლო. ოცდაათი ათასი ქართველი ერთ საათში გამოყარეს თავისი სამკვიდროდან. ზიას ახლა 300 ათასი ლტოლვილი ქუჩაში და აფხაზეთ-სამაჩაბლოში „ღირსეულ“ დაბრუნებას ელოდება.

სინათლე ქვრება. შემოდის გრიგოლ ბაქრაძის შვილთაშვილი - გიორგი და იწყებს:

- ყველაზე ბოლოს იმედი კვდება და ახლა მე, გამწარებული ქართველი კაცი, ჩემს ბოლო იმედზე გიამბობ.

ცუდად მობრუნდა ბედის ბორბალი ჩვენს თავზე. თავისაუფლების სურვილისათვის ჩვენ მსოფლიოს თვალწინ საშინლად გვგვემეს, გვაწამეს, მიწასთან გაგვასწორესა და თითქოსდა დედამიწა დაყრუვდა ჩვენთვის. მითხარი, ბაბა, ისტორიაში მეორე მაგალითი: სამასი ათასი კაცი თავისაი სამშობლოდან თხებივით გამოერეკოთ და ზღვისპირიდან, სუბტროპიკული სამოთხიდან ერთბაშად შეერეკოთ მთიან ხეობაში - ყინულის უდაბნოში.

მე გიამბობთ ჭუბერის გზაზე, ქართველთა დევნა-წამების საშინელ ამბავს. სანამ პირში სული მიდგას მთელ ქვეყანას ვუამბობ, ბაბა. გიამბობ, როგორ გაეყინა უბედურ დედას ჩვილი ხელში. რა ღაწვთა ხოკვით და მოთქმა-ვაებით აწვენდა იგი ყინულის ლოგინში თავის ბაგეთეთრ პირმშოს და მერე როგორ გადაეშვა ქარაფიდან.

გიამბობ, როგორ დასტიროდა ცალხელა ვაჟკაცი ყინულისაგან დამზრალ, გზისპირას მშობიარე ცხენივით მქშინავ ფეხმძიმე ქალს და როგორ კვნესოდა მომაკვდავი დედა - მე ვკვდები, იქნებ ბავშვი გადამირჩინოთო.

გიამბობ, როგორ მოჰქონდა ხელით ილაჯგაწყვეტილ, გასავათებულ მოხუცი დედის ცხედარი.

გიამბობ, როგორ ჩაჰკიოდა პატარა გოგონა უფსკრულს, რომელშიც ეს-ესაა გადაიჩეხა ცხენი, გარდიგარდმო გადაკიდებულ ხურჯინში ორი მისი პაწაწინა დაიკო რომ ეჯდა.

გაისმის სევდიანი მეგრული სიმღერა „სი ქოული ბატა, მა დომიტი-ლენქო“.

დაგვაჩოქა რუსმა, მიგვატოვებინა ჩვენი კერა. დღესაც ვერ გადმოგვის-ვენებია დამწვარი ბიჭები გულრიფშის ღია საფლავიდან. ბალახმა გადაუარა ჩვენსა მიტოვებულ, გავერანებულ ეზოებს. ცოტა ხანში ბალტინის ტანკებით მოადგა ფოთს, დამპყრობელი და საკუთარ ქალაქებზე საიერიშოდ დარაზმა ეროვნულ მთავრობაზე დაგეშილი შინოური ყაჩაღები. გარეშე ომზე ვარესი, ბაბა, სამოქალაქო ომი ყოფილა.

იქ, იქ მაინც იცი, ვის ესვრი. აქ? ვის კლავ? ვის მისდევ პირაქაფებული შენს ძმას? გადაეკიდა ხალხი ერთმანეთს. ზოგს თვალწინ გაუახეს ცოლი და ქალიშვილი, როგორი ასატანია თავმოყვარე კაცისთვის ეს ამბავი?

დაერივნენ ერთმანეთს თოფიანი თუ უთოფო, რატომ, არ იკითხავთ? მე უნდა ვიყო ქვეყნისა სათავეშიო და არა შენო, ჩვენ? ეს უბრალო, დამშეულ-გამწარებული ხალხი - ჩვენ რა შუაში ვიყავით?

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მაგენი ერთმანეთს დაე-რეოდნენ და თუ გახსოვს, ზუსტად ეგრეც მოხდა. ვინ ვის გზავნიდა ციხეში,

ვერ გაიგებდი. ნელ-ნელა გამოდიან ახლა ციხეებიდან და აცხადებენ შევრიგ-დით ციხეშიო; კაი დაგემართოთ, შერიგება კაი საქმეა, მარა ამ შუღლით მიწები რო დავკარგეთ, ამ შინაომით რჩეული ბიჭები რო მიწაში ჩავაწვინეთ? რო დევერიეთ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოთ? არ იცოდით, ერთი დედის შვილები ისევ ერთად რომ უნდა ვყოფილიყავით?

რავა შეიძლება ბაბა, კაცი იმისთვის შეიძულო, რატომ ჩემთან არა ხარო. კი, მართალია, ადამიანი დიაკვანის ჯოხივით ყველა კართან არ უნდა ჩერდე-ბოდეს, თავისის სვე-ბილიკი უნდა ჰქონდეს და იმას უნდა მიერთგულებოდეს, მარა მომიძებნე კაცი, მთელი ცხოვრება ერთ აზრ-ჭკუაზე გაევლოს.

ადამიანი ცოდვის შვილიცაა, მარტო ანგელოზის მოვლენილი როდია ამ ქვეყანაზე. რა იცი, როდის რა ქარბორია აწვება მის ჭკუა-საქციელს. ეგებ სულ აქ ჰქონია თავში და სხვისი ხათრით წავიდა იმ საქმეზე. ეგებ ვიღაცამ აწყენინა და წყენა, ხომ იცი, რა ოხერია, შავს თეთრად მოგაჩვენებსა. მე მაინც იმის მომხრე ვარ, მეტი პატიება-შენდობა იდოს ერთმანეთის მიმართ.

ერთი მეგრული ანდაზა ამბობს: ძაღლს გოდელში ძალით ვერ ჩატენიო. ძალით დამორჩულებული შენი ერთგული არასოდეს იქნება. მოგეხსენება ძალით წართმევა შეიძლება, მოცემა - არა.

დამიჯერეთ, ტკბილი სიტყვით უფრო მეტს მოიგებთ, ვიდრე მათრახის ტკაცუნით. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი სიკვდილი გვკიდია ზურგზე და სხვა სხვის სამარეს ვერასოდეს ამოავსებს.

შემოდის გრიგოლ ბაქრაძე და შვილთაშვილს გვერდით დაუდგება.

გრიგოლ - რა გიყვეს, რა სამსალა გაქვს ასეთი, ჩემო საქართველო, რომ ნა-ხირს გამორიდებული, გასავათებული საქონელივით ოჩან-ოჩან მიაბიჯებ კი-სერგაშეშებული და საუკუნეების განმავლობაში შენთვის ყველაზე საყვარელი ლოზუნგის გაგონებაზე ყურსაც არ იბერტყავ?! ხომ გაგიგონიათ: აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი გაჭყლიტესო. იმ კოზაკის დღეშია დღეს საქართველო. რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა. ჩვენსა ქვეყანაში შემოხეტებული ბევრი სერვიში თავის ჭკუაზე გვატრიალებს. ამასწინათ, ერთი სტუმარი გვარიგებდა: მოეშვით გაყინული ფაბრიკა-ქარხნების გაცოცხლებას, ნუ დათესავთ და ნუ მოიმკით, თქვენ მხოლოდ სხვისი შემოტანილი გაასაღეთ და კარგი დახლი დაგიდგებათო. ამნაირი მრჩევლის ჭკუაზე იარა ჩემმა მტერმა. იქნება, ბაბა, ყველაფერი იქნება, მარა ერთი რამ მაინც გამკვირვებია და რომ არ გითხრა, გული არ მომითმენს.

მსოფლიოში არავინ არ ხტუნავს და ზეიმობს იმდენს, რამდენსაც ჩვენ ვბრაციბრუცობთ გოუთავებლად, ვერ გავიგე, ასე რამ აგვაკუნტრუშა ბაბაია?! რაო, აღსრულდა? მივაღწიეთ იმ მიზანს, რისთვისაც აპრილის ცივ ღამეში, შიმშილით გათანგულები დროშას აფრიალებდნენ? რაო, დავიბრუნეთ ის მიწები რის დასაცავადაც რუსის ტანკებს უწვებოდნენ მოტყუებით იარაღაყ-რილი, შუბლწაკრული ანგელოზივით ბიჭები? იქნებ აღარ იმზირებიან დამწვა-

რი, სასტუმროს გამჭვარტლული აივნებიდან დატანჯული ლტოლვილები და აღარ სხედან ბაბა, მეტროს ჩასასვლელებთან ქალაქში შიმშილით კუჭდამწვარი ბავშვები? ნამეტანი ხომ არ გავზარმაცდით, სხვისი ხელის შემყურე ხომ არ გავხდით ჩემო ბატონო?

გრიგოლის შვილთაშვილი გიორგი ბაქრაძე განაგრძობს:

გიორგი - როგორ ფიქრობ, ჭკუა ვისწავლეთ, იმ სასტიკი გაკვეთილე-ბიდან? თქვენც არ მომიკვდეთ.

გიამბობთ, როგორ გვაზეიმეს 2011 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დღე. ეს ამბავი მე თვითონ გადამხდა და ახლაც მაჩნია იმ ღამისა ნაიარევი ზურგზე.

თავისუფლების მოედნის მხრიდან დაფდაფების აჭრილ-არეული ხმა გაისმა.

ყველამ იქით მივიხედეთ.

პლასტმასის ფარებზე რეზინის ხელკეტების ცემით ჩვენსკენ მოდიოდა თავჩაჩქნიანი პოლიციელების დიდი რაზმი.

წვიმის წვეთები ნაპერწკალებივით ცვიოდა მათს მუზარად-ჩაჩქანებზე.

მოსწავლეთა სასახლეს რომ მოუახლოვნდნე, რაზმი ორად გაიყო და შუა ქუჩიდან ჩვენკენ შავად შესუდრული უზარმაზარი ოთხი მანქანა დაიძრა.

მანქანები წამით შეჩერდნენ, დაიხრიალეს და პროჟექტორების მსაგვსი ხახებიდან ერთბაშად მომართეს მომიტინგეებისკენ წყლის „ტყვიამფრქვევები“.

ძირს დაგდებული ქოლგა ავიღე და ავიფარე. რა ძალა ჰქონია წყალს. ჭავლმა ქოლგა წამში ნაფლეთებად მიქცია.

ხალხი წივილ-კივილით გარბი-გამორბის.

მიაწყდება ერთი ნაკადი სკოლის აღმართს და წამში უკანო გამორბის, სასახლესთან ხელკეტების ცემით და გამეტებული გინებით ოტებულებს სხვა რაზმი ხვდება.

უბაზგუნებენ თავ-ზურგზე უმწეო ადამიანებს ხელჯოხებს, უმასპინძლ-დებიან პანღურით... თავტრაკზე ხელაფარებული „რევოლუციონერები“ ფურ-ცელაძის ქუჩისკენ რომ ჩაიქცევიან, იქ ახალი სპეცნაზი ხვდებათ და შუაგზაზე შემორეკავენ.

საკმარისია წამით შეჩერდე და კბილებამდე შენიღბულ-შებურდულ პო-ლიციელს ჰკითხო - საით გავიქცეო, რომ მოგიბრუნდება და იმდენს გირტყამს, წელს გაგათრევინებს.

საჩიხეში შერეკილი პირუტყვივით ზრიალებენ დარბეულ-გალახულნი, მი და მო აწყდებიან, წრეს ურტყამენ, ღრიალებენ, ტირიან, იხვეწებიან, გაგვიშვი-თო, მაგრამ ვერ ვხედავ მომხვდურთაგან ადამიანობის, ყურადღების გამო-ჩენას, შეცოდება-შებრალების უმცირეს ნიუანსსაც კი.

მორევივით ერთ მოედანზე მოტრიალ-მობრზრიალეთგან ვისააც მოიხელ-თებენ, ჯერ ცემით დაასივებენ, მერე ხელბორკილს ადებენ და ფილქანზე პირ-დაღმა აგდებენ.

ჯგლეთა-ორომტრიალში მოსწავლეთა სასახლისა ღობის გისოსებთან ძლივს მივხოხდი და ის იყო ჩიტაძის აღმართისაკენ ვქენი პირი, რომ ჩემკენ წა-მოსაული ხელკეტმომარჯვებული ოთხი დევი დავლანდე.

მე აქ შემთხვევით მოვხვდი და ხომ ვერ მეტყვით, რა ვიღონო-მეთქი, ვკითხე მათ შორის მოახლოვებულს.

- შემთხვევით? სულ შემთხვევით? - გამომაჯავრა სპეცრაზმელმა - ისე შენი დედა მოვტყან!

მომინაცვლა და მომინაცვლა ხელკეტი.

მირტყამდა არადამიანური ძალით, დასასჯელად და გასაროზგად კი არა, მოსაკლავად.

თავზე ხელი დავიფარე და სასახლისა კიბესთან წავიკუზე.

ჩემს გალახვა-დაჩოქებას ეს ერთი მკლავდაბერილიც მშვენივრად მოახერ-ხებდა, მაგრამ სამნიც წამოეშველნენ და წაქცეულს მცემდნენ.

ღრიალ-ტირილისგან ხმაჩაგლეჯილს, ტკივილისგან ტუჩმოჭმულს მხრებ-ში ჩამაფრინდებოდნენ კედელ-კიბეზსთან მიმაყუდებდნენ და პირუტყვული ძალით მირტყამდნენ.

გონს რომ მოვეგე, ხელფეხშერკული ქვის ფილაქანზე თავდაღმა ვეგდე და წვიმა ზურგკისერზე მეთხლიშინებოდა.

რამდენადაც მიხედ-მოხედვა შევძეი, ჩემს ირგვლივ უამრავი ჩემს მდგო-მარეობაში მყოფი ეყარა.

პირქვედამხობილ, უმწეო მომიტინგეთა შორის პოლიციელები დააბიჯებ-დნენ და ვისაც თავის აწევა ჯერ კიდევ შეეძლო, წიხლს ჩააზელდნენ ფერდებ-ში: რას ხვანცალობ, შენი დედა ასე და ისეო.

პირი წყლით მევსებოდა, სუნთქვა მიჭირდა.

ცუდად ვარ, გული მაწუხებს, თუ კაცი ხარ, ხელები წინ მაინც შემიკარი-მეთქი, შევეხვეწე და მსჯელი რაზმის ფარშუბოსან ურჩხულს.

პასუხად თავკისერში სამჯერ ისაე მაგრად დამარტყეს, რა საიმაგრითაც საქონელს ურტყამენ უროს სასაკლაოზე.

კიდევ კარგი, გონება დავკარგე. აღვირახსნილი თვისტომის სხვა უღმერ-თობა აღარც მიგრძვნია და აღაც დამინახავს.

გრიგოლ - ეს რა მოვისმინე. ცრემლი მახრჩობს, ბაბაია. ჩვენზე ნაკლები სიმწარე არც თქვენ გინახავთ, ამ ახალმა მთავრობამ, მართალია უდანაშაულო ხალხის დევნას ბოლო მოუღო და სწორ გზაზე დადგომას ცდილობს, მაგრამ თუ ჩვენს ქვეყანას ჩვენ თვითონ არ მევეპატრონეთ, ჩვენი მშველელი არავინაა. ჩვენ უნდა ჩავაგდოთ ხნულში თესლი და ჩვენ უნდა ვურტყათ ურო გრდემლზე, რავაც ჩვენი მამა-პაპის წესია. როგორ ფიქრობთ, ვინც აწრთობდა

იმ ხალიბურ ფოლადს, ვინ ფერავდა საჯავარდო ხმლებს? კაია, კაი დაგემარ-ტოთ, ამერიკის ინსტრუქტორი რო წრთვნას ჩაგიტარებთ, მარა თუ თვითეული ქართველი მესაზღვრედ და მეციხოვნედ არ ვიქეცით არაფერი გვეშველება. ხომ ხედავთ, როგორ შემოძვრა აგვისტოს თვეში რუსი ოკუპანტი საქართველოში, როგორ დაგვიბომბა და აგვიოხრა ქალაქები და სოფლები, როგორ წაგვიბილწა წინაპართა საფლავები, როგორ გაასწორა მიწასთან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სოფლები, როგორ ამოხოცა დიდი და პატარა, როგორ დაგვიობლა ბავშვები, როგორ მოწყვიტა ქართველი თავის სახლ-კარს, როგორ ჩამოჭრა სააქართ-ველოს მესამედი ტერიტორია. და გეკითხები ახლა, მე, ამ დარბაზში მჯდომო ჩემო შვილო და შვილიშვილო, ხარ თუ არა მზად ამ 21-ე საუკუნისათვის გალა-ხულმა და ნაჯანჯღარებმა რომ მოაღწიე და შემოდგი ფეხი? კაი ფიქრებით მოხვედით, მე და ჩემმა ღმერთმა. გიყურებთ და მიხარია. გული იმაზე მწყდება, რომ მხოლოდ გიყურებთ და მეტი არაფერი. მე ახლა, მოხუცი კაცი, მარტო სიტყვა-რჩევით თუ შეგეწევით, თორემ ჩემი მარჯვენა რაღაში გამო-გადგებათ.

გიორგი - არ დავიღალოთ და არ მოგვწყინდეს, ამ ერთს გთხოვთ მხო-ლოდ. სიმართლის გასაღები მარტო ჩვენ გვაქვს ჯიბეშიო, ამასაც ნურასოდეს იფიქრებთ. კაცს ფიქრის გაცხადების რომ შეეშინდება, ის კაცი თქვენი ერთგუ-ლი ვერ იქნება. ამიტომ კაი ბიჭები მაშინ ვიქნებით, თუ სხვანაირი ფიქრე-ბისათვის ადამიანის შვილს არ შევიძულებთ. მოუსმინეთ იმასაც. გაარკვიეთ, იქნებ სიმართლეს ამბობს, რაღაცა მიზეზმა ხომ გაუჩინა ის სხვანაირი ფიქრი თავში, გაღმერთება და გაბელადება ვისაც უნდა იყოს, ამ ჩვენ დროში მაინც სასაცილოა და თუ შეგაფერხებთ, თორემ კარგს არაფერს დაგვმართებს.

ადამიანი ისედაც ორი დღითაა მოსული ამ წუთისოფელში და ნუ გავამ-წარებთ. მიხარია, აბა, არ გამეხარდება შიში რომ გაიპარა ჩვენი ოდის ჭუჭრუ-ტანებიდან? ჯერ სადა ხარ. ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან შერკინება აწი გიწევთ. ჯერ კაცთა უჭკუობით გამრუდებული გზა უნდა გავასწოროთ ახლებურ ლაგ-თარგზე. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას უნდა გადავეჩვიოთ. არ გამოდგა საერთო გობში ხელის ფათურის წესი იმიტომ, რომ ზოგს დიდი პეშვი აღმოჩნდა და ზოგს პატარა. ჩემსაც და შენსაც ნუ აურევ ერთმანეთში ჩემს მოსატყუებლად და ყველაფერი კარგად იქნება. ნუ წამართმევ ჩემს მჭადს და ნუ გამიხდი მერე სახვეწრად, ცოტა მომიტეხე-თქვა.

გრიგოლ - ღმერთმა ხელი მოგიმართო, ბაბა, მე იმითაც მადლობელი ვარ და იმის ფიქრით მაინც მშვიდად ჩავალ სამარეში, რომ სწორედ შენმა თაობამ მალაპარაკა შენთან ასე თავისუფლად, შიში გამორეკა ჩემი დარჩენილი დღეე-ბიდან. ჩვენ იმდენჯერ ვჭამეთ სირცხვილი, რომ ახლა აღარავინ დაგვძრახავს, ყველა ერთად თუ შევუტევთ მრუდედ ნაქსოვ-ნაბურჯალს. ვაჟკაცობა იმას ჰქვია, გაბედულება გვეყოს, ავდგეთ და ვთქვათ: - სხვა გზას ვეწიოთ, არ გა-მოგვივიდა ისტორიაში ნაუცბათევი ნახტომი-თქო.

კარგად დამიგდეთ ყური ჩემ ბუნებაში იმიტომ ჩაგახედეთ, რომ მეთქვა თქვენთვის ქართველობა მარტო წარმომავლობას კი არ ნიშნავს, ქართველობა ბედისწერაა, ვინძლო არ შედრკეთ, არ შეშინდეთ, არ დაიფანტოთ, აღარ გათი-თოკაცდეთ, აღარ გაებათ უწმინდურთა აბლაბუდაში.

გახსოვდეს, ბაბა, შეცდომის დაშვებაზე დიდი ცოდვა იმ შეცდომის მონად დარჩენაა!

გაისმის ომახიანი სიმღერა „მუმლი მუხასა“.

ფ ა რ დ ა

ბაფ

✍ ცირა ნუცუბიძე

სამყაროს შეცნობა

მიყვარს ბუნების ცვლილება,
ყველა მისი ახირება,
მინდვრად ფეხშიშველი რბენა,
ცვარ-ნამიან მინდვრის ცქერა,

ცაში – ვარსკვლავების ლხენა,
მშვენიერ პეპლების ფრენა,
ბაღნარში – ჩიტების სტვენა,
ნაძვნარში გირჩების ცვენა.

მოჭრილ ბალახის მოფენა,
მისგან სურნელის მოდენა,
ცისარტყელას გამოჩენა,
შემოდგომის ფოთოლცვენა,

ფრინველების გადაფრენა,
ზღვაზე ტალღების მოსმენა,
მასზე თოლიების ფრენა,
სილაღე და აღმაფრენა.

ახალი ბათუმი

სულ სხვა გიხილე, ჩემო ბათუმო,
ჩემი ბავშვობის ქალაქს არ გავხარ,
ლაღად გაშლილხარ, გამშვენებულხარ,
მაქმანით მორთულ დედოფალს გავხარ.

მზის სხივით, ბუნების მადლით
კაშკაშა, თბილი მუდამ იყავი,
ღვთიურ მოყვასსა ცათამბჯენებით
მოგნდომებია ღმერთის თაყვანი.

ვ ე დ რ ე ბ ა

კაცთმოძულეთ ვეღარ ვუძლებთ,
ძმათა კვლას ვერ ვეგუებით,
შველას მხოლოდ შენგან ველით,
დიდო ღმერთო, გევედრებით.

აზრთა სხვაობამ არ განგვასხვავოს,
არ დაგვაშოროს, გაგვამთლიანოს,
გაგვამრავლოს და გაგვაძლიეროს,
ღმერთო ძლიერო, შენ გევედრებით.

ერთი ქვეყნის შვილები ვართ,
ერთი ტომის, თვისტომისა,
„იავ-ნანათი“ გაზრდილნი,
ერთი ენის და რწმენისა.

სახელოვან წინაპრების
ერთი ზნის, ადათ-ჩვევისა,
იაკობის „დედაენის“,
შოთას მემკვიდრეობისა.

ვუძღვნი არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას

ყველასგან განსხვავებულსა, მხედრული სულის ვაჟკაცსა,
სისასტიკითა ნაწამებს, სულმდაბალ ხალხის ზვარაკსა.

მტრისაგან გაცდუნებულსა, ნაგვემსა, ნაიარალსა,
გაძარცულ-დამცირებულსა, დიდსულოვანსა, ამაყსა.

ქართული გენის ნაყოფსა, მხედრად შობილსა, მამაცსა,
ენის, რწმენის და მამულის უკვდამყოფელსა ვაჟკაცსა.

✍ გიული ᲛᲣᲠᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველო XX საუკუნის დამლევს
(მინიატურული ჩანახატი)

იპყრობს მზერას შორი ეკლესიის გუმბათი; გაახსენა ჭარმაგ გიორგის წარსული; იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაული: იყო ვინმე მოჭიდავე – წარმოსადეგი, გულადი ვაჟკაცი; ფრინველივით გადაივლიდა გალავანს, მიატანდა შუა-მოედანს; იყო კი ვინმე მისი მძლევი?!

* * *

გადაივლის დილაუთენია მოლაღური.

არც აქეთ წავა, არც იქით; შორიახლო ირჩევს ალვის ხეს, გალობს.

გახალისებული გიორგი ელევა მამულში საქმეს.

მოირგო ბობოხი ქუდი, ვერცხლის ყაწიმით დამშვენებული ძველი სამოსი, ჩუქურთმებიანი ყავარჯენი, გავიდა გზაზე.

ქალაქი არც ისე ახლოა, არც ისე შორი; ჰორიზონტი ტრიალია; მოჩანს სოფლები ფერდობების ჩაყოლებაზე, სიმწვანე აქა-იქ.

მიუყვება გზას გიორგი ბეჯითად, ღონიერი ნაბიჯით; რომელიღაც გამვლელმა გამოუჩინა ყურადღება; ავტომობილმა მალევე ჩააღწია – თბილისში სადგურის ქუჩა-მოედანი ხალხს ვერ იტევს; ჭირს გავლა – მიწისქვეშა სავალ გვირაბს მოპირკეთებული შერჩენია აქა-იქ; ნაგავსაყრელად ქცეულ ქუჩაზე გაუვალ მწკრივებად აწყვია გასაყიდი თვალისმომჭრელი, ტანსაცმელი, სურსათი – სანოვაგე. ერთმანეთის მოკითხვა, საუბარი არის იშვიათი; თუმცა დროდადრო არის კომიკური, თან ჯავრიანი; თუნდაც ასეთი:

რომელიღაც მათხოვარმა ქუჩა გადაჭრა, შეაფერხა მოძრაობა;

- სატანა, ქაჯო, მოშორდი – უყვირის ვიღაც მარშუტკიდან (აწერია აბრაზე „დეზერტირის ბაზარი“).

- დეზერტირიკაზე გასწი, გაფრინდი – არ დარჩა ვალში თავის მხრივაც მოპასუხე.

* * *

იყიდა, თუ რამ იყო საჭირო, ეშურება გზას მგზავრი.

მიიჩქარის ავტომობილი;

აღმართ-დაღმართით, სართულ-სართულ მოჩანს ძველ უბანში აღმოსავლური, ქართული, დასავლური აივნები.

გზად მრავალსართულიანი, ხშირი შენობებია, გადაკიდებულ-გადმოკიდებული, ღვარჭილი; გააქვთ და გამოაქვთ, იყიდება ქუჩაზე ათასნაირი წვრილმანი;

ჭირს ერთგან გავლა;

მანქანები იძვრის ნელა, კუს ნაბიჯით;

არა აქვს არჩევანი - იცდის; მძღოლმა ჩართო რადიო დროის გაყვანის მიზნით;

სიმღერები, იუმორი, ინფორმაცია;

„მტერი ძლიერი წინააღმდეგობას გვიწევდა - იგონებს ომის მონაწილე; გადავეცი კოორდინატები, არტილერიამ იმუშავა; იმავე დღეს, 19 სექტემბერს შევაღწიეთ ალყაშემორტყმულ დაბა კინდღში; იქ შემზარავი სანახაობა დაგვხვდა; შიმშილით დაქანცული ქალები; ბავშვები ვეღარ ტიროდნენ; მათი ევაკუაცია განვახორციელეთ ზუგდიდში“.

- საქართველოს მოსახლეობის 35% დატანჯულია; 55% დაძაბული;
- ვყიდი სააგარაკო ნაკვეთს ქვემო ხანდაში, მსხმოიარე ხილით;
- ვყიდი სამოთახიან გადაკეთებულ ბინას ყიფშიძის ქუჩაზე, ფასი შეთანხმებით;
- სახალხო ლაშქრის დონეზე დარჩენილი არმია;
- აფხაზეთის მარცხი;
- ეროვნული ღირსების შემლახავი ურთიერთობა

ემატება გზას წამსვლელ-მომსვლელი;

„გზა სიარულმა დაღალა“ - მღერის რომელიღაც მოლხენილი;

* * *

გარეუბანი –

გასდევს ველზე ოქროსფერს მწვანე ხავერდი.

ტრიალ ჰორიზონტს აგვირისტებს ხეთა კონტური.

აივანის მოაჯირზე დასკუპებული მამალი მზრუნველობას აკვესებს;

მოლაღური, კაჭკაჭი, შაშვი გადაივლის ტყიდან ფერდობს, გალობს ხიდან - ხეზე;

კარგა ხანია, გავლას შეელია; ჭარმაგი გიორგი თავის კარმიდამოზე ტრიალებს;

მოვიდა ერთ დღეს ხასიათზე, გასწია სოფლისკენ;

ბილიკები - მშრალი, ლაფანი;

ეგონა გაახარებდა არიგებულ-ჩარიგებული ტევრი, ვენახებისა; მაგრამ დახვდა დანაცრული, გართხმული. რამდენიმე მწკრივი გაასწორა, მაგრამ რა გაწვდებოდა?

წაუხდა გუნება, მიდის გიორგი ისევ ისე გზაზე.

ზემო, ქვემო უბანში ოჩოფეხზე შემდგარი ჯიხურებია აქა-იქ; დახლებზე აწყვია „Slims“, „Mallboro“, „პრიმა“, პიტნის, მარწყვის კევები; სანელებლები,

„fanta“, პური; მაგრამ იშვიათია, არ ჩანს მყიდველი; გაკრეფილა მოსახლე ქალაქში, უცხო ქვეყნებში.

დარაზმულა მრუმე; დაუფარავს შამბს ეზო-ბაღ-ვენახი; ისმის კარგა შორს მდინარის ნაპირიდან ვაი-ვიში: გაუნადგურა ვიღაცამ, წყალს გაატანა ახალ-ნერგი.

ჭარმაგ, ნაჯაფარ გიორგის შვებას გვრის, თუ რამ შემორჩა სანუკვარი: „დამბადებლიანთ წყარო“, ზამთარ-ზაფხულ უხვი, ანკარა, უწყინარი; შორი მთა „იალნო“. ქვითკირი დახაშმული, უდაბნოსავით გზის გარდიგარდმო; ღარიანი კრამიტით დახურული ბეღელ-მარანი.

* * *

წყაროზე გამოსულმა ქალებმა თქვეს აქეთურ-იქითური:

- რა გამოვა, თუ არ ვინმე ძლიერი;

აიარ-ჩაიარა ორღობე, ესმის მძღოლის საუბარი:

- ვერ იარსებებს, თუ საზოგადოების საკუთრება არ გახდაო; ვითომ ხალხს ეცოდინება, ვინ იყო დანაკარგზე პასუხისმგებელი?!

მიდის მოტოციკლი ოღრო-ჩოღრო ჯაყჯაყით; ფიქრობს მძღოლი: დახე, რა სცოდნია, ვინმემ ჩააგონა, თუ თავისით; მაგრამ რაღა;

* * *

...ცოტა კიდე და - აჰა, სოფლის ბოლო: შორი-ახლო ჭალა ლივლივებს; გასდევს ბაღ-ვენახი დატოტილ იორს;

სანახავი ჰორიზონტს გასცდა - ფერდობები ტრიალი გზის გარდი-გარდმო; ეხმიანება სიჩუმეს - ცის და მიწის საუდუმლოს შემცველი ნიავ-ქარი, ველ-მინდორი, გაუწყვიათ სუფრა შემორჩენილ უბნელებს: ნანადირევი, ტყის ნობათი, პურ-მარილი, ღვინო; თქვეს შემოსწრებულის სადღეგრძელო.

მზეს პირი უჩანს, დარს პირდება.

ერთხანს უამინდობით გაკმენდილი უბანი იფერებს, ხალისობს.

ყარყარა ბახამ ჩონგური განზე დადო - ღვთის ანაბარი ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო იყოს.

ზაქრომ დააძრო ქურთუკის ჯიბიდან პატარა, კოხტა რადიო; ეძღვნება გადაცემა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი მძღოლის, გურამ ოქროცვარიძის მოგონებებს:

„თბილისში პუტჩის დაწყებიდან სულ ორიოდე დღე იყო გასული; დღისით და ღამით უტევდნენ ხელისუფლების მომხრე ძალების პოზიციებს, თუმცა უშედეგოდ; რამდენიმე დღე მთავრობის სასახლეს წყალი არ მიეწოდებოდა; იქ შევედი, სადაც გადიოდა კომუნიკაციის მოწყობილობა და შევნიშნე, რომ ერთ-ერთი ჩამკეტიდან წყალი მოწვეთავდა; ის იყო, დასაბანად დავიხარე, რომ შენობა აფეთქებამ შეაზანზარა; პრეზიდენტის ოთახისკენ გავიქეცი; მას აცნობეს, რომ მტერმა შვეულმფერნით რაღაც ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე კასრი დასცა მთავრობის სასახლის მეხუთე სართულს“.

(გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2017, 27 დეკემბერი; გვ. 26-27).

გაქანდა და გამოქანდა რადიოტალღა. აჭრაჭუნებული, წყვეტილი, ხან მკაფიო.

- დღევანდელ ვითარებაში არ შეიძლება „გულისტკივილით არ აღინიშნოს მცდელობა სომხების მიერ აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობად გამოცხადებისა“.

(გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“; 8 სექტემბერი, 2017 წელი).

გადაცემა დასრულდა;

სუფრა აიშალა;

ცოტა ხანში ველ-მინდორი, ნიავ-ქარი მიენდო საღამოს.

ერთ მხარეს ძველი კაწარეთია, მეორეგან უჯარმა.

ისმის საუბარი გზადაგზა - რა ვთქვათ, არ ახსომთ განა, ომმა ქართველი შეიწირა, განსაცდელმა დაჩაგრა.

რეალობა, ლხინი, ცეკვა, სიმღერა გან-გან არის, შორი-შორს.

მოტიციკლზე ამხედრებული ახალგაზრდა ფოსტალიონი უბან-უბან ჟურნალ-გაზეთებს არიგებს.

ეკითხებიან - პასუხობს.

საუბრობენ:

- ბენზინის ცისტერნები, ხანძარი აჭარაში, ბორჯომში, ფუნიკულიორზე
- მეხად იქცა კუპრი ანარეკლი;
- ჩაიარა უხალისო დღემ.

* * *

... ბუდეს შეეფარა - რომელიღაც ფრინველმა ღამეს გაასწრო.

ისმის „ალილო“

ხარობს ცა და მიწა - „ქრისტე იშვა ბეთლემსაო“

ატანს ედემი, ცალაჟვარდი -

შემოუნახავს ზამთარს ბარაქა, საკვამურის სურნელი, ხალისი.

✍ ჟუჟუნა გიგაური

ამ ლექსს ვუძღვნი
ჩემ საყვარელ პროფესორ-
მასწავლებლებს,
ჩემს სტუდენტებს და მთელი
უნივერსიტეტის თანამშრომლებს

სასწავლო წლის დაწყებას
გილოცავთ ჟუჟუნა ბებია,
სწავლა და შრომა გიყვარდეთ.
ყველასთვის სასურველია.
ეს ორი რამე ძვირფასნო,
არასდროს დასაკარგია.
გისურვებთ, წითელ დიპლომის აღებას
შრომაც, რომ ბევრი სჭირდება
ლურჯყდიან დიპლომს, ბავშვებო,
მაგისტრატურაც სჭირდება.
ამიტომ მინდა, ბავშვებო,
წითელ დიპლომი აიღოთ.
საზღვარგარეთაც წახვიდეთ
სამშობლო არ შეარცხვინოთ,
მშობლები არ დაგავიწყდეთ
ყველაზე მეტად უყვარხართ,
თქვენით არიან ამაყნი.
თქვენი ჟუჟუნა ბებია,
არ დაგანებებთ თავსაო,
დაბლიდან მაღლა აგიყვანთ
ისევ ჩაგიყვანთ დაბლაო.
ოღონდ თქვენ კარგად იყავით,
შემოგევლებით თავსაო.

თენგიზ გრიგოლიას

ჩვენო წყნარო, მშვიდო, უწყინარო პროფესორო
სიწყნარით და კარი საქმით შეაყვარე ყველას თავი.
შენს კუბოსთან ყველა ტირის, სტუდენტიც და ბევრი ხალხიც,
გაგისტუმრეთ სენაკში და ისევ უკან დაგვიბრუნდი.

იქაც ნახე შენი სახლი, საყვარელი მეზობლები,
მათაც გული ატკინე და დაბრუნდი შენ თბილისაში.
იქ არავინ დაგიძახა: გენაცვალოს, შვილო, დედა,
არც დაიკომ დაიძახა გენაცვალოს ძმაო დაო,

არც მამიკო ვინმემ გითხრა, ბიჭო ეს არა დაგემართა?
ჭირისუფლად მარტო ძმა გყავს, ღმერთმა კარგად გიმყოფოსო.
შენს ამაგს ვინც დაგიფასებს, შენს საფლავთან ხშირად მოვა,
ჩემს მაიკოს თამადობით, ჭირისუფალს დაგილოცავ.

ვიცი, ახალ არ იქნები უპატრონი მკვდრის სიაში,
არც ბალახი გადაუვლის შენს საფლავს და არემარეს
რაღა გითხრა ამის მეტი, ცივ სამარეს მიგაბარეთ.
გვენანები, გვენანები, გვენატრები თენგო, ბიჭო, გენაცვალე.

ჩემ შვილს - მამუკას საცოდავ დედიკოსგან

შენი სამარე მშრალია,
დედა, რომ შენთან არ მოდის,
მდუღარე ცრემლებს მამუკა
დედა, რომ გულზე არ გაყრის.
შევწუხდი, ამდენი დარდით
ამომიღამდა თვალია,
მთელი მსოფლიო შემძულდა,
გავხდი ავი და მყრალია,
არვინ არ მეპიტნავება
ჩემთვის ვაგდივარ ჩუმადა.
მე მეგონა აღმა ვხნავდი,
თურმე დაღმა მომიხვნია,
მგონი რაღაც შეცდომები
შენს გაზრდაში დამიშვია.
თუმცა კარგი შვილი მყავდი,
ყველას გულით შეხაროდი

არ დაგცალდა დიდხან ყოფნა,
ამითი ვარ უბედური.
ნეტავი შევძლო მამუკა
ბედის უკუღმა ტრიალი,
შემოვაბრუნო უკანა
ტანჯვით გავლილი დღენია,
ისევ პატარა მყავდე და
მაგრად მოგკიდო ხელია,
პატარა დიდად გაგზარდე
დიდს ვერაფერი გიშველე
ხელში ჩამაკვდი, მამუკა,
მითხარი, რა დაგიშავე.
ქმარმაც და შვილმაც, ორივემ
გული მატკინეთ ძალიან,
შემძულდა თქვენი საფლავი
ამოსვლა მართლა არ მინდა.
არა მგონია, როდესმე
თქვენთან ამოსვლა მომინდეს,
სხვა სასაფლაოს მოვძებნი,
თქვენთან დამარხვაც არ მინდა.
ღმერთი და ხატი გამწყრალი,
მაღლა ზეციდან დამყურებს,
აღარც ღმერთი მწამს, არც ხატი
მიწასათან მათ გამასწორეს.
არავინ მითხრას არაკი,
კეთილი სჯობნის ავსაო,
თურმე სიკვდილი ავ კაცსა
გვიან დაუხრის თავსაო.
კეთილს, რა დროსაც, მას უნდა
უცებ წააცლის თავსაო,
წუთისოფელი ამიტომ
ვერ არჩევს ავს და კარგსაო.

ზურას ჟუჟუნა ბებოსგან

ოხ, რა კარი ბიჭი მყავხარ - ახოვანი და ტანადი,
შემოგხედავ გული ხარობს, ვინ გაგზარდა ასე კარგი,

მინდა ყველა შენი საქმე, წინ წავიდეს გამარჯვებით,
ძაალ მშრომელი ბიჭი ხარ, იმიტომ ხარ ასე კარგი.

შენ არა ხარ იმისთანა გიხაროდეს სხვისი ცუდი,
სამი ჩემი ხნისა გახდი უდარდელი ასე ლაღი.

შენი საქმე წინ წავიდეს, მაღალ პოსტებზე ადიო,
თანამდებობა მოგეცეს მოგესპოს ყველა დარდიო.

ცივი, რომ დაეხმარები გაჭირვებაში ყველასო,
დამხმარე ყოველთვის იყავ სახლშიც და თუ გინდ კარშიცო.

ბევრი შვილი დაგეხვიოს, ვერ ადიოდე თვალსაო
ბიჭები შენ დაგეგმგვანონ გოგოები ანასაო.

მადლობა შენსა დედიკოს გაგზარდა კარგი შვილიო
გიყვარდეს შენი ქვეყანა, მადლით გფარავდეს ღმერთიო.

უცებ

არ მინდა ომი, არც დარბაზები,
მინდა სათუთი მქონდეს აზრები,
მოევლოს წახნაგს, აზიდულ ლარნაკს,
როცა ყვავილი ასმაგად ლანდავს.

არ მინდა ლოდრი, არც დარაბები,
მინდა ოცნების დახლთან ზმანება,
მოვუვლი ფანდებს, ჩაკირულ ხლართებს,
გვირგვინს ვერ დავიდგამ, მუდმივად ლანდავს.

სულისკვეთება გოგმანით მოდის,
ბეწვის ხიდზეა გარინდებული,
მე კი, ხანდახან გავინავარდებ,
მივეფერები ცისკრის ლაჟვარდებს.

გამოძახილი

„შროშაანას“ ყვავილმა გამართა დოღი
ალბათ გენიშნათ... როკვით და შფოთვით
ეზიარება სულსწრაფობს როყვით
ისიც იღლება ღორღით და ფორთხვით,
როცა იღლება მსოფლიოს ხოტბით,
ზოგსაც შესძახა მოდის, მოდით,
ყურს ნუ დაუგდებთ.

წელიც გასულა

წელიც გასულა, ფიქრიც, ოცნებაც,
წვის და ტკივილის, კიდევ სიცოცხლის,
რამდენჯერ გინდა გაითავისო,
დროც ხომ გასულა, დროც ხომ გასულა.

დაფიქრებულა კაცი იმაზე,
როცა შეიგნო, რითაც იცოცხლა,
რამ გაგახარა, რამ შეგაცბუნა,
იქნებ და ოდეს შენც გაგახარა.

წელიც გასულა, სითბოც წარსულა,
გარდასულ დღეთა მოგონების წილ,
ისევ წუხილი? თან ფეხაკრეფით,
თანაც მალულად ისევ მოსულა.

დაფიქრებულა კაცი იმაზე,
როცა შეიგრძნო, რითაც იცოცხლა,
ავბედითობის წუხილს გაფრთხილებს,
როცა შეიტყობს, როცა შეიცნობს.

წელიც გასულა, როგორც შევძელით?
რითაც მაუწყა, შეუმჩნეველი
ვეღარ შევძელი, ხმამაღლა მეთქვა,
რად გამახსენდა, დროც რომ გასულა.

წელიც გასულა, ისევ მალულად,
შემომმიარა, ისევ წარსულმა.
მე კი ვიცოდი, ისევ იმედად,
ის არ მოსულა, ისევ მალულად.

წ ვ ი მ ი ს ე ლ ე გ ი ა

წვიმის წვეთები მესალბუნება
გზააბნეულიც ბევრჯერ ყოფილა,
შემოდგომაა, ვისთვის მარაგით
ვინ ჩამორეცხა ჩემი ბადაგი?

ვისთვის საკმარი, ზოგჯერ მზაკვარიც,
კაცის ცხოვრებას როს შემოუვლის
წვიმსო, ო, წვიმსო შემოდგომაა,
წვეთებმა გზიდან შემოგვითვალა.

როცა შეჩერდა, ავდარს მოუგო,
თითქოს გამოჩნდა გზაც და სავალიც,
მოჭირნახულე ბუნების კარმა
ვის გაუკვალა ნეტავ ვარამი.

ცაც მოიწმინდა, თითქოს განათდა,
მოსაკითხია მავან-მავანნი,
ვისთვის დარია, ვისთვის ავდარი,
ისევ გზაში ვართ ავან ჩავანნი??

სათაური რად უნდა?!

ადამიანო, როცა გეძახი
ნუთუ არ გესმის, როცა მწყურია
შმაგად იქეცი? ვერ დაგეწიე,
ნეტავი საით, რისთვის გარბიხარ.

ადამიანო, ოდნაც შემავლე,
იქნებ გაღირსო თვალში სინათლე
არ გეყურება, როცა გეძახი
მე ისეც ის ვარ - გამოიხედე.

- ადამიანო, თან მეცოდები
შენკენ გახედვა სულაც არ მინდა,
წარსულ აჩრდილში დაიარები
ასე ირწმუნე საცოდავ დღეთა.

ძეგლებიც ალაპარაკდნენ...

დარდით მოსულთ რად გვაუწყეთ,
ჩვენი მიწა ვითომ სხვისა?
დაგვეწიეთ ნასაოფლარში
ძვირად დაჯდა სათვალავში.

ეს ნაბრძოლი თმოგვის ციხე,
უბრძოლველად ვის ბარდება
მუდამ მასზედ ნაფიქრალი
თვისტომია მოლოდინში.

საოცარი ხერთვისია
მუდამ ჟამით ნაომარი.
ნეტავ კიდევ აშენდება
მოსულისთვის კითხვის ნიშნით.

მცხეთის ჯვარი გადმომდგარა
ყველა გზა ხომ მისკენ მიდის
დიდ რომისკენ გაქცეულებს
მობრუნება უწერიათ?

სვეტიცხოველს ნაამაგარს,
თვალს შეავლებ სიამაყით,
გუმბათოვან ანარეკლით
ხმას გამოსცემს სიწმინდისას.

მთაზე ჩვენ ვართ მოუბარი,
რას ჩამოთვლის კაცი დღესა.
სამთვისით, ალავერდით,
ამა ქვეყნის ვედრებისა.

კიდევ ბევრჯერ, კიდევ მრავალს
შეგახსენებთ ქვების სენსა,
ჩვენც აქა ვართ, გვერდზე მდგომი,
ველოდებით აღდგომასა.

ბათუმო ჩემო, შენ მოგიძღვენი

გიორგობიდან გიორგობამდე
წუთიერია, ალბათ, ცხოვრება,
მითი შექმნილი სიავისათვის
უჩუმარ ტალღად გარდაქმნილიყო.

შეუვალია ვნებათა ღელვა,
შემუსრულია ვიღაცის ნება,
გაცისკროვნებულ სიმართლის ნება
ლაბირინთებში არ გაიხლართა.

გიორგობიდან გიორგობამდე
დრო არ გასულა მხოლოდ წამიერ,
ვიღაცამ ვარდი იყიდა მუქთად?
ასე ეგონათ გადამთიელებს?

შეუვალია ვნებათა ღელვა,
ზარიო, ზარი ჩამოჰკრეს ღამით,
გაცისკროვნებულ სიმძაფრის ნება,
ლაბირინთებში წარმოისახა.

დამსხვრეული კოშკები

გარინდულ მამაკაცს ქალი ძლიერ უყვარს,
მორიდებულ დედაკაცს, კაცი ძლიერ უყვარს.
ნება-ნებით ცხოვრება ხომ თავის თავსაც თრგუნავს
დამსხვრეული კოშკებით, ჩვენც ხომ ხშირად გვღუპავს.

ეხლა მაინც მიხვდით? კაცს რომ ქალი უყვარს,
ნუთუ არ გეყურებათ, ქალსაც კაცი უყვარს,
შეგინებულ ცხოვრებას, რომ გიქადის მუდამ,
არ შეშინდე, ვაჟკაცო, ბედს ხომ მოვლა უნდა.

ალბათ, მოგაგონდებათ, კაცს რომ ქალი უყვარს,
დამორჩილდით განგებას? ქალს კაცი რომ უყვარს,
შეინახეთ სათუთად შორეული სევდა?
ნუ გვაკმარებთ ხილულებს, გაუმკლავდით ცოდვას.

რად მიაგდეთ მაშინ? კაცს რომ ქალი უყვარს,
ჯიქურ რად არ მიადექ, კაცო, ქალი გიყვარს,

მიაგელვე სინაზით ბანოვანნი? საით?
არ გეყურა ვაჟკაცო, ვის დაადგი თვალი.

გარინდებულ მამაკაცს, ქალი ძლიერ უყვარს,
მორიდებულ დედაკაცს, კაცი ძლიერ უყვარს.
თავხედია ცხოვრება იზმორება, ვისთვის?
წარსულია ქნარებიც, ისიც ქრთამს რომ იხდის.
გარინდებულ მამაკაცს ქალი ძლიერ უყვარს,
მორიდებულ დედაკაცს, კაცი ძლიერ უყვარს.

კახა გვარუცაძე

2008 წლის აგვისტოს გამოძახილი

იმპერიები დაინგრა, ისტორიამ თქვა სათქმელი,
რუსი ვერ გაბატონდება, სანამ არსებობს ქართველი.
ღვთისმშობლის კალთა დაგვიცავს, არ მიგვატოვებს უფალი,
ოღონდ ერთ მუშტად შევიკრათ, ქართველი ჭირისუფალი.

რწმენამ იმძლავროს ძარღვებში, ადუღდეს ვაჟკაცთ სისხლია,
და კიდევ დაიბადება, ვაჟა, აკაკი, ილია.
ერთურთის ხიდად გადვიქცეთ, სიკეთის ვთესოთ მარცვალი,
აფხაზ და ოს ძმებს მივუძღვნათ, ჩვენ გული ალალმართალი.

იმედს ნურასდროს დავკარგავთ, ჩვენც ავმაღლდებით ოდესღაც,
ქართველი კაცის სიბრძნეა, ხერხი სჯობია ღონესა.
მთავარი არის ვირწმუნოთ, რომ ჩვენ ვართ ერთიანები,
და ჩვენზე აღმართულ მახვილს, გადავუღობოთ ფარები.

მჯერა თუ ერთად დავდგებით, ვერას დაგვაკლებს მტერია,
ისევ იმძლავრებს, იმრავლებს, ქართველი კაცის გენია.
თუ გავაკვირვებთ სამყაროს, ჩვენ ჩვენი წესიერებით,
დავიწყებთ ქვეყნის შენებას, თავიდან სუფთა ხელებით.

როცა კი გავითავისებთ, რომ ჩვენ ვართ უფლის შვილები,
მივხვდებით ყველა ვყოფილვართ, ქრისტეს დედმამიშვილები.
ამიტომ არ გვაქვს უფლება, მოდუნების და მოლხენის,
და თუ დაგვჭირდა, მოვნახავთ, ჩვენც ძალას ხმალის მოქნევის.

იმპერიები დაინგრა, ისტორიამ თქვა სათქმელი,
ვერავინ გაბატონდება, სანამ არსებობს ქართველი.

ამაოება

ვინც კი არ იცის, მინდა ავუხსნა,
რომ ეს ცხოვრება წუთია მხოლოდ,
გაგიფრინდება, როგორც პეპელა,
თუ არ დათესავ სიკეთეს მხოლოდ.

თუ არ იზრუნებ მოყვასის კარგზე,
და გული შენი სავსეა ღვარძლით,
ცხოვრობ ზერელედ, თესავ სიცრუეს
და ფიქრობ ყველას იყიდი განძით,

ფარისევლობით და მკრეხელობით,
ცდილობ აცდუნო მოყვასი შენი,
მაშინ სიცოცხლე თითქმის უაზრო,
იქნება მძიმე და ბინდის ფერი.

მარადისობის ნექტარს ვერ შესვამ,
და მუდამ მგლური ბილიკით ივლი,
განკითხვის დღეს კი გაგიჭირდება,
დაგკარგავს დედაც, მამაც და შვილიც.

ხოლო თუ შენი ფიქრი, ქმედება,
ემსახურება ჭეშმარიტ მიზანს,
სამარადისოდ გელის ცხოვრება,
დაგიფასდება აქაც და იქაც.

თუ გაჭირვებულს ექცევი მხსნელად,
დაუძლურებულს მიაწვდი წამალს,
ემსახურები მთელი არსებით,
მხოლოდ და მხოლოდ ყველაფერს მართალს.

თუ შენი მტერიც გიყვარს გულწრფელად,
და ხედავ მასში სიკეთის მარცვალს,
ადვილად შეძლებ, რომ აპატიო,
და არ გაარჩევ მტყუანს და მართალს.

მაშინ გექნება სიცოცხლე ტკბილი,
და სული შენი იპოვის შვებას,
ადამიანო, მაშინ გაიგებ
ცხოვრების აზრს და ჭეშმარიტებას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

უსასრულოა ჩემი ქვეყნის ზეცის სიტურფე,
გამთენიისას ცისკარი რომ გაირინდება,
ყველა ტაძარში მომლოცველი ხალხის სიუხვე,
სასიამოვნო სიამაყით გაგიკვირდება.
გაგიკვირდება, როგორ იტევს პატარა მიწა,
ამდენ სიწმინდეს, ციხე-კოშკს თუ პატარა ტაძარს,
როგორ გადარჩა ურჯულოსთან უამრავ ბრძოლას,
ამდენ განსაცდელს, წყალდიდობას, მიწისძვრას, ხანძარს.
როგორ აღმართა მცირე ერმა ყველა გორაკზე,
ყველა მხარეში სალოცავი ცამდე აწვდილი,
შეინარჩუნა მიწ-წყალი სიცოცხლის ფასად,
სარწმუნოება შეგვინახა დღემდე ნამდვილი.
სვეტიცხოველი მცხეთის გული და სიამაყე,
ჯვრის მონასტერი და სამთავრო ლოცვად იღვრება,
მთელი სიცოცხლე იამაყებ, თუ ერთხელ ნახე,
ეს სილამაზე არასოდეს დაგავიწყდება.
ზედაზნის კალთა, შიომღვიმი დაჰყურებს ქალაქს,
წილკანში ძველი სამრეკლოდან ზარის ხმა ისმის,
ქანდაში ლოცვა აღვლენილი ქრისტეს ენაზე,
ნახე, არმაზი გახვეულა ნაცრისფერ ნისლში.
კახეთში მდგარი ალავერდი, გრემი, შუამთა,
ნეკრესი, ბოდბე, უდაბნოში დავით გარეჯი,
აკადემია იყალთოსი ლოცვა მამათა,
სულიერების და სიწმინდის უდრეკ მხარეში.
სამთავისს, ქვახვრელს, უფლისციხეს, თავს უყრის ქართლი,
რკონი, ყინწვისი, საბერიო, გალობად იქცა,
სამაჩაბლოში აღმართული ძველი იკორთა,
უფალო, მალე დამიბრუნე ვედრებად მექცა,
ბაგრატის ტაძრის სიდიადე იმერეთს ფარავს,
უბისის წმინდა მონასტერი ლოცვით ცას მისწვდა,
გოგნში პატარა სალოცავი კარუგდებელი
ჭიათურაში მღვიმევი და სვეტი კაცხისა,
იმერეთიდან რაჭისკენ წასულს გზად შემოგხვდება,
ნიკორწმინდა და ბარაკონი უდრეკი დღემდე,
ლეჩხუმს გადახვალ ლაილაში დაგხვდება იქვე,
სხვა უკეთესი არ შეუქმნია განგებას მენდე.
ჩრდილოეთს იცავს დარიალი გერგეთი დიდი,
ლომისის ჯაჭვის სიმძიმე და კლდიანი ფერდი,
გამოიარე, ანანურსაც შეავლე თვალი,
და ნახე, როგორ დაუმშვენა მან მცხეთას გვერდი.

სამცხეში ჩადი, მოინახულე ზარზმა, საფარა,
ჭულევში წყალი ჩანჩქერად რომ გადმოდის ციდან,
ვარძიის კლდეში შეხიზნული წმინდა ქალაქი,
ჩემო სამშობლო უფრო ლამაზი, აბა, რა გინდა!
აფხაზეთს, ტაოს, სამაჩაბლოს ვერ ვეფერები,
ილორში, ოშკში, ქართველთ ლოცვა აღარ მსმენია,
ულამაზესი ბედიის და იშხანის გვერდით,
წინაპართ ძვლები არ დამწვარან, კვლავაც მელიან.
დედაქალაქში ანჩის ხატი წმინდა სიონი,
წმინდა სამება, ღვთისმშობელი მახათას მთაზე,
აი, ეს არის საქართველო ჩემი მშობელი,
აი, ეს არის ჩემი ქვეყნის ნამდვილი სახე.

გუშინ

მოგენდე, ვიცი, ჩემი ბრალია,
რომ სიყვარული გაჩუქე გუშინ,
მეგონა თვალებს დამიკოცნიდი,
და ჩამიკრავდი მაშინვე გულში.

შევეხებოდი შენს სხეულს ნელა,
და მოვიკლავდი დიდი ხნის წყურვილს,
მაგრამ ამაოდ შევცდი, მოვტყუვდი,
რომ დაგიჯერე მაცდურს და გულცივს.

დღეს კი საერთოდ აღარ შემხედე,
და ფეხქვეშ თელავ ჩემს ნანატრ სურვილს,
ნუთუ წუთითაც არ გაგახსენდა,
რაც გულდამწვარმა გითხარი გუშინ.

ბებოს

გაზაფხულდა, ენძელები აყვავილდნენ ისევ,
ცა იღიმის, მზე პირს იბანს და ბუნება ხარობს,
კიდევ ერთი გაზაფხული მოგილოცო მინდა,
უტკბილესო ბებიავ და უნაზესო ქალო.

შენი ნანა დღემდე მახსოვს, სიყვარულით სავსე,
შენი ტკბილი დარიგება, სანთელივით წმინდა,

მინდა დიდხანს რომ მიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი,
შენი გულში ჩახუტება მოფერება მინდა.

შენთვის ცუდი არ არსებობს, სულ სიკეთეს თესავ,
ყველას გინდა გულის კარი, რომ გაუღო ფართოდ
შენი ყველა ახლობელი ერთნაირად გიყვარს,
უტკბილესო ბებიავ და უნაზესო ქალო.

მაგრამ დიდხანს სიხარული არ გარგუნა ბედმა,
მაგ ტკბილ გულში, მწარე შხამმა მაინც გაიარა,
დიდ სიხარულს მწუხარება შეერია დიდი,
შენი მიშა, ჩემი ბაბუ ცაში წაიყვანა.

მაგრამ, ბებო არა უშავს, ცხოვრება გრძელდება,
შთამომავალთა სიუხვე დიდხანს უნდა ნახო,
ყველაფრისთვის დიდ მადლობას გიხდი მცირე ლექსით,
უტკბილესო ბებიავ და უნაზესო ქალო.

* * *

მოგონილ გრძნობებს, დამხვრეულ და
გავლილ საათებს
დრო სამუდამო სიჩუმეში მიუჩენს ბინას.
მე დავიღალე, სიყვარული ჩემთვის მითია,
მარტო მზე არის მართალი და
მარტო მზე ბრწყინავს.

* * *

მხატვარი მე მსვამდა ჩარჩოში,
მე კი ვცდილობდი ჩარჩოს გამტვრევას.
უნდა გავიქცე!
და როცა ვცადე მე, თავის დახსნა,
როცა მარწუხის გავჭერი თასმა
მან უფრო მჭიდრო ჩარჩოში ჩამსვა.
უეცრად, როგორც მოვარდნილ ქარის
აბობოქრებულ ზვირთების დარი
თავისუფლების ვიგრძენი ძალი...
მე აღარ ვარ მისი ნახატი.

✍ ლუკა ფადიურაშვილი

როგორ გავხდი სენტიმენტალური ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში

ადამიანი, როდესაც ასეთ საპასუხისმგებლო მისიას განდობენ, შენდა უნებურად თითქოს ამაღლდები, სიამაყეს შეიგრძნობ და გგონია, რომ სხვის თვალში შენი როლი იზრდება. მაგრამ ამავდროულად ეჭვი გეპარება. იქნებ მათ საერთოდ აღარ ჭირდები? იქნებ სხვისი დაკარგვა ენანებათ და შენ საზარბაზნე ხორცივით წინა ხაზზე გიშვებენ? არა.. არა. ამ დროს რა არ შეიძლება იფიქრო კაცმა. ასევე დამემართა მეც, როცა დამიბარეს და ეს „საოცნებო“ საქმე მანდეს. ვუყურებდი უფროსს და ვეღრიჯებოდი – დიდი მადლობა, რომ ასე მაფასებთ, მაგრამ იქნებ სხვა გაუშვათ მეთქი. სუბიექტი ჩემი ახლობელია და ჩემი ხელით ნუ მოუღებთ ბოლოს. ბოლო–ბოლო ვიღაცაა არაა, ქალაქის მერია, ამდენი ხანია მაგ კაცთან ვმუშაობ და ერთხელ არ უწყენინებია, რაღა მაინც და მაინც მეთქო. დიდი ხანი ვიმართლე თავი, იქნება შევეცოდო მეთქი მაგრამ ერთი რომ ამომხედა, იქ დამთავრდა ყველაფერი. შენ თუ აქ მუშაობის ეს და ეს ადგილი არ გქონდა, რას მოდიოდი, რა გინდოდაო. შენნაირს ათასს და ათიათას კაცს ვნახავდით, აბა ნახე რამდენს უნდა ასეთ საქმეში მონაწილეობაი. თუ ამაზე უარს იტყვი შეგიძლია დღესვე იმასქნა აქედანო. აბა ასეთ საბუთს რომ მოგიყვანს, ხმას ამოიღებ კაცი? რაღა უნდა მექნა. დავნებდი და მზადებას შევუდექი. დიდხანს ვნერვიულობდი. ვფიქრობდი ამ ყველაფრის შედეგზე. რატომ? რა დამიშავა იმ კაცმა? ან ამათ რა დაუშავა? მაგას მაინც არავინ არაფერს ეკითხება. უფრო მეტს მე ვაკეთებ მერიაში, ვიდრე თვითონ მერი. ეგ კაცი რო მოვკლა, დეიდაჩემს როგორ შევხედო თვალებში, სად წავიდე? ამას თუ გავაკეთებ, რევოლუციაში ჩავერთვები. ჩემზე ალბათ ფატვას გამოაცხადებენ. რის გამო? რა მინდოდა? ვგდებულიყავი ჩემთვის სახლში და მეჭვრიტა იმ დასაწვავი ვარსკვლავებისათვის. რა უნდა ასტრონომს პოლიტიკაში? მაგრამ ერთს რომ შეტოპავ, იქ მთავრდება ყველაფერი.

მეორე დღეს ადრე ავდექი. ჯერ კიდევ მამალს არ ჰქონდა დაყივლებული. აქეთ გავაღვიძე ცხოველები ეზოში, ბოლო ხმაზე რომ დავიხავლე, როცა მდუღარე წყალი გადავისხი. გარეთ გავიხედე, ხალხი რიგებად ჩაწყობილი, ბანერებით და ხელკეტებით შეიარაღებული მერიასთან მიტინგზე მიიჩქაროდა. ეს უკვე გასაკვირი აღარ იყო. თითქმის ყოველ კვირა ასე არ ხდებოდა? მერე დაიჯერებდა ხალხი ათას სისულელეს და სახლში ხელცარიელი ბრუნდებოდა. თავს დამნაშავედ მეც ვთვლიდი მათ წინააღმდეგ, მაგრამ ჩემი უფროსის თქმის არ იყოს, ხალხს მხოლოდ მერის ლიკვიდაციით თუ დავეხმარებოდი. მოკლედ, ასე თუ ისე, ვისაუზმე, ჩემს ძაღლს მოვეფერე და კაბი-

ნეტში გამოვიკეტე. დიდხანს ვემზადებოდი. ყველაფერი გავაანალიზე და ჩამოვყალიბდი. სუბიექტის გასანადგურებლად დენთის გამოყენება გადავწყვიტე. ნელ-ნელა მიმოვაბნევდი მერის კაბინეტში და გასვლისას მოვუკიდებდი. გადავწყვიტე, ჯერ სამსახურიდან წამოვსულიყავი და მერე შემესრულებინა ჩემი სამუშაო. ასე აჯობებდა. უნამუსობაა, შენს უფროსს, როცა მზაკვრულად კლავ. მე ასე მგონია და მიმაჩნია. ხოლო სინდისი უფრო დაბალ კრიტერიუმებზე ჩამოდის, როდესაც კაცთან ისეთი ახლო რამ არ გაკავშირებს, რაც უფროსსა და მის თანაშემწეს შორის არსებობს. მართალია, მერი ამას მამა–შვილურ კავშირს უწოდებდა, თუმცა მეც ასე რომ მეფიქრა, ამ საქმის შესრულების შემთხვევაში უდიდეს ცოდვას ჩავდიოდი. იდეალური პატრიციდი. სასაცილოა არა? ასე თუ ისე, მაინც ასე გავაკეთე. გავუარე დეიდაჩემს და ვთხოვე წერილი დაეწერა მერისთვის, სადაც თხოვდა, რომ მას ასე და ასე ამ და ამ მიზეზით გავეთავისუფლე მე თანამდებობიდან ამ და ამ თუ სხვა მიზეზთა გამო. ეჭვი მეპარებოდა, რომ ჩემი ერთი თხოვნით გავეშვი კაცს, რომლის ნახევარზე მეტ საქმეს მე ვაკეთებ. ისიც ხვდებოდა, რომ რა როლს ვასრულებდი მის სპექტაკლში, სახელმწიფო ორგანოს რომ ეძახიან მეორენაირად, მაგრამ სიამაყის გამო აღიარება უჭირდა. აღიარება, რომ უჭირდა ალბათ სწორედ მაგან დაღუპა. ასეთ ადამიანებს სწორედ სიჯიუტე და სნობიზმი უღებს ბოლოს.

ოთახში რომ შევედი, უკვე საბოლოოდ ვიცოდი რა მინდოდა. ჩემთვის გაურკვევლად გამწარებული ქალაქის მერი ფეხებს აბაკუნებდა. ჯერ თითქოს ვერ მამჩნევდა და რაღაცაზე ფიქრობდა. ოფლში იწურებოდა, ვატყობდი ვერ იყო კარგი ამბავი. მერე შემომხედა და სავარძელზე მანიშნა. აღარ დავაყოვნე და რადგან ასეთი დიდი პატივი დამდო, სიამოვნებით მოვკალათდი. ასეთი რამ ხომ ძალზე იშვიათად ხდებოდა. რაღა ამ დღეს მოუნდა თავაზიანობა. ალბათ სურდა ჩემში სენტიმენტალური მეორე ნახევარი გაეღვიძებინა. ასე, რომ მართლა არ მომხდარიყო გადავწყვიტე ამ დღეს მეტისმეტად მკაცრი ვყოფილიყავი. მზერა ფანჯრებისკენ გამეპარა. ქუჩიდან ხალხის გუგუნი მოისმოდა. მერი კიდე მიყურებდა და ისეთი სახე ჰქონდა, რომ ვიფიქრე რაღაცაზე უნდა შარი მომდოს მეთქი, მაგრამ..

– ნარკვევი უნდა აწარმოო – ამოითქვა სული. მის სახეს შვება დაეტყო, მაგრამ ეს ამბავი მე განვიცადე. ვიფიქრე ისევ უნდა რომ პრაღაში გამიშვას მეთქი იქაური არქიტექტურისა და მაცხოვრებელთა ჩვეულებების შესახებ ცნობების მოსაძიებლად(სხვა ალბათ, ვინმე დალაგებული დიდი სიამოვნებით გაიქცეოდა ცალი ფეხით და მეც დიდი სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს ადგილს ვინმე შუა ევროპაზე თავგადაკლულ მკვლევარსა და ბულვარულ საზოგადოებასთან ურთიერთობას მონატრებულს). აშკარად ხვდებოდა ეს საცოდავი რაღაცას. წამით შემეცოდა. თუმცა ოთახში რომ შემოვედი, უკვე ვიცოდი, რასაც ვაპირებდი. ბოლო დღე იყო მისი და დრო დადგა ტონისათვის ამეწია, რათა მიმხვდარიყო რომ ასე ბავშვივით ასაგდები და სათამაშო არ ვიყავი, მაგრამ.

– რასთან დაკავშირებით უფროსო? მოკრძალებით ჩავეძიე. ხოლო პასუხი არ ყოფილა. როგორც ჩანდა მერი მე არ მისმენდა და კვლავ ფიქრებში იყო გართული. გასაკვირად უხდებოდა მის სლიპინა თავს და სტალინის ულვაშებს

სამხედრო მუნდირი, რომელიც სერიოზულ შთაბეჭდილებას დატოვებდა ვინმე პოლიტიკაში გამოუცდელ ადამიანზე, მაგრამ მე ხომ ვიცოდი ვისთან მქონდა საქმე. პოლიტიკაში ასე გონიათ, ვინც რამეს წარმოადგენს აუცილებლად სპეციფიკური გარეგნობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეგ ტყუილია. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ნამდვილად ასე უნდა დავასკვნა..

მე პირადად მსოფლიოში ვერ გამოვყოფ მერს, რომელსაც ამხელა ქუდი ეხუროს და ასეთი პატარა ტვინი ჰქონდეს. ყველგან და ყველასთან თავს ისე დაიჭერს, თითქოს მართლა რაღაც გაეგებოდეს ქალაქის მართვისა და ისე იყოს ჩახედული ყოველი ქალაქელის ფსიქოლოგიაში, რომ კარნეგს შეშურდებოდა, მაგრამ ისეთ მარტივ საკითხზე როგორიცაა არასრულწლოვანთა კოლონიის ერთიდან მეორე ქალაქში გადატანა, მე მეკითხება ჭკუას. მე – მოყვარულ ასტრონომსა და ფილოსოფიის სტუდენტს, რომელსაც მხოლოდ ერთი ლექცია აქვს სრულად მოსმენილი და ახლობლობით მერის დამხმარედაა აყვანილი. უნდა აღინიშნოს ჩემი დამოკიდებულება და კავშირი მერთან. რაც არ უნდა ცუდი ფაქტი იყოს, მერი ჩემი დედის დეიდაშვილის დეიდის ყოფილი მოსწავლეა, რომელმაც ფრიადზე დაამთავრა სასწავლებელი და ერთხელაა ნამყოფი ჩემთან სტუმრად სახლში. ისიც იმიტომ, რომ ზემოთაღნიშნულმა დეიდამ მასწავლებელ-მოსწავლური–სიყვარულის–გასახსენებელური საღამო მოაწყო თავისი საუკეთესო მოსწავლეთათვის და რადგანაც პატარა საცხოვრებელი ჰქონდა, ჩვენს სახლში მოინდომა მისი ჩატარება. მე იმ დროს 2 წლის ვიყავი და მაინც კარგად მახსოვს მაშინ უკვე მელოტი მაგრამ ოდესღაც კუპრივით შავი თმის პატრონი ახლანდელი მერი როგორ მაჩრიდა პირში საწოვარას. და რადგან ეს უდიდესი ადგილი ჩემი ცხოვრებისა და უმნიშვნელოვანესი მომენტი მაკავშირებს ზემოაღნიშნულ პიროვნებასთან, ასევე ზემოაღნიშნულმა დეიდამ ბავშვი დამეჩაგრება ფილოსოფიაშიო (რადგან ჩემზე კარგად იცოდა კონფუცი და არისტოტელე და იფიქრა, რომ მე ამ საქმისთვის არ გამოვდგებოდი, იმ ვარაუდით რომ ზუსტად მისი ფერის – ლურჯი თვალები მაქვს მთელს სანათესაოში მხოლოდ მე და ამ ლოგიკით ფილოსოფიის ნიჭიც გენეტიკურად მისგან გამომყვებოდა, რომელიც მას პრაქტიკულად თუ თეორიულად არ გააჩნდა) და ამ პატივსაცემ მერთან მიმაბარა „აღსაზრდელად“. ჯერაც უცნობია უნდოდა თუ არა ამ საცოდავ კაცს, რომელსაც თავისი პრობლემებიც ეყოფა, კიდევ ერთ მასზე ბევრად მცოდნე ახალგაზრდასთან საქმის დაჭერა, თუმცა ფაქტი ჯიუტია და ცხადია გამოვადექი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით თუ გაუთვალისწინებლად მე მერი, როგორც პიროვნება, მებრალებოდა და ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო მისი დავალებები პირნათლად შემესრულებინა. მაგრამ უკვე დამღლელი გახდა მისი კაპრიზები და მუდმივი წუწუნი, რომელსაც უკვე მას ზემოთ მდგომი ორგანოდან მიღებული ბრძანება იწვევდა, და რადგანაც მან არ იცოდა როგორ გაერთვა ამ უმნიშვნელოვანესი დავალებისათვის თავი (არ ვიცი ეს კაცი აქამდე ამ თანამდებობას როგორ შემორჩა), ყველაფერში მე მიწევდა მონაწილეობის მიღება.

ამიტომ აღარ დაველოდე პასუხს და ვუთხარი: თქვენი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის მიუხედავად აქ ვეღარ დავრჩები, რადგან პირადი მიზნები და მისწრაფები თქვენს მსგავსად მეც მაქვს და ამისთვის დასვენება

მჭირდება მეთქი. ეწყინა. სახეზე დაეტყო ის საშინელი განცდა, რომელიც მაშინ გეუფლება ხოლმე, როცა საათივით აწყობილი საქმე გიფუჭდება ერთი თავნება და უმადური ყმაწვილის გამო, რომელსაც დიდი ხანი უპატრონე, შვილივით გამოზარდე და ბოლოს ლახვარი ჩაგცა, ისედაც ატკივებულ ფერდში.

– რამე დაგაკელი? იყო სტანდარტული კითხვა.

– არაფერი. დიდი მადლობელი ვარ თქვენი მაგრამ ჩემს პირად ცხოვრებას უნდა მივხედო ბატონო. იყო შესაბამისი პასუხი.

– ბიჭო შენი პირადი ცხოვრება არაა, მე რასაც ვაკეთებ, ვწვალობ და ვშრომობ ქალაქისთვის? (უნდოდა ეთქვა ვაკეთებთ, ვწვალობთ, ვშრომობთ, მაგრამ სიამაყემ სძლია და რა ექნა). ამდენი წელი შენთან ერთად ვმუშაობ, არაფერს გაკლებ, არც დავალებას და არც მივლინებებს, არც ქალებს და არც კაცებს, არც წვეულებას და საერთაშორისო ფრენებს. ამას ვერ ხვდები? გავიდეთ მიტინგზე მე და შენ და ვიკითხოთ, რომელი იტყვის ასეთ სამუშაოზე უარს.

გარეთ გავიხედე, ფანჯარაში. სულ გადამავიწყდა რომ მიტინგი იყო. როგორც ყოველთვის, ახალს არაფერს, მერის გადაყენებას ითხოვდნენ. დიდ ბანერზე ჩამოეწერათ საარჩევნო დაპირებები და წლევანდელი მოთხოვნები. დიდი ასოებით ეწერა „დასაქმება“. მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში გენერალურ სამმართველოში ჩივილით იმუქრებოდნენ. გამეღიმა. ხალხი პირდაპირ ეუბნებოდა მერს რა უნდოდა, მერი კი აქ ერთ უბრალო მოხელეს იმას ეხვეწებოდა სამუშაო ადგილი არ დატოვოო.

– სწორედ, რომ ეგ უნდათ. მე რომ წავალ, გადით და ჰკითხეთ ვინ იცის ცოტაოდენი ფილოსოფია. დარწმუნებული ვარ ჩემი ადგილი თავისუფალი ერთი დღითაც არ დარჩება და ამ თქვენს საყვარელ სავარძელს სითბო არ მოაკლდება. ვერ ხედავ ხალხი თავად მოითხოვს „დასაქმებას“.

– მაგას როგორ ამბობ!

– დეიდაჩემმაც ეს მითხრა, როდესაც ჩემი გადაწყვეტილება გამოვუცხადე.

– დეიდაშენი ჭკვიანი ქალია.

– სიმართლე, რომ ვთქვათ არ ვიცი თუ იცით, მაგრამ დეიდაჩემი ალალი დეიდაჩემი არ არის.

– აბა ვინ არის?

– დედაჩემის დეიდაშვილის დეიდა.

– და ამას ახლა უნდა ვიგებდე? ღმერთო ჩემო. გადამრევთ შენც და დეიდაშენიც.

– დიახ. მაგრამ რადგან მან გამზარდა, დეიდას ვუწოდებ.

– უცნაურია... ასაკობრივი სხვაობაც გასაკვირი იყო.. რა დროს ეს იყო. თემას ნუ ცვლი!

– დეიდაჩემი ბოლოს მაინც დამეთანხმა. სასხვათაშორისოდ ჩავილაპარაკე.

– რაში? გაუკვირდა მერს.

– ჩემს არჩევანში. საქმე ისაა, რომ დეიდაჩემი მიუხედავად მისი ჟინიანობისა პირველ ადგილზე ჩემს სურვილებს და ბედნიერებას აყენებს და მისთვის დიდ მნიშვნელობას არ წარმოადგენს რამდენს შევიტან ოჯახში (დეიდა ერთ–ერთ ცნობილ ფირმაში მუშაობდა და თანაც დიდი ანაზღაურება ჰქონდა). როდესაც მე ვუთხარი, რომ მისი რეკომენდებული სამსახური უნდა დამეტო-

ვებინა, გაბრაზდა, მაგრამ როდესაც საუბარი ჩემს ბედნიერებაზე ჩამოვაგდე, მისმა სენტიმენტალურმა გრძნობამ თავი იჩინა და დიდი კამათის შემდეგ ბოლოს დამეთანხმა და თქვენთან წერილიც კი გამომატანა.

ეს ჩემი ბოლო შანსი იყო მშვიდობიანად დამეტოვებინა თანამდებობა. წერილი ამოვიღე და მივაწოდე, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დეიდაჩემი თავის გადაწყვეტილებას ცვალებადი ხასიათის გამო არ შეცვლიდა და მერს ჩემს მოთაფლვას არ სთხოვდა. მართალია, ამ წერილის წერას მეც ვესწრებოდი, მაგრამ გამოფერფეტებულ დეიდაჩემს ბოლომდე მაინც ვერ ვენდობოდი. ამიტომ როცა მერმა წერილს ხელი მოჰკიდა, ძალის დატანება მოუხდა, რომ ხელიდან გამოეგლიჯა. შემდეგ უცნაურად შემომხედა, კარგად შეათვალიერა, გახსნა და კითხვა დაიწყო. კითხვისას ერთი ორჯერ ამომხედა. ერთი-ორჯერ კი ისეთი სახე მიიღო თითქოს რაიმე სასიყვარულო რომანის ბოლო ფურცლებს კითხულობდა და ასეთ დროს მკითხველი რამდენჯერმე შეიშმუშნება და დანანებით თავის ფიქრებში აღნიშნავს, რომ ეს რომანიც არ დასრულდა ტრაგიკულად.

– ყველაფერი გასაგებია. ჩაიბურტუნა პატივცემულმა. – ვერ თქვი შე კაცო თუ რა გინდოდა?!

გამიკვირდა. დეიდაჩემი უკვე მოფანფალებული მოხუცია, მაგრამ თუ ტვინი გადაუტრიალდა..

– კი ბატონო. თუ არ გინდა, ვერ დაგაძალებ! მამლის ყივილი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, თუ როგორცაა.. – მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ ეს ამბავი ეწყინა.

წამოვდექი. ავიღე კალამი, ფურცელი და განცხადება დავწერე წასვლის თაობაზე. დასანანია. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, თორემ ასეთ სამსახურზე გიჟი უნდა იყო, უარი თქვა.

– ეგ ყველაფერი კი. მაგრამ უკანასკნელად, რომ დამეხმარო, შეგიძლია? მისთვის იშვიათად დამახასიათებელი ისეთი მორიდებით, მითხრა რომ უარს ვერ ვეტყოდი. ვიფიქრე ახლა მეტყვის საბუთები ბოლოჯერ გადამიმოწმე რამე შეცდომა არ იყოსო და ამდაგვარი.. მაგრამ..

– ეს ხალხი აქედან უნდა მოვიშოროთ – მიტინგზე მიმითითა, რომლის ნაკადი უფრო და უფრო იზრდებოდა. (ნეტა რას იტყოდა, რომ სცოდნოდა აქედან გასვლის შემდეგ მათ შევუერთდებოდი).

– ეგ ხალხი თქვენ უფრო მოგაშორებთ მაგ სავარძელს. ჩავიბურტყუნე სასხვათაშორისოდ.

– ვერ გავიგე..

– არაფერი.. და მე როგორ დაგეხმაროთ?

– როგორც შეგიძლია. რამე მირჩიე. ამდენი ხანი გვერდში მედექი მუდამ მეხმარებოდი. ხომ იცი, ყველაფერში გენდობი. მინდა, ბოლოჯერ გამომადგე (სამწუხაროა კაცი ესე ფიქრობდეს შენზე და ამას ბოლო დღეს გეუბნებოდეს).

რა უნდა მერჩია, გარდა ერთისა.

– მათ უნდა მიმართოთ! უნდა სცადოთ მოთხოვნების შესრულებას შეპირდეთ და როგორმე დაშალოთ. შემდეგ კი ისევ ისე განაგრძობთ. ბრბოს ერთი

მარტივი ბიძგი რომ მისცეთ აქაურობას ცაში აიტანს. უნდა უფრთხილდეთ მას. ამიტომ ერთი დაპირება მაინც შეასრულეთ და ისინი დაწყნარდებიან.

– ვითომ? ღირს კი? შტაბს მაინც უნდა მოვახსენო (ხელი ჩავიქნიე და ბოლო იმედი გადამეწურა). სიტყვით კი მაინც გამოვალ. ტექსტი დამიწერე!

ავიღე ფურცელი და ერთი საათი ვწერე ტყუილები და მხოლოდ სიცრუე. მერმა კი განმანათლა, მამალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, მაგრამ ვერც მთლად უმამლოდ ვარგა გაზაფხულიო, ნათქვამია. ბოლო იმედიც გადამეწურა. ამ ადამიანშიც იყო ისეთი რამ, რაც შეგაცოდებს და გაფიქრებინებს, რომ მასაც მართავენ, ისევე როგორც შენ ან სხვას და ამიტომ მერი კი არა, ვირის მუშა რომ იყოს, იმას უნდა გაუგო. მაგრამ.. მე ოთახში შემოსვლისთანავე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი და რა მინდოდა.

დავამთავრე. ავდექი ტექსტი მივაწოდე და აივანზე გავყევი საიდანაც შეიძლებოდა ხალხისთვის მიმართვა. სამწუხაროა, რომ ბოლო საუბარიც მხიარული გამოვიდა და სევდამ მომიცვა.

სამწუხაროა, რადგან ამდენი ხნის ერთად მუშაობის შემდეგ ადამიანს ეჩვევი. გასაკვირია, რომ ყველაფრისთვის წერტილის დასმა მე მიწევს. საშინელია, რომ ხალხმა არაფერი არ იცის. საშინელია, რომ ამას მე ვაკეთებ. საშინლად სამწუხაროა, რომ იმედს ბევრს გავუცრუვებ.თუნდაც დეიდაჩემს. ყველაზე მეტად კი ის მზარავს, რომ სენტიმენტალურობამ იმძლავრა ჩემში. ის მაინც მეცოდებოდა.

ქალაქის მერი გამოვიდა აივანზე და დაიწყო ის მონოლოგი, რომელსაც ხალხი ამდენ ხანს ელოდა. მიტინგზე ყველა ასაკისა და გვარის ადამიანი იყო შეკრებილი. ნახავდით მოხუცებსაც რომლებსაც მხრებზე შვილიშვილები ესხათ და დროშას აფრიალებდნენ. ნახავდით გამწარებულ სტუდენტებს, რომელთაც სტიპენდია კვლავ მოუხსნეს და მათი ლექტორები პოლიტიკური ნიშნით დაიჭირეს. ნახავდით უბრალო უმუშევარ მოქალაქეებს, რომელთაც საქმე არ ჰქონდათ და მათი წამოსვლის მიზეზი დიდ წილად ავგუსტუსის თქმისა არ იყოს „პური და სანახაობა“ გახლდათ.

ქალაქის მერი გამოვიდა აივანზე და დაიწყო ის მონოლოგი, რომელსაც ხალხი ამდენ ხანს ელოდა. იყო შეძახილები, უკმაყოფილების გამომხატავი და სალანძღავი სიტყვები. იყო ბევრი გინება, რომელთაც ბევრად მეტი ტყუილი ფარავდა. მაგრამ, ბოლოს ხალხმა კვლავ დაიჯერა დაპირებები და დაშლა დაიწყო. მაგრამ, უცებ აივანზე რაღაც აფეთქდა და ყველამ უკან გაიხედა. შენობა ცეცხლის და მტვრის კორიანტელში გახვეულიყო. ხალხის სახეები გაიყინა. ამას არავინ მოელოდა. და მაინცდამაინც, ეს მე ვიყავი. მე!!!

✍ *იგორ კვესელავა*

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკურ-სამართლებრივი გააზრების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და საერთაშორისო სივრცეში

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დაკვეთით რეჟისორმა რენი ჰარლინმა 2008 წლის აგვისტოს ომს მიუძღვნა პროპაგანდისტული ფილმი „აგვისტოს 5 დღე“, რომელშიც სააკაშვილის როლს კუბელი წარმოშობის ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ენდი გარსია ასრულებდა.

უნდა ითქვას, რომ ნიჭიერმა მსახიობმა ენდი გარსიამ, რომელმაც ჩინებულად შეასრულა გენიალური იტალიელი მხატვრის ამადეო მოდილიანის როლი, თავის ბიოგრაფიაში სამახსოვრო ფურცელი ვერ ჩაწერა, ომიდან გაქცეული მთავარსარდლის სააკაშვილის როლის შესრულებით.

ფილმის ჩვენება საქართველოში 2011 წლის 5 ივნისს კინოთეატრ „რუსთაველში“ შედგა ჰოლივუდიდან მოწვეული სტუმრების - ფილმის რეჟისორ რენი ჰარლინის, მთავარი როლის შემსრულებელ ენდი გარსიას და მათთან ერთად სპეციალურად მოწვეული შერონ სტოუნის მონაწილეობით.

ფილმის მთავარი პროდიუსერები იყვნენ: დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ბიზნესმენი კობა ნაყოფია. პ. დავითაია ირწმუნებოდა, რომ ფილმი რამდენიმე ქვეყანაში იქნა ნაჩვენები, ჰქონდა საზღვარგარეთული გამოხმაურებები, მაგრამ ქართველი კინომცოდნეები მიიჩნევდნენ, რომ რენი ჰარლინი ჰოლივუდში საშუალო დონის რეჟისორად მიიჩნეოდა და „აგვისტოს 5 დღე“ საშუალო დონის სტანდარტული ფილმი იყო.

კინომატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, კინომცოდნის, არჩილ შუბაშვილის აზრით, მას იმედი გაუცრუვდა იმის გამო, რომ ქართული თემატიკის ამსახველი ფილმი, ამერიკის შეერთებულ შტატებში კატასტროფულად ჩავარდა.

როგორც გაირკვა, შემოსავალი ფილმის ბიუჯეტის 1 პროცენტიც არ იყო. საქართველოს მთავარი პარტნიორი აშშ ინდიფერენტული და გულგრილი

აღმოჩნდა ფილმის მიმართ. აშკარად შესამჩნევი იყო შეცდომები და ყალბი ეპიზოდები. ფილმი არ იქნა მოწონებული შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ. მისი ნახვა არ მოინდომა პრეზიდენტ ობამამაც, რომელიც ცდილობდა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკას ჩრდილი არ მიდგომოდა.

ქართველი კინომცოდნეები პარალელს ავლებდნენ იტალიელების მიერ თურქეთის მხრიდან, სომხების გენოციდის შესახებ გადაღებულ დრამატიზმითა და ტრაგიზმით სავსე მაღალხარისხოვან ფილმთან, რომელმაც მსოფლიო ფესტივალები მოიარა. „ჩვენი ფილმი არც იყო გათვლილი, რომ საკონკურსო ტიპის ფილმი გამოსულიყო, ფართო მასებისათვის შეიქმნა, მაგრამ ისიც იმ დონეზე არა, როგორც შეიძლებოდა. რენი ჰარლინი არ არის ცნობილი რეჟისორი, მაგრამ ამის გამო არ მაქვს რამე საწინააღმდეგო. არც არავის ვადანაშაულებ. ჩვენ შედეგით ვმსჯელობთ და ფაქტია ის, რომ „აგვისტოს 5 დღე“ კრახით დამთავრდა“ - აღნიშნავდა კინომცოდნე ა. შუბაშვილი.[1]

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რა კავშირშია ეს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს უმძიმეს პერიპეტიებთან, რომლის შედეგი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დეტალი უცნობია ქართული საზოგადოებისათვის, ერთმანეთშია არეული სიცრუე და სიმართლე, გაუგებარია რა მიზანს ისახავდა მზადება კონფლიქტის ისევ გაღვივებისათვის, რომელსაც ასობით ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანები შეეწირნენ. მიწისაგან პირისა აღიგავა ათეულობით ქართული და ქართულ-ოსური სოფლები.

სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ნაცვლად მივიღეთ კიდევ უფრო მეტი ტერიტორიის დაკარგვა, ქართველი, აფხაზი და ოსი ერების ურთიერთობების გაუარესება და გაუცხოება, თუმცა ხელისუფლებამ ეს გამარჯვებად, ხოლო მისმა მხარდამჭერებმა ეს დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად გამოაცხადეს, იმედის იმედით, რომ აგვისტოს ომი გაცდა საქართველოს სივრცეს და საერთაშორისო განზომილებაში გადავიდა. ამის დასტური იყო რუსთაველზე გამართული დიდი ტაშფანდური, ომის გამამართლებელი ნაშრომებისა თუ მონოგრაფიების შეთხზვა და ეს ფილმიც, რომელიც არარეალობით და ყალბი პასაჟებით იყო აღსავსე. ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკურ-სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში არ მომხდარა ამ მოვლენის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება და არ არის ნათქვამი სიმართლე.

ეს ნარკვევი სრული სიმართლის თქმის მცდელობის სურვილით იწერება. ჩვენ ვთქვით, რაც უნდა გვეთქვა, ღმერთმა ქმნას სხვამ უკეთ დაწეროს, რაც ჩვენ ვერ ვთქვით.

---

[1] შუბაშვილი ა., გაზ.: „რეზონანსი“, 2011, 26 ოქტომბერი.

1990-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირების პროცესებში ჩართული აღმოჩნდნენ გაერო, ეუთო და პარტნიორის სახით – რუსეთი, თუმცა 2008 წლის აგვისტოში ომმა ეს ფორმატი დრამატულად შეცვალა.

ომი, საქართველოსათვის, როგორც სამხედრო, ისევე პოლიტიკური თვალსაზრისით, კატასტროფით დასრულდა. რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და მათი უსაფრთხოების მთავარ გარანტორად იქცა, ასევე მისი დაჟინებული მოთხოვნით კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გაეროს და ეუთოს მანდატები შეუწყდა.

გამოყოფილ ტერიტორიებთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესი, რომელიც წლების განმავლობაში უზარმაზარი ძალისხმევის ფასად იგებოდა, მთლიანად დაინგრა. კონფლიქტის მართვის ერთადერთ ინსტრუმენტად ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები დარჩა, რომლებიც ომის დამთავრებიდან 24 რაუნდად გაიმართა, თუმცა ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია.

ცხადია, რუსეთის, ვენესუელას, ნიკარაგუას, სირიისა და სხვადასხვა ჯუჯა სახელმწიფოების მიერ აღიარებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მაინც იზოლირებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ორივე რეგიონში ცალკეული პოლიტიკოსები განიხილავდნენ რუსეთთან მიერთების შესაძლებლობასაც. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, ერთ-ერთი პირველი უცხოელი, ვინც კრიტიკულად განეწყო მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი იყო, რომელმაც ამხილა მ. სააკაშვილის მმართველობის დროს, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის ცალმხრივობა, რაც გამოიხატებოდა რუსეთისადმი უპირობო დაპირისპირებაში და ფაქტობრივად, მთელი გათვლა, პირველ რიგში, შეერთებული შტატებისა და შემდეგ ევროკავშირის მხარდაჭერაზე ხდებოდა.

„სააკაშვილის პოლიტიკა, რა თქმა უნდა, გაუაზრებელი და არაეფექტური იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით: ის არ ითვალისწინებდა მთავარ პრობლემას – ნდობის აღდგენისა და შერიგების აუცილებლობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებსაც სამჯერ მოუწიათ ომში ჩაბმა ქართველებთან, რის გამოც მათი მოსახლეობა შოკისა და ტრამვის მდგომარეობაშია“ – შენიშნავდა დ. ბოდენი.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოს მიმართ, დღეისთვის, პოლიტიკური, დიპლომატიური და საერთაშორისო სამართლის განსჯის ობიექტია, თუმცა პოლიტიკოსების, დიპლომატების, ანალიტიკოსებისა და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ბევრი მათგანი აპელირებს სადავო დებულებებზე, თუმცა ტალიავინის მოხსენება რუსეთის მიერ ჩადენილ ბევრ აგრესიულ ფაქტს აფიქსირებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ხელყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან ათი წლის შემდეგ ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, თუმცა არსებობს პასუხგაუცემელი კითხვებიც, რომლებიც მოითხოვს პასუხს

დროისა და სივრცის გათვალისწინებით.

საერთო სურათისა შესაქმნელად, საინტერესოა ამერიკელი ანალიტიკოსისა და დიპლომატის, რონალდ ასმუსის დაკვირვებები, რომელიც წერს: „ეს ომი მიმართული იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგად კონტექსტში, უფრო დასავლეთის წინააღმდეგ. ფიზიკურად საქართველო იყო სამიზნე, მაგრამ ჩვენც მოვიაზრებით პოლიტიკურ მოტივაციათა გზაჯვარედინზე. თბილისი იქცა განტევების ვაცად რუსეთის საყვედურებისა და განრიხსების გამოსავლენად, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა შეერთებული შტატების, ნატოსა და იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც, მოსკოვის აზრით, ეხმარებოდა საქართველოს... გაღიზიანება უპირველესად მიმართული იყო შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ. რუსეთის პროპაგანდის მექანიზმმა არამხოლოდ ბრალი დასდო საქართველოს ომის დაწყებაში, არამედ, ასევე პირდაპირ დაადანაშაულა შეერთებული შტატები ჩარევაში, რომ ამ უკანასკნელმა შექმნა და დააჩქარა ეს კონფლიქტები. ეს იყო გზავნილი რომ რუსეთი ნამდვილად მზად იყო ბრძოლისათვის, რათა არ დაეშვა თავის საზღვრებთან დასავლეთის შემდგომი მიახლოება, განსაკუთრებით კი ნატოს სახით. ამ კუთხით, ეს იყო პირველი ცივი ომის შემდგომი დასავლეთ-აღმოსავლეთის შეიარაღებული კონფლიქტი“.[2]

პოლონური „გაზეტა ვიბორჩა“ აქვეყნებდა ამერიკელი დიპლომატის, მეთიუ ბრაიზას ინტერვიუს, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პოსტი ეკავა და მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების პროცესში.

ბრაიზა ომის ხელახლა გამოძიების საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას და მიიჩნევდა, რომ ომი საქართველოს ისტორიაში უკიდურესად მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ქართველებს სურდათ, კიდევ ერთხელ გადაეხედათ ყველაფრისათვის, თუმცა ჰქონდა თუ არა მას პოლიტიკური მოტივები, ეს მისთვის გარკვეული არ იყო.

ბრაიზა არ ეთანხმებოდა ივანიშვილს სააკაშვილის დადანაშაულებაში ომის პროვოცირებაში, მაგრამ სავსებით დარწმუნებული იყო, რომ რუსეთმა წამოაგო პროვოკაციაზე სააკაშვილი. სწორედ რუსულმა მხარემ ისროლა პირველად და დაავალა ოსებს ესროლათ. საქართველომაც უპასუხა, მაგრამ ძალიან ღრმად შეტოპა და რუსებსაც ეს უნდოდათ.

„სააკაშვილის შეცდომა ის იყო, რომ არ დაუჯერა მეგობრებს, რომლებიც მას ეუბნებოდნენ: თუ ფიქრობ, რომ რუსები საქართველოში შემოჭრას აპირებენ, თავდაცვითი პოზიციები დაიკავეთ, იმიტომ რომ, თუ ეს მართლა მოხდება, თქვენ რუსებს ვერ შეაჩერებთ. თუ მათ პროვოკაციაზე წამოეგებით, ისინი იტყვიან,

[2] ასმუსი რ., „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, თბ., 2010, გვ. 6.

რომ ეს თქვენ წამოიწყეთ. ასეც მოხდა“.[3]

მ. ბრაიზასათვის უცნობი არ იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ ეთანხმებოდა თავის ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეებს: ამერიკის პრეზიდენტ ბუშს, სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისს და სხვებს, მაგრამ ფიქრობდა, რომ მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა. თუ რუსულ პროვოკაციას არ უპასუხებდა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ დაიცავდა, მშიშრად ჩათვლიდნენ – ისტორიაში შევიდოდა, როგორც ლაჩარი, ან როგორც პრეზიდენტი, რომელმაც არ აღასრულა საკუთარი ვალი.

დიპლომატი იმედგაცრუებული იყო კავკასიაში ამერიკის იმჟამინდელი უკან დახევის პოლიტიკით, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის თავიდან ასაცილებლად, ვაშინგტონის ტაქტიკით ყველაზე ადვილი იქნებოდა სააკაშვილი განტევების ვაცად ექციათ და ყველა პრობლემა მისთვის დაებრალებინათ. მ. ბრაიზა პრეზიდენტ ობამას ამას უზარმაზარ შეცდომად უთვლიდა, არა მარტო იმიტომ, რომ ეს გახლდათ მკაფიო სიგნალი რუსეთისთვის: შეგიძლია ნებისმიერ ქვეყანაში შეიჭრა, მოახდინო მისი პროვოცირება და პასუხისმგებლობა არ დაგეკისრება.

სააკაშვილის პოლიტიკური სახისმეტყველების მოყვარული ბრაიზა, აკნინებდა ევროკავშირის როლს და ასკვნიდა, რომ სააკაშვილს არ ჰყავდა ნამდვილი მეგობრები ბრიუსელში, რომლებიც ობიექტურად შეაფასებდნენ, თუ რა გააკეთა მან საკუთარი ქვეყნისათვის. უცხოელი დიპლომატისათვის მიუღებელი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მიერ რუსებთან დადებული გარიგება და მიაჩნდა, რომ ეს პრაქტიკულად ნიშნავდა რუსული ოკუპაციის ლეგალიზებას. თავის მხრივ სააკაშვილიც გაცოფებული იყო ამ დოკუმენტის გამო. საბოლოოდ, აღმოსავლეთ ევროპის პრეზიდენტებმა ის დაარწმუნეს მიეღო შეთანხმება, მაგრამ მასში შეტანილი სააკაშვილისეული შესწორება უფრო უარესი აღმოჩნდა საქართველოსათვის.

აგვისტოს ომთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გამოთქვამდა აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და აღნიშნავდა, რომ ომის შესახებ ჩატარდა ძალიან ბევრი კვლევა, გაკეთდა ანალიზი და ერთხმად აღიარებდნენ, რომ შეცდომები ყველა მხარის მიერ იქნა დაშვებული და მუშაობა მიმდინარეობდა რუსეთთან, დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. ყურადღება მახვილდებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე. მოკლევადიანი პერსპექტივით კი ძირითადად ყურადღება უნდა დათმობოდა ჰუმანიტარულ ასპექტებს, რომ ადამიანებს ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლება მისცემოდათ და თანამედროვე სამყაროში ახალი ბერლინის კედლის აგებას ადგილი არ ჰქონოდა.[4]

---

[3] ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 3-9 ივნისი.

[4] ნორლანდი რ., გაზ.: „ახალი თაობა“. 2013, 6 აგვისტო.

ბუნებრივია, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო საერთაშორისო ყურადღების ეპიცენტრში მოექცა. უცხოელმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა წინ წამოწიეს რუსეთ-საქართველოს აგვისტოს თემის დეტალები. დიდი ბრიტანეთის პოპულარული, ყოველდღიური გაზეთი The Guardion გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთის ბოროტი ზრახვა" ავტორი ლუკ ჰარდინგი, რომელიც თვითონ იყო სამხრეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედიის თვითმხილველი, აღწერდა სოფელ კარალეთის დამწვარ სახლებს, გაძარცვულ სკოლებს, თხრილში მიტოვებულ მანქანებს, რომელიც ოსი ჯარისკაცების ნახელავი იყო.

ინგლისელი ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ 7-8 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთი იყო ქართველებით და ოსებით დასახლებული პატარა რეგიონი, რომლის ტერიტორიის მესამედს საქართველოს მთავრობა აკონტროლებდა, მეორე მესამედს – ოსეთის თვითაღიარებული მთავრობა და აქამდე ორივე მხარე რაღაცნაირად ახერხებდა ერთ რეგიონში თანაარსებობას.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით The New York Times-ი ბეჭდავდა სტივ ლუკასის სტატიას სახელწოდებით „რუსული ამბიციის ომი", სადაც ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ძალზე წინდაუხედავად და ავბედითად გაება მოსკოვის მიერ დაგებულ მახეში, როდესაც მან ბუშის ადმინისტრაციის წაქეზებით ჯარები გაგზავნა სამხრეთ ოსეთში. სტატიის ავტორი ყურადღებას იმაზეც ამახვილებდა, რომ რუსი სამხედროები ჭურვებით და ბომბდამშენებით დარტყმას აყენებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. იყო სერიოზული ეჭვი, შტურმით აეღოთ მისი დედაქალაქი თბილისი და ჩამოეგდოთ პროდასავლური მთავრობა.

ამერიკულ ყოველდღიურ გაზეთ The Wall Street Journal-ში სამანტა შილდსი წერდა, თუ რა ბრალდებებს უყენებდა საერთაშორისო ორგანიზაცია Human Right Wath-ი საქართველოს და რუსეთს. აგვისტოს ომთან დაკავშირებით - Human Right Wath-ი აქვეყნებდა 200-გვერდიან მოხსენებას, რომელიც ეყრდნობოდა 460 ინტერვიუს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ რუსეთმა და საქართველომ, ორივემ დაარღვია ომის საერთაშორისო კანონი კონფლიქტის პერიოდში. ქართული ჯარის გასვლის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან, ქართულ სოფლებში ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან ხორციელდებოდა ეთნიკური წმენდა.

საქართველოსა და რუსეთს ბრალი ედებათ კასეტური ბომბის გამოყენებაში, რაც უკვე ხმარებიდანაა ამოღებული. აუცილებელია გაგრძელდეს გამოძიება და დამნაშავენი დაისაჯონ საკუთარ ქვეყანაშივე" – აცხადებდა Human Right Wath-ის წარმომადგენელი.

კანადის გაზეთ The Telegraph-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „არის სააკაშვილი გამოსადეგი კაცი საქართველოსთვის 2009 წელს?". სტატიის ავტორი სარა მარკუსი წერდა, რომ „2009 წელი არავისთვის არ იქნებოდა იოლი, ყველა ქვეყანას გლობალური ვირუსის წყალობით ცხოვრება თავისებურად გაურთულდებოდა, მაგრამ

საქართველოსთვის ეს წელი კიდევ უფრო რთული და, ალბათ, გადამწყვეტი გახდებოდა.

ეკონომიკური სტაბილურობისა და რუსეთთან ურთიერთობების სტაბილიზაციის გარეშე საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი მოქმედი დემოკრატიისა და კეთილდღეობისაკენ.

ნათელი იყო, რომ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციებში ჩართვა საშინელი შეცდომა იყო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა აგვისტოს მოვლენებისათვის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის დადანაშაულება და რუსეთის მიერ მოწყობილი პროვოცირების დავიწყება.

„აგვისტოს ომმა ნატო იმპოტენტად წარმოაჩინა“ – რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ ამ სათაურით აქვეყნებდა ევროპული გამოცემა EURACTIV „სტრიტფორი“ ამერიკული სადაზვრევო-ანალიტიკური კომპანია Stratfor-ის სტატიას.

2008 წლის აგვისტოს რუსულმა ტანკებმა რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთიდან როკის გვირაბი გადალახა და საქართველოს ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთში შეიჭრა. სრულმასშტაბიანი ომის დროს, რომელიც ხუთი დღე გაგრძელდა, რუსეთმა საქართველოს შეიარაღებული ძალები თითქმის გაანადგურა, მწყობრიდან გამოიყვანა მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომარაგების ხაზები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ასევე, მოსკოვმა თავისი შეიარაღებული ძალები განათავსა აფხაზეთშა და სამხრეთ ოსეთში და ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. რუსეთის არმიას საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ღრმად შეჭრა აღარ გაურისკავს, მაგრამ საქართველოს დედაქალაქიდან თითქმის 45 კილომეტრში დაბანაკდა.

ქართული კონფლიქტის ფესვები შეიძლება არა სამხრეთ ოსეთში, არამედ გაცილებით შორს, ევროპაში ვეძებოთ. ევროკავშირისა და ნატოს ექსპანსია აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპისკენ 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა 2000-იან წლებამდე, რამაც ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიფერიაზე დასავლური გავლენა განამტკიცა და მოსკოვის გავლენა შეარყია. დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ 2008 წლის დასაწყისში, საომარ პროცესებს ბიძგი მისცა. სულ რამდენიმე თვეში, ნატოს სამიტზე, ბუქარესტში, სამხედრო ბლოკი დაჰპირდა საქართველოს და მეორე ყოფილ საბჭოთა სახელმწიფო უკრაინას, რომ ისინი აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები – შენიშნავდა ევროპული გამოცემა.

ყოველივე ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც დასავლეთში ბევრს რუსეთი ისეთივე სუსტი და ქაოსში ჩაფლული სახელმწიფო ეგონა, როგორც 1990-იან წლებში იყო, რომელსაც და ბორის ელცინი დიდი წვალებით მართავდა.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ბორის ელცინი არ იყო. 2008 წლისათვის პუტინმა ბიუროკრატიის და ოლიგაქრების დიდი ნაწილი საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქცია, ამავდროულად, რუსეთის ეკონომიკას ხელს უწყობდა ნავთობის მაღალი ფასი მრავალი წლის განმავლობაში. პუტინის თვალსაზრისით, დასავლეთი სისტემატურად დგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომელიც ძირს უთხრიდა რუსეთის ეროვნულ

ინტერესებს, ამიტომ პასუხის დროც დგებოდა, ამისთვის კი საქართველო რუსეთისთვის საუკეთესო სამიზნე იყო, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს, მტკიცედ ორიენტირებული გახდა დასავლეთზე. მართალია, ქვეყანა ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად მიისწრაფვოდა, მაგრამ მას კვლავაც არ ჰქონდა მოპოვებული ალიანსში წევრობის უფლება და არ ექვემდებარებოდა ავტომატურად ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-5 მუხლს. საქართველო, მისი სიმცირისა და სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო, საუკეთესო პლატფორმა იყო რუსეთისთვის სამხედრო ძალის გამოსაყენებლად. საქართველოსთან ომი რუსეთისთვის სამი მიზნის რეალიზების საშუალება გახდლათ: პირველი – საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების შელახვა; მეორე – იმის დემონსატრირება, რომ მისი შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ ძალიან ეფექტურია; და, მესამე – ყველაზე უმნიშვნელოვანესი – ეჩვენებინა დასავლეთის სისუსტე, რომელმაც ვერ შეასრულა ვალდებულებები მისი პარტნიორიების მიმართ რუსეთის პერიფერიებზე.

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა სამივე ამ მიზანს მიაღწია.

ომის შედეგები მნიშვნელოვნად გასცდა საქართველოს ფარგლებს. სწორედ ნატო და არა რუსეთი, გამოჩნდა ბევრისთვის იმპოტენტად და მერყევად, რუსეთი კი ძლიერ და ეფექტიან სამხედრო სახელმწიფოდ. მიუხედავად მისი რეალური შესაძლებლობებისა, ეს იყო პოპულარული აღქმა, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რომელმაც შეცვალა მათი დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობებისადმი.

ამერიკული სადაზვერვო ანალიტიკური კომპანიის დასკვნით: ომის შემდგომ წლებში, სწორედ ეს განცდა იქცა წამყვან ფაქტორად ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ქმედებებში. უკრაინამ ოფიციალურად თქვა უარი ნატოსთან ურთიერთობაზე და კანონით აკრძალა ნებისმიერი სამხედრო ალიანსის წევრობა. ქვეყნებმა, რომლებიც უკვე თანამშრომლობდნენ რუსეთთან (ბელარუსი, სომხეთი და ყირგიზეთი), მხოლოდ გაზარდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა მოსკოვთან. საქართველოც გადასხვაფერდა – პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, რომელმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის გუნდი დამარცხა, ივანიშვილი შეეცადა რუსებთან უფრო ახლო ეკონომიკური კავშირები დაემყარებინდა და, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მხარს უჭერდა ქვეყნის დასავლეთში ინტეგრაციისკენ სწრაფვას, საქართველოს ნაციონალური მიდგომა რუსეთთან დაკავშირებით უფრო პრაგმატული გახდა.

საინტერესოა, რომ ომის პერიოდში, თბილისში ვიზიტად მყოფი ჯ. სოროსი უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ-ის პოლიტიკის მიმართ საქართველოსთან მიმართებით და ფიქრობდა, რომ რუსეთთან საომარი კონფრონტაციით აშშ მას გვერდით უნდა დასდგომოდა.[5]

თუმცა ფაქტები ადასტურებდნენ, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია საკ-

[5] სოროსი ჯ., ციტ. გაზ.: „ახალი თაობა“, 2014, 3 დეკემბერი.

მაო დახმარებას უწევდა საქართველოს, მაგალითად, 2013 წლის 26 დეკემბერს, სააგენტო „ტელეგრაფი“ ავრცელებდა სკანდალურ ინფორმაციას, რომელიც თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სახელს უკავშირდებოდა. სააგენტოს მტკიცებით, ამერიკა ინტერესდებოდა, 2008 წლის აგვისატოს ომის დროს, შეერთებული შტატებიდან დაჭრილი ჯარისკაცებისათვის სპეციალურად გამოგზავნილი მორფინის ბედით, რომელიც ვაშინგტონის ერთ-ერთი ონკოლოგიური საავადმყოფოდან, თბილისის მერიის სახელზე გამოიგზავნა, როგორც საინექციო საშუალებები, თუმცა ამ სამედიცინო ტვირთის მიწოდება თავდაცვის სამინისტროსთვის მერიიდან არ მოხდა. შემდგომში ამ საკითხით საქართველოს მთავარი პროკურატურაც დაინტერესდა. ამ სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თემურ დოლიძე „ტელეგრაფს“ უცხადებდა, რომ საზოგადოება ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციას უახლოეს დღეებში მიიღებდა. აშშ-დან სამედიცინო ტვირთის დიდი პაკეტის გამოგზავნას ადასტურებდა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელიც, თუმცა ინფორმაციას არ ფლობდა „მორფინის“ შესახებ.[6]

გამოცემა The American Conservative მიხეილ სააკაშვილის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა, რომ 2008 წლის ომსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტს შორის გარკვეული მსგავსება არსებობდა, მაგრამ მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ სააკაშვილი მთლიანად იყო პასუხისმგებელი კონფლიქტის ესკალაციაზე. გამოცემის პუბლიკაციის სათაური: „სასოწარკვეთილი სააკაშვილი რეაბილიტაციას, „ცდილობს“, სწორედ ამის მიმანიშნებელი იყო ანუ ამ კონფლიქტის კვალდალვალ უნდა გადაეფასებინათ, მისი როგორც შეუპოვარი ლიდერის რეპუტაცია.,

გამოცემის მტკიცებით, მართალია, არსებობდა გარკვეული მსგავსება 2008 წლის ომსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტს შორის, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება ის იყო, რომ საქართველოში მეტწილად მ. სააკაშვილი იყო პასუხისმგებელი კონფლიქტის ესკალაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სააკაშვილის პროვოცირებისათვის. სწორედ სააკაშვილმა გამოიჩინა სიბრიყვე და წამოეგო ანკესს. ამის მიზეზი კი იყო მისი მცდარი რწმენა, რომ აშშ და მისი მოკავშირეები გადაარჩენდნენ მას საშიშროების შემთხვევაში. ამისკენ კი, თავის მხრივ, სააკაშვილს უბიძგა დაუფიქრებელმა ამერიკულმა რიტორიკამ, ნატოში საქართველოს გაწევრიანების უსაფუძვლო მხარდაჭერამ და უგუნურმა დასავლურმა ენთუზიაზმმა, რომელიც ე.წ. რევოლუციასთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის მიუხედავად, ცხინვალზე შეტევის დაწყებისა და უფრო ფართომასშტაბიანი ომის წამოწყების გადაწყვეტილება სწორედ სააკაშვილს ეკუთვნოდა და სწორედ მას ეკისრებოდა მეტი წილი პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც ქვეყანამ განიცადა.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, საინტერესო იყო საერ-

[6] გაზ.: „ახალი თაობა“, 2013, 27 დეკემბერი.

თაშორისო და სტრატეგიული კვლევების ცენტრში, 2016 წელს გამართულ კონფერენციაზე, ამერიკის ყოფილი ტოპ დიპლომატებისა და მიმომხილველების მიერ გახმოვანებული მოსაზრება, რომ 2008 წელს საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა სტრატეგიული შეცდომა იყო, რამაც რუსეთს საშუალება მისცა, აგრესიული ნაბიჯები გადაედგა და შეჭრილიყო საქართველოსა და უკრაინაში. კონფერენციაზე გამოსული სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი კორი შეიკი, აშშ საგარეო ურთიერთობების საბჭოს წევრი ელიოტ აბრამსი, ჰერიტიჯის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში ჯეიმს ჯარაფანო, ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის წარმომადგენელი ერიკ ედელმანი და სხვები ადასტურებდნენ, რომ ნატოს მიერ ახალი წევრების მიღება და ალიანსისა გაფართოების მხარდაჭერა, რუსეთის აგრესიის შეკავების ეფექტური გზა იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც არსებობდა. მაგალითად, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადებით, 2008 წელს ის და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებოდნენ. პეტერბურგის საერთაშორისო ფორუმზე სარკოზი აცხადებდა, რომ ნატოს არ ჰქონდა საბაბი და მიზანი, რუსეთთან ებრძოლა. „2008 წელს, მე და ქალბატონი მერკელი წინააღმდეგობას ვუწევდით საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. პრეზიდენტ ბუშის დაჟინებული მოთხოვნით, საქართველო რომ ყოფილიყო ნატოს წევრი, 2008 წლის კონფლიქტი გაცილებით უფრო სერიოზული იქნებოდა. ჩვენ აღარ ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ცივი ომი დასრულებულია და ნატოს არ აქვს საბაბი და მიზანი, რომ რუსეთთან იბრძოლოს. ასეთი აზრი ინტელექტუალური რეგრესია“ – აცხადებდა სარკოზი.[7]

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მაიკლ ტერნერის ანგარიში. „შეკავება დაცვის მიზნით: ნატოს დაპირების შესრულება“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთი იყენებდა ძალას თავის მცდელობებში, ჩაეხშო საქართველოსა და უკრაინის არჩევანის თავისუფლება. 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თავისი ე.წ. „სამშვიდობო“ ძალებისთვის ვითომდა არსებული საფრთხის გამო, რუსეთმა განახორციელა პირდაპირი შეიარაღებული შეჭრა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა.

არ არსებობს არანაირი ეჭვი, რომ ეს ომი დაგეგმილი იყო, როგორც საქართველოს დასჯის მეთოდი იმისათვის, რომ მან ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზა აირჩია – აღიარებდა ტერნერი.

ტერნერის აზრით, რომ რუსეთის სამხედრო აგრესია იყო სრულიად არაპროპორციული იმ შეტაკებებთან მიმართებით, რომელიც თავდაპირველად სამხრეთ ოსეთში მოხდა. არსებული ინფორმაციით, რუსეთმა თავისი ბირთვული ძალებიც კი მო-

[7] სარკოზი ნ., ციტ. გაზ.: „რეზონანსი“. 2016, 18 ივნისი.

იყვანა მზადყოფნაში. ამან მოსკოვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე სამხედრო კონტროლის გაფართოებისა და გაძლიერების საშუალება მისცა.

ასამბლეის თავმჯდომარე ფიქრობდა, რომ რუსეთის ქმედება იყო საერთაშორისო სამართლის პირდაპირი დარღვევა, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს სულ მცირე 32 რეზოლუციის, სადაც აფხაზეთი მოხსენიებული იყო, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

ტერნერის აღიარებით, საჭირო იყო ნატოს შემაკავებელი ფუნქციების შემდგომი გაძლიერება, კოლექტიური თავდაცვისა გაძლიერება და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დროული ამოქმედების უზრუნველყოფა.[8]

2013 წლის აპრილში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი РТИ-სთვის მიცემულ ინტერვიუში ვრცლად საუბრობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და აცხადებდა, რომ რუსეთი მზად იყო საქართველოსთან ურთიერთობის გასაფართოვებლად. მისი აზრით, 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა რომ არა, ბევრი იქნებოდა მიღწეული. ურთიერთობებს მუდმივად „ძაბავდა“ მიხეილ სააკაშვილი და მან ბევრი ახალგაზრდა ქართველის გული და აზროვნება გაანადგურა. ის ცდილობდა ქართველთა ყოველდღიურობიდან ამოეძირკვა რუსული ენა, რუსული ლიტერატურა და ჩვენი ქვეყნების დამაკავშირებელი ისტორიული მეხსიერება. ამის მაგალითად ლავროვს მოყავდა წარსულში ოსების მიერ პირველი საელჩოს გახსნის მოთხოვნა სანკტ-პეტერბურგში და აფხაზების შესვლა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე.

ლავროვს მიაჩნდა, რომ აფხაზეთი და საქართველო თანაბარუფლებიანი რესპუბლიკები გახდნენ, მერე კი სტალინმა აფხაზეთი საქართველოს გადასცა. მინისტრის მტკიცებით ის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა, სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის ემოციურ გამოსვლაში რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ოკუპაციად შერაცხა.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ლავროვი პირდაპირ აცხადებდა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ხელმძღვანელობასთან საუბარში, მ. სააკაშვილი ირწმუნებოდა, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა არავითარი შეტევა არ განხორციელებულიყო, მითუმეტეს მაშინ ცხინვალთან იდგა რუსეთი, საქართველოსთან და სამხრეთ ოსეთთან შეთანხმებით ჩამოყალიბებული შერეული სამშვიდობო ბატალიონი, რომელშიც მსახურობდნენ რუსები, ქართველები და ოსები.[9]

ს. ლავროვის მტკიცებით, მ. სააკაშვილის დაპირებიდან, რომ ცეცხლი არ გაიხსნებოდა, რამდენიმე საათში ბატალიონი ქართველმა სამშვიდობოებმა დატოვეს და ქართულ არმიასთან ერთად ყოფილ თანამებრძოლებს ცეცხლი გაუხსნეს. ეს იყო თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებსა და სამშვიდობოებზე.

---

[8] ტერნერი მ., გაზ.: „რეზონანსი“, 2016, 1 ივლისი.

[9] ლავროვი ს., ციტ. გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 15-21 აპრილი.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიზანი იყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარედან მომდინარე სროლების შეჩერება, საცეცხლე წერტილების ჩახშობა სისხლისღვრის შეწყვეტა, და გულში ფიქრადაც არ გაუვლიათ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ სააკაშვილმა უარი თქვა რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების წინადადებაზე – შერიგების შესახებ და, რაც მთავარია, საერთაშორისო დისკუსიების დაწყებაზე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსების განსაზღვრის შესახებ.

„მისმა შემდგომმა რევანშისტულმა განცხადებებმა დაგვარწმუნა, რომ დამოუკიდებლობის აღიარების გარდა ამ ხალხების უსაფრთხოების სხვა გზა არ არსებობდა. ახლო მომავალში მე ვერ ვხედავ ქართველ პოლიტიკოსს, რომელიც იტყვის: „მორჩა, ჩვენ დავივიწყეთ ყველაფერი, მართლები არ ვიყავით“. ზუსტად ასევე არ გამოჩნდება რუსი პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის: „მოდით, დავუბრუნდეთ ძველ მდგომარეობას“. ეს შეუძლებელია – აღნიშნავდა ს. ლავროვი. მითუმეტეს, მ. სააკაშვილმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და ამით შეაჩერა ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა პრობლემის გადაწყვეტის ძიების გზა, რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან.[10]

აგვისტოს ომს ეხმაურებოდნენ თურქი პოლიტიკოსებიც და აღნიშნავდნენ, რომ აშშ ცდილობდა ერთი ქვით ორი ჩიტი მოეკლა: 08.08.08. თარიღი „სპეციალურად“ შეირჩა, აშშ-ს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის ჩინეთისათვის, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორისათვის – „სპეციალურად“ ჩრდილის მისაყენებლად, რუსეთის ჩასაბმელად კონფლიქტში და შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებიდან ყურადღების სხვა მიმართულებისკენ მისაპყრობად;

2009 წელს თურქეთში გამოვიდა პროფესორ მეჰმედ ჯანის წიგნი „თურქეთის საგარეო პოლიტიკის გამოცდა საქართველო-რუსეთის ომით“. ამ წიგნში ავტორი ეხებოდა ამერიკის სამხედრო გემების სრუტეებში შემოსვლის პრობლემას, რომელმაც თავის დროზე მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თურქეთი ნატოს წევრი ის ქვეყანა იყო, რომელიც ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირედ აღიქმებოდა, რომელმაც ჯერ კიდევ 2003 წლის მარტში, ამერიკის სამხედრო კონტინგენტს არ მისცა უფლება მისი ტერიტორიიდან ერაყში შეჭრილიყო, ხოლო 2008 წლის აგვისტოში თავის მოკავშირე და ნატოს წევრი ქვეყნის გემებს არ მისცა ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის საშუალება.

ამერიკის მიერ საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების ტვირთით მიმავალი სამხედრო გემის გატარება მონტრეს ხელშეკრულების შესაბამისად შესაძლებელი იყო თუ არა, კამათის თემად იქცა. სრუტეებში მიმოსვლის თაობაზე მონტრეს ხელშეკრულების მიხედვით, შავი ზღვის სანაპიროს არმქონე ქვეყნების გემების სრუტეებში გავლა, გარკვეული კრიტერიუმების შესრულების შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

[10] ლავროვი ს., ციტ. გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 15-21 აპრილი.

აშშ-ის მხრიდან გამოგზავნილი სამხედრო გემების ამ კრიტერიუმების შესრულებისას მონტრეს ხელშეკრულების საწინააღმდეგო არაფერი ჩანდა და თურქეთის მხრიდან აშშ-ის გემებისათვის ნებართვის მიცემა სავსებით ნორმალური ქმედება იყო. თურქეთს ხელშეკრულების 21-ე პარაგრაფის მიხედვით „მისთვის ძალზე ახლოს ომის საფრთხის საშიშროების გამო“ სრუტეებში გავლის ნებართვა შეეძლო არ მიეცა. მაგრამ, რა ზომის სამხედრო გემიც არ უნდა ყოფილიყო, გემებს ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი მიჰქონდათ და აშშ-სთან ახალი, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული კრიზისი რომ არ შექმნილიყო, თურქეთმა არჩია ხელშეკრულების ეს პუნქტი არ გამოეყენებინა (სინამდვილეში თურქეთმა „კლასიკური“ ორმაგი თამაშის მასტერ-კლასი ჩაატარა, რომლის შემდეგაც თავმოყვარე, თუნდაც პატარა ქვეყანას, დაფიქრება სჭირდებოდა).

თურქი ავტორი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ „რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეულმა რეგიონულმა აფორიაქებამ, თურქეთის როლისა და მნიშვნელობის დონე დღითიდღე გაზარდა. კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის სამშვიდობო პროექტმა, თურქეთს რეგიონში ახალი მიზნის განხორციელებისა შესაძლებლობები გაუჩინა.

ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა სტივენ სიგალმა, რომელიც ქართველ ტელემაყურებელთა შორისაც საკმაოდ პოპულარული იყო, 2014 წლის მარტში ტელეკომპანია „რაშა თუდეისთვის“ (რუსეთი დღეს) მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2008 წელს სამხედრო დაპირისპირება საქართველომ დაიწყო, რაზეც რუსეთმა საპასუხო რეაგირება მოახდინა“.

ცხადია, სიგალი ეყრდნობოდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის, ანუ ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნას, რომელშიც ფიქსირდებოდა, რომ საომარ მოქმედებებში რუსეთი მას შემდეგ ჩაერთო, რაც 7 აგვისტოს ღამეს ქართული მხარის მიერ ცხინვალის მასირებული დაბომბვა მოხდა.

2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტმა, სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, მოსკოვში პრეზიდენტ მედვედევთან ერთად ჩამოაყალიბა 6-პუნქტიანი შეთანხმება. თავდაპირველად 6 პუნქტი ასეთი ფორმულირებით იკითხებოდა: „დაიწყოს საერთაშორისო განხილვა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსის და მათი მყარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე“, მაგრამ სააკაშვილის თხოვნით, ის შემდეგნაირად შეიცვალა: „საერთაშორისო გარანტიების შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“.

აღნიშნულ შესწორებას მედვედევი დაეთანხმა. თუმცა შემდეგში კვლავ სააკაშვილის მოთხოვნით, ფრანგულ ვარიანტში ჩაემატა თანდებული, რომელიც ქართულში „ში“– ბოლოსართია რამაც შეთანხმების მეექვსე პუნქტი მთლიანად შეცვალა - ანუ ასე იკითხებოდა: „საერთაშორისო გარანტიების შექმნა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“. სააკაშვილის მიერ მოთხოვნილი ეს ცვლილება რუსულ ვარიანტში არ დაფიქსირდა.

სააკაშვილის მხრიდან მედვედევ-სარკოზის შეთანხმების პირველ ვარიანტზე ხელმოუწერლობა იყო სერიოზული შეცდომა. აქ გარკვევით იყო მითითებული, რომ საერთაშორისო ჩარევის გარეშე რუსეთი ვერ განიხილავდა კონფლიქტური რეგიონების აღიარების საკითხს. კრემლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას ვერ აღიარებდა დასავლეთთან შეუთანხმებლად! მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მეთაურის მიერ სიტყვა - „სტატუსის“ ამოღებამ აამუშავა პრინციპი – რაც აკრძალული არ არის, ის დაშვებულია! და რუსეთმაც ჩაიდინა ის, რასაც არავინ უკრძალავდა.

თუმცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების თვითშემოქმედება აქ არ შეჩერებულა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, სააკაშვილის მხრიდან მედვედევს გაეგზავნა წერილი, რომლითაც აღებული იყო ვალდებულება, რომ საქართველო არ გამოიყენებდა ძალას რუსეთის მიერ ოკუპირებულ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებულ რეგიონებში.

ეს გამომჟღავნდა 2008 წლის 8 სექტემბერს, როდესაც მოსკოვის-პირა მაინდორფის ციხე-სიმაგრეში სარკოზიმ და მედვედევმა ევროკავშირის მთავრობის ხელმძღვანელ ხოსე მანუელ ბარუზოსთან ერთად შეიმუშავეს რუსული ჯარების ფოთიდან, სენაკიდან და სხვა „არაოკუპირებული“ პუნქტებიდან გაყვანის გეგმა და გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენციაც.

„მე გადავეცი პრეზიდენტ მედვედევს პრეზიდენტ სააკაშვილის წერილი, რომელშიც ის იღებს ვალდებულებას, არ გამოიყენოს ძალა აფხაზეთსა და ოსეთში“, – ჟურნალისტების თანდასწრებით, ოფიციალურად აცხადებდა ნიკოლა სარკოზი.[11]

ანუ მედვედევი მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა ფოთიდან და სენაკიდან ჯარების გამოყვანას, რაც სააკაშვილმა წერილობით დაადასტურა, რომ უარს ამბობდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ძალის გამოყენებაზე.

ამ კონტექსტში საინტერესოა უკრაინა-რუსეთის ომის და საქართველო-რუსეთის ომის დაწყების ერთმანეთთან მსგავსებები. რუსი პოლიტიკოსების ერთი ჯგუფი, კერძოდ, პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი ფიქრობს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთლიანად პენტაგონი აკონტროლებდა, ხოლო საქართველოს სამხედრო დაზვერვა უშუალოდ იყო მიბმული ამერიკის სამხედრო დაზვერვის სამმართველოსთან. იმ პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატს ჰილარი კლინტონს მიაჩნდა, რომ დონალდ ტრამპი რუსეთთან პოზიტიური ურთიერთობის მხადამჭერად გამოდიოდა. ამიტომ 2008 წლის აგვისტოს ომსაც აშკარად წინასაარჩევნო ხასიათი ჰქონდა, რომელიც ორგანიზებული იყო სენატორ ჯონ მაკკეინისა და მის ოფისთან დაკავშირებულ ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის მიერ.

უდავოა, არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ ამ გუნდმა აიძულა საქართველოსა პრეზიდენტი გადაედგა ნაბიჯები ომის მოსამზადებლად და შემდეგ დასაწყებად. მ.

---

[11] სარკოზი ნ., ციტ. გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2012, 3-9 სექტემბერი.

სააკაშვილი 2008 წლის ივლისში ქართველ გენერლებთან ჩატარებულ თათბირზე ირწმუნებოდა, რომ მას ომი არ სურდა, ასეთ მოსაზრებას აფიქსირებდნენ ქართველი სამხედროებიც, ომის შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე.

ასეთ ვითარებაში თბილისში ჩამოვიდა კონდოლიზა რაისი, რომელსაც, სავარაუდოდ, შეეძლო დაერწმუნებინა მ. სააკაშვილი დაეწყო ომი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. საინტერესო უნდა იყოს ის დეტალიც, რომ სწორედ მაშინ ჯონ მაკეინის რეიტინგმა გაუსწრო პრეზიდენტობის კანდიდატის ბარაკ ობამას რეიტინგს. ამერიკის სპეცსამსახურებს მაშინ ეჩვენებოდათ, რომ ობამას შეიძლებოდა ზიანი მოეტანა აშშ-ის უსაფრთხოებისათვის. ამიტომ მას ნეოკონსერვატორები პირდაპირ მოღალატეს უწოდებდნენ.[12]

ცხადია, ეს ომი ჯდებოდა რუსეთის ინტერესებშიც. ამ თვალსაზრისით საინტერესო დეტალებს გვაწვდის ალან ჩოჩიევი, რომელიც ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის საწყის ეტაპზე თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავარი იდეოლოგი იყო. იდგა სახალხო ფრონტ „ადამონ ნიხასის შექმნის სათავეებთან. მუშაობდა ოსური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. მისივე დაწერილია „სამხრეთ ოსეთის ნაციონალური მოძრაობის კონცეფცია“, თუმცა მოგვიანებით, მან შეხედულებები შეიცვალა: მასში გაჩნდა სხვა განწყობები, შეშფოთება იმის გამო, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“. ამის ნიადაგზე ჩიჩოევს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონფლიქტი დაეწყო და გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა, საბოლოოდ კი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად. გერმიანიაში ჩოჩიევი წლების განმავლობაში აგროვებდა და აანალიზებდა ინფორმაციას 2008 წლის ომის თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო გრანდიოზული პროვოკაცია, რომლის მიზანს ოსი ხალხისა გენოციდი წარმოადგენდა, მაგრამ არა ქართველების მხრიდან.

2008 წლის აგვისტო – ოსების გენოციდის პროექტი იყო. როდესაც ქართული „გრადები“ ცხინვალს ამუშავებდნენ, რუსეთის 58-ე არმია ჯავაში იდგა. მისი მოწინავე სატანკო დანაყოფი – გუფთაში, ცხინვალიდან 18 კილომეტრში. 58-ე არმია 10 აგვისტოს უკვე გათავისუფლებულ ქალაქში შევიდა. რუსული არმია ორი დღე უბრალოდ ელოდა, როდის ამოწყვეტდნენ ცხინვალში რაც შეიძლება მეტ მშვიდობიან მოსახლეობას, რათა შემდგომ ქართველები ოსების გენოციდში დაედანაშაულებინათ – აღნიშნავდა ა. ჩოჩიევი.

ქართველების მხრიდან შეტევის დაწყებიდან საათნახევრით ადრე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა სამხედროები სახლებში გაუშვა იმ მიზეზით, რომ არანაირი ომი არ იქნებოდა და თვითონ ჯავაში გაემგზავრა, სადაც რუსეთის 58-ე არმია იდგა.

ქართველების ქალაქიდან განდევნის შემდეგ, პუტინმა და მედვე-

[12] იხ.: მარკოვი ს., „სააკაშვილს ომის დაწყება მაკეინმა და ჩეინმა აიძულა, რადგან ეს რეიტინგისათვის სჭირდებოდათ“. გაზ.: „ახალი თაობა“, 2016, 16 აგვისტო.

დევმა განაცხადეს სამხრეთ ოსეთის გენოციდის მოხდენის შესახებ. მათი წაქეზებით 10-12 აგვისტოს მთელი უცხოური მედია ლაპარაკობდა ე.წ. ოსეთში მომხდარ გენოციდზე. „დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, როგორი იყო პროექტი: თბილისი ტანკებით ალყაში მოექციათ, დასავლეთისთვის განეცხადებინათ, რომ ცხინვალში გენოციდი მოხდა, სააკაშვილის ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემა მოეთხოვათ და პარალელურ რეჟიმში იმ დევნილებს, რომლებმაც სამხრეთ ოსეთიდან გასვლა მოასწრეს, ასევე ცოცხლად გადარჩენილებს მთელი მსოფლიოს გასაგონად დაეწყოთ მოსკოვისთვის მუდარა, სამხრეთ ოსეთი რუსეთს შეუერთეთო. ვინ რას ეტყოდა ასეთ ვითარებაში რუსეთს, თუ იგი „გენოციდის მსხვერპლთა ნების აღსასრულებლად“ სამხრეთ ოსეთს მიიერთებდა?! რესპუბლიკის არანაირ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი აღარ იქნებოდა. მაგრამ რუსული ტანკები შეაჩერეს თბილისიდან სულ რაღაც 30 კმ-ში, რადგან წამოვიდა გამომძიებლების მოხსენებები: 160-ზე ოდნავ მეტი გვამი იყო, რაც გენოციდს ნამდვილად არ ჰგავდა!“ – წერდა ა. ჩოჩიევი.

ა. ჩოჩიევს ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სააკაშვილი იდიოტივით გაება პროვოკაციაში. მისი აზრით, რუსებს ჩაუვარდათ სამხრეთ ოსეთის მიერთების გეგმა და დამოუკიდებლობის აღიარება მოუწიათ – ასკვნიდა ა. ჩოჩიევი.[13]

რუსეთმა ომის შემდეგ თავისი სამშვიდობო ძალები სერიოზულ სამხედრო ძალად გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფდა მოსკოვის გეოსტრატეგიულ ინტერესებს იმ შემთხვევისათვის, თუკი ნატო გადაწყვეტდა გაფართოებას კავკასიის რეგიონში. სამხრეთ ოსეთში სამხედრო ინფრასტრუქტურა უფრო ეფექტურად და ორგანიზებულად ვითარდებოდა, ვიდრე სამოქალაქო ობიექტები. 2013 წლისათვის რუსი სამხედროებისა და მესაზღვრეების რიცხვი სამხრეთ ოსეთში 4 ათას კაცს აჭარბებდა. ოსეთის ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ სამხრეთ ოსეთს მეტი საფუძველი ჰქონდა მოეპოვებინა დამოუკიდებლობა, ვიდრე კოსოვოს, სერბეთის ყოფილ ავტონომიას და დღეს „ხელოვნურად შემქნილ და გარედან მართულ სახელმწიფოს.[14]

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ფაქტობრივად, მსოფლიო დღის წესრიგიდან მოიხსნა აშშ-ის, ეუთოს, ევროკავშირის, რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების შეხვედრების გამართვა კონფლიქტების დასარეგულირებლად.

საქართველოში, შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი რიჩარდ მაილსი მკვეთრად უარყოფითად იყო განწყობილი მ. სააკაშვილის მიმართ. „ამერიკის ხმის“ სპეციალურ გადაცემაში „ქრონიკისათვის“, ამერიკის ელჩი ადასტურებდა, რომ 2004 წლის აგვისტოში ქართული არმია შეეცადა აეღო სამხრეთ ოსეთი. ამ ოპერაციას ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა.

---

[13] ჩოჩიევი ა., გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018.

[14] იხ. პილარ ბონეტი, გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013 , 14-20 აგვისტო.

მისი აზრით, 2005 წლის მაისში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილება იყო. „ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა, სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც, შესაძლოა, რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. ამან პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გარკვეული პერიოდით შეაჩერა, მაგრამ მას და მის მთავრობის წევრებს ყოველთვის სურდათ სამხრეთ ოსეთის შემოერთება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ – აღნიშნავდა მაილსი.

ყოფილი ელჩის განმარტებით საქართველოს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. „დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხის დიდ ნაწილს და საქართველოს მთავრობას ერჩივნა, ჩვენ უფრო მკაცრი ზომები მიგვეღო, მაგრამ ეს არასდროს განიხილებოდა. ჩვენ არ გვითქვამს, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში მკაცრ ნაბიჯებს გადავდგამდით. მე მესმის ქართველების დიდი ნაწილის იმედგაცრუება იმით, რომ შეერთებული შტატები ან სხვა მეგობრები, მოკავშირეები სამხედრო მეთოდებით არ ჩაერთვნენ“.

რ. მაილსი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციამ რუსეთის ფედერაციის გავლენა გაზარდა და მან აჩვენა, რომ რუსეთი პოლიტიკურად მზად არის თავისი საზღვრების მახლობლად სამხედრო ძალა გამოიყენოს.[15]

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოიხილავდა მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, სამხედრო დაპირისპირებების შესაძლო განვითარების პერსპექტივებს და სიტუაციას ადარებდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებს.

საინფორმაციო სააგენტოს ნიუსპრესის მიერ გავრცელებული რეზიუმე გვაუწყებდა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის „გამოღვიძება“ არ აწყობდა აზერბაიჯანს, რომელსაც მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა დაკარგული. ილჰამ ალიევი თავს იკავებდა სხვადასხვა რთულ სიტუაციაში ჩარევისაგან. 2008 წლის აგვისტოში მან არ მიიღო საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო შეთავაზება რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ.

ი. ალიევი ქართველ ექსცენტრიულ კოლეგას უხსნიდა, რომ ბაქოს მშვენიერი ურთიერთობები ჰქონდა მოსკოვთან და ამიტომ სარისკო ნაბიჯს არ გადადგამდა.

სხვათა შორის, ეს ისტორია თვითონ ი. ალიევისაგან გახდა ცნობილი ერთ-ერთი დასავლელი მაღალჩინოსანი დიპლომატისათვის. ალიევი კარგად აცნობიერებდა, თუ რა კატასტროფა შეიძლება მოჰყოლოდა ომს თუ მასში რუსეთი და

---

[15] მაილსი რ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2016, 23-29 მარტი.

თურქეთი ჩაერეოდნენ. ბაქომ მშვენივრად იცოდა, რომ ელვისებურ „ბლიცკრიგს“ ვერ განახორციელებდა. ი. ალიევის პოლიტიკურ აზროვნებაში იბადებოდა ბევრი კითხვები, რომლებიც ანალიტიკურ გააზრებას და პასუხებს მოითხოვდა, რათა ისეთივე შეცდომები არ დაეშვათ, როგორც მ. სააკაშვილმა დაუშვა 2008 წლის აგვისტოს წინა ხანებში, ომის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში.[16]

ამერიკული რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორი დენიელ ფრიდი, რომელიც ომის დროს სახელმწიფო მდივნის მოადგილედ მუშაობდა, ადასტურებდა, რომ რუსეთის მხრიდან ომის მაღალი ალბათობის მიუხედავად, აგვისტოს მოვლენები გარდაუვალი არ იყო და მისი თავიდან აცილება შეიძლებოდა. ფრიდი არ ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ ამერიკის მხარდაჭერამ წააქეზა სააკაშვილი რუსეთთან კონფრონტაციული პოზიცია დაეჭირა, მითუმეტეს „ამერიკის თანადგომა უპირობო არ იყო“.

ცხადია, რუსები ყველაფერს აკეთებდნენ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოეგოთ, მაგრამ ფრიდის აზრით, მ. სააკაშვილი დაუდევრად მოიქცა და დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა საომარი მოქმედებების დაწყებაზე ბრძანების გაცემით.[17]

ეუთო საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდა, რომ რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, მაგრამ მ. სააკაშვილის აგრესიულობა რუსეთს არ ათავისუფლებდა ომის დაწყების პასუხისმგებლობისაგან და ეს შეხედულება ამერიკის პოზიციასაც არასწორად წარმოაჩენდა.

ამერიკას სააკაშვილისათვის საიდუმლო მწვანე შუქი არ უნთია. „მე პირადად ვიყავი ოთახში, როცა კონდოლიზა რაისმა მ. სააკაშვილს უთხრა: „სამხედრო ოპერაციის არჩევანი არ გაქვს და თავი ნუ მოგაქვს ისე, თითქოს ეს გაქვს“. მას ჩვენგან მკაფიო წითელი შუქი ჰქონდა სამხედრო ოპერაციაზე. მათ საჭიროდ ჩათვალეს ჩვენთვის არ მოესმინათ და ამისთვის საზღაური მიიღეს“ დაბეჯითებით ირწმუნებოდა დ. ფრიდი.

ფრიდი იმასაც აღიარებდა, რომ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა, დასავლეთი გაყოფილი იყო, აკლდა ერთიანობა, ამიტომ შეუძლებელი იყო რუსეთისათვის სანქციებით პასუხი და გადაწყდა ეკონომიკური დახმარების გაწევა და საქართველოს გადარჩენა.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, როდესაც რუსეთი უკრაინას დაესხა თავს დასავლეთმა ერთიანობა გამოიჩინა და რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა. საქართველოსთან მიმართებით ეს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მაგრამ ევროპისკენ ნაბიჯის გადადგმა რუსეთს არ ეპატია ამერიკისაგან. დასავლეთში აცნობიერებდნენ, რომ რუსეთის დაუსჯელობამ კრემლი წააქეზა მეზობლების მიმართ უფრო აგრესიული პოლიტიკის შემუშავებისაკენ. ამერიკელი პოლიტიკოსები მიიჩნევ-

[16] ალიევი ი., იხ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 19 აპრილი.

[17] ფრიდი დ., გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 30 აგვისტო.

დნენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა, 2014 წლის – უკრაინა-რუსეთის ომამდე მიგვიყვანა. დასავლეთს გარკვეული დრო დასჭირდა საქართველოში მიღებული გამოცდილება გაეცნობიერებინა, ხოლო მის გაცნობიერებაში წინ წამოიწია დასავლური ღირებულებების დაცვა და უსაფრთხოება. ახლა ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ ფიქრობდა თუ არა ამაზე რუსეთის პოლიტიკური ელიტა, თუმცა არ არის გამორიცხული ყირიმის ხელმეორედ შემოერთება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სანქციებისაგან მიღებული ეკონომიკური უსიამოვნებანი.

ცხადია, ბუქარესტის სამიტის დეკლარაციამ გზა გაუხსნა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისაკენ, მაგრამ შეუძლებელია მისი დაჩქარება, მითუმეტეს, დღეისათვის ამერიკაში და ევროპაში მომძალვრდნენ იზოლაციონისტური ძალები. ამიტომ მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლებელი არ არის საქართველომ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული პოსტკომუნისტური ქვეყნების და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად, ნატოს ბლოკის წევრობა მოიპოვოს. მითუმეტეს რუსეთის რბილი ძალა ერთბაშად ავრცელებს ნარატივს, რომ დასავლეთი არ არის მზად საქართველო ნატოსა თანასწორუფლებიან წევრად მიიღოს.

ბოლო წლებში ნატოს სხვადასხვა სამიტი საქართველოს სამოქმედო გეგმას არ სთავაზობს. ცხადია, აქ მიდგომები შეიძლება განხილულ იქნას ტაქტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, და უკავშირდება არა მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერსპექტივას – რაც თავისთავად ნიშნავს ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და საქართველოს ცხოვრებაში ხელსაყრელი პერიოდის დადგომას.

საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის ცალკეულ ნიუანსს ეძღვნებოდა ბრიტანული გამოცემის The Bew European – მიერ გამოქვეყნებული სტატია. პუბლიკაციის ავტორი ჯეიმს როჯერსი თვითონ იყო ომის თვითმხილველი. პუბლიკაციის ავტორი წერს, რომ 7-8 აგვისტოს ღამით, საქართველოს არმიამ სამხრეთ ოსეთის მთავარ ქალაქ ცხინვალზე შეტევა დაიწყო.

საქართველოს მიერ 90-იანი წლების დასაწყისიდან გაუკონტროლებელი რეგიონები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთთან იყო დაახლოებული და მოსკოვისაგან ფინანურ დახმარებას იღებდა. როჯერსი შენიშნავს, რომ ეს ვითარება მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ენერგიული, პროდასავლური პოზიციის მქონე და მკვეთრად პროვანშინგტონური მთავრობისთვის, „2003 წლის ბოლოს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტად არჩეული და ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა მთელი ქვეყანა გაეკონტროლებინა და საქართველო გაეერთიანებინა“ – აღნიშნავდა როჯერსი.

ავტორი მიუთითებდა, რომ ვითარება მკვეთრად გამწვავდა 2008 წლის ზაფხულისათვის, როდესაც ქართულ სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტებს შორის დაიწყო სროლები. ოსი სეპარატისტები იწონებდნენ რუსი სამშვიდობოების იქ ყოფნას, ქართველები კი მათ ოკუპანტებად განიხილავდნენ. როჯერსის

აზრით, ცხინვალის პრობლემამ გლობალური მნიშვნელობის ხასიათი მიიღო და პირველად 21-ე საუკუნეში, თანამედროვე ევროპისთვის კონფრონტაციული აღმოსავლეთი ფლანგი ყალიბდებოდა.[18]

საქართველოს რეფორმისტულმა მთავრობამ არმია საკუთარი გეგმების რეალიზაციის იარაღად გამოიყენა, რათა მსოფლიოში თავისი ადგილი მოეპოვებინა. საქართველო წარმოადგენდა მსოფლიოში იმ იშვიათ ქვეყანას, რომელმაც თბილისის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ გზას აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უმცროსის სახელი დაარქვა.

საინტერესოა ამ და განსაკუთრებით ნატოს გაერთიანებაში საქართველოს სწრაფვამ ერთგვარი წითელი ხაზის გადაკვეთის როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესი და აქ სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ქვეყნის საქართველოს ჩართულობის მისწრაფება, უაღრესად მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის, რომლის 2008 წლის ომში ჩაბმაც ამით იყო გამოწვეული.

როჯერსი შენიშნავს, რომ საქართველოს არმიის, თავიდანვე წარმატებულმა შეტევამ, ცხინვალზე რუსეთის სამხედრო ძალების ამოქმედების შემდეგ, გამანადგურებელი ეფექტი გამოიღო. მოსკოვის ჯარებს შეეძლოთ თბილისის მთლიანად დაკავება და სააკაშვილის დამხობაც. ავტორი ამ კონტექსტში იხსენებს დიდ ბრიტანეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ მილიბენდის და რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის საუბარს, როდესაც ამ უკანასკნელმა სააქართველოს პრეზიდენტის მისამართით წარმოთქვა საკმაოდ არადიპლომატიური და უტაქტო შეფასების გამომხატველი ოთხასოიანი სკრაბეზული სიტყვა – Euck).

საფრანგეთის – იმ დროს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – სამშვიდობო ჩარევამ განაპირობა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა – რუსეთის ჯარების დაბრუნება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში. „ქართულმა არმიამ უფრო მეტ ხანს იბრძოლა, ვიდრე ამას დიდი მტერი ვარაუდობდა. თავის მხრივ, რუსეთმა ამ კონფლიქტით უდიდესი გამოცდილება მიიღო. რუსეთის მოქმედებით ჩამოყალიბდა მოსკოვის ისეთი სახე, რომელსაც საერთაშორისო მასმედია დღემდე იყენებს. რუსეთის მაშინდელმა ნაბიჯებმა ჩამოაყალიბა ევროპული პოზიციაც, რომელიც დღესაც არ შეცვლილა. ახლა ჩვენ სწორედ ასეთ ევროპაში ვცხოვრობთ“ – ასეთ დასკვნას აკეთებდა ჯ. როჯერსი.

ინგლისელი პუბლიცისტი და პოლიტოლოგი ხაზგასმით შენიშნავდა, რომ სააკაშვილმა ვერ გათვალა, ალბათ, იმ იმედით, რომ აშშ-ის ადმინისტრაციასთან ახლო კავშირები მას რაიმეში დაეხმარებოდა და მხარდაჭერას მოუტანდა. მაგრამ ასე არ მოხდა, იგი შეცდა: ვაშინგტონმა ვერ გარისკა, კვლავ კონფრონტაცია

[18] როჯერსი ჯ., მითითებული სტატია, ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 7 აგვისტო.

დაეწყო რუსეთთან, რომელიც ცივი ომის დროს მტრად მიაჩნდა.[19]

როჯერსი იმასაც აღნიშნავდა, რომ რუსეთი საინფორმაციო მეტოქეობის თვალსაზრისით, საქართველოს ბევრად ჩამოუვარდებოდა. იმ პერიოდში საერთაშორისო ახალი ამბების მთავარი გმირი მ. სააკაშვილი იყო, რომელიც შეუსვენებლივ არიგებდა ინტერვიუებს. თუმცა ავტორი იმასაც შენიშნავდა, რომ ექვსი წლის შემდეგ რუსული საერთაშორისო არხი „რაშა თუდეი" („რუსეთი დღეს") დიდ როლს ასრულებდა ე.წ. რეფერენდუმის საფუძველზე ყირიმის ანექსიის პერიოდში განხორციელებულ ტელეპიარსა თუ პროპაგანდაში.

„2008 წლის აგვისტოს ომიდან ათი წლის შემდეგ საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა პრაქტიკულად არ არსებობს. ვერცერთი იმ ორი ქვეყნიდან (საქართველო და უკრაინა), რომლებსაც იმ დროს ალიანსში გაწევრიანება აღუთქვეს, რუსეთის „წყალობით", თავიანთ ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს" – აღნიშნავდა ჯეიმს როჯერსი. ის იმასაც დასძენდა, რომ ევროკავშირში რუსეთს საკმაო „თაყვანისმცემლები" ჰყავდა. მაგალითად ასახელებდა იტალიას, ახალი მთავრობის სახით, რომლის ვიცე-პრემიერმა მატეო სალვინმა ვლადიმერ პუტინის მოქმედება ასე შეაფასა: „ვფიქრობ, რუსეთის პრეზიდენტი ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს საკუთარი ხალხისათვის".

„ჩვენ დრო არ გვეყო" – ასე იხსენებდა სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა 10 წლის წინ, აგვისტოს ომისდროინდელ პრობლემებს. „კვირის პალიტრასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში ის გამოყოფდა სენატორ ჯონ მაკეინის სიტყვებს „დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ" და საგანგებოდ ეხებოდა მის დადებით როლს საქართველოში მ. სააკაშვილის ხელისუფლების დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში, და მიესალმებოდა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების წინადადებას თბილისში მდებარე მოსკოვის პროსპექტს მაკეინის სახელი დარქმეოდა.[20]

მ. ბრაიზასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მაკეინისაგან განსხვავებით, საქართველოსადმი ყველა ამერიკელი სენატორი არ იყო კეთილგანწყობილი, მაგალითად, კენტუკელი სენატორი რენდ პოლი, ფიქრობდა, რომ საქართველოსთვის „ჯაველინები" არ უნდა მიეყიდათ, ამერიკა პუტინის რუსეთთან დათმობებზე უნდა წასულიყო, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საქმეში და თუ მაკეინი ინტერნაციონალისტი იყო და სჯეროდა, რომ შეერთებული შტატები მით უფრო უსაფრთხო და წარმატებული იქნებოდა, რამდენადაც მისი მოკავშირეები იქნებოდნენ დაცული და მოწინავენი, სენატორი პოლის აზრით, შეერთებული შტატებს მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა, დიდ მოთამაშეებთან კარგი ურთი-

[19] როჯერსი ჯ. მითითებული სტატია. ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა", 2018, 7 აგვისტო.

[20] ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა", 2018, 10-16 სექტემბერი,

ერთობა შეენარჩუნებინა, ხოლო პატარა ქვეყნებს ის ეკეთებინათ, რასაც ეტყოდნენ.

ცხადია, ამერიკის პოლიტიკურ წრეებში მსგავსი ნარატივი ახალი არ იყო. მის საგარეო პოლიტიკაში დიდი ხანია არსებობდა – იზოლაციონიზმი, ანუ ამერიკის სისხლი და სიმდიდრე სხვა ქვეყნებზე არ უნდა დახარჯულიყო. ამ კონტექსტში გასახსენებელია ჯორჯ ვაშინგტონის ცნობილი გამოსათხოვარი მიმართვა, რომელშიც ქვეყნის პირველი **პრეზიდენტი ამერიკელებს ურჩევდა არ გახლართულიყვნენ საგარეო საკითხებში და ამის ნაცვლად ძლიერი ქვეყნის** შენებაზე დაეხარჯათ დრო და ძალისხმევა, თუმცა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ამ ტრენდს ყველა პოლიტიკოსი, დიპლომატი თუ სახელმწიფო მოღვაწე არ ეთანხმებოდა, მაგრამ იგი ყოველთვის რჩებოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

უდავოა, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსისათვის ცნობილი იყო მ. სააკაშვილის ე.წ. პოლიტიკური ცხელსისხლიანობა და ამის შესახებ საუბარიც ჰქონდა ვ. პუტინთან, მაგრამ როგორც მ. ბრაიზა იხსენებს ამერიკელებს და ნატოელ კოლეგებსა სწამდათ, რომ რუსეთი არ იდგა შორს დასავლური ღირებულებებისაგან და ესწრაფვოდა თანამეგობრობის წევრობისაკენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და ამერიკა არ აღმოჩნდა მზად ჰქონოდა ზუსტი პოლიტიკა და გეგმა თუ რუსეთი განახორციელებდა აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ.

აშშ-ის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი (კონდოლიზა რაისი, მ. ბრაიზა და სხვ.) ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს, რომ აფრთხილებდნენ მ. სააკაშვილს არ აჰყოლოდა პროვოკაციებს და დინჯად მისდგომოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს, მაგრამ როგორც ბრაიზა აღიარებს, 2008 წლის მაისში, თეთრ სახლში ნატოელ მოკავშირეებსა და საქართველოს მთავრობასთან ერთად გამართულ დიალოგში, გაცხადდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილისათვის აზრი არ ჰქონდა იმის ჩაგონებას, რომ არ გაეტარებინა ის პოლიტიკა, რისთვისაც ხალხმა ხელისუფლებაში მოიყვანა. „ის ნაწილობრივ ხალხმა აირჩია, იმიტომ რომ ქვეყანა გაეერთიანებინა. ამიტომ გავიაზრეთ, რომ ჩვენი ჩაგონებები, მოთმინებით მჯდარიყო, ნიშნავდა სააკაშვილის და, საზოგადოდ, საქართველოს ჩაყენებას გამოუვალ მდგომარეობაში. ჩვენი მსგავსი პოლიტიკით ის რჩებოდა უმძიმესი არჩევანის წინაშე: ან უნდა დასთანხმებოდა საქართველოს სუვერენული ტერიტორიის და ნაწილობრივ დამოუკიდებლობის დაკარგვას, პარალელურად უნდა გამოსთხოვებოდა ჩრდილოატლანტიკურ თანამეგობრობაში საკუთარი ქვეყნის ხილვის იმედს, ან კიდევ რუსეთთან ომში ჩაბმულიყო“ – შენიშნავდა ამერიკელი დიპლომატი.[21]

მ. ბრაიზას მოსაზრება, რომ ან ომი რუსეთთან ან ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებაში მოხვედრას გამოთხოვება, თითქოს სააკაშვილის მოქმედების ერთგვარ გამართლებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ

[21] ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2018. 10-16 სექტემბერი.

შედეგის თვალსაზრისით, რუსეთთან ომის თეზა კატასტროფული აღმოჩნდა საქართველოსათვის და მეტწილად განაპირობა სააკაშვილისა და მის ხელისუფლების ტრაგედია. დიპლომატიური გეგმა, რომელიც ამ დროს უნდა აემუშავებინათ სააკაშვილის შესაჩერებლად, მარცხისთვის იყო განწირული, რადგანაც ამერიკის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში არსებობდა სხვა შეხედულებაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ანუ რუსეთთან ომის საშუალებით. მ. სააკაშვილს უნდა მოესწრო თავის საპრეზიდენტო ვადაში გადაეწყვიტა ურთულესი პრობლემა – ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა და საქართველოს გაერთიანება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა რუსულმა მხარემ გაისროლა პირველად თუ ქართულმა, ამიტომ ჰქონდა მ. ბრაიზას შემრიგებლური მიდგომა მ. სააკაშვილის მოქმედებისადმი და დასკვნა, რომ სააკაშვილს ბოლოს და ბოლოს, მოუწია პასუხის გაცემამ და კითხვა, რომ „მსოფლიოს რომელი პრეზიდენტი არ უპასუხებდა საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე სეპარატისტულ თავდასხმას?“ მიღებული აღმოჩნდა კატასტროფული შედეგისა გამო და აბსოლუტურად მიუღებელი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და თუნდაც ლოგიკური თვალსაზრისითაც.

უდავოა, აგვისტოს ომი, რუსეთ-საქართველოს შორის ჯერ კიდევ 1802 წელს დაწყებული ომის ბოლო აკორდია. მანამდე საქართველომ გამოიარა: აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთს შორის რუსეთის ომები (1802-1832 წწ., 1805-1810 წწ., რუსეთ-საქართველოს ომი (1991-1993 წწ.). აღნიშნულ ომებს ახლდა სახელმწიფო გადატრიალებებიც. მხოლოდ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში ვერ შეძლო რუსეთმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, თუმცა ის დამთავრდა საქართველოდან კუთვნილი ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დიდი ხნით ჩამოცილებით.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიზეზ-შედეგობრიობის ორიგინალურ თეორიულ ახსნას გვთავაზობს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი, რომელიც წერს: „რუსეთ-საქართველოს ომის 2008 წლის აგვისტოს 5-დღიან მონაკვეთში საქართველომ ბრძოლა კი წააგო, მაგრამ მთლიანობაში იქნა მოპოვებული სტრატეგიული დივიდენდიც, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთგვარი გასაღები ტერმინების „ოკუპანტისა“ და „ოკუპირებული ტერიტორიების“ სახით: 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის ხელში მთავარი კოზირი იყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მოსკოვის მიერ დადგენილი სტატუს-კვო: საერთაშორისო საზოგადოების თვალში კონფლიქტის მხარეებად აღიქმებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატისტული რეგიონების „მთავრობები“, ხოლო რუსეთი, საერთაშორისო მშვიდობისმყოფელ შუამავლად, რომლის გარეშეც ამ რეგიონებში „ბუზსაც ვერავინ ააფრენდა“. შესაბამისად, არც არსებობდა კონფლიქტების ობიექტურად მოგვარების რაიმე შანსი, მაგრამ მანამდე არსებული საქართველოსთვის სრულიად წამგებიანი ეს სტატუს-კვო შეიცვალა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: რუსეთი უკვე არის არა შუამავალი და მშვიდობისმყოფელი გაეროს ეგიდით, არამედ უკვე არის კონფლიქტის მონაწილე მხარე, უფრო მეტიც ოკუპანტიც. წინა პერიოდისგან განსხვავებით, დღეს, მსოფლიოსათვის საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს ამ რეგიონებში რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფება უკანონოდ, ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით. შესაბამისად, საქართველოს აქვს ყველა იურიდიული და მორალური უფლება ნებისამიერი გზით აღადგინოს კანონიერება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში, მიუხედავად გაღებული გარკვეული მსხვერპლის ფასად წაგებული ამ ბრძოლისა, საქართველო პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, მომგებიან მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა რუსეთთან მიმდინარე დიდ ომში".[22]

აღნიშნული მოსაზრება ერთადერთია საქართველოს და საზღვარგარეთულ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში, რომელიც მთლიანად ამართლებს საქართველოს ხელისუფლების მეთაურის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის და მისი გარემოცვის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მიიჩნევს, რომ ეს იყო დროისა და სივრცის გათვალისწინებით ერთადერთი სწორი და პრაგმატული გადაწყვეტილება, მომავლისაათვის, მიუხედავად, მიღებული საქართველოსთვის თავსდატეხილი უმძიმესი შედეგებისა.

რუსეთი საქართველოსთან ყველა ომში მიმართავდა საინფორმაციო-სადაზვერვო ოპერაციებს, მკვლელობებს, საქართველოს ხელისუფლებების ავტორიტეტისათვის ძირის გამოთხრას, ეკონომიკურ ზეწოლას, ადგილობრივი აგრესიული ოპოზიციის მხარდაჭერას, სამხედრო მომზადებას და ა.შ. და ყველაფერი ეს ხდებოდა ომის გამოცხადების გარეშე.

დასავლეთის პოლიტიკურ წრეთა ერთი ნაწილი, რუსეთ-საქართველოს ომიდან ნასწავლი გაკვეთილებიდან გამომდინარე, მხარს უჭერდა ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, მეორე ნაწილს მისი მოხსნა სურდა. გადაიდგა ნაბიჯები უკრაინისა და საქართველოსთვის სამხედრო შეიარაღების გადასაცემად. გამოითქმებოდა მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ საქართველოს 2008 წელს „ჯაველინები" და მსგავსი თავდაცვითი შეიარაღება რომ ჰქონოდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა ქვეყანაში, ხოლო რუსეთი ვერ გაბედავდა უკრაინაშიც შეჭრასაც. მაგრამ ეს აზრი უფრო პოლიტიკური ლირიკის მატარებელია და

[22] კუპრაშვილი ჰ., აგრესორს გამარჯვების შანსი თითქმის არ გააჩნია: აგვისტოს ომისშემდგომი აფხაზური პერიპეტიები დილემის წინაშე. „საქართველოს რესპუბლიკა". #164, ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 2009. ასევე იხ.: კუპრაშვილი ჰ., მოხსენება თემაზე: აგვისტოს რუსული აგრესია – კრემლის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი. სამეცნიერო კონფერენცია „რუსეთ-საქართველო: რამდენად რეალურია ახალი აგრესიის საფრთხე?" პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. 2009 წლის 12 ნოემბერი; Купрашвили Г., Российская августовская агрессия - стратегическое поражение кремлевской политики. Информационно-аналитический портал Грузия Online. 10.02.2010. http://www.apsny.ge/analystics/1265832443.php

შეიძლება თეორიულად მისაღები იყოს, მაგრამ რუსეთი შეუცნობელი სახელმწიფოა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის რუსეთ-საქართველოს ახალი ომის შემთხვევაში ომი ისევ საქართველოს ტერიტორიებზე გაიმართებოდა, საქართველო ვერ დაბომბავდა რუსეთის ტერიტორიას, ომის ეპიცენტრად კვლავ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და უკიდურეს შემთხვევაში თბილისი იქცეოდა. გამალებული შეიარაღება, თუნდაც თავდაცვითი, არ არის საქართველოს უშიშროების მტკიცე გარანტი და ნიშნავს თუ არა მხოლოდ დასავლური ხედვის გამზიარებელი პოლიტიკური ძალების მოსვლა ხელისუფლების სათავეში გარანტირებულ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას ქართველი ხალხის იდენტობის შენარჩუნებას? ეს კითხვები ყოველთვის არსებობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და შემდგომშიც იარსებებს. მითუმეტეს, უაღრესად დამაფიქრებელია, დასავლეთის ბევრი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის რჩევები თუ დარიგებები ამ პრობლემებზე. მითუმეტეს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის ვაჟა თავბერიძის კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, როდის უფრო ახლოს ვიყავით ნატოსა და ევროკავშირის წევრობასთან, დღეს თუ ათი წლის წინ? სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩინებული მცოდნე დიპლომატი მეთიუ ბრაიზა ასე პასუხობდა: „თანამშრომლობის მხრივ დღეს უფრო ახლოს ხართ, მაგრამ წევრობის მხრივ - არა. გარდამტეხი მომენტი ბუქარესტის სამიტზე იყო და ეს პრეზიდენტ პუტინისათვის წითელი ნაჭრის აფრიალებისა ტოლფასი იყო – ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა, რომ მას დროზე უნდა ემოქმედა, რადგან უკრაინა და საქართველო შეიძლება დღეს არა, მაგრამ ხვალ ნატოს წევრებად მოევლინებოდნენ. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ნატო ყოველწლიურად ხელახლა ადასტურებს ამ დაპირებას, ვფიქრობ, გული აღარ მოუწევთ ამისკენ. ჭკვიანური იქნება, თუ იმაზე იფიქრებთ, რეალურად როგორ დაუახლოვდეთ ნატოს და ევროკავშირს, ე.წ. დე-ფაქტო ინტეგრაციას, რაც შეიძლება ღრმად – ეს აჯობებს ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ არენაზე გამართულ პოლიტიკურ ბატალიებსა და გაწევრიანება-არგაწევრიანების პერსპექტივებზე თავის ტეხას“.[23]

ამ კონტექსტში საინტერესოა მოსაზრებები, რომელიც დღს გაისმის უცხოელ და ქართველ პოლიტიკოსთა თუ ანალიტიკოსთა შემოქმედებაში. მაგალითად, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი „ომისა და მშვიდობის ინსტიტუტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა, აცხადებს, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს მაპ-ი უნდა მიეღო, რომელიც მძლავრი სიგნალი იქნებოდა რუსეთისათვის და ვერ გაბედავდა აგრესია განეხორციელებინა სა-

[23] ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2018, 10-16 სექტემბერი.

ქართველოს მიმართ, მითუმეტეს, 2008 წელს უფრო მეტი შანსი არსებობდა საქართველოსა მაპ-ი მიეღო, ვიდრე დღეს.

ქართველი ანალიტიკოსი კორნელი კაკაჩია ფიქრობს, რომ მაპ-ის მინიჭება და გაწევრიანება უნდა მოხდეს ფაქტობრივად, ერთ დღეში, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს რეაგირება მომხდარ ფაქტზე. დასავლეთის მაშინდელ უმოქმედობაზე ამახვილებს ყურადღებას, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილიც.[24]

ცხადია, აღნიშნული მოსაზრებები ანგარიშგასაწევია, მაგრამ მოკლებულია პოლიტიკურ რეალობას სხვადასხვა გარემოებების გამო, მათ შორის უმთავრესია, რომ ნატოს ბლოკში გაერთიანებული ქვეყნების ერთი ჯგუფი ეწინააღმდეგება საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და ამ საკითხში ვეტოს უფლებით სარგებლობს; სამხრეთ კავკასიას და მათ შორის საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, რომლის დათმობას ის არცერთი ვარიანტით არ აპირებს. ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, რუსეთის სამხედრო აგრესია უშუალოდ განხორციელდება არა რუსეთის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე; საქართველო ნატოში უნდა შევიდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე, რაც სამუდამოდ გვაკარგვინებს აღნიშნულ ტერიტორიებს.

ასეთ ვითარებაში დასავლეთში გამოთქმული ყოფილი თუ თანამედროვე პოლიტიკოსების სინანული საქართველოსთან მიმართებით და ქართველი ანალიტიკოსების მიერ ბანის მიცემა, პოლიტიკურ მარჩიელობას უფრო ჰგავს, ვიდრე ობიექტურ თანამედროვე რეალობასთან მიახლოებულ პოლიტიკურ ანალიზს.

რუსეთ-საქართველოს ომის პრობლემას ეხმიანებოდა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ეროვნული უშიშროების ყოფილი მრჩეველი სტივენ ჰედლი. რადიო „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის იხსენებდა სააკაშვილის ვიზიტს თეთრ სახლში და პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრას ოვალურ კაბინეტში. მედიის თანდასწრებით პრეზიდენტმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სააკაშვილის მიმართ მტკიცე მხარდაჭერა გამოთქვა.

„როდესაც მედია ოთახიდან გავიდა და შეხვედრა მთავრდებოდა, პრეზიდენტი ბუში სააკაშვილთან მოვიდა, მკერდზე თითი მიადო და უთხრა, რუსეთი არ გააღიზიანო, მას თავს ვერ გაართმევ და მე ვერ დაგიცავ გეოგრაფიის გამოო“ – აცხადებდა სტივენ ჰედლი.

ამერიკულ გამოცემაში The American Conservation პატრიკ ბიუკენენის ავტორობით ქვეყნდებოდა ანალიტიკური სტატია, სადაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები იყო განხილული. ავტორის მტკიცებით, საქართველოს მიზნებში შედიოდა რუსი მშვიდობისმყოფელების ცხინვალიდან გაძევება და თავისი სეპარატისტული პროვინციის – სამხრეთ ოსეთის კვლავ შემოერთება, როგორც იყო ეს საბჭოურ პერიოდში. თუმცა რუსეთის არმიამ შეძლო დაუყოვნებლივი რეაგირების მოხდენა.

[24] იხ. გაზ.: „რეზონანსი“, 2018 , 22 ნოემბერი.

პ. ბიუკენენი ფიქრობდა, რომ ჯორჯ ბუში უმცროსი ბრძნულად მოიქცა და რუსეთს არანაირი ულტიმატუმი არ წაუყენა და საქართველოში ჯარი არ გაგზავნა, რესპუბლიკური პარტიიდან თავისივე „ქორი“ ოპონენტების საწინააღმდეგოდ, რომელთა რჩევით უფრო ადრე, იგი ერაყის ომში ჩაება და რომელიც მისი პრეზიდენტობის ყველაზე დიდ ჩავარდნად ითვლება“.[25]

მაშინ მაკკეინის ფრთის წარმომადგენლები ცდილობდნენ აშშ-ის სტრატეგია რუსეთის მიმართ ასეთი ყოფილიყო: უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები გამხდარიყვნენ, რომელიც რუსეთს შეაკავებდა და ეს იქნებოდა ამერიკის პოლიტიკის მუდმივი მიმართულება, თუმცა ეს ფრთა არ ითვალისწინებდა ასეთი პოლიტიკის ფასს და მასთან დაკავშირებულ რისკებს.

მართალია, იმ დროისათვის რუსეთი სუსტი იყო, მაგრამ მცირდებოდა აშშ-ის წილი მსოფლიო ეკონომიკაშიც, დეფიციტი თითქმის ტრილიონ დოლარს უტოლდებოდა, მითუმეტეს შინაურებისა და გარეშეებისადმი დახმარება, ეროვნულ ხაზინას აცარიელებდა.

2008 წლის აგვისტოს ომის პერიპეტიები იყო განხილული ამერიკული დიპლომატიის ცოცხალი ლეგენდის, აშშ-ის ყოფილი ელჩის ლიეტუვაში, საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, ჯონ ტეფტის „კვირის პალიტრასთან“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუშიც. ელჩი აღფრთოვანებას გამოხატავდა ქართველი ხალხის მიმართ, ხოლო აგვისტოს ომს მიიჩნევდა რუსეთის ზოგადი სქემის იმ განუყოფელ ნაწილად, რაც უკავშირდებოდა კონტროლის აღდგენას ახლო აღმოსავლეთში. ომი ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. ის მოხდა მაშინ, როდესაც მისათვის ნაკლებად ეცალათ: ბუშის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ერაყსა და ავღანეთზე იყო კონცეტრირებული, მიმდინაორებდა ოლიმპიადა. ჩვენი საელჩოსათვის ეს ნამდვილად არ იყო მოვლენათა მოულოდნელი განვითარება და სრულ ინფორმაციას ვაწვდიდით რუსეთის ქმედებებზე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

რუსეთი რომ ომისთვის ემზადებოდა ეს საყოველთაოდ აღიარებული იყო. სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იხსენებდა საუბარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან, რომელმაც მას პირდაპირ განუცხადა, რომ ისინი მთავრობის ჩამოგდებას აპირდენდნენ. აქედან ცხადი ხდება, რომ რუსეთი გეგმავდა ომის დაწყებას, და ამისთვისა საბაბს ეძებდა, რაც მოხდა კიდევაც. ჯ. ტეფტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებაზე მაშინ შეიძლებოდა საუბარი, თუ რუსეთი ჯარებს გაიყვანდა აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან.[26]

თუ თეორიულ ასპექტში განვიხილავთ ომის დაწყების საკითხს, ანუ ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალის მეორე სახელმწიფოს ტერიტო-

[25] ბიუკენენი პ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 25 სექტემბერი.

[26] ტეფტი ჯ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2018, 17-23 სექტემბერი.

რიაზე შეჭრას, საქართველოს სამხედრო ძალები არ შესულა რუსეთის ტერიტორიაზე. როდესაც ვლაპარაკობთ უშუალოდ 2008 წლის აგვისტოს ომზე, უდავოა ომის დაწყების წუთად უნდა ჩაითვალოს რუსეთის სამხედრო ძალების როკის გვირაბიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლა.

საქართველოს პოლიტიკურ წრეებში მძაფრი კამათის საგანი 2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების საკითი გახდა. სიმართლე რომ ითქვას, ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგ მიმართული პიარული შეტევები ძირითადად უკავშირდებოდა მის ზოგად გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ომი 2008 წლის აგვისტოში, სრულიად ლეგიტიმურმა ნაციონალური მოძრაობის ხელოსუფლებამ დაიწყო.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ აგვისტოს ომის დაწყების საკითხი არაერთხელ იყო წინ წამოწეული ბიძინა ივანიშვილის 2011 წელს გაკეთებულ განცხადებებსა თუ გამოსვლებში, თუმცა ომის დაწყებასთან დაკავშირებით არსებობს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო განცხადება: **„მე გავეცი ბრძანება და ჩემი ბრძანებით ქართული საჯარისო შენაერთები დაიძრნენ ცხინვალისაკენ“**.

რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ხელისუფლება უარს აცხადებდა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე სოხუმისა და ცხინვალის კონფლიქტებში სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავდა გაზეთ „მსოფლიო და საქართველოს“ პოლიტიკის ექსპერტი ბაკურ სვანიძე: „რა თქმა უნდა, რუსეთმა იცოდა, რას აპირებდა სააკაშვილი, მითუმეტეს სახელისუფლებო ტელევიზიები ყოველ ნახევარ საათში მაყურებელს აწვდიდნენ სარეკლამო რგოლებს, რომელშიც იყო მოწოდება საომარი მოქმედებებისაკენ, ხოლო ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნები საინფორმაციო გადაცემებში ირწმუნებოდნენ, რომ მომდევნო ახალ წელს ცხინვალსა და სოხუმში შევხვდებოდით.[27]

მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ორგანიზაციები, გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვები მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო, რომელიც შეეცადა დაებრუნებინა სეპარატისტების მიერ მითვისებული ქართული ტერიტორიები, თუმცა ამას მოჰყვა მძიმე მარცხი და სააქართველოს ტერიტორიების დაკარგვა.

2008 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633-ე რეზოლუციას, რომლის მე-5 პუნქტი შემდეგს გვამცნობდა: „2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალების მიერ, ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით ესკალაცია ახალ, კერძოდ ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა. მძიმე არტილერიისა და კასეტური

[27] სვანიძე ბ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 19-25 სექტემბერი.

ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხდებოდა მისი ტერიტორიის ფარგლებში. ეს იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევა კონფლიქტები გადაწყვიტოს მშვიდობიანი საშუალებებით".

ცხადია, ამ დასკვნით ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო, მაგრამ ქართველ პატრიოტთა ერთი ნაწილი ოპოზიციიდან და არა ოპოზიციადანაც მიიჩნევს, რომ ამ ის აღიარება ქვეყნის ღალატია და სიმართლეს სჯობს სიცრუეში ცხოვრება.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში და საზღვარგარეთულ სამყაროში შექმნილიყო წარმოდგენა, რომ აგვისტოს ომში ხელისუფლების ქმედებანი აბსოლუტურად გამართლებული იყო, თუმცა როგორც ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს, ყოფილმა ხელისუფლებამ, თუნდაც თავის ტერიტორიაზე, მოახდინა სამხედრო ძალის არაპროპორციული გამოყენება, ანუ მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტი გადაეწყვიტა არამშვიდობიანი საშუალებებით.

მოგვიანებით ქართული ოცნების ერთ ნაწილში მოხდა ომის დაწყების ფორმულის ერთგვარი შერბილება და ამჯერად ყოფილი ხელისუფლება დადანაშაულდა, რომ ის წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, ანუ ჩათრეულ იქნა რუსეთ-საქართველოს ომში, რასაც მოჰყვა გამოუსწორებელი და მძიმე შედეგები.

ყოველივე ეს მკვეთრი დისკუსიით საგანი გახდა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილ სალომე ზურაბიშვილსა და ნაციონაური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს შორის ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მიერ. ს. ზურაბიშვილი ქვეყნის ღალატში იქნა დადანაშაულებული, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო და წარმოადგენდა ომის უმძიმესი შედეგებიდან ყოფილი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ჩამოცილდების მცდელობას და სიმართლის თქმის გამო ს. ზურაბიშვილისათვის უმძიმესი და შეურაცხმყოფელი ბრალდებების წაყენებას.

რუსეთი ამ კონფლიქტისათვის ემზადებოდა, ისევე როგორც ემზადებოდა საქართველოც, თუმცა, როდესაც ქვეყნისა თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ომის მიმდინარეობის დროს აცხადებდა, რომ „ჩვენ იმიტომ დავძარით ჯარი ცხინვალისკენ, რომ არ გვეგონა, თუკი რუსეთი სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა ჩვენ წინააღმდეგ", ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო უწყებებს მაშინ „უთავო თავები" მართავდნენ.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ამჟამად სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტის თანამშრომელი კონდოლიზა რაისი, რომელიც 2008 წლის ივლისში თბილისში ჩამოვიდა, მ. სააკაშვილს აფრთხილებდა, რომ თუ რუსები საქართველოში შეჭრას შეეცდებოდნენ, ხელისუფლებას არ უნდა ეპასუხა სამ-

ხედრო საშუალებებით. მისი აზრით, სამწუხაროდ, მაშინ მოხდა შეიარაღებული ინციდენტი სამშვიდობოებსა შორის, რაც რუსებისათვის მათი ქმედებების გამართლებად იქცა.

„ქართველებს ყაზარმებში დარჩენა მართებდათ. მე მათ არ ვამტყუნებ იმის გამო, რაც მოხდა, მაგრამ აშშ-ს არ შეეძლო, გაეკეთებინა ისე, რომ ეს ყველაფერი თავიდან აგვეცილებინა. თუმცა, როდესაც ყველაფერი უკვე მოხდა, ამერიკამ იმდენად სწრაფად იმოქმედა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მათ შორის საქართველოს მილიარდი დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება გამოუყო“ – აღნიშნავდა კ. რაისი.

საინტერესოა ის დეტალიც, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ომის მიმდინარეობის პროცესში შეეხმიანა რუსეთისა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და ასახელებდა ცეცხლის შეწყვეტის პირობებს:

1. ქართველი ჯარისკაცების ყაზარმებში დაბრუნება;
2. საქართველოს მიერ ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;
3. მიხეილ სააკაშვილის ქვეყნის პრეზიდენტობიდან გადაყენება.

როგორც ცნობილია, ამერიკის სახელმწიფო მდივანი დაეთანხმა ს. ლავროვის ორი მოთხოვნის შესრულებას, მაგრამ მესამე პირობა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გაესაჯაროებინა ეს ინფორმაცია და დაეყოლიებინა ცალკეული სახელმწიფოს მეთაურები დახმარება გაეწიათ მ. სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტად დარჩენილიყო.[28]

პარალელურად, საფრანგეთის პრეზიდენტმა შეძლო ოფიციალური შეთანხებისთვისაც მიეღწია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუმცა როგორც კ. რაისი აღიარებს ამ შეთანხმების მიხედვით გაუცხოების ზონა იმგვარად განისაზღვრა, რომ იკავებდა ქართული მიწის 50 კმ-ს სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ. „ჩვენ ეს უნდა გაგვეუქმებინა. ამიტომაც ძალიან კრიტიკულად ვრეაგირებ შენიშვნებზე, იმის შესახებ, რომ აშშ-ს შეეძლო საკუთარი მოქმედებით საქართველოში შეჭრა შეეჩერებინა“.[29]

ამ კონტექსტში საინტერესოა 2008 წლის ომის გარემოებების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელის, შვეიცარიელი დიპლომატის, ჰაიდი ტალიავინის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საომარი მოქმედებები საქართველომ წამოიწყო რუსეთის იმ ქმედებების საპასუხოდ, რომელიც არაერთ თვეს გრძელდებოდა, თუმცა ორივე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა კონფლიქტის ესკალაციაზე და „იმ გამოძიებისა შედეგები 2018 წელსაც აქტუალურია“.

ტერიტორიული კონფლიქტი, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის რა პოზიცია ჰქონდა დაკავებული, ყოველთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. ასეთ ვითარებაში ნებისმიერი სახელმწიფოს მიღებას

---

[28] რაისი კ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.

[29] რაისი კ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.

სამხედრო ბლოკში საშიში კონფლიქტის გამოწვევა შეეძლო. დ. მედვედევი ფიქრობდა, რომ ეს შეიძლება დიპლომატიური ხრიკი იყო – „ჩვენ მიგიღებთ, ნუ ინერვიულებთ, სინამდვილეში კი არაფერს გავაკეთებთ“. მისი აზრით, ეს უკვე სხვა განზომილება ჩანდა და ნატოელ კოლეგებს შეეძლოთ ეფიქრათ კოსოვოსა და ჩრდილოეთ კვიპროსის ნატოში მიღებაზეც, მაგრამ ამით მსოფლიოში ვითარება არ გაუმჯობესდებოდა.[30]

დღეს რუსეთისა და საქართველოს წინაშე დგას პრობლემა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ნიშნავს თუ არა თბილისთან ურთიერთობის სამუდამოდ გაქრობას. ამასთან დაკავშირებით დ. მედვედევი გამოთქვამდა აზრს, რომ მ. სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, შესაძლებელი იყო საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის აღდგენა, მითუმეტეს, დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის მიერ არ იყო გაწყვეტილი. საბოლოო ჯამში საქართველოსთან მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ტურისტული კონტაქტები და ა.შ. ხელს შეუწყობდა პოლიტიკური კონტაქტების ნორმალიზებას და მოსკოვ-თბილისის დიალოგის სრულფასოვან აღდგენას.

2008 წლიდან მოყოლებული, ივლისის ბოლო და აგვისტოს დასაწყისი იყო ის პერიოდი, როდესაც ქართულ და საზღვარგარეთულ სივრცეში, ევროპულ და ამერიკულ მედიაში, პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა შემოქმედებაში ჩნდებოდა მოსაზრებები რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შესახებ. პუბლიკაციების ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, ომი რუსეთის აგრესიათან იყო დაკავშირებული; მეორე ნაწილის მტკიცებით ომის დაწყებაში დამნაშავე იყო საქართველოს ხელისუფლება; მესამე ნაწილი ირწმუნებოდა, რომ ომში კატალიზატორის როლი შეასრულა ამერიკის ადმინისტრაციამ ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის ხელმძღვანელობით, სხვა ნაწილის ვარაუდით, ეს იყო რუსეთისა და ამერიკის პოლიტიკური გარიგების შედეგი და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ყოველი წლის ივლის-აგვისტოში, განსაკუთრებით აქტიურდებიან აშშ-სა და რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო წრეების წარმომადგენლები და ცდილობენ ამტკიცონ, რომ ომის დაწყებასთან მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

ამ მიმართულებით მსჯელობამ ცხოველი ხასიათი მიიღო ომის მეათე წლისთავზე, როდესაც „ამერიკის ხმამ“ დაგეგმა ინტერვიუ პრეზიდენტ ბუშის ყოფილ მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში – სტივენ ჰედლისთან, რომელმაც 2008 წლის მოვლენებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რაც რონალდ ასმუსის გახმაურებულ წიგნში „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ – არის აღნიშნული.

სტივენ ჰედლი იყო, თეთრ სახლში, 2008 წლის 11 აგვისტოს, გამართული თათბირის აქტიური ინიციატორი და მონაწილე, სადაც განიხილებოდა როკის გვირაბზე, ამერიკული ავიაციის მიერ, შესაძლო იერიშის მიტანის საკითხი. როგორც კონდო-

[30] მედვედევი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.

ლიზა რაისი იგონებს, თავის მემუარებში ჰედლი იყო ის პიროვნება, რომელმაც დასვა კითხვა – მზად იყო ამერიკა საქართველოს გამო რუსეთთან ეომა?

ჰედლს ეკუთვნის, თეთრ სახლში, სააკაშვილსა და ბუშს შორის შეხვედრის შემდეგ იმ ფაქტის დაფიქსირება, როდესაც თათბირის შემდეგ პრეზიდენტი ბუში სააკაშვილთან მივიდა, მკერდზე თითი მიადო და უთხრა: „რუსეთი არ გააღიზიანო, რუსეთს თავს ვერ გაართმევ, მე რუსეთისგან ვერ დაგიცავ გეოგრაფიის გამო“.

დაახლოებით მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული მემუარებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისსაც, რომელიც მ. სააკაშვილს აფრთხილებდა რუსებისათვის არ მიეცა პროვოცირების საშუალება, არ ჩაედინა სისულელე, არ ჩაეთრია რუსეთის შეიარაღებული ძალები, თორემ ვერავინ დაეხმარებოდა და საქართველო დამარცხდებოდა.

ამ მოსაზრებას იზიარებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე – მეთიუ ბრაიზაც. როგორც გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გვამცნობს, იმავეს იმეორებენ ომის პროცესში ჩართული ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნებიც. მაგალითად, 2008 წლის სექტემბერში ირაკლი ოქრუაშვილი იხსენებდა, 2005 წლის მაისში, პრეზიდენტ ბუშის დარიგებას, რომ საქართველო არ უნდა ჩართულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში, რადგან ამერიკა სამხედრო გზით დახმარებას ვერ შეძლებდა.[31]

თუმცა, როგორც მოგვიანებით შენიშნავდა მეთიუ ბრაიზა, ომის დროს ზოგიერთ ქართველ მაღალჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ამერიკელები სამხედრო დახმარებას არ აღმოუჩენდნენ საქართველოს, ცხადია, მათ შორის იყო უმაღლესი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილიც.

საქართველოს ხელისუფლების გამართხილებელ განცხადებას აკეთებდა აშშ-ის ელჩი ეუთოში – ჯული ფინლი, რომელიც 2006 წლის თებერვალში მოუწოდებდა საქართველოს პარლამენტს სიფრთხილით მოჰკიდებოდა შერეული სამშვიდობო ძალების ეფექტურობის საკითხის გადაწყვეტას, რადგან მათ გაყვანას, ჩანაცვლების გარეშე შეიძლება დესტაბილიზაცია გამოეწვია.

იმავე წლის ივნისში, მეთიუ ბრაიზა აფრთხილებდა საკანონმდებლო ხელისუფლებას არ მიეღო ემოციური და კონფრონტაციული რეზოლუცია აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შესახებ, თორემ არც აშშ, არც მეგობართა ჯგუფი და არც გაერო საქართველოს მხარს არ დაუჭერდა.

2006 წლის სექტემბერში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პიტერ სემნების თქმით, დასავლელი პარტნიორები სააკაშვილისგან მოითხოვდნენ, გაეროს გენასამბლეაზე გამოსვლისას, ზომიერება გამოეჩინა და რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის კონკრეტული ვადები არ დაესახელებინა.

---

[31] ოქრუაშვილი ი., გაზ.: „საქართველო და მსაოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.

საერთაშორისო პოლიტიკური, სახელმწიფო და სხვა წრეების მაღალჩინოსნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ა.შ. მსგავს განცხადებებს აკეთებდნენ 2006, 2007 და 2008 წლებშიც.

2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ კომენტარს აკეთებდა სერგეი ივანოვი, რომელიც 2007 წლის თებერვლამდე რუსეთის თავდაცვის მინისტრი იყო; 2008 წლის აგვისტოში – რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი. გაზეთ „კომერსანტთან" მიცემულ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ საქართველოსათან ომის დროს არსებობდა გეგმა, თუმცა ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიმდინარეობდა. მისი აზრით, თბილისი აღება არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით გეგმის ნაწილს არ შეადგენდა. მაგრამ რუსეთის ამოცანა იყო საქართველოს არმიისათვის ისეთი დარტყმა მიეყენებინა, რომ მომავალში მსგავსი ავანტიურა არ გაემეორებინა.

ს. ივანოვის აზრით, მიხეილ სააკაშვილის სიტყვა და საქმე იმ ხანებში ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მაგრამ ამერიკელები გვამშვიდებდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ იგი სამხედრო ავანტიურაზე არ წავიდოდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი პრივატულ საუბრებში სულ ასე ამბობდა: „სერგეი, ნუ ღელავთ, იგი წითელ ხაზს არ გადაკვეთს".[32]

ანალოგიურ განცხადებას აკეთებდა რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი გაზეთ „კომერსანტთან" ინტერვიუში. მისი აზრით, ომის არანაირი გარდაუვალობა არ არსებობდა და ეს იყო მიხეილ სააკაშვილის და მისი გარემოცვის სუბიექტური არჩევანი. თავიდან არსებობდა შესაძლებლობა საქართველო შენარჩუნებულიყო ისეთ საზღვრებში, როგორიც იყო ფედერაცია, კონფედერაცია თუ კიდევ სხვა რაღაც. მაგრამ შემდგომში მოხდა ურთიერთობების გაცივება. როგორც ჩანდა, სააკაშვილს უკვე ჰქონდა სრულმასშტაბიანი კონსულტაციები თავისა მფარველებთან – ამ შემთხვევაში ამერიკისა შეერთებულ შტატებთან.

დ. მედვედევი მაშინ თვლიდა, რომ მ. სააკაშვილს ახლო კონტაქტები ჰქონდა ამერიკის ადმინისტრაციასთან. თბილისში ჩამოვიდა ამერიკის პრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი კ. რაისი. საქართველოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დენიელ ფრიდთან, სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან, რომელსაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობა ევალებოდა. ფრიდი სოვეტოლოგი იყო და ყოველთვის უკიდურესად რუსოფობიური პოზიცია ჰქონდა. თბილისში იყო ჩასული დიკ ჩეინი – იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტი და მას, როგორც ჩანდა, ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ამერიკელები ყველა შემთხვევაში მხარს დაუჭერდნენ.

როგორც ჩანს, გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე უშუალოდ მისი გადაწყვეტილება იყო, რომელიც შეთანხმდა რუსეთისა პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან და უშიშროების საბჭომაც მოიწონა. ხოლო 2008 წლის

[32] ივანოვი ს., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". 2018, 21 აგვსიტო.

26 აგვისტოს ხელი მოეწერა ბრძანებულებას აფაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარების შესახებ.[33]

რუსულ საზოგადოებაში ამ საკითხის გადაწყვეტა არ მომხდარა დისკუსიების გარეშე და ის მიმდინარეობდა პრესაში, ინტერნეტ სივრცეში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში. მაშინ და ახლაც არსებობდა და არსებობს მოსაზრებები, რომ რუსეთს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ უნდა ეღიარებინა, და უმჯობესი იყო „ჰაერში ჩამოკიდებულიყო". ჯარები შეეყვანათ, მაგრამ ამ თემაზე საქართველოსთან მოლაპარაკებისთვის და მასთან ურთიერთობის აღდგენისათვის შესაძლებლობა დაეტოვებინათ.

დ. მედვედევი აღიარებდა, რომ დისკუსიები მართლაც მიმდინარეობდა, და ამის შესახებ „ჩამოკიდებულ" გადაწყვეტილებას ალბათ ჰქონდა აზრი, მაგრამ რუსეთის ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ, რომ საქართველოს ფსიქიკურად დაუბალანსებელი მიხეილ სააკაშვილი მართავდა. იქ, რომ სხვა ხელმძღვანელი ყოფილიყო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მსჯელობა, სხვა ხელმძღვანელი ასეთ უმსგავსო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, არ დაესხმებოდა თავს ბავშვებს და მოხუცებს. რუს მშვიდობისმყოფელებს და არ გამოუცხადებდა ომს, საბოლოო ჯამში, რუსეთის ფედერაციას.[34]

ცხადია, დ. მედვედევის ამ მოსაზრებას უკრიტიკოდ არ იღებდა საქართველოს საზოგადოებაში. მ. სააკაშვილის შეცდომები აშკარა იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში მ. სააკაშვილი ქართველმა ხალხმა იმიტომაც აირჩია პრეზიდენტად, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, სხვა საკითხია თუ როგორი სტრატეგიული კურსი და ტაქტიკა აირჩია მან პრობლემის მოსაგვარებლად.

დ. მედვედევი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ დასავლეთის ხისტი რეაქციის მიუხედავად, საბოლოო ჯამში მოხერხდა მსოფლიო საზოგადოების დარწმუნება სიმართლეში, მოხდა დასავლეთთან შეთანხმება. ჰაიდი ტალიავინის კომისიამ გააკეთა იმის კონსტატაცია, რომ სამხედრო დარტყმა სააკაშვილმა განახორციელა და რომ აგრესია სწორედ მისგან მოდიოდა. დაიწყო „პარტნიორობა მოდერნიზაციისათვის" ევროკავშირთან, მოხდა ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვა".

დ. მედვედევი იმასაც იხსენებდა, რომ 2008 წლის ბოლოს შეხვედრის დროს ნორმალური ურთიერთობა დამყარდა ჯორჯ ბუშთან. საუბრის დროს მას საერთოდ არ უხსენებია არც საქართველოს ვითარება და არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამად პრემიერ-მინისტრი შეშფოთებას გამოთქვამდა ნატო-საქართველოს ურთიერთობების გამო. მისი აზრით, საქართველო მომიჯნავე ტერიტორიას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. რუსეთის თვალსაზრისით კი სახელმწიფოებს, თავისად განიხილავდა ე.ი.

---

[33] მედვედევი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა", 2018, 9 აგვისტო.

[34] ივანოვი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა", 2018, 9 აგვისტო.

არსებობდა მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტი იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის რა პოზიცია ჰქონდა დაკავებული.

სხვათა შორის, როგორც გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გვამცნობდა, 2013 წლის აგვისტოში რუსეთის პრემიერ-მინისტრი მედვედევი გამორიცხავდა ამერიკის დესტრუქციულ როლს აგვისტოს ომის მომზადებასა და განვითარებაში. ამერიკას ძალიან მძლავრ სახელმწიფოს, ჰქონდა თავისი ინტერესები, მაგრამ მისი აზრით, საეჭვო იყო აშშ-ის ინტერესებში იჯდა ერთობლივი, სწორხაზოვანი გეზი საკაშვილთან, რომელიც ასე სამარცხვინოდ დასრულდა.[35]

უკვე აგვისტოს ომიდან 5 წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში მ. საკაშვილი ამერიკული ვერსიის საპირისპირო განცხადებით გამოვიდა. ის ახმოვანებდა, რომ 2008 წელს, ამერიკის მიერ ჰუმანიტარული მისიით შემოსულ ხომალდზე მარტო სასმელი წყალი არ ყოფილა და იქ სამხედრო ტექნიკაც იგულისხმებოდა რაკეტების სახით. ამაში მ. საკაშვილი ცდილობდა ამერიკის ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი დაემოწმებინა.

მ. საკაშვილის მიერ „რუსათავი 2“-ის ეთერში გახმოვანებული სკანდალური ინფორმაცია ეხებოდა ომის ყველაზე ბუნდოვან ეპიზოდებს, მათ შორის იმის აღიარებას, რომ ამერიკის მეექვსე ფლოტი საქართველოში მხოლოდ წყლის ჩამოსატანად არ მოდიოდა. დ. ჩეინის ინფორმაციაზე დაყრდნობით მ. საკაშვილი აღიარებდა, რომ ვაშინგტონში სერიოზულად იხილებოდა როკის გვირაბის დაბომბვა და წუხდა, რომ ეს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.[36]

არსებობს ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ჯ. ბუში მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ იმავდროულად პენტაგონი განკარგულებას აძლევდა მეექვსე ფლოტის ხომალდებს დაძრულიყვნენ ბოსფორისაკენ, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებდა ოფიციალურ კონსულტაციებს თურქეთის ხელისუფლებასთან ხომალდების გატარებაზე.

ინტერვიუში ხმოვანდებოდა ამერიკის მეექვსე ფლოტის უფროსის აღიარება იმის შესახებაც, რომ ხომალდებს შეეძლოთ დოკუმენტის გარეშეც გაევლოთ, ჰქონდათ საკმარისი რაკეტები ყველა რუსული თვითმფრინავის ჩამოსაყრელად და საფრენი ზონის შესაქმნელად საქართველოს თავზე. ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სარაკეტო კრეისერი გამოემართა რუსეთის საჰაერო ძალებისა და ფლოტის გასანადგურებლად. ამერიკული თვითმფრინავები გადმოფრინდნენ რუმინეთში, საჰაერო ბაზაზე. სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს თურქეთის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზა ევროპაში. მზადყოფნა გამოცხადდა ნატოსა სივ-

[35] ნემსაძე ლ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.

[36] მონიავა დ., მიხეილ საკაშვილის მესამე მსოფლიო ომი. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 24-30 აპრილი.

რცეშიც, მაგრამ მ. სააკაშვილის აღიარებით ეს იყო დაგვიანებით.[37]

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკური მიმომხილველი, ანალიტიკოსი დ. მონიავა შენიშნავდა, რომ გამორიცხული არ იყო მ. სააკაშვილი თავისი ტელემემუარებით ამერიკელებს მიანიშნებდა, რომ აგვისტოს ომზე ამერიკელების როლის სკანდალურ ინფორმაციებს გაახმოვანებდა.

„ჩვენ არ გვაქვსა საკმარისი ფაქტები იმისთვის, ერთმნიშვნელოვნად ვამტკიცოთ, რომ სააკაშვილმა ამ შემთხვევაში შანტაჟის ტაქტიკა აირჩია, მაგრამ ზოგიერთმა მონაკვეთმა მისი გამოსვლიდან შეიძლება ამ ვერსიის განვითარებისაკენ გვიბიძგოს“ – წერდა დ. მონიავა.[38]

როგორც ჩანდა, სააკაშვილი უკავშირებდა ამერიკული ძალებისა გადაადგილებას არა ჰუმანიტარულ, არამედ საამხედრო-პოლიტიკურ აქციას და ვითარებას აღწერდა ისე, თითქოს საქმე ეხებოდა კუნთების თამაშს კარიბის კრიზისის სტილში, რაც ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციას არსებითად ეწინააღმდეგებოდა. აშშ უძლიერესი ზესახელმწიფო იყო და არ ერიდებოდა ძალის დემონსტრირება მოეხდინა, ან მოკავშირისათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა საჭიროებისამებრ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოფიციალური ვერსიით ხდებოდა მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებაზე აქცენტირება. ამიტომ ისიც არ არის გამორიცხული, რომ მ. სააკაშვილი არ ამბობს სიმართლეს ან ამერიკელებს თვითონ სურთ საქმე ასე წარმოაჩინონ, თავისი ავტორიტეტისა და გავლენის განსამტკიცებლად.

თუ ჩეინის ფრაზის სააკაშვილისეულ ვარიანტს გავახმოვანებთ, რომ ამერიკულ ხომალდზე წყალი არ იყო და რაკეტები ეწყო, ეს ადადასტურს, რომ ამერიკელებმა საქართველოს შეიარაღება ჩამოუტანეს და რუსეთის გასაგონად ძალის დემონსტრირება მოახდინეს. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ხომალდზე მართლაც იყო წყალი, მაგრამ იქ, როგორც ჩანს, წყალთან ერთად იყო სხვა საიდუმლო ტვირთი. რაც დამალული არ აღმოჩნდა რუსეთისათვის და 2008 წლის 26 აგვისტოს დაადასტურა რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და განაცხადა: „ის, რასაც ამერიკელები ჰუმანიტარულ ტვირთს უწოდებენ, მათ, რა თქმა უნდა, იარაღი შემოაქვთ. ჩვენ არაფერს ვეწინააღმდეგებით“. ბუნებრივია, თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ტონი ფრატო უარყოფდა ამ მოსაზრებას და მას „შეუსაბამოს“ უწოდებდა.

აშშ-ის მიერ საქართველოსთვის, რეალურად კონკრეტული სამხედრო დახმარებისა საკითხი შეიძლებოდა განხილულიყო თეორიულ ასპექტში, თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ ჩეინი და მისი ფრთა საქართველოს ხელისუფლებას და, კერძოდ, მის ლიდერს აიმედებდა, რომ დახმარებას გაუწევდნენ ომში, მაგრამ პრაქტიკულად ამის შესაძლებლობა ვაშინგტონის მოაზროვნე უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში გამორიცხული

[37] მონიავა დ., მიხეილ სააკაშვილის მესამე მსოფლიო ომი. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 24-30 აპრილი.

[38] მონიავა დ., მიხეილ სააკაშვილის მესამე მსოფლიო ომი. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 24-30 აპრილი.

იყო. იმ მოტივაციით, რომ ეს ნიშნავდა მესამე მსოფლიო ომის ფანჯრებთან ძალიან ახლოს მისვლას. ასეთ ვითარებაში კი სრულიად გაუგებარია და აუხსნელი მ. სააკაშვილის ფრაზა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ეს (დაბომბვა) გადაწყვეტილება არ მიიღეს“.

უბრალოდ, აზრს მოკლებულია ფიქრიც კი იმის შესახებ, რომ ერთ ამერიკულ ხომალდს შეეძლო რუსეთის მთელი ფლოტის, ავიაციისა და სამხედრო ძალების განადგურება. მითუმეტეს, ასეთ შემთხვევაში, რუსეთი უკან არ დაიხევდა გამოეყენებინა ბირთვული იარაღი, ყველაფერი ეს კი მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საშინელ კატასტროფას მოუტანდა სამხრეთ კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობას.

გამორიცხული არ არის დიკ ჩეინი შეიძლება იყოს ის პოლიტიკური ფიგურა, ამერიკის ადმინისტრაციიდან, რომელმაც უაღრესაად უარყოფითი როლი შეასრულა 2008 წლის აგვისტოს ომის მომზადებასა და მიმდინარეობაში, საქართველოს ხელისუფლების და პირადად მ. სააკაშვილის ჩაბმაში. დ. ჩეინი და მისი გარემოცვა მ. სააკაშვილს შეუსაბამო მოლოდინებს უქმნიდა, არწმუნებდა მას დახმარებაში. ამ კონტექსტში საინტერესო და გააზრებულ ინფორმაციას გვაწვდის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ჩინებული ანალიტიკოსი ლინკოლნ მიტჩელი. „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის ბრძანებს: მათ რეალურად შეეძლოთ მოეძებნათ ვაშინგტონში ადამიანები, რომლებისგანაც შეიტყობდნენ იმას, რის გაგებაც სურდათ. ალბათ, ასეც იყო. რა დონეზე იყვნენ ისინი, ვინც ასეთ სიგნალებს იძლეოდა, არ ვიცი. იყო ეს აშშ- ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი? – არ ვიცი. იყო ვინმე დიკ ჩეინის აპარატიდან? – შესაძლებელია. იყო რომელიმე ეროვნული უშიშროების საბჭოდან? – ესეც შესაძლებელია. იყო ეს კონდოლიზა რაისი? – არა. იყო ეს ჯორჯ ბუში? – არა. იყო ეს მაშინდელი ელჩი საქართველოში – ჯონ ტეფტი? – არა.[39]

უფრო ადრე, 2014 წლის აგვისტოში ამერიკული გამოცემა Foreign Policy – აქვეყნებდა ამერიკელი ექსპერტის ლინკოლნ მიტჩელის სტატიას „სააკაშვილს არ სჭირდება მეგობრების მცირე დახმარება“, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება მიხეილ სააკაშვილისათვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით.

ლ. მიტჩელი განმარტავდა, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისათვის ბრალის წაყენებას საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც 2014 წლის ივლისში გაცხადდა ლოსანჯელესში ეხმაურებოდნენ ამერიკელი სენატორები, მათ შორის ჯონ მაკკეინი და საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებდნენ, რომ მ. სააკაშვილისთვის ბრალდების წაყენებას სასამართლო წესით, შესაძლოა საფრთხე შეექმნა აშშ-საქართველოს ურთიერთობისათვის.

„საქართველოსა ხელისუფლება არჩევანის წინაშე იდგა – შიდაპოლიტიკური მოთხოვნები უნდა შეესრულებინა ან დაეკმაყოფილებინა უცხოელი მოკავშირეების სურვილი. საბოლოოდ, საქართველომ უცხოელი

[39] მიტჩელი ლ., ციტ. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.

მხარდამჭერების პრეფერენციებს და მოთხოვნებს კანონის უზენაესობა ამჯობინა“ – ნათქვამი იყო აღნიშნულ სტატიაში.

ამერიკელი პოლიტიკოსი მიუთითებდა, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ურთიერთობებისათვის საფრთხის შექმნის ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა თუ მისი მხარდამჭერები მის მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლიდნენ.

„მათ სჯეროდათ, რომ სააკაშვილი ჭეშმარიტი დემოკრატი იყო, მაგრამ როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამავდროულად, მას შეეძლო ძალადობისა და ძალაუფლებისა ბოროტად გამოყენება, მიმართავდა ავ ტორიტარულ მეთოდებს“ – აღნიშნავდა სტატიაში ლ. მიტჩელი.

როგორც ცნობილია, ამ მეთოდებმა საქართველოსა საშინაო და სააგარეო პოლიტიკაში დამანგრეველი შედეგები მოუტანა. თურქეთის საახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, „სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურად ყველაზე აქტიური ქვეყანა“, თურქეთის გირესუნის უნივერსიტეტის პროფესორი გექ თურქ თიუსუზოღლუ აღნიშნავდა, რომ ნატოში გაწევრიანების აქტიურმა მომხრემ, ანტირუსული პოლიტიკით საქართველო 2008 წლის ომამდე მიიყვანა და თავისი ქვეყანა ფაქტიურად სამ ნაწილად გაყო.[40]

უდავოა, საქმე გვაქვს საინტერესო მინიშნებებთან ისეთი დიპლომატისა და პოლიტიკოს-ანალიტიკოსისაგან, რომელიც არ შეიძლება სარწმუნო არ იყოს. სხვა მხრივ მ. საკაშვილს ამერიკის სხვადასხვა სტრუქტურაში და საგანმანათლებლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, ამიტომ ამ საკმაოდ ნიჭიერ, მაგრამ სხვადასხვა უცნაურობებითა და წინააღმდეგობებით შეპყრობილ ადამიანს აუცილებლად უნდა ეცადა თავისი რესურსები გამოეყენებინა ამერიკის ადმინისტაციასა და შესაძლოა სპეცსამსახურებშიც კუთვნილი ადგილის დასაკავებლად. მას სჭირდებოდა ამერიკის მაღალი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წრე დასახული მიზნის მისაღწევად. ამერიკის ადმინისტრაციასაც სჭირდებოდა ახალგაზრდა, დასავლური ორიენტაციის პიროვნება ორ – თუ სამსახოვანი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის საბოლოოდ ჩამოსაცილებლად საქართველოს პოლიტიკური არენიდან. შევარდნაძეს პოლიტიკური მსახიობობა დამთავრებული ჰქონდა და რა მოუტანა მან ბედკრულ საქართველოს საყოველთაოდ ცნობილია.

მიხეილ სააკაშვილი მივიდა ამერიკასათან. ამერიკამ მიიღო სამშობლოში არსებული სისტემისაგან საკმაოდ განაწყენებული ახალგაზრდა კაცის შეთავაზებანი. ამერიკამ და სააკაშვილმა ერთმანეთს გაუგეს. ნიშანდობლივია, რომ ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთი საკმაოდ ნიჭიერი წარმომადგენლის, შემდგომში ცნობილი მკვლევარ-ანალიტიკოსის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯოზეფ ნაის გახმაურებულ წიგნში „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის

[40] გექთურქ თიუსუზოღლუ, ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 21 ნოემბერი.

მიღწევის საშუალება“[41] მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოეთის სისტემის ცნობილი დამანგრევლების, მიხეილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის თანამოაზრე იყო საბჭოეთის პოლიტბიუროს წევრი და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წამყვანი მდივანი ალექსანდრე იაკოვლევი, რომლის გადმობირება („დავერბოვკება“) მოხდა კოლუმბიის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის დროს ერთ-ერთი, სპეცსამსახურებთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პროფესორის მიერ.

როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების პოლიტიკურ წრეებში და სპეცსამსახურებში მონავარდე მიხეილ სააკაშვილი იმდენად გატაცებული იყო მიზნის მალე მიღწევის საურვილით, რომ დაუფიქრებლად, მაგრამ ღრმა ექსტაზით, საუბრობდა იმის შესახებ, რომ 2007 წლის მიწურულში ქართველები ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გაატარებდნენ. „შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ, ჩვენ შინ (აფხაზეთში - ი.კ.) დავბრუნდებით, მე ამას გპირდებით და ამის გარანტიას ვიძლევი, არასოდეს აქამდე ასე კონკრეტულად არაფერი მითქვამს“ – უცხადებდა პრეზიდენტი დევნილებს 2007 წლის 28 ნოემბერს.

„5 იანვარს ყველაფერი კარგად ჩაივლის და ჩვენ, ყველანი, მივიღებთ ბილეთს თბილისი-სოხუმის მატარებელზე“ ეს, 2007 წლის 1 დეკემბერს ითქვა ვარკეთილში წინასაარჩევნო კონცერტზე. 2007 წლის 4 დეკემბერს კი სტუდენტებთან შეხვედრაზე მ. სააკაშვილი ასეთ დაპირებას იძლეოდა: „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და დარწმუნებული ვარ, 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირებისა და თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარმწუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს“. „რუსებს წამოცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ. ეს მათ წამოსცდათ“.

რუსეთის ლიბერტანიანელთა იდეებით მოწამლულმა კრემლის მიერ ხაფანგში გაბმულმა, და ამერიკის ადმინისტრაციის ერთი ჯგუფის მიერ დაიმედებულმა პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ დაიწყო სვლა 2008 წლის აგვისტოს ომისაკენ ლოზუნგუთ: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

[41] Joseph S. Nye, Soft Power. New York, 2004; Kennan, Eisenhower, and musician are quoted in Yale Ricmond, Cul tural Exchange and the Cold War (University Park: Pennsylvania State University ty Press, 2003), pp. 123, 124, 127.

იგორ კვესელავა

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გააზრების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და საერთაშორისო სივრცეში

რეზიუმე

წინამდებარე პუბლიკაციაში განხილულია რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შესახებ არსებული ცალკეული ნაშრომები, სტატიები, წერილები, ინტერვიუები, ინფორმაციები, პოლიტიკოსთა, დიპლომატთა, პუბლიცისტთა ნააზრევი და შეხედულებები. ცხადია, ისინი არაერთგვა-როვანია პრობლემის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების თვალსაზისით, მაგრამ მკითხველს მაინც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის რუსეთ-საქართველოს ომის ურთულეს პროცესებსა და შედეგებზე.

IGOR KVESELAVA

SEVERAL ISSUES OF RUSSIA-GEORGIA AUGUST WAR OF 2008 FOR UNDERSTANDING IN GEORGIAN AND INTERNATIONAL SPACE

Summary

In the presented publication there are discussed some individual works, articles, letters, interviews, information, opinions of politicians and diplomats about the August war of 2008.Obviously, they are ambiguous in terms of political-legal assessment of the problem, but they will help reader to have some idea of the serious processes and consequences of the Russian-Georgian war.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბაშვილი ა., გაზ.: „რეზონანსი“, 2011, 26 ოქტომბერი.
2. ასმუსი რ., „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, თბ., 2010.
3. ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 3-9 ივნისი.
4. ნორლანდი რ., გაზ.: „ახალი თაობა“. 2013, 6 აგვისტო.
5. სოროსი ჯ., ციტ. გაზ.: „ახალი თაობა“, 2014, 3 დეკემბერი.
6. გაზ.: „ახალი თაობა“, 2013, 27 დეკემბერი.
7. სარკოზი ნ., ციტ. გაზ.: „რეზონანსი“. 2016, 18 ივნისი.
8. ტერნერი მ., გაზ.: „რეზონანსი“, 2016, 1 ივლისი.
9. ლავროვი ს., ციტ. გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2013, 15-21 აპრილი.
10. სარკოზი ნ., ციტ. გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2012, 3-9 სექტემბერი.

11. იხ.: მარკოვი ს., „სააკაშვილს ომის დაწყება მაკკეინმა და ჩეინმა აიძულა, რადგან ეს რეიტინგისათვის სჭირდებოდათ“. გაზ.: „ახალი თაობა“, 2016, 16 აგვისტო.
12. ჩოჩიევი ა., გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018.
13. იხ. პილარ ბონეტი, გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013 , 14-20 აგვისტო.
14. მაილსი რ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2016, 23-29 მარტი.
15. ალიევი ი., იხ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 19 აპრილი.
16. ფრიდი დ., გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016, 30 აგვისტო.
17. როჯერსი ჯ., მითითებული სტატია, ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 7 აგვისტო.
18. ბრაიზა მ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2018. 10-16 სექტემბერი.
19. კუპრაშვილი ჰ., აგრესორს გამარჯვების შანსი თითქმის არ გააჩნია: აგვისტოს ომისშემდგომი აფხაზური პერიპეტიები დილემის წინაშე. „საქართველოს რესპუბლიკა“. #164, ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 2009.
20. კუპრაშვილი ჰ., მოხსენება თემაზე: აგვისტოს რუსული აგრესია - კრემლის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი. სამეცნიერო კონფერენცია „რუსეთ-საქართველო: რამდენად რეალურია ახალი აგრესიის საფრთხე?“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. 2009 წლის 12 ნოემბერი;
21. Купрашвили Г., Российская августовская агрессия - стратегическое поражение кремлевской политики. Информационно-аналитический портал Грузия Online. 10.02.2010. http://www.apsny.ge/analystics/1265832443.php
22. იხ. გაზ.: „რეზონანსი“, 2018 , 22 ნოემბერი.
23. ბიუკენენი პ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 25 სექტემბერი.
24. ტეფტი ჯ., გაზ.: „კვირის პალიტრა“, 2018, 17-23 სექტემბერი.
25. სვანიძე ბ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 19-25 სექტემბერი.
26. რაისი კ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.
27. მედვედევი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.
28. ოქრუაშვილი ი., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.
29. ივანოვი ს., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. 2018, 21 აგვსიტო.
30. მედვედევი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.
31. ივანოვი დ., ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 9 აგვისტო.
32. ნემსაძე ლ., გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.
33. მონიავა დ., მიხეილ სააკაშვილის მესამე მსოფლიო ომი. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 24-30 აპრილი.
34. მიტჩელი ლ., ციტ. გაზ.: „საქართველო და მსოფლიო“, 2018, 8-14 აგვისტო.
35. გექთურქ თიუზოღლუ, ციტ. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 21 ნოემბერი.
36. Joseph S. Nye, Soft Power. New York, 2004.

✍ ედიშერ გვენეტაძე

ზოგიერთი საკითხი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური ანატომიიდან

1917 წელს რუსეთში ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მოხდენა. ამისათვის მათ შექმნეს ხელმძღვანელი ორგანო კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი). მაგრამ როდესაც ვერ განხორციელდა მათი ჩანაფიქრი, ტვინცხელმა რევოლუციონერებმა დაიწყეს სოციალიზმის მშენებლობა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში რუსეთში, თუმცა ამისათვის ამ ქვეყანაში შესაბამისი პირობები არ არსებობდა [1. 29-33].

რუსული სოციალისტური რევოლუციის გადარჩენის საქმე თავის თავზე აიღო ი. სტალინმა, რომელმაც მიზანდასახულად აიღო ხელთ იგდო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის სადავეები. ამ პროცესს დაუპირისპირდა მაშინდელი ე.წ. მემარჯვენე ოპოზიცია, რომლის სათავეში იდგნენ რუსული რევოლუციის ტრიბუნები: ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, კამენევი. ანუ როგოც მაშინ უწოდებდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია.

ბოლშევიკურმა პარტიამ რომლის სათავეშიც იდგა ი. სტალინი, კურსი აიღო რუსეთის ინდუსტრიულად გარდაქმნაზე, ვინაიდან საწინააღმდეგო შემთხვევაში გორელი მეწაღის შვილმა კარგად იცოდა, რომ მას და მის დაწყებულ საქმეს „გასრესა“ (სტალინის ტერმინია) ელოდებოდა. ამიტომაც მან ფაქტობრივად თავის მომხრეებთან ერთად დაიწყო იმ ამოცანის გადაჭრა, რომელიც უნდა გაეკეთებინა რუსულ ბურჟუაზიულ რევოლუციას. ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო მოდერნიზებული ფორმით ანუ ამ შემთხვევაში წარმოების საშუალებები თავმოყრილი იქნა სახელმწიფოს ხელში. თავდაპირველად ამ ამოცანის გადაწყვეტა სცადა ვ. ლენინმა. მან ეკონომიკის განვითარებისათვის დაუშვა ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც სცნობდა კერძო საკუთრებას და კერძო ინიციატივებს. მაგრამ უკვე 1928 წლისათვის აშკარა გახდა, რომ თავისუფალი გაცვლა სოფელსა და ქალაქს შორის არ იძლეოდა საშუალებას დაგროვების და, მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის ფორსირებას.

1920-იანი წლების ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ უარი ეთქვათ ნეპზე და სოფელი გადაეყვანათ კოლექტივიზაციის რელსებზე [2] საბოლოოდ რუსეთში შეიქმნა გლეხობის ექსპლუატაციის სახელმწიფო-ფეოდალური მექანიზმი [3. 159-160].

ამისათვის სტალინმა მოხერხებულად წამოაყენა ხუთწლიანი გეგმური

ეკონომიკის პრინციპები, სადაც პრიორიტეტად გამოცხადებული იქნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ამ პროცესში მას მხსნელად მოევლინა ამერიკული კაპიტალი, რომელიც იმ დროისათვის მოგების მისაღებად მთელ მსოფლიოში დაძრწოდა. ყველაზე ხელსაყრელი კი ამ მხრივ ჩამორჩენილი და სამოქალაქო ომით იავარქმნილი რუსეთი აღმოჩნდა. ამერიკული კაპიტალი იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომლითაც მოხდა რუსეთში პირველი 5-წლიანი გეგმის ყველაზე გრანდიოზული საწარმოების მშენებლობა. ამერიკიდან შემოდიოდა არა მარტო სამრეწველო საშუალებები, არამედ სამრეწველო ტექნოლოგიებიც [4. 69].

განხორციელებული პროცესების შედეგად საბჭოთა ეკონომიკა საბოლოოდ ცნობდა საკუთრების სამ ფორმას: სახელმწიფო, კოოპერატიულ (საკოლმეურნეო, კოოპერატიულ, პარტიულ, პოფკავშირულ) და პირადს. მათ შორის განსაკუთრებული როლი ეჭირა საწარმო საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას, რაც წარმოადგენდა სტალინური რუსული სოციალიზმის მშენებლობის ქვაკუთხედს.

მრეწველობაში შემოღებული იქნა რეგლამენტირებული საბითუმო და საცალო ფასები. საბითუმო განკუთვნილი იყო სახელმწიფო საწარმოთა შორის ანგარიშსწორებისათვის, ხოლო საცალო – მოსახლეობისათვის.

ამრიგად, საბითუმო ფასებით ხდებოდა რეალიზება წარმოების საშუალებების (ჯგუფი ა), საცალოთი კი მოთხოვნილების საგნები(ჯგუფი ბ). სხვაობა საცალო და საბითუმო ფასებს შორის საგადასახადო ბრუნვის მეშვეობით მთლიანად შედიოდა ბიუჯეტში.

ეკონომიკამ მიიღო სამობილიზაციო ხასიათი მის სამართავად შეიქმნა მკაცრი ცენტრალიზებული სისტემა, რომლის მიზანი იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლობით დასახელება. ჯერ კიდევ 1921 წელს შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი. გეგმიურმა დაავადებებმა 1928 წლიდან კი მიეცა სავალდებულო დირექტიული ხასიათი.

1947 წელს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან გამოყოფილი იქნა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

საცალო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით რეგულირდებოდა სახელმწიფოს საშინაო ვაჭრობის სამინისტროს მიერ, ხოლო საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ვაჭრობა ხორციელდებოდა საგარო ვაჭრობის სამინისტროს მიერ. საბითუმო და საცალო ფასებს განსაზღვრავდა ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

სახელმწიფო ბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი და ინდუსტრიული სახელმწიფო ბანკები ახდენდნენ თანხების აკუმულირებას და მიმართავდნენ ფულად ნაკადებს.

ამ სისტემის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა 1952 წლამდე საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ხოლო 1952 წლიდან სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია).

მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა პარტიულ ორგანოებს ირჩევდნენ, სინამდვილეში ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა ატარებდა ნომეკლატურულ ხაისათს და კადრები იცვლებოდა მხოლოდ ზემოდან რეკომენდაციის მეშვეობით [5] 1934 წლიდან სკპ(ბ) ცკ-მა თავისი კონტ-

როლი განავრცო კონტროლი არჩეულ რაიკომებსა და ქალაქკომებზე [6. 194].

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხებს განიხილავდა პარტიის ცკ-ის პოლიტბიურო, ხოლო ტექნიკურს – სამდივნო. 1934 წელს სკპ(ბ) მე-17 ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკის დარგში ცკ-ში შექმნილიყო ცალკეული სექტორული განყოფილებები, რომლებიც შემდეგ შეიქმნა რესპუბლიკების ცკ-ში, საოლქო კომიტეტებში, რაიკომებსა და ქალაქკომებში. ამით პარტიამ მთლიანად აიღო კონტროლი მთელ სახელმწიფო აპარატზე. საერთოდ კონტროლირებადი იქნა მთელი საბჭოთა საზოგადოება.

ამ სისტემის უპირატესობა ის იყო, რომ აკონტროლებდა რა წარმოებასა და განაწილებას მას ჰქონდა შესაძლებლობა სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტისათვის უმოკლეს დროში გაეკეთებინა მობილიზება მატერიალური და ადამიანური რეზერვებისათვის.

ფაქტობრივად 1917 წელს დამყარებული პროლეტარიატის დიქტატურა გადაიქცა პარტიის დიქტატურად, რომლის სათავეშიც იდგა ბელადი-დიქტატორი, რომელიც მანევრირებას ახდენდა იუველური სიზუსტით გლეხობასა და მუშებს, ტროცკის შეფასებით კი ხალხის ინტერესებსა და საერთაშორისო-სამრეწველო კაპიტალს შორის.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ სისტემამ შეძლო საბჭოთა კავშირში უმუშევრობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. აღმოეფხვრა კრიზისები და წაეყვანა ქვეყანა პროგრესის გზით.

უკვე 1939 წლისათვის დაეკავებინა სამრეწველო წარმოების მხრივ მე-2 ადგილი მსოფლიოში, გაემარჯვა მეორე მსოფლიო ომში და გადაექცია ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ.

საბჭოთა საზოგადოების აქილევსის ქუსლად იყო ქცეული მატერიალური საქონლის განაწილების საკითხი. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში იწყო ჩამოყალიბება პრივილიგირებულმა საბჭოთა პარტიული ნომეკლატურულმა სისტემამ, რომელის განკარგულებაში იყო: სამსახურებრივი მანქანები, აგარაკები, დასასვენებელი სახლები, საზღვარგარეთის მივლინებები, პროდუქტებისა და სხვა საქონლის სპეციალური განმანაწილებელი პუნქტები, პერსონალური პენსიები [7. 293-366].

1932 წლის 8 თებერვალს სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ ოფიციალურად გააუქმა პარტმაქსიმუმი [8. 147].

უპირველესად ლიკვიდირებული იქნა „ურთიერთდახმარების ფონდი“, რომლის ანგარიშითაც პარტიას ჰქონდა შესაძლებლობა უზრუნველეყო პარტიული ნომეკლატურა. ეს იხსნებოდა იმით, რომ ჩამოყალიბდა ბარიერი გამდიდრებულ პარტიულ ხელმძღვანელობასა და პარტიის რიგით წევრებს შორის.

მიუხედავად უდიდესი რეპრესიული პოლიტიკისა მაინც მიმდინარეობდა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში მყოფი პირების მიერ ქონების „პირველადი დაგროვების“ პროცესი. ამას ძალიან შეუწყო ხელი ფაშისტურ გერმანიასთან ომმა. იმავდროულად არსებობდა ქონების დაგროვების დიდი ფაქტორი, როგორიც იყო ფასებზე სამი ხარისხი: საბარათო, კომერციული, საბაზრო. საწარმოები უშვებდნენ ზოგიერთ ისეთ სამეურნეო საქონელს, რომელიც უნდა განაწილებუ-

ლიყო ბარათებით. მაგრამ ისინი მაინც ხვდებოდნენ ე.წ. „ლევ წარმოებაში“. აი, სწორედ აქედან იღებდა სათავეს „შავი ბაზარი“ საქონელს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ქონების დაგროვებაში საბჭოთა არმიის ევროპაში ლაშქრობამ. რუსები დღესაც წერენ, რომ: „თუ მისმა მამამ, რიგითმა გერმანიიდან. ჩამოიტანა ფოტოაპარატი, აკორდეონი და ვერცხლის კოვზების ნაკრები, სამაგიეროდ გენერლები ნაძარცვ საქონელს მანქანებით ეზიდებოდნენ“ [9. 189-191].

და ამის უპირველესი მაგალითი იყო მარშალი გ. ჟუკოვი, რომელსაც არც სხვა მაღალჩინოსნები ჩამორჩებოდნენ.

ერთი სიტყვით რუსმა ჯარისკაცმა ევროპაში დაინახა, თუ როგორ შეიძლება იცხოვროს ადამიანმა ადამიანურად. უფრო მეტიც, წითელი არმიის ევროპაში შესვლით, მართალია, სტალინმა დიდი სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვება მოუპოვა რუსეთს, მაგრამ მეორე მხრივ, რუს ჯარისკაცს გაუღვივა კერძომესაკუთრული ტენდენციები, რასაც ასე ებრძოდა სტალინური რუსული სოციალიზმი. და ამ ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხებული გამოვიდა ეს უკანასკნელი. ანუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე სტალინმა ჩაიდინა გამოუსწორებელი შეცდომა. მან რუსებს დაანახა ევროპა და ევროპას – რუსები. რამაც ძირეულად შეცვალა საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგია ცხოვრებისა და ევროპელის დამოკიდებულება საბჭოთა მოქალაქის მიმართ.

ქონების დაგროვებას ანუ როგორც მარქსისტები იტყოდნენ „პირველად დაგროვებას“ ეწეოდნენ არა მარტო სამეურნეო და სამხედრო ხელმძღვანელები, არამედ პარტიის იდეოლოგები. მაგ., 1949-1951 წწ. ქვეყნის მთავარი გაზეთის „პრავდის“ პასუხისმგებელი მდივანი პ. სატიუკოვი, 1951-1952 წწ. მთავარი რედაქტორის მოადგილე შემდეგ კი ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორი ლ. ილიჩევი, მარქს-ენგელ-ლენინის ინსტიტუტის დირექტორი, ვ. კრუჟკოვი, რომელიც შემდეგ სათავეში ედგა სკკპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. მათ ასეთ მოქმედებას ადასტურებს ცნობილი პარტიული ფუნქციონერი დ. შეპილოვი. მისი თქმით: „ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სატიუკოვი, კრუჟკოვი და ილიჩევი ეწეოდნენ სურათებისა და სხვა ძვირფასეულობის ყიდვას. მათ თავიანთი ბინები გადააქციეს პატარა ლუვრებად და გახდნენ მილონერები. ერთხელ, წერს დ. შეპილოვი, აკადემიკოსმა პ. იუდინმა, რომელიც წარსულში ელჩი იყო ჩინეთში, მომიყვა-ილიჩევმა მანახა თავის მიერ მოგროვებული ნახატები და სხვა განძეულობა თან მითხრა: „იცოდე პავლე თედორეს ძევ ნახატები ნებისმიერი პირობების დროს არის კაპიტალი. ფული შეიძლება გაუფასურდეს და ამის არაერთი შემთხვევა ყოფილა, მაგრამ სურათების მიმართ ეს არასოდეს არ მოხდება“ [10. 6].

მაშასადამე, თავად სტალინის დროს იწყო ჩამოყალიბება პარტიაში ადამიანთა ისეთმა კასტამ, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სისტემური ცვლილებით, ანუ რეფორმირებით. უეჭველია ეს ადამიანები მიისწრაფოდნენ იქით, რომ მათ ჰყოლოდა „თავიანთი ხალხი“ პარ-

ტიულ და სახელმწიფო აპარატში, რომლებიც გაატარებდნენ მათთვის სასარგებლო პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სწორედ ეს ახლადქონებადაგროვილი ნომეკლატურა ითხოვდა რადიკალურ ცვლილებას, ოღონდ ამას რეპრესიების შიშით აშკარად ვერ ბედავდა.

ცვლილებების აუცილებლობის სიო იგრძნო ასკეტმა სტალინმაც და შემთხვევითი არ იყო, რომ საბჭოთა კავშირში 1951 წლის ბოლოსა და 1952 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა დისკუსია ეკონომიკის საკითხებზე, რომლის მსვლელობის პროცესში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ვ. პერესლეგინმა წამოაყენა წინადადება გაეტარებინათ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმა, რომლის მეშვეობითაც სამეურნეო ანგარიშზე გადავიდოდა ყველა სამეურნეო სტრუქტურა დაწყებული ქარხნიდან დამთავრებული სამინისტროებით [11. 180].

ხელისუფლებაში მყოფნი რეალისტები ხედავდნენ რადიკალური რეფორემების აუცილებლობას. „1953 წლის იანვარში – წერს ცკ-ის ყოფილი თანამშრომელი კ. ბრუტენეცი – სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა სამინისტრომ და კიდევ ორმა უწყებამ, არ ვიცი შესაბამისი ზონდირებით თუ კიდევ საკუთარი ინიციატივით, გაუგზავნეს სტალინს წერილი. მასში საუბარი იყო, რომ აღდგენის პერიოდი მიუახლოვდა დასასრულს და მკაცრი ცენტრალიზებული სახელმწიფო რეგულირება ამუხრუჭებდა საწარმოო ძალების განვითარებას. ამიტომაც ისინი მოითხოვდნენ იმ პროდუქციის ნომეკლატურის შემცირებას, რომელიც შედიოდა იმ გეგმებში, რომელთაც ამტკიცებდა ხელისუფლება და უმაღლესი საბჭო.

შესაბამისად, იმ პროდუქციის ნომეკლატურის შემცირებასც, რომელსაც ანაწილებდა სახელმწიფო გეგმების მოთხოვნათა შესაბამისად და რომელთა ფასებიც დადგენილი იყო მათ მიერ. „მივცეთ საშუალება იმოქმედონ ღირებულების კანონის „გარდაქმნილი ფორმით“, ხოლო ბაზარმა ითამაშოს განმსაზღვრული როლი. მივცეთ დიდი თავისუფლება სამინისტროებს, წარმოებებს და რესპუბლიკებს ეკონომიკურ საქმიანობაში“- ნათქვამი იყო წერილში. სტალინს წაუკითხავს ეს წერილი და მისთვის დაუდვია ასეთი სახის რეზოლუცია: „მე თანახმა ვარ, დრო კი არა“ [11. 22].

საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს აშშ-ში, რომელიც ამ დროისათვის თავადაც აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიო ლიდერობაზე. ამიტომაც იყო რომ 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი [12]. მალევე საფუძველი ჩაეყარა გაერო-ს შექმნას. როგორც მიიჩნევენ ბრეტონ-ვუდსის სისტემისა ერთ-ერთი შემქმნელი ჰარი დექსტერ უაიტი და „გაერო-ს მამა“ ოლჯერ ჰისი თანამშრომლობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებთან [13; 14; 15. 150-151].

სწორედ ამ დროს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ე. ვრაგამ კითხვის ქვეშ დააყენა თეზისი საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტურ სახელმწიფობს შორის ომის

გარდაუვალობის შესახებ და მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის ფორმულირება მოეხდინა. უფრო მეტიც აღნიშნა დასავლეთის სახელმწიფოების აღმავლობის პროცესი [16] სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი „სოციალიზმისა“ და „კაპიტალიზმის“ კონვერგენციის თეორიას. ასეთ პირობებში დაიწყო მუშაობა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაზე. 1946 წლისათვის მისი პროექტი უკვე მზად იყო. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა ცხოვრების ახალი ძირითადი კანონი უშვებდა: „მცირე გლეხური და კუსტარული მეურნეობის არსებობას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საკუთარ შრომაზე. კონსტიტუციის განხილვის პროცესში გამოითქვა აგრეთვე აზრი: „ეკონომიკური ცხოვრების დეცენტრალიზაციის“ აუცილებლობაზე, რათა საწარმოებს ადგილებზე მისცემოდათ „დიდ სამეურნეო უფლებები ადგილებზე“ [17. 192-193].

ამრიგად, სტალინი ხედავდა, რომ რადიკალური ცვლილებები გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენად ერთ კაცზე აწყობილი სახელმწიფო შექმნა, რომ თავად მასაც არ შეეძლო უკვე არსებულის საწინააღმდეგოდ წასვლა. ვინაიდან ეს მოითხოვდა თავად სტალინის მხრიდან კოლოსალურ ძალისხმევას, რომელიც ასაკის გამო მას უკვე აღარ შეეძლო. ხოლო პიროვნება რომელიც რეფორმებს მის გარეშე განახორციელებდა უზარმაზარ იმპერიაში არ იძებნებოდა და არც სტალინის სიკვდილის შემდეგაც ვერ მოიძებნა.

ლიტერატურა

1. Была ли наша революция социалистической? // Материалы международной научной конференции «Революция 1917 года в России: история и теория. Санкт-Петербург, Дом Плеханова. 4–5 ноября 2007 г. СПб., 2008.
2. Стенограммы пленумов ЦК ВКП(б) 1928–1929 гг. Т. 1–5. М., 2000.
3. Сталин И.В. Об индустриализации и хлебной проблеме. Речь 9 июля 1928 г. на Пленуме ЦК ВКП(б) 4 – 12 июля 1928 г. // Соч. Т. 11. М., 1949.
4. США – СССР. Экономические отношения. Проблемы и возможности. М., 1976.
5. Восленский М. Номенклатура. М., 2005. Водолеев Г.С. Практика казарменного социализма. СПб., 2008.
6. Елисеев А. Кто развязал «большой террор»? // Молодая гвардия. 2005. № 3.
7. Восленский М. Номенклатура. М., 2005.
8. О партмаксимуме // Известия ЦК КПСС. 1990. № 7.
9. Военные архивы России. Вып.1. М., 1993.
10. Шепилов Д.Т. Воспоминания *II* Вопросы истории. 1998. № 5.
11. Брутенц К.Н. Несбывшееся. М., 2005.
12. Дрискол Д.Д. Международный валютный фонд и Всемирный банк. В чем их различия. Б.м., 1992

13. Haynes J.E., KlehrH, VassilievA. Spies. The Rise and Fall of KG B in America. Yale, 2009.
14. The Vassiliev Notebooks (http://www.wilsoncenter.org/index.cfm7topicJd =1409&fuseac-tion= topics.documents&group_id=511603).
15. Рокфеллер Д. Банкир в XX веке.
16. Варга Е. Изменения в экономике капитализма в итоге Второй мировой войны. М., 1947.
17. Евсеева Е. Н. СССР в 1945–1953 гг.: экономика, власть, общество // Новый исторический вестник, 2002. № 1 (6).

✍ ჰენრი კუპრაშვილი,
✍ ოთარ დავითაშვილი

სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები

პოლიტოლოგიაში სახელმწიფოს სახელისუფლებო და სტრუქტურული ნიშნების გამოსახატავად, ზოგადად, გამოიყენება ცნება „სახელმწიფოს ფორმა“. ამ ცნებაში იგულისხმება სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი: სახელმწიფო მოწყობის ფორმა, სახელმწიფოს მართვის მოდელი, სახელმწიფოს მართვის მეთოდი, პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფო მმართველობის ფორმა.

ხშირად გაუგებრობის შედეგად მმართველობის ფორმა ერევათ სახელმწიფო მოწყობის ფორმასთან, სახელმწიფო (პოლიტიკურ) რეჟიმთან და სხვ. მაშინ, როდესაც:

სახელმწიფო მოწყობის ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული ორგანიზაციისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების რეგიონულთან ურთიერთობის პრინციპებს.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა გამოიყენება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის წესის, მისი ორგანოების ურთიერთობის პრინციპების, მათ ფორმირებაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის აღსანიშნავად.

მართვის მოდელში იგულისხმება მმართველობის საბაზო პრინციპები, სტრატეგიული ხედვა, მიზანდასახულობა და ამოცანები, ელემენტების სრუტქტურა და მათი ურთიერთქმედების წესი, ორგანიზაციული კულტურა, მოტივაციური პოლიტიკა, მონიტორინგი და კონტროლი.

მართვის მეთოდი არის წესებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ზემოქმედება მართვის ობიექტზე.

პოლიტიკურ რეჟიმში იგულისხმება იდეოლოგიური, ინსტიტუციური და სოციალური ხასიათის ელემენტების ერთობლიობა, რის მიხედვითაც ხდება პოლიტიკური მმართველობის ფორმირება ანუ პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ხერხების, მეთოდების, წესების, საშუალებების (სისტემა) ერთობლიობა.

სახელმწიფო მოწყობის ფორმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო მოწყობის ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული ორგანიზაციისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების რეგიონულთან ურთიერთობის

პრინციპებს. განასხვავებენ სახელმწიფო მოწყობის სამ ძირითად ფორმას: უნიტარული სახელმწიფოს, ფედერაციასა და კონფედერაციას.

უნიტარული სახელმწიფო. თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფორმაა უნიტარული სახელმწიფო. ახასიათებს კონსტიტუციის ერთიანობა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სისტემის ერთიანობა, ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (მხარეები, დეპარტამენტები, ოლქები, რაიონები და სხვ.) მართვის ცენტრალიზებულობის მაღალი ხარისხი. უნიტარულ ქვეყნებში ადმინისტრაციული დაყოფა გამოიყენება ადმინისტრაციული ფუნქციის განსახორციელებლად, არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. თანამედროვე სახელმწიფოებში უნიტარული დაყოფისას ზოგიერ ერთეულს შესაძლებელია განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი ჰქონდეს ან ავტონომიით სარგებლობდეს. ასეთი ერთეულები ტერიტორიულ ავტონომიებად მოიხსენიება. განასხვავებენ **ცენტრალიზებულ** და **დეცენტრალიზებულ** უნიტარულ სახელმწიფოებს. უნიტარული ქვეყნებია: ირლანდია, ირანი, ისლანდია, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, სომხეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და სხვ. უნიტარულ სახელმწიფოთა შორის აღსანიშნავია ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ხელისუფლების მმართველობის მაღალი დეცენტრალიზაციით ხასიათდება. მაგალითად, საქართველო, ესპანეთი, ფილიპინები და ა.შ.

ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოში (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, დანია, ფინეთი და სხვ.) ცალკეული ტერიტორიებზე არსებობს ადმინისტრაციული ავტონომიები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შეზღუდული ავტონომიები აქვთ შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას.

ფედერაცია. ფედერაცია გულისხმობს შიგა კავშირების სხვაგვარ ტიპს, რამდენიმე სახელმწიფოსა და ტერიტორიის (სუბიექტების) გაერთიანებას ერთიან საკავშირო სახელმწიფოში, თითოეული მათგანისათვის იურიდიული და ზოგიერთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ფედერაციის თითოეული წევრის სუვერენულობის ნაცნობი მაჩვენებელია მათთვის საკუთარი კონსტიტუციის, კანონმდებლობის, ხელისუფლების წარმომადგელობითი და აღმასრულებელი ორგანოების, ზოგიერთ შემთხვევაში კი მოქალაქეობის, დროშის, ჰიმნის არსებობა. ფედერაციის სუბიექტებისთვის პირდაპირ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს ქვეყნის პარლამენტში მეორე პალატის არსებობა (მაგალითად, გერმანიაში – ბუდესრატი, აშშ-ში – სენატი, რუსეთში – ფედერაციის საბჭო და სხვ.). თუმცა, ფედერაციული სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია, საერთო ფედერალური კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უზენაესობა. მასში მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ფაქტორად გვევლინება ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, საერთო ფულის სისტემა და მოქალაქეობა. დღეისათვის მსოფლიოში ოცზე მეტი ფედერაციული სახელმწიფოა: ავსტრალია, ავსტრია, აშშ, ბელგია, ბრაზილია, გერმანია,

ინდოეთი, კანადა, მექსიკა, რუსეთი და სხვ.

კონფედერაცია. კონფედერაცია არის კონკრეტული საერთო მიზნებისა და მოქმედებების განსახორციელებლად შექმნილი სუვერენული სახელმწიფოების კავშირი. კონფედერაცია თვითონაც მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც სუბიექტი და აქვს საერთაშორისო სამართალსუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით. კონფედერაციის ჩამოყალიბება ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც კონფედერაციას გადაეცემა უფლებამოსილება გარკვეულ სფეროებში, ასეთი სფეროებია: ომი და ზავი, საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები.

შესაძლოა მათ ასევე განეკუთვნებოდეს საფინანსო პოლიტიკა და ა.შ. მაგრამ ამის გამო, რომ კონფედერაციის წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტს ინარჩუნებენ, გადაწყვეტილებები მათთვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებშიც ყველა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში მიიღება.

კონფედერაციის ორგანოები იქმნება იმის მიხედვით, თუ რა კომპეტენცია განუსაზღვრეს სუბიექტმა სახელმწიფოებმა, თუმცა კონფედერაციის ცენტრალური ორგანოები სრული სახით მაინც არ ემსგავსება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რადგან მათი გადაწყვეტილებების განხორციელება დამოკიდებულია სუბიექტების ნებაზე, რომლებსაც შეუძლიათ უარი განაცხადონ კონფედერაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციაზე.

კონფედერაციული სახელმწიფო: შვეიცარია, მიუხედავად თავისი ოფიციალური სახელწოდებისა – შვეიცარიის კონფედერაცია, დღეისათვის წარმოადგენს კლასიკურ ფედერაციას, თუმცა მრავალი საუკუნე (1291-1848) ნამდვილად იყო კონფედერაცია. კონფედერაცია იყო რეჩ პოსპოლიტაც (1569-1795), რომელიც შექმნილი იყო პოლონეთის სახელმწიფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანების შედეგად. 1861-1865 წლებში არსებობდა ამერიკის კონფედერაციული შტატები და სხვ.

სახელმწიფოს მართვის მოდელი

ტერმინში **„სახელმწიფოს მართვის მოდელში“** იგულისხმება ის, თუ როგორ და ვინ ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას სახელმწიფოში, როგორია ქვეყანაში ხელისუფლების ორგანოების უმაღლესი ინსტიტუტების ორგანიზაცია, მათი ურთიერთქმედების პოზიცია, ჩამოყალიბების წესი და შემადგენლობა. ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ხალხის გავლენის ხარისხი უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციაში.

მართვის მოდელში იგულისხმება თეორიულად აგებული წარმოდგენების ერთობლიობა მართვის სისტემის შესახებ. თავისი არსით მართვის მოდელი არის მართვის სისტემის ასლი, რომელსაც აქვს მისი რელური თვისებები. მართვის სხვადასხვა მოდელის შემუშავება ხდება იქიდან გამომდინარე, თუ როგორია დადგენილი კრიტერიუმები, პოლიტიკური და ეკონომიკური მიდრეკილებები, მიზანდასახულობა და ამოცანები.

მართვაში ჯერ არ არის შექმნილი ორგინალი, ის მხოლოდ წარმოსახვაშია, ამიტომ დაგროვილ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ინტუიციაზე დაყრდნობით უნდა მოახდინო პროგნოზი იმისა, თუ მომავალში როგორი შესახედი იქნება ესა თუ ის სიტუაცია. ეს მოდელი დასაწყისში იქმნება წარმოსახვაში და მას უსადაგდება მართვის მოქმედი სისტემა.

რას მოიცავს თავის თავში მართვის მოდელი? პირველ ყოვლისა, მენეჯმენტის საბაზო პრინციპებია, სტრატეგიული ხედვა, მიზანდასახულობა და ამოცანები, ელემენტების სტრუქტურა და მათი ურთიერთქმედების წესი, ორგანიზაციის კულტურა, სამოტივაციო პოლიტიკა, მონიტორინგი და კონტროლი.

მმართველის უმთავრესი ამოცანაა ჭკვიანურად შეარჩიოს მოცემული სიტუაციისათვის შესაფერისი მოდელი, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება წარმოდგენა ყველაზე მისაღები მოდელის შესახებ, შემდეგ იწყება რომელიმე მოქმედების არჩევა:

- აიღონ სამამულო ან უცხოური გამოცდილი მზა მოდელი, რომელსაც უკვე თავის დროზე მოაქვს დადებითი შედეგი;
- ააწყონ მოდელი იმ ბლოკებიდან, რომლებიც ეფექტურობით მართვის სხვადასხვა მოდელში გამოირჩეოდნენ;
- აარჩიონ საბაზო მოდელი, რომლისგანაც გამორიცხავენ არასასურველ ელემენტებს და ჩასვამენ ახალს;
- მმართველობის ახალ პარადიგმაზე დაყრდნობით შექმნიან პრინციპულად ახალ მოდელს.

ცნობილია სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილი **მართვის მოდელები**:

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ბატონობის სახეობის მიხედვით: კაპიტალისტური, სოციალისტური, კორპორატიული;

ეკონომიკაზე ბაზრის გავლენის ხარისხის მიხედვით: საბაზრო (ლიბერალური), საბაზრო სახელმწიფო რეგულირების ელემენტებით, საბაზრო-სოციალური, სახელმწიფო მმართველობის მოდელი განვითარებული საბაზრო ურთიერთობებით, ცენტრალური მმართველობის მოდელი, ბაზრის ელემენტებით (გეგმური);

ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უფლებამოსილების რეალიზაციის ხასიათიდან გამომდინარე: ავტორიტარული, დემოკრატიული;

მენეჯმენტის სკოლებთან მიკუთვნებულობის შესაბამისად: სამეცნიერო მენეჯმენტის სკოლა, რაციონალური ბიუროკრატიის სკოლა, ადმინისტრაციული სკოლა, „კლასიკური სკოლა“, „ადამიანური ურთიერთობის“ სკოლა და სხვ.

გარე და შიგა გარემოს ცვლილებებთან დამოკიდებულების მიხედვით: სტატიკური (ტრადიციული, კონსერვატული, მიმდინარე მდგომარეობის), ადაპტური (წინმსწრები, ინოვაციური), დინამიკური (პროგნოზირებადი, ალბათობითი, განვითარება);

შეიძლება არსებობდეს ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურაზე აღოცნებული ქართული მოდელიც, რომელმაც ორგანულად უნდა შეახამოს ეროვნული გამოცდილების საფუძვლები მოწინავე მმართველობის თეორიებთან და პრაქტიკასთან, რომლებიც დამუშავებულია და გამოცდილია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ანალოგიური სოციალურ–ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის დროს. ბრმად კოპირება კი საშიშია და არაეფექტურიც.

მართვის მეთოდები

მართვის მეთოდები ეწოდება წესებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომელთა დახმარებითაც **ხორციელდება ზემოქმედება მართვის ობიექტზე, სრულდება მართვის სხვადასხვაგვარი ორგანიზაციული ფუნქცია. მართვის მეთოდები, ესა წესები, რომელთა დახმარებითაც ხდება მართვის ფუნქციის რეალიზება**. მართვის ამა თუ იმ მეთოდის არჩევა დამოკიდებულია მოცემულ ეტაპზე მართვის ფუნქციის განსაზღვრებაზე, განხორციელებასა და დროის ამ მომენტისათვის არსებულ და ხელმისაწვდომ მართვის საშუალებებზე.

მართვის მეთოდების კლასიფიკაცია. მართვის მეთოდების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ნიშანი (კრიტერიუმი):

გამოყენების მასშტაბები – ა) საერთო, რომელიც ვრცელდება, მაგალითად, კომპანიის მთელ საქმიანობაზე; ბ) კერძო, რომელიც გამოიყენება ამ კომპანიის ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიერ;

დარგები ან გამოყენების სფეროები – ცენტრალური რესპუბლიკური მმართველობა, ვაჭრობა, მრეწველობა, განათლება და სხვ.

სხვადასხვა ეტაპზე ორგანიზაციის საქმიანობის როლი – კრიზისიდან გამოყვანის, დასტაბილურების, განვითარების მეთოდები და სხვ.

შუამავლობითი (მედიაციური) ზემოქმედების ხარისხი – პირდაპირი და არაპირდაპირი;

მმართველობითი ცოდნის განზოგადების დონე – მართვის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდები;

მართვის ფუნქციები – პროგნოზირების, დაგეგმვის, ორგანიზაციის, კოორდინაციის, მოტივაციის, კონტროლისა და სხვ. მეთოდი;

მართვის კონკრეტული ობიექტებისა და წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების ხასიათის მიხედვით და სხვ.

კონკრეტული ობიექტისა და ამოცანების მართვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით არსებობს მართვის მეთოდების მთელი სპექტრი. შემუშავებულია ფინანსური, ანტიკრიზისული, ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდები, რისკების, წარმოების, გასაღების, კომუნიკაციების, ხარისხის, კადრების, პროექტების. მცირე და მსხვილი საწარმოების მართვის მეთოდები და სხვ. აგრეთვე ბიზნეს-პროცესების, ბიზნესსტრუქტურების, როგორც ერთმანეთში, ისე კლიენტებთან ურთიერთქმედების მართვის მეთოდები და სხვ.

მართვის მეთოდების ტრადიციული კლასიფიკაცია. საყოველთაოდ აღიარებული **ტრადიციული კლასიფიკაცია მართვის მეთოდებს აჯგუფებს ზემოქმედების თვისებების მიხედვით**: ეკონომიკური, ადმინისტრაციული (ორგანიზაციულ-გამანაწილებელი) და სოციალურ-ფსიქოლოგიური. ასეთი დაჯგუფება საკმაოდ პირობითია, რადგანაც ამ მეთოდებს აქვთ ძალიან ბევრი მსგავსება და ურთიერთშეღწევადობა. ამავე დროს, მათ აქვთ გარკვეული განსხვავებებიც მართვის ობიექტებზე ზემოქმედების ხერხებში, რაც საშუალებას იძლევა თითოეული ცალკ-ცალკე იქნეს განხილული.

პოლიტიკური რეჟიმი

პოლიტიკური რეჟიმი. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ფორმა, პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზაციის მისთვის დამახასიათებელი მიზნებით, საშუალებებითა და მეთოდებით.

პოლიტიკური რეჟიმი იძლევა წარმოდგენას ქვეყანაში მისი ისტორიის გარკვეულ პერიოდში დამყარებული სახელმწიფო ხელისუფლების არსის შესახებ. ამიტომ ბევრად მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების წესები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობა, პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების ხასიათი, მმართველობის სტილი და მეთოდები, ვიდრე სახელმწიფოს ან პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა.

მსგავსი ტიპის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს შეუძლიათ წარმოშვან თავისი არსით სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი და, პირიქით, მსგავსი ტიპის პოლიტიკური რეჟიმები შეიძლება წარმოიქმნას თავისი სტრუქტურით სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემებში. მაგალითად, ევროპის მრავალი ქვეყანა წარმოადგენს კონსტიტუციურ მონარქიებს (ანდორა, ბელგია, დანია, ესპანეთი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეცია და სხვ.), მაგრამ პოლიტიკური რეჟიმი ამ ქვეყნებში შეესაბამება ხელისუფლების რესპუბლიკურ სტრუქტურას მმართველობის დემოკრატიული მეთოდებით. ამავე დროს, ირანის რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოს ორგანიზაციის სრულიად დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურა, სინამდვილეში კი არის ავტორიტარული სახელმწიფო.

მიღებული კონსტიტუცია ყოველთვის არ არის გარანტი იმისა, რომ ხელისუფლების ჭეშმარიტად დემოკრატიული რეჟიმი გამოარჩიოს არასპეციალისტმა, ჩვეულებრივმა ადამიანმა ავტორიტარული ან ტოტალიტარულისაგან. მაგალითად, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს მრავალი ხალხისთვის კარგა ხანს განასახიერებდა რეალურ სახალხო მმართველობას და დემოკრატიული თავისუფლების ოაზისს. თვალი აეხილათ, მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტოტალიტარული რეჟიმი დაემხო.

პოლიტიკური რეჟიმის ნიშნები და ბუნება

პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ხელისუფლების ინსტიტუტების ორგანიზაციის პრინციპი, გათვალისწინებული პოლიტიკური მიზნები, მათი მიღწევის მეთოდები და საშუალებები. მაგალითად, ტოტალიტარულ რეჟიმებში პოპულარულია ლოზუნგები და დირექტივები „მიზანი ამართლებს საშუალებებს, გამარჯვება ნებისმიერ ფასად“ და სხვ.

პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხალხის ისტორიული ტრადიციები

და საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონე. პოლიტიკურ დიქტატორს ან მმართველ პოლიტიკურ ელიტას ძალაუფლების უზურპირება შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემს ხალხი და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები. ძნელი წარმოსადგენია, ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციებისა და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში ადვილად დამყარდეს ძალაუფლების ავტორიტარული ან ტოტალიტარული რეჟიმი. სამაგიეროდ, უმეტესწილად ტრადიციული პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები ბუნებრივად წარმოიქმნება ხოლმე.

პოლიტიკური რეჟიმების ფორმები და სახეები

პოლიტიკური რეჟიმების უამრავი ნაირსახეობა არსებობს, მაგრამ პოლიტოლოგების მიერ, როგორც წესი, განიხილება სამი ძირითადი ფორმა: ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი. ტოტალიტარიზმი (ლათინური totalis – ყოვლისმომცველი, საყოველთაო) არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის დროს სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ქცევის ყველა ასპექტს უკიდურესად ცენტრალიზებული ხელისუფლება წარმართავს. სახელმწიფოს სრული (ტოტალური) კონტროლის ქვეშაა საზოგადოების ყველა სფერო, ფაქტობრივად ლიკვიდირებულია კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები; იდეოლოგიური მრავალფეროვნების ნაცვლად გაბატონებულია ერთადერთი იდეოლოგია, ჩანასახშივე, იხშობა ნებისმიერი ოპოზიციური გამოსვლა და სხვაგვარად აზროვნება. ერთ პირის (ბელადის) ხელთ სრულად კონცენტრირებული სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ერთადერთი პარტიისა და სამხედრო დისციპლინის მეშვეობით. შენარჩუნებული დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმა და ინსტიტუტები (პარლამენტი, არჩევნები, რეფერენდუმი და სხვ.) მოკლებული არიან რეალურ შინაარსს, ასრულებენ მხოლოდ დეკორაციის როლს და გამოიყენება პროპაგანდისტული მიზნებისათვის.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი. ავტორიტარიზმი (Authoritarianism) არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის დროს, გარკვეულად შეზღუდულია პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფო ძალაუფლება კონცენტრირებულია ძირითადად ერთი პირის (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მონარქი) ან ჯგუფის ხელში. რეფერენდუმისა და არჩევნების პროცესი ექვემდებარება მთავრობის კონტროლს და ატარებს ფორმალურ ხასიათს. ხელისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების რეალური მექანიზმი განსხვავებულია საკონსტიტუციო ნორმებისაგან. ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი უფრო მეტად პოლიტიკურ სფეროს მოიცავს და ნაკლებად აისახება ეკონომიკის სფეროში - ავტორიტარიზმი მოსახლეობას თავისუფალი

მოღვაწეობის გაცილებით უფრო ფართო არეალს უტოვებს, რადგანაც იგი ეგუება ეკონომიკურ ლიბერალიზმს და არ ზღუდავს კერძო სამეწარმეო თუ კომერციულ საქმიანობას. მაგალითებად გამოდგება: ***ფრანსისკო ფრანკოს*** (Francisco Franco Bahamonde) მმართველობა ესპანეთში (1939-1975) ან ***აუგუსტო პინოჩეტის*** (Augusto Pinochet) რეჟიმი ცივი ომის პერიოდში ჩილეში (1973 წლიდან).

ავტორიტარიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სისტემის ტიპია. თავისი ხასიათით მას უფრო შუალედური პოზიცია უკავია ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის. ამიტომაც იგი შეიძლება შეგვხვდეს ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაში ან, პირიქით, დემოკრატიიდან ტოტალიტარიზმში გადასვლის პერიოდში.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები საკმაოდ მრავალფეროვანია. **ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მიზნებითა და პრობლემების გადაჭრის მეთოდებით, ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმით და შეიძლება იყოს რექციული, კონსერვატული ან პროგრესულიც კი.** მაგალითად, ჩილე, ბრაზილია, სამხრეთ კორეა ავტორიტარიზმის გავლით მივიდნენ ხელისუფლების დემოკრატიულ რეჟიმებამდე.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. ეს არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია – არჩევითობა და მოკლევადიანობა. გარდა ამისა, ცნება დემოკრატია მოიცავს უფლებებსა და თავისუფლებას, რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობა, მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მათი განხორციელების რეალური კონსტიტუციური გარანტიების არსებობა; ასევე პოლიტიკური პლურალიზმი და მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნების გარანტია.

სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესწყობილების დემოკრატიული განვითარება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე იძლევა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის სრულიად განსხვავებულ მოდელებს.

იმის მიხედვით, თუ ხალხი რა სახით ახორციელებს თავის უფლებას ძალაუფლებაზე, შეიძლება გამოიყოს დემოკრატიის განხორციელების სამი ძირითადი საშუალება: **პირდაპირი დემოკრატია** – ხმის უფლების მქონე ყველა ადამიანი უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას. დემოკრატიის ამგვარი ფორმა ყველაზე მეტად დამახასიათებელია დემოკრატიის ადრეული ხანის ფორმებისათვის, მაგალითად, გვაროვნული თემისთვის. პირდაპირი დემოკრატია არსებობდა ანტიკური ხანის ათენში. პლებიცისტური დემოკრატია – ხალხი გადაწყვეტილებას იღებს განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, რეფერენდუმზე. წარმომადგენლობითი

დემოკრატია – ხალხი ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს,ხოლო ისინი მათი სახელით მართავენ სახელმწიფოს ან ხელისუფლების რომელიმე ორგანოს.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა

მმართველობის ფორმა ვიწრო გაგებით – ესაა, საკუთრივ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოწყობის წესი (სახელმწიფოში ზედა ხელისუფლების ორგანიზების წესი).

მმართველობის ფორმა ფართო გაგებით – ესაა, სახელმწიფოს ყველა ორგანოს მოწყობისა და თანამოქმედების წესი.

ჩვენ შემთხვევაში, მმართველობის ფორმაში იგულისხმება: **სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორგანიზების სისტემა, მათი ფორმირების წესი, კომპეტენცია, თანამოქმედება და ურთიერთობა მოსახლეობასთან.**

მმართველობის ფორმა გვიჩვენებს:

- როგორ იქმნება სახელმწიფოში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები;
- როგორია მათი სტრუქტურა;
- რა პრინციპები უდევს საფუძვლად სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამოქმედებას;
- როგორ ეწყობა თანამოქმედება უზენაეს ხელისუფლებასა და რიგით მოქალაქეებს შორის;
- რამდენად იძლევა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის საშუალებას სახელმწიფო ორგანოების მოწყობის წესი...

სხვადასხვა პერიოდში მმართველობის ფორმას სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა.

მმართველობის შესახებ შეხედულებები, ალბათ, უკვე პირველყოფილი თემური წყობილების დროს ჩაისახა, როდესაც ადამიანები ერთიანდებოდნენ ტომებად საერთო მიზნების მისაღწევად.

ყოველ შემთხვევაში, მმართველობის ფორმა სახელმწიფოს მოწყობის დახასიათებაში ნამდვილად უძველეს ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში სწავლობდნენ.

აგრარულ საზოგადოებაში მმართველობის ფორმის მნიშვნელობა დაყვანილი იყო იმის გარკვევამდე, თუ როგორ განწესებულიყო სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა – **მემკვიდრეობის თუ არჩევის წესით**.

ფეოდალიზმის რღვევისა და **ინდუსტრიული საზოგადოებაში** გადასვლის კვალად, რასაც თან ახლდა მონარქების ხელისუფლების შესუსტება, სახალხო წარმომადგენლობის გაჩენა და განმტკიცება, მმართველობის ფორმებიც ვითარდებოდა.

უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა არა იმან, თუ როგორ ხდება ხელისუფლების გადაცემა (ქვეყანაში მემკვიდრეობითი ან არჩევითია **სახელმწიფოს მეთაური**), არამედ როგორ არის ორგანიზებული **ურთიერთობა სახელმწიფოს მეთაურს**, **პარლამენტს**, **მთავრობას** შორის, როგორ

არის შეთანასწორებული მათი უფლებამოსილებანი, ანუ როგორაა მოწყობილი **ხელისუფლების დანაწილება**.

მმართველობის ფორმების განსაზღვრის კრიტერიუმები:

- ხელისუფლების გადაცემის წესი (მემკვიდრეობითი თუ არჩევნების გზით);
- სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე (რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისაგან განსხვავებით, მონარქიაში სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნია იურიდიული პასუხისმგებლობა).
- სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის.

მმართველობის მონარქიული ფორმა და სახეები:

1. აბსოლუტური მონარქია;
2. შეზღუდული მონარქია;
2.1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია;
2.2. კონსტიტუციური მონარქია;
2.2.1. დუალისტური მონარქია;
2.2.2. საპარლამენტო მონარქია.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და სახეები:

1. საპრეზიდენტო რესპუბლიკა;
2. საპარლამენტო რესპუბლიკა;
3. შერეული რესპუბლიკა.

მმართველობის არატიპური (შერეული) ფორმები:

1. მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით („რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი);
2. რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით;
3. თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა)

მონარქია. მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ერთპიროვნულად სამუდამოდ ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს – მონარქს, რომელსაც მემკვიდრეობით უკავია ტახტი და აკისრია პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე.

მონარქიის დამახასიათებელი ნიშნები:

- სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურია მონარქი;
- ძალაუფლება გადაეცემა მემკვიდრეობით;
- მონარქს იურიდიული პასუხისმგებლობა არ გააჩნია (მონარქის ხელისუფლებიდან გადაყენება შეუძლებელია)

მონარქიის სახეები

1. აბსოლუტური მონარქია (შეუზღუდავი) – სახელმწიფო, სადაც მონარქი არის სახელმწიფოში ერთადერთი უმაღლესი ორგანო და მის ხელში მთელი სისრულით თავმოყრილია სახელმწიფო ძალაუფლება (საუდის არაბეთი, ომანი).

- განსაკუთრებული სახესხვაობაა თეოკრატიული მონარქია (ვატიკანი).

2. შეზღუდული მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქთან ერთად არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომლების ანგარიშვალდებული არ არიან მის წინაშე, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება გაშორიშორებულია ხელისუფლების ყველა უმაღლეს ორგანოებს შორის. მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია სოციალური აქტის (კონსტიტუცია) ან ტრადიციის საფუძველზე. თავის მხრივ, შეზღუდული მონარქია იყოფა:

- წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიად;
- კონსტიტუციურ მონარქიად.

2.1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია – მონარქია, სადაც მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია გარკვეული წოდებასთან კუთვნილების კრიტერიუმების შესაბამისად (კორტესები ესპანეთში, საერობო კრება რუსეთში და სხვ.) ორგანოების ფორმირების ტრადიციით და როგორც წესი, თამაშობდა სათათბირო ორგანოს როლს. ამჟამად ასეთი მონარქიები მსოფლიოში აღარ არსებობს.

2.2. კონსტიტუციური მონარქია - მონარქის უფლებამოსილება შეზღუდულია კონსტიტუციით, სადაც არსებობს ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანო, რომლის ფორმირებაც ხდება ხალხის წარმომადგენლების (პარლამენტის) არჩევის გზით. თავის მხრივ კონსტიტუციური მონარქია იყოფა:

- დუალისტურ მონარქიად;
- საპარლამენტო მონარქიად.

2.2.1. დუალისტური მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქი მთელი სისრულით ფლობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, აგრეთვე აქვს საკანონმდებლო და სასამართლო უფლებამოსილებათა ნაწილი. ასეთ სახელმწიფოში წარმომადგენლობითი ორგანო არსებობს და ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებსაც, მაგრამ მონარქს შეუძლია ვეტო დაადოს აქტებს და შეხედულემისამებრ დაითხოვოს წარმომადგენლობითი ორგანო (იორდანია, მაროკო).

2.2.2. საპარლამენტო მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქი წარმოადგენს ტრადიციის ხარკს და არ გააჩნია რაიმე არსებითი უფლებამოსილება. ასეთ მონარქიებში სახელმწიფო მოწყობილია ხელისუფლების დანაწილების პრინციპებზე (დიდი ბრიტანეთი, იაპონია, დანია).

რესპუბლიკა

მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები აირჩევა ხალხის მიერ, ან ფორმირდება განსაკუთრებული წარმომადგენლობითი დაწესებულებების მიერ გარკვეული დროით და აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა ამომრჩევლებისადმი.

რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დამახასიათებელი ნიშნები:

- ყოველთვის არსებობს ხელისუფლების რამდენიმე უმაღლესი ორგანო, ამასთან უფლებამოსილებანი მათ შორის დანაწილებულია იმგვარად, რომ ერთი ორგანო დამოუკიდებელია მეორისგან (ხელისუფლების დანაწილების პრინციპი).
- ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ძალაუფლებას

ახორციელებს ხალხის სახელით.

- ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან მოსახლეობის მიმართ, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:
  1) ისინი აირჩევიან განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება შეიძლება არ გაუგრძელდეს.
  2) შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა.

რესპუბლიკის სახეები

რესპუბლიკები უმთავრესად განსხვავდება იმით, თუ ხელისუფლების რომელი ორგანო პარლამენტი ან პრეზიდენტი აყალიბებს მთავრობას და წარმართავს მის მუშაობას, აგრეთვე რომელი მთავრობის წინაშეა პასუხისმგებელი.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა

სახელმწიფო, სადაც პარლამენტარიზმთან ერთად პრეზიდენტის ხელში ერთდროულად თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებანი. მთავრობას უშუალოდ თვითონ პრეზიდენტი აყალიბებს და შლის, ამასთან პარლამენტს არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. აქ ყველაზე სრულად ვლინდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (აშშ, ეკვადორი).

საპარლამენტო რესპუბლიკა

სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაში უდიდესი როლი აკისრია პარლამენტს. პარლამენტი აყალიბებს მთავრობას და უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადააყენოს. სახელმწიფოში პრეზიდენტს არ გააჩნია რაიმე არსებითი უფლებამოსილება. (ისრაელი, საბერძნეთი, გფრ).

შერეული რესპუბლიკა

ასეთი ფორმის მმართველობის სახელმწიფოებში ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლება ერთდროულად შეხამებულია პარლამენტის კონტროლის ეფექტური ზომებით აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) საქმიანობაზე, რომელსაც აყალიბებს პრეზიდენტი პარლამენტის აუცილებელი მონაწილეობით. ამდენად, მთავრობა პასუხს აგებს ერთდროულად როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე (პორტუგალია, საფრანგეთი).

მმართველობის არატიპური (შერეული) ფორმები

- მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით („რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი);
- რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით;
- თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა).

მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით

მონარქიას რესპუბლიკური ელემენტებით („რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი) აქვს მთავარი რესპუბლიკური ნიშანი, სახელმწიფოს მეთაურის სისტემატური არჩევითობა, მაგრამ ვერ აირჩევა ნებისმიერი მოქალაქე, თუნდაც აკმაყოფილებდეს საარჩევნო კვალიფიკაციებს და პრეზიდენტობისთვის საჭირო მოთხოვნებს, არამედ აირჩევა ფედერაციის

შემადგენელი ნაწილების მმართველებიდან, ანუ რამდენიმე მონარქიდან მხოლოდ ერთი.

ამგვარი მმართველობის არატრადიციული ფორმები აქვთ მალაიზიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს (აგს). სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით ისინი ფედერაციებია, ამასთან, თითოეული შემადგენლი ნაწილი (აგს – 7 საამირო) ან სახელმწიფოს ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი (მალაიზიაში 13 შტატიდან 7) წარმოადგენს მემკვიდრეობით მონარქიებს. მთლიანობაში სახელმწიფოს მეთაურის ფორმირება ხდება ფედერაციის ამა თუ იმ სუბიექტის სათავეში მყოფ მონარქებს შორის არჩევნების გზით. ამასთანავე, მისი უფლებამოსილების ვადა დათქმულია მკაფიოდ (ორივე სახელმწიფოში 5 წელს შეადგენს) და უფლებამოსილების მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მონარქი აირჩევა ხელახლა.

რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით

თანამედროვე მსოფლიოში ტოტალიტარული სისტემების პირობებში გაჩდნენ რესპუბლიკები მონარქიული ელემენტებით (მონარქიული რესპუბლიკა, სუპერსაპრეზიდენტო), რომელთათვისაც დამახასიათებელია მონარქიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი – სახელმწიფოს მეთაურის შეუცვლელობა. ასეთ რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური შეიძლება აირჩეს ფორმალურად, შეიძლება დაინიშნოს, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის ფორმირებაში ხალხი რეალურად არ იღებს მონაწილეობას. ამას გარდა, ასეთი სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება არაა შეზღუდული, იგი არის სამუდამო მმართველი, მმართველი მთელი სიცოცხლის მანძილზე, უფრო მეტიც, შესაძლებელია ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემაც. პირველი სამუდამო პრეზიდენტი გახდა ***აჰმედ სუკარნო*** (1901-1970) ინდონეზიაში. შემდეგ სიკვდილამდე პრეზიდენტი ჰყავდა ***იოსიპ ბროზ ტიტოს*** (1892-1980) სახით იუგოსლავიას. ამჟამად გვხვდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ზოგიერთ სახელმწიფოში (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, გამბია და სხვ.).

თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა)

თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა) არის რესპუბლიკის განსაკუთრებული ფორმა, სადაც მმართველობას ახორციელებენ მაჰმადიანი სასულიერო პირები. აქ შეხამებულია ტრადიციული ისლამური სახალიფოს ძირითადი ნიშნები და თანამედროვე რესპუბლიკური წყობის ნიშნები. მაგალითად, ირანი.

ჰენრი კუპრაშვილი
ოთარ დავითაშვილი

სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები

რეზიუმე

პოლიტოლოგიაში სახელმწიფოს სახელისუფლებო და სტრუქტურული ნიშნების გამოსახატავად, ზოგადად, გამოიყენება ცნება „სახელმწიფოს ფორმა“.

ამ ცნებაში იგულისხმება სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი: სახელმწიფო მოწყობის ფორმა, სახელმწიფოს მართვის მოდელი, სახელმწიფოს მართვის მეთოდი, პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფო მმართველობის ფორმა. ხშირად გაუგებრობის შედეგად მმართველობის ფორმა ერევათ სახელმწიფო მოწყობის ფორმასთან, სახელმწიფო (პოლიტიკურ) რეჟიმთან და სხვ.

HENRI KUPRASHVILI
OTAR DAVITASHVILI

FORMS OF GOVERNANCE AND THE DEVICE STATE

Summary

Government is the means by which state policy is enforced, as well as the mechanism for determining the policy of the state. A form of government, or form of state governance, refers to the set of political systems and institutions that make up the organization of a specific government.

ლიტერატურა:

1. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. რედ. ა. დემეტრაშვილი. თბ., 2005.
2. ზაზა რუხაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბ., 1999. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.6&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.7.1&gt=1 უკანასკ. გადამოწმდა 18.03.2017.
3. government. Oxford Dictionaries e. Oxford University Press. Retrieved 7 December 2014.
4. Lewellen, Ted C. Political Anthropology: An Introduction Third Edition. Praeger Publishers; 3rd edition (30 November 2003).
5. Jump up^ Comparative politics : interests, identities, and institutions in a changing global order, Jeffrey Kopstein, Mark Lichbach (eds.), 2nd ed, Cambridge University Press, 2005.
6. Jump up^ Leo P. Ribuffo, "20 Suggestions for Studying the Right now that Studying the Right is Trendy," Historically Speaking Jan 2011 v.12.
7. Comparative politics : interests, identities, and institutions in a changing global order, Jeffrey Kopstein, Mark Lichbach (eds.), 2nd ed, Cambridge University Press, 2005.

✍ *რევაზ მიშველაძე*

პოლიტიკის კულტურა და კულტურის პოლიტიკა

დედამიწაზე მეოცე საუკუნემდე არსებული არცერთი კანონთა კრებული ზუსტად არ განსაზღვრავდა საერთაშორისო პოლიტიკის ეთიკურ ნორმებს და, შესაბამისად, მისი დარღვევისთვის არც რაიმე დამსჯელობით ზომებს ითვალისწინებდა.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი თვითონ აწესებდნენ წოდებათა და სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების ანსა და ჰოეს თავიანთი ძალაუფლებისა და გონებრივი გასაგისი შესაფერისად.

ამიტომაც მსოფლიოს ისტორია სავსეა ბრძენ მმართველთა და ცბიერ ხელისუფალთა, მოღალატე მემამულეთა და ორპირ ქვეშევრდომთა ურთიერთობის პარადოქსული მაგალითებით.

რაკი ადამიანთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში დიდი წილი პოლიტიკურ თვითშემოქმედებას ეკავა, ამიტომაც შეგვიძლია გამოვყოთ პოლიტიკის კულტურის სფერო კულტუროლოგიურ მეცნიერებაში.

არსებობენ ერები, ვინც თავისი ისტორია არ იცის, ან თითქმის არ იცის.

ამას ახალგაზრდა ერებზე არ მოგახსენებთ.

პოლიტიკის ისტორია არა აქვთ ისეთ ერებსაც კი, რომელთა არსებობა ათასწლეულებს ითვლის.

არა აქვთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი დიდხანს არსებობდნენ პრეისტორიული ზამთრის ძილის ეპოქაში და მსოფლიო ცივილიზაციაში სულ რაღაც ორასი წლის წინათ შემოაბიჯეს.

ხალხთა შორის ურთიერთობის დონეზე რომ ვილაპარაკოთ, ჯერ ერთი ხალხს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო, მერე სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს თუნდაც პრიმიტიული პოლიტიკა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისა და ათეული წლის შემდეგ იმ პოლიტიკას შეუმუშავდება კულტურის ნიშნები, რაც ბოლოსდაბოლოს საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთა შორის ეთნიკური კულტურის დონედ ყალიბდება.

ამჟამად საერთაშორისო სამართალში უკვე გარკვეულია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმები.

ეს გახლავთ ურთიერთთავდაუსხმელობისა და კეთილმეზობლური, სამშვიდობო დამოკიდებულების კოდექსები, რომელთაც გაერო და ევროკავშირი მეურვეობენ, მაგრამ თუ რამ არ სრულდება თანამედროვე მსოფლიოში, სწორედ ეს ნორმები არ სრულდება.

დღესაც მსაოფლიო სავსეა სხვის მიწათა მეკობრული მიტაცებებითა და ცხელი წერტილებით.

ასევე, ერთხელ და სამუდამო დადგენილია დიპლომატიური ნორმებიც.

შორსაა ის ეპოქა, როცა აფრიკის ერთ-ერთ სახელმწიფოში კანიბალებმა ბელგიის ორი ელჩი შეჭამეს, როცა ეგვიპტეში ოქროსმაძიებელ ფრანგ მისიონერებს თვალები დათხარეს და ენა ამოაგლიჯეს, როცა მეთორმეტე საუკუნეში რუმის სულთანის რუქნადინის თავხედური წერილის მომტანს ზაქარია მხარგრძელმა თამარ მეფის თვალწინ სილა გააწნა... თუმცა არც ახლაა ელჩთა ხელშეუხებლობისათვის იდეალური დრო.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პოლიტიკური წიაღსვლები ურთიერთსაწინააღმდეგო მაგალითებით არის სავსე. გარეგნულ კეთილგანწყობას, რაც პირველგაცნობაში გამოიხატება, შემდგომ ენაცვლება დიპლომატიური ცბიერება (ზოგჯერ სფინქსის გამოცანას მიმსგავსებული) თვით სტუმართა საქციელის თუ წადილის კვალდაკვალ ეს დამოკიდებულება არაიშვიათად შეიძლება მტრობაშიც გადაიზარდოს. ასეთი შემოქმედებითი ლავირების ნიმუშია ანტიკური მითი არგონავტების შესახებ უძველეს ანტიკურ ეპოქაში შექმნილი.

კოლხეთის მეფე აიეტმა საბერძნეთიდან ჩამოსული არგონავტები თავდაპირველად დიდი პატივით მიიღო, მშვენიერი ნადიმი გაუმართა და კეთილად მოასვენა, მაგრამ როცა სატუმართა მოსვლის ნამდვილი მიზეზი შეიტყო, მეფე საგონებელს მიეცა. ბუნებრივია, იგი კოლხეთის ძლიერებისა და სიმდიდრის სიმბოლოს - ოქროს ვერძს ვერ დათმობდა და ამ, თითქმის გამოუვალი, სიტუაციიდან მეფის მაძიებელმა გონებამ ასეთი გამოსავალი იპოვა: ოქროს ვერძის მაძიებლებს მან სამ ი ისეთი დავალება მისცა, რომლის შესრულებას კოლხური გრძნეულების არმცოდნე არგონავტები ვერ შეძლებდნენ. ამით მეფე აიეტმა თითქოსდა სტუმრებისადმი დიპლომატიური კეთილგანწყობილებაც შეინარჩუნა და სინამდვილეში ისეთი ხაფანგი დაუგო, საიდანაც ისინი თავს ვერ დააღწევდნენ. სტუმარ-მასპინძელთა დამოკიდებულობის ურთულეს კულტურაში ღალატი ჩაერია. მეფის ასულმა მედეამ არგონავტებს ძნელი დავალების საიდუმლო გაანდო. გაოცებულმა აიეტმა გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა, მაგრამ როცა ოქროს ვერძთან ერთად მედეას „გატაცების“ ამბავიც შეიტყო, ბერძნების მიმართ მისი ლოიალური დამოკიდებულება აშკარა მტრობაში გადაიზარდა და თავხედ სტუმრებს თავისი ვაჟი დაადევნა.

საქართველოს თითქმის მთელი ისტორია ქართველ მეფეთა მაღალი პოლიტიკური კულტურის კლასიკური მაგალითია. პოლიტიკური ლავირებისა და ზოგჯერ ორმაგი სატანდარტების ხერხის მოშველიების გარეშე ჩვენ აღვიგვებოდით პირისაგან მიწისა. დააკვირდით, რა პოლიტიკური ჭაპანწყვეტით გადაირჩენს ხოლმე თავს სამ იმპერიულ ვეშაპს (ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი) შორის მოქცეული სამხრეთ კავკასიის ეს პატარა ქვეყანა. თითქოსდა შეთანხმებულანო, ეგრისი, ქართლი და კახეთი ცალცალკე ირანის, ოსმალეთის და ბიზანტიის გავლენის სფეროებს წარმოადგენდნენ. გეგონებათ, ტარდებაო რაღაც პოლიტიკური ექსპერიმენტი. მეფე-მთავრები ყველაფერს აკეთებენ, რომ სამი იმპერიიდან ერთ-ერთმა

მთლიანად არ დაისაკუთროს საქართველო. ეს მძიმე ვითარებიდან გამოსვლის დიდებული ხერხია. სამად გაყოფილმა საქართველომ კარგად იცის, რომ თუ ერთი ნაწილი მაინც გადარჩა ფიზიკურ და ნაწილობრივ სახელმწიფოებრივად, ქვეყანა მაინც აღორძინდება. იქნებ ამიტომაცაა, რომ იმ ეპოქის ქართველ მეფეებს ზოგს ბიზანტიის ქლამიდი ახურავს და წითელი წაღები აცვია, ზოგი ჩამითა და სპარსული მოსასხამით ან ისლამური ხალათით წარმოგვიდგება, მაგრამ სამივე მათგანს ამ ტოგათა შიგნით გულთან ახლოს ჯვარი ჰკიდია, ნიშნად იმისა, რომ იძულებითმა გარეგნულმა იერსახემ ან თუნდაც რწმენის დროებითმა შეცვლამ მათი მართლმადიდებლური რჯული ვერ შეარყია და ვერ შეცვალა. განა დიდებული და იმდროისათვის სწორი პოლიტიკური ალღოს მაჩვენებელი არ არის ის გარემოება, რომ მეხუთე საუკუნის საქართველოს უბრწყინვალესი მეფე ვახტანგ გორგასალი სწორედ რომ სპარსეთის შაჰის სახელით ჯერ ჩრდილოეთ-კავკასიელ ტომებს დაიპყრობს და შემოიერთებს, მერე ჩრდილოკავკასიიდან აფხაზეთსა და ეგრისში გადავა და საქართველოს ამ ორ უძველეს ქართულ კუთხეებს ოფიციალურად დაიბრუნებს. ამის შემდეგ სამხრეთ საქართველოს ეწვევა, ტაო-კლარჯეთს დალაშქრავს და საქართველოს სამხრეთის მიმართულებითაც არნახულად გააფართოვებს. შესცქერის ვახტანგ გორგასლის ძლევამოსაილ ბრძოლებს სპარსეთის შაჰი და ფიქრობს: ეს რა ყოჩაღი ვასალი მყავსო... სინამდვილეში კი ბრძენ მეფეს ერთადერთი მიზანი აქვს; მან ივერთა ქვეყანა ფერფლიდან უნდა აღადგინოს და გააერთიან-გაამთლიანოს. რათა მერე, როცა ჟამი დარეკავს, სპარსეთს გამთლიანებული საქართველო ცხვირში ძმრად ამოადინოს. ისტორიამ გაამართლა ვახტანგ გორგასლის გუმანი და წინასწარჭვრეტა. მის მიერ ჩაყრილი ერთიანი საქართველოს მტკიცე ბალავარი რომ არა, საქართველო ისე დაკარგავდა სახელმწიფოებრიობას იმპერიათა ულმობელ დგანდგარში, როგორც სომხეთი.

პოლიტიკური კულტურის და სრულიად საქართველოს წინაშე რაოდენ მაღალი კულტურის გამოვლენაა სამეგრელოს მთავრის ქუჯის მიმართვა ქართლის მეფისადმი: „ქართველთა შეერთებული ლაშქრით ჩვენ უკეთ დავამარცხებთ შემოჯარულ მტერთა, ამიტომაც მოდი ეგრისს, შეიერთე სრულიად სამეგრელო. შენ იყავი ერთადერთი მეფე საქართველოსი, მე კი - შენი ქვეშევრდომი“. დააკვირდით რამხელა კეთილშობილებაა. მეფემ, რომელსაც თითქმის მთელი დასავლეთი საქართველოს ტახტი უპყრია, ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ უარი თქვა სამეფო სკიპტრაზე და სწორედ იმ პერიოდში, როცა ქვეყანა დაქუცმაცებულია ცალკეულ სამთავროებად და ყველა მთავარს დამოუკიდებელ-სუვერენული ხელისუფლების მდგომარეობა სურს, ქუჯიმ ბრძნულად განსჭვრიტა ქვეყნის მომავალი, რითაც ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოს გამთლიანებისათვის თავდადებულ მებრძოლად.

პოლიტიკური ლავირება ან გაშუალედებური პოზიციის დაჭერა, რაც საბოლოო მიკუკერძოებლობას ნიშნავს ქართველ მეფეთა ლამის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმად

იქცა. დამპყრობელმა კარგად იცოდა, რომ საქართველო ბოლომდე არცერთ მხარეს არ მიეყიდებოდა და ამიტომაც ამ ურჩი სამეფოს მიმართ ნიადაგ სიფრთხილეს იჩენდა.

მართალია, ბიზანტიის მხარეს ყოფნა ამ ევროპულ იმპერიასთან ჩვენმა რელიგიურმა ერთობამ განაპირობა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს არ იყო საბოლოო არჩევანი. ბიზანტიონნი ისე გათავხედნენ, რომ პეტრეს ციხესთან საბაჟო გამართეს და კოლხიდაში მარილის (და სხვა ძვირფასი საქონლის) შეტანისთვისა უზარმაზარი ბაჟი დააწესეს. სწორედ მაშინ გუბაზ მეფემ ორიენტაცია 180 გრადუსით შეიცვალა და ირანის მეფეს ხოსრო ანუშირვანს უხმო ბიზანტიელთა განდევნაში დახმარებოდა. ხოსრომაც არ დააყოვნა და პეტრა აიღო. გამოხდა ხანი და გაირკვა, რომ არც ახალი მოკავშირე ირანი აყრიდა საქართველოს ხეირს. სპარსეთის შაჰმა შავიზღვისპირეთიდან ლაზების აყრა და სპარსელების ჩასახლება გადაწყვიტა. ეს კი, ბუნებრივია, ვერ მოითმინა გუბაზ მეფემ და ისევ ბიზანტიისკენ იბრუნა პირი.

მართალია, გუბაზი ამ პოლიტიკურ „სალტო-მორტალეს“ შეეწირა, მაგრამ ლაზიკა ფიზიკურად გადარჩა, ხოლო გუბაზის „მი და მო“ ტრიალმა ისტორიაში დატოვა მაგალითი იმისა, რომ ხელისუფალმა არაფერი უნდა დაიშუროს ქვეყნის გადასარჩენად და პოლიტიკაში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი პოსტულატები არ არსებობს.

ქართველი მეფეები გადაწყვეტილებას ხშირ შემთხვევაში ერთპიროვნულად იღებდნენ, მაგრამ ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის ხალხთან მოთათბირებით არჩევისა. მაგალითად, 554 წელს ლაზეთში მთავრებმა უამრავი წარჩინებული და მდაბიო ერთად შეყარეს, რომ გადაეწყვიტათ რა გზას დადგომოდნენ. ისევ ბიზანტიის მომხრედ დარჩენილიყვნენ, თუ სპარსეთს მიმხრობოდნენ.

ამ თათბირზე ბრწყინვალე დიპლომატიური სიტყვები წარმოთქვეს ლაზმა მთავრებმა აიეტმა და ფარტაზმმა.

ეს სიტყვები მაღალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებლია და ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშს წარმოადგენს. თათბირზე გადაწყდა, რომ ქართველები კვლავ ბიზანტიის მეკავშირეებად დარჩებოდნენ, თუმცა არც ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილება.

ჩვენი პოლიტიკოსები ყოველთვის ერთგულებდნენ ძველეგვიპტურ შეგონებას: „არასოდეს თქვა არასოდეს“.

პეტრე იბერს თავის „ცხოვრებაში“ მოტანილი აქვს ბაკურ მეფის ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი:

ქართლის მეფე ბაკური, რომელიც სპარსთა ლაშქარში იბრძოდა, ასეთი სურათის მოწმე გახდა; მზის ამოსვლისთანავე სპარსელნი ჩამოქვეითდნენ, ქედი მოიდრიკეს და მზის სადიდებელი ლოცვა აღავლინეს.

ბაკური ცხენიდან არ ჩამოხტა.

როცა სპასელმა ჰკითხა, ასე რად მოიქცეიო, ბაკურმა უპასუხა: „მე ქრისტიანი ვარ და ვლოცულობ მხოლოდ ერთადერთი, ჭეშმარიტი უფლისთვის“. ამ „სიჯიუტისთვის“ სპარსნი ბაკურს თავის მოკვეთას უპირებდნენ, მაგრამ შაჰმა შეიწყნარა.

თუმცა ყოველთვის როდი გამოირჩეოდა შაჰი ესოდენი გულმოწყალებით.

მეხუთე საუკუნეში შაჰმა სომხეთისა და ქართლის პიტიახშებს კატეგორიულად მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება.

ზოგმა გადაწყვიტა გარეგნულად მიეღო მაზდეანობა და თავის ქვეყანაში დაბრუნებისთანავე კვლავ ქრისტიანად მოქცეულიყო.

ერთადერთმა ქართლის პიტიახშმა არშუშამ უარი თქვა რჯულის შეცვლაზე, რის გამოც, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს:

„დაიპყრეს ქართლი სპარსთა და განყურნეს ეკლესიანი... და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“.

სომეხთა და ქართველთა შორის საეკლესიო განხეთქილებას, რაც ქალკედონის საეკლესიო კრების (451) შემდეგ (საბოლოოდ კი 609 წელსა) მოხდა, მეცნიერები ზოგჯერ ტენდეციურად ხსნიან. თითქოს ეს იყო რაღაც გაუგებრობის, თუ მღვდელმთავართა ახირების მიზეზი. სინამდვილეში საქმე ბევრად მარტივი გახდლათ:

სპარსეთის წინააღმდეგ სომეხ-ქართველთა აჯანყების (ვარდან მამიკონიანი) დამარცხების შემდეგ, სომხები ირანის ქვეშევრდომებად დარჩნენ, ირანმა შეიწყნარა სომხური მონოფიზიტობა, ვახტანგ გორგასალმა კი მტკიცედ გადაწყვიტა ბიზანტიას დამოყვრებოდა და საქართველოს ბედი მართლმორწმუნე ბიზანტიისთვის დაეკავშირებინა. ბიზანტიაში კი ამ დროს დიოფიზიტური ქრისტიანობა იყო ოფიციალურ რელიგიად აღიარებული (ქალკედონის კრება) და ქართველებიც. ბუნებრივია, დიოფიზიტებად დარჩნენ.

მახვილგონივრულობის, ალღიანობისა და მაღალი პოლიტიკური კულტურის ნიმუშია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი:

1057 წელს ათონის ივერთა მონასტრის წინამძროლმა გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს მესამეს მიმართა თხოვნით, დაეკანონებინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

ამ თხოვნას წინ აღუდგნენ ბერძნები.

მათი არგუმენტი ასეთი გახდლდათ:

დღემდე საქართველოში ქრისტეს არცერთი მოციქული არ ყოფილა და ამ უბრალო მიზეზის გამო, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია არ ეკუთვნისო. ის-ის იყო საკითხი ბერძენთა სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, რომ გიორგი მთაწმინდელმა სიტყვა ითხოვა.

დაიწყო დინჯად, სუფთა ბერძნულით:

წმინდა მამანო, მიკვირს იმ ორთოდოქსი ბერძნებისა, რომელთაც ქრისტეს მოციქულთა მსოფლიო მოძრაობა სრულად არ სცოდნიათ.

მოგეხსენებათ, ქრისტეს უპირველესი მოციქულის ანდრია პირველწოდებულის სახელი.

ეს ის ანდრია პირველწოდებულია, რომელმაც მიჰგვარა თავისი უმწრმესი სულიერი ძმა პეტრე - შემდგომში ბერძენთა განმანათლებელი, მაცხოვარს.

სწორედ ანდრია პირველწოდებული შემობრძანდა აჭარის სანახებიდან საქართველოში, მოვლო მთა-ბარი და ქრისტიანობა იქადაგა.

ახლა კი, მე ვსვამ საკითხს: რაკი საეკლესიო რჯულის თანახმად უმც-

როსი ძმა უფროს ძმას უნდა დაემორ-ჩილოს, უკამათოა ის ჭეშმარიტება, რომ უპირველესად ჩვენ, ქართველებს, გვეკუთვნის ავტოკეფალია და ჩვენს შემდეგ ჩვენს უმრწმეს ძმებს - ბერძნებსო.

პატრიარქმა თეოდოს მესამემ ამ რკინის ლოგიკას ვერაფერი დაუპირისპირა, ბერძენმა მღვდლებმაც თავები ჩაქინდრეს და კრებამ ერთხმად აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ეპოქის მოთხოვნათა შესაფერისად გადაჭრის კლასიკური ნიმუშია დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1104 წელს მოწვეული რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება.

ამ კრების უმთავრესი გადაწყვეტილება ორი რამ გახლდათ:

პირველი ის იყო, რომ ეკლესია არა ოდენ ღვთის წინაშე მოწამებრივ სამსახურად იყო მოწოდებული, არამედ მას უნდა დაებრუნებინა გარდასულ წმინდა მამათა (გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, იოანე საბანისძე...) ეროვნული პოზიცია. კვლავ უნდა ჩამდგარიყო ქართული სახელმწიფოს სამსახურში, რადგანაც „ქრისტესმიერი სარწმუნოება იგი უპირველესად არის რჯული ქართველთა“.

ამით რუის-ურბნისის კრებამ ეკლესიას ერთხელ და სამუდამოდ ქართული სულის დაცვისაკენ მოუხმო და დავით აღმაშენებელმა ამ დიადი მისიის ცხოვრებაში გამტარებლად ეკლესიას საერთო წინამძღოლად თავისი აღმზრდელი და უპირველესი ვაზირი, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი ჩაუყენა.

რუის-ურბნისის კრების მეორე კარდინალური გადაწყვეტილებაც ასევე ბრძნული სიახლე გახლდათ.

ამიერიდან ეპისკოპოსებად და საერთოდ ნებისმიერ სასულიერო თანამდებობაზე დანიშვნა ხდებოდა არა მემკვიდრეობითი პრინციპით, არამედ არჩევის წესით - კანდიდატის დამსახურებისა და პირადი თვისებების გათვალისწინებით.

თითქმის ყველა დამპყრობელი იმპერია უპირველესად ჩვენს რჯულს - ქრისტიანობას უტევდა და ქართველებს აიძულებდა სარწმუნოების შეცვლას.

ამ თვალსაზრისით, ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და წამების მაგალითიც იკმარებოდა.

რაოდენ დაუჯერებლად უნდა მოგეჩვენოთ, ერთადერთი „ურჯულო დამპყრობელნი“ მონღოლები იყვნენ, რომელთაც ქართველ მთავართათვის რელიგიის შეცვლა არ მოუთხოვიათ.

მართალია, მონღოლები საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და ქართულ ეკლესია-მონასტრებში ზოგან ცხენების ბოგაც კი გამართეს, მაგრამ ქრისტიანულ მართლრწმენას გარეგნულად არ ებრძოდნენ.

სხვა იყო მონღოთა კვალზე მოსული ხორეზმ შაჰის მემკვიდრე ჯალალ ედინი.

მან 1221 წელს მონღოლთა მრავალათასიანი ლაშქარი დაამარცხა და 1225 წელს თბილისი აიღო.

სწორედ თბილისში მეტეხის ხიდზე მოხდა ისტორიაში თითქმის გაუგონარი სისასტიკე.

ჯალალ ედინმა ხიდზე თავის ქვეშევრდომებს ხატები და ჯვრები დააწყობინა და თბილისის მოქალაქეებს უბრძანა, ქრისტიანობის უარ-

ყოფის ნიშნად ეს სიწმინდენი ფეხით გაეთელათ.

100 000-მა თბილისელმა უარი თქვა ამ ნაბიჯზე.

ჯალალ ედინის განკარგულებით 100 000-ივეს თავი მოკვეთეს და წყალში გადაყარს.

ამ ცნობას „ქართლის ცხოვრების მატიანე“ გვაწვდის.

მართალია, იქ ციფრი 100 000 არ გვხვდება, მაგრამ მატიანისეული „ბეურზე ბეური“ ქართველმა ისტორიკოსებმა ასი ათასად მიიჩნიეს.

ამ ოცდაათი წლის წინათ, გავბედე და „ასი ათასი მოწამისთვის“ ერთბაშად თავის მოკვეთა საეჭვოდ მივიჩნიე. ვერ წარმოიდგენთ ისტორიკოსთა რა რისხვა დამატყდა თავსა. ჩემს არგუმენტს – თბილისში იმ დროს სულ ორმოცი ათასი მცხოვრები იყო, აქედან ქრისტიანი დიდიდიდი 20 000 თუ იქნებოდა და 100 000 მოწამე სად გამოძებნა ჯალალ ედინმა. განა 1000 ქართველი მოწამისათვისა რომ თავი მოეკვეთათ ერის დიდებისათვის საკმარისი არ იქნებოდა მეთქი? ერთმა აწ ცხონებულმა ისტორიკოსმა ქალბატონმა ასეთი „მტკიცე არგუმენტი“ დაუპირისპირა; ალბათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოყავდა ჯალალ ედინს ქართველები მეტეხის ხიდზე თავის მოსაკვეთადო.

ზემოთ პოლიტიკაში შემოქმედებითი მომენტის შეტანის შესახებ ვლაპარაკობდით და ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ცოტნე დადიანის გმირობა.

1246 წელს მონღოლთა თავგასულობით შეწუხებული ქართველი დიდებულები კოხტასთავზე შეიკრიბნენ და დამპყრობთა წინააღმდეგ შეთქმულება გადაწყვიტეს.

როგორც ეს ხშირად ხდებოდა და ხდება დღესაც საქართველოში, შეთქმულება ვიღაცამ გასცა.

მონღოლებმა შეთქმულნი შეიპყრეს, ანისში შიშველნი ტრიალ მინდორზე თაფლწასმულნი, ხელფეხშეკრულნი დაყარეს, რათა შიმშილწყურვილით დახოცილიყვნენ.

ერთმა შეთქმულთაგანმა ცოტნე დადიანმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მან, როგორც კოხტასთავზე მოილაპარაკეს, ჯარი შეკრიბა და სამეგრელოდან ქართლისკენ გამოემართა, მაგრამ ქართლში აცნობეს, რომ შეთქმულება გასცეს, დიდებულები დააპატიმრეს და მისთვის გზის გაგრძელება საშიში იყო.

ცოტნეს ბევრი არ უფიქრია. ანისში ჩავიდა, ტანთ განიძარცვა, თაფლი წაისვა და პატიმართა შორის დაჯდა.

როცა მონღოლებმა ჰკითხეს ასე რად მოიქეცი, უპასუხა: ესენიც ჩემსავით უდანაშაულონი არიან. კოხტასთავზე ხარკის უკეთ აკრების მოგვარებისთვის შევიკრიბეთ, თუ ეს დანაშაულად მიგაჩნიათ, დაე, მეც ამათთან ერთად დავისაჯოო.

როცა ეს ნოინს მოახსენეს, „მონღოლმა რაინდმა“ (შოთა ნიშნიანიძე) ქართველ დიდებულთა უდანაშაულობა დაიჯერა და ყველანი გაათავისუფლა.

ასე ძუნწად და, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად გვიამბობს მემატიანე ცოტნე დადიანის გმირობაზე.

ჯერ ერთი მხედველობაშია მისაღები ის გაუგებრობა, რომ ცოტნე ფაქტიურად მთელი დასავლეთი საქართველოს მმართველი იყო თვით მონღოლების მიერ დანიშნული (მონღოლური სამხარეო ერთეული - დუმენის თავი) და მონღოლთა სამსა-

ხურში მყოფი. მეორეც, რაკი ცხრა შეთქმულიდან რვა დაიჭირეს, ბრძანება, რასაკვირველია, ცოტნე დადიანის დაპატიმრებაზეც იქნებოდა გაცემული. ამიტომაც მისმა მაძიებელმა გონებამ ვითარებიდან გამოსასვლელად ასეთ ხერხს მიაგნო: მოდი, დავასწრებ მონღოლებს და სანამ დამიჭერენ, თვითონ ვეახლები ნოინს, რათა ჩვენს კოლექტიურ უდანაშაულობაში დავარწმუნოო.

ამ ფანდმა გაჭრა.

პოლიტიკური კულტურის ამგვარი მაგალითი მთელს იმდროინდელ მსოფლიოში და შემდგომაც უპრეცენდენტოა.

ცოტნესათვის ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი როდი იყო, მაგრამ მას განსჯისათვის დიდი დრო არ ჰქონდა.

სხვა გზა, თუნდაც ძალისმიერი, მოძმეთა გამოხსნისა არ არსებობდა.

ვინ იცის, იქნებ ისიც გაიფიქრა გენიალურმა მოწამემ, რომ მე ერთი რომ გადავრჩე და ისინი სიკვდილით დასაჯონ, ალბათ, ისტორიის ეჭვი და რისხვა დამატყდება თავზეო.

ესეც არ იყოს, სიტუაცია არც ისე მარტივი იქნებოდა, როგორც მატიანე და გულუბრყვილო მწერლები (ვთქვათ გრიგოლ აბაშიძე) აღწერენ. აქაოდა, მოთქარუნდა ცხენით ცოტნე დადიანი, წელზევით გაიხადა, კასრთან მივიდა და თაფლის წასმას შეუდგა. როცა თაფლის წასმას მორჩა, მივიდა და შეთქმულთა შორის ჩაჯდა.

ჯერ ერთი, დასჯის მოედანზე ცოტნე ასე იოლად ვერ „მითქარუნდებოდა“, მას სულ მცირე ხუთიოდე კაცი მაინც ახლდა, მეორეც ვინ მიცემდა უფლებას შეთქმულებაში მხილებულ დუმენისთავს ასე უცერემონიოდ შეთქმულთა შორის ჩამჯდარიყო. რაო? მერე ნოინმა ჰკითხა თავისი დაცვის წევრს: „თუ კაცი ხარ, გამიგე, ვინ არის ის კაცი შეთქმულთა შორის რომ მოკალათდაო?“ რა თქმა უნდა, ასე გულუბრყვილოდ ვერავინ დაიჯერებს ცოტნე დადიანის მსოფლიო გმირობას.

სანამ წამების ველს მიაღწევდა, ცოტნეს ცოტა განსაცდელის გამოვლა როდი მოუხდა გაოცებულ მონღოლ სარდლებთან, რომლებიც ალბათ წამდაუწუმ მოახსენებდნენ ნოინს, ჩვენი ერთგული დუმენის თავი მოვიდა და შეთქმულებს უერთდებაო. ბოლოს, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ცოტნე დადიანი ნოინმა თავისთან იხმო და კარგა ხანს ისაუბრეს. აი, სწორედ იმ საუბარშია ცოტნეს გმირობა და დიპლომატიური გენიალობა. რა თქმა უნდა მემატიანეს ეპატიება სიტყვაძუნწობა, მაგრამ სიტყვის ოსტატმა ქართველთა უპირველესი გმირის საქციელზე ასე უფერულად არ უნდა გადაიაროს. ცოტნე დადიანის გმირობა ტანზე თაფლის წასმა კი არ არის, არამედ ის გასაოცარი მორალური სიმტკიცე, მამაცობა და მამულისა თუ მოძმეთა ხსნისათვის უყოყმანო თავდადებაა, რაც კოლხმა გმირმა გამოიჩინა.

დახვეწილი პოლიტიკური კულტურის მაგალითი მისცა იმდროინდელ მსოფლიოს თამარ მეფემ 1184 წელს, ყუთლუ არსლანის გამოსვლის დროს. ის, რასაც ზოგი ისტორიკოსი პირველ ქართულ პარლამენტს უწოდებს, სხვა არა იყო რა, თუ არა მეფე ქალის ხელისუფლების შეზღუდვის მცდელობა. როცა ყუთლუ არსლანმა ისანში გამართა კარავი და თამარ მეფისგან მისი ყოველი გადაწყვეტილების კარავში მყოფ დიდებულებ-

თან შეთანხმება მოითხოვა. მხედველობაში იქონიეთ ის გარემოება, რომ იდგა XII საუკუნე, ერთმეფობის ხანა, როცა მეფე იყო უზენაესი ხელისუფალი. თამარს ისედაც ჰქონდა თავისი სათათბირო ხელისუფლება – სამეფო დარბაზი. ყუთუ არსლანის კარავი კი სწორედ სამეფო დარბაზის უფლებების შეკვეცისკენაც იყო მიმართული. და სწორედ ამ დროს, თამარმა ამ უჩვეულო წარმონაქმნის – კარავის დარბევის ბრძანება კი არ გასცა, რასაც ყველა მონარქი მოიმოქმედებდა, არამედ „შეთქმულებთან“ მოსალაპარაკებლად ორი უაღრესად ავტორიტეტული, კდემამოსილი ქალბატონი - ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი გაგზავნა. ეს უკვე ყუთლუ არსლანის მეკარვეთა მორალურ დამარცხებას ნიშნავდა და ასეც მოხდა. თამარ მეფის ბრძნული წინასწარჭვრეტა მართალი აღმოჩნდა.

ეპოქის ხასიათისა და სიტუაციის შესაფერისად ქართველ მეფეთა მოქმედება ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებით არის სავსე. თუ 1289 წელს არღუნ ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული ვეზირის ბუღას მხარდაჭერისათვის ყაენმა დემეტრე მეფე თავისთან იხმო და მიუხედავად სამეფო დარბაზის კატეგორიული უარისა, დემეტრე მაინც ეახლა ყაენს, რითაც სასიკვდილოდ გაწირა თავი (რისთვისაც მას „დემეტრე თავდადებული“ ეწოდა), სამაგიეროდ, სულ რაღაც 8 წლის შემდეგ ყაზან ყაენმა ახლა ურჩობისთვის დავით მერვე იხმო თავისთან, მაგრამ დავით მეფეს კარგად ახსოვდა დემეტრეს ბედი და მიუხედავად დარბაზის რჩევისა, წადი და ყაენს პატიება თხოვეო, მეფემ უარი განაცხადა. თუ დავით აღმაშენებელს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქარქაშში ხმალი არ ჩაუგია და ამ გზაზე მისთვის კომპრომისი არ არსებობდა, სამაგიეროდ გიორგი მეხუთემ („გიორგი ბრწყინვალე“) მონღოლებთან პირდაპირ ბრძოლას მოჩვენებითი თანამშრომლობა და დროებითი დაზავება არჩია. მან „თავისი გავლენით ისარგებლა და ქვეყნის მდგომარეობის აღდგენას მონღოლთავე მხარდაჭერით შეუდგა“ („საქართველოს ისტორია“, 2012, გამომც. „გუმბათი“, გვ. 245).

სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურა არც ჩვენს ეპოქაში და უახლოეს წარსულში გამოირჩევა ობიექტურობის დაცვისა და ურთიერთპატივისცემის მაგალითებით. საქართველომ ოცი წლის შუალედით 1993 და 2008 წლებში ორი უმძიმესი ომი გადაიტანა რუსეთთან, რასაც უამრავ ადამიანურ მსხვერპლთან და ეკონომიკურ განადგურებასთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მოჰყვა.

რუსეთის იმპერიული ზრახვები რომ ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ, ზემოაღნიშნული წლები მსოფლიოს დიპლომატიურ მარცხადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ამერიკაში, გაეროში, ევროკავშირში, ევროპარლამენტში, რუსეთში და საქართველოში, არ აღმოჩნდა მსოფლიო ავტორიტეტის მქონე თუნდაც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებდა პროცესები მოლაპარაკების მაგიდასთან დაებრუნებინა და საქმე შეიარაღებულ თავდასხმამდე არ მიეყვანა.

პირველი ომის შემთხვევაში (1993 წ.) რუსეთს მართავდა დასავლური ორიენტაციის მქონე პრეზიდენტი ელცინი, რომელიც აშკარად გახდლათ მაშინ ლოიალური პოზი-

ციის გამტარებელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

საკმარისი იყო იმ დროს ამერიკის პრეზიდენტს ერთი სიტყვა ეთქვა ელცინისათვის საქართველოს სასარგებლოდ, რომ ომი არ მოხდებოდა.

მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა რუსეთის პრეზიდენტი თავისი ფეხით ჩამოვიდა ყაზბეგში და საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას ხელი მოაწერა.

ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკაში მეოცე საუკუნის დასასრულს მაინც გაემარჯვა პოლიტიკურ კულტურას, ევროპა-ამერიკის უმაღლეს წრეებშიც კი ძველი ინერციით ცხოვრობდნენ. კვლავ გასავალი ჰქონდა ნაჯახურ პოლიტიკას, ხოლო რუსეთის და საქართველოს მეთაურები ერთმანეთს საგინებელ ეპითეტებს ენერგიულად უცვლიდნენ.

იქნებ სისხლისღვრას გადარჩენილიყო იმდროინდელი საქართველო, რომ ბუშს საქართველოს პრეზიდენტისათვის „დინების წინააღმდეგ მცურავი თევზი“ არ ეწოდებინა და ზვიად გამსახურდიას ასევე გამომწვევად არ ეპასუა: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო“.

ეს ეზოპური კითხვა-პასუხი პოლიტიკურ ნანინას წააგავს იმასთან შედარებით, რაც მაშინ პუტინმა და სააკაშვილმა აკადრეს ერთმანეთს. სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტს „ლილიპუტინი“ უწოდა, ხოლო პუტინი თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტს „ერთი ადგილით დაკიდებით“ დაემუქრა.

ალბათ, დამერწმუნება მკითხველი, რომ პოლიტიკური კულტურის დეფიციტმაც დამართა მსოფლიოს ის უსიამოვნებანი, რაც ახლა სჭირს.

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე ხუთი უმთავრესი პრობლემა დგას: შიმშილის, ომის, დემოგრაფიის, ენერგორესურსების და ეკოლოგიის.

ძირითადად ეს ხუთი პრობლემა უდებს სათავეს დედამიწის მცხოვრებთა მოუწესრიგებლობას. ეს ხუთი პრობლემა გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეშიც გვიწევს მსჯელობა მსოფლიო ომებზე, დემოგრაფიულ დაპყრობებზე, ენერგოკრიზისებსა და ეკოლოგიურ კატასტროფებზე.

ჯერჯერობით მსოფლიოს მეცნიერული აზრი და პოლიტიკოსთა სადღეღამისო ძალისხმევა ამ ხუთი ვეშაპიდან ასე თუ უმკლავდება მხოლოდ ერთს - ენერგორესურსების ნაწილობრივ მოწესრიგებას, დანარჩენ ოთხს კი ყველანი ამაოდ ვებრძვით და მსოფლიოს ეს ხუთი სატკივარი დღითიდღე გვაგრძნობენებს თავის „ავ მუსაიფს“ პლანეტის სხვადასხვა კუთხეში სახელმწიფოთა შორის მუხანათური მეკობრეობის, შინაომების, რევოლუციების, ეპიდემიებისა და ეკოლოგიური უბედურებების სახით.

როგორმე პლანეტის მკვიდრთ ერთმანეთის გატანა რომ შევძლოთ და ეს ჩვენი მარჩენალი დედამიწა შიგნიდან არ ავაფეთქოთ, დედამიწის მცხოვრებთა კეთილი ნებაა საჭირო. ადამიანთა შორის კეთილი ნების აღმძვრელი და დამამკვიდრებელი კი ადამიანის შინაგან ბუნებაზე ზემოქმედების ნაცადი და მოქმედი საშუალება - კულტურა გახლავთ.

თუმცა მხატვრული ნააზრევი ანუ კულტურა მოწოდებულია სიკეთის, სიმშვიდის, სათნოების დასამკვიდრებლად, მას გაჩენისათანავე უხდებოდა და ახლაც უხდება ურთიერთობის გარკვევა პოლიტიკასთან.

პოლიტიკა ცოდნაა იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ სახელმწიფო, მაგრამ როგორც კი ამ ცოდნით აღჭურვილი პოლიტიკოსთა ჯგუფი სახელმწიფოს სათავეში მოექცევა, ამ ჯგუფის პოლიტიკა იქცევა სახელმწიფო იდეოლოგიად. სახელმწიფოს კი თავისი მკაცრი კანონები აქვს და მისი იდეოლოგიის მტკიცედ დაცვას მარტოოდენ უბრალო მოქალაქეებისგან კი არა, იმგვარი თავისუფლად მაოზროვნე შემოქმედისგან მოითხოვს, როგორიც ხელოვნების წარმომადგენელი, კულტურის მოღვაწე გახლავთ.

იყო შემთხვევები, როცა ხელისუფალს იმდენად შურდა ხელოვანის დიდება, რომ თვით სცდიდა მხატვრული ნაწარმოების შექმნაში ძალას, რაკიღა გვირგვინოსანი იყო, შეპასუხებას ვერავინ უბედავდა და თავი ხელოვნებაშიც ფრიად წარმატებულად მიაჩნდა.

რომის იმპერატორმა ნერონმა, რომელიც ხელოვნების არაერთ დარგში და მათ შორის სასცენო ხელოვნებაშიც ამაოდ ცდიდა ძალას, სიკვდილის წინ პათეტიურად წამოიძახა: „აფსუს, რა არტისტი ეცლება რომს ხელიდან?!“.

ერთი მხრივ, შური და მეორეს მხრივ ჭეშმარიტი ხელოვანის ძნელადაღსაზრდელობა იყო მიზეზი იმისა, რომ ხელოვანსა და ხელისუფალს შორის დაძაბული ურთიერთობა ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, კუს მიერ ფეხის გამოყოფის ანდაზისამებრ ამუშავდებოდა ხელმწიფის დამქაშების მთელი რაზმი, ჩაირთვებოდა იდეოლოგიური მანქანა ურჩი ხელოვან ის ასალაგმავად.

ოფიციალური პოლიტიკა ხელოვანს ათასი საშუალებით ებრძოდა: დაშინებით, დაპატიმრებით, გადასახლებით და თვით იგნორირებითაც კი, იგნორირება „ვერშემჩნევა“, ჭეშმარიტი ხელოვანისთვის არანაკლებ მძიმე სასჯელი გახლავთ.

და მაინც რას აკეთებდა კულტურის წარმომადგენელი ისეთს, რომ მოსვენებას უკარგავდა ძალაუფლების ნირვანაში მთვლემარე ხელისუფალს?

მუზათა მსახური ერთი ნაბიჯით ყოველთვის უსწრებს ოფიციალურ, გაბატონებულ იდეოლოგიას. პროგრესისაკენ მიმსწრაფალ გზას, იგი ჩვეულებრივ მოკვდავზე უკეთ ხედავს, მაღლიდან დაჰყურებს მოვლენებს, სახელმწიფოს ხელოვნებასაც კალეიდოსკოპივით აღიქვამს და ხმასაც იმაღლებს. სწორედ ეს მისი ხმის ამაღლება არ მოსწონთ ძლიერთა ამა ქვეყნისათას, „მაღლა მხედი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდად“, ბრძანებდა აკაკი და სწორედ ეს „მაღლამხედობა“ გახლდათ ჭეშმარიტი ხელოვანის ოპოზიციური განწყობის მიზეზი.

დიდი ხელოვანი ყოველთვის, ყოველ დროში ოპოზიციონერი გახლდათ და ასეა დღესაც.

ვისაც კრიტიკული აზრის გამო წელში აკანკალებს, ე მანდ ხელოვანმა ხალხი არ ამიბუნტოსო, სწორედ იგი ცდილობს როგორმე ჭკუა ასწავლოს. „დააუთოოს“ კულტურის წარმომადგენელი, ყალიბში მოაქციოს მისი აზროვნება.

კულტურის ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის კულტუროსნის მიმართ ოფიციალური პოლიტიკის ხაზის გამტარებელთა ცინიკური,

უსულგულო, ზოგჯერ კი აშკარად რეპრესიული დამოკიდებულებისა.

ისტორიამ ვერ შემოგვინახა, თორემ არც თუ კარგი ცხოვრების გამო უნდა გადასახლებულიყო რუსთაველი პალესტინაში, რათა იქ, სამშობლოდან შორს მყოფს მარტოობაში დაელია სული (გაიხსენეთ მიხეილ ქვლივიძის მშვენიერი ლექსი „მაშ, შენ ამბობ რომ არ ჰყოლია მტერი რუსთაველს?“, საყოველთაოდ ცნობილია, დედამიწის სხვა გენიოსი პოეტის მართლაც ღვთაბერივი „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის - დანტე ალიგიერის ბედი.

სერვანტესმა ხუთი წელი ციხეში დაჰყო.

ჰიუგო საფრანგეთიდან გაასახლეს.

პუშკინი და ლერმონტოვი ხელისუფლების მიერ მიგზავნილმა პირებმა დუელში მოჰკლეს.

დოსტოევსკი სამოქალაქო სიკვდილით დასაჯეს.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ისეთ დემოკრატიულ და პროგრესულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, 1858 წელს სამართალში მისცემდნენ სახელგანთქმულ მწერალს გუსტავ ფლობერს, რომელმაც თურმე თავისი რომანით - „მადამ ბოვარი“ საზოგადოებრივი მორალი შეურაცხჰყო და გარყვნილება იქადაგა.

„ვისთან ხართ თქვენ კულტურის მუშაკებო?!“ - ეს იყო პირველივე კითხვა საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვანთა მრავალათასიან არმიას რომ დაუსვა.

და დაიწყო ხელოვანთა დაყოფა თანამდგომელებად და თანაგზავრებად. პროლეტარ (შემდგომ ბოლშევიკ) მწერლებად და თეთრგვარდიელთა მხარდამჭერ მწერლებად.

მაიაკოვსკი და ესენინი თვითმკვლელობამდე მიჰყავთ, გორკის სწამლავენ, ცვეტაევას ემიგრაციაში „უშვებენ“, ხოლო ახმატოვას შუა აზიაში ასახლებენ.

საქმე იქამდე მიდის, რომ 1932 წელს საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე წითელ რუსეთში მცხოვრები ყველა მწერალი ერთ ორგანიზაციაში „საბჭოთა მწერალთა კავშირში“ გააერთიანეს, რითაც ერთი ხელისმოსმით გააუქმეს ყველა აქამდე არსებული ე.წ. „მოდური“ ლიტერატურული სკოლა და დაჯგუფება.

საბჭოთა მწერლების ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად გამოცხადდა ე.წ. „სოციალისტური რეალიზმი“, რომელსაც სოციალისტური ცხოვრება უნდა აესახა მის ოპტიმისტურ განვითარებაში.

და დაიწყეს ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასება სოციალისტური რეალიზმის კრიტერიუმებით. ნაწარმოებთა პერსონაჟები დაყვეს დადებით და უარყოფით გმირებად. ფინალი აუცილებლად ოპტიმისტური უნდა ყოფილიყო. „მზე ჩადიოდა“ - პესიმიზმს ნიშნავდა, „მზე ამოდიოდა“ - ოპტიმიზმს. ასე პრიმიტიულად ესმოდა ზოგიერთ კრიტიკოსს ცხოვრების ასახვა მის პერსპექტიულ-ოპტიმისტურ განვითარებაში. მანამდე?

1907 წლის თებერვალში აკაკი წერეთელი ჟურნალ „ხუმარას“ გამოცემისთვის მეტეხის ციხეში ჩასვეს, ხოლო იმავე წლის აგვისტოს XIX საუკუნის საქართველოს საულიერ მამას – ილია ჭავჭავაძეს წიწამურთან ბერდენკის ტყვიით გაუმასპინძლდნენ.

ეს სასჯელი ილიამ და აკაკიმ თავისუფლებისკენ ქართველი ერის მოწოდების გამო დაიმსახურეს.

მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და გალაკტიონ ტაბიძე დააპატიმრეს 1921 წლის ბოლშევიკურ ინტერვენციაზე დაწერილი პოემის გამო „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“, ხოლო იოსებ გრიშაშვილი კი XI არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ დაწერილი ლექსისათვის „ახალ ხელისუფლებას“.

1937 წელს ხელოვანთა მოთვინიერების მანქანა მთელი ძალით ამოქმედდა.

ანტისაბჭოთა, ჯაშუშური საქმიანობის შეთითხნილი ბრალდებით დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ევგენი მიქელაძე...

განსხვავებული აზრის გამო მწერლებს ხელაღებით რიცხავდნენ მწერალთა კავშირიდან. გარიცხვების სერია თითქმის ჩვენს დრომდე გაგრძელდა:

1938 წელს გარიცხეს კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე და პავლე ინგოროყვა;

1975 წელს გარიცხეს ზვიად გამსახურდია;

2001 წელს გაირცხეს რევაზ მიშველაძე. სმი წლის შემდეგ 2004 წელს ქართველ მწერალთა ყრილობამ რევაზ მიშველაძე თავის ერთ-ერთ თავკაცად აირჩია. მან კი გამგეობის პირველსავე სხდომაზე ზვიად გამსახურდია სიკვდილის შემდეგ მწერალთა კავშირის წევრად აღადგინა.

ოცდაათიანი წლების შემდეგ მკითხველთა მთელი თაობები არალეგალურად ეცნობოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ და ტიციან ტაბიძის ლექსებს.

მწერალს რომ დააპატიმრებდნენ, მეორე დღესვე დაიწყებოდა სამოქალაქო საბუთებიდან, კრებათა ოქმებიდან და თვით ბიბლიოთეკებიდანაც კი მისი სახელისა და გვარის ამოშლის კამპანია.

დილამდე ისხდნენ არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში გვარის ამომშლელნი, რა სიამოვნებით ამოშლიდნენ „ხალხის მტერთა“ გვარებს, ადამიანთა მეხსიერებიდანაც რომ შეძლებოდათ.

რეპრესიებს ყველა ვერ უძლებდა. დადებდა კალამს თუ ყალამს და განაპირდებოდა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა ახლა მისი სიჩუმეც, განდგომაც კი აღიზიანებდათ. ყველანაირად ახალისებდნენ მაქებარ, მაამებლურ, პანეგირიკულ ხელოვნებას და ივსებოდა სახელოვნო თაროები მარქსიზმისა კლასიკოსთა პორტრეტებით თუ ბიუსტებით, წიგნები კი ბელადთადმი მიძღვნილი ლექსებითა და პოემებით.

ხომ საშინელებაა რეპრესიები შემოქმედებით კავშირების მიმართ და ხელოვანთა აბუჩად აგდების „ღონისძებები“, არანაკლებ შემზარავია ხელმწიფის კარის ხელოვანი, პოლიტიკისთვის სულმიყიდული შემოქმედი.

ხელოვანმა თავის სიტყვას და საქმეს ოქროს ფასი უნდა დასდოს, თავისი ფასი უნდა იცოდეს, უნდა ესმოდეს, რომ მის ნაწერს თაობები გაეცნობა და უნდა ეცადოს, არ შერცხვეს მომავლის წინაშე.

თავისი დროით კმაყოფილი, ქების აღსავლენად შემართული შემოქმედი იმ ტოტსა სჭირს, რომელზეც თვითონ მოკალათებულა.

„არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში“, ყველაზე დიდი ზნეობრივი სიბრძნეა მუზის მსახურთათვის.

არსებობს პოლიტიკასა და კულტურას შორის ურთიერტობის კიდევ ერთი ფორმა, რომელსაც სახელმწიფო დაკვეთა ჰქვია.

სახელმწიფო დაკვეთა სასურველ შედეგს მაშინ გვაძლევს, როცა ხელოვანის პოზიცია და სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარმა თანხვედრამ მაშინაც კი, როცა ერთი მხრივ, ადმინისატაციის რკინის ხელი ან ფულადი დაინტერესება იყო, ხოლო მეორე მხრივ გენიოსის ნება, მსოფლიოში ხელოვნების არაერთი შედევრი შექმნა.

დღეს უკვე აღარავინ ინტერესდება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო დაკვეთით შეიქმნა როდოსის კოლოსი, სემირამიდას დაკიდებული ბაღები და ალექსანდრიის შუქურა.

სახელმწიფო დაკვეთა რომ არა, არ გვექნებოდა ეგვიპტის პირამიდები და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ტაჯმაჰალი და პართენონი, ვარძია და სვეტიცხოველი...

სახელმწიფოსა და კულტურას შორის ჰარმონიულმა თანამშრომლობამ არა მარტო არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერისა თუ მუსიკის, ლიტერატურის არაერთი იგავმიუწვდომელი ძეგლიც დაბადა. შემთხვევით როდი გაჩნდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი გენიალური ავტორის აღიარება: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“.

მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სახელმწიფო გარიგების შედეგად შექმნა მიქელანჯელომ იგავმიუწვდომელი სიქსტის კაპელა და ლეონარდო დავინჩიმ – რომის შადრევანი.

ხელოვანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობამ საბჭოთა ეპოქაში კაბალური ფორმა მიიღო. შემოვიდა ე.წ. ხელშეკრულებითი საქმიანობის წესი. ხელშეკრულებას კი სახელმწიფო ხელოვანს იმგვარ, აშკარად პროპაგანდისტულ საქმეზე უდებდა, რაც თავიდანვე გამორიცხავდა ყოველგვარ შემოქმედებით ფანტაზიას.

რა შემოქმედებით ფანტაზიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, მაშინ, როცა: დამკვეთი ითხოვდა დაზგური პრინციპით შექმნილ მარქსიზმის კლასიკოსათა სკულპტურებს თუ ფერწერულ პორტრეტებს, საკოლმეურნეო შრომის ამსახველ გრაფიკულ „შედევრებს“ და ლოზუნგებით აჭრელებულ პეიზაჟებს.

ამ ურთიერთობამ პოლიტიკური ანგარების და აშკარა იძულების გარდა ადამიანური თანამშრომლობის მაგალითებიც იცის: გერმანიამ კარგად იცოდა ვაიმარელი გენიოსის - გოეთეს ფასი და „ფაუსტის“ ავტორი ხან მინისტრი გახლდათ, ხანაც უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწე.

ლიტერატურის ისატორიამ იცის არაერთი მაგალითი სტალინის ყურადღებიანი დამოკიდებულებისა გორკის, მაიაკოვსკის, შოლოხოვის, ბულგაკოვის და სხვათა მიმართ. როცა ამ უკანასკნელმა კულტურის სამინისტროს მესვეურთა გულგრილი დამოკიდებულების გამო საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, უეცრად შუაღამისას მის ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა:

- გამარჯობა, ამხანაგო ბულგაკოვ, სტალინი ვარ. მითხრეს, რომ საზღვარგარეთ მიდიხართ საცხოვრებლად, რა მიზეზია, მოგწყინდით?

- ამხანაგო სტალინ, აქ გასაქანს არ მაძლევენ.

- სახელდობრ?

- სამსახურიც კი არა მაქვს. გუშინ მოსკოვის სამხატვრო თეატრს მივმართე. სალიტერატურო ნაწილის გამგის ადგილი აქვთ, უარი მითხრეს.

პაუზა.

- ამხანაგო ბულგაკოვ. თქვენი გადაწყვეტილება თქვენი ნებაა, მე ამაში ვერ ჩავერევი, გთხოვთ, ერთხელ კიდევ მიხვიდეთ მხატში, ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ იქნებ ჩემმა შუამდგლომლობამ გაჭრას.

მეორე დღეს ბულგაკოვი სამხატვრო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დანიშნეს და საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლა სამუდამოდ გადაიფიქრა.

ასე რომ, როცა კულტურის მუშაკთა რეპრესიების სავალალო ფაქტებს გავიხსენებთ, იქნებ ამგვარი იშვიათი, მაგრამ მაინც საგულისხმო ფაქტებიც არ დაგვავიწყდეს.

ალბათ, ისევ და ისევ ხელოვანთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით (ესე იგი არც თუ უანგაროდ) ხელისუფლება აწესებდა პრემიებს და იმ პრემიებს ურიგებდა ნიჭით გამორჩეულ შემოქმედთ. კულტურის მოღვაწეებს უფასოდ ურიგებდა ბინებს, სახელმწიფო თავის თავზე იღებდა შემოქმედებითი კავშირების შენობათა კომუნალურ ხარჯებს. ყველა სახელოვნო თუ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთს ჰქონდა საკმაოდ სოლიდური ჰონორარი და სახელმწიფოს მიერ დანიშნული სუბსიდიები ყოველივე ამას კი სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფდა.

ხოლო „რაკი ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“, სახელმწიფო, დიაღაც, აცხადებდა პრეტენზიას, რომ კულტურა სახელმწიფო პოლიტიკის ხაზის გამტარებელი ყოფილიყო.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იმპერიის დედაქალაქში (მოსკოვში) მტკიცდებოდა ცალკეულ გამომცემლობათა საგანმომცემლო გეგმები და კინოსტუდიაში გადასაღებად გამზადებულ კინოფილმთა საავტორო თუ სარეჟისორო სცენარები, ყველაფერი ცენტრალიზაციის საყოველთაო კანონს ექვემდებარებოდა.

თანამედროვე მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენს, რომ მთავლიტის დასტურის გარეშე მხატვრულ (გნებავთ მეცნიერულ) ნაშრომს კი არა, მოსაწვევ ბარათსაც კი ვერ დაბეჭდავდი, ხოლო სპექტაკლს მაყურებელი ვერ იხილავდა, თუ ე.წ. გენერალურ რეპეტიციაზე წარმოდგენას კულტურის სამინისტროს სპეციალური კომისია არ ჩაიბარებდა.

ერთი სიტყვით კულტურა ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი იყო თუ შემოქმედი სოციალისტური რეალიზმის დადგენილ ჩარჩოებს გაშორდებოდა, მას მაშინვე მიაკერებდნენ უიდეო ხელოვანის იარლიყს. „უიდეობიდან“ კი „ხალხის მტრად“ გამოცხადებამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი.

როგორი უნდა იყოს პოლიტიკისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულება?

ეს დამოკიდებულება ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე უნდა იყოს დამყარებული.

ოფიციალური პოლიტიკის წარმომადგენლები ანუ ხელისუფალნი ნიადაგ უნდა ცდილობდნენ, არ შეზღუდონ ხელოვანის თავისუფლება, არ მოაქციონ კულტურა პოლიტიკურ თვალსაზრისთა ყალიბში, უნდა უცოდნენ, რომ შემოქმედის ბუნება უაღრესად ფაქიზი ფენომენია

და იგი ადმინისტრირებას, მაგიდაზე თითების კაკუნს ვერ იტანს.

კულტურა ეროვნული ფენომენის დაცვისთვისაა მოწოდებული და თუ ხელოვანი ხედავსა, რომ პოლიტიკოსიც ამ გზას ადგას, მას ოფიციალურ წრეებთან სადავო არა აქვს რა. მაგრამ ეროვნული ხაზის გამრუდების შემთხვევაში ხელოვნების წარმომადგენელი, დიაღაც, აიმაღლებს ხმას და ისტორიის წინაშე მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, მუზათა მსახურს ეს ხმის ამაღლება სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად ჩავუთვალოთ.

ზემოთ ვილაპარაკეთ ხელისუფლების მიერ „კულტურის მოთვინიერების“ სავალალო მაგალითებზე, იმ დამსჯელობით ღონისძიებებზე, რომლის ძალითაც ხელოვნება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ხელში ქედდადრეკილ მუზად იქცეოდა და შედეგად კულტურის ისტორიას რჩებოდა პანეგირიკული ცრუხელოვნების გულისამრევი ნიმუშები.

კულტურაზე ზემოქმედების არანაკლებ ტლანქი ფორმაა მისი იგნორირება.

იგნორირება ანუ განზე გაწევა, ვერშემჩნევა და საბოლოო ჯამში არაფრად ჩაგდება ზოგჯერ სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი.

ჭეშმარიტ ხელოვანზე გამწყარალი ხელისუფლება ჯერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმის მტკიცებას მოჰყვება, რომ მხატვრულმა ნააზრევმა თავისი დრო მოჭამა. იგი ძველებურ გავლენას ვეღარ ახდენს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე. მერე მოჰყვებიან ზღაპრებს იმის შესახებ, რომ ხელოვნების ქმნილებაზე აღარ არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა და ბოლოს ამუშავდება კულტურის იგნორირების უზარმაზარი პოლიტიკური მანქანა, რომელც წალეკვით ემუქრება პირველ რიგში სწორედ ეროვნულ კულტურას.

მთავრობა პირველ რიგში ეკონომიკურ შემწეობას შეუწყვეტს სახელოვნებო წისქვილებს (კინოსტუდიას, თეატრებს, გამომცემლობებს, სამუსიკო ცენტრებს...), ხელისუფლების წარმომადგენლები აღარ ჩანან გამოჩენილ მწერალთა იუბილეებზე, კინოდარბაზებში, თეატრებში, სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, ყოველნაირად ხელს უშლიან ახალგაზრდებში დამკვიდრდეს პატივისცემა ჭეშმარიტ ხელოვანთა მიმართ იქამდეც კი, რომ სკოლებში კრძალავენ თეატრის აბონემენტებისა და წიგნების გაყიდვას.

კულტურის იგნორირება უფრო შორსაც მიდის არასახელმწიფოებრივად ცხადდება მშობლიური ენის სიწმინდის დამცველი კომისიები და მეცნიერული სტრუქტურები, სამაგიეროდ, პრიორიტეტად ითვლება საზღვარგარეთიდან უცხო ენის მასწავლებლების ჩამოყვანა და მათს სოციალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა. ერთიმეორის მიყოლებით იხურება წიგნის მაღაზიები და ბიბლიოთეკები.

ლამის სახელმწიფოებრივ დონეზეა „მოწესრიგებული“ უყურადღებობა შემოქმედებითი კავშირების მიმართ. მათს ლიკვიდაციას არა მარტო უყურადღებობით უწყობენ ხელს, არამედ ზოგჯერ აშკარა ტექნიკური უმოქმედობითაც, რაც კუთვნილი სამუშაო ფართობის („ოფისს“ რომ ეძახიან) პოლიციის ძალით წართმევით და ერისთვის ძვირფასი ადამიანების ქუჩაში გამოყრით გვირგვინდება.

ოფიციალურ ელექტრონულ და ბეჭდვით მასმედიას მიცემული აქვს

დირექტივა: არამც და არამც არ დაუთმონ ტრიბუნა იმ პოპულარულ პატრიოტ-ხელოვანს, ვის სიტყვასაც ფასი აქვს და საზოგადოებაზე ზემოქმედება შეუძლია.

მესამე გზა კულტურაზე პოლიტიკოსთა ზემოქმედებისა გახლავთ ეროვნული, თვითმყოფადი კულტურის ხარჯზე მასკულტურისა და საეჭვო ღირებულების უცხოური ან შინაური, მაგრამ საეჭვო მხატვრული ღირებულების „კულტურის ნიმუშების“ გაფეტიშება.

მაღალი გემოვნების აღზრდა-ჩამოყალიბების ნაცვლად ხდება გემოვნების დაქვეითება, მასობრივად იღებენ ეროვნული ღირებულების ძეგლებს და მათს ადგილას არაფრისმთქმელ, გულისამრევ „ფიგურებს“ ან საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნაფრცქვენებს დგამენ საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავთ პენსიონერი, კარგა ხნის წინათ ჩამოწერილი შანსონე-მომღერლები, რათა გულუბრყვილო ხალხს ჭეშმარიტი, ელვარე ნიჭის მქონე ადგილობრივ მომღერლებთან შედარებით „უცხოელ ვარსკვლავთა“ უპირატესობა დაუმტკიცონ.

ასე რომ, კულტურისა და ოფიციალურ ხელისუფალთა ურთიერთობის სავალალოდ ტრადიციული უძველესი მანქანა დღესაც ყრუ გრუხუნით მუშაობს.

✍ *სოსო სიგუა*

გვარ-ტომი და ფუძე-ენა

ლიდერი და მიკროწრე

ადამიანთა მცირე ჯგუფი აყალიბებს რელიგიას, ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, მეცნიერებას, ფილოსოფიას. მას ჰყავს წინამორბედები, რომლებიც ამზადებდნენ ინტელექტუალურ ატმოსფეროს. მათ მიჰყვება უამრავი მიმბაძველი და მიმდევარი, მათ გადააქვთ კულტურა მასებში, თაობიდან თაობაში.

12 ძე ჰყავდა ბიბლიურ იაკობს, რომელთაგან წარმოდგა ისრაელის 12 ტომი (ირანული ტოჰმ ნიშნავს გვარს, ნათესავს, ძველქართულ „სახლს“).

ქრისტეს 12 მოციქული ჰყავდა, მაგრამ მისი იდეა 2000 წელია ცოცხლობს და ჰყავს აურაცხელი მიმდევარი, წმინდანი და წამებული.

ადამიანთა მცირე ჯგუფი ჰყავდა კორტესს, როცა მექსიკა დაიპყრო; 122 ინგლისელი პურიტანელი ჩავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში 1620 წელს, რომელთა ერთიანობისა და რწმენის იდეა დაიცვეს და განავრცეს შთამომავლებმა. ასეთ მიკრო-წრეში არის კონდენსირებული ენერგია, როგორც კვერცხში ჩანასახი, რომლისგანაც მოდის სიცოცხლე.

მცირე ჯგუფი ანუ ელიტა ქმნის სახელმწიფოსა და კონტრკულტურას, რომელსაც ელის უნივერსალიზება. იგი უმცირესი ქმედების პრინციპით, იზოლირებული აგრესიულ ძალთაგან, აყალიბებს თავის წრესა და წარმოდგენებს; რაც უფრო მტკიცეა და მონოლითური, იმდენად აქვს გაშლის პერსპექტივა.

ამ მცირე ჯგუფს ანუ სუბკულტურის ელიტას ჰყავს ლიდერი. ის არის ძალისა და იდეების გენერატორი, როგორც ქრისტე, მუჰამედი, ჩინგის ხანი, ნაპოლეონი, ჰიტლერი თუ სტალინი. იგი კრავს და აერთიანებს ამ ჯგუფის ინტერესებს, აძლევს ხედვისა და მოქმედების მიმართულებას.

ასეთივე პრინციპით ხდებოდა უძველეს დროში გვარტომისა და ფუძე-ენის კრისტალიზება. მაგ., გამყრელიძე-ივანოვის თეორიის თანახმად, პრაინდოევროპელთა მიგრაცია წინააზიიდან ბალკანეთისა, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ნახევარკუნძულისაკენ, შემდეგ – ვოლგისა და დნეპრის გავლით ევროპისაკენ.

გენეტიკოსთა აზრით, ინდოევროპული ტომების სამშობლოა ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპები, საიდანაც 4.500 წლის წინათ გადასულან ცენტრალურ ევროპაში.

ეს იყო დერივაციული, აგრესიული, შედარებით სწრაფი პროცესი. მის დამწყებ და წარმმართველ ლიდერებს ეთნარქები ერქვათ ან ღმერთებად ჰყავდათ გამოცხადებული.

ყველა დიდი მდინარის სათავე მცირე წყაროა. არსებობდა მეორე გზაც – ეს იყო პრიმიტიული ტომების ენების თანდათანი შერწყმა, როცა მრავალი მეტყველება ერთმანეთში ირეოდა, ერთმანეთში იძირებოდა.

ეს არის დროში გაწელილი კონვერგენციული, მშვიდობიანი პროცესი, რომელსაც არ ჰყავს ლიდერი და მხოლოდ ლეგენდამ უნდა დაამკვიდროს (მაგ., კავკასიელთა თარგამოსი, ქართველთა ქართლოსი).

ამღვრეული პროცესის დაწმენდას მოსდევდა ახალი ენის წარმოშობა, რაც რაღაც ფაქტორით უნდა მომხდარიყო. ინტეგრირებას პარალელურად ახლდა დიფერენცირებაც (არნ. ჩიქობავა) ისე, რომ ახალი მეტყველება ვერც ასწრებდა დროში გამყარებას, ტერიტორიულ განფენას.

მთიდან დაქანებული ნიაღვრის ტოტები ბარში ერთმანეთს ერთვის ერთ მდინარედ, გუბდება ერთ ტბად.

ფუძე-ენის არსი

ფუძე-ენა არის ლინგვისტური აბსტრაქცია, წარმოსახვაში შექმნილი ხელოვნური, სამუშაო მოდელი თუ აღდგენილი რეალობა?

თუ რეალობაა, როდის, სად და რა პერიოდში არსებობდა, როგორ წარმოიქმნა, ვინ იყვნენ შემქმნელი ტომები?

ეს არის ინტერესის საგანი, როცა ჩავდივართ პრეისტორიის ქვესკნელში, როგორც სპელეოლოგი-მღვიმეში.

ენათმეცნიერთა წარმოდგენით, საუკუნეების მანძილზე, ვრცელ არეალში მოქმედებდა პრა-ენა, რომლის დაშლას მოჰყვა ენათა ოჯახების შექმნა. ოჯახებს კი გამოეყო ჯგუფები და ენები.

ლინგვისტური რეკონსტრუქციით აღადგენენ ამ ჯგუფებისა და ენების საწყის ძირებს (მაგ., ინდო-ევროპულს თუ სემიტურს), რომელსაც ფუძე-ენას უწოდებენ. ეს მითიური ფუძე-ენა არის გაქვავებული სტრუქტურა, რომელსაც ეყრდნობიან, რომელსაც ეძებენ და რომლიდანაც იწყებენ ათვლასა და შედარებას.

ზოგი სულაც ფანტასტიკას გვთავაზობს, რომ თითქოს 100.000 წლის წინათ არსებულა პრაენა, რომელიც 15.000 წლის წინათ რამდენიმე ოჯახად გაყოფილა!

ვ. ივანოვის აზრით, ეს არის ინდო-ევროპული, იბერიულ-კავკასიური, აფრ-აზიური, დრავიდული, ურალური, ალთაური ენების ოჯახები.

არ ეჭვობენ, თუ როგორ უნდა ემეტყველათ ველურებს 80.000 წელი ერთი ენით მთელს მსოფლიოში, როცა დაცილებულ გეოგრაფიულ წერტილებს შორის არ არსებობს კომუნიკაცია.

ეს თვალსაზრისი ემყარება მონოცენტრისტულ კონცეფციას, რომ თითქოს დედამიწის ერთი წერტილში გაჩნდა ადამიანი და შემდეგ მისი შთამომავლები გადავიდნენ სხვადასხვა კონტინენტზე; წავიდნენ და წაიღეს პრაენაც, რაც პრობლემის მითოსურ-რელიგიურ ახსნას ჰგავს. ეს რომც ვირწმუნოთ, 80.000 წელი ენა მაინც შეიცვლებოდა, არათუ ვრცელ, არამედ – ვიწრო არეალშიც.

მით უმეტეს, რომ ადამიანის ბიოლოგიური სრულქმნა გრძელდებოდა.

მონოცენტრიზმი და პოლიცენტრიზმი

ასე რომ, პრა-ენისა და ფუძე-ენის საკითხი უკავშირდება ანთროპოლოგიას, კერძოდ – მონოცენტრიზმსა და პოლიცენტრიზმს, ნეანდერტალური ადამიანური ფაზისა და პრე-საპიენსის თეორიებს, ე. ი. ჰომო საპიენსი არის ერთი ტიპის ჰომინიდის – შიმპანზეს ევოლუციის შედეგი თუ არსებობდა მრავალი შტო, რომელთაგან ზოგი გადაშენდა ან ერთმანეთს შეენაცვლა და შეეზარდა.

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ევროპის, აფრიკისა და აზიის კონტინენტზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა სამი რასა – ევროპეიდი (თეთრი), ნეგროიდი (შავი) და მონგოლოიდი (ყვითელი). მათ შიგნით კი იყო მრავალი შტო (როგორც დღეს ერებია), რომელთაგან ზოგის განვითარება დაკონსერვდა, ზოგი – გაძლიერდა და გაიშალა. გამოიყო ახალი სახეობებიც, მოხდა შერწყმაც.

ადამიანის ევოლუცია არ უნდა ყოფილიყო სწორხაზოვანი განვითარება, მუდმივი აღმასვლა და სრულყოფა.

ნეანდერტალელის ტიპის ადამიანის გარდა შეიძლება არსებულიყო სხვა სახის ადამიანებიც. ამას ადასტურებს ჩინეთში ახლად აღმოჩენილი ე. წ. „წითელი ირმის ადამიანის“ ძვალთა ფრაგმენტებიც, რომლის ასაკია მხოლოდ 14.500 წელი.

ბევრი თვლის, რომ ნეანდერტალელი არც ყოფილა Homo sapiens-ის წინაპარი, რომ ადამის მოდგმის სამშობლო აფრიკაა. ახლახანს სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ მღვიმეში სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს Homo Sapiensi-ს მონათესავე ჰომო ნალედის თავის ქალები და ძვლები – ასაკი 3 მლნ წელი.

თეორიებს თავი რომც დავანებოთ, ისედაც ცხადი უნდა იყოს, რომ დიდ გეოგრაფიულ არეალში, როცა ტომები იზოლირებულად ცხოვრობენ, როცა არ არსებობს გამაერთიანებელი ფაქტორები – სახელმწიფო, ეკლესია, დამწერლობა, გზა – ენა ვერც ერთგვარი და ვერც უცვლელი ვერ იქნებოდა.

რეალურად უნდა არსებულიყო არა პრა-ენა – Lingua Adamica, არამედ – ამეტყველების ერთნაირი პროცესი, როგორც ბიოლოგიური ბაზისი (ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983).

პროტო-ენები და ტომები

დარჩება ფუძე-ენა და პრა-ენა სიმბოლურ ცნებებად თუ არ შეიცვალა მათი სტატიკური გაგება, თუ არ გავიაზრეთ წარმომშობი პროცესები, მათი რეალური სახე.

საწყისი წერტილი, საწყისი ბიძგი აქვს ყველაფერს, ყოველ მოვლენას. როგორც ვთქვით, ასეთი საწყისი უნდა ყოფილიყო ენობრივი ბირთვი, როგორც კვერცხუჯრედი, რომელიც ჰქონდა ერთ, სისხლით ნათესავ კლანს და გადადიოდა ფრატრიებსა და ტომზე.

იგი არ გამოდიოდა ე. წ. პრა-ენიდან, არც რომელიმე ე. წ. ფუძეენიდან.

ენობრივი ბირთვები, პროტო-ენები, მინიმალურ ლექსიკასა და გრამატიკულ პრაფორმებს რომ შეიცავდა, უამრავ ტომს ჰქონდა.

ისინი სამივე კონტინენტზე იყო გაფანტულნი.

პროტო-ენების განვითარებულმა რელიქტებმა მოაღწია ისტორიულ პერიოდამდე (მაგ., ალბანური ითვლიდა 26 ენას) და თანამედროვეობამდე (მაგ., დაღესტნელებს 20 თუ 28 ენა აქვთ. მათგან – 5 სამწერლოა).

ამჟამად მსოფლიოში 5.000-მდე სხვადასხვა დონის ენაა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნით კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებსა და ტომებს.

ისინი გვაჩვენებენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინდოევროპული, სემიტური თუ იბერიულ-კავკასიური ენების პროტომეტყველება მათ ოჯახებად ინტეგრირებამდე.

ავსტრალიური ტომები XX საუკუნის ბოლოს ითვლიდნენ 600-მდე ენას. მათგან თითქმის გამქრალია 450.

მალაიზიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახში შედის 500-მდე ენა.

აფრიკაში დღესაც ცოცხლობს 1.000-მდე ენა.

მათგან ნიგერ-კონგოს ოჯახი აერთიანებს 900-მდე ენას.

ასევე მრავალი ენა შემორჩათ ამერიკელ ინდიელებს, მათ მცირერიცხოვან ტომებს. მაგ., ათაბასკური შეიცავს 20 ენას, ალგოკინური – 13 ენას, პენუტიური ენების ფილუმი – 24 ენას.

სამხრეთ ამერიკაში ანდურ-ეკვატორულ ენათა ფილუმი ნაწილდება 14 ოჯახად. მათგან ერთ-ერთ, არავაკულ ოჯახში შედის 100 ენა.

ულპანო-კარიბულ ფილუმში 200 ცოცხალი ენაა. ყველა ტომი თავის ენაზე მეტყველებს, როგორც ეს იყო ათასწლეულების წინათ ევროპასა და აზიაში.

ასევე დღესაც პროტო-ენებია პაპუა ენები. ჭირს მათი ნათესაობის დადგენა. არც ისინი აღმოჩნდნენ ინტეგრირებული და შერჩათ უძველესი, პრიმიტიული მეტყველება. მათ ახალ გვინეის ენათა ფილუმს უწოდებენ (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, თ. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003).

საქართველოს ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრ დიოსკურიაში, პლინიუსის (ახ. წ. I ს.) ცნობით, 300 თავთავის ენაზე მოლაპარაკე ტომი იყრიდა თავს. იქ რომაელები 130 თარჯიმანს იყენებდნენ.

პროტო-ენების გამსხვილება და გავრცელება ტომების ასიმილირებას ან გაწყვეტას უკავშირდება, ეს პროცესი – ომებს, ომები კი – ტექნიკის გაჩენას, შუბსა და მშვილდ-ისარს, ბრინჯაოს ცულებსა და მახვილებს, ე. ი. კულტურასა და ცივილიზაციას.

ომი ახალი დროის მოვლენაა. ომებით იწყება ცივილიზაციის პროგრესი და კულტურის განვითარება, რადგან ეს არის როგორც გამოცდილების ათვისება, ისე ძალთა მაქსიმალური გამოვლენა და კონცენტრირება, პირველადი ბარბაროსული ინტეგრირება (მაგ., დაპყრობა, მოსახლეობის დეპორტაცია, ტყვეთა შემოყვანა, საცხოვრისების გავრცობა, ღმერთების სიკვდილი, ჭარბი ენერგიის მოპოვება).

გვარ-ტომი და დედა

ადამიანთა ჯოგი დაშალა და გვარ-ტომი გამოყო დედის ფაქტორმა.

ტომის სათავეში, როგორც ვიცით, ყველგან დედა იდგა, რომლის ტოტემ-გვარი შვილებს გადაეცემოდა, რადგან სექსსა და ბავშვის დაბადებას ერთმანეთთან ვერ აკავშირდებდნენ.

ომებმა წამოსწია ქურუმ-ბელადის – მეომარი ლიდერის როლი, რომელსაც სარჩო მოჰქონდა და ტომსაც იცავდა.

დედის გვარი (უძველესი ფორმით – გოვარი) თანდათან მამის გვარით შეიცვალა, რაც ნიშნავდა ტოტემის ფუნქციის სახეცვლას და ძალის აღიარებას, ძალაუფლების აღმატებას მშობლიურობასა და ნათესაობაზე.

ტოტემის ადგილს იკავებენ ღმერთები, გასაგები ხდება მამის როლიც. თუმცა ინერციით კვლავაც დიდხანს რჩება ქალის უპირატესი ნიშნები (მაგ., ეგვიპტის ფარაონის ტახტი გადადიოდა ქალის ხაზით, რის გამოც ძმა დას ირთავდა. თავდაპირველად ასევე იყო ხეთებში).

გვარ-ტომი ემორჩილებოდა ტაბუსა და ტოტემის კოდექსს, აკრძალვათა სტიქიურ სისტემას, ინცესტის შიშს. ინცესტის ტაბუირება ნიშნავდა ტომის, კლანის ფარგლებიდან გასვლას, უცნობი სივრცის მოხილვას, სხვა ტომთან ადგილობრივ კავშირს, ქალთა მოტაცებას თუ თხოვას – გაცვლას.

ასე იქმნებოდა ფრატრიები – ტომთა კავშირები, რაც სისხლისღვრის გარეშე ვერ მოხდებოდა (შდრ. ბერძნულში პერსეფონეს, მედეას, ელენეს მოტაცება).

ინდო-ევროპულში სიტყვა ქორწინება ფორმირდება გაცვლიდან ან ძალით წაყვანიდან – მოტაცებიდან. ასევეა ქართულშიც. შდრ. თხოვება და ქორ-წილი. ქართ. ქორი – სახლი მთაზე, ქორედი – სახლი სახლზე, სვან. ქორი – სახლი. აქედან – ქორა მახვში, სახლის ანუ გვარის უფროსი (შდრ., გამოთქმა ოჯახ-ქორი), მეგრ. ხორა და ოხორე. ქორ არის იგივე გორ (გორა), რომლის ბინადარნი ქმნიან გუარს (გოვარს).

წილ მეგრულსა და ლაზურში აღნიშნავს კრეფას, მოწყვეტას ანუ თავდაპირველად ქორწილი უნდა ყოფილიყო სახლის ანუ გვარის მიერ ქალის უცხო მიწიდან მოწყვეტა-მოტაცება, რასაც ზეიმობდნენ, როცა განსაცდელი დაძლეული იყო: იგი იქცეოდა გორის (ქორის, ხორის, ბორცვის) ბინადარის წილად, საკუთრებად. ამ გორა-გუარის მოსახლეთ სახელი გადაეცემათ ტოტემისაგან დედის მიხედვით.

გა-თხ-ოვ-ებ-ა მოდის თხ-ძირისაგან და ნიშნავს ქალის სხვაზე თიხაზე, სხვა მიწაზე გადასვლას, ქორის (გორის, გუარის) შეცვლას.

მიგრაცია და ასიმილირება

გამარჯვებული თუ ბუნების კატაკლიზმებს გადარჩენილი ტომი იმორჩილებდა და იერთებდა დამარცხებულ, დასუსტებულ ტომებს,

სპობდა ან გადმოჰყავდა თავის ენაზე, თანაც მსხვილდებოდა და იკავებდა ახალ-ახალ ტერიტორიას, განავრცობდა ოიკუმენს, ამრავლებდა თავის მოდგმას, რომლის განშტოებები ჯერ დიალექტებად, შემდეგ დროთა მანძილზე, ისტორიულ ვითარებათა შესაბამისად, ენებად იქცეოდნენ.

მაგ., მეგრულ, ჭანურ და სვანურ ენებს არასდროს ჰქონიათ დამწერლობა ანუ ფიქსირებული ისტორია თავიანთ ენაზე. არავინ ზრუნავდა მათ დაცვასა და დახვეწაზე. მაგრამ დღემდე ცოცხლობენ, იმიტომ რომ ცოცხლობს ამ ენებზე მეტყველი ხალხი.

ტომთა ასიმილირება ბუნებრივი, შედარებით უმტკივნეულო პროცესიც იყო, როცა იქმნებოდა ფრატრიები, როცა ერთი ტომის ვაჟებს კოლექტიურად მოჰყავდათ მეორე ტომის ქალები, ან როცა მეჯოგე ტომები გადადიოდნენ ერთიდან მეორე ადგილზე, იცვლიდნენ საძოვრებს, მუდმივად და სეზონურად.

კონფლიქტი შეიძლება მაშინაც წარმოქმნილიყო, მაგრამ დიდი მასშტაბი ვერ ექნებოდა. ხოლო ომებს წარმოშობდა და ამრავლებდა მიგრაციები.

როცა ველურთა მასა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უამრავ საქონელთან ერთად მოდიოდა, დამხვდურებთან შეტაკება გარდაუვალი იყო. ისინი ეძებდნენ უკეთეს საძოვრებს, უკეთეს მიწას, წყალს, თბილ ჰავას.

გვარ-ტომი იყოფოდა შიგაკონფლიქტების გამოც, რასაც იწვევდა ბრძოლა მდედრისა და სარჩოსათვის, ბრძოლა ლიდერობისათვის.

დამარცხებული თავს აფარებდა მთებს, უდაბნოებს, ყინულეთს, სუსხსა და სიცივეს. მტერს აქეთ გული არ მოუწევდა, აქ თავისათვის სასარგებლოს ვერაფერს იპოვიდა.

შემდეგ, როცა ძლიერდებოდნენ ყინულეთის ბინადარნი, ახლა ისინი ეშვებოდნენ თბილი და მწვანე სივრცისაკენ. ასე შეიჭრნენ ინდოევროპელთა წინაპრები ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ძველი ბერძნები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველი გერმანელები – რომის იმპერიაში, ალტაელი თურქები და მონღოლები – შუა აზიასა და მცირე-აზიაში, ვიკინგები და ჰუნები – ევროპაში.

ის ტომები, რომლებიც ჩარჩნენ ყინულეთში, ვერც განვითარდნენ (მაგ., ციმბირული ტომები).

ასეთი მიგრაცია, სისხლიანი ადგილმონაცვლეობა იყო პირველადი ინტეგრაცია, რაც პერიოდულად მეორდებოდა ჰომინიდების ისტორიაში. ასე იკვრებოდა სისხლით ნათესავ გვართა და ტომთა კავშირი, რაც მსგავს, ნათესაურ ენობრივ წრესაც წარმოქმნიდა.

ამიტომ ჩარჩა ქართულ ენაში ურალური, დრავიდული, მელანეზიური თუ აფრიკული ევეს ენის სიტყვები, რომლებთანაც ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ ნათესაობა, არც გეოგრაფია, არც ისტორია არ აკავშირებდათ (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

ქალების მოტაცებას, ისევე როგორც ცხვრების ფარის ან საქონლის ჯოგის წასხმას, შეტაკება მოსდევდა. ამიტომ აიგივებდნენ სიყვარულს სიკვდილთან, ბრძოლასა და სისხლისღვრასთან. წარმოქმნილი შუღლი, სანადირო სივრცე, ფრატრიების გავრცობა და გადაადგილება იწვევდა

ტომთა შეჯახებებს, რასაც ბელადი უძღოდა – ძლიერი მამაკაცი.

გვარ-ტომში, დედის წრეში დამკვიდრებული პროტო-ენა ბელადს გადაჰქონდა სხვა წრეში, მაგრამ თავად დედა იყო შემოყვანილი სხვა გვარ-ტომიდან, რომელსაც შემოჰყვებოდა თავისი ლექსიკა და წარმოდგენები, რაც ერწყმოდა დამხვდურ ტომს და წარმოიქმნებოდა ენობრივი სიმბიოზი. ასევე კაცებიც გადადიოდნენ და რჩებოდნენ სხვა ტომში.

ქმრის ნათესავი ქალებიც ტოვებდნენ თავიანთ სამყოფელს, გვარ-ტომს, კარგავდნენ მშობლიურ წრეს და ახალ გარემოში მკვიდრდებოდნენ.

ქალთა თუ კაცთა გასვლა და შემოსვლა, ნებითი თუ ძალადობითი, მუდმივი პროცესი იყო ანუ სისხლის განახლებას ახლდა ენობრივი დიფერენცირებაც, ენობრივი განახლებაც.

ეს იყო როგორც ინტეგრირების, ისე დიფერენცირების სტიმული, სისხლით, ენითა და რწმენით როგორც შეკვრა, ისე განყოფა.

ქალი იყო გვარ-ტომთა დამაკავშირებელი, კაცი – სტუმარი, უცხო, რომელთანაც ქალმა ისიძვა. აქედან – სიძე. სულხან-საბას ახსნით, „სიძვა – უმეუღლეოსაგან ბოზობა“, „მძუვნობა – ძაღლთა და მხეცთ მაკინტლობა“, „მაკინტლობა – ზროხათა და ყურდგელთ მძუვნობა“. მაკინტლობიდან – მაკე. ძუ – დედალი ძაღლი (მეგრ. ჯუა, სვან. ჯუ).

გვარ-ტომთა კავშირს სისხლით ნათესაობა აერთიანებდა, რასაც ბელად-ქურუმი ორგანიზაციულ ფორმას აძლევდა.

ტომის წევრები იყვნენ სხვადასხვა გვარ-ტომისა, მაგრამ სხვადასხვა დონის ნათესავები, მშობლები, შვილები, და-ძმები, გასული ვაჟები, შემოყვანილი ქალები, მათი შთამომავლები და ასე განივრცოდა როგორც ნათესავ-თავისიანთა წრე, ისე დაკავებული ტერიტორია.

მათ ერთი ენა ჰქონდათ – დედის ენა (დედა-ენა).

ეს მაშინ, როცა ხდებოდა ტომების მშვიდობიანი დანათესავება, პროტო-ენების გამსხვილება და თანდათანი შეზრდა, საერთო ენობრივი ბაზისის ფორმირება, რაც იყო ჯერ ფილუმი, შემდეგ – ოჯახი.

მას ქმნიდა კონვერგენციული პროცესი, პროტო-ენების მშვიდობიანი შეზრდა, რაც შეიძლება საუკუნეები გაგრძელებულიყო (მაგ., იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის ჩამოყალიბება).

სტიქიური სესხების დროს ზუსტად როდი შენარჩუნდება სიტყვის მნიშვნელობა, ბგერათგანლაგება და ჟღერადობა.

მსესხებელი მაქსიმალურად აცლის მას უცხო კვალს, ელფერს და უმორჩილებს მშობლიური მეტყველების ბუნებას. ამიტომ არის ქართულში უამრავი უცხო სიტყვა, რომელთა მშობლიურობა თითქოს უეჭველია (მაგ, ვერცხლი, სისხლი, ხე, მუხა, თიხა, ცა, სამარე, ველი), იმდენად არის შეზრდილი მეტყველებასთან.

ამ მხრივ ყველაზე თავისთავადია პროტო-ენები, რომლებშიც ფიქსირდება პირველად წარმოდგენათა წრე.

როგორც ვთქვით, ენას ცვლიდა ტომთა შეჯახება: მარცხი თუ ძლევა – სწრაფად, მშვიდი არსებობა – თანდათან.

მიგრაციული პროცესები, სწრაფი თუ შეუმჩნეველი გადაადგილება,

ახალ-ახალი სივრცის ათვისება, დროში ურთიერთდაცილება უდევს საფუძვლად ინდოევროპული ენის დაყოფასა და განტოტვას.

ასევეა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

მათი ერთობა დაშალა მტკვარ-არაქსის კულტურის მომსპობმა ძალებმა, როცა ტომები განსახლდა სხვადასხვა მიმართულებით. ამის შედეგად ენები ენათა ჯგუფებად იქცნენ, დიალექტები – ენებად. მაგ., ხურიტების ვრცელმა განფენამ წარმოშვა მათი სახელმწიფოები და გაერთიანებები, შესაბამისად დაიყო მათი ენაც. ასევე მოხდა, როცა განადგურდა თრიალეთის კულტურა.

ამის შემდეგ ფორმირდება ქართული და კოლხური ენები. ხოლო ის ენა, რომლითაც მეტყველებდნენ – კვდება ანუ ტრანსფორმირდება.

მიგრაცია და ომები სპობდა ენის წარმომშობ ტომებს და ენებიც მათთან ერთად იღუპებოდა. მათ ადგილს იკავებდა ადამიანთა სხვა ერთობა.

დაპყრობითი ბრძოლებით ტომი ავრცობდა თავის მცირე ოიკუმენს, შთამომავლებს გადაჰქონდათ მეტყველება ვიწრო, ნაცნობი გარემოდან უცხო და ვრცელ ველებსა და მთებზე.

ერთი ტომის მეტყველება იქცეოდა სხვა მრავალი ტომის ენად, თუმცა თავადაც იცვლიდა ლექსიკასა და ფორმებს, როგორც მიწაში ჩაგდებული ერთი მარცვალი იქცევა მრავალმარცვლიან მცენარედ.

ეს იყო ენობრივი ოჯახის ჩამოყალიბების, თანდათანობითი აგრესიული გავრცობის დერივაციული პროცესი, როცა ერთი გვარ-ტომი, ერთი ლიდერი, ერთი რეალურად არსებული ეთნარქი იყო ეთნოსის ფუძემდებელი, დამწყები.

მძაფრი პროცესები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იშლება და ენაში იჭრება როგორც სემანტიკა, როცა საგანი თუ მოქმედება სიტყვის გარსში ვერ ეტევა, გადრეკს მას და იწვევს ფორმის ტრანსფორმაციას.

ეს არის შინაგანი პოტენციალის განვითარება, შინაგანი კანონზომიერების არაცნობიერი გამოვლენა, რომლის მექანიზმი უამრავი მაგალითით აქვთ ახსნილი თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვს.

ლექსიკის სიმცირე და გრამატიკული ლაბილობა, მარტივი ფორმები აიოლებდა შერწყმას, გაქრობას, ახალი ენის ფორმირებას. დროთა მანძილზე იკარგებოდა წარმომავლობის კვალი ან რამდენიმე პლასტი შეეზრდებოდა ერთმანეთს. ამიტომ ის, რაც ჩანს, რისი მიგნებაც შეიძლება, არ სცილდება რამდენიმე ათასწლეულს.

დროის ბარბაროსულ სრბოლაში ჩნდებოდა და ქრებოდა უამრავი პროტო-ენა, ვიდრე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები და მათი წინამორბედი პირველადი კულტურები, ღმერთები, ცივილიზაციური ნიშნები ჩარჩოში არ მოაქცევდა რღვევა-შექმნის პროცესს.

აქ იგივე განმეორდა, რაც ადრევე მოხდა რწმენა-წარმოდგენების ფორმირების პროცესში, რომელიც დაიწყო საგანთა სახელდებით, მათი სულებად აღქმით და ბგერადი ფიქსირებით, რომელთაგან გამოიყო სიმბოლური წარმომშობი ძალა – ტოტემი ანუ მთავარი სული, რომელიც ჰქონდა მცენარეს თუ ცხოველს. მრავალსულიანობა კი გადავიდა მრავალღმერთიანობაში.

შემდეგ გამოიყო მთავარი ღმერთი, ბოლოს კი დარჩა მხოლოდ ერთი ღმერთი.

რელიგიურ წარმოდგენებს აწესრიგებდა ქურუმი, ხოლო ენას და ურთიერთობებს – ქურუმ-ბელადის აგრესიული მოქმედება.

ქურუმები მნიშვნელობას, ადგილსა და ფუნქციას აძლევდნენ ფეტიშიდან და ტოტემებიდან, საგანსიტყვებიდან წარმოქმნილ ღმერთებს, ხლართავდნენ რთულ სისტემას, განალაგებდნენ ერთიანი პრინციპით (მაგ., ადგენდნენ ტრიადებს), თხზავდნენ მათ უჩვეულო ისტორიას, მათ სახელობაზე დგამდნენ სისხლიან რიტუალებს, როგორც სპექტაკლებს, სადაც ერთიანდებოდა როკვა, სიტყვა, ჰანგი, მუსიკა, დრამა.

მასში მონაწილეობდა მთელი ტომი და ღვთაებას განადიდებდნენ, რწმენას განამტკიცებდნენ სამსხვერპლო პირის თუ შეწირული ცხოველის სისხლით, რომელსაც ყველა ეზიარებოდა.

ეს პროცესი წარმოქმნიდა პრახელოვნების ფორმებს, ანაწევრებდა მათ, მათ შორის – მეტყველებასაც. რიტუალის რეჟისორი იყო ქურუმ-ბელადი.

ასე რომ, ათასეული და ათიათასეული წლები ერთი, ენათა კონსერვატიული ოჯახი ვერ იარსებებდა, ვერც დიდ მანძილზე იქნებოდა განფენილი, რომც ჰქონოდა რელიგიური და სახელმწიფოებრივი სალტეები.

სიტყვათტრანსფორმაციაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ტაბუირებასაც.

ტაბუირება და სიტყვათტრანსფორმაცია

ტაბუირება რადგან არსის დაფარვაა და მისი ახალი სიტყვით შემოსვა ანუ გადასახელება, ძველი დავიწყებას ეძლეოდა და ვრცელდებოდა ახალი. შემდეგ ეს ახალიც ძველდებოდა და მასაც მომდევნო ფარავდა. მაგრამ ერთს კი არ ენაცვლებოდა მეორე, არამედ – რამდენიმე სიტყვა, როგორც სინონიმი, პრედიკატი და სიმბოლო.

ეს კი ხელს უწყობდა ენის, როგორც განტოტვას, ისე გაღარიბებას, უფრო სწორად – ცვალებადობას, ტრანსფორმაციას, მუდმივ კვდომაშობას, პოლისემიას.

ამის შედეგად ძირი ისე იბურებოდა, რომ იგი ქრებოდა მეხსიერებიდან.

შუმერში იწერებოდა ერთი და წარმოითქმებოდა მეორე სიტყვა – ნამდვილი.

შიფრი საჭირო იყო ნამდვილის დასაცავად. შემდეგ შეიძლებოდა შერქმეულიც შეცვლილიყო. ეს იყო ტაბუირების მუდმივი ჯაჭვი, რათა ძირამდე წვდომა მხოლოდ ქურუმს შესძლებოდა.

ამიტომ ენის პირველადი, პრეისტორიული შრე არც არსებობს. იგი ითვლის მხოლოდ ცივილიზაციის საუკუნეებს, ბრინჯაოს ან მომიჯნავე ეპოქას.

ებრაელებსაც დაშიფრული ჰქონდათ ნამდვილი, რომელიც მხოლოდ რაბინებმა იცოდნენ. მაგ., ღმერთის სახელი: VHWH (იოდ-ე-ვო-ე), წარმოთქვამდნენ ჩურჩულით, წელიწად-

ში ერთხელ. მას არქმევდნენ იაჰვეს, იეღოვას, ადონაის, იამას, ელოჰიმს, ცაბაოთს და ასე ფარავდნენ.

ხალხი იცნობდა და იმეორებდა შერქმეულს ანუ ქურუმების ენა, რომელიც როგორც საკრალური, გამიჯნული იყო ყოფითი მეტყველებისაგან – მასისგან.

საკრალურის პროფანაცია დაუშვებელი იყო.

ქურუმებისათვის მისაღები იქნებოდა უცხო სიტყვებით ტაბუირება, მასზე მშობლიურის არსის გადატანა, რათა მშობლიური, მახლობელი, მფარველი შეენიღბათ და ეს საიდუმლო მხოლოდ მათ სცოდნოდათ. განსაცდელი კი უცხოზე გადასულიყო, უცხო ეხსენებინათ და გაეწირათ, რეალურად კი ამის შედეგად ქრებოდა მშობლიური სიტყვათ-ძირები. შემოსული იძენდა მშობლიურ ფორმებს. მაგრამ ისიც იცვლებოდა და გარდაისახებოდა.

ასე უახლოვდებოდა და ერთმანეთს შეეზრდებოდა პროტოენები, უცხო და მშობლიური, საკრალური და პროფანული.

ამიტომ ენის არქაული შრე, რაც დარჩა და გადარჩა, რომლამდეც მისვლა შესაძლებელია, არ არის უშორესი, როგორც მეტყველების ფორმირება.

იგი ასახავს ადამიანის იმ ცნობიერებას, რომელიც მას ჰქონდა ველურობიდან ბარბაროსობისაკენ გადასვლის პერიოდში, როცა ჩნდებოდა კულტურის მყარი, უცვლელი ნიშნები, როცა ფეტიშიზმისაგან ყალიბდებოდა ღმერთები, პოლითეისტურ წარმოდგენათა წრე.

ეს არის ბრინჯაოს ეპოქა.

ამიტომ აქვს, როგორც ვთქვით, ქართველურ ენებში უცხოური წარმომავლობის ძირები ყველაზე მშობლიურ სიტყვებს – ცას, სისხლს, თიხას (მიწას), სუნს (სუნს), ქვას, ველს, ტბას, სიტფოს, წყაროს, ღმერთს, კაცს, სიკვდილს და საფლავს, სექსთან დაკავშირებულ ლექსიკას.

მაგრამ პრაქართველური არქაიკის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ ჰარმონიული ბგერათკომპლექსები, სამეულების, წყვილეულებისა და ერთეუების სისტემა (შდრ – „ბ – პრეფიქსი – სიმცირის ნიშანი“), რასაც სტიქიურად აყალიბებდა სხეულებრივი და საწარმოთქმო პროცესები, ძირითადი ასევე არაცნობიერად წარმოქმნილი სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციები.

პროტო-ენები, ფილუმი და მეტა-ენა

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გენეტიკური ერთიანობა არაერთ გამოჩენილ სპეციალისტს სადავოდ ან მხოლოდ ჰიპოთეზად მიაჩნია, რადგან აქ ნაკლებად არის ისეთი კონკრეტული ნათესაური ნიშნები, რაც აქვს ინდო-ევროპულ ენებს (მაგ., რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემა).

მიზეზი არის სწორედ წარმოშობა, ფორმირების პროცესი.

იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენა ყალიბდებოდა არა ერთი გვარის დომინანტობით, არამედ – სტიქიური, თანდათანობითი შეზრდით, მშვიდობიანი თანაარსებობით, რაც გულისხმობს დროის ვრცელ ლოკალ-

საც. „პირველად ბულიონში“ იხარშებოდა ტომები და ენები.

ეს უნდა ყოფილიყო როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის წრე, ისე ის დროც, ის კონტაქტებიც, რამაც მოამზადა ამ კულტურის ერთგვაროვანი სპეციფიკა (ძვ. წ. V-IV ათასწლეულები).

აქ პროტო-ენები ერთმანეთთან სიახლოვით ქმნიდნენ ფილუმს, მსგავს სამეტყველო ფონსა და ფენას, რომლიდანაც რაღაც ძალით (ბელადი, ქურუმი, ეპიდემია, მიგრაცია, მიწისძვრა, ბრინჯაოს აღმოჩენა) გამოიკვეთა მეტა-ენა, რაც იქცა ფუძე-ენად.

დანარჩენები დარჩნენ პარალელურ დიალექტურ ფორმებად, ტომთა მეტყველებად.

ამ მეტა-ენას მასაში ავრცელებს და ამკვიდრებს რელიგიური რიტუალები, ღმერთები, მოსახლეთა, მესაქონლეთა თუ მჭედელთა გადაადგილება, ქორწინება, სტიქიური უბედურება. შემდეგ კი სივრცეში განიშლება.

ასე უნდა მომხდარიყო მტკვარ-არაქსის მატერიალური კულტურით გაერთიანებულ ტომებში ინტეგრირებული მეტა-ენის რამდენიმე ჯგუფად გაყოფა (ხურიტული, ხათური, ქართველური).

პროტო-ენების, დიალექტების თუ ენების მტარებელ ტომებს სახელებიც ხშირად ეცვლებოდა, რაც აირეკლავდა როგორც შინაგან, ისე გარეგან პროცესებს, აირეკლავდა ძალთა გადაადგილებას, მეზობელთა დამოკიდებულებას, განსაკუთრებით – ბარბაროსებში.

ამას შენიშნავდა სტრაბონი.

არათუ უშორეს დროში, ბოლო ორი საუკუნის მიჯნაზეც კი მკვეთრად შეცვლილა ჩრდილო კავკასიურ ენებში ლექსიკური ძირები.

ისტორიული მოვლენები, განვითარების დინამიკა ასევე ცვლის სიტყვის აზრობრივ მნიშვნელობას, რომლის არაერთ მაგალითს ვეცნობით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ (შდრ – М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I-IV, 1986-1987).

ფუძე-ენა და დიალექტები

ენობრივი ბირთვების, სხვადასხვა დონის პროტო-ენების შერწყმა კონკრეტულ დრო-სივრცეში ქმნის მეტა-ენას ანუ ფუძეენას, რომელიც ისევე სწრაფად ქრება, როგორც რკო, რომლისგანაც მუხა აღმოცენდა.

ვრცელ გეოგრაფიულ არეალსა და დროის ლოკალში ყოველი ენა იშლება დიალექტებად, დიალექტები – ენებად ყალიბდება თუ არ წარმოიშვა მათი ისევ ერთად შემკრები ძალა, თუნდაც ჰქონდეთ ნათესაური წარმომავლობა.

მაგ., ინდოევროპულ ენათა ოჯახი დაიყო ჯგუფებად, ერთი ძირისაგან წარმოიქმნა მრავალი ენობრივი ჯგუფი (ირანული, ინდური, რომანული, გერმანული, სლავური, კელტური, ანატოლიური, ბერძნული, სომხური) და კიდევ უფრო მრავალი ენა – ამ ჯგუფების დაშლა-განშლის შედეგები, დიალექტებზე რომ არაფერი ვთქვათ.

რეალურად საწყისი იყო ენობრივი ბირთვი, რომელიც ოდესღაც წარმოიქმნა ერთ წრეში, ეკუთვნოდა ერთ გვარ-ტომს.

ასეთი ენობრივი ბირთვი უამრავი იარსებებდა, პერიოდულად რომ ტომებთან ერთად ჩნდებოდა და ქრებოდა.

მათგან მხოლოდ რამდენიმეს ეწერა გადარჩენა და გამრავლება, როგორც ეს ხდება ბრძოლის ველად ქცეულ სამყაროსი, ანდა იმ უამრავ რკოს შორის, მუხის ტოტებიდან რომ ცვივა და მხოლოდ რამდენიმე აღმოცენდება.

ენობრივი ბირთვის გაშლა ისევე დაედო საფუძვლად ენას, როგორც ინდუისტური პრაჯაპათი – სიცოცხლეს.

ასახელებენ 30-ზე მეტ ქართველურ ტომს, რომელთა სახელები დააფიქსირეს ძველი დროის წარწერებმა და ისტორიკოსებმა, მაგრამ რამდენი ჩაიკარგა ისტორიის წყვდიადში – არავინ იცის. ეს 30 ტომიც მონათესავენი იყვნენ, იცვლიდნენ სახელებს, საზღვრებს, განფენის არეს, წეს-ჩვეულებებს, რაც ენაში აირეკლებოდა. შდრ. – 1900 წელს ამაზონის აუზში ცხოვრობდა 230 ტომი.

სტრაბონის ცნობით, მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა 300-მდე ტომი (ძვ. წ. I საუკუნე).

ჰეროდოტე წერს (ძვ. წ. V ს.) მრავალ კავკასიურ ტომზე, რომლებიც ტყის მცენარეთა ნაყოფით იკვებებოდნენ.

გვარ-ტომის წარმატება და გამარჯვება, დემოგრაფიული ექსპანსია უზრუნველყოფდა მისი ენის გავრცელებას. ახლა იგი იქცეოდა ფუძეენად და ყლაპავდა სუსტი ტომების ენებს. შეიძლებოდა ეს დროებითი მოვლენაც ყოფილიყო, შემდეგ კი იგი შეეცვალა სხვა გვარ-ტომს. განმეორდებოდა იგივე პროცესი.

ასე გორგალივით ბრუნავდა სიტყვათა ლაშქარი, იღუპებოდა და აღდგებოდა.

როგორც ტაძრის კედელში ქვები, ისე რჩებოდა ენის შრეში ასიმილირებული სიტყვების კვალი. ხოლო ენობრივი განტოტვა, ახალი ენებისა და დიალექტების წარმოქმნა იყო ბირთვის გაშლა, თესლის აღმოცენება ანუ გვარტომის დიფერენცირება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძალადობრივად თუ ნებაყოფლობით იქმნებოდა ტომთა კავშირები, ისინი საუკუნეების მანძილზე სტიქიურად აყალიბებდნენ საერთო ენას, ერთმანეთისათვის გასაგებ მეტყველებას.

ეს იყო სტიქიური კომპრომისი, სტიქიური ინტეგრაცია.

ასე უნდა მომხდარიყო ფუძეენის ფორმირება, რომელსაც სტატიკურ თეორიულ საყრდენად კი გამოდგება. მაგრამ ვერ იქნება პრეისტორიული ენათწარმოქმნის რეალური სურათი – „ფუძე-ენა რეგულატიური ცნებაა“ (არნ. ჩიქობავა).

ფუძე-ენა და სივრცე-დროის ლოკალი

ინდო-ევროპული ენების გავრცელების გეოგრაფია – ეს არის ერთი ძლიერი ტომის მიერ სწრაფი და თანდათანობითი გადაადგილებით სხვა ტომთა ასიმილირება ან ცარიელი სივრცის ათვისება, რომელსაც

შემდეგ სამშობლო დაერქვა. ეს პროცესიც მრავალი საუკუნე გაგრძელდა.

ახალ დროში ასე მოხდა, როცა ოსმან პირველმა თავისი საუფლისწულო მამული აქცია იმპერიის საწყისად, გვარი – დინასტიად, სახელი – ქვეყნის სახელწოდებად, კაის ტომი – გაბატონებულ ეროვნებად თურქსელჯუკებს შორის.

ასევე ჩინგიზ ხანმა თავისი ტომის, თავისი ენის, თავისი გვარის გარშემო შეაკავშირა მომთაბარე მონღოლური ტომები და წარუძღვა მსოფლიოს დასაპყრობად.

როგორც ვთქვით, ძველ დროში ასეთი ლიდერის სახელს შეესაბამება ლეგენდური ეთნარქი.

ფუძე-ენაც ეკუთვნის ერთ მცირე გვარ-ტომს, რომელსაც თავისი შორეული წარსული და ჯოგური ცხოვრებიდან წამოყოლილი ლექსიკა ჰქონდა (მაგ., თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ინდოევროპელთა პრასამშობლოდ მიიჩნევენ ვიწრო არეალს – ანატოლიის, სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილო მესოპოტამიის შესაყარს).

მისი გავრცელება მიგრაციებითა და ომებით ხდებოდა.

ომებს მოსდევდა ბარბაროსული სისასტიკით სახელმწიფოებრივი ინტეგრირება და გენეტიკური მუტაცია (მაგ., რასობრივი და ანთროპოლოგიური სახეცვლა).

სადაც სივრცე ვიწროა და შეზღუდული, როგორც არის კავკასიაში, მესოპოტამიაში ან ბალკანეთზე, იქ ძლიერია კონკურენცია, ზეგავლენა, ჰეგემონის ცვალებადობა. იქ ლიდერ ტომს არ ჰქონდა ახალი მიწების ათვისების პერსპექტივა. ამიტომ ის იცავდა მოპოვებულს და წინ ვერ იწევდა. აგრესიის შენელება იწვევდა დასუსტებას და მას იოლად იმორჩილებდა ახალი ველური და ბარბაროსული ძალა, რაც პერიოდულად მეორდებოდა პრეისტორიასა და ისტორიაში.

როგორც ვთქვით, იოლი იყო მცირე ლექსიკისა და საწყისი გრამატიკული ფორმების მქონე ენების ახლებური მოდელირება. ამიტომ ფუძე-ენა შეიძლებოდა არსებულიყო შეზღუდულ, ვიწრო სივრცე-დროის ლოკალში.

ის, რაც ცოცხალია, ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობას და საუკუნეთა მანძილზე არსებობას განაგრძობს ამ სახეცვლით.

დიფერენცირება უსასრულოდ გრძელდება, გრძელდება დღესაც, ისევე როგორც ინტეგრირება.

მოხდა ტომების გამსხვილება, სახელმწიფოს წარმოქმნა, შემდეგ – დაშლა, შერწყმა და კვლავ დაშლა.

ეს პრინციპი მოქმედებდა როგორც იბერიულ-კავკასიურ და ქართველურ ტომებში, ისე პროტო-ენებსა, და, საერთოდ, ენებსა და დიალექტებში.

✍ *მურმან თავდიშვილი*

ნააზრევი მესხი მკვლევარისა

ვარძიის ქომაგი და მოჭირნახულე, ჩვენი წარსულის ფხიზელი დარაჯი მესხეთის კულტურულ ძეგლთა მეხოტბე და პოპულარიზატორი, რუსთველოლოგი – აი, არასრული ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში აღასრულებდა ეგ პატრიოტი ადამიანი. მისი სახელია ნიკოლოზ ნათენაძე.

ამჯერად „ინტელექტმა“ გამოსცა ვრცელი ნაშრომი „მესხი მელექსე“, რომელშიც ნ. ნათენაძე მხოლოდ წმინდა რუსთველოლოგიური საკითხებით არ იფარგლება და ფართოდ მიმოიხილავს მესხეთის კულტურულს ძეგლებს, მესხ მოღვაწეთა მიერ შეტანილ წვლილს ქართულ ლიტერატურაში და დაასკვნის: რაკიღა ამდენი კულტურული ძეგლია დაცული ამ მხარეში, რაკიღა ამდენი დიდი მოღვაწე სწორედ მესხეთმა აღზარდა, სავსებით ბუნებრივია, რომ რუსთველიც ამ მხარის შვილი იყოსო. ეგ ლოგიკური არგუმენტი თავისებურად დაუსაბუთებია მას სააგანგებო ნარკვევში - XII საუკუნის მესხეთი. აი, როგორ მსჯელობს ავტორი: „მესხეთი მაშინ საქართველოს პროვინციებში ყველაზე მოწინავე იყო; დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის გარდა, მესხეთში შედიოდნენ - შავშეთი, ერუშეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზისტანი და კოლა. ასე რომ, მისი ტერიტორია აღემატებოდა დღევანდელი ქართლისა და კახეთის ტერიტორიებს, მოსახლეობა 2 მილიონს აღწევდა.

მესხეთივე იყო ქართული ფილოსოფიის, პოეზიისა და ხელოვნების აკვანი... საკმარისია მოვიგონოთ გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი, რუსთაველი, ჩახრუხაძეები და სხვ. [14].

აქვე, შესაძლოა ამ ნუსხას მივამატოთ ყველაზე დიდი ქართველი, მესხეთში მოღვაწე, თუმცა წარმოშობით არამესხი გრიგოლ ხანძთელი, ასევე, თავად „ვინმე მესხი მელექსე“, მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატი.

მკვლევარი-პატრიოტი იმასაც უჩვენებს, რომ ქვეყნის ძირითადი სამხედრო ძალაც მესხეთში იყო თავმოყრილი. ამ მიზნით წარმატებით იყენებს ერთი სამხედრო ისტორიკოსის ნააზრევს: „ციხეები უმთავრესად მდებარეობდა სამეფოს სამხრეთ ნაწილში. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ საქართველოს სამეფოს უზრუნველყოფილი და დაცული ჰქონდა ფლანგები (შავი და კასპიის ზღვებით), ზურგი (კავკასიონის მთები). სამეფო ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამხრეთიდან. ამ მიმართულებით საკუთრივ საქართველოს მიწაზე მდებარეობს შემდეგი ციხეები: თორთუმი, ოლთისი, არტანუჯი, თუხარისი, არტაანი, ახალქალაქი, თმოგვი,

ახალციხე და ოძრახე... ავანგარდში ყოველთვის მესხები იყვნენ... ავანგარდში სხვა ჯარების დანიშვნა იწვევდა მესხების დრტვინვას, უკმაყოფილებასა და ურჩობასაც კი“ (დადეშქელიანი, „სამხედრო ორგანიზაცია და საბრძოლო განწყობილება ქართულ ჯარებისა 1089-1222 წლების პერიოდში“) [15].

მკვლევარი აზროვნების ამ აღებულ სიმაღლეს კიდევ უფრო განამტკიცებს მომდევნო შენიშვნით: „ამით აიხსნებოდა, ალბათ, ისიც, რომ თამარის დროს ამირსპასალარებად მესხები იყვნენ (სარგისი, გამრეკელ თორელი, ზაქარია). მათ რეზიდენციად კი თმოგვის ციხე ითვლებოდა“ [15].

ავტორი საუბრობს ამ მხარის იავრაქმნაზე თურქთა მოწოლის შემდეგ; სწორად ასაბუთებს, რომ მესხეთიდან ხალხმა, ეკლესიებმა და თვით ტოპონიმებმაც იწყესო შიგნიტერიტორიებზე გადასახლება. იგი მიუთითებს, რომ განსაკუთრებით დიდი იყო ექსორიის ტალღა მე-16 და მე-17 საუკუნეებში; მოჰყავს მაგალითები იმისა, რომ „დღესაც არსებობენ თავიანთი ძველი სახელწოდებებით სამცხის შემდეგი სოფლები ქართლში (არტაანი, ბურნაშეთი, ჭაჭარქი, ჯავახიანთკარი, ჩროჩანა...); კახეთში (აწყვერი); იმერეთში (ზემო და ქვემო მესხეთი, ვარძია...).

მკვლევარმა, რა თქმ ა უნდა, არ იცის სრულიად ახალი გამოკვლევის შედეგი, თორემ ამ ფაქტსაც სიამოვნებით მოიმარჯვებდა: მე მქონდა შესაძლებლობა, გამერკვია – გურიის დედაქალაქის (ოზურგეთი) სახელწოდება მომდინარეობს სამცხის დედაქალაქის (ოძრხე) სახელიდან. ფონეტიკური პროცესი ასე წარიმართა: ოძრხე - ოძურხე- ოდზურხე - ოზურხე - ოზურხეთი - ოზურგეთი.

მაშასადამე, აღნიშნულ საკითხში მკვლევარი მართალია: გათათრების შიშით, აგრეთვე ეკონომიკური ჩაგვრის გამო სამცხე-საათაბაგოს სოფლები ქვეყნის შიგატერიტორიებზე გადადიოდნენ, გადაჰქონდათ იქ მათი თავდაპირველი სახელწოდება ან ზუსტად ან ფონეტიკურად სახეშეცვლილი (ოძრხე – ოზურგეთი); კიდევ მეტი, მე-16 საუკუნის 80-იან წლებში სამცხიდან გურიაში, კერძოდ, სოფელ შემოქმედში „გადასახლდა“ ზარზმის ტაძარიც კი! [16-17] .

შემთხვევით არ არის არც ის გარემოება, რომ გურიის ზემოთ, იმერეთის საზღვართან, არის ადგილი, რომელსაც „საჯავახო“ ეწოდება.

რა უნდა აქ ჯავახ მესხებს?

საქმე ისაა, რომ არა მარტო სამცხელნი, არამენ ჯავახნის შეუწუხებია მაჰმადიანობას და ისინიც გადმოსახლებულან, გურიასა და იმერეთს შორის არსებული ტერიტორია აუთვისებიათ.

წმინდა რუსთველოლოგიურ საკითხებში ავტორი თავს უფრო მეტად ავლენს, როგორც პატრიოტი და არა მეცნიერი. თითქოსდა ერთობ საინტერესო და დამაინტრიგებელია ნარკვევი - „მესხური დიალექტი „ვეფხისტყაოსანში“ [21]. მკვლევრის იდეა ასეთია“ პოემაში გვხვდება მხოლოდ მესხური კილოსათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. ამიტომ მისი ავტორი წარმოშობით მესხია.

რომანში მართლაც დასტურდება რამდენიმე (და არა ყველა მოყვანილი მაგალითი, როგორც ნათენაძესა ჰგონია) მესხიზმი, ოღონდ ამით რუსთ-

ველის წარმომავლობის დასაბუთება ძნეილა. აღნიშნულის დასამტკიცებ-ლად იმავე მეთოდს მივმართავ მე და ბატონ ნათენაძეზე უფრო არტისტუ-ლად დაგიმტკიცებთ, რომ გენიოსი გურულია! მე ასე ვიმსჯელებ: ავტო-რის წარმომავლობას ზოგიერთ ნეი-ტრალურ ვითარებაში ნახმარი ესა თუ ის სიტყვა კი არ ამჟღავნებს, არა-მედ გენიალურ აფორიზმში მომარჯ-ვებული, რადგან აქ უფრო თავშეუ-კავებლად ავლენს ავტორი თავის ბუ-ნებრივ მეტყველებას; მეორეც, გენია-ლური აფორიზმი ნამდვილად რუს-თველისაა და ის სიტყვებიც, რომლე-ბიც ამ სიბრძნის ასაგებად გამოუყე-ნებია, ხოლო ნეტრალურ, დაუძაბ-ველ სიტუაციაში, შესაძლოა, ინტერ-პოლატორმა ჩაწერა ისა სიტყვა, რომ ელზედაც ვმსჯელობთ.

ახლა გავითვალისწინოთ ყოვე-ლივე ეს და ვნახოთ ერთი უდავო რუსთველური აფორიზმი, პოემის ყველაზე ბრძნული შეგონება:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ბერცა კლდოვანი!

სიტყვა „დაიჭირავს“ გახლავთ ტიპური გურული ფორმა. ლიტერა-ტურულია - „დაიჭერს“.

ამრიგად, რუსთველი გამოდის გურული.

ამდაგვარი სხვა მაგალითების მოყვანა ძნელი არაა. მე მხოლოდ ერთს გაახლებთ.

შუმი გურული გამოთქმაა „რა-ცხა“. რუსთველი კიდევ ერთ გენია-ლურ აფორიზმში იყენებს ამ „გუ-რულ“ ფორმას:

არს უკეთესი რაცაღა სწადს განგ-ებასა, ზენასა!

აქ მომარჯვებული „რაცაღა“ არის წინასახე გურული ფორმისა „რაცღა-რაცხა“.

რა ვქნათ?

ვაღიაროთ რუსთველი გურუ-ლად?

განა ჩემი ეს მაგალითები ბატონ ნათენაძის მაგალითებზე ნაკლებია?

ერთსაც დავსძენდი: ნებისემირ „კახელ“ ენათმეცნიერს ძალუძს, ამ კუთხით შეისწავლოს პოემა და მასში დასტა-დასატა აღმოაჩენს კახური კი-ლოკავის მაგალითებს. ძალიან ბევ-რია ამგვარი მასალა „ხევსური“ მეც-ნიერისავის. ალექსი ჭინჭარაულმა დაადასტურა, რომ პოემაში ხმარებუ-ლი „ჭერი“ ნიშნავს ხის სწორ მორს და ამ გაგებით ეგ სიტყვა მხოლოდ ხევსურულშია შემორჩენილიო.

მაშასადამე, კვლევის ამგვარი მოლიპული და სახიფათოა.

რა ხდება?

საქმე ისაა, რომ რუსათველის ეპოქის ქართული ენა მდიდარზე მდიდარი იყო. არასოდეს ქართული ისე წელში გამართული და მდიდარი არ ყოფილა, როგორც იმ მდიდარ დროს. ამიტომაც რუსთველის ენაში თავმოყრილია იმ ძლიერი მონო-ლითური ენის ელემენტები. მერე ქართული ენა დაიშალა ცალკეულ დიალექტებად, კილოდ და კილოკა-ვებად. ზოგი შრე დაშლილი ერთიანი ენ ისა შერჩა გურულში, ზოგიც – ხევსურულში, ზოგიც – კახურში, ბევრი – მესხურში და ა.შ.

მაშასადამე, ამ გზით ავტორის ტომობრიობის ძიება მიუღებელია.

ჯერ კიდევ ძველ დროში ხვდე-ბოდნენ ამას. მაგალითად, პ. მირია-ნაშვილი წერდა: „ამ მესხურის ელე-მენტის ნაშთი მოჩანს დღეს იმერე-თის, ქართლის და კახეთის კილოებ-ში და თვითოეულს ჰგონია, რომ იმის ენაზე დაწერილია „ვირსამიანი“,

„რუსუდანიანი“ თუ „დარეჯანიანი (იხ. ნათენაძის წიგნში - გვ, 42).

აი, ბაჯაღლო სიმართლე!

აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით სხვებიც მიუთითებდნენ, განსაკუთრებით კარგად კი - არნოლდ ჩიქობავა.

ახლა აღვნიშნოთ ამ თეორიის სხვა „წვრილმანი“ ხარვეზები.

1. მკვლევარი მესხად სახავს იოანე შავთელს (სამართლიანადაც) და მოჰყავს დღეს ჩვენს ხეთ არსებული ე.წ. „აბდულსამიანის“ მაგალითი, სადაც თითქოსდა სიტყვათა მესხური წყობაა დადასტურებული [37].

სინამდვილეში ეგ ტექსტი სულ არ ეკუთვნის მესხ შავთელს. იგი შეთხზა 1661 წელს გურულმა მიტროპოლიტმა იაკობ შემოქმედელმა. ამ სახოტბო პანეგირკს ეწოდება „ქება მეფისა არჩილისა“ (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი; მ. თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში).

ამგვარად, იქ დაფიქსირებული ფორმები არც მესხურია და არც შავთელისაა! შავთელის პოემას მკვლევარი ვერ წაიკითხავდა, რადგან იგი ჯერჯერობით დაკარგულია. ჩახრუხაძესაც მესხად მიითვლის ჩვენი ავტორი [38]. არადა, დღეს მიჩნეულია, რომ ის არის მთიული!

2. აი, პრიმიტიული მსჯელობის კიდევ ერთი მაგალითი. მესხებიო „ში“ თანდებულის მაგივრად ხმაროზენ ასე ვრცელ, გაგრძელებულ ფორმასო - „შიგან“. მაგალითად, რაშიგან, მაშიგან და ა.შ. [38].

მკვლევარი იურისტი გახლავთ; ფილოლოგიური განათლება რომ ჰქონოდა, აღნიშნულს არასოდეს დაწერდა. საქმე ისაა, რომ თანდებულები ძველად, თავდაპირველად, ცალკეულ სრულ სიტყვებს წარმოადგენდნენ. თავდაპირველად იყო „კერძო“. აქედან მივიღეთ „კენ“; იყო „შიგან“, მივიღეთ „ში“; იყო „ზედან“. აქედან მივიღეთ „ზე“ და ა.შ. ისტორიის პროცესში თანდებულები გამარტივდა. ასე მივიღეთ მარტივი „ზე“ და „ში“. ასე რომ, თუ ზოგ დიალექტში ეს ფორმები გაიყინა და შემორჩა, ეგ იმას როდი ნიშნავს, რომ მაგალითად, XII საუკუნის კახურში ამგვარი ფორმები არ ყოფილიყოს. იმ დროს კახელიც ისე იტყოდა, როგორცა ბრძანებს რუსთველი: „წყალთა შინა იხვსა ჰგავს და ხმელთა ზედა – შევარდენსა“.

3. ბევრი სიტყვა, რომლებიც მკვლევარს მხოლოდ მესხური დიალექტის საკუთრება ჰგონია, სინამდვილეში საერთო ქართული ფორმაა და თითქმის ყველა მხარეში იხმარება. ასეთია, მაგალითად, „ტაროსი“ [43]. ეს ცნება საერთო სააკუთრებაა და ოდენ მესხურ გარემოს ვერ მიეწერება! იგივე ითქმის სიტყვებზე: ნატი, ხალვა, დია და სხვ.

4. ბატონი ნათენაძის მთავარი შეცდომა არის შემდეგი: ვიღაც მესხ მელექსეს იგი რუსთველად მიიჩნევს. ეს „ქართული ხალხური ზღაპარია“. დღეს კარგად არის გარკვეული, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ ინტერპოლატორია, შესაძლოა, ყველაზე დიდი პოეტი-ინტერპოლატორიც, ხოლო რუსთველი თავის თავს ასე „მდაბლად“ არსად იხსენიებს. იგი ამაყად აცხადებს: „მე, რუსთველი...“ სხვაგან: „დავჯდე, რუსათველმან გავლექსე“. ამის შემდეგ ყოვლად წარმოუდგენელია, ბოლოს, ეპილოგში, ამ მაღალი ბედაურიდან ჩამომხტარიყო და ეთქვა ვინმე მესხი მელექსე ვარო.

ჩემი ეგ მსჯელობა იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთველის მესხური

წარმოშობა გამორიცხულია, ოღონდ ამგვარი გზით აღნიშნულის დამტკიცება არ შეიძლება. რუსთავის ეპისკოპოსი რუსთაველი, შესაძლებელია, წარმოშობით იყოს მეგრელიც, გურულიც, კახელიცა და მესხიც. ეს მას ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო თბილისთან ახლო მდებარე რუსთავის საეპისკოპოსოს გამგებელი, მიტროპოლიტი, სწორედ ისე, როგორც ეს იყო მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში, არჩილ მეფის დროს. წაიკითხეთ მისი „თეიმურაზ პირველისა და რუსთველის გაბაასება“, სადაც კარგად ჩანს, თუ ვინ არის, საზოგადოდ, რუსთველი და რას წარმოადგენს იგი. სხვათა შორის, დღემდე 100 აკადემიკოსისა და პროფესორის დამაბნეველი ტოპონიმის – ოზურგეთის – გასაღებიც სწორედ არჩილის ამ პოემაშია. ნიკო მარმა და სხვა მკვლეარებმა „ოზურგეთის“ საიდუმლო სწორედ იმიტომ ვერ გახსნეს, რომ ყურადღებით არა ჰქონდათ წაკითხული ბაგრატიონის ეგ მთავარი ქმნილება, ქმნილება, რომელიც მოცულობით დიდად არ ჩამოუვარდება „ვეფხისტყაოსანს“. საამრიგო მაგალითები თანამედროვეობაშიცა გვაქვს: მეგრელი კაცი, გვარად ქორთუა, კახეთში თელავის ინსტიტუტის დირექტორად ათეული წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა; ჭყონდიდელები წარმოშობით მეგრელები იყვნენ, ოღონდ ეს ხელს არ უშლიდათ, საერთო ქართველური საქმეები ეკეთებინათ... ამიტომაც უფრო მისაღებად გვეჩვენება ავტორის მეორე, ერთგვარად შემრიგებლური დებულება: „შოთა რუსთაველი არის ავტორი და არა გამგრძელებელი „ვეფხისტყაოსნისა“ დაიბადა მესხეთის რუსთავში, ხოლო ჰერეთის ქალაქი რუსთავი უწყალობა მას თამარ მეფემ, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესად დააწინაურა [200].

ვხედავთ: მკვლევარი იძულებული გახდა, გენიალური შემოქმედი მაინც დაეკავშირებინა ჰერეთის რუსთავთან.

მკვლევარს შეუქმნია ნარკვევი პოემის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოზე. ამგვარმა პრიმიტივისტულმა და ნაივურმა მიდგომებმა კრახი განიცადა. სწორედ ეგ დაემართა ორიენტალისტ ა. სვანიძის გეოგრაფიულ თეორიას.

ამგვარივე მარცხი იწვნია აკად. კ. კეკელიძის ჰიპოთეზამ, რომ ავტორს ქაჯეთის ციხის მოდელად გამოყენებული ჰქონიაო ალამუთის ციხე-სიმაგრე. ამ მოლიპულ გზას დანდობილად დასდგომია ამ წიგნის ავტორიც. იგი ქაჯეთის ციხის მოდელს მესხეთში ეძებს და ამით ავლენს პატრიოტიზმს. მთელი ეს მსჯელობა, რომელიც გაშლილია რამდენიმე გვერდზე, არის წყლის ნაყვა და, აი, თუ რატომ: ვისაც ფირდოუსის „შაჰნამე“ დაკვირვებით წაუკითხავს, შენიშნავდა: ქაჯეთის ციხის მსგავსი გამაგრება იქ ათობითა გვხვდება. იგივე ითქმის რუსთველის მეორე წინამორბედ ნიზამიზეც. მის „ხამსეში“ არაერთგან გვხვდება ქაჯეთ-ქაჯავეთის ციხეები და ზუსტად ისეთი, როგორიც რუსთაველმა წარმოგვიდგინა. ამ სამ ავტორს ათობით და ასობითაც უნახავს მსგავსი გამაგრებანი და, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს თავადაც ჰქონოდა მსგავსი თავშესაფარი, ციხე-სიმაგრე, საგვარეულო სამყოფელი.

ამიტომ აქ გადმოცემული მსჯელობანი ჩემთვის „ზღაპარია და ჩმახია“.

5. ავტორი პრობლემას სხვადასხვა მხრიდან აკვირდება და არკვევს. ერთ-ერთი მიმართულება ასეთია: მესხეთის დემოგრაფიულ მასალებში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე, ვთქვათ, ქართლის ანდა სამეგრელოს შესაბამის წყაროებში. ამიტომაც პოემის ავტორი მესხიაო.

ესეც საკითხის ნაივური გადაწყვეტაა. ავტორს არც კი უფუქრია იმაზე, თუ რამ გამოიწვია ეს. იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე ერთობ ცოცხლად ავხსნიდი ამ რებუსს.

საქმე ის არის, რომ „ვინმე მესხი მელექსეს“ საოცრად ძლიერი და მაღალმხატვრული სტროფი უძველეს ხანაშივე დაერთო პოემას. უბრალო, საქმეში ჩაუხედავ, მკითხველს მუდამ ეგონა, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ რუსათველია. ეს გახლავთ პრიმიტიული გაგება. აქედან ჩაეყარა საფუძველი ლეგენდას, რომ რუსთველი მესხია. ამიტომაც გენიოსის მუზითა და სახელით გაამაყებული მესხები, ბუნებრივია, უფრო მეტად ინტერესდებოდნენ პერსონაჟთა სახელებით და თავიანთ ნაშიერებს ამ სახელებს არქმევდნენ.

აი, საკითხის ყველაზე მოკლე და სწორი ახსნა!

კიდევ მეტი. ავტორი ღრმად არ ჩაჰკვირვებია მის მიერვე მიკვლეულ მონაცემებს. ამ მონაცემთა მიხედვით [85], ყველაზე გავრცელებული ყოფილა არა გმირების, არამედ ანტიგმირის სახელი. კერძოდ, ტარიელი იხსენიება 10, ავთანდილ - 3, ხოლო ყველაზე საზიზღარი პერსონა რამაზი - 37-ჯერ!

თუ ეს „ვეფხისტყაოსნის“ ზეგავლენაა“, ვერაფერი ბედენაა, ვერაფერი სასახლო ზეგავლენა!

ასე რომ, არც ამ მონაცემთა გაფეტიშება მოგვცემს ხელს.

ამ სახელის (რამაზა) ესოდენ გავრცელება არა პოემას, არამედ თურქულ-მაჰმადიანურ ზეგავლენას უნდა მიეწეროს!

6. ზოგჯერ ავტორი აკეთებს თამამ ზედაპირულ, გულუბრყვილო და ულოგიკო განაცხადს. მაგალითად: „შოთას შვილი, წინამძღვარი გაბრიელი კი, რა თქმა უნდა, მამაზე მეტს (როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება) იცოცხლებდა“ [110]; „რუსთაველი, როგორც უდავოდ გამორკვეულია, მესხია“ [იქვე]. გარდა ამისა, ყველგან იმეორებს ისტორილად და ფაქტობრივად მცდარ ფორმას რუსთაველი. მკაცრ რუსთველოლოგიურ გამოკვლევებში აუცილებლად უნდა დავიცვათ ისტორიულად და ფაქტობრივად სწორი ფორმა რუსთველი.

პოემაში სამგზის გვხვდება ეგ ზედწოდება და ყველგან ამ სახით - რუსთველი; მეორეც, ეგ ფორმა შეკუმშული არაა, რადგან ჩასმულია უკუმშველ ბრუნვებში. ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი: მე, რუსთველი; დავჯდე, რუსთველმან გავლექსე; ტარიელ - მისსა რუსთველსა; მესამეც, ძველი ლიტერატურის წარმომადგენლები პოემის ავტორს მხოლოდ ისტორიულად სწორი ფორმით ახსენებენ - რუსთველი.

ერთგან ვკითხულობთ ამგვარ რასმე: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ვერ ჩავთვლით მაინც და მაინც დიდ ქრისტიანად“ [181]. არადა, ღვთაებრივმა ვიკტორ ნოზაძემ, ყველაზე დიდმა რუსთველოლოგმა, დამარწმუნებულად დაასაბუთა - ჩვენი გენიოსი გამოჯანდრული ქრისტიანია; ამასვე ამტკიცებდა ცოტა უფრო ადრე კორნელი კეკელიძე. საგულისხმოა,

რომ მკვლევარს არსად ჰყავს მოხსენიებული ნოზაძე. მას რომ თუნდაც „ღმრთისმეტყველება“ წაეკითხა, მსგავსს არასოდეს დაწერდა!

ესეც სათქმელია: იოანე შავთელს რომ მიაწერა „ქება მეფისა არჩილისა“, ეპატიება. მაშინ არ იყო გამოქვეყნებული ბორის დარჩიას სენსაციური აღმოჩენა, მაგრამ ზემომოყვანილ დებულებას რომ აყენებდა, უკვე არსებობდა კ. კეკელიძისა და ვ. ნოზაძის ნაშრომები.

განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლოა თმოგვის ციხის შესახებ შედგენილი ნარკვევი [205], ასევე, ის მესხური ფოლკლორული მასალა, რომელიც აქ არის თავმოყრილი [212-223], ავტორი საგანგებოდ მსჯელობს მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებზე და ბევრ საინტერესო მომენტს ამზეურებს; ჩამოთვლის იმ ლიტერატურულ-კულტურულ ძეგლებსა, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის სკოლამ და ამ სკოლის მიმდევრებმა შექმნეს და ამ მხარის განსაკუთრებულ კულტურულ მნიშვნელობას ფიანდაზად უფენს თავის პატრიოტიზმს. მართლაც რომ შთამბეჭდავი განძია, ერტი კუთხის მიერ შექმნილი! აი, ეს განძი და ანდერძი: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცოვრება“, „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ძველი ხელნაწერი, შატბერდის კრებული, ჰადიშების სახარება, ჯრუჭის სახარება, პარხლის სახარება, ტბეთის ოშკის ბიბლია, იშხნის სახარება, ხახულის ხატი, წყაროსთავის სახარება, ბერთის სახარება, ღალატის ხატი, ანჩის ხატი, ბერთის სახარება, ვარზიის ოთხთავი და არაერთი სხვა [247-248]. მკვლევარს მარჯვედ მოჰყავს კ. კეკელიძის მოსაზრება: „ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან გადმოტანილი ტრადიციებით“ [249]; მკვლევარი სწორია, როცა უარყოფს ვარძიის ტოპონიმის წარმოშობის არამეცნიერულ თეორიებს და სახელწოდების ამოსავალ სიტყვად სამართლიანად მიიჩნევს ვარ-ძი/ვერძი ფორმებს [255-256]; ძალიან საინტერესოა მკვლევარის მსჯელობა აწყურის მონასტერზე; სწორია, როცა აცხადებს, რომ „სამცხის საეკლესიო ცენტრი აწყურში იყოო“ და თანაც დასძენს: „IX საუკუნის I ნახევარში აწყურის საეპისკოპოსო პირველია სამცხე-ჯავახეთის საეპისკოპოსოებს შორის“ [277]. შეიძლებოდა მეტის თქმაც: იმხანად და მოგვიანებითაც მთელ საქართველოშიც კი მაწყვერელი კათალიკოსის შემდეგ მეორე კაცად მიიჩნეოდა. ამას გარკვეული სხვა გარემოებაც განაპირობებდა, რომელზეც ახლა არ ვისაუბრებ.

წიგნს ერთვის ფოტომასალა. ამ სურათებში ასახული ზოგი ისტორიული ძეგლი, ფრესკა, წარწერა, რუკა და სქემა.

ტექნიკურად კარგად გაფორმებული წიგნი ერთგვარი სანთელია, მეტიც, კერეონია, ანთებული დიდი მამულიშვილისა და პატრიოტი მკვლევრის ხსოვნის წინაშე.

✍ თამარ ბლიაძე

ხელისუფლების კულტურული პოლიტიკა (XXI საუკუნის პირველი ათწლეული)

ახალი საუკუნის დასაწყისი ქართული კულტურის წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლით დაიწყო.

პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განსახილველად შემოიტანა კანონპროექტი „შემოქმედებითი კავშირების შესახებ“. ამ პროექტის მიხედვით, ყველა შემოქმედებითი კავშირი გამოცხადებულ იქნა საბჭოთა გადმონაშთად და საჭირო იყო მათი დაუყოვნებლივი, ლიკვიდაცია, ხოლო ამ შემოქმედებითი კავშირების ქონება უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს.

აღნიშნული კანონპროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს გიგა ლორთქიფანიძემ, რეზო ჩხეიძემ, ოტია იოსელიანმა და სხვებმა, ხოლო პარლამენტის ტრიბუნიდან კანონპროექტს „ყაჩაღური“, „არადემოკრატიული“ და „დისკრიმინაციული“ უწოდეს რევაზ მიშველაძემ და გურამ შარაძემ. რატომღაც შემოქმედებითი კავშირების გაუქმებას მხარს უჭერდა ელდარ შენგელაია.

პარლამენტი იძულებული გახდა კენჭისყრა სხვა დროისთვის გადაედო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში ძალადობრივი გზით მოსულ ვარდების ხელისუფლებას ხელოვნების მუშაკთათვის ანგარიშის გასწორება გულიდან არ ამოუღია.

პირველი იერიში კინოსტუდიაზე მიიტანეს. ახალი ბიუჯეტით თითქმის მთლიანად შეუმცირეს კინოსტუდია „ქართულო ფილმს“ საბიუჯეტო თანხა, ხოლო, რაც დაუტოვეს, ერთი ფილმის შესაქმნელადაც არ იყო საკმარისი. რეზო ჩხეიძემ ტელევიზიით განაცხადა: „კინოსტუდია წელიწადში 25 მხატვრულ და 42 დოკუმეტურ ფილმს უშვებდა, დღეიდან კი ერთ ფილმსაც ვეღარ გამოუშვებსო“. დიდ ქართველ კინორეჟისორს პრეზიდენტმა მეორე დღესვე უპასუხა: „რა შუაშია სახელმწიფო, ყველა შემოქმედებითმა კავშირმა თავისი თავი თვითონ უნდა შეინახოს. თუ წამგებიანი აღმოჩნდება, უნდა გაუქმდესო“.

მხოლოდ სახელფასო ფონდი დაუტოვეს დრამატულ თეატრებს, წელიწადში ორი სპექტაკლის დადგმა დაუფინანსეს მხოლოდ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს.

ჯერი მწერალთა კავშირზე მიდგა.

მწერალთა კავშირს ერთიმეორის მიყოლებით გაუუქმეს ტრადიციული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები „ცისკარი“ და „მნათობი“. კერძო შემოწირულობებით ჯერ კიდევ სულს ღაფავდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

ლიტერატურული პრესისათვის ამ უაღრესად აუტანელ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო არა თუ ერთი თეთრითაც არ ეხმარებოდა სამწერ-

ლო ორგანოს, არამედ აქტიურად უშლიდა ხელს სავაჭრო ქსელში მის გატანას (დაიხურა გაზეთების ჯიხურთა 80%), გამოვიდა მწერალთა კავშირის ახალი ორგანო „მწერლის გაზეთი“. გაზეთის დაარსების სათავესთან იდგნენ რევაზ მიშველაძე და სოსო სიგუა. „მწერლის გაზეთის“ პირველი ნომრის ავტორები იყვნენ: ლევან სანიკიძე, გოდერძი ჩოხელი, ოტია იოსელიანი, თამაზ ჩხენკელი, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა და სხვანი.

შეტევა მწერლობაზე ამით არ დასრულებულა. ვარდების ხელისუფლებამ შეუწყვიტა მწერალთა კავშირის წევრებს სამიოდე წლის წინათ შევარდნაძის მიერ დანიშნული 50 ლარიანი პენსია. მალე ამას მოჰყვა ზურაბ ჟვანიას მიერ ხელმოწერილი წერილი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი: „გთხოვთ, გამოათავისუფლოთ შენობა (მაჩაბლის 13), რომელიც მწერალთა კავშირს უკანონოდ უკავია ათეული წლების განმავლობაში“. ამ „მოთხოვნას“ მწერალთა კავშირმა წერილითვე უპასუხა: „ჯერ ერთი, ეს სასახლე ცნობილმა მეცენატებმა: დავით სარაჯიშვილმა და დავით ხოშტარიამ უანდერძეს საქართველოს მწერალთა კავშირს, მეორეც, 1921 წლის 23 სექტემბერს რევკომმა შალვა ელიავამ სპეციალური დეკრეტით გადასცა შენობა საქართველოს მწერალთა კავშირს“. ამ წერილებს მოჰყვა სასამართლოს სხდომათა სერიები მწერალთა კავშირის წინააღმდეგ და საქმე იმით დამთავრდა, რომ 2007 წლის 21 აგვისტოს ხელისუფლებამ შუაღამისას იერიშით აიღო მწერალთა სასახლე. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

კომპოზიტორთა კავშირს მუხანათურად წაართვეს მათ მიერ მათივე სახსრებით აშენებული ბორჯომის „კომპოზიტორთა სახლი“. ამასთან ერთად კომპოზიტორებს უარი უთხრეს ბიუჯეტის სახსრებით მათი ახალი ნაწარმოებების ჩაწერა-გაორკესტრებაზე.

გაუქმდა მხატვართა ფონდი, რაც ლამის ერთადერთი საარსებო წყარო იყო მხატვრებისათვის. ამასთან ერთად მხატვართა კავშირს წაართვეს მის საკუთრებაში არსებული ე.წ. „ლურჯი გალერეა“ და დაანგრიეს კინო „რუსთაველის“ გვერდით მდებარე მხატვართა კავშირის რეზიდენცია, რის შედეგადაც მხატვართა კავშირი ქუჩაში დატოვეს.

სარეპეტიციო დარბაზი წაართვეს თითქმის ყველა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. შენობა მხოლოდ სუხიშვილის სახელმწიფო ანსამბლს დაუტოვეს.

ეს ყოველივე საქართველოში ეროვნული კულტურის გაუქმებას ნიშნავდა.

როდესაც პარლამენტის ტრიბუნაზე გამოჩნდებოდნენ რევაზ მიშველაძე, გურამ შარაძე, ელიზბარ ჯაველიძე ან სოსო სიგუა ხელოვნების მუშაკთა დასაცავი სიტყვით, ნაცმოძრაობის ერთგული წევრი, გია ბარამიძე, სწრაფად წამოხტებოდა და გაჰყვიროდა: მითხარით, რა დამსახურება აქვს ნებისმიერ მწერალს, რეჟისორს, მსახიობს ან ქორეოგრაფს საქართველოს წინაშე ისეთი, რომ სახელმწიფომ შეინახოსო“.

ნაცუმრავლესობა გია ბარამიძეს ტაშს უკრავდა.

კულტურისადმი ამ მეკობრული დამოკიდებულების გამო ნაცმოძრაობის ხელისუფლებას ზურგი შეაქცია

გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა დიდმა უმრავლესობამ. სააკაშვილის აღლუმებზე ჩანდნენ მხოლოდ მსახიობი ოთარ კობერიძე და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი (მათ მოგვიანებით გურამ საღარაძე მიემატა) და კიდევ რამდენიმე მომღერალი. ნაცმოძრაობას ერთგულად ქომაგობდნენ ბოლომდე იუმორისტული შოუმენები: ვანო ჯავახიშვილი, ნიკა არაბიძე, ვასო ფხაკაძე... და სხვები.

ნაცმოძრაობის ხელისუფლების და, განსაკუთრებით, პრეზიდენტ სააკაშვილის პარპაში მოგვიანებით არაერთი მხატვრული ნაწარმოების თემად იქცა. სარკასტულად აღწერა ნოველებში რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველაძემ, მიხეილ სააკაშვილის პიროვნება, ხოლო ამავე თემაზე დაწერილი მისი რომანი „ციყვი ბორბალში“ ნობელის პრემიაზე იქნა წარდგენილი. რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუამ დადგა სპექტაკლი „პრეზიდენტი, დაცვის ბიჭი და ანგელოზი“, რომელშიც მხილებულია სააკაშვილის ზნეობრივი სახე. ნაცმოძრაობის მმართველობის სავალალო წლებს მიუძღვნა კინორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ 22 სერიანი ნახევრადდოკუმეტური ფილმი „ჰეროკრატია“, რომელმაც ფართო მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები ცხრა წლის განმავლობაში ამაოდ სტუმრობდნენ ხელისუფლების კაბინეტებს, ცდილობდნენ, როგორმე გაელღვოთ კულტურის მოღვაწეებისადმი მათი გულგრილობის ყინული, მაგრამ ამაოდ.

2004 წლის 18 ივნისს ოტია იოსელიანი, მაყვალა გონაშვილი და რევაზ მიშველაძე კულტურის მინისტრ გ. გაბაშვილს ეახლნენ. სთხოვეს, აღედგინა მწერლებისთვის წართმეული პენსია, გამოეყო სახსრები მწერალთა კავშირის სახურავის შესაკეთებლად, მაგრამ მინისტრმა მწერლები უბოდიშოდ, უარით გამოისტუმრა.

სააკაშვილისეული „კულტურის რეფორმა“ უმაღლეს სკოლებსაც გადაწვდა. 2005 წელს აკრედიტაციაზე უარი უთხრეს 270 უმაღლესი სასწავლებლიდან ორასს. გაუქმების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ცხინვალის ლტოლვილი უნივერსიტეტი.

ეროვნული ფენომენის წინააღმდეგ გამართული ფართომასშტაბიანი ლაშქრობა თავს დაატყდა ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებს. სააკაშვილის ფარული მითითებით შეჩერდა დიდგორობა (თბილისი, დიდგორი), ნიკოობა (დიდი ჯიხაიში), ილიაობა (ყვარელი), აკაკი წერეთლობა (სხვიტორი), გალაკტიონობა (ჭყვიში) და სხვა დღესასწაულები.

2005 წლის 10 სექტემბერს ჩარგალში ჩატარდა ვაჟაობა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს ღონისძიება მისმა ორგანიზატორებმა დიდი პოეტის პატივსაცემად კი არა, ხელისუფლებისადმი ერთგულების დასამტკიცებლად ჩაიფიქრეს, „ზეიმზე“ სიტყვა არ მისცეს არცერთ ქართველ მწერალს.

ამავე წლის ოქტომბერში სააკაშვილმა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა: „დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში უნდა გადავიტანოთო. არ შეიძლება ეროვნული ძეგლებით და ეროვნული ატრიბუტებით დავტვირ-

თოთ ქალაქი, მსოფლიოს თვალში ეს პროვინციალიზმიაო“.

ამ განცხადებამ ერის აღშფოთება გამოიწვია.

უპირველესი ქართველი მეფის ძეგლის ხელყოფა თუ შეიძლებოდა, ვერავის წარმოედგინა. დავით აღმაშენებლის ძეგლთან სადღეღამისო მორიგეობა გაიმართა, მაგრამ სააკაშვილმა მაინც თავისი გაიტანა.

მალე ააფეთქეს მერაბ ბერძენიშვილის მეორე ბრწყინვალე ძეგლი ქუთაისში: „უკვდავების მემორიალი“. ამ ვანდალიზმმა დედისა და შვილის სიცოცხლე შეიწირა.

ქუთაისის ცენტრში თეატრის წინ აიღეს ელგუჯა ამაშუკელის ძეგლი „დავით აღმაშენებელი“ და მის ადგილზე შადრევანი დადგეს.

2005 წლის 13 ნოემბერი – თბილისში რესპუბლიკის მოედანს ვარდების მოედანი დაარქვეს.

აი, თურმე რისთვის სჭირდებოდა მიხეილ სააკაშვილს დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა.

დავით აღმაშენებლის ძეგლის ნაცვლად მოედანზე (ახლა უკვე „ვარდების მოედანზე“) დადგეს „მოდერნისტული“ სიმახინჯე ველოსიპედის ძეგლი.

დიახ, თბილისში ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ძეგლებს იღებენ და დგამენ ბუშის, ალიევის და სხვა პოლიტიკოსთა ძეგლებს.

სააკაშვილი არად დაგიდევდა ტრადიციებს და ქართულ ეროვნულ არქიტექტურას. ჩამოჰყავს უცხოელი არქიტექტორები და ეროვნული, ისტორიული სტილის იგნორირებით დაბალი გემოვნების მშენებლობებს აწარმოებს: მტკვარზე გადეს საფეხმავლო ხიდი, რაც ანაქრონიზმად მოჩანს ძველი თბილისის ფონზე, ისტორიულ „რიყეზე“ სააკაშვილმა წამოიწყო ორი „ყანწისმაგვარი“ შენობა, რომელიც დღემდე სფინქსის გამოცანად გაწოლილა და ვერცერთმა ხელისუფლებამ ფუნქცია ვერ მოუძებნა. საქართველოს უაღრესად შეჭირვებული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილმა სამების ტაძრის წინ ააშენა პრეზიდენტის სასახლე, რომელსაც ხალხმა „რაიხსტაგი“ შეარქვა. ჰქონდა საქართველოს ამ ფუფუნების საშუალება?

უგემოვნობა და ტრადიციების უგულვებელყოფა განსაკუთრებით იგრძნობოდა პერიფერიებში. სვანეთის გენიალური ღია მუზეუმი დაამახინჯეს ისტორიული გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი შენობებით (მაგ., პოლიციის შენობა და სხვ.), ხოლო ბათუმში ისლამისადმი თაყვანისცემის ნიშნად დადგეს აჭარის მოსახლეობის ქრისტიანული სულისკვეთებისათვის სრულიად შეუფერებელი „ალი და ნინო“ (მოძრავი ქანდაკება).

ნაცხელისუფლება არა თუ არ ეხმარება, რაც შეუძლია ავიწროვებს კულტურის მუშაკებს.

2007 წლის 3 მარტს ბინის ორდერები წაართვეს და ქუჩაში გამოყარეს ოპოზიციურად მოაზროვნეები: ჭაბუა ამირეჯიბი, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი, ჯუმბერ ლეჟავა, ბუხუტი გურგენიძე, ზაზა კოლელიშვილი და სხვ.

იმავე წელს მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა: ქუჩებისათვის სახელოვანი ადამიანების სახელის დარქმევა უნდა გაუქმდესო, რა საჭიროა თბილისში გიორგი ლეონიძის ქუჩა, ნიუ-იორკში ავენიუებს მხოლოდ ნომრები აქვსო.

ნაცხელისუფლების მითითებით დაწყებული იყო ფარული ცენზურა კულტურის დაწესებულებების მიმართ.

ამ „ფარული ცენზურის“ ძალით (ვითომდა საპატრიარქოს მოთხოვნით) აიკრძალა მარჯანიშვილის თეატრში 2007 წლის 13-14 მაისს დაგეგმილი პანტომიმის თეატრის პრემიერა „წმინდა გიორგი“ (დამდგმელი ამირან შალიკაშვილი, სცენარის ავტორი რევაზ მიშველაძე).

მოგვიანებით (2 ივნისს) პანტომიმის თეატრის შენობაში ამ სპექტაკლის პრემიერა მაინც შედგა და ათი წელია იგი არ ჩამოდის სახელოვანი თეატრის სცენიდან.

ხელისუფლების კაბალურ-დისკრიმინაციული პოლიტიკის ყველაზე აგრესიული გამოვლინება გახლდათ 2007 წლის 21 აგვისტოს ღამის ოთხ საათზე სააკაშვილის განკარგულებით ნიღბიანი სპეცრაზმის, ავტომატებით შეიარაღებული პოლიციელების თავდასხმა მწერალთა სასახლეზე. სპეცრაზმელებმა ვანდალურად დაიკავეს სასახლე და ქუჩაში მოისროლეს მწერალთა მემორიალური ნივთები, მწერალთა არქივი, პირადი საქმეები, მწერალთა ბიბლიოთეკა და კულტურის ისტორიისთვის სხვა ძვირფასი საგნები, ამ ნივთთა 95% უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ამ ისტორიული დარბევის მეორე დღეს რევაზ მიშველაძემ „მწერლის გაზეთში“ გამოაქვეყნა „მიმართვა ქართველ მწერლებს“:

„ბატონებო!

21 აგვისტოს დილის 4 საათზე საქართველოს ხელისუფლებამ მწერალთა კავშირი დაარბია.

გამთენიისას ნიღბოსანი სპეცრაზმელები შეიჭრნენ მწერალთა სასახლეში და გაუგონარი ცინიზმით იავარჰქმნეს მწერალთა თავშესაფარი.

ენით გამოუთქმელი, უმაგალითო ამბავი მოხდა.

მსგავსი რამ ფაშისტებსაც არ მოსვლიათ აზრად.

ისტორიამ იცის მაგალითები, რომ სიმართლის თქმისთვის დაეტუსაღებინოთ ესა თუ ის მწერალი, დაეხვრიტოთ კიდეც კაენის სულის აღზევების ეპოქაში, მაგრამ ხელისუფლებას ერთბაშად ამოეშანთოს 495 მწერლის ბუდე, მოეშალოს მათთვის ტრიბუნა და ამით მოესპოს მწერლებისთვის თავშეყრის საშუალება, აეკრძალოს მათთვის საჯაროდ აზრის გამოთქმა, დედამიწაზე ჯერ არ მომხდარა.

აღსრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა; გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ წაგვართვა ისტორიული სასახლე და ამით თავისი ვერაგული სახე გამოაჩინა.

ამ ვანდალური საქციელით ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს სათავეში მოვიდნენ ჩვენი ეროვნულობის დაუძინებელი მტრები, მაგრამ თუ ფაშიზმი გერმანელთა ნაციონალურ ნიშნებს ასე თუ ისე პატივს სცემდა, ამ ხელისუფლებას ჩვენი ნაციონალური სახე არ დაენახვება და არც გაეგონება.

ქუჩაში მოისროლეს ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას წიგნები და პორტრეტები.

შეურაცხყვეს კლასიკოსთა ხსოვნა და შენობიდან განდევნეს მათი წმინდა აჩრდილები.

რუსთაველის სახლი დაარბიეს.

ნუ გაიხარებენ საქართველოს დაუძინებელი მტრები, საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობას წამითაც არ შეწყეტს და მეტი მონდო-

მებით და გაბედულებით ეტყვის ქართველ ერს მისთვის ესოდენ აუცილებელ, გულის მოსაფხან სიტყვას.

მწერლებო!

ისტორიამ დიდი გამოცდა მოგვიწყო.

ახლა ჩვენი ვალია მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, ხელისუფლების ფაფხურია ქართული ეროვნული ცნობიერების ამოსაშანთავად.

ეს საქართველოს მოსასპობად გადადგმული ყველაზე ამაზრზენი ნაბიჯია.

ამ სავალალო ფაქტზე საუკუნეები ილაპარაკებენ.

არ შევუნახოთ ნამუსი გარეწრებს, დაუნდობლად ვამხილოთ ისინი ჩვენს ნაწერებში.

„უკვდავყოთ“ სისხლიანი ხელისუფლების წრეგადასული თავხედობა.

ჩვენ ვცოცხლობთ.

მრავალჭირგამოვლილ ქართულ მწერლობას, თავისუფალ ქართულ სიტყვას ასე იოლად ვერ მოერევიან“.

საქართველოს მწერალთა სასახლის და ქართველ მწერალთა უთავშესაფროდ დატოვების შემდეგ ათი წელი გავიდა.

კარგა ხანია, რაც ვარდების ხელისუფლება წარსულს ჩაბარდა, გამოიცვალნენ კულტურის მინისტრები და პრემიერ-მინისტრებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ოცნების ხელისუფლებამ დაძლია ის ისტორიული შეცდომა, რაც მწერალთა სასახლის ხელყოფით გამოიხატა 2007 წლის 21 აგვისტოს.

ქართველმა მწერლებმა მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა გაერთიანებებს (ბრიტანეთის მწერალთა ასოციაცია, პარიზის მწერალთა კლუბი, მიუნხენის მწერალთა სალონი, „პენ-კლუბი“...) შეატყობინეს ეს ვანდალური აქტი, იქიდანაც შეშფოთების პასუხები მოვიდა, მაგრამ ქართველი მწერლებისთვის სასახლის დაბრუნებას ჯერ კიდევ არ დაადგა საშველი.

თამარ ბლიაძე

ხელისუფლების კულტურული პოლიტიკა (XXI საუკუნის პირველი ათწლეული)

რეზიუმე

ახალი საუკუნის დასაწყისი ქართული კულტურის წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლით დაიწყო.

პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განსახილველად შემოიტანა კანონპროექტი „შემოქმედებითი კავშირების შესახებ“. ამ პროექტის მიხედვით, ყველა შემოქმედებითი კავშირი გამოცხადებულ იქნა საბჭოთა გადმონაშთად და საჭირო იყო მათი დაუყოვნებლივი, ლიკვიდაცია. ხოლო ამ შემოქმედებითი კავშირების ქონება უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს.

აღნიშნული კანონპროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს გიგა ლორთქიფანიძემ, რეზო ჩხეიძემ, ოტია იოსელიანმა და სხვებმა, ხოლო პარლამენტის ტრიბუნიდან კანონპროექტს „ყაჩაღური“, „არადემოკრატიული“ და „დისკრიმინაციული“ უწოდეს რევაზ მიშველაძემ და გურამ შარაძემ.

რატომღაც შემოქმედებითი კავშირების გაუქმებას მხარს უჭერდა ელდარ შენგელაია.

პარლამენტი იძულებული გახდა კენჭისყრა სხვა დროისთვის გადაედო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში ძალადობრივი გზით მოსულ ვარდების ხელისუფლებას ხელოვნების მუშაკთათვის ანგარიშის გასწორება გულიდან არ ამოუღია.

TAMAR BLIADZE

THE CULTURAL POLICY OF THE GOVERNMENT (THE FIRST DECADE OF THE XXI CENTURY)

Summary

The beginning of the New Century began with the power changing against Georgian culture.

The Committee on Science and Culture introduced the draft law on "Creative Unions" for consideration. According to this project, there were announced all creative connections for the Soviet remnant needing liquidation. The property of these creative unions were to be transferred to the state.

Giga Lortkipanidze, Rezo Chkheidze, Otia Ioseliani and others severely attacked against this draft law. At the same time Revaz Mishveladze and Guram Sharadze named the draft law "gangster", "undemocratic" and "discriminatory". Besides Eldar Shengelaia supported abolishment of creative links. Parliament was forced to delay voting , but the government of the rose revolution intended to revenge on Artists.

ლიტერატურა

1. მიშველაძე რ., „პოლიტიკა, კულტურა“. გამომც.: „უნივერსალი“ , თბ., 2010.
2. მიშველაძე რ., „თანამედროვე ქართული მწერლობის პრობლემები“, გამომც.: „უნივერსალი“, თბ., 2005.
3. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, გამომც.: „უნივერსალი“, თბ., 2018.
4. სიგუა ს., „ქართული კულტურის ისტორია“, ტ. 3. თბ., 2018.

ეკა ცხადაძე

გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ - კოლხი ზეკაცის ვნებები

გური ოტობაიამ ქართველი მკითხველის სამსჯავროზე წარადგინა რომანი „სიცოცხლემისჯილი“, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე იხვეწებოდა და ივსებოდა ახალი დეტალებით, აზრობრივი ნიუანსებით და შინაარსობრივი შრეებით.

აღსანიშნავია, რომ გური ოტობაია „ცნობიერების ნაკადის“ ჟანრის ერთ-ერთი იშვიათი წარმომადგენელია ჩვენს სინამდვილეში.

„სიცოცხლემისჯილში“ მოთხრობილია კოლხი ზეკაცის ისტორია, მისი რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრების გზა. ამ უცნაურ პერსონაჟს ჟინი ანთარი ჰქვია, რომელიც ევროპული განათლების მქონე უბრალო გლეხის შვილია და რატომღაც „ფრთოსან ჭიანჭველებს“ იკვლევს. მეზობელი გლეხები ვერ იგებენ, რატომ უნდა აინტერესებდეს ვინმეს ფრთოსანი ჭიანჭველები, ან რა საჭირო იყო ამ არსებების შესასწავლად და დასაკვირვებლად დიდი ხარჯის გაწევა და გერმანიაში სწავლა. საქმე ისაა, რომ მთელმა სოფელმა შეუგროვა ფული ჯეგე ანთარიას, იგივე ჟინი ანთარს და მოგვიანებით, სოფელმა ეს ფული უკან მოითხოვა, რადგან მოტყუებულად იგრძნო თავი.

გური ოტობაიას მიერ „ფრთოსანი ჭიანჭველების“ სახე-სიმბოლო ასეა განმარტებული: „ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უკვდავება ფრთების გარეშე არ არსებობს“. ადამიანების მოდგმისთვის ფრთებად შეგვიძლია ცოდნა და სიყვარული მივიჩნიოთ. გური ოტობაია იკაროსის სახესაც იგულვებს ამ სიმბოლოში და ბევრ სხვა რამესაც, რომელიც მკითხველისთვის ყოველთვის გასაგები როდია.

საერთოდ, „ცნობიერების ნაკადისადმი“ გური ოტობაიას ერთგულება მრავალ ბარიერს უქმნის მკითხველს სათანადოდ გაერკვეს საქმის ვითარებაში, გაიგოს და ჩაწვდეს ჰიპერტრიქოზიანთა მოდგმის აზრთა ხვეულებს. გური ოტობაიას დისკურსში ანთარიები პირდაპირ კაცებად იბადებიან და ბავშვობის რგოლს გამოტოვებენ ხოლმე.

ჯეგე ანთარიას, ამ „ზეჭარბი წვერულვაშა ჭაბუკის“, ტრანსფორმაცია „ჟინი ანთარად“ - ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში მოხდა. აქ მფარველობდა მას ბერტა ფონ ზუტნერი, აქ ხსნიდა უზარმაზარ ფსონებს კაზინოებში და აოცებდა ყველას ბიბლიის ზეპირი ციტირებით. მთელს მის ცხოვრებას მაჟორულ ნოტად გასდევს ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია და სწრაფვა ადამიანებზე აღმატებისაკენ. ჟინი ანთარია უკვე ვეღარა-

სოდეს იქნება კოლხი გლეხის ბიჭი, ველარ გაუწევს ძმობას თავის ექვს ძმას: კვეკვეს, ბათაყვას, ჯღვამას, ბაბუშის, ჩოქოლს და ქვაფუს. ჟინი ანთარი სათანჯოში გადასახლდება, კეთროვანებთან დაიწყებს ცხოვრებას და ამ უბედურებს თანდათან საიქიოს გაისტუმრებს.

ჟინი ანთარი დაავადებულია ათაშანგით, რომელიც ევროპელი მეძავებისაგან ერგო და რომელსაც მაშინ ვერ კურნავდნენ. იგი თავად იწყებს ხევსური მინდიას დარად ექიმბაშობას. სურს თავად განკურნოს საკუთარი თავი და ეხმარება სხვებსაც. მხოლოდ ისე ხდება, რომ მასთან სამკურნალოდ მოყვანილი ქალიშვილები ფეხმძიმდებიან, ბუშებს აჩენენ და საბოლოოდ უბედურდებიან. ჟინის მრავალი უკანონო შვილი უჩნდება, მათ შორის ბონდო ჰალიძონია და ჭიჭე კვეკვე.

სამშობლოში დაბრუნებული ჯეგე ანთარია თავისი შფოთისთავი წინაპრების მსგავსად უცნაურად იქცევა, ქორწილიდან გაიქცევა და ხალხის საჭორაოდ სწირავს მაფა ჰალიძონიას. ეს უკანასკნელი ისე იზამს, რომ ძმები ბადუ, ნოჩო და ყიფა თავის საფიცარ დას სასიკვდილოდ გაწირავენ, ხოლო ის პირდაპირ ჟინი ანთართან ამოყოფს თავს, როგორც ადრევე გეგმავდა. სოფლისთვის ჟინი ანთარია და მაფა ჰალიძონია არასასურველი ადამიანები არიან.

ჟინი ანთარმა მაფა ჰალიძონიას არასრულფასოვანი ნაყოფი ბევრჯერ დაუმალა და ჭაობში გადაუგდო. მას არ სურდა, თავისი პირმშოები სხვათა დასაცინად გაეზარდა. ამგვარი სისასტიკეც ვერ აიძულებს მაფა ჰალიძონიას, მიატოვოს დაწყევლილი კუნძული და მიზანთროპი ქმარი. მწერალი სასტიკი ყოფისთვის იმეტებს საცოდავ ქალს, რომელიც ყველაზე საბრალო არსებაა მთელს ამ რომანში. რატომ არის ასე და რატომ გახდა საცოდავი მაფა „სატანას ხელში დაბეჩავებული წმინდანი“, ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის დამახასიათებელ ლოგიკურ აზრთა სვლას არ ექვემდებარება. ეს სისასტიკეა, ხოლო ზეკაცები სასტიკები უნდა იყვნენ, ხალხი ბრბოდ და ფარად მიიჩნიონ - ამას გვასწავლის ნიცშეანურ-ფროიდისტული მოძღვრება, რომელიც გური ოტობაიას რომანის ქვაკუთხედია.

რომანში ჟინი ანთარი ექვსივე ძმის მკვლელად მოიხსენიება, მხოლოდ ბოლოს ვიგებთ, რომ ანთარიები გერმანელებთან შეტაკებას შეეწირნენ, რომლებიც მათთან სოფელში ჟინი ანთარის დახმარებით გამოჩნდნენ. რატომღაც, ზეკაცად დასახულმა ანთარმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება გადაწყვიტა, თუმცა ადრე არასოდეს გაუმჟღავნებია ეროვნული სახელმწიფოსადმი სიმპატიები. ამ პერიპეტიების მთელი ფილოსოფია ისაა, რომ: „კაცობრიობის ისტორია ომების სასაფლაო უფროა, ვინემ ჰუმანიზმის ტაძარი“, თანაც ომი კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ბიძგადაც მიიჩნევა, რაც ბერტასთან გამოთხოვებად დაუჯდა ჟინი ანთარს ახალგაზრდობაში.

გური ოტობაია თუ თეზად ჟინი ანთარს მიიჩნევს, მაშინ ანტითეზად ბონდო ჰალიძონია უნდა ჩაითვალოს, ნამდვილი ჰუმანისტი და მზეჭაბუკი, ახალგაზრდობაშივე დაბრძენებული და ასპარეზიდან უსახელოდ გამქრალი. მისი გაჩენაც, გამოჩენაც და გაუჩინარებაც უჩვეულოა; იგი მეძავად ცნობილმა ცირა შკვითინიამ ჟინი ანთარისაგან ხელოვნური განა-

ყოფიერებით გააჩინა. ამაშია ბონდოს უჩვეულობა, თანაც ის ანთარიებში ერთადერთია, რომელიც ჰიპეტრიქოზით არ იტანჯება. რაღაც დრომდე არ იცის დედის ვინაობა და უბედური კოჩია ჰალიძონია მამა ჰგონია.

კოჩია ჰალიძონიაზე ყურადღების გამახვილება არც ღირს, მაგრამ ცირა შკვითინია (შკვითინხე) ნამდვილი აფროდიტაა - მაცდური, ლამაზი და ავხორცი. მისი რომანი არდაშელ ჰალიძონიასთან, მეტოქეობა მილანდარ ანჩბეიხესთან, არდაშელთან განშორება, მრავალი სასიყვარულო ისტორია და საძრახი სახელი, კოჩია ჰალიძონიასთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. იგი ძმის ყოფილ საყვარელზე ქორწინდება და მის უფროს ვაჟს, რომლის მამის ვინაობა ცირამ არც იცის, საკუთარივით ზრდის. კოჩია ბონდოს გაჩენიდან მალევე წაასწრებს ცირას არდაშელთან, გაიტაცებს ბონდოს და მამიდა მაფას შეეხიზნება. ასე ჩაუვარდება ხელში ნამდვილ მამას (ჟინი ანთარს) ბონდო და იწყება განსწავლისა და მარტოობის 17 წელი.

ბონდო ჰალიძონიამ ყველაფერი ისე შეითვისა ჟინისაგან, რომ შორს წასვლა არ დასჭირვებია. თუ ჟინი ანთარი ევროპაში განისწავლა, ეს უნივერსალური ცოდნა მან ოდაბადეშივე დაუბრკოლებლად გადასცა ბონდოს. ეს იყო ორი მეგობრის, ორი თანამოაზრის თანამშრომლობა. მხოლოდ ბონდო, ჟინისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანი გარდაიცვალა, მისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი ქალი უყვარდა და ვიდრე წავიდოდა, მთელი თავისი ცოდნა ჭიჭე კვეკვეს გადასცა.

ბონდოს სახელს უკავშირდება ხანძარი სათანჯოში, დიდი ფულის დაკარგვა და ქურდებთან საქმეების გარჩევა, არდაშელის ოჯახის დამცრობა და ამორძალად დასახული ხანტურის მოხიბვლა. ერთი ფრაგმენტია კიდევ საინტერესო, ცირას ოჯახში ღამისთევა და მასთან დაკავშირებული ორაზროვანება. გური ოტობაია დედა-შვილის შეხვედრას განზრახ აბუნდოვანებს, ოიდიპოსის კომპლექსის იმიტაციის შესაქმნელად; თუმცა, ეს პასაჟი ამორფული და უკონტუროა და, შესაბამისად, დიდ ყურადღებას ვერ იქცევს.

ბონდო ჰალიძონია ჟინი ანთარიაზე სუსტი პიროვნებაა, დაკაცება არ დასცალდა და ცხოვრებაც ნაკლებად საინტერესო ერგო. „პირველი სკოლის ხონთქარისაგან ნაჩუქარი სერფბორდის“ სიმბოლიკა ბონდოს მიღმურ სამყაროში გადასვლას ემსახურება, ისე როგორც „ჭოფია ანთარიას ბორანი“ ემსახურება ხთონურ მოცემულობებს.

თუკი დaვუშვებთ, რომ ჟინი ანთარი თეზაა და ბონდო ჰალიძონია ანტითეზა, მაშინ ჭიჭე კვეკვე სინთეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ამაში ბოლომდე დარწმუნებული ვერ ვიქნებით, რადგან გური ოტობაია ძალიან დამაბნეველი მწერალია და იმდენ ინფორმაციას იძლევა ერთბაშად, რომ ძალიან ჭირს ამ უზარმაზარ ნარატივში მთავარი ღერძის დამახსოვრება და იდეის გამოკვეთა.

ბონდოს მსგავსად ჭიჭე კვეკვე ჟინის პირმშოა, ჰიპერტრიქოზის გამო საოცარ დისკომფორტს განიცდის; იგი ღორებთან ერთად ცხოვრობს სკოლის იატაკქვეშ. აქედან უსმენს მასწავლებლებს და ყველაზე გონიერი არსებაა მთელს იმ სკოლაში. ზოგჯერ იატაკიდან ამოდის და სქესობრივ კავშირს ამყარებს მასწავლებელ

დინა ადელუასთან. ჭიჭე კვეკვესთან სარეცელს იზიარებს ცირა შკვითინია და მისთვის იბრძვის ნორჩი დადუ თუბალიაც. რუსეთში მოგზაურობა, ციხის დიაცებთან შეხვედრა, თმისაგან განძარცვა და ბოლოს ისევ შემოსვა - ჭიჭე კვეკვეს ისტორიათა ჯაჭვს პიკანტურ შეფერილობას აძლევს.

ჭიჭე კვეკვეს ბონდომ ჟინისაგან გადმოცემული ცოდნა გადასცა, ამოწურა საკუთარი მისია და გავიდა ასპარეზიდან. ახლა მთელი იმედები ჭიჭე კვეკვეზეა, რომელმაც უკვე იცის, რომ მოზარდი თაობა უნდა დარაზმოს მსოფლიო პროგრესის სულისკვეთებით და გზა გაუკაფოს ოდაბადედან დაწყებულ „პლანეტის გონითი სივრცის აღმავლობას“.

ავტორის ინტერპრეტაციით, ჟინი ანთარმა თავის პირმშოებს დაუსახა გზა და მისცა გეზი. თეორიული ცოდნით აღჭურვა ბონდო; ხოლო ჭიჭე კვეკვეს ბონდოსაგან მიეცა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები კი მას ისედაც ჰქონდა. ვინ როგორ უნდა დარაზმოს ჭიჭე კვეკვემ და როგორ მოახდინოს ამის ორგანიზება, თავად იცის. ოღონდ საკითხავია, რომ-გორ შეძლებს ამ მისიის შესრულებას ადამიანი, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსით იტანჯება და აუცილებლად უნდა წავიდეს მოსკოვში „იპოლიტიჩთან“ სამკურნალოდ.

გური ოტობაიამ საკითხი დასვა, მიიყვანა გარკვეულ მიჯნამდე და მკითხველს „სფინქსის გამოცანა“ დაუტოვა. იმედია, თითოეული ჩვენგანი საკუთარი „გონითი სივრცის“ მოხმობით ამოხსნის მას, თუ ჩაძიების ნება და სურვილი გაუჩნდება.

„სიცოცხლემისჯილი“ არაა იოლად წასაკითხი და გასაგები წიგნი, რადგან იგი მრავალი აზრობრივი შრისაგან შედგება და სხვადასხვა დარგის ენციკლოპედიურ ნაზავს წარმოადგენს, რაც მხატვრული ტექსტისთვის დამატებით სიძნელეებს წარმოშობს.

ჩემი აზრით, „სიცოცხლემისჯილი“ საინტერესო ჩანაფიქრის ხორცშესხმას წარმოადგენს, რომლის მიმზიდველობა მინიმუმამდეა დაყვანილი „ცნობიერების ნაკადის“ დისკურსის სტილური გაფანტულობის გამო.

ეკა ცხადაძე

რევაზ მიშველაძის ახალი რომანის მხატვრული და იდეური ასპექტები

რევაზ მიშველაძის რომანი „წამება“ ავტორის მესამე რომანია. იგი ყველა ჩვენგანისათვის მტკივნეული ეროვნული პრობლემატიკით და ორიგინალური აგებულებით გამოირჩევა. რევაზ მიშველაძე ერთგულად განაგრძობს კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციას და ისეთ უმწვავეს პრობლემას წამოჭრის მკითხველების წინაშე, როგორიც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხია.

თანამედროვე ქართველი მწერლები ეროვნულ პრობლემატიკას თითქმის უგულებელყოფენ, დღეს მოდურია პირადული გრძნობების აფიშირება, ამურული ვნებათაღელვანი, მიზანთროპული სისხლიანი სცენები, ან მოწყენილობის გასაქარვებელი ნაირგვარი „ტიტინი“. ბუნებრივია, ამ საყოველთაო მოდუნებისა და გართობა-თავაწყვეტის ჟამს, ეროვნულ პრობლემებზე ფიქრი გამონაკლისად ჩაითვლება. რევაზ მიშველაძის დაჟინებული ერთგულება ეროვნული თემატიკისადმი, ერთგულება კლასიკური მწერლობის ტრადიციებისადმი, ნოსტალგიურ განცდებს აღძრავს და იშვიათ მოვლენად მოჩანს.

„წამების“ მთავარი გმირი პროფესორი ლევან კაკაბაძეა, რომელიც სამჯერ ემსხვერპლა პოლიტიკურ კონიუნქტურას. ის 1951 წელს უნივერსიტეტიდან დაითხოვეს გადასახლებულების გამოქომაგების გამო, 1978 წელს ქართული ენის დაცვისთვის და საბოლოოდ კახა ლომაიას რეფორმების მსხვერპლი შეიქნა. ლევან კაკაბაძე მთელი ექვსი ათეული წელი იმ საზოგადოების ნაწილი იყო, ვინც ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ ფარულად იღვწოდა მოაზროვნე და კეთილგონიერი თაობების აღსაზრდელად.

ლევან კაკაბაძეს არასოდეს ჰქონია მოდუნებისა და განმარტოების ფუფუნება, რადგან ნებისმიერ პოლიტიკურ ცვლილებებს ახალი გამოწვევები მოჰქონდა მისთვისთვის. პროფესორი საკუთარ თავს უშეღავათოდ იმეტებდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რაც დალხენით ყოფას სრულიად გამორიცხავს და ქანცავს ადამიანებს, მით უფრო თუ ისინი პროფესიონალები და კეთილსინდისიერი პიროვნებები არიან. რომანის პრეამბულაში ლევანი დანანებით ეუბნება ახალგაზრდა ბერს: **„შენი ერთი დღეც კი დროის ქიჩმაჩის ბორბალზე გამობმული ჩემი სიცოცხლის ნახევარზე მეტია. მე რომ შეუბრალებლად მიმარბენინებს წუთისოფელი, შენთვის დრო შეჩერებულია, მამაო. ალიონზე გაიღვიძებ, ილოცებ, გამოხვალ და ამ ქვაზე დაჯდები, ამ**

უდაბნოს გასცქერი, ერთნაირს და მკაცრად საშიშს, მაგრამ არა მოსაწყენს. აუ, რამდენი დრო გაქვს შენს თავთან დასარჩენად, შენს გულთან სალაპარაკოდ. ეს ხომ განუზომელი ბედნიერებაა (გვ. 6)“.

ლევან კაკაბაძე სათავისო ჭირს როდი მიუყვანია გარდაბნის უდაბნოში ახალგაზრდა ბერთან, ის ისევ სამომავლო საჭიროებას ეხიდება, ახალი დროის უკუღმართობის გამოსწორების გზებზე ფიქრობს. პროფესორის ნაწერებში მხატვრულად ნაჩვენებია ქართული სამყაროს წარსული და დღევანდელობა, რომელიც განსასჯელადაა წარმოდგენილი. „ყველა მთავრობის ოპოზიციაში“ ყოფნამ აიძულა პროფესორი კარგად დაკვირვებოდა ხელისუფლების არსს და ძალაუფლების რაობას. ძალიან ბევრი ამბის გახსენება და შედარება მოუხდა, მრავალი ამბის გაანალიზება დასჭირდა, მრავალი სურათი და სახეხატი მოიშველია და მისი ცხოვრებისეული კრედოც გამოიკვეთა: **„ქართველი მწერალი და მეცნიერი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც საქართველო ცხოვრობს“.**

რევაზ მიშველაძის პერსონაჟი ძველი თაობის კაცია, პატრიოტი და შესაბამისად **„ილიელი“**; ეს მომენტი აყალიბებს მის ხასიათს, მის შეუპოვრობას და უანგარობას. ასეთი ტიპები ყოველთვის აუტანელი არიან ნებისმიერი ხელისუფლისთვის. მწერალი ლექციების სახით გვთავაზობს სხვადასხვა ამბავს, აუდიტორიას ესაუბრება ლევან კაკაბაძის პირით და ჩვენთან ერთად ფიქრობს გამოსავალზე.

დასაწყისშივე ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივ მხატვრულ სახეს ვხვდებით:

„პროფესორმა ლევან კაკაბაძემ **წაშლაშეპარულ ბილიკთან** გააჩერებინა ავტობუსი. ჩამოსვლისას ჯოხს დაეყრდნო და **წარმართული ვერძის მსგავს ლოდზე** ჩამოჯდა“ (გვ. 3).

ხანშიშესული კაცი მონასტერში მიდის ბერთან და იქ მიმავალი ბილიკი თითქმის გაუკვალავია, **„წაშლაშეპარულია“**, ანუ ბილიკი მცირერიცხოვანი მიმომსვლელების სავალი გზაა, ისინი ცოტანი არიან, მაგრამ ერის სულიერების ქვაკუთხედს სწორედ ისინი წარმოადგენენ. ლევან კაკაბაძე ერთი იმათგანია, ერთი წამებულთაგანია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის უხდება საკუთარი ერის ინტერესების დაცვა, რომელსაც თანამოაზრეები კი ჰყავს, მაგრამ მათი ერთად შეკრება ვერ ხერხდება. მარადიული ქართული სატკივარი გათითოკაცებისა, სწორედ ამგვარ ყოფაში მოინიშნება და სწორედ აქ არის ტკივილისა და წამების სათავე.

რევაზ მიშველაძე იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული მარცხის მიზეზებს თავად ხალხის წიაღშივე ეძიებენ და ამით ცდილობენ, სრულყონ რეალობა, არ მოიტყუონ და ხალხს სიმართლე დაუხატონ. „წამებაში“ ქართული ხასიათის კარგი და ცუდი მხარეები შთამბეჭდავად არის მოცემული, ზედმეტი პათეტიზმისა და ემოციური გადაჭარბებების გარეშე. რევაზ მიშველაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორიც თან ერთვის მოვლენათა ამ ტრაგიზმს, რომ მართალი სიტყვა მკითხველისთვის შემაწუხებელი და მიუღებელი არ გახდეს.

მაგალითად, როცა 1921 წელს წითელი იმპერია მოგვადგა და დამოუკიდებელი საქართველოს ბედი წყდე-

ბოდა, ნოე ჟორდანიამ, იმის მომიზეზებით, რომ ტყვეებს ვერ გამოკვებავდა, ყველა გააშვებინა. ფაქტი თავისთავად ჰუმანურია, რომ არა ამ ტყვეების მოხელთებაზე გაწეული დიდი ძალისხმევა და მსხვერპლი, რომელიც ჩვენს მებრძოლებს არაფრად ჩაუთვალეს. რევაზ მიშველაძე აღწერს ჩვენი მებრძოლების გაუტეხლობას, თუ როგორ უმკლავდებოდნენ ისინი სასტიკ პირობებს, როგორ დებდნენ სასწორზე სიცოცხლეს და როგორ ეიმედებოდათ დამხმარე ძალის მოსვლა. რომანში ხაზგასმულია ფრაზა - „მზად იყვნენ“, მწერალი რიგითების გმირობაზე გვიამბობს, რომლის მხედართმთავარმა სწორედ ბოლო ბრძოლის წინ უგუნურად გაუშვა ორი ათასი ტყვე. დასკვნა მკითხველმა უნდა გამოიტანოს, მწერალი კი ასე აბოლოებს ამ ისტორიას: **„შიშისაგან სულგანაბული მოქალაქენი დაშვებული ფარდების მიღმა, დაგმანული სარკმელებიდან შესცქეროდნენ XI ბოლშევიკური არმიის შემოსვლას თბილისში“ (85).**

ხასიათების გამოკვეთა, მათი მრავალფეროვნების სათანადოდ წარმოჩენა, მხატვრული დამაჯერებლობის მიღწევა ურთულესი ამოცანაა. რევაზ მიშველაძე მრავალრიცხოვან პერსონაჟებს სრულიად გამორჩეული და განსხვავებული სახასიათო ღირსებებით აღბეჭდავს და ასე აცოცხლებს მათ. მაგალითად, ერთგან ავღანეთში მებრძოლი ქართველი გენერალი შუაგულ ომში მტერს შეუთვლის, რომ გიორგი მეთერთმეტის საფლავის ნახვა უნდა და უიარაღოდ მიდის მტრის ტერიტორიაზე. მწერალი თავისი პერსონაჟის ფიქრებს გვიზიარებს და ეს შინაგანი ჭიდილი უაღრესად დამაჯერებელი და მართალია. რევაზ მიშველაძე წერს: **„ზონას რომ გადავცდი, ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო. ახია ჩემზე, ვფიქრობ, რაც მომივა. რამ ამაცუნდრუკა. რა უფლება მქონდა, მე, გენერალს, ჩემი სიცოცხლე სასწორზე შემეგდო? რას იტყვის სარდლობა, ამას რომ გაიგებს? მაგრამ ამ სრულიად ადამიანურ შიშს ამარცხებდა ჩემს არსებაში გაღვიძებული საოცარი გრძნობა - მე ხომ ქართველი ვარ, გიორგი მეთერთმეტის კვალზე მოსული, დიახაც, რომ პატივი უნდა მივაგო ალექსანდრე მაკედონელის გვერდით მემორიალურ სვეტზე უკვდავყოფილი ქართველი მეომრის ხსოვნას“ (გვ. 183).** სრულიად გასაგებია მეომარი კაცის შინაგანი ღელვა და გრძნობების მონაცვლეობა, იგი პატივს მიაგებს თავის წინაპარს, რომლის ხსოვნა ავღანეთში უკვდავყოფილია, ჩვენთან კი დავიწყებული და მიჩქმალული.

ფრაგმენტიდან მრავალი რამის გაგება და მიხვედრა შეგვიძლია. ჯერ ერთი, ქართველი გენერალი რუსის სამსახურში მყოფი, თავის ეროვნულ გრძნობებს პირველ ადგილზე აყენებს; მეორე ის, რომ ერთგვარად თანაუგრძნობს ავღანელებს და მადლიერია გიორგი მეთერთმეტის სახელის დაფასების გამო და მესამეც, ყველაფრის მიუხედავად, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. მწერალი გვეუბნება, რომ ქართველი კაცი ყოველთვის ჯერ თავისი ერის შვილია და მერეა გარემოებას დაქვემდებარებული ინდივიდი, რომლის გულში სიამაყე ყველა დანარჩენ ადამიანურ შიშს გადასწონის.

ასევე უყურადღებოდ არ რჩება ისეთი ჩვევები, რომლებსაც სიამაყესთან და პატრიოტიზმთან არაფერი აქვს საერთო. მაგალითად: **„შეიძლება**

„მე ხომ არაფერი მამივა?“ თეორიით წაგებული ომის მოგება? ათი გამოქცეული ოჯახიდან ერთი ახალგაზრდა მაინც არ უნდა იყოს პარტიზანული შენაერთის წევრი? წამდაუწუმ არ უნდა შევახსენებდეთ მტერს, რომ სხვის სახლში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მას მოსვენება არ ექნება?

ვის ელოდები, თუ ძმა ხარ? სხვა გააკეთებს შენს საქმეს? შენ გგონია, სინით მოგართმევენ შენს აფხაზეთს აფსუები და რუსები? მე ნუ მიყურებ, მე რაც შემიძლია, ბრძოლა-ქიჩმაჩს არ ვაკლებ ამ საქმეს და იცი შენ, სიტყვას მოჰყვა, თორემ არ გეტყოდით; მე ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნდა - ერთადერთი შვილი შევწირე აფხაზეთის ომს - უფრო სწორად, რუსეთ-საქართველოს ომს აფხაზეთისათვის“ (გვ.190).

რევაზ მიშველაძეს არ შეუძლია საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია არ გამოავლინოს და გამუდმებით არ გვახსენებდეს აფხაზურ სატკივარს, რომელიც თითქოსდა მიყუჩდა და აქტუალური არ არის. მწერალი არასოდეს გვაძლევს აფხაზური „დამოკლეს მახვილის“ დავიწყებისა და მიჩქმალვის საშუალებას. სწორედ აქ გვახსენებს ჩვენს ხასიათში არსებულ უარყოფით მხარეებს, არ გვიწონებს თავის მოტყუების ჩვევას და სიმხდალეს, რომელიც სიზარმაცესთან და გულარხეინობასთან ერთად გვეზოძა და რომლიც სასტიკად არის მხილებული ჩვენი დიდი კლასიკოსების მიერ.

რევაზ მიშველაძე მხილების დიდ ტრადიციას განაგრძობს, მხოლოდ ამ მხილებას უახლესი ისტორიის მეშვეობით გვისურათხატებს და ჩვენს ამოქმედებას ამგვარად ცდილობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კარგისა, და ცუდის გვერდიგვერდ ჩვენება საგანგებო დიდაქტიკური სვლაა, რომ მკითხველი გამოიწვიოს, დააფიქროს და სწორი დასკვნები გამოატანინოს. რევაზ მიშველაძის პროტაგონისტებმა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს ჟორდანიას მთავრობის ბედოვლათობა, საბჭოეთის მარწუხები და პოსტიმპერიული სისასტიკე. ზოგმა ძალიან კარგად იცის, რომ „ბაქია ხელმძღვანელი“ ვერავის მოატყუებს, რომ „მოპარადეს სევდა იპყრობს“ და ეს სევდა მალე კრიტიკულ განწყობად გადაიქცევა; რომ „საქართველო დაემსგავსა ბეღურას გემის ანძაზე“ და, რომ ჯერ ვერც ერთ ბეღურას ზღვის გადალახვა ვერ მოუხერხებია; ძალიან კარგად უწყიან რიგითმა ქართველებმა, რომ „გაღმერთება და გაბელადება, ვისიც არ უნდა იყოს, ამ დროში მაინც, სასაცილოა“ და შესაბამისად - სახიფათო; ასევე ხვდებიან, „ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან შერკინება აწი რომ მოგვიწევს“; საერთოდ, არ მოსწონთ საქართველოს მოქალაქეების ორ კატეგორიად დაყოფა – „ურწმუნო თომებად“ და „კრების ორატორებად“. მოკლედ, ბევრი რამ არის გაშარჟებული, შემჩნეული და სამზეოზე გამოტანილი. თავად კრიტიკული პათოსია მწვავე და დასამახსოვრებელი, ეს პათოსი „ბედნიერი ერის“ უდიდესი შვილების პათოსი იყო და კარგ ტრადიციას გაგრძელება სწორედ მხატვრულ-შემოქმედებითი კუთხით სჭირდება.

როდესაც ისტორიისა და თანამედროვეობის მხატვრული ინტერპრეტირება ხდება, მწერალი ზუსტ და სწორ მაგალითებს იშველიებს. ერთ-ერთი სიუჟეტის მსვლელობისას მოცემულია ქართველი კაცის ცხოვ-

რება ღრმა სიბერემდე, გადმოცემულია ისტორიის სამი პერიოდი, შესაბამისად, სამი სხვადასხვა რეალობაა გაცოცხლებული. რევაზ მიშველაძე ამ ვრცელ პერიოდს იმგვარ შტრიხებს უძებნის და ისე ცოცხლად გვიყვება, რომ ტრაგიზმზე უფრო სიცოცხლის უძლეველობის გრძნობა ეუფლება მკითხველს.

„წამებაში“ ხშირია ამბები „ინტელიგენციის აბუჩად აგდებისა“, ასევე ხშირია „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ განკითხვა-განქიქება. ერთგან ჯეელ და ბაქიბუქა პოლიტიკოსზე წერია: **„არადა საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. კვირაში საშუალოდ ორ უფასო სასადილოს ხსნიდა და, სატელევიზიოდ ყურებამდე გაღიმებული, ისე მადიანად შეექცეოდა წყალწყალა სუპს, გეგონებოდათ, ამ კვირაში არაფერი უჭამიაო. უფასო სასადილოში სერობა-ტრაპეზის დროს პრეზიდენტს გვერდს ქალაქის მერი უმშვენებდა. აშკარად ჩანდა, მერს ტყუილი სუპი არ უყვარდა და კოვზს ზოგჯერ მოსაჩვენებლად, გადმობრუნებულად იდებდა პირში, თანაც ხანდახან ზიზღით გახედავდა ქათმის გალურჯებულ ბარკალს. აშკარად ჩანდა, მერს არ სურდა ქათმის გრიპის პირველ მსხვერპლთა შორის ყოფილიყო“ (გვ. 374).**

ცუდმედიდობასა და ფსევდოგმირობებს ყოველთვის ირონიით უყურებს და აფასებს რევაზ მიშველაძე. ასეთი მოვლენების აღწერის დროს მის მიერ გამოყენებული ფრაზები და ცალკეული სიტყვები სრულად იტევს მომენტის ტრაგიკომიკურობას. ერთგან, როცა ქალაქის მერზე წერს „ტყუილი სუპი არ უყვარდა“ და „კოვზს გადმობრუნებულად იდებდა პირშიო“, ნათლად წარმოვიდგენთ „განებივრებული ბავშვის სიფათის“ მქონე ტიპს, რომელიც თავის მოკატუნების ტექნიკით ახლოსაც ვერ მივა „მადიან“ პრეზიდენტთან. მწერალი შესანიშნავად ახერხებს ამ ორი თვალთმაქცის სრულყოფილი პორტრეტის დახატვას და მათი ყალბი შინაგანი ბუნების სააშკარაოზე გამოტანას.

რევაზ მიშველაძის გმირები მომავლის საქართველოზე აქტიურად ფიქრობენ და ოცნებობენ, წარმოიდგენენ მოვლენების ნაირგვარ განვითარებას. 2296 წელს მიმდინარე ამბავში პავლე კვერნაძის თავგადასავალი ერთგვარ „მაშველ რგოლად“ შეიძლება მოგვეჩენოს, რადგან უკვე დაბეჯითებით ვიცით, რომ რუსეთის იმპერია საბოლოოდ 2025 წელს დასრულებულა, საქართველო მაშინვე ნატოს წევრი გამხდარა, 2075 წელს დემოგრაფიული პროცესების მოწესრიგება დაწყებულა, ხოლო 2050 წელს ტაო-კლარჯეთი თურქეთის კეთილი ნებით შემოგვიმტკიცებია. ამ მომავლის საქართველოში მთავრობა არ ძარცვავს თავის მოქალაქეებს, დენი არ ითიშება, არჩევნები არ ყალბდება, კომერციული ბანკებიც არ ყაჩაღობენ.

მომავლის მსოფლიოში ინდიელების „მაჰიდოს“ ტომი ეთნოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა, მხოლოდ ტურისტების თვალის ასახვევად „ცხოვრობენ“ და კმაყოფილები არიან. ხოლო გვიან საღამოს სიმართლეს ნათელი ეფინება. რევაზ მიშველაძე წერს:

„ტურისტები ორსართულიანი ომნიბუსით წავიდნენ.

წაქა დარჩა, სოფლის შესასვლელთან ჩამწკრივებული ჯიპების შორიახლოს ხის სავარძელზე ჩამოჯდა.

ერთი საათიც არ გასულა ჩაჯინსჩაჰალსტუკებული აპაჩები მხიარული მასლაათით ჭიშკრისკენ, სხვადა-

სხვა ფერმარკის ჯიპებისაკენ გამოემართნენ.

წაქა ახლა მიხვდა ყველაფერს.

აი, თურმე რატომ არ ისმოდა სოფელ მაჰიდოში ბალღის ტირილი, ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი.

თეატრალური მაჰიდო ხვალ დილამდე რჩებოდა ცარიელი ცის და დარაჯი პოლიციელების ანაბარა.

„რა დღე გელის, ჩემო უბედურო სამშობლოვ“.

ასე ფიქრობდა წაქა (გვ.419).“

რევაზ მიშველაძე ჩვენი მომავლის ორგვარ სურათს წარმოგვიდგენს, ერთში ყველაფერი მოგვარებულია და მსოფლიო ნორმალური ყოფის კალაპოტში ჩამჯდარა ჩვენთან ერთად, ხოლო მეორეში მცირერიცხოვნება დასასრულისა და ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობის მაუწყებელია. ორივე სცენარი ჩვენზე და მსოფლიო პროცესებზეა დამოკიდებული, ორივეზე აქტიურად ფიქრობს და წუხს მწერალი.

რევაზ მიშველაძემ „წამებაში“ თავისი და ჩვენი სათქმელი და საწუხარი გაამხატვრულა, ეპილოგში მოხუც პროფესორს თვითმკვლელობის ჩადენა არ დაანება და ბერობის გზა გადარჩენად დაუსახა. ლევან კაკაბაძე, იგივე ბერი ერმინე, რჩება ჩვენსავით უკეთესი მომავლის იმედად. მწერალმა ერთი დიდი და ეროვნული იდეა გაატარა ამ წიგნში, რომ ქართველობის გადარჩენა მხოლოდ ჩვენს ხელში როდია, მაგრამ ჩვენს მცდელობაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

„წამება“ გაჯერებულია **35-ე ფსალმუნის განწყობით,** რომელიც წამძღვანებული აქვს და რეფრენად გასდევს მთელს წიგნს: **„ ...ნუ მოაღწევს ჩემთან ფეხი ამპარტავნისა, ხელი ბოროტისა ნუ გამდევნის მე. დაე, დაეცნენ მოქმედი უსამართლობისა, რათა ვეღარ შეძლონ წამოდგომა“.**

„წამება“ მართლაც ტრადიციული და ნოსტალგიური თემატიკის შემცველი რომანია, სადაც მწერალი თავს უფლებას აძლევს, ერთგვარი მიმოხილვითი ეფექტი შექმნას და რეზიუმირების პატივი მკითხველს დაუტოვოს. რევაზ მიშველაძის მსოფლმხედველობა ერთ მთლიანობად წარმოაჩენს უძველეს ისტორიულ პერიპეტიებსა და ახლახანს მომხდარ ფაქტებს. მწერლის თვალთახედვის არეალში უთვალავი ფაქტი და მოვლენა ისხამს ხორცს, მხატვრულდება და დასრულებულ სურათხატად წარმოგვიდგება. რომანის მთავარი ნარატივი ისაა, რომ ქართველები უნდა დავრჩეთ ქართველებად, მოვუაროთ ჩვენს სამშობლოს, რომელსაც მძიმე და ეკლიანი ისტორია აქვს და რომელიც დღესაც არანაკლები საშიშროების წინაშე დგას, რადგან მსოფლიოს გლობალური ტენდენციები გაქრობას უქადის.

✍ ვახტანგ დავითაია

მისი ვერ შურდათ
ირაკლი ციციშვილი 100 წლისაა



ირაკლი ციციშვილი

გუშინდელ დღესავით მახსოვს 1952 წლის პირველი სექტემბერი, პირველი ლექცია. არქიტექტურის სპეციალიბაზე ჩარიცხული ბედნიერი და ეგზალტირებული სტუდენტების წინაშე წარსდგა ახალგაზრდა ლექტორი, საკუთარ ღირსებაში და მნიშვნელობაში დარწმუნებული ლამაზი მამაკაცი – ირაკლი ციციშვილი. მის მკერდზე გმირის ოქროს ვარსკლავი ბრწყინავდა.

* * *

მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდით... მთელი საქართველო ამაყობდა მისით, ის ხომ 40-იანი წლების ახალგაზრდობის კერპია – ომის გმირი, ზნეობის გმირი. ასეთად დარჩა ბატონი ირაკლი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ბედნიერი კაცი იყო, ყველასათვის საყვარელი და სასურველი. მისი არ შურდათ, უფრო სწორედ, ვერ შურდათ... მას გადალახული ჰქონდა შურის რაობის საზღვრები, შესაშური კი, მართლაც ჰქონდა ბატონ ირაკლის: უშრეტი ენერგია, შრომის განსაკუთრებული უნარი, თვითდისციპლინა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, ზნეობას და სამართლიანობას ყოველთვის მაღლა აყენებდა პირადულ ინტერესებზე, სამართლიანი იყო სულიერი წყობით, აღზრდით, ბუნებით, გვარიშვილობით, გვარის ისტორიით.

გამოკვეთილი ლიდერი იყო, მაგრამ დიდად არ ხიბლავდა „კოლექტივის მაორგანიზებლის“ და დირიჟორის ამპლუა (თუმცა დროდადრო, უხდებოდა ამდაგვარობა). ის პირადი მაგალითით იყო ლიდერი, მიბაძვის ობიექტი.

ომი. 1941 წლის 22 ივნისს ომი დაიწყო, 24-ში სადიპლომო პროექტი დაიცვა, 30 ივნისს კი, რამდენიმე თანაკურსელთან ერთად გაურკვეველი მიმართულების მატარებელში ჩასვეს. ასე უცაბედად, მოულოდნელად შემოიჭრა მის ცხოვრებაში უდიდესი განსაცდელი.

მეუღლესთან ერთად

ომი. ბრძოლები კურსკის რკალზე, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ჩეხეთში, უკრაინაში... უკრაინა მისი გმირობის აკვანია. აქ, მდინარე დნეპრზე, თოვლსა და ყინვაში, კანონადის ქვეშ, ოთხ დღე-ღამეში ააგო 350 მეტრი სიგრძის ხიდი პონტონებზე, გზა გაუხსნა მძიმე ტექნიკას კიევისაკენ... მისი სახელი მთელ საქართველოს აკერია პირზე. განსაკუთრებული სიამაყით იმას ჰყვებიან, თურმე ახალგაზრდა არქიტექტორმა, მძიმე წუთებშიც არ უღალატა ინჟინერულ ტრადიციას და დადგა მის მიერ აგებული ხიდის ქვეშ, როგორც საიმედოობის გარანტი და საკუთარ თავზე გადაატარა ტანკების კოლონა. „გავიმარჯვეთ ჭია-ჭია მარია ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს“ – ახლაც ყურში ჩამესმის ქალბატონ ანას ხმა.

რამდენიმე ჭრილობით, გმირის ვარსკლავით და ორდენებით დაუბრუნდა მონატრებულ სამშობლოს.

ახალ, „დამოუკიდებელ საქართველოში“ კი, მას და ათასობით სხვასაც, გული ატკინეს საყველპურო პოლიტიკანებმა. უდიდეს ტრაგედიას, მეორე მსოფლიო ომს, სხვისი ომი უწოდეს და მათი თავგანწირვა საქართველოს ღალატადაც კი მონათლეს.

ომი. მოხუცი დედა იღებს თავზარდამცემ ცნობას შვილის უგზოუკვლოდ დაკარგვის თაობაზე. დედას არ სჯერა, ეს მისი წარმოსახვის მიღმაა. გარდაცვლილი მეუღლე ყოველ ღამით, სიზმარში, ამშვიდებს – ირაკლი ცოცხალია. სიზმარი ახდა. ჩეხეთში, ერთ-ერთ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მძიმედ დაჭრილ „ახალგაზრდა, ლამაზ ჯარისკაცს“, უგონო მდგომარეობაში პოულობს ჩეხი გლეხი ცოლ-ქმარი, ურმით გადაჰყავთ საკუთარ სახლში, რამდენიმე თვე ერთად ებრძოდნენ სიკვდილს. როგორც ბატონი ირაკლის ქალიშვილი, მაია, „მოგონებაში“ აღნიშნავს, „იმ დღიდან მოყოლებული, მამა, ყოველ მომდევნო წელს, ღვთის წყალობად მიიჩნევდა“.

ოთარ კალანდარიშვილი, ირაკლი ციციშვილი, ვახტანგ დავითაია

ბატონი ირაკლის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სრული უფლება ჰქონდა წარსულით, დამსახურებით ტკბობისა. მიუხედავად ამისა, ყოველ დღეს დაძაბულ შრომაში ატარებდა, თავს არ ზოგავდა, ასე შეძლო მრავალი მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმის მოგვარება. დღეს ამ საქმეებს ირაკლი ციციშვილის წვლილი ჰქვია.

მოკლე ცნობა: 26 წიგნის, 300-მდე სტატიის ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, იტალიის ხელოვნების აკადემიის წევრი, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული გეგმარების, შემდგომ, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის კათედრის გამგე, მინისტრი – საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დამაარსებელი და უფროსი, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, სამამულო ომის გმირი...

ზედმიწევნით უპრეტენზიოს არასდროს გაუსვია ხაზი საკუთარი დამსახურებისათვის. არასდროს, არავითარ კონტექსტში არ საუბრობდა თავის დიდ წინაპრებზე, გვარის დამსახურებაზე, არ იშველიებდა მათ სახელებს და საქმეებს „პირადი პრობლემების“ მოსაგვარებლად.

ის, ალბათ, ერთადერთი თანამდებობის პირი იყო მთელს საბჭოთა კავშირში, რომლის მძღოლი შაბათ-კვირას საკუთარ ოჯახში ატარებდა. შაბათი დღე ძალიან დატვირთული იყო, 4-6 საათი ლექცია, კათედრის ყოველდღიურობა. ლექციებს შორის, შესვენებაზე მიუჯდებოდა საბეჭდ მანქანას და გულმოდგინედ ბეჭდავდა. ჩვენს შეკითხვაზე, ბატონი ირაკლი, ამას ჩვენი გოგოებიც ხომ გაა-კეთებენ, ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდით. ეს კათედრის საქმე არ არის, ჩემ სტატიას ვბეჭდავ.

ბატონი ირაკლის მთელი მცდელობა იქით იყო მიმართული, რომ მისი სათაყვანებელი საქართველო, ახალგაზრდობა ყოფილიყო საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რათა მისი ხალხი დროზე განთავისუფლებულიყო ზოგიერთი ცრურწმენისაგან საკუთარ განსაკუთრებულობაზე. ამისთვის ის იყენებდა ყველაფერს – აუდიტორიას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, პირად ურთიერთობებს.

ყოველთვის პირდაპირ ამბობდა სათქმელს. ასე იქცეოდა მაშინაც, როდესაც მთელ საბჭოეთს პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული. მაგონდება ერთი ეპიზოდი. 60-იან წლებში პარტიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ვიწრო შარვლებს და მოკლე კაბებს. ბატონი ირაკლი ტელევიზიაში მიიწვიეს, რამდენიმე „მოთელვითი“ კითხვის შემდეგ, წამყვანმა „სხვათა შორის“ ჰკითხა – რა აზრის ბრძანდებით მოკლე კაბებზე და ვიწრო შარვლებზეო. „დაანებეთ თავი მოკლე კაბებს და ვიწრო შარვლებს, ებრძოლეთ ვიწრო აზრებს და მოკლე

ჭკუასო“ – გაისმა პასუხად. ეკრანი უცებ გაშავდა, მთელ ქალაქში გამოირთო შუქი.

ადამიანური კონფლიქტები იწყება მაშინ, როდესაც ერთი ცდილობს თავის ჭკუაზე მოაქციოს მეორე. ბატონი ირაკლი არასდროს არ „ასწავლიდა“ და არ კარნახობდა სხვას როგორი უნდა იყოს ის, კმაყოფილდებოდა მისი შეხედულებებისა და პოზიციის კონსტანტაციით. ჩვენმა ნახევარ-საუკუნოვანმა ადმინისტრაციულ-ავტორიტარულმა ყოფამ ოდნავადაც ვერ შეარყია მისი ეს რწმენა და ვერ აქცია ის ადმინისტრატორად.

ბიბეში: ძმები ციციშვილები – ივანე, ნიკოლოზი, დიმიტრი, პავლე, ალექსანდრე და გიორგი (ს. ციციშვილის ბაბა, ნიკოლოზი დგას მარცხნიდან მეორე)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის მთელი ისტორია ბატონი ირაკლის ცხოვრების ისტორიაა. მისი ხელმძღვანელობით არქიტექტურის კათედრა ფაკულტეტად გარდაიქმნა, მოგვიანებით – ინსტიტუტად. ეს იყო არა ფირნიშის შეცვლა, არამედ, თვისობრივი ცვლილებებისა და განვითარების შედეგი. ბატონი ირაკლი ამ სკოლის არა მხოლოდ მაღალი სამეცნიერო და პედაგოგიური დონის განმსაზღვრელი იყო, არამედ მთელი კოლექტივის მოქალაქეობრივი სინდესის, ზნეობის გარანტიც!

არისტოკრატი იყო არა მხოლოდ გვარიშვილობით და გენეტიკით, არამედ არსით, სულიერი წყობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა. უყურებ ბატონი ირაკლის მამის, ნიკოლოზის და მასთან ერთ რიგში მდგომ ხუთი ძმის – ივანეს, დიმიტრის, პავლეს, ალექსანდრეს და გიორგის ფოტოს – ეს საოცრებაა! – ახოვნები, ლამაზები, ვაჟკაცები, მათგან ერთი გენერლის ჩინით. არ იკითხავთ ნათესავთა წრეს – ბეგთაბეგიშვილები, ფავლენიშვილები, ვაჩნაძეები, ფალავანდიშვილები, თარხან-მოურავები, მხარგრძელები... ისტორია, წარსული, გვარიშვილობა, რამდენადაც საამაყო, იმდენად ტრაგიკული აღმოჩნდა. ბოლშევიკური დახვრეტები, გადასახლებები, მუდმივი შიში გახდა ამ წარმოჩინებული ოჯახის თანამდევი.

ციციშვილების გვარი ერთ-ერთი უძველესი და გვარია საქართველოში, ქართლში. მისი წინამორბედები ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს თამარ მეფიდან მოყოლებული. აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს, მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ ქართული კულტურის კერებს ყველგან, საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ბატონი ირაკლის უშუალო წინამორბედმა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა დიდი სამუშაოები შეასრულა ყინწვისის ეკლესიაში და რაც ასე მნიშვნელოვანია, შეადგინა „სამკურნალო წიგნი“ – „კარაბადინი“. დედა, ალექსანდრა თარხან-მოურავი, გიორგი სააკაძის შთამომავალია, მამა ნიკოლოზ ციციშვილი რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი იყო, ხოლო ბიძა ივანე გენერალი გახლდათ.

მოკლედ პირადულზეც. ამაყი ვარ, რომ ბატონი ირაკლის გვერდით ვიყავი თითქმის ორმოცი წელი. მეამაყება ის, რომ წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი იმ კათედრას (მიმართულებას), რომელსაც მან

ორმოცი წელი შეალია და სადაც აღიზარდა ქართველ არქიტექტორთა მთელი თაობები. მადლობელი ვარ იმ კეთილგანწყობილებისათვის, რომელსაც ის იჩენდა გამოუცდელი, პროვინციელი ყმაწვილის მიმართ, როდესაც ის პირველ ნაბიჯებს დგამდა ცხოვრებაში. ბატონი ირაკლი რომ არა, შესაძლოა ჩემი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წასულიყო.

ის ჩურჩულის კაცი არ იყო. ხმამაღლა საუბრობდა, ხმამაღლა კითხულობდა ლექციას, ხმამაღლა ეუბნებოდა თავის ხალხს მის ნაკლს. ეს ხმა განუყოფელია მისი სკოლის ატმოსფეროსაგან. ეს ხმა ძალიან ენატრება დღეს ჩვენს არქიტექტურულ სკოლას.

თანამედროვე სამყაროში ყველაფერი სწრაფად იცვლება, იცვლება გარემო, იცვლებიან ადამიანები, იცვლება შეხედულებები. ჩვენს არქიტექტურულ სკოლაშიც ბევრი რამ შეიცვალა, უცვლელია მხოლოდ ერთი რამ, განწყობილება და ატმოსფერო, რომელიც ბატონმა ირაკლიმ შექმნა.

ახლა მინდა ვთქვა იმ „დელიკატური“ საუბრის შესახებ, რომელიც მხოლოდ ჩემმა უახლესმა მეგობრებმა იციან. სხვა დრო მეც არ მრჩება, ოთხმოცდაოთხისა ვარ.

1992 წელი. ბატონმა ირაკლიმ მიხმო: – ვახტანგ, გადაწყვეტილია არქიტექტურული გეგმარების კათედრიდან ცალკე გავიდეს ქალაქგეგმარების კათედრა. არქიტექტურული გეგმარების კათედრას შენ უნდა უხელმძღვანელო.

– როგორ ბატონო ირაკლი, ფაკულტეტზე სამი არქიტექტურის დოქტორია და ათამდე მეცნიერების კანდიდატი, მე საკანდიდატოც არ დამიცავს.

– არა! არქიტექტურული გეგმარების კათედრის ხელმძღვანელი პრაქტიკოსი არქიტექტორი უნდა იყოს!

ეს არა თუ თხოვნა, არამედ მოთხოვნა იყო. ესე იყო და ეს. არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

23 წელი ვხელმძღვანელობდი არქიტექტურული გეგმარების კათედრას. 15 წელი, როგორც „კათედრის გამგე“, ხოლო, „ბოლონიის პროცესის“ მოთხოვნის გამო, 8 წელი, როგორც „მიმართულების ხელმძღვანელი“. ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყვი, გვქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის და ამ ასპარეზზე, ჩვენი არქიტექტურული სკოლის ცნობადობის თვალსაზრისით, რაც ჩვენი სტუდენტების მიერ ათეულობით საერთაშორისო და რეგიონულ კონკურსში გამარჯვებებმა განაპირობეს.

ჩემს მოღვაწეობაში მუდამ თან მსდევდა პასუხისმგებლობა ბატონი ირაკლის მიმართ.

ომის ექო. ბატონ ირაკლის და ბატონ ნოდარ მგალობლიშვილს კოლეგები ესტუმრნენ სლოვაკიიდან (მინისტრი და არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე). ჩემს მეუღლეს და მე შემოგვთავაზეს დამგზავრება კახეთის ძეგლების მოსანახულებლად. გახურებული რთველია. მშვიდი, თბილი ამინდია. დავათვალიერეთ გრემი, შუამთა, ალავერდი. დღის სამი საათია, ვეკითხები ბატონ ირაკლის: – სად ვსადილობთ? – დარწმუნებული ვარ, სადღაც მიგველიან, როგორ შეიძლება მინისტრის გადაადგილება, თანაც ასეთი მაღალი სტუმრების თანხლებით, შეუმჩნევე-

ლი დარჩენოდათ კახეთის რაიონების ხელმძღვანელებს.

– შევიდეთ სადმე რესტორანში, სად აჯობებს?

– რა გვინდა რესტორანში, კახეთის ყოველ სოფელში ჩემი ლაგოდეხელი იმერელი მამიდაშვილებია გათხოვილი, რომ გაიგონ რესტორანში ვისადილეთ, სამუდამოდ დამემდურებიან, – ამბობს ჩემი მეუღლე.

უახლოესი სოფელი ახაშენია. მივადექით გოგი ჩიტიშვილის ოჯახს. სახლის ქვედა სართულის ოთახების კარები ღიაა, ეზოში ადამიანის ჭაჭანება არ არის, ყველანი რთველში არიან, აქედან 8 კილომეტრზე. ეზოში მეზობლები შემოცვივდნენ, ათი წუთი უნდა მოიცადოთ, ნუ შეგვარცხვენთ უცხოებთანო. ჩრდილქვეშ ბეტონის დიდ მრგვალ მაგიდაზე დიდებული სუფრა გაიშალა (მეზობელს საღამოს ნათლობა ჰქონია და სრულ მზადყოფნაში იყო!). სტუმრებს თვალები შუბლზე აუვიდათ. შევყევით. ახლა სტუმრები არ იცვლიან ფეხს, ბოლოს ვიძალეთ – მეორე მამიდაშვილიც უნდა მოვინახულოთო, ეწყინებათო ამბობს ნათელა, წითელი ღვინო უნდა გავასინჯოთ სტუმრებსო. აქედან სულ ახლოსაა ვეჯინი. იქაც დიდებული სუფრა გაიშალა ეზოში. რამდენიმე ჭიქის შემდეგ ბრგე, ენამოსწრებული თამადა, ოჯახის უფროსის კოწია სიმონიშვილის ძმა, გიორგი კითხულობს: – რისთვის მოგანიჭეს გმირობა, ბატონი ირაკლი?

– ხიდი ავაგე დნეპრზე 1943 წელს.

– რომელი ხიდი?

დაუსახელა კოორდინატები, ადგილი. პაუზა.

– იცით რა, ბატონო ირაკლი მე გაგხადეთ თქვენ გმირად! ის ხიდი მე ავტყორცნე ჰაერში ჩემი ათეულით 1941 წელს და რამდენიმე დღით შევაჩერეთ გერმანელთა შეტევა. ერთმა ქართველმა დაანგრია, მეორემ ააშენა! აგერ სხედან ერთ სუფრაზე ორივენი, ერთი გმირი, მეორე „სერჟანტი“.

უკანასკნელი 24 საათი

2001 წ. 3 მაისი, დღის 4 საათი. სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გაფართოებული სხდომა. მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციის აპრობაცია. სხდომას უძღვნება ბ-ნი ირაკლი. იგი მისთვის უჩვეულოდ გრძლად საუბრობს, ფრაგმენტულად. ჰყვება სხვადასხვა ამბავს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დისერტაციასთან. იხსენებს, როგორც შორეული, ისე ახლო წარსულის, საკმაოდ დელიკატურ ამბებს, ადამიანებს, შეულამაზებლად, გახსნილად, ეს მისი ბიოგრაფიის ნაწილია. დარბაზი სულგანაბული უსმენს. რატომ „გაუმხილა“ ყოველივე აუდიტორიას? ხომ არ ჰქონდა წინათგრძნობა იმისა, თუ ახლა არ იტყოდა, საერთოდ სამუდამოდ უთქმელი დარჩებოდა? ახლა, ცხადია, ეს აღსარება იყო, ნამდვილი აღსარება, განგებამ უკარნახა.

2001 წ. 4 მაისი. დილიდან ლექცია, კათედრის საქმეები. 2 საათზე მობრძანდა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და საინჟინრო აკადემიის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების გაერთიანებულ საბჭოს სხდომაზე. იყო ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანი და მომხიბლავი, საზეიმოდ ჩაცმული. სარიტუალო ელფერი დაჰკრავდა. სიტყვით გამოვიდა. თავმჯდომარეს დაეთხოვა და გავიდა. მინისტრმა, მერაბ ჩხენკელმა, მძღოლი დააწია

(თვითონ ხომ არასდროს არაფერს არ ითხოვდა).

დღის 4 საათზე აუყვა მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის კიბეს ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე მიეჩქარებოდა. წამით შეჩერდა, ჩაიმუხლა და... გათავდა...

ასეთი იყო 83 წლის ირაკლი ციციშვილის ცხოვრების უკანასკნელი 24 საათი. გარდაიცვალა ისე, როგორც იცხოვრა, – მოძრაობაში, ფიქრში, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის დროს, თითქოს, ლამაზად სიკვდილისათვის გამოვიდა იმ დილით სახლიდან...

ამდენი წუხილის მნახველ საქართველოს, თითქოს, დაუბლაგვდა ტკივილის განცდა. მაგრამ ბატონი ირაკლი აქაც გამონაკლისი აღმოჩნდა – იგი გულწრფელად დაიტირა მეგობრებმა, კოლეგებმა, ახალგაზრდობამ, მთელმა საქართველომ.

✍ თეიმურაზ ფანჯიკიძე

მართლმადიდებლობა და ეროვნულობა განუყრელია

ჩემთვის ეს მოულოდნელი და გამაოგნებელი კითხვა საქართველოს საპატრიარქოში დამისვეს, როცა იქ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ვკამათობდით, როცა მე იმ აშკარა აგრესიასა და მტრობაზე მივუთითებდი, რასაც რუსეთი ავლენს ჩვენი ქვეყნისადმი, ყურადღებას ვამახვილებდი წართმეულ ტერიტორიებზე, გაბმულ მავთულხლართებზე, დახოცილ ხალხზე და ლტოლვილებად ქცეულ ადამიანებზე, ათასგვარ სხვა უბედურებაზე.

ჩემი ოპონენტების (საკმაოდ ავტორიტეტული, მაღალი თანამდებობების ხალხი, ვის აზრსაც პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ საპატრიარქოში და არა მარტო იქ) პასუხი ასეთი იყო: თუკი ჩვენ მართლმადიდებლობა და ჭეშმარიტებაში წვდომა გვინდა, რუსეთიც უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ, რადგან ის არის ჩვენი სულიერი მოკავშირე და პარტნიორი.

ჩვენი გადარჩენის გარანტი, რომლის გარეშეც მართლმადიდებლობა მსოფლიოში არ მოიაზრება. რომ რუსეთი ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც თავის თავზე მიიღო ყველაზე დიდი დარტყმა და წინ აღუდგა უღმერთობასა და გარყვნილებას, რაც უწყვეტად მოედინება დასავლეთიდან. მისი დახმარების გარეშე ხსნა და სასუფეველის მოპოვება არ გვიწერია.

ამიტომ კითხვაზე – თუ რა უფრო მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობა თუ საქართველო, პირველის უპირატესობაზე უნდა მივუთითოთო. ყველა შემთხვევაში მთავარი რწმენაა, რადგან სწორედ მასშია ჭეშმარიტება, საქართველო კი ამ დიდი რწმენის ერთი პატარა რგოლია. შესაბამისად, უნდა ვაფასებდეთ რუსეთს, როგორც იმ ქვეყანას, რომელსაც მეტი მოეცა და ჩვენ კი „...თავმდაბლად მივიღოთ ის წყალობა, რასაც უფალი ჩვენზე ძლიერთა ხელით გვიგვზავნის“...

გაოგნებული ვუსმენდი ამ რიტორიკას. ყურებს არ ვუჯერებდი. არა, ადრეც მომისმენია მისი მსგავსი მსჯელობები, მაგრამ უფრო მსუბუქად, ნაკლებად კატეგორიულად. საკითხის ასე მკვეთრად დასმას (რუსები იტყვიან – ребром) ნამდვილად არ ველოდი.

გონსმოსულმა ვცადე ჩემი მოსაზრებები ახალი არგუმენტებით და ქართველი ისტორიკოსების ნააზრევით გამეძლიერებინა, რომელნიც სხვაგვარად, ჩემი აზრით, სწორად და ობიექტურად აფასებდნენ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. ჩემს მიერ დასახელებულ ისტორიკოსებს შორის ივანე ჯავახიშვილიც ერია –

ჩვენი სულიერი მამა და ავტორიტეტი ქართველ ისტორიკოსებს შორის, რომლის ობიექტურობასა და სამართლიანობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ამაზე ჩემმა ოპონენტებმა განმიცხადეს, რომ შეუცდომელი ადამიანი არ არსებობს. ყველა ცდება, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილიც ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და ისიც შეცდაო. ეს სიტყვები ისეთი შეუვალი კატეგორიულობით იყო წარმოთქმული, ისეთი შინაგანი რწმენით და გზნებით, რომ მივხვდი, კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ხელები ჩამოვუშვი, კამათში დგება ხოლმე მომენტი, როცა ასეთი სიჯიუტით გაჯიქებული გონება საწინააღმდეგო აზრს, რაც არ უნდა სამართლიანი და გონივრული იყო, აღარ აღიქვამს.

სახლში დაბრუნებულმა გონებაში გადავახვიე ჩვენი კამათი, ხელმეორედ გავიაზრე ყველა მონაწილის გამოთქმული აზრი და აღმოვაჩინე, რომ პასუხი გაეცა ჩემ მიერ საკუთარი თავისთვის დიდი ხნის წინ დასმულ კითხვას – **ამდენი უბედურების შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ გადაგვყარა, რატომ არ არის საქართველოში რუსოფობია. მივხვდი, რომ ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად ის არის, რომ ქართული სამღვდელოების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი (ყველაზე ვერ ვიტყვი), ეწინააღმდეგება ამას და ამ გზით ცდილობს დაუპირისპირდეს დასავლურ ღირებულებებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული**.

რუსეთი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს შეინარჩუნოს თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, ამ გარემოებას მშვენივრად იყენებს, თავის შანსს ხელიდან არ უშვებს და იმ საბაბით, რომ იგი გულგრილი ვერ იქნება მისი მოსაზღვრე ქვეყნის პოლიტიკისადმი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უკანასკნელი თავის დაცვის მიზნით, რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო ორგანიზაციაში დაიპირებს შესვლას, აქტიურად ერევა მის ცხოვრებაში და ცდილობს ჩაშალოს ეს საქმე. ამისათვის იგი ყოველნაირ ხერხს და საშუალებას მიმართავს, განსაკუთრებით კი, მართალია ყავლაგასულ და მნიშვნელოვნად დისკრედიტირებულ, მაგრამ მაინც წონიან რელიგიურ ფაქტორს.

საერთოდ, თუკი ამ საკითხებზე სერიოზულად ვიმსჯელებთ და რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართების პრობლემას განვიხილავთ, მეტად საინტერესო დასკვნამდე მივალთ.

ჩემთვის, როგორც რელიგიათმცოდნისათვის, ეს პრობლემა მეტად საინტერესო იყო და არის, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. ამიტომაც, წლების მანძილზე ვცდილობდი მის გარკვევას და არა მარტო მართლმადიდებლობაში, არამედ სხვადასხვა რელიგიასა თუ რელიგიურ მიმართულებაში, კერძოდ, წარმართულ რელიგიებში, იუდაიზმში, კათოლიციზმში, პროტესტანულ მიმდინარეობებში (ბაპტიზმი, ახალსამოციქულო ეკლესია, იეჰოვას მოწმეები), ისლამში, შედარებით გვიან აღმოცენებულ რელიგიებში, რომლებსაც მსოფლიო რელიგიებად ქცევის პრეტენზია აქვთ: ბაჰაის რელიგია, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება, საენტოლოგია და ა.შ. აქედან, ზოგს სტატია ვუძღვენი, ზოგს – დიალოგი, ზოგსაც

წიგნი, რომლებშიაც რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართების საკითხები წინა პლანზე არის წამოწეული.

შეიძლება მკითხველს ახსოვს ჩემი სტატიები და დიალოგები ჟურნალებსა და გაზეთებში, მონოგრაფიები და კრებულები. ჩემი წიგნები: „მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები“ (თბ., 1999), „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე“ (2003), „ქრისტიანობა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში“ (გამოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, 2005), „რელიგიური და ეროვნული“ (გამოიცა ქართულ და იტალიურ ენებზე, 2010), „ბაჰაი ახალი მსოფლიო რელიგია“ (თბ., 2010), „საენტოლოგია“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2013) და ა.შ.

მკითხველს შეიძლება პერიოდული პრესიდანაც ახსოვს ჩემი გახმაურებული დიალოგი პროფესორ გრივერ ფარულავასთან ამ საკითხებზე, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა აწგანსვენებული ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური სტრიქონები: „მთავარი მაინც მამული არის. განსაცვიფრებლად არის მთავარი“....

მაგრამ, სანამ სხვა კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდე, მინდა განვმარტო, თუ რას ვგულისხმობ „რელიგიურისა“ და „ეროვნულის“ ცნებებში.

რელიგიურში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ ის საყოველთაო, წმინდა და ძვირფასი იდეალი, რისკენაც უნდა ილტვოდეს ყოველი მორწმუნე ადამიანი, საით უნდა ესწრაფვოდეს საზოგადოება და თვით სახელმწიფოც. ეს სწრაფვა, ცხადია, რელიგიური წესით ცხოვრებისაკენ, მაღალი ზნეობისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ღმერთის რწმენაზე და მისდამი შიშზე არის დამყარებული, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაგვარჩინოს, იხსნას ჩვენი სულები ცოდვისგან და უზრუნველყოს ადამიანთა იმქვეყნიური მომავალი.

რელიგიურისადმი ორგვარი მიდგომა არსებობს: მორწმუნე ადამიანისათვის ეს წმიდათაწმიდა იდეალია; ხოლო არამორწმუნისათვის ის რეალობაა, რომელსაც ადამიანთა უმეტესი ნაწილი ყოველ წუთს აწყდება და რასაც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს.

რაც შეეხება ეროვნულს, მასში ჩვენ, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც არსებითია, სპეციფიკურია ამა თუ იმ ერისათვის; ის, რაც ქმნის განუმეორებლობას, რაც ასახავს მის ძირეულ ინტერესებს, უპასუხოს მის მიზნებსა და მისწრაფებებს, გვეხმარება ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. ეროვნულში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი რელიგიას უკავია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია როგორც კულტურასთან, ისე ეროვნულ ღირებულებებთან და ტრადიციებთან, რომელზეც უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს.

როგორი უნდა იყოს მათ შორის ურთიერთმიმართება? – რასაკვირველია, პირდაპირი და ძალზე მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული. იდეალურ შემთხვევაში, რელიგიური ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული მიზნებისა და ამოცანების გათავისებას და გადაწყვეტას; თუ რელიგიური ეროვნულიდან გამოდის, თან მის ინტერესებსაც მოიცავს, ცხადია, იგი ამ ქვეყნის ძირეულ ინტერესებ-

საც გულისხმობს. ვიმეორებ, ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ცნება რეალობაში იდეალურ თანხმობაშია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ასეთ პირობებში შედეგიც ყოველთვის სასურველია, მაგრამ ისტორიამ იცის სხვა, საწინააღმდეგო მაგალითებიც.

ამის კლასიკური მაგალითი ებრაელი ხალხის ისტორიაა, სადაც ეს ორი რამ: რელიგიური და ეროვნული ურთიერთშერწყმულია. წესით ყოველი ებრაელი იუდეველი უნდა იყოს, ხოლო იუდეველი – ებრაელი (თუმცა პრაქტიკაში ხშირად გვქონია საქმე გაქრისტიანებულ ებრაელებთან).

რაც შეეხება საქართველოს, აქ ცოტა სხვანაირად გვაქვს საქმე. მართალია, ქრისტიანობა ჩვენთვის ეროვნული რელიგია არ ყოფილა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა ის ისე შეითვისა და შეისისხლხორცა, რომ იგი ქართველთათვის ნამდვილ ეროვნულ რელიგიად იქცა. როცა ადამიანი მოინათლებოდა, იტყოდნენ გაქართველდაო და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

რა როლს ასრულებდა რელიგიური ფაქტორი ქართულ ისტორიულ წარსულში?

ერთხელ უკვე ვწერდი ამის შესახებ: „ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მაგალითები ქრისტიანობის ზეობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავის შეწირვისა. გვახსოვს დავით აღმაშენებლის სიტყვები დიდგორის ომის წინ ქრისტიანობის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ, ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა, რაც ქრისტიანობის დიდ როლზე მეტყველებს, მოქმედებდა მანამ, სანამ სხვა რელიგიის მატარებელ ხალხებს ვებრძოდით, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვნახეთ, თუ როგორ დაბლაგვდა ეს მრავალნაცადი სულიერი იარაღი მაშინ, როცა ჩვენ შეგვექმნა საფრთხე ჩვენივე სარწმუნოების ხალხისაგან, როდესაც ჩვენ აშკარად და გასაგებად გვითხრეს: თუ თქვენ მარტო ქრისტიანობისათვის იბრძოდით, თუ ეს არის თქვენი საბოლოო მიზანი, აი, ჩვენ გვაქვს ზუსტად ისეთივე სარწმუნოება, რომელიც თქვენშია გავრცელებული და საბრძოლველიც აღარაფერი გაქვთო.

ჩვენ მოწმე შევიქმენით იმისა, თუ ერთმორწმუნეობის საბაბით, როგორ გაგვიუქმეს სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა, როგორ წაგვართვეს დიდი საეკლესიო ქონება, თუ როგორ იქცა საუკუნეთა მაძილზე გამოცდილი ჩვენი სულიერი იარაღი ჩვენივე დამორჩილების, დაბრიყვებისა და გადაგვარების საშუალებად. ყოველივე ამან, რასაკვირველია, დაგვაეჭვა ჩვენი ორიენტაციის სისწორეში, რომელიც დამყარებული იყო „მართლმადიდებლურ გულიბრყვილობაზე“. ამ საკითხზე იმიტომაც ვამახვილებ ყურადღებას, რომ ერთმორწმუნეობის ფაქტორს გარკვეული ძალები მნიშვნელოვან არგუმენტად დღესაც მიიჩნევენ და ხშირად იყენებენ“ (თეიმურაზ ფანჯიკიძე, „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე“, თბ., 2003, გვ. 86).

ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად მინდა მოვიხმო ამონარიდი ოპონენტებისაგან დაწუნებული დიდი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან, რომელიც დამაჯერებლად აშუქებდა ამ მოვლენას:

„XVIII საუკუნის ქართველობა... გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრო-

ბას საქართველოზე გული მართლაც შესტკიოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. რუსებისადმი ამგვარი დაუშრეტელი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები – სპარსეთ-ოსმალები – მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერსა დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი, რუსეთს, სამხედრო თვალსაზრისით, ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდა, სწორედ ქართველების ამ სუსტ გრძნობასა და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმორწმუნეობა რუსი ხალხისადმი“-ო – ასე ამბობდნენ რუსეთის კარის წარმომადგენლები და ქართველთა ამ მხურვალე გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევაც ქართველთა იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები და მაჰმადიანი სახელმწიფოებისაგან უკიდურესად შევიწროვებულნი იყვნენ. ამ დროს ის, ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე, არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახმარებაზე ოცნებობდა, მის თვის ზრუნავდა. ასე იყო ხოლმე, სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმის მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც ის განიზრახავდა, არ ჩარევდა, მაგრამ რა წამს რუსეთს თავის პირადი მიზანი მიღწეული მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა. მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც, ასეთ შემთხვევაში ის იმაზეც კი აღარა ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მისი წყალობითა და მოქმედებით წინანდელზე მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე“.

ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი, უკეთესად ვერც იტყვი. კარგადაა ნაჩვენები თუ რა ილუზიებში ვიყავით. რა იყო რუსეთის ნამდვილი განზრახვა და მიზნები, როგორ განხორციელდა ისინი პარქტიკაში, რა სავალალო შედეგები მივიღეთ ყოველივე ამის შედეგად ეს. უფრო გვიან, არც რუს იერარქებს დაუმალავთ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა არქიეპისკოპოს სერგის (შემდგომში პატრიარქი) მიერ გამოთქმული აზრი შრომაში: „ქართული ავტოკეფალია და მისი რესტავრაცია“, სადაც იგი

დაუფარავად წერდა: **„გადაწყდა, პატარა ქვეყანა თავისი დამოუკიდებელი ძველი კულტურით გაერუსებინათ, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ქართული სულიერების გამომხატველი იყო, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილად ექციათ. ამისათვის მეთოდებიც შესატყვისი და იმ დროისათვის შესაფერისი იქნა არჩეული: უხეში ადმინისტრირება, ძალდატანება, მეფის რუსეთის ჩინოვნიკთა და სატრაპთა თვითნებობა, განუკითხაობა და ეკლესიის იერარქთა საქმიანობაში ჩარევა“.**

ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ქართველი ხალხი იოლად არ შეჰგუებია დამოუკიდებლობის დაკარგვას, მოყოლებული 1802 წლიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. ცნობილია 1802 წლის კახი თავადების შეთქმულება, 1804, 1812, 1819 წლის აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის და შემდგომი გამოსვლები. არსებობს ზღვა მასალა ამ მოვლენების შესახებ (თუ საჭირო გახდა მისი მოტანა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს).

მაინც როგორი იყო ხალხის მდგომარეობა რუსთა შემოსვლის შემდეგ, როგორ აღწერენ მას ქართველი ისტორიკოსები. რას ჰყვებიან მომხდარი ამბების თვითმხილველები: მათი დახასიათებით, რუსთა ქმედება ბევრი არაფრით სჯობდა მურვან ყრუს, ჯალალედინის და აღამაჰმად-ხანის სისხლიან ორგიებს. თუ რა მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქართველი ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, კარგად აქვს აღწერილი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ისტორიკოსსა და პუბლიცისტს ალექსანდრე ფრონელს (ყიფშიძეს, 1862-1916).

„...ქართველები როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლების გარეშე დარჩნენ და რიგითი ქართველისათვის სამართალი მხოლოდ ფარატინა ფურცელზე ნაწერად დარჩა... უსამართლობას თან სდევდა, ქართველისათვის ყველაზე მიუღებელი – აბსოლუტური უზნეობა, ქალისა და ოჯახის შეურაცხყოფა, რუსი მოხელეები არაადამიანურად ექცეოდნენ უდანაშაულო მოსახლეობას, მათრახებით სიკვდილის პირამდე სცემდნენ, უღელში აბამდნენ ქალებს, ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ მათ ცოლებს, არ ინდობდნენ არც ბავშვებსა და მოხუცებს. სამუშაოზე ძალით მირეკილ მოსახლეობას შიმშილზე დაჩივლებისას მიწაზე მიუთითებდნენ ეგ ჭამეთო და სხვა უამრავი ამგვარი ფაქტი: მირზაანელები შეკრეს ქამრებით, ცოლები კი თვალწინ გაუუპატიურეს. გურჯაანელები: „ჩაგვიყენეს ეგზეკუცია, დრაგუნის ნარვის პოლკის სალდათები, რომელნიცა გვცემდნენ უწყალოდ. მოაბეს ამათ გლახა ჯიყაშვილს წვერზედ თოკი და სოფელი მოატარეს. გვართმევდინ უფასოდ პურსა, ღვინოსა, ქათამსა, ქერსა, ცხვარსა და სხვა სასმელ-საჭმელსა“. ბოდბელები: „ყიზილბაშ-ოსმალოს და ლეკსაც ვჭერივართ და მისთანა რისხვა არ მოსდგომია საქართელოს, რომ ახლა დაემატა. ყოველ მწუხარებას ვითმენდით, მაგრამ ცოლის მკლავიდან აყენება ვერ მოვითმინეთო“.

კიდევ ერთი თვალსაჩინო ფრაგმენტი მისი წიგნიდან:

1812 წლის 31 იანვარს განთიადისას, ახმეტაში ეკლესიის ზარების რეკვით ამცნეს მოსახლეობას თელა-

ვიდან პურის მოსაკრებად მოსული „ზეკუციის“ შესახებ, ეს გახდა განაწამებ ქართველთა მოთმინების ფიალის ბოლო წვეთი. სახელდახელოდ, კეტებითა და ბარ-თოხებით შეიარაღებული ახმეტელები რუს მოხელეებს დაერივნენ და იფრინეს. იმავე დღეს თიანეთში ასეთი რამ მოხდა: სოფლის ეკლესიის გალავანში შეკრებილი თიანელების წრე გაარღვია სახე და გონება არეულმა დედაკაცმა, იგი რუს სალდათებს გზაში დაეჭირათ და ნამუსი აეხადათ (ესეც კი არ ეკმარებინათ, საშოში ძაბრი ჩაედგათ და შიგ ძმარი ჩაესხათ) მივარდა ქმარს, ქუდი მოხადა, დაახურა თავისი მანდილი და დაჰკივლა: „დღეიდან შენ ცოლი და მე ქმარი, ნამუსი ამხადეს და შური უნდა ვიძიოო“. ქმარს წელზე დაკიდებული ქარქაშიდან ხანჯალი გასტაცა და გალავნიდან გავარდა, ერთხმად დაიგრიალეს შეკრებულმა თიანელებმა და დედაკაცს უკან მიჰყვნენ, რუსთა ყაზარმებს დაეცნენ და 150 რუსი ჯარისკაცი ერთიანად ამოწყვიტეს. ომის ცეცხლმა ელვის სისწრაფით დაიწყო გავრცელება...“

კიდევ ერთ უცნაურობაზე, რაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ახასიათებს, მინდა გავამახვილო ყურადღება: „ერთმორწმუნე“, ერთი ტიპიკონის გამზიარებელ ხალხთან შეერთებას და ჩახუტებას, ლოგიკის მიხედვით, თუ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკავება არა ყოველ შემთხვევაში სხვა სარწმუნოების ხალხთან შედარებით უარეს მდგომარეობაში ჩავარდნა მაინც არ უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, სინამდვილეში მაინც საოცარი და დაუჯერებელი ამბავი მოხდა: თავისი „ერთმორწმუნეობის“ გამო ქართველები სხვაზე მეტად დაიჩაგრნენ და ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად საკუთარი მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ავტოკეფალიაც დაკარგეს.

ათასგზის მართალი იყო ჩვენი სასიქადულო მწერალი ილია ჭავჭავაძე, როდესაც ჩვენი ასეთი „მართლმადიდებლური გულუბრყვილობის“ და „ერთმორწმუნეობის“, ზედმეტად ნდობის სავალალო შედეგს მისთვის დამახასიათებელი სიცხადით აფიქსირებდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლებისადმი მირთმეულ მოხსენებაში და მის დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვდა:

„რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მაჰმადიანები, ებრაელები და ა.შ. თავიანთ აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან, მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოოდენ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოიშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახეირო არ არის მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენია ხანია, ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი უგუნური ვითარების შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომ განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ: ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებთ, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს“.

მაგრამ, რუსთა შორის მიმავალ პოლიტიკურ-რელიგიურ გეგმებში ქართული ავტოკეფალიის აღდგენა არ შედიოდა, რადგან მათ მართლმადიდებლობა, მართლმადიდებელი ეკლესია პირველ რიგში ესახებოდათ კოლონიური ჩაგვრისა და მორჩილების სულიერ იარაღად, მოსახლეობის რუსიფიკაციის საშუალებად, რაც ესოდენ საჭიროდ და საშურად ითვლებოდა ახალშემოერთებული მხარის სრული ათვისებისათვის.

მას შემდეგ, რაც რუსის ხელისუფლებამ 1811 წელს კათოლიკოსი ანტონ II რუსეთში გადაასახლა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, დაიწყო რუსი ეგზარქოსების მმართველობა (პირველის, ვარლამ ერისთავის გარდა), ეპოქა, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და რომელიც უმეტესად გამოირჩეოდა სიბნელით და ქართველი ხალხის სიძულვილით.

თუ რა უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს და მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიის დაკარგვამ, საეგზარქოსოს შემოღებამ, კარგად აქვს ჩამოთვლილი და შეჯამებული ეპისკოპოს დავითს თავის შრომაში „ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“, რომელიც 1912 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე. იგი წერდა:

„1. ეგზარქოსები არ ზრუნავდნენ ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე; 2. მათ არ იციან ქართული ენა და არა აქვთ უშუალო კავშირის შესაძლებლობა მორწმუნეებთან; 3. ისინი პატივს არ სცემენ ქართველთა ეროვნულ გრძნობებს და მათ კულტურას; 4. არ ზრუნავენ ქართველი სამღვდელოების მაღალი განვითარებისათვის; 5. ჩაგრავენ ქართველ სამღვდელოებას, არ აწინაურებენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რუს კოლეგებთან შედარებით უხდიან ნაკლებ ჯამაგირს; 6. ყოველნაირად ხელს უშლიან ქართველი სამღვდელოების მიერ ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო მუშაობას. ქართული საეკლესიო ორგანოს შექმნას; 7. ხელს უწყობენ ქართველი ერის გათიშვას, ცდილობენ მეგრელები დაუპირისპირონ ქართველებს და ამ მიზნით სამეგრელოში შემოიღეს წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე; 8. ცდილობენ ქართული ეკლესიების გარუსებას; 9. ქართველი სამღვდელოებისაგან მკაცრად მოითხოვენ მოვალეობის შესრულებას, ხოლო რუსი მღვდელების მიმართ აწარმოებენ ყველაფრის პატიების პოლიტიკას; 10. ეგზარქოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მრევლში მუშაობის დაყენების საკითხებს; 11. ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველი სამღვდელო პირები; 12. ისინი უფრო მეტად იმაზე ზრუნავენ, რომ დაამცირონ ან საერთოდ უგულვებელყონ ქართველთა ეროვნული თავისებურებანი,

მოსპონ ყველაფერი, რაც შეიძლება იყოს ქართველთათვის ეროვნულ გრძნობათა წყარო; 13. რუს ეგზარქოსებს არ შეუძლიათ შეიყვარონ თავიანთი სამწყსო, გაიზიარონ მათი ჭირი და ლხინი, იამაყონ რითაც ქართველები ამაყობენ, აფასებდნენ იმას, რაც მათთვის ძვირფასია; 14. ეგზარქოსებს არ უყვართ ქართველები და საქართველო".

ასეთი მმართველობის და მსახურების შედეგები კატასტროფული იყო. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა რევოლუციური ტალღა აგორდა, ეკლესიის გავლენა თითქმის ნულამდე დაეცა.

ვისაც ჩემსავით უქექია ეს მასალები, თუნდაც მეფის მოხელის სულთან კრიმ-გირეის გურიაში მოგზაურობის შესახებ წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ საქართველოში, აჯანყებულ მოსახლეობაში განსაკუთრებით გურიაში, რელიგიურობის ნასახი აღარ დარჩა. ყველა გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ეკლესია და მისი მღვდლები იმან შეინახოს, ვისაც ისინი სჭირდება, ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდებიანო.

ქართველ მღვდელმთავრებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ ამგვარი ვითარების, რწმენის დაცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საკუთარი დამოუკიდებელი ეკლესიის უქონლობა იყო.

ისტორიამ შემოგვინახა ქართველი პატრიოტი მღვდელმთავრების დიდ ძალისხმევა ავტოკეფალიის აღსადგენად, მაგრამ ამ საქმეს, მიუხედავად დიდი ბრძოლისა და ძალისხმევისა, 1917 წლის რევოლუციამდე არაფერი ეშველა. ავტოკეფალია მხოლოდ 1918 წელს აღსდგა. მიუხედავად იმისა, რომ ამას რუსული ეკლესია ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა.

თუ ყველაფერ ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ რუსეთი საქართველოს დამხმარე და მოკავშირე კი არ აღმოჩნდა, არამედ დამპყრობი, რომელმაც ირანი და თურქეთი ჩაანაცვლა. თუმცა, ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთთან შეერთებას უარყოფითთან ერთად, ჰქონდა გარკვეული დადებითი მხარეებიც, კერძოდ ის, რომ სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო გაერთიანდა. მას დაუბრუნდა თურქეთის მიერ მიტაცებული ზოგიერთი ტერიტორია. მართალია, რუსეთმა ეს საქართველოს ინტერესებისათვის კი არ გააკეთა, არამედ მორიგი ტერიტორიები დაიპყრო და იმპერიას შეუერთა, თუმცა ამან მაინც დადებითი შედეგები გამოიღო. დამყარდა შედარებითი სიმშვიდე, აღარ იყო ლეკიანობა, მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, ერთგვარად მიეხედა კულტურას და განათლებას, გაიხსნა სკოლები.

მსგავსი რამ რუსეთმა გააკეთა დაღესტანშიც, სადაც თავი მოუყარა მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებს, გაერთიანა ისინი რუსული დროშის ქვეშ და ერთ ენაზე აალაპარაკა. მაგრამ ეს, დაღესტნელებზე ზრუნვით, მათი ერთობისათვის კი არ გააკეთა, არამედ ასევე ახალი ტერიტორიის დაპყრობისა და ხელში ჩაგდებისათვის. ამიტომაც ეწინააღმდეგებოდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ რუსებს დაღესტნელები, თუმცა ისინი, ჩვენგან განსხვავებით, შედარებით უფრო მოტივირებული იყვნენ, რადგან ისლამის მწვანე დროშა ეპყრათ ხელთ და

ალაჰის სახელით სხვა სარწმუნოების ხალხს – „ურწმუნოებს“ (ქრისტიანებს) ებრძოდნენ.

ობიექტურობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოსათვის, რაც არ უნდა საშინელი ყოფილიყო რუსთა ქცევა და ბატონობა, იგი მაინც სჯობდა თურქებისა და ირანელების უღელს, მაგრამ ის ვარდისფერი მოლოდინი რუსთა სიკეთისა, ერთმორწმუნეობისა და მოკავშირეობისა, რომელიც ქართველებს ჰქონდათ სწრაფად გაიფანტა. მალე გამოჩნდა მათი რეალური სახე როგორც დამპყრობისა და მოძალადისა.

ალბათ, სრულიად მართალი იყო პროფესორი იასე ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სერიოზული მკვლევარი, რომელიც შენიშნავდა, რომ რეალური პოლიტიკაში გრძნობების და სიმპათიების ადგილი არ არის, თუნდაც ეს ერთმორწმუნეობა იყოს: პოლიტიკაში ამის გამო არავინ ირჯება. აქ წინა პლანზე პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის მიზნები და ინტერესებია წამოწეული და უბრალოდ ქართველებს ერთმორწმუნეობის ესოდენ დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

იმედია, ქართველები გაითვალისწინებენ ამ მწარე გაკვეთილს, კიდევ ერთხელ არ მოტყუვდებიან და არ გადაყლაპავენ იმ სატყუარას, რომელმაც ისინი ასეთ დღეში ჩააგდო.

არის კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. თუკი ჩვენ იმის მტკიცებას გავაგრძელებთ, რომ რელიგიური კუთვნილება უფრო მეტი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული კუთვნილება და რომ ის არის ჩვენი იდენტობის ერთადერთი მაჩვენებელი, მაშინ ჩვენს ძმებს – მაჰმადიან ქართველებს (ზუსტად არავინ იცის, რამდენი არიან, ხომ არ სჭარბობენ ისინი ქრისტიან ქართველებს) შეუძლიათ გვითხრან, რომ ისინი მაჰმადიანები არიან და ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ.

✍ *კონსტანტინე გამსახურდია*

ერთი მანიქეური მისიის შესახებ

ა) „ნათლის მოციქული“ და ვარუჩან-შაჰი

გერმანელმა მეცნიერმა ვერნერ ზუნდერმანმა, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიის ზონაში მოღვაწეობდა, 1981 წელს გერმანული თარგმანითა და ფაქსიმილეთი გამოსცა მანიქეველ მისიონერთა მოღვაწეობის ამსახველი ტექსტები [1]. ეს ხელნაწერები, რომლებიც ტურგანის ცნობილი აღმოჩენებიდან წარმოდგებიან, შედგენილია სამ ენაზე: საშუალო სპარსულ, სოღდურ და პართულ ენებზე. ამ ტექსტებში სურათხატოვნად მოთხრობილია სხვადასხვა ამბები, ნახსენებია როგორც რეალურად არარსებული, ისე არარსებული ქვეყნები და მეფეები. ისინი საკმაოდ მაღალ ლიტერატურულ დონეზეა შესრულებული და არაფრით ჩამოუვარდებიან გნოსტიკურ ტექსტებს ნაგ-ჰამადის ბიბლიოთეკისას.

ჩვენთვის საინტერესო მ-216 (ბ) ტექსტი ფალაურ ენაზე (რომელზეც ჩვენ ყურადღება მიგვაქცევინა პროფესორმა ვ. ა. ლივშიცმა) ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, იმდენად, რომ იგი პირველადი ტექსტის ნახევარს თუ შეადგენს, თუმცა მისი შინაარსის მიახლოებითი რეკონსტრუქცია მაინც შესაძლებელია. ტექსტი გადმოგვცემს, რომ რომელიღაც მეფე (ვარუჩან შაჰ), სახელად „ჰბზ“ (ჰაბაზ?), ღირსი გახდა „ნათლის მოციქულის“ ხილვისა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მათ შორის შემდგარი საუბრის შემდეგ ეს მეფე მენიქეველობის მიმდევარი გახდა. ტექსტის შემორჩენილ ფრაგმენტებს ქართულად ასეთი სახე ექნება:

„ნათლის მოციქული... იხილა რა მოციქულის სახე და დაემხო მის წინაშე და უგონოდ შეიქნა. და იყვნენ აქ კაცნი... შემდგომ ამისა ევედრებოდა... ჩვენ... იესო... ნათლის მოციქული... რელიგიური მოძღვრება გადასძლია მან თავისი საკუთარი ცოდვით. შემდეგ თქვა ჰბზ-მ, ვარუჩან-შაჰმა: რა... არის ეს... და მათ უთხრეს: ეს არის... ჰბზ-მ ჰკითხა... ამის შემდეგ... და მან... რომელიც წყლით... მოციქულს დაემუქრა იგი... ღმერთი... მოვიდა ქვეყნად... მოციქული... გადასდო მარცხნით... და ცხოვარი, რომელიც ცეცხლში... ეს რა იხილა ჰბზ-მ, (...) [2].

დაისმის კითხვა: რომელი მეფეა ეს ჰბზ? ან რომელი ქვეყანა იგულისხმება აქ? სასანინი შბურ პირველის სამეფო წარწერა „ზოროასტრის ქააბაზე“, მაგალითად, ახსენებს „ვალუჩან მალქას“ (ე. ი. მეფეს), რაც ნიშნავდა იბერიის მეფეს. როგორც ეპიგრაფიკის დიდი მკვლევარი შპრენგლინგი [3], ისე აკადემიკოსი გიორგი წერეთელი [62] აღნიშნავენ, რომ შაბურის სამენოვან წარწერაში მოხსენიებული ქვეყანა **სწორედ კავკასიის იბერია უნდა იყოს** (საშ. სპარსულს შდრ. პართულ-ფალაური „ვირშნ“, ბერძნუ-

ლი „ბიერიან“). გვიანანტიკურ ხანაში მცხოვრები ირანელები იბერიას უწოდებდნენ „ვრკან“. მარკვარტის შენიშვნით, აქედან წარმოდგა ანტიკური ხანის ქრისტიანი მწერლის, იოანე ლიდიელის თხზულებაში „პერი არხონ“ („დასაბამთა შესახებ“) მოხსენიებული „ჰიურკანე“ (ანუ ჰირკანია), რაც ასევე კავკასიის იბერიას უნდა ნიშნავდეს [4].

ვალტერ ჰენინგის მოსაზრებით, მ-216 (ბ) ტექსტში მოხსენიებული „ვარუჩინ-შაჰი“ არ არის იდენტური შაბურ პირველის წარწერაში მოხსენიებული იბერიის მეფისა. მისი სამფლობელო თითქოს მდებარეობდა ქუშანთა ქვეყანაში, რომელიც სასანურ იმპერიას შაბურის მეფობისას შემოუერთდა. მისი თვალსაზრისით, ტექსტში ნახსენები მოციქული გახლდათ მანიქეველი, სახელად მარ-ამო. კავკასიის იბერია არანაირად არ თავსდებოდა მისიონერ მარ-ამოს მოგზაურობის მიმართულებაში, რამდენადაც მან გეზი აბარშაჰრიდან (თანამედროვე ნიშაბური) მერვის გავლით ქუშანთა სამეფოსკენ აიღო, ე. ი. დაახლოებით შუა აზიისკენ გასწია [5], თუმცა ჰენინგის ეს მოსაზრება ლოგიკური იქნება იმ შემთხვევაში, თუკი აქ მართლაც მისიონერ მარ-ამოს მისიაზეა ლაპარაკი.

შაბურ პირველის წარწერა „ზოროასტრის ქააბაზე“ სამეფოს დიდებულებს სამ კატეგორიად დაჰყოფს: 1) ვინც ძალაუფლება მიიღო არდაშირ პირველის მამის, პაპაკის დროს, 2) ვინც ძალაუფლება მიიღო თავად არდაშირის დროს, 3) ვინც ძალაუფლება მიიღო შაბურ პირველის დროს, ამ უკანასკნელ მესამე კატეგორიაში ადიაბენას, ქერმანისა და მეშანის მმართველთა შემდეგ მოდის იბერიის მეფე ამაზასპი:

ქართულ-ფალაურ ტექსტში:

„ხმზასპ ვირშნ მალქა“,

სასანურ ფალაურში:

„ამაჩასპი ვალუჩან მალქა“,

ბერძნულში:

„ჰამასასპუ ტუ ბასილეოს ტეს იბერიას“ [6].

წარწერის მიხედვით, ირანის დიდი მეფის სულისთვის ყოველდღიურად შეიწირება ერთი კრავი, ერთი გრივი პური და ოთხი თასი ღვინო. შემდგომ მსხვერპლთშეწირვა ხდება მეფის ოჯახის წევრთათვის. დასახელებულ მთავართა და დიდებულთა სულებისათვის მსხვერპლად მოაქვთ ბატკნების, პურისა და ღვინის დარჩენილი რაოდენობა. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, პროფესორი მზია ანდრონიკაშვილი და პროფესორი თეო ჩხეიძე სამართლიანად ასკვნიან, რომ იბერიელი ამაზასპი უთუოდ ზოროასტრელი იყო, ვინაიდან სხვაგვარად ასეთ კონტექსტში ამაზასპის ქართულ წარმომავლობაში და მიიჩნევენ, რომ იგი უნდა ყოფილიყო სასანიანთა საგვარეულოს უმცროსი შტოს წარმომადგენელი [7].

„ქართლის ცხოვრებაში“ მართლაც ფიგურირებს მეფე ამაზასპი მესამე საუკუნეში. იგი იყო ქართლის მეთვრამეტე მეფე, შვილიშვილი კარგად ცნობილი ფარსმან ქველისა: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა“ [8]. მემატიანე ბევრს არაფერს ამბობს მის შესახებ. ხაზგასმულია მხოლოდ ის გარემოება, რომ სპარსელებსა და სომხებს შორის ამ დროს (იგულისხმებიან ირანის პირველი სასანიანები და სომხეთის უკანასკნელი არშაკუნიანები) მწვავე კონფრონტაციას აქვს

ადგილი და მეფე ამაზასპი პროირანულ ორიენტაციას ადგას: „და შემდგომად ამისა შეექმნა სილაღე და იწყო მესისხლეობად და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისთვის მოიძულეს იგი ერთმან ქართლისამან. და მტერ ექმნა იგი სომეხთა დაშეიყუარნა სპარსნი“ [9].

აქ მოთხრობილი ამბავი ტიპურია ქრისტიანობამდელი ქართლის ისტორიის თვალსაზრისითაც: ქართველები უნდობლად და მტრულად იყვნენ განწყობილნი იმ მეფეებისადმი, რომლებიც განუდგებოდნენ ან არ აღიარებდნენ მათ წინაპართა სარწმუნოებას.

„ამაზასპი“ (იგივე ჰამაზასპ) ირანული წარმოშობის სახელია, რომელიც გვხვდება ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებში. ეს სახელი ფიგურირებს ვესპასიანეს ხანის ბერძნულ წარწერაში (იამასასპოს), აგრეთვე რომში აღმოჩენილ ეპიტაფიაზე (ჰამაძასპოს) [10].

თუკი მ-216 (ბ) ტექსტში საქმე არა გვაქვს საკუთარი სახელის უცნობ იდეოგრამასთან (რაც თითქმის არსად გვხვდება), ჰიპოთეტიურად შეიძლება დავუშვათ, რომ აქ ნახსენები სახელი მეფისა „ჰბზ“ არის იგივე „ამაზასპ-ჰამაზასპის“ ვარიანტი: ბაგისმიერი თანხმოვანი „მ“ გადადის ასევე ბაგისმიერ „ბ“-ში, ხოლო ხორხისმიერი „ჰ“ ძლიერდება. ამას გარდა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არაფერი იქნება გასაოცარი იმაში, რომ ტექსტის ფრაგმენტში მოხსენიებული მეფე მართლაც **იბერიის მმართველი ამაზასპი** იყოს, რომელიც ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი იყო მთელს სასანურ იმპერიაში და რომლის სახელიც შაბურის წარწერაში მეხუთე ადგილზე დგას.

მისი მანიქეველობაზე მომაქცეველს და ხელდამსხმელის სახელი უცნობია; რამდენადაც ტექსტი ჩართულია მისიონერ მარ-ამოს მოგზაურობათა ამსახველ ტექსტებში, ამდენად აქ აღწერილი ამბავიც მარ-ამოს საქმედ მიაჩნდათ, როგორც, მაგალითად, ვალერ ჰენინგს. მაგრამ ტექსტში ნახსენებია „ფრიშტაგროვშან“, ანუ „მოციქული ნათლისა“. ტექსტის შემორჩენილი ფრაგმენტი გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს მისიონერის ეპითეტი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა თავად მანის ყველაზე გავრცელებული ეპითეტი.

მანიქეურ სახისმეტყველებაში წამყვანი როლი ნათლის ესთეტიკას აქვს მიკუთვნებული. ნათლის სიმბოლიკის ინტენსივობით და სიჭარბით იგი წინ უსწრებს თვით ქრისტიანობას და სხვადასხვა გნოსტიკურ თუ ამავე ელფერის მქონე მიმდინარეობებს. მანიქეურ კოსმოგონიაში შესაქმეს თან მოჰყვა „განყოფის“ ეტაპი, როდესაც წარმოიქმნა ორი სამყარო – „ტერრა ლუციდა“, ანუ „მიწა ნათლისა“ და „ტერრა პესტიფერა“, ანუ „მიწა წყვდიადისა“. ჭეშმარიტება კაცობრიობას ეუწყა ნათლის სამი მოციქულის პირით: ბუდამ დამოძღვრა აღმოსავლეთი, ზარატუსტრამ – ირანი, იესომ – დასავლეთი. მანი ითვლებოდა ნათლის მეოთხე მოციქულად, რომელიც მოვიდა ბაბილონში. მის ეპითეტთა შორის გვხვდება უკვე ნაცნობი „ფრიშტაგროვშან“ (მოციქული ნათლისა), კოპტური „აპოსტოლოს მპოგაინე“ (ნათლის დესპანი), პართულ-ფალაური „ნაჟივაგ“ (ნათლის მომტანი), აგრეთვე „ბაზმაგ“ (შუქურა), საშუალო სპარსული „პიდარ როვშან“ (ძამა ნათლისა), „როვშანაგ“ (მანათობელი) და სხვ. [11].

ამდენად, ცხადია, რომ „ნათლის მოციქული“ წარმოადგენს მხოლოდ მანის ეპითეტს და მას არ გამოიყენებდნენ მის მოწაფეებთან, მარამოსთან, პატიკიოსთან ან ადდაისთან დაკავშირებით.

თავად მანიქეველობა, როგორც მოძღვრება, მისიონერთა და მოგზაურთა წრეში ჩაისახა. მის პროტაგონისტად ითვლება მოგზაური და ვაჭარი, ვინმე სკვითიანოსი. მას უნდა მოევლო პალესტინა და ეგვიპტე, საიდანაც უნდა წამოეღო ერთ-ერთი სახარება, აგრეთვე „მისტერიების წიგნი“, როგორც ჩანს, ჰერმეტისტული ხასიათისა (ე. ი. დაკავშირებული ეგვიპტელ ჰერმეს ტრისმეგისტოსთან, ანუ „სამგზის დიად ჰერმესთან“). მესოპოტამიისკენ მომავალი, იგი გზად გარდაიცვალა და ეს წიგნები დაუტოვა ვინმე ტერებინტოსს, რომელმაც ისინი ჩამოიტანა ბაბილონს. მაგრამ ეს უკანასკნელიც უნდა დაღუპულიყო მითრას მოგვების ინტრიგების შედეგად, რომლებიც მის მიმართ მტრულად განეწყვნენ. ამის შემდეგ წიგნები ხელში ჩაუვარდა მანის გამზრდელს, ქვრივ ქალს, რომელმაც ისინი თავის აღსაზრდელს გააცნო [12].

მანისა და ირანის სამეფო კარს შორის საკმაოდ კარგი დამოკიდებულება დამყარდა შბურ პირველის მეფობის დასაწყისში, რომელიც მანიქეველთათვის შედარებით მშვიდი ხანაა. ამ დროს მათ არ სდევნიდნენ. ამავე ხანებში მანი ინდოეთიდან უკანვე დაბრუნდა ქტესიფონს, სასანიანთა სატახტო ქალაქში. გზად მომავალი იგი ქადაგებდა პერსიდაში, მესენასი, ხუზისტანში, ასურასტანში, მედიასა და პართიაში [13]. აღსანიშნავია, რომ ეს ის ოლქებია, სადაც განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა ირანული და სემიტური კულტურების შეხვედრისა და ურთიერთგანაყოფიერების პროცესი. **თავად მანიქეველობის გარეგანი ფორმაც შესაძლოა დახასიათებულ იქნეს როგორც ირანულ-სემიტური და რაღაც წილად ბერძნულიც. ეს გახლდათ მეტად მრავლისმეტყველი ფორმა იმ ეპოქის ადამიანთათვის.**

ახალგაზრდა რეფორმატორის მოღვაწეობის ამბავმა მიაღწია მეფის კარამდე და შაბურმაც მიიწვია იგი თავის სასახლეში, ან-ნადიმის „ფიჰრისტის“ მიხედვით, კვირა დღეს, ნისანის პირველს, როდესაც მზე ვერძის ნიშანში იდგა [14]. ამას უნდა მოჰყოლოდა მეორე შეხვედრაც, როდესაც საუბარი რელიგიურ საკითხებზეც შედგა. სანამ საგანგებოდ დასწერა მეფისთვის თავისი მოძღვრების სახელმძღვანელო „შაბურაგან“, რომელიც გადაითარგმნა საშუალო სპარსულ ენაზე. ნაკლებად სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ შაბურ პირველი მანიქეველი გახდა და სერიოზულად განიზრახა გამოეცხადებინა იგი ახალ ოფიციალურ კულტად [15]. მაგრამ ის განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ სასანიანთა შორის დაუძინებელი მტერი რომის მიერ დამყარებული მსოფლიო წესრიგისა, ცდილობდა მის შეცვლას თავისი საკუთარი წესრიგით. იმავდროულად უწყოდა, რომ ამას ვერ მიაღწევდა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური საშუალებებით; საჭირო იყო ორად გაყოფილი ელინისტური ოიკუმენეს გამთლიანება **სულიერი და რელიგიური ფაქტორების პრიმატით.** ამად მან ლაშქრობისას თან იახლა მანი. ამ ომში გაიმარჯვა სპარსულმა ჯარმა და

რომის იმპერატორი ვალერიანე დატყვევებულ იქნა [16].

საინტერესოა ის გარემოება, რომ ერთ ბანაკში ამ დროს იმყოფებოდა მანი, მეორე (რომაელთა) ბანაკში კი - ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი პლოტინი.

მანის ქადაგებებს წარმატება უნდა მოჰყოლოდა თავიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას დაუპირისპირა ზოროასტრული სასულიერო წოდება, მეტადრე კარტირი, სამეფოს „დიდი ჰერბადი“, ანუ უმაღლესი ქურუმი, დაიწყო მანიქეველობის მიმდევართა დევნა. მობადებსა და ჰერბადებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ ირანის სამეფო კარზეც. აკი ეუბნება მას□ უდის „ოქროს საბადოების“ მიხედვით სასანიანი არდაშირი თავის ძეს, შაბურს, რომ „სარწმუნეობა და მეუფება ძმები არიან და არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე. სარწმუნოება ქვაკუთხედია მეუფებისა, ხოლო მეუფება იცავს სარწმუნოებას“ [17]. ამადაც კოპტურ მანიქეურ თხზულებაში „კეფალაია“ მანი ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ ადამიანებმა არ შეიწყნარეს მისი ქადაგება, ვინაიდან შეიძულეს ნათელი და შეიყვარეს ბნელი; ვინაიდან ეს ხალხი მხარს უჭერს მეფეებს, ემორჩილება კეისრებსა და სატრაპებს; ხოლო მის მიერ ნაქადაგარი ჭეშმარიტება და უწყება საუკუნო ცხოვრების შესახებ არ შეისმინეს [18].

ცხადია, რომ შაბურთან შეხვედრის შემდეგ მანის და მის მოწაფეებს ერთხანს გაუადვილდებოდათ მისიონერული მოღვაწეობა სასანური იმპერიის ფარგლებში. მათი ტაქტიკა გულისხმობდა მენაპირე ქვეყნებისა და მხარეების მეფე-მმართველთა გადმობირებას. მანიქეველთა მისიონერული საქმიანობა. პ. ასმუსენის გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, ნამდვილად გენიოსის ინტუიციით წარიმართებოდა ამ დროს [19].

მანის გარდა მას უძღვებოდნენ მისი მოწაფეები: მარ სისინიოსი, მარ ზაკო, ინაიოსი, მარ ამო, მარ გაბრიაბი პატიკიოსი, ადდაი და სხვანი. ინდოეთიდან ქტესიფონს მომავალმა მანიმ შეიარა მესენას პროვინციაში და მოაქცია ამ მხარის განმგებელი, მეფის ძმა მიჰრ-შაჰი. **საფიქრებელია, რომ მ-216 (ბ) ფრაგმენტში მოთხრობილი შეხვედრა მანისა და მეფე ამაზასპს შორის მოხდა ქტესიფონის შეხვედრების შემდეგ, დაახლოებით მესამე საუკუნის შუახანებში.** მეფე ამაზასპის მარცხი და დაღუპვა, რაც შაბურ პირველის სიკვდილის შემდეგ უნდა მომხდარიყო, წარმოადგენდა იმ წარუმატებლობათა ერთ-ერთ რგოლს, რასაც სპარსელები და მათი მოკავშირეები ამ დროიდან მოყოლებული განიცდიდნენ. ამის დამადასტურებულია 283 წლის საზავო ხელშეკრულება რომთან, რის შედეგადაც სასანურმა ირანმა დაკარგა კონტროლი სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილზე.

მ-216 (ბ) ფრაგმენტში ფიგურირებს სახელი ი(ი)სო, ანუ იესო. სამწუხაროდ, ტექსტის მონაკვეთი მეხუთედან მეცხრე ხაზამდე იმდენად დაზიანებულია, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ რა კონტექსტშია მოხსენებული ის. რამდენადაც ცნობილია, მანის თავისი მიმდევრები მიიჩნევდნენ ქრისტიანობის, ზოროასტრიზმის და ბუდიზმის ჭეშმარიტ ინტერპრეტატორად. მანიქეურ თხზულებაში „შაბურაგან“ ახელი „იიშო“ (იესო) გვხვდება მაშინვე, როდესაც მანი იწყებს თავისი რელიგიური სის-

ტემის ჩამოყალიბებას ირანელთათვის. მანის მოძღვრებაში იესოს სამი გამოვლინებაა ცნობილი: 1) „იესო ბრწყინვალე“ (ზივა), ანუ მაცხოვარი ნათლისა, რომელმაც დასაბამში მოუტანა ადამს „მხსნელი გნოზისი“. ამასთან დაკავშირებით ნეტარი ავგუსტინე მანიქეური ქრისტოლოგიის განქიქებისას აღნიშნავდა, რომ მათთვის ქრისტე არის იგივე არსება, ვისაც საღვთო წერილი მაცდური გველის სახით იცნობს (იხ. დე ჰერეზიბუს, 46). მანის მიხედვით, ეს იგივე გახლავთ, რაც „ქრისტუს დემიურგოს“, ვინც შესაქმე თავისი საკუთარი ძალით განახორციელა, მსგავსად პლოტინისეული პირველარსისა, რისი ემანაციის შედეგიცაა სამყარო. ამადაც იესოს მანიქეური ეპითეტი ერთ-ერთ სირიულ ტექსტში არის „ბან რაბბა“, ანუ სამყაროს დიდი ხუროთმოძღვარი. 2) „ტანჯული იესო“ (იესუს პატიბილის), რომელიც წარმოადგენს მატერიაში დატყვევებული ნათლის კრებით სახეს. მანის მიხედვით, ეს არის ჯვარცმული ნათელი. პასიურ ასპექტში ეს ტანჯული საწყისი სიმბოლიზებულია როგორც ჯვარი ნათლისა, ხოლო აქტიურში - ბავშვის ან ყმაწვილის სახით, რომელიც საშველად მიმართავს უფალს. 3) „იესო მესია“, ანუ წინასწარმეტყველი და ძე ღვთისა, რომელმაც მოჩვენებითად მიიღო კაცებრივი სახე და ეწამა ჯვარზე. როგორც ვხედავთ, გნოსტიკური დოკეტიზმის მანერაში უარყოფილია იდეა ნათლის მაცხოვრის ნამდვილი მოწამეობის შესახებ. ამავე დროს იესო მნიშვნელოვანი გახლდათ მანიქეველთათვის, რამდენადაც მისი ცხოვრების ისტორია ერთიანი; დიდი ინკარნაცია იყო მანისეული მოძღვრებისა მატერიაში სულის ჩამოსვლის და კვლავ ამაღლების შესახებ [20].

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ „შაბურაგანში“ მანის მიერ იესოს სახელის წარმოდგენა ფორმით „იიშო“, ჰანს-ჰაინრიხ შედერის შენიშვნით, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო: მანამ ამით თითქოს ხაზი გაუსვა იესოს სახელის ნათესაობის ზოროასტრული რელიგიის მკურნალი ღვთაების, იშიო აირიამანის სახელთან [21].

მანიქეველთა მიხედვით, იესო გახლდათ მკურნალი. საექიმო ხელოვნებას კარგად ფლობდა მანიც, რაც მას შეესწავლა ინდოეთში ყოფნისას. სოღდურ ენაზე შედგენილ ტმ-389 (დ) ტექსტში ლაპარაკია მისიონერ მარ-გაბრიაბის მიერ ქალაქ რევანის (ფიქრობენ, რომ ეს არის გარდამავალი ფორმა ურარტული „ერებუნიდან“ სომხურ „ერევანამდე“) [22] მეფისა და მაცხოვრებელთა მოქცევაზე. ყოველივე ამას წინ უძღოდა სნეულ ასულის განკურნება. მარ-გაბრიაბი ეუბნება რევანის ქრისტიანებს:

„ქრისტე იყო სასწაულთმოქმედი უფალი. ბრმებს, ისე როგორც განრღვეულთ და კოჭლთ თავიანთი სნეულებისგან განჰკურნავდა. ასევე იგი მკვდრეთით აღადგენდა მიცვალებულთ. და წესია, რომ ძეს მამის შესახედაობა აქვს და მოწაფე მსგავსია თავისი მოძღვარისა. თუ თქვენ მართლაც მოწაფენი ხართ და მისი მსგავსნი, მაშინ მოდით აქ ყველანი და განჰკურნეთ ეს ასული სნეულებისგან, როგორც იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: რასაც თქვენ დასდებთ ხელს, მე განვკურნავ უფლის ხელით“ [23].

ქალაქ რევანში მარ-გაბრიაბს ამოურჩევია ადამიანები როგორც

„მსმენელთა“ (აუდიტორეს), ისე „რჩეულთა“ (ელექტი) კრებულისთვის. ჩანს, რომ კავკასია მოქცეულია მანიქეველთა მხედველობის არეში. თუმცა ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი მონაცემი, თუ რა შედეგი მოჰყვა „ნათლის მოციქულის“ საუბარს იბერიის მეფესთან. სარ-მაშჰადის კარტირისეულ წარწერაში ლაპარაკია „მაგუსტანებზე“ (იგულისხმება მოგვთა განსწავლის და თავშეყრის ადგილები), საიდანაც განდევნილ იქნენ „მწვალებლები“. ხოლო ასეთნი, იმავე კარტირის წარწერის მიხედვით, ზოროასტრის ქაბაზე იყვნენ ქრისტიანები, ბრაჰმანები, მანიქეველნი, ნაზარეველნი, ბუდისტები და ა.შ. ამ მწირი მონაცემებიდან შეუძლებელია რაიმე დასკვნის გაკეთება, „ქართლის ცხოვრება“ კი საერთოდ არაფერს არ ამბობს ამასთან დაკავშირებით, თუმცა ერთი ცნობა მაინც იქცევს ყურადღებას: მემატიანე ახსენებს ამაზასპის დისწულს, რევ მართალს ამბობს, რომ „სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აქუნდა რამე სიყვარული ქრისტესი“. მის მეფობამდე ქართულ წარმართობაში შეიმჩნევა რაღაც ფინიკური მოლოქის მსახურების მსგავსი გადაგვარებული კულტი - ყრმათა შეწირვა მსხვერპლად კერპებისათვის, რაც დაუხსნია რევ მართალს და შეუცვლია იგი ძროხებისა და ცხვრების ზორვით. **ის გარემოება, რომ მას ცოტა რამ სცოდნია სახარების შესახებ, სულაც არ უნდა მეტყველებდეს მის გნოსტიკოსობაზე ან მანიქეველობაზე.** კავკასიაში იმხანად უკვე უნდა არსებულიყო ქრისტიანული თემები სპორადულ მდგომარეობაში, რომელთა გაგებაც სახარებისა ეფუძნებოდა არა ვალენტინიანოსის, ბასილიდეს ან მანის განმარტებებს, არამედ **საყოველთაო ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.** შესაძლოა რევ მართალს სწორედ მათგან სმენოდა სახარების შესახებ.

ბ) მანიქეველობა და საქართველოს ეკლესია

ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიის არც ადრექრისტიანულ, არც შემდგომ პერიოდებში არ შეიმჩნევა საყოველთაო, ორთოდოქსული ქრისტიანობისგან განსხვავებული რელიგიური აზროვნება, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ომი, კატაკლიზმები ან შესაბამისი თეოლოგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობის შექმნა. ისინი, ვისაც მსოფლიოში „ერესიაქები“ ეწოდებოდათ, პრაქტიკულად არ სარგებლობდნენ საქართველოში პოპულარობით და მხარდაჭერით. ამადაც მეთერთმეტე საუკუნის სასულიერო მწერალი გიორგი მცირე აღნიშნავდა, რომ ქართველები არც მარცხნივ, არც მარჯვნივ არ მიდრეკილან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი გზიდან.

თუმცა ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით არ ყოფილა მცდელობანი. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართლის ეპისკოპოსის, მობიდანის შესახებ: „და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსაც სახელად ერქვა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი და აჩუენებდა მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ

უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ. და ვერც განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმა მიქაელ, რომელი განიკუეთა კადრებისათვის ვახტანგ მეფისა“ [24].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მობიდან ეპისკოპოსი მანიქეველი იყო (ივანე ჯავახიშვილი [25], პავლე ინგოროყვა [26] და სხვანი). არსებობს სხვა მოსაზრებაც - კერძოდ, მარი ბროსე მას ნესტორიანელად მიიჩნევდა. მისი თქმით, იგი გახლდათ ერთ-ერთი ნესტორიანელი ეპისკოპოსთაგანი, რომლებიც პეროზ მეფის განმგებლობის ხანაში კტესიფონს დამკვიდრდნენ და იქ დააარსეს საპატრიარქო [27].

ივანე ჯავახიშვილი უარყოფდა ამ მოსაზრებას: „მობიდანის ნესტორიანობა საეჭვოა იმის გამო, - წერდა იგი, - რომ თვით სპარსეთში ნესტორიანობა იმაზე გვიან გაბატონდა და სომხეთშიც ნესტორიანობის სამწყსო მხოლოდ მეექვსე საუკუნის შუა წლებში დაწესებულა (იხ. ნერსეს სომეხთა კათალიკოსის 554 წლის ეპისტოლე). საეჭვოა, რომ ნესტორიანობას საქართველოში სომხეთში გავრცელებაზე უმალ ეჩინოს თავი“ [28]. ამას გარდა, ნესტორიანელს უწოდებდნენ არა „მოგვს“, არამედ „მწვალებელს“. „მოგვი“ კი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო სინონიმი გრძნეულის, მისნი და ვარკსვლავთმრიცხველის. ამ სიტყვით შეიძლებოდა მანიქეველის აღნიშნვაც. აქვე ყურადღებას იქცევს თავად ამ სასულიერო პირის საკუთარი სახელი „მობიდანი“, რაც უფრო ზოროასტრულ „მობადს“ (მოგვთმთავარი) მოგვაგონეს, ვიდრე ქრისტიანი იერარქის სახელს. უნდა აღინიშნოს, რომ ირანულ ონომასტიკონში არსად გვხვდება ასეთი საკუთარი სახელი. თვით მანიქეველს კარტირის ზემოხსენებულ წარწერაში ეწოდება „ზანდიკ“, რაც ზოროასტრული თვალთახედვიდან მიანიშნებს „ზანდის“ (ე. ი. ავესტას) მცდარ (ერეტიკულ) გაგებას და განმარტებას.

მეხუთე საუკუნის სომეხი სწავლული იეზნიკ კოლბელი თავის თხზულებაში „ერესთა წინააღმდეგ“ ზოროასტიზმთან ერთად განაქიქებდა მანიქეველობას და გნოზისს. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ ხანებში ეს იდეები აღწევდნენ სომხეთს და რეალურ ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანთა ცნობიერებაზე. სომხეთში მართლაც არსებობდა „არევოდრდების“, ანუ „მზის შვილების“ სექტა. მათ მიერ თაყვანისცემა მზისა, აგრეთვე ყვავილებში გამოვლენილი ღვთიური საწყისისა, აფიქრებინებთ მკვლევართ, რომ ისინი მანიქეველნი იყვნენ [29].

მობიდან ეპისკოპოსის მანიქეველობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იგი **წიგნებს სწერდა.** მანიქეველობა თავისი გარეგნული ფორმით იყო მწიგნობრული რელიგია და მას ჰქონდა წერილობით ფიქსირებული ლიტერატურა. ზოგიერთი წიგნი თვით მანის მიერ იყო დაწერილი, რომლისთვისაც სირიულთან და ფალაურთან ერთად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ბერძნული ენაც. ჰანს-ჰაინრიხ შედერის თქმით, ბერძნული ენის ცოდნას დიდად უნდა შეეწყო ხელი

მანისთვის, აეყვანა თავისი მოძღვრება ზოგადკაცობრიულ დონეზე [30].

მანიქეველობა აღმოცენდა ისეთი „მწიგნობრული“ რელიგიების გვერდით, როგორიც იყო ქრისტიანობა, იუდაიზმი და ზოროასტრიზმი.

მანიქეველობის ფართოდ გავრცელებას (იგი, როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, გავრცელდა გიბრალტარიდან ჩინეთის დიდ კედლამდე) დიდად განაპირობებდნენ მეტწილად **სირიული წარმოშობის მისიონერები.** მათი ბუნებრივი იყო მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში და სწრაფი ინტეგრირება სრულიად უცხო გარემოში. სირიელები საზოგადოდ მისიონერები, ვაჭრები ან მთარგმნელი იყვნენ. მახლობელ აღმოსავლეთში ისინი იყვნენ სხვადასხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ იდეათა გამავრცელებელნი. **სირიულ-არამეული ეთნოკულტურული ელემენტის არსებობას იბერიაში ადასტურებს არმაზის ეპიგრაფიკა. ისე როგორც მთელს აღმოსავლეთში, იბერიის მეფეთა და პიტიახშთა კანცელარია არამეული უნდა ყოფილიყო.** სირიული თემის არსებობის შესახებ ვკითხულობთ აგრეთვე მეექვსე საუკუნის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელს მარტვილობა“, სადაც ნახსენები არიან „ასურნი მთავარნი“ (გავლენიანი პირნი), „რომელთაც შუამდგომლობა გაუწიეს წმინდა ევსტათის პიტიახშის წინაშე. მობიდანის გამოცხადება „სპარსად“ შესაძლოა გულისხმობდეს იმასაც, რომ იგი ეთნიკურად გახლდათ სირიელი, მხოლოდ წარმოშობით ირანიდან.

როგორც ჩანს, მობიდანი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ფლობდა ქრისტიანული რელიგიის ძირითად კანონებს, რადგან ის „აჩუენებდა მართლმადიდებლობასა“. თუ კიდევაც დავუშვებთ, რომ იგი ზოროასტრელი იყო და არა მანიქეველი, საეჭვოა მას ისე კარგად სცოდნოდა ქრისტიანობა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში არც მეფე, არც სასულიერო პირნი და არც მრევლი არ დაეჭვებულიყო მის მართლმორწმუნეობაში. მით უმეტეს, რომ ის იყო ეპისკოპოსი - ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი მის ავტოკეფალიამდე - კათალიკოსობის დაწესებამდე. რაც შეეხება მანიქეველთ, ამ მოძღვრების მიმდევარნი შესანიშნავად იცნობდნენ ორთოდოქსულ ქრისტიანობას და საკუთარი აზრიც კი ჰქონდათ მის შესახებ. ისინი თავიანთ დოქსოლოგიურ გამონათქვამებში ხშირად სახარებისეულ ადგილებსაც კი იშველიებდნენ ხოლმე; მეტადრე ხორცისა და სულის, სოფლისა და ზესთასოფლის, ნათლისა და ბნელის თემებზე საუბრისას. მერვე საუკუნის ქრისტიანი არაბი ეპისკოპოსის, თეოდორე აბუკურას მიხედვით, მანიქეველთ შეეძლოთ ეთქვათ: „თქვენ შეგიძლიათ მისდიოთ ნამდვილ ქრისტიანთ და ისმინოთ მათი სახარება. ხოლო ჭეშმარიტი სახარება ჩვენი კუთვნილებაა - არ არსებობს ქრისტიანობა ჩვენს გარეშე. არავის ძალუძს სახარების განმარტება თვინიერ მანისა, ჩვენი მოძღვრისა [31].

მოყოლებული იმ ეპოქიდან მანიქეველობა თანდათან გაუჩინარდა ადამიანების ცნობიერებიდან როგორც ქმედითი მოძღვრება. მისი ცალკეული ელემენტები შემოინახა ზოგიერთმა სექტამ თუ ორდენმა. ცალკეულ სამედიცინო და ასტროლოგიურ რეცეპტებში თუ შეიმჩნევა მისი კვალი. ყველაზე ღირსშესანიშნავი ნიმუშები მანიქეველობასთან

პოლემიკისა შემოინახა ნეტარი ავგუსტინეს თხზულებებმა. მასთან პოლემიკა გრძელდებოდა შემდგომ საუკუნეებშიც. მაგალითად, მეთორმეტე საუკუნეში არსენ ვაჩეს ძეს მიერ შედგენილი იქნა საღვთისმეტყველო - ეგზეგეტიკური კომპენდიუმი „დოღმატიკონი“, რომელიც შუასაუკუნეობრივი გაგებით ერთგვარ ერესიოლოგიურ ენციკლოპედიასაც კი წარმოადგენს. აქ, განაქიქებენ რა სულის ხორცზე უწინარეს არსებობის პლატონურ იდეას, ეკამათბიან მანიქველობასაც. ტრაქტატს, მიმართულს პლატონიზმის წინააღმდეგ, აქ ეწოდება „განქიქებაი ელლინებრისა სულთა პირველ-ყოფისაი, ანუ მეტყველთა მიმართ“: „სულნი კაცთანი პირველივე იყვნეს ხორცთასა“. აღნიშნულ ტექსტში მოყვანილია ციტატა დიოდორე ტარსელი ეპისკოპოსის თხზულებიდან „წიგნნი, აღწერილნი მანიქეველთა წინაგანწყობად“ [32].

მანიქეველობასთან პოლემიკის ამ კონტექსტში წარმართვა სავსებით ბუნებრივია: ვინაიდან მანის კოსმოგონიის მიხედვით, შესაქმეს ჰქონდა არამატერიალური, არაფიზიკური ეტაპები, ხოლო ფიზიკური სახის მქონე ყოფიერება (უწინარეს ყოვლისა ადამიანისა) კი შედეგია კეთილი და ბოროტი საწყისების შერევისა, რის შედეგადაც მოხდა საყოველთაო გამკვრივება და გაჩნდა სიკვდილი, როგორც ასეთი.

თავისი ეპოქის სულიდან გამომდინარე იოანე შავთელი „აბდულმესიანში“ მანის ცნობილ ერეტიკოსთა გვერდით (მაკედონიოსის, საბელიოსის, პავლე სამოსატელის, თეოდორე მოფსუესტის) მოიხსენებდა:

მაკედონიოს, დრკუ საბელიოს
შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმინდასა.
მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით
გარდმოტანისა ხორცთა მისთასა,
სამუსატელს სა მომფსვეტელსა
პირს დაუყოფდა წვალებათასა.

(აბდულმესიანი, 85, 2)

რაც შეეხება პოლემიკის მიზანს, იგი ცხადია: დიდი ხნის წინათ მზეგადასულ მოძღვრებას არ მოეხდინა ზეგავლენა ქრისტიან სწავლულთა მსოფლმხედველობაზე, თუკი ისინი ეკლესიისგარე რელიგიურ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში შეუდგებოდნენ სულისთვის სასარგებლო მარცვლის მოძიებას. „გრიგოლ ხანძთლის ცხოვრება“ ხომ გვიჩვენებს ჩინებულ მაგალითს ასეთი ძიებისას - წმინდანმა მოწაფეობის ჟამს „სიბრძნეცა იგი ამა სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად და რომელი პოვის სიტყუაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდის“ [33].

კონსტანტინე გამსახურდია

ერთი მანიქეური მისიის შესახებ

რეზიუმე

მანიქეურ სახისმეტყველებაში წამყვანი როლი ნათლის ესთეტიკას აქვს მიკუთვნებული. ნათლის სიმბოლიკის ინტენსივობით და სიჭარბით იგი წინ უსწრებს თვით ქრისტიანობას და სხვადასხვა გნოსტიურ თუ ამავე ელფერის მქონე მიმდინარეობებს. მანიქეურ კოსმოგონიაში შესაქმეს თან მოჰყვა „გან-

ყოფის“ ეტაპი, როდესაც წარმოიქმნა ორი სამყარო - „ტერრა ლუციდა“, ანუ „მიწა ნათლისა“ და „ტერრა პესტიფერა“, ანუ „მიწა წყვდიადისა“. ჭეშმარიტება კაცობრიობას ეუწყა ნათლის სამი მოციქულის პირით: ბუდამ დამოძღვრა აღმოსავლეთი, ზარათუსტრამ - ირანი, იესომ - დასავლეთი. მანი ითვლებოდა ნათლის მეოთხე მოციქულად, რომელიც მოვიდა ბაბილონში, ამდენად ცხადია, რომ „ნათლის მოციქული“ წარმოადგენს მხოლოდ მანის ეპითეტს და მას არ გამოიყენებდნენ მის მოწაფეებთან, მარამოსთან, პატიკიოსთან ან ადდაისთან დაკავშირებით.

ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიის არც ადრექრისტიანულ, არც შემდგომ პერიოდებში არ შეიმჩნევა საყოველთაო, ორთოდოქსული ქრისტიანობისგან განსხვავებული რელიგიური აზროვნება, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ომი, კატაკლიზმები ან შესაბამისი თეოლოგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობის შექმნა. ისინი, ვისაც მსოფლიოში „ერესიაქები“ ეწოდებოდათ, პრაქტიკულად არ სარგებლობდნენ საქართველოში პოპულარობით და მხარდაჭერით.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ თავად მანიქეველობის გარეგანი ფორმაც შესაძლოა დახასიათებულ იქნეს როგორც ირანულ-სემიტური და რაღაც წილად ბერძნულიც. ეს გახლდათ მეტად მრავლისმეტყველი ფორმა იმ ეპოქის ადამიანთათვის.

KONSTANTINE GAMSAKHURDIA

ABOUT ONE MANIQEURE MISSION

Summary

In the article there is revealed the fact that neither at the earlier Christian stage of history of Georgia nor at the following ones there had not been determined religious thinking different from common, Orthodoxy Christianity the result of which might be the war or accordingly had established theological and philosophical directions.

ლიტერატურა

1. W. Sundermann, Mitteriranische manichäische Texte. Kirchengeschichtlichen Inhalts, Berlin, 1981;
2. W. Sundermann, Texte, 2, 4;
3. M/ Sprengling, Third Century Iran, Sapor and Kartir, Chicago, 1953, გვ. 9-11;
4. ეს საჯარო მოხსენება აკადმიკოსმა გიორგი წერეთელმა წაიკითხა 1957 წლს თებერვალში. იგივე მოსაზრება გაზიარებულია და მიღებულია ქართული ისტორიოგაფიის მიერ. იხ. М. В. Цоцелис, Из истории взаимоотношений Картли с сасанидским Ираном, Тб., 1979, გვ. 6.
5. J. Marquart, Erānšahr, გვ. 101;

6. W. Henning, Waručan-šah. Journal of the Greater Indian Society, 1945, vx 2, გვ. 88-89;
7. A. Maricq, Res Gestae Divi Saporis "Syria", v. XXXV, 1958, გვ. 327; E. Honigmann, A. Maricq, Recherches sur les Res Gestae Divi Saporis, Academie Royale de Belgique, Bruxelles, 1953, გვ. 17;
8. М. Андроникашвили, Т. Чхеидзе, Среднеиранские языки и их значение, 1982;
9. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55;
10. იქვე, გვ. 57;
11. გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბილისი, 1958, გვ. 15-18;
12. L. j. R. Ort, Mani, Leiden, 1967, გვ. 255-256;
13. A. Steffen, Mani, Dornach, 1930, გვ. 7-8;
14. H. Ch. Puech, Le Manicheisme, son Fondateur, sa doctrine, Paris, 1949, გვ. 195;
15. Fihrist, herausgegeben von G. Flüügel, 1871, გვ. 328;
16. H. S. Nyberg, Die Religionen des alten Iran, Leipzig, 1938, გვ. 413;
17. E. Honigmann, A. Maricq, Recherches, გვ. 38;
18. Mac'oudi? II, გვ. 162;
19. C. Schmidt, H. J. Polotsky, Ein Mani-Fund in Aegypten. Original-schriften des Mani und seiner Schüler, Berlin, 1933, გვ. 48-49;
20. P. Asmussen, Manichäeismus, in: Historia Religionum. Handbook for the history of religion. Ed. by C. J. Bleeker and G. Widengren, t. 1, Leiden, 1969, გვ. 592;
21. H. J. Klimkeit, Manichaean Art and Calligraphy, 1980, გვ. 11-12;
22. H. H. Scheader, Urform und Fortbildung des manichäischen Systems, Leipzig-Berlin, 1927, გვ. 135;
23. W. Sundermann, Texte, გვ. 45; M.-L. Chaumont, Recherches sur l'histoire d'Armenie, Paris, 1965, გვ. 81;
24. W. Sundermann, Texte 3, 4. 522-550;
25. ქართლის ცხოვრება, თბ., I, გვ. 142;
26. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1979, გვ. 345-346;
27. პ, ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 286-287;
28. M.-F, Brosset, Histoire de la Georgie, depuis l'entiquité jusqu'au XIX siècle, St. Peterbourg, I, 1849, გვ. 174;
29. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 345;
30. Р. М. Бартикян, Еретики Ареворди („Сыны Солнца") в Армении и Месопотамии и послание Армянского католикоса Нерсеса Благодатного. Элинистический Ближний Восток, Византия и Иран, М., 1967. გვ. 102-112;
31. H. H. Schaeder, Urform, გვ. 97;
32. P. Asmussen, Manichäeismus, გვ. 589;
33. თ. აბუკურა, ტექსტები და დიალოგები თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, VI, 53; ივანე ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 141;

✍ ბადრი ცხადაძე

„ვინც ეს წიგნი მოიპაროს“...

მას შემდეგ, რაც ანბანი, დამწერლობა, წიგნი გაჩნდა, წიგნიერებას, კულტურას უფრო მეტი ფასი დაედო. დღევანდელი ადამიანისათვის, ვფიქრობთ, ყველაზე შეურაცხმყოფელი ის უნდა იყოს, რომ მას **უწიგნური** უწოდო, თუმცა უწიგნურობის, ნაკლებგანათლებულობის დეფიციტი კაცობრიობას, თავისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ყოველთვის ჰქონდა. მეტ-ნაკლებად ასე იყო საქართველოშიც, ჩვენი ხალხის ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, რუსების, როგორც „ზედამდგომლებისადმი“ სიძულვილმა, პიკს მიაღწია. ეს, ასევე, ის დროა, როცა აბიტურიენტთათვის სკოლებში შექმნილი „სასწავლო კოოპერატივები“ ახალ ცხოვრებას ფეხს უწყობდნენ. მომავალი სტუდენტობის პრეტენდენტები ანუ აბიტურიენტები დამამთავრებელი კლასის ყოფნის პერიოდში (ჩვენი თვალით გვინახავს), ასე სჯიდნენ და განსჯიდნენ ერთმანეთს: საკლასო ოთახში, ან გაკვეთილზე თუ ვინმეს რუსული სიტყვა წამოცდებოდა (ასეთ შემთხვევას სპეციალურ ლიტერატურაში რუსიზმი, ბარბარიზმი ეწოდება), ოცი კაპიკით ჯარიმდებოდა. ეს „სასჯელი“, თავისი ხასიათით, კეთილშობილური იყო, მოსწავლეები ხომ ამით ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს (ზოგადად ქართველობას) იცავდნენ, იმავდროულად რუსებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებასაც გამოხატავდნენ. მაგ., რაიონებში, ქალაქებში, დაბებში, ტრასებზე, სავალი ნაწილის ახლოს, ტროტუარებზე.... ხალხს აბრებზე გადაეშალა რუსული წარწერები, მხოლოდ ქართული დაეტოვებინათ. ცხადია, სახელმწიფოს მაშინ არ ეცალა, რომ ნახევრად გადაფხეკილი ფირნიშნები გამოეცვალა, კოსმეტიკურად შეეკეთებინა ან ახალი დაემზადებინა. ასეთი ყოფითი დეტალები კარგა ხნით შემორჩა ქვეყანას, ჩვენს ქართულ ყოფას.

ვანდალიზმად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთს, ამა თუ იმ საუკუნეში, წიგნი ან წიგნები დაუწვავს. საქართველოში სპეციალისტები ასეთ ფაქტად წინასაუკუნეებს, კერძოდ, აღორძინების ხანის დროინდელ „ფაქტს“ ასახელებენ. მაგ.,: თითქოს ანტონ პირველ კათალიკოსს „ვეფხისტყაოსანი“ დაეწვას., ეს შემთხვევა ანტონს ცნობილი გამონათქვამის გამო მიეწერება „შოთა.... დიდი პიიტიკოსი იყო, მაგრამ ამაოდ დაშურა. საწუხ არს ესე“). როგორც აკად. ალ. ბარამიძემ გაარკვია, აქ შოთა რუსთაველის ვახტანგ მეექვსისეული „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემა უნდა იგულისხმებოდეს [1].

ასეც რომ იყოს. ფაქტი ფაქტად რჩება, თუკი ეს სინამდვილეში მოხდა.

ისეთი საკუთარი წიგნი, რომელიც მკითხველს ძალიან მოსწონდა, და სხვისთვის განათხოვრებაც რომ ეძნელებოდა, წიგნის თავფურცელზე ან ბოლოს მიაწერდა ხოლმე: „ვინც ეს წიგნი მოიპაროს, შავ მიწაში გაითხაროს“. ეს ტრადიცია ახალი არაა. წიგნის მოპარვისა და წიგნიდან ფურცლების ამოგლეჯა-დაზიანების გამო ძველი ქართველი მწიგნობრები წუხდნენ:

ღირსსაცნობია ისიც, რომ ძველად ხელნაწერთა გამოტანა მონასტრების წიგნსაცავებიდან სასტიკად იკრძალებოდა. ერთ-ერთი ანდერძის ცნობით, ბერებს წიგნის შეტანა სენაკშიც კი არ შეეძლოთ. მხოლოდ გადაწერის მიზნით თუ შეიძლებოდა წიგნის განათხოვრება. ერთი მინაწერი გვამცნობს: „ვინცა ეს წიგნი ქართუელთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხვათა ეკკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.. შენ, ქართველო მლოცაო, ვინცა ეს წიგნი სინით წაიღოთ.. იერუსალიმისა, გინა სინისა, შეგრცხოეს მამაო. ვინცა რას სწერდეს, გაიღეთ და მერმეთ უკანასადოე მოიღეთ..“ [2, 123].

ძველად წიგნის შემწირველობა ეკლესიისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ჯრუჭის არქიმანდრიტის სვიმეონ ქავთარაძის მინაწერი, რომელიც აცხადებს, რომ ეს სახარება მან შესწირა სავანის ეკლესიას და მის იქიდან გამომტანს წყევლის: „ეს სახარება სავანის წმინდა ეკლესიისა იყო და მე წამოუიღე და ამისა ნაცულად დავსდეუი იქ ამ ტანის სტანბის სახარება ვერცხლის კუბოში ჩასუენებული. მაშა თავისუფალ უიქმენ მამა არხიმანდრიტის წყევისაგან. ოქროპირ მღვდელი წერეთელი“ [3, 99].

ქართველთა დაუცხრომელი მოღვაწეობის კვალი უცხოეთში (მაგ., სირიაშიც) ისტორიულად არაერთგზის აღინიშნა. მაგ., სირიაში მდებარე წმინდა გიორგის მონასტერი ქ. ჰომსიდან (ემესა), რომელიც ერთი საათის სავალ გზაზეა, საინტერესო სიძველეებსა და ხელნაწერებს მოიცავს. აქ არის 1796 წლის თბილისში ნუსხურად დაბეჭდილი ქართული სახარება-ოთხთავი ერეკლე მეორის ბრძანებითა და ანტონ I კათალიკოსის კურთხევით [4]. წიგნს ახლავს საინტერესო მინაწერები. აქვე დაცულ ორ არაბულ მინაწერთაგან ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთ-ერთი, რომელიც გვამცნობს: „ესე წმიდა სახარება შესწირა საქართველოს მეფის ძემ, ბატონმა გიორგიმ წმიდა გიორგის მონასტერს, რომელსაც ეწოდება ალჰომეირა, მდებარეობს ალ-ჰოსნის მხარეში. ეს შეწირულობა საუკუნოა და ვინც მას შეცვლის, ვინც უნდა იყოს იგი, ეწიოს მას იუდა მოღალატისა და ქრისტეს ჯვარმცმელთა ხვედრი. ვაი მას, ვინც ამ ხვედრს უსურვებს თავის სულს“.... იქვეა ჩაწერილი წყევლა-კრულვა იმათ მიმართ, ვინც ამ სახარებას გაანათხოვრებს, გაყიდის ან მოიპარავს [5, 161]. როგორც ჩანს, ძველად შეწირული ნივთის შეცვლა ან სამივე შემთხვევა – განათხოვრება, გაყიდვა და მოპარვა იკრძალებოდა, თუმცა პირობა თუ დამოკიდებულება არცთუ იშვიათად ირღვეოდა.

სამწუხაროდ, წიგნს XX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და ამჟამადაც

„წარმატებით“ იპარავენ, ცვლიან, ჰყიდიან, ისაკუთრებენ, აზიანებენ და წვავენ კიდეც, არაიშვიათად უნიკალურს.... ჩვენი წინაპრების წყევლა კი ისევ მოქმედებს, რუსული კალკირებული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ – „ისევ ძალაშია“. ისევ ძლიერ მოქმედია ახლო წარსულის კუთვნილება – გამონათქვამი – „ვინც ეს წიგნი მოიპაროს...“ სამწუხაროდ, პარვა-ქურდობას დასასრული არ უჩანს... წიგნს კი მკითხველი კატასროფულად აკლდება. ნუ დავაგდებთ ძველს გზას...

ლიტერატურა

1. ბარამიძე ა., შოთა რუსთაველი, თბ., 1973.
2. ჯავახიშვილი ი., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, #5. თბ., 1947
3. ნინუა გ., ერთი ქართული ხელნაწერის ისტორია, სმა მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #3, 1981
4. იხ. გაზ. „თბილისი“, 1975 წლის 31 ივლისი, #177
5. რ. მირიანაშვილი, ქართველთა კვალი სირიაში, სმა მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #3, 1977

✍ *ბადრი ცხადაძე*

ზოგი გარეული ცხოველის სახელებისაგან წარმოქმნილი საკუთარი სახელისა (მგელა // გელა,....) და გვარის (მგელაძე, გელაშვილი....) ეტიმოლოგიისათვის

ვუძღვნი საქართველოში (დმანისში) პირველყოფილი ადამიანის (ე. წ. „პირველი ევროპელების“), „ზეზვასა და მზიას~ პირველ აღმომჩენს, სტუდენტობისდროინდელ ჩემს მეგობარს, არქეოლოგ ნუგზარ მგელაძეს

დღემდე ქართველი მეცნიერებისათვის ცხადზე ცხადია, რომ ქართული გვარ-სახელები დიდი ხნის წარმოქმნილია. ჩვენ ვართ იმ ერებს შორის (ბერძნები, იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, ჩინელები...), რომლებშიც საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საუკუნეებს ითვლის [1, 3]. „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“. ეს სიტყვები აკად. ა. შანიძეს ეკუთვნის. გვარების კვლევა მეტად სახიფათო, საფრხილო და საძნელო საქმეა. ამიტომაც მათი კვლევით მეოცე საუკუნის მკვლევრნი იშვიათად იყვნენ დაკავებულნი, მეცნიერებისაგან უფრო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა სასიკეთო და სახეცვალებადი დამოკიდებულება (ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ი. მაისურაძე, ი. ახუაშვილი და სხვ.), მაგრამ საკვლევი უფრო მეტია, ვიდრე გაკეთებული.

თანამედროვე კვლევა-ძიებანი გვარ-სახელთა კუთხით განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა, მეტიც: დღეს ერთგვარი ბუმი და შეტევაა ქართული გვარების მკვლევართა და საკვლევაძიებო გზაზე. ჩანს, აქ უფრო ეიოლებათ „ამომწურავი“ ფანტაზიების გამოვლენა. არადა სწორედ გვარის წარმოქმნა და წარმოშობა არის ურთულესი პროცესი, თანაბრად რომ იერთებს ისტორიულსა და სოციალურ-პოლიტიკურ და ლინგვისტურ მხარეს. გვარი ერის სიმდიდრეა და მისი სოციალურ-პოლიტიკური, სოციოკულტურული და ინტელექტუალური დონის მაჩვენებელი. ადამიანთა გვარ-სახელებში კოდირებულია ტაბუ, მითი თუ ახლო წარსული... გვარში იშიფრება ყველაზე დიდი ღირსებები და დიდი დამარცხებები; სახელი და გვარი მა-

გიურ წარმონაქმნადაც მიაჩნიათ ზოგი დარგის პროფესიონალთ.

გვარისა და მეტსახელის პირველსაწყისი კულტურის პირველსაწყისებია; რაც უფრო მეტია გვარი, მით აღმატებულია ერი და ნაცია.

როგორც ერთ სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომში ვწერდით, გამოკვლევა ცალკეული გვარის შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად დაწერილა, ვფიქრობთ, თითოეული გვარსახელი სწორედ ზედმიწევნობით უნდა იქნას გამოკვლეული. ქართული გვარ-სახელები და ქართველები, ჩვენი ისტორია... ასეთ მიდგომასა და ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს [2, 267].

ქართული გვარ-სახელების ერთ-ერთი სემანტიკური ფენა ცხოველებსა და ფრინველებს, კერძოდ, გარეულ ცხოველებს, მათ სახელებს უკავშირდება. ქართულმა სოციალურმა ეთნოყოფამ ისტორიულად ამა თუ იმ ქართველის წინაპრის მოქმედება, გარეგნობა, სიმამაცე, ქცევა და ა. შ. სიმბოლურად ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს დაუკავშირა. ასე გაჩნდა ქართულ სინამდვილეში სახელები და მეტსახელები: ნადირა, ჯიხვა, ძაღლიკა, ვეფხია, ვეფხვა, ლომი, ლომა, ქურციკ, ცხვარა, ქორი, არჩვა, ხარა, ხარაი, მელა, ტურა, ტურია, მგელა (–> გელა –> გილა), გელუა, გელო, გელია..., ხოლო მათგან წარმოიშვა: ნადირაძე, ნადირაშვილი, ნადარაია, ჯიხვაშვილი; ჯოღორია, ვეფხვაძე, ლომიძე, ლომაძე, ლომაური (–> ლომოური), ლომაური, ლომთათიძე, ლომსიანიძე, ქურციკიძე, ცხვარაძე, ქორიძე, ქირია, არჩვაძე, ხარაძე, ხარაული, ხარაიშვილი, მელაძე, მელაშვილი, მელივა, მელივაძე, მელუა, ტურავა, ტურაძე, ტურაშვილი, ტურიაშვილი, ტურაბელიძე, მგელაძე, გელაშვილი (<–მგელაშვილი), გელოვანი, გელიაშვილი, გილაური (<– გელაური <– მგელაური; ჩეჩნური გვარი გილაევიც კი ქართულ ფუძედ გამოჩანს)..., ამ ჩამოთვლილთაგან გვარი გელაშვილი ქართველურ გვარებს შორის, გვარის მატარებელთა მრავალრიცხოვნებით, საქართველოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ამჯერად, ამ სტატიაში, მხოლოდ მგელ ნომენსა და მისგან წარმოქმნილ გვარ-სახელ მგელაძეზე შევჩერდებით.

გვარი მგელაძე და მისი ფონეტიკურად სახენაცვალი (მ-თავკიდურდაკარგული) გელაძე ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. დღეს, ერთი შეხედვით, მხოლოდ „გურული“ წარმოშობისად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ამ გვარ-სახელით ცნობილია იმერეთიც. მაგალითად, მერაბ კეზევაძის მიერ გამოცემული წიგნ-ცნობარში „ქართული გვარ-სახელები იმერეთში“ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მგელაძეებს (//გელაძეებს) უცხოვრიათ იმერეთის ისეთ სოფლებში, როგორიცაა: ახალდაბა, გურნა, დაბაძველი, თერჯოლა, კითხიჯი, საქარა, ძიროვანი. ამავე ცნობარის მიხედვით, სოფელ ძიროვანში მგელაძეები აგიაშვილის საბატონო გლეხები არიან [3, 116], გურნაში – ყიფიანისა (მოხსენიებულია გვარის ორი სახესხვაობით მგელაძედ და გელაძედ) [3, 18], დაბაძველში – საეკლესიო გლეხებად [3, 18], თერჯოლაში – მხეიძის გლეხებად [3, 37], კითხიჯში – აბაშიძის საბატონო გლეხები არიან [3, 45], ხოლო საქარაში გელაძედ და აბაშიძის საბატონო გლეხებად ჩანან [3, 78].

მგელა, გელა, გელია ისტორიულად ჯერ ადამიანის მეტსახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ ადამიანის (მამაკაცის) საკუთარ სახელად (ანთროპონიმად) ქცეულა. ეს რომ ასეა, ცხადყოფს, XX საუკუნის 90-იან წლებში ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში ბაბუაჩემის – უშანგი ჩხიკვაძისაგან მონათხრობი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ჩხიკვაძეები წარმოშობით გურიიდან იმერეთში გადმოსახლებულან, მათ ერთ-ერთ წინაპარს კი გელია, გელო რქმევია. ამ სოფლის ჩხიკვაძეები (სულ სოფელ ზოვრეთში შვიდი მოსახლე ანუ კომლია, განაყარი ჩხარელი ჩხიკვაძეებისა) შინაურულად ერთმანეთს ახლაც ასე ესიტყვებიან: „რავა ხარ, გელო“.

მგელი ერთ-ერთი უძველესი სიტყვაა ქართულ ენაში. მგელი და მისი ვარიაციული ფორმები ქართველურ ენების მიხედვით ასეთია: მეგრულად მგელს „გერი“ ჰქვია, სვანურად „თხეერე“. ცხადია, ეს უკანასკნელი სხვა ძირია და მგელ ფუძესთან არაფერი აქვს საერთო. საინტერესო ისაა, რომ სვანურად, სვანურ ენაზე (ყველა დიალექტის მიხედვით), მთელ სვანეთში მონადირეს „მეთხვიარ“ ჰქვია (ზედმიწევნით – „მგელზე მონადირე''), რომლის მნიშვნელობა ენამ შემდგომ გააფართოვა – მგელზე მონადირე და ნადირობის აღმნიშვნელ საერთო სიტყვა-ტერმინად – მონადირედ მოგვევლინა: მეთხვიარ –> ა) მხოლოდ მგელზე მონადირე –> ბ) მონადირე (შდრ. ქართული ტერმინი: მონადირე, რომელსაც ფუძედ არაქართული წარმოშობის ლექსემა უდევს – ნადირ-ი).

მგელი საერთო ქართველურ სამყაროში პრეისტორიულ ხანაში ქართველ-კავკასიელთა ტოტემი იყო, სწორედ ამიტომ შეარქვეს ძველმა სპარსელებმა საქართველოს ერთ ნაწილს (ამჟამინდელ ქვემო ქართლს) გუგარენი, სომხურად გუგარქ, ხოლო კასპიის ზღვას – გურგანის ზღვა. როგორც მოგვეხსენება, გურგან სპარსულად მგელს ნიშნავს (შდრ. დიდი ქართველი მეფის ვახტანგის სპარსელთაგან შერქმეული სახელი – მუზარადის მიხედვით – ზეწოდება „მგლის(ლომ)თავიანი“ – „გორგასლანი“ (// *გურგასლანი) – გორგასალი; ასევე ხალხური გამოთქმა და ხალხური ლექსის ნაწილი – „ალგეთს ლეკვები მგლისანი“).

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მგელი და მგლის მონათესავე ცხოველები (მელია, ძაღლი და ტურა) ქართველებს ტოტემად ჰყავდათ მიჩნეული, ასევე ქართველების მონათესავე და მეზობელ ტომებს – დაწყებული კავკასიიდან ვიდრე პირენეებამდე [4]. მგლის ტოტემზე და მისგან წარმომდგარ ქართველურ ეთნონიმებს სპეციალურად ეხება ე. ხინთიბიძეც [5].

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მგლის (იმავე ძაღლის, ტურის) ტოტემი რომ უნდა არსებულიყო, საეჭვო მართლაც არ უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველური ანთროპონიმიკა, გვარ-სახელები უხვად შეიცავს ამის დამადასტურებელ ფაქტებს. აღორძინების ხანის პერიოდის ქართულ ანთროპონიმიაში მამაკაცის საკუთარ სახელად „სამგელეც“ კი გვხვდება: მაგალითად, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ერთ ადგილას წერია: „ბერი ძე სამგელესი“, გვ. 217. ამავე წიგნში საკუ-

თარ სახელად არაერთხელ გვხვდება გელია, გელითა... [6].

შეიძლება დავასკვნათ: მგელი, ტურა, მელა... და მათგან წარმოქმნილი ანთროპონიმები, მეტსახელები და გვარ-სახელები ერთ-ერთი უძველესი პლასტია ქართველურ ეთნოყოფით და ენობრივ სამყაროში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ენაში (რუს. „ვოლკ“, გერმ. „ვოლფ“ და ა. შ.).

ლიტერატურა

1. რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები. თბ., 1997.
2. ბ. ცხადაძე, ორი ქართული გვარ-სახელის „გასიტა“ და „გასიტაშვილ“-ის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, 2013, #5, გვ. 266-275.
3. მ. კეზევაძე, „ქართული გვარ-სახელები იმერეთში“ XIX საუკუნის 40-იანი წლები. ცნობარი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2004.
4. მ. მიქელაძე, მითების, ლეგენდების, ჰიპოთეზებისა და ვარაუდების კვალდაკვალ, თბ., 2001.
5. ე. ხინთიბიძე, „ქართველური ეთნონიმები“, თბ., 2003.
6. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით; გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

✍ ბადრი ცხადაძე

უახლოესი ცოცხალი წინაპრის (მამა-პაპის) სახელის დარქმევის ტრადიციულობისათვის საქართველოში

საქართველოში, ლამის ნებისმიერ კუთხეში, ახლაც არაერთია ოჯახი, სადაც ოჯახის რამდენიმე თაობის წევრს, ერთად მცხოვრებთ, ერთდროულად ადამიანის საკუთარ სახელად, ოფიციალურად, უახლოესი წინაპრის პაპის (მამის) სახელი ჰქვიათ. მაგ., დათო ერთდროულად სახელია მამისა და შვილისა; ტარიელი ერთდროულად ოფიციალური სახელია მამისა და შვილისა. ასეთ მამა-შვილთა წყვილებს მრავლად იპოვით სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერებში: მაგ., ტარიელ ტარიელის ძე სიხარულიძე, დავით დავითის ძე ფანჩულიძე, ავთანდილ ავთანდილის ძე მაღლაფერიძე, ვიტალი ვიტალის ძე დარასელია. ზოგჯერ, ამ მხრივ, სახელის შერქმევის მოტივაციისას, შეიძლება რაღაც კანონზომიერებაც აღმოვაჩინოთ. მაგ., 1. მშობელი თავის ერთადერთ ვაჟს (ან როცა დანარჩენი გოგონები [1, 2, 3, 4, 5, 6] ჰყავს), დედისერთას, ვაჟიშვილს თავის სახელს არქმევს; 2. როცა ბავშვი დედისერთაა (სხვა დედმამიშვილი არა ჰყავს); 3. როცა ბავშვს მამა დაბადებამდე გარდაეცვლება; 4. როცა მამას ოფიციალურად სხვა სახელი ჰქვია, შინაურობაში კი სხვა სახელით მოიხსენიებენ (მაგალითად, მერაბი), აქედან გამომდინარე, მამა შვილს თავის მეორე არაოფიციალურ სახელს არქმევს და ა. შ.

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა საკუთარი სახელი არათუ მამის სახელს, გვარის სახელის ფუძესაც ემთხვევა. მაგ., გიორგი გიორგის ძე გიორგიძე, ტარიელ ტარიელის ძე ტარიელაშვილი, კაცია კაციას ძე კაცია, ივანე ივანეს ძე ივანიძე... შდრ. რუს. ივან ივანიჩ ივანოვი.

დაისმის კითხვა: ხომ არა გვაქვს აქ რუსულის გავლენა? მით უფრო, როცა ასეთმა გვარსახელის „ყოფითობამ“ ქართულ მწერლობაშიც შემოაღწია? მაგ., თანამედროვე ქართველი მწერლის ირაკლი ლომოურის მოთხრობაში, რომელსაც „ბუტუნდა“ ჰქვია, ვკითხულობთ: „მეტისმეტად ებრალებოდათ იმედის მომცემი, ნიჭიერი ყმაწვილი გედევან გედევანის ძე გედევანიშვილი – უმცროსი“: „ყოფილმა პრივატ-დოცენტმა სამხედრო მომზადების კურსი დაჩქარებულად გაიარა და ქართველ თავადაზნაურთა დამრტყმელ ცხენოსან ბრიგადაში უმცროსი ოფიცრის წოდებით ჩაირიცხა“ [1, 17]. და კიდევ, პირის, პერსონის, პიროვნების ასეთად მოხსენება: გრიგოლ რობაქიძე უმცროსი, ალექსანდრე დიუმა უმცროსი, კონსტანტინე გამსახურდია უმცროსი. ეს უკანასკნელი პიროვნულ-გვარსახელური

გამონათქვამები უფრო მწიგნობრულ-ინტელექტუალურია, რომლებსაც საფუძველი, ალბათ, ამა თუ იმ ერის ყოფით ტრადიციებსა და ხალხურ ენა-მეტყველებაში ეძებნება.

რა ვითარება გვქონდა ამ მხრივ ძველ საქართველოში?

სანიმუშოდ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, კერძოდ, მისი ეპილოგიდან ცნობილია, რომ „დილარგეთიანი“ სარგის თმოგველს დაუწერია, მაგრამ მკვლევრები დღემდე თავს იმტვრევენ, რომელი სარგისია ეს – პაპა თუ შვილიშვილი (ისტორიული წყაროებიდან მხოლოდ ორი სარგის თმოგველია ცნობილი – პაპა და შვილიშვილი)? მით უფრო, რომ თითქმის არაფერი ვიცით არც ერთისა, არც მეორის, ასევე „დილარგეთის“ თუ „დილარგეთიანის“ შესახებ.

ეს ტრადიცია რომ ძველი უნდა იყოს, თანაც ბევრად ძველი, გვიდასტურებს თურქთა მიერ „თბილისის ვილაიეთის“ 1728 წლის აღწერის მატიანე [1]. ამ აღწერით, თბილისის ვილაიეთის სხვადასხვა რეგიონის მონაცემები (კუთხე, სოფელი, უბანი, ხეობა...), საინტერესო ჩვენებას იძლევა. აშკარავდება, რომ არაიშვიათად ოჯახში ორი პირის (მამა-შვილის) ერთნაირი სახელდების მქონე ადამიანის საკუთარი სახელი დომინირებს. მაგ.,

1. „გელო ძე გელიასი“ (სოფ. საკური);

2. „ბერუკა ძე ბერაკისა“ (სოფ. წედისი);

3. „დიმიტრი ძე სიუნისასი აზნაურია“ (გვ. 184), „სიუნისა ძე მისი“ (გვ. 184 სოფ. ბუნბადი); შდრ. „სუნისა ძე ზაალისა“ (სოფ. ხურვალეთი). შდრ. ასევე: „ბირია ძე სიუნასი“. გვ. 397; „სევანა ძე ვარდანასი, ბაბუნა ძე სუნასი (სოფელი გელდასია, თბილისის მირმირანის სახასოებია, ექვემდებარება თრიალეთს. გვ. 505). შდრ. სიუნა, სივნიეთა...

4. „ანდრია ძე ანდრიასი“ (გვ. 201; სოფ. ლათითი, ექვემდებარებოდა საციციანოს);

5. „გულია ძე ლივერასი, ლივერი ძე მისი“ (სოფელი გურნითი, ექვემდებარებოდა საციციანოს);

6. „ბადა ძე ბადასი“ (სოფელი ზემო ციხისჯვარი, ექვემდებარებოდა პეტრეს. გვ. 239. იგულისხმება ახლანდელი ბორჯომის ხეობა);

7. „ჯუხუნა ძე ჯუხუნასი“ (სოფელი ცედანი, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 275);

8. „მამუკა ძე მამუკასი“ (სოფელი უწლევი, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 291);

9. „ბერუკა ძე ბერუასი“ (სოფელი ბრეთი, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 299);

10. „ბერი ძე ბერუკასი“ (სოფელი აბანო, თიმარი, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 298);

11. „დათუნ ძე დათუნისა“ (სოფელი ავნევი, ახლოსაა სათესველ ჩოლაბაურთან და სათესველ ერკნეთთან, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 327);

12. „ავთანდილ ძე ავთანდილისა“ (სოფელი თიხრევი, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 351);

13. „შუშუდი ძე მისი, კოკია ძე კოკიასი“ (სოფელი ქურთა, ექვემდებარებოდა ამილახვარს. გვ. 362);

14. „ბერუა ძე ბერისა, ბერი ძე ბირიასი“ (სოფ. რუისი);

15. „ბაჩანა ძე ბაჩანასი“ (სოფელი დოღნავი, ექვემდებარებოდა შანშეს. გვ. 416);

16. „გელიკა ძე გელიკასი“ (სოფელი ხანდო, ექვემდებარებოდა შავ არაგვს. გვ. 427);

17. „როსებ ძე როსებასი“ (სოფელი კუდლი, ექვემდებარებოდა შავ არაგვს. გვ. 431);

18. „ხოსია ძე ხოსიასი“ (სოფელი სახვირი, ექვემდებარებოდა შავ არაგვს. გვ. 436);

19. „მამუნა ძე მამასი“ (გივის დასახლება);

20. „გოგია ძე გიორგისა“;

21. „ბაბუნა ძე ბაბუნასი“;

22. „გუმან ძე გუმანასი“ (თრიალეთის ყაზა. სოფელი დიდი ანდრაფი, თბილისის მირმირანის სახასოებია, ექვემდებარებოდა თრიალეთს. გვ. 457);

23. „დადუა ძე დადუნასი“ (სოფელი თიზი თბილისის მირანის ხასებია, ექვემდებარებოდა თრიალეთს. ხასია. გვ. 471);

24. „ბაბი ძე ბაბოსი“ (სოფელი დიდი ორთალუი. ექვემდებარებოდა ყაიყულის, გვ. 527);

თურქთა ამავე აღწერაში, სოფელი გვირდი, რომელიც ექვემდებარებოდა საციციანოს, ნახსენებია: „ბეჟან ძმა მისი“ (გვ. 184), ბეჟან ძმა მეორე''.

შენიშვნა 1: აქ ღირსსაცნობია ის, რომ ერთ ძმას ორი ძმა ჰყავს და ორივეს ბეჟან ჰქვია.

შენიშვნა 2: თანამედროვე ქართულ ტოპონიმიაში, ბოლშევიკთა ბატონობის დროიდან, გაჩნდა სოფლის ახალი სახელწოდებები: პირველი ობჩა, მეორე ობჩა, პირველი სვირი, მეორე სვირი. ჩანს, ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა-დასახელება-აღწერა სოფლებისა ძველი მოვლენა უნდა იყოს. შდრ. თბილისის ვილაიეთის დავთარში მოხსენიებული „სოფელი მეორე კუდულეთი, ექვემდებარებოდა გივი ამილახვარს, ექვემდებარება ხსენებულს“ [2, 222].

შენიშვნა 3: თურქებში მაშინ გვარი არ არსებობდა (XX საუკუნეში, ათა თურქის მიერ, 1937 წლიდან იქნა შემოღებული) და ამიტომ მოსახლეობის გვარსახელობრივი აღწერა არ მოხდა, თორემ ადვილი წარმოსადგენია, სახელი, მამის სახელი და ეპონიმი იდენტური ფუძისა რომ ყოფილიყო. მაგ., ავთანდილ ავთანდილის ძე (ავ)თანდილაშვილი; ანდრია ანდრიას ძე ანდრიაშვილი; ბაჩანა ბაჩანას ძე ბაჩანაშვილი; ბერუა ბერის ძე ბერიშვილი; ბერუკა ბერაკას ძე ბერაკაშვილი; ბაბი ბაბოს ძე ბაბოიძე; გუმან გუმანის ძე გუმანაური; ბაბუნა ბაბუნას ძე ბაბუნაშვილი; ბადა ბადას ძე ბადიაური; ბერი ბერიკას ძე ბერიკაშვილი; გელიკა გელიკას ძე გელიკაშვილი; გელო გელიას ძე გელიაშვილი (გელოვანი); გოგია გიორგის ძე გოგიაშვილი; დადუა დადუნას ძე დადუნაშვილი; დათუნ დათუნის ძე დათუნიშვილი; ლივერა ლივერის ძე ლივერიანი; კოკია კოკიას ძე კოკოშვილი; მამუნა მამას ძე მამაიაშვილი; როსებ როსებას ძე როსებაშვილი; სიუნ(ის) სიუნის ძე სივნიელი; ხოსია ხოსიას ძე ხოსი[ტ]აშვილი; ჯუხუნა ჯუხუნასძე ჯუხუნაიშვილი და მისთ.

და ბოლოს, რა შეიძლება ითქვას და დავასკვნათ?

ის, რომ ძველ საქართველოში გურასპ გურასპას ძე გურასპაული, ფარსადან ფარსადანის ძე ფარსადანიშვილი ტიპის ეპონიმურ-მამისსახელობითი სინქრონიზებული გვარსახელები უცხო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. მათი გამოწვლილვითი და მოტივაციურ-ნიუანსობრივ-შინაარსეული დახასიათება ახლა, სამწუხაროდ,

შეუძლებელია. ამას მხოლოდ მეტი ფაქტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი მასალა თუ გაარკვევს და დაადგენს.

ბადრი ცხადაძე

უახლოესი ცოცხალი წინაპრის (მამა-პაპის) სახელის დარქმევის ტრადიციულობისათვის საქართველოში

რეზიუმე

ძველ საქართველოში გურასპ გურასპას ძე გურასპაული, ფარსადან ფარსადანის ძე ფარსადანიშვილი ტიპის ეპონიმურ-მამისსახელობითი სინქრონიზებული გვარსახელები უცხო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო, რასაც ცხადყოფს თუნდაც თურქების მიერ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის აღწერის დიდი დავთრის მონაცემები, როგორიცაა: „ანდრია ძე ანდრიასი“, „გულია ძე ლივერასი, ლივერი ძე მისი“, „ბადა ძე ბადასი“, „ჯუხუნა ძე ჯუხუნასი“, „მამუკა ძე მამუკასი“ და მისთ. მათი გამოწვლილვითი და მოტივაციურ-ნიუანსობრივ-შინაარსეული დახასიათება ახლა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. ამას საბოლოოდ მხოლოდ მეტი ფაქტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი მასალა თუ გაარკვევს და დაადგენს.

ლიტერატურა

1. ი. ლომოური, პარალელური საქართველოს ქრონიკები (ნოველა და მოთხრობათა ციკლი). თბ., 2011.
2. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, პროფ. მირიან მახარაძის რედაქციით. თბ., 2009.

✍ *მურად შონია*

ფილოსოფიის პრაქტიკული დანიშნულებისათვის

(მეორე ნაწილი)

(პირველი ნაწილი იხ.:
ჟ. „პარალელი“, 2018, N10, გვ. 156-165)

კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნენი თავ-თავის დროზე, „ერთხმად“ აღიარებდნენ ფილოსოფიის დიდ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში.

ის კი არადა, უფრო მეტიც, თავად პლატონი (428/427-348/347), კაცობრიობის ეს უდიდესი ფილოსოფოსთაგანი, სწორედ ფილოსოფიას მიიჩნევდა კაცობრიობის ყველაზე ძვირფას მონაპოვრად, ხოლო, აბა, სხვამ კიდევ მეტად ვინ, თუ არა ისევ პლატონმა, ვინც ესე ღრმად ეზიარა ფილოსოფიური მეცნიერების საიდუმლოს, უკეთ იცოდა ფილოსოფიის უაღრესი მნიშვნელობა?

პლატონი, კერძოდ, თავის თხზულებაში „ტიმაიოსი“ შემდეგს ამბობს ფილოსოფიის მნიშვნელობაზე: „ფილოსოფია“ „ყველაზე დიდი სიკეთეა ყველა სიკეთეს შორის, რაც კი ოდესმე ღმერთებს გარდმოუვლენიათ და კიდევ გარდმოავლენენ კაცთა მოდგმაზეო“ და რომ „ფილოსოფიაზე უკეთესი რამ საჩუქარი ღმერთთაგან არც ყოფილა და არც იქნება კაცთა მოდგმაზეო“ [5, 449-450].

და, მართლაც, ფილოსოფია ყველაზე ძვირფასი რამ საჩუქარია, რაც კი რამ ღმერთს ოდესმე კაცთათვის მოუნიჭებია. და ეს იმიტომ, რომ „ჭეშმარიტი ფილოსოფია ღმერთის სიყვარულია“. სწორედ ასე განმარტავს იოანე დამასკელი (დამასკელი) ფილოსოფიას როგორც „სიბრძნისმოყვარეობას“, ვინაიდან ნამდვილი, ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ უზენაესია, თავად ღმერთია. ჰოდა, თუ ფილოსოფიას ეკისრება უდიადესი ამოცანა, კაცი მიიყვანოს ღმერთთან, მაშინ ამაზე უკეთესი რამ საქმე დედამიწაზე, აბა, სხვა კიდევ რაღა უნდა იყოს?

ფილოსოფიის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე როცა ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გეორგ ჰეგელის (1770-1831) მოსაზრება ფილოსოფიის ერთ საინტერესო კითხვაზე, კერძოდ კი, დიალექტიკის მნიშვნელობაზე, რომელიც მას, იოჰან ეკერმანის გადმოცემით, თურმე გოეთესთან სტუმრობისას, 1827 წლის 18 ოქტომბერს გამოუთქვამს.

კერძოდ, ჰეგელს უთქვამს, დიალექტიკა ეს არისო „დიადი საბოძვარი, რამეთუ იგი გვაძლევსო საშუალებას ჭეშმარიტი განვასხვავოთ მცდარისაგანო“ [8]. და თუ ეს ასეა და, რა თქმა უნდა, ასეცაა, აბა, ამაზე მეტი მნიშვნელობა კიდევ რაღა უნდა ქონებოდა ფილოსოფიას? „დიალექტიკა“ ეს, მართლაც, ხომ „გულია“ ფი-

ლოსოფიისა; და, მართლაც, არაფერია ფილოსოფიაში „დიალექტიკაზე“ უფრო ძვირფასი თავისი მნიშვნელობით. მისი შემუშავებით, მართლაც, „ტვინს იჭყლეტდნენ“ კაცობრიობის უდიდესი ფილოსოფოსები. დიალექტიკა როგორც ფილოსოფიური აზროვნების მეთოდი უდიდესი მონაპოვარია საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნებისა. იგი ნამდვილი „მარგალიტია“ ფილოსოფიური სიბრძნის „თვლებში“!

ფილოსოფიის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე როცა ვლაპარაკობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ შოთა რუსთაველის (XII-XIII სს.) ფრაზები ამასთან დაკავშირებით. კერძოდ კი, ორი ფრაგმენტი ამ მხრივ: 1) „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ [2, 142]; 2) „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი, საუნჯესა დაფარულსა“ [2, 161].

ორივე შემთხვევაში აქ აღიარებულია პრაქტიკის პრიმატი, მისი უპირატესობა თეორიაზე. ე.ი. მთავარიაო, რუსთველის მიხედვით, ფილოსოფიური ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება, ამის გარეშე იგი – ეს სიბრძნე ყოველგვარ აზრს კარგავსო. მაშასადამე, ფილოსოფია ადამიანისათვის უნდა იყოს და არა თავად ფილოსოფიისათვის. აი, რა არისო ფილოსოფიის უზენაესი დანიშნულებაც.

ორივე შემთხვევაში აქ აღსანიშნავია ტერმინები: „ვიქმ“, „იქმ“, რითიც მითითებულია ფილოსოფიის კერძოდ და სწავლულების საერთოდ „საქმით“ მხარეზე განსხვავებით მათი „ხედვითი“ ნაწილისაგან.

საქმე ისაა, რომ მეცნიერებასაც საერთოდ და ფილოსოფიასაც მათ შორის, ორი მხარე გააჩნია – თეორიული და პრაქტიკული, ძველი ქართული ტრადიციული ტერმინოლოგიით – „ხედვითი“ და „საქმითი“. და ორივე, რა თქმა უნდა, აუცილებელია, თუმცა, მეორის უპირატესობით. თეორია თვითმიზანი როდია, იგი მხოლოდ საშუალებაა პრაქტიკისათვის. ოღონდ ეს თეორიის მნიშვნელობას, თავის მხრივ როდი აკნინებს, არამედ პირიქით! და, მართლაც, რაც უფრო მაღალია თეორიის ღირსება, მით უფრო მაღალი იქნება მისი ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში შესაბამისი პრაქტიკის ღირსებაც. ღირსეული ხედვა ხომ ღირსეული საქმის საწინდარია?

თუნდაც ის, რომ ფილოსოფია ავითარებს ე.წ. „თეორიულ“ აზროვნებას, მარტო ესეც ხომ კმარა სადღაც ფილოსოფიის პრაქტიკული საქმიანობის სასარგებლოდ? ამასთან დაკავშირებით კი შეგვიძლია გავიხსენოთ ფრიდრიხ ენგელსის (1820-1895) ცნობილი მოსაზრებაც აღნიშნულ საკითხზე.

კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ იქ, სადაც ემპირიული მეთოდებით უკვე ვერას ვხვდებით, საჭიროა თეორიული აზროვნების ჩართვა, ხოლო თეორიული აზროვნება ადამიანს მზამზარეულად კი არ ეძლევა, არამედ იგი შეიძინება მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიის შესწავლითო [9, 22].

ფილოსოფიის უზარმაზარ მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ ძველი თეოლოგი წმინდანებიც. კერძოდ, პირველად კლიმენტი ალექსანდრი-

ელს (II-III სს.) ეკუთვნის ცნობილი ფორმულირება ფილოსოფიის ვითარცა „თეოლოგიის მხევალისა“ [4], რომელსაც თავის დროზე განსაკუთრებით ავითარებს იოანე დამასკელიც (VII-VIII სს.). აქვე შეგვიძლია ამასთან დაკავშირებით აღვნიშნოთ თომა აქვინელიც (1225-1274), რომელიც ასევე განსაკუთრებით ცნობილია ფორმულით: „ფილოსოფია მსახურია თეოლოგიისა“.

ფილოსოფიის ადამიანის ცხოვრებაში განუზომელი ღირებულებისა თუ მნიშვნელობის სასარგებლოდ კიდევ სხვა უამრავი მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ დამოწმებულიც საკმარისია ფილოსოფიის უცილობელი სარგებლიანობის დასადასტურებლად.

თუმცა აზროვნების ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ფილოსოფიის საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც.

ანტიფილოსოფიური მოსაზრებანი საერთოდ შეიძლება ორ სხვადასხვა დონეზე განვიხილოთ. ერთია დონე გაუნათლებელი ადამიანებისა და მეორე – განათლებული ადამიანებისა. გაუნათლებელ ადამიანთა ერთ წრეში არსებობს ისეთი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ფილოსოფია თითქოსდა „ცარიელი ლაყბობაა“, რომ მას არავითარი „მიწიური“ ღირებულებანი არ გააჩნია და იგი მხოლოდ „ცას ეპოტინება“.

ამ თვალსაზრისის კრიტიკაც კი ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან იგი ემყარება ფილოსოფიურ უმეცრებას, ანუ ფილოსოფიის არცოდნას. და, საერთოდაც, ფილოსოფიის საწინააღმდეგო განწყობილებას ისევ და ისევ ფილოსოფიის არცოდნა „კვებავს“.

და თუ გაუნათლებელ ადამიანთა წრეში ანტიფილოსოფიური განწყობილება სამწუხარო, მაგრამ მაინც თანაგრძნობას იწვევს, განათლებულ ადამიანთა წრეში არსებული ანტიფილოსოფიური მოსაზრებანი კი უკვე კრიტიკას იმსახურებს, ვინაიდან შეუძლებელია იყო განათლების პრეტენზიის მქონე ადამიანი და, თუ არ გიყვარს, არ აღიარებდე მაინც ფილოსოფიის ღირსებას. აქაც ფილოსოფიის უმეცრებას აქვს ადგილი, როგორც წინა შემთხვევაში, ოღონდ „განათლებულობის“ მანტიით თუ ნიღბით.

ერთ-ერთი ანტიფილოსოფიური, მაგრამ მაინც საინტერესო მოსაზრება, რომელიც კი გამოთქმულა ისტორიაში, ეკუთვნის რუსეთის ერთ ცნობილ განათლების მინისტრს, თათარ თავადს პლატონ შირინსკი-შიხმატოვს (1790-1853).

პლატონ შირინსკი-შიხმატოვის მოსაზრება ფილოსოფიის შესახებ ასეთია: „ფილოსოფიისაგან სარგებლობა დამტკიცებული არ არის, ხოლო ზიანი მისგან შესაძლებელია“ [6].

ეს ფრაზა მას თურმე საუნივერსიტეტო სასწავლო საგანთა რიგიდან ფილოსოფიის ამოღების გეგმასთან დაკავშირებით წარმოუთქვამს, რაც 1850 წელს, მართლაც, მომხდარა. ეს იმის გამო მოხდა თურმე, რომ ფილოსოფია, განსაკუთრებით კი დასავლურ-ევროპული, განიხილებოდა როგორც „კრამოლის წყარო“ [6].

მაგრამ განა ყოველივე ეს კიდევ უფრო არ მეტყველებს ფილოსოფიის ძალაზე? რაკიღა იგი „კრამოლის წყარო“ გამხდარა და სახელმწიფოსათვის საფრთხე შექმნილა? და თუ ფილოსოფია ისეთი უმნიშვნელო და არაღირებული რამ არის, მაშინ რა-

ტომ უნდა წარმოადგენდეს იგი საზოგადოებისათვის საშიშროებას?

მართალია, ფილოსოფიაც არის და ფილოსოფიაც, მაგრამ არის სახელმწიფოცა და სახელმწიფოც. ჭეშმარიტი ფილოსოფია უკვე თავისთავად ღირებული რამ არის და ამით დასაწუნი კი არ უნდა იყოს იმის გამო, რომ იგი სახელმწიფოს საშიშროებას უქმნის, ვინაიდან მაშინ ეს სახელმწიფო ვერ ყოფილა თავის მხრივ ჭეშმარიტი. სხვა მხრივ, ჭეშმარიტი ფილოსოფია როგორ შეიძლება ზიანის მომტანი იყოს სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვის. მაგრამ ფილოსოფია რეაქციული სახელმწიფოს ინტერესებს ხომ არ უნდა შეეწიროს! უფრო არ სჯობია, სახელმწიფომაც და საზოგადოებამაც სწორედ ჭეშმარიტი ფილოსოფიით იხელმძღვანელოს?

ასე რომ, საშიშროება საერთოდ ფილოსოფიაში როდია, არამედ იმ პოლიტიკაში, რომელიც მიმართული იქნება ჭეშმარიტი ფილოსოფიის წინააღმდეგ. ფილოსოფია, საერთოდ, ზოგადად, აქ არაფერ შუაშია. ფილოსოფია ხომ ფილოსოფიას გააჩნია. ეგ კი უკვე სხვა საკითხია. პრობლემა აქ სახელმწიფოს ხასიათშია, ანუ იმაში, ჭეშმარიტია, ჯეროვანია იგი თუ არაჭეშმარიტი, არაჯეროვანი და იმაშიაც, თუ რა ფილოსოფიასთან გვაქვს საქმე – ჭეშმარიტთან, ჯეროვანთან, თუ არაჭეშმარიტთან, არაჯეროვანთან. ამიტომ საჭიროა ზრუნვა სწორედ ამაზე.

ფილოსოფიას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს სახელმწიფოს „გამართვაში“, ოღონდ იმ პირობით, თუ თავად სახელმძღვანელო ფილოსოფიაც „გამართული“ იქნება, ამიტომაც უმჯობესია ვიზრუნოთ უფრო ფილოსოფიის „გამართვაზე“ და ამის მიხედვით კი მისი გამოყენებით უკვე სახელმწიფოს პოლიტიკის „გამართვაზეც“. სწორედ ამისთვის არსებობს სპეციალური ფილოსოფიაც კი – „პოლიტიკის ფილოსოფია“.

შირინსკი-შიხმატოვის „აფორიზმში“ ნათქვამია, რომ „ზიანი ფილოსოფიისაგან შესაძლებელიაო“ და ეს ზოგადად სწორია, იმიტომ რომ არსებობს როგორც სასარგებლო, ისე საზიანო ფილოსოფიაც და, მაშასადამე, ფილოსოფიაც ფილოსოფიას გააჩნია, მაგრამ განა აქედან გამომდინარე საერთოდ უნდა აიკრძალოს ფილოსოფია? ფილოსოფია უპირობოდ უნდა აკრძალულიყო მისი მხოლოდ და მხოლოდ უპირობო მავნეობის შემთხვევაში, მაგრამ ეს უცილობლად ასე ხომ არ უნდა იყოს. განა იმის შესაძლებლობა, რომ ფილოსოფიამ, რა თქმა უნდა, მავნემ, ზიანი მოგვიტანოს, საკმაო საფუძველს როდი ქმნის საერთოდ ფილოსოფიის აკრძალვისათვის.

ასე რომ, აქ ჩვენ ვაწყდებით ულოგიკობას. და ეს ულოგიკობაც კი ამტკიცებს ფილოსოფიის შესაძლო სარგებლიანობას, ვინაიდან თუ ფილოსოფიისაგან ზიანი შესაძლებელია, მაშინ ლოგიკურად ხომ მისგან სარგებლიანობაც შესაძლებელია. შესაძლებლობას ხომ ორი საწინააღმდეგო მიმართულება გააჩნია.

სხვა საქმე იქნებოდა მაშინ, თუ ჩვენ გადაჭრით ვიტყოდით „ფილოსოფია ნამდვილად საზიანოა ჩვენთვისო“, თუმცა ჭეშმარიტების თვალსაზრისით სწორი არც ეს იქნებოდა, ვინაიდან ამასაც ვერ დავამტკიცებთ, ხოლო ვერ დავამტკიცებთ იმიტომ, რომ ეს დაუმტკიცებადია. მისი დამტკიცება შეუძლებელი იქნება, რადგა-

ნაც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ჭეშმარიტებას. ბოლოს და ბოლოს ფილოსოფიის უცილობელი მავნებლობის თვალსაზრისი ლოგიკურად წინააღმდეგობრივი თვალსაზრისია, ვინაიდან მას ლოგიკურ აბსურდამდე მივყავართ. კერძოდ, თუ ჩვენ ვიტყვით, იმას, რომ ფილოსოფია უვარგისი რამ არის, მაშინ ეს ფილოსოფიური აზრიც უვარგისი გამოვა, რაკიღა იგი მაინც ფილოსოფიური აზრია.

ამრიგად, ფილოსოფიის საზიანოობა, სხვა რომ არა ვთქვათ, ლოგიკური აბსურდია, უაზრობაა, და, მაშასადამე, დაუმტკიცებელი, უფრო მეტიც, დაუმტკიცებადი.

ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ დამტკიცებადი უნდა იყოს საპირისპირო თვალსაზრისი, კერძოდ კი ის, რომლის თანახმადაც ფილოსოფია ნამდვილად სასარგებლო მეცნიერებაა, ეს კი არათუ დამტკიცებადია, არამედ დამტკიცებულიც კია. ოღონდ ამისთვის საჭიროა ფილოსოფიის ისტორიის შესაბამისი ცოდნა და მეტი არაფერი.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს რა, ე.ი. ფილოსოფიის სარგებლიანობა დამტკიცებულიც რომ არ ყოფილიყო, ეს მაინც არ იქნებოდა არგუმენტი, საბუთი იმისათვის, რომ ამის დამტკიცება შეუძლებელი ყოფილიყო და რომ, აქედან გამომდინარე, ფილოსოფია საზიანო რამ ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, ფილოსოფიის მნიშვნელობის, მისი ღირებულების უარმყოფელი შირინსკი-შიხმატოვისეული თვალსაზრისი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და თვით მისი ეს ანტიფილოსოფიური დებულებაც კი, მიუხედავად თავისი არაფილოსოფიურობისა, უფრო სწორედ კი, ანტიფილოსოფიურობისა, მაინც, გინდა თუ არ გინდა, ფილოსოფიურია, ჭეშმარიტი ფილოსოფიურობის პრეტენზიით, რაც ამავე მტკიცების საწინააღმდეგოს მეტყველებს. ამიტომ შირინსკი-შიხმატოვის ეს აბსურდული განცხადება სწორედ იმას გვაიძულებს ვთქვათ, რომ ფილოსოფიისაგან სარგებლობა დამტკიცებულიცაა და ნამდვილიცაა.

მოკლედ, რაც არ უნდა ვეცადოთ ფილოსოფიის „გაფუჭებას“, მით უფრო ლოგიკურად იძულებული გავხდებით ვაღიაროთ მისი „სიკეთე“, ვინაიდან ფილოსოფიის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფაც ხომ მაინც ფილოსოფია იქნება? ოღონდ საჭიროა მხოლოდ ვაღიაროთ არა ყოველგვარი, არამედ სწორედ ჯეროვანი ფილოსოფია. ჯეროვანი ფილოსოფია, რომელიც თავისით, მზამზარეულად კი არ მოუდის ადამიანს თავში, არამედ მის მოსაპოვებლად აუცილებელია უაღრესად ძნელი მუშაობა. ფილოსოფიის ისტორია ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რა „სისხლის ფასად“ ხდებოდა ფილოსოფიური აზროვნების მარგალიტების მოპოვება.

ფილოსოფია ყველაზე ძვირფასია ყველა მეცნიერებათა შორის, ვინაიდან სწორედ ფილოსოფიაა საფუძველი ყოველგვარი სხვაგვარი ცოდნისა. ყველა მეცნიერებას თავისი ძირები ფილოსოფიის წიაღში უდგას. უფრო მეტიც, ფილოსოფია ესაა მთელი მსოფლმხედველობა ჩვენი. ფილოსოფია კი ხომ ეს ერთადერთია მეცნიერებათა შორის, რომელიც მსოფლმხედველობას ქმნის. ფილოსოფია არათუ უბრალოდ საფუძველია, უფრო ზუსტად, საფუძველთა საფუძველია ყველა დანარჩენი მეც-

ნიერებისა, არამედ, უფრო მეტიც, ფილოსოფია მსოფლმხედველობრივი საფუძველია მათი.

მაგრამ ფილოსოფია, გარდა იმისა, რომ იგი მსოფლმხედველობრივი საფუძველია ყველა სხვა მეცნიერებისა, იგი ასევე მეთოდოლოგიური საფუძველიცაა მათი. ფილოსოფიური მეთოდოლოგია ეს ხომ მთელი ერთობლიობაა ყველა იმ უნივერსალური, საყოველთაო მეთოდებისა, რომლებიც მოქმედებენ ყველა სხვა მეცნიერების შიგნითაც. მარტო ის რად ღირს, რომ ფილოსოფია ესაა უნივერსალური მეთოდოლოგია. განა ამაზე მეტი პრაქტიკული დანიშნულება, ისევე როგორც თეორიული დანიშნულება, აბა, მეტი კიდევ სხვა რაღა უნდა ჰქონებოდა მას. ნეტავი რომელ მეცნიერებას აქვს ამგვარი მნიშვნელობა ამ მხრივ? არც ერთს! იმიტომ, რომ ეს მათ არც ევალებათ და არც ძალუძთ. მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიას ერთადერთს შესწევს უნარი გასწიოს საერთოდ მთელი მეცნიერების მეთოდოლოგიური ფუნქციის როლი.

ფილოსოფიას იმხელა უზარმაზარი როლი ეკუთვნის არა მარტო მეცნიერების, არამედ საერთოდ ადამიანის ცხოვრებაში, რომ ამ ბოლო ხანებში უკვე დაიწყო საუბარი ფილოსოფიის თვით ე.წ. „თერაპიულ ფუნქციაზეც“ კი, ანუ „სამკურნალო“ დანიშნულებაზე (და, მართლაც, ფილოსოფიამ რაღაც გარკვეული „დამამშვიდებელი“ როლი უნდა შეასრულოს ჩვენს ცხოვრებაში) [7, 16].

ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ამ ბოლო ხანებში წამოყენებული ახალი იდეები, კერძოდ, ფილოსოფიის პრაქტიკულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მხედველობაში გვაქვს ისეთი იდეები, როგორებიცაა ე.წ. „ფილოსოფიური კონსულტაციების“, „ფილოსოფიური კაფეებისა“ თუ „ფილოსოფიური [სადისკუსიო] კლუბების“ იდეები [7, 16-17].

„ფილოსოფიური კონსულტაციის“ პრაქტიკას პირველად თურმე საფუძველი ჩაუყარა 1981 წელს, გერმანელმა ფილოსოფოსმა გერა ახენბახმა [7, 16]. ამასთან, ყველაზე ცნობილი ფილოსოფოს-კონსულტანტი ლუ მარინოფი ყოფილა. იგი თურმე ისმენდა თავისი კლიენტების საუბარს მათს პრობლემებზე და ამ პრობლემების შესაბამისად უთითებდა მათ სათანადო ლიტერატურას, რომელშიაც იყო გარკვეული გადაჭრანი მსგავსი პრობლემებისა [7, 17].

რაც შეეხება ე.წ. „ფილოსოფიური ყავის“ პრაქტიკას, მას საფუძველი პირველად 1992 წელს თურმე ჩაუყარა მერკოტ სოტემ, ფრანგმა ფილოსოფოსმა პარიზში [7, 17].

დაბოლოს, რაც შეეხება ე.წ. „ფილოსოფიურ სადისკუსიო კლუბებს“. ამასთან დაკავშირებით ნორვეგიის ციხეებში თურმე დაუარსებიათ სადისკუსიო კლუბები ფილოსოფიის შესასწავლად [7, 17].

ფილოსოფიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ იუნესკომ სპეციალური გადაწყვეტილებანი მიიღო ამაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ, მან რეკომენდაციებიც კი შეიმუშავა ამასთან დაკავშირებით.

აქ ჩვენ უპრიანია შევეხოთ ამ საკითხს – გაეროს პოლიტიკისას ფილოსოფიის სწავლების მიმართ.

2007 წელს იუნესკოს თურმე ვრცლად შეუსწავლია „ფილოსოფიის

სწავლების თანამედროვე მდგომარეობა“ „მთელს მსოფლიოში“.

„მსოფლიოში ფილოსოფიის სწავლების“ შესწავლის თუ გამოკვლევის შედეგები 2007 წლისათვის გამოქვეყნებულია და დასათაურებულია როგორც: „ფილოსოფია. თავისუფლების სკოლა. ფილოსოფიის სწავლება და ფილოსოფოსობის დასწავლა: მდგომარეობა და პერსპექტივები“.

აქ, როგორც იტყვიან ხოლმე, „ყველა აქცენტი დასმულია“, ყველა აქცენტი დასმულია ისე ჯეროვნად, როგორც არსად და არასდროს. კერძოდ, აქ სათაურიდანვე ჩანს ხაზგასმით ფილოსოფიის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, კერძოდ კი, ის, რომ ფილოსოფია ეს „სკოლაა თავისუფლებისა“. და, მართლაც, არაფერია იმაზე მაღალი შეფასება ფილოსოფიისა, ვიდრე ეს სწორედ მისი შეფასება ვითარცა „თავისუფლების სკოლისა“. ფილოსოფია ხომ უპირველეს ყოვლისა თავისუფალმოაზროვნეობაა.

ამასთან გამოკვლევის სათაურში ნაჩვენებია ის ღრმა განსხვავება, ერთის მხრივ, „ფილოსოფიის სწავლებასა“ და, მეორეს მხრივ, „ფილოსოფოსობის სწავლებას“ შორის. აქ უბრალოდ ფილოსოფიის სწავლებასთან შედარებით წინ წამოწეულია „ფილოსოფობის სწავლება“, როგორც უფრო მაღალი რამ. ამით ხაზი ესმება იმას, რომ საჭიროა არა მარტო ფილოსოფიის სწავლება, არამედ უფრო მეტიც – ფილოსოფოსობის სწავლებაც, იყო ფილოსოფიის მცოდნე, მართლაც, ერთია, ხოლო იყო თავად ფილოსოფოსი – კიდევ მეორე.

ამასთან დაკავშირებით, ანუ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფობის სწავლებას ფილოსოფიის სწავლებასთან შედარებით, შეიძლება გავიხსენოთ თავად დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის განცხადება სწორედ იმის შესახებ, რომ იგი ასწავლის თავის სტუდენტებს არა ფილოსოფიას, არამედ ფილოსოფოსობას (კანტი), ანდა შეიძლება გავიხსენოთ ქართველი ფილოსოფოსის სერგი დანელიას განცხადებაც იმის თაობაზე, რომ იგი ფილოსოფოსი როდია, არამედ ფილოსოფიის მასწავლებელი (დანელია).

იუნესკოს თურმე შეუსწავლია ფილოსოფიის სწავლების მდგომარეობა განათლების ყველა – „სკოლამდელი“, „დაწყებითი“, „საშუალო“, „უმაღლესი“ – სკოლების დონეზე, ასევე, ოფიციალურის გარდა, არაოფიციალურ საგანმანათლებლო სფეროშიაც [7, 4].

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმე ეხება, ჯერ ერთი ფილოსოფიის სწავლებას განათლების არა რომელიმე, არამედ ყველა დონეზე და ყველა სფეროში – ოფიციალურში და არაოფიციალურში, და, მეორეც, ფილოსოფიის სწავლების მდგომარეობის შესწავლას, შემოწმებას ყველა ამ მხრივ. ეს კი მეტად მნიშვნელოვან რამეს მეტყველებს, კერძოდ, იმას, თუ რა დიდ მასშტაბებს აღწევს ფილოსოფიის სწავლება განათლების სისტემაში მთელი მსოფლიოს ფარგლებში. და თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფილოსოფიის სწავლების მდგომარეობას ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა თავად „იუნესკო“.

აქ აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, თუ რა მასშტაბებს იძენს ფილოსოფიის სწავლება თვით „დაწყებითი

სკოლისა“ და, უფრო მეტიც, „სკოლამდელი“ ასაკის ბავშვთა სწავლების კუთხით. ამასთან დაკავშირებით კი ძალიან საინტერესოა იუნესკოს ექსპერტთა გადაწყვეტილება, რომ „ბავშვებს შეიძლება და უნდა ვასწავლოთ კიდეც ფილოსოფიის საწყისები მათთვის მისაწვდომ ენაზე“ [7, 5].

იუნესკოს გადაწყვეტილებით „საკვანძო საკითხად რჩება ადამიანისა და ბავშვის რიგ უფლებათა“, და, მათ შორის, „ფილოსოფიისა და ფილოსოფოსობის უფლების“ „დაცვა“ [7, 7].

ასე რომ, მიუღებელია და თავად იუნესკოს პრინციპების საწინააღმდეგოა ყოველგვარი პოლიტიკა, საიდანაც იგი და ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს, მიმართული ფილოსოფიის ჯეროვანი სწავლების წინააღმდეგ, რომელიც კი შეიძლება და ხდება კიდეც ადგილებზე.

ფილოსოფიის იმ უზარმაზარ მნიშვნელობაზე, რაც მას ჩვენი ცხოვრების გზაზე გააჩნია, შესანიშნავად მსჯელობენ თავად იუნესკოს მესვეურებიც.

იაპონელი მოღვაწე კოიტირო მაცურა (იუნესკოს გენერალური დირექტორი) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის სწავლება არსებითად ესაა თავისუფალად - და კრიტიკულადმოაზროვნეობის ადამიანისათვის სწავლება. ფილოსოფია რაციონალურ (გონივრულ) მსჯელობას გვასწავლის. იგი, ელექტრონული აზროვნების საწინააღმდეგოდ, ავითარებს „კრიტიკულ“ აზროვნებას. ფილოსოფია უფრო ღია გახდა. ამიტომ საჭიროა „გავაფართოვოთ ფილოსოფიის სწავლება, განვავრცოთ იგი იქ, სადაც უკვე ისწავლება და შემოვიღოთ იქ, სადაც იგი ჯერ არა გვაქვს“ [7, 4].

ფრანგი მოღვაწე პიერ სანე (იუნესკოს გენერალური მდივნის მოადგილე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) ამასთან დაკავშირებითვე აღნიშნავს, რომ ფილოსოფია „უმთავრესი საკვანძო“ დისციპლინაა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის. მაგრამ იუნესკო მოითხოვს ყველა ქვეყნისათვის არა ერთადერთ რომელიმე ფილოსოფიას, არამედ მხოლოდ მსოფლიო დემოკრატიისა და კულტურის ღირებულებათა გაცნობიერების დონის ამაღლებას [7, 4].

იუნესკოს, ფილოსოფიის უაღრესი მნიშვნელობის გამო, „უმთავრეს ამოცანად ფილოსოფიის საყოველთაო უფლების უზრუნველყოფა“ დაუსახავს მიზნად [7, 5].

ფილოსოფია ეს ზოგადი ორიენტირია ჩვენი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცხოვრებისა. იგი გზის მანათობელი შუქურაა ჩვენი საერთო ცხოვრებისა. იგი, თუ ასე შეიძლება ითქვას, „კომპასია“ საერთოდ ჩვენი სულიერი და ხორციელი ცხოვრებისა.

ასეთია ფილოსოფიის უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ასეთია მისი პრაქტიკული დანიშნულება.

ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა: (საქართველოს გეოგრაფია). თბ., 1941.
2. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1986.
3. Иоанн Дамаскин. – История философии: энц. Минск.2002. - dic.academic.ru.
4. Климент Александрийский. Строматы. СПб.,2003. – azbuka.ru.
5. Платон. Тимей. – Собр. соч-ий: в 4 т-х. М., 1994, т.3, сс.421-500.
6. „Польза философии не доказана, а вред от нее возможен“. - ru.wikipedia.org.
7. Труфанова Е.О. Преподавание философии в мире: (обзор исследования ЮНЕСКО „Философия. Школа свободы“). – Вопросы философии, 2008, N10.
8. Эккерман И. Разговоры с Гете в последние годы его жизни. – royallib.com.
9. Энгельс Ф. Старое предисловие к „[Анти] - Дюрингу“. О диалектике. – Диалектика природы. М., 1953.

✍ *რეზო (ემილიანე) ადამია*

გოდება და ვედრება ყოველთა

ვარსკვლავეთური სამყაროს ჭეშმარიტად მოაზროვნე, ქრისტიანული ზეჰუმანური რელიგიის უფლისეული სიახლე მისიით, მაცხოვრის ოთხი თავდადებული მოსწავლე ერთდროულად დედამიწის არც ერთ ქვეყანას არ ჰხლებია: ამ სახის მოციქულეობრივი მოვლენა მთელს საქრისტიანოში მართლაც რომ იშვიათობაა. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში დიდი და მრავალსარწმუნოებრივი ისრაელიდან, სამარადისოდ აღმდგარი იესოს ღვთიური მითითებით ყოველმხრივ დარწმუნებულნი და წინასწარმეტყველურად უძველეს კოლხეთს გულითადი და სულიერი ნდობით მხსნელად გამოეცხადნენ (სამშობლოდან განდევნილები კოლხეთ-იბერიაში ღვიძლ შვილებად გრძნობდნენ თავს). ღვთისგან განმანათლებლად მოვლენილებმა, შორეული წარსულის ლეგენდარულ მიწაზე თითოეულად უვნებლად და დამოუკიდებლად თავისუფლად იქადაგეს და წმიდად აღვლენილებმა საღვთო წერილი შეუფერხებლად უწყვეტ ქმნად განავრცეს. ღვთისგან მოწოდებულნი ეკლესიათა აღმართვის და ხატის შექმნის ხელოვნებით გაწაფეს კოლხები, ძირძველი საქართველო, უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე სამუდამოდ დაამკვიდრეს. წარმართობისმიერი უმძიმესი კანონცხოვრებისგან გაწამებულმა ხალხმა მდუმარე შინაგანი სწრაფვა ზეიმით მიიღო ქრისტიანობა და ბნელეთურ-მწვალებლური სარწმუნოება ბრძნული და გმირული შემართებით იმავდროულად უარყოფილ იქნა. ქალაქიდუმალ აიას, ჭყონდიდის, აკადემიად წარდგენილი ფაზისის, დიოსკურიის, პეტრას არქეოპოლისის, ბიჭვინთის, საკულტო ადგილმშვენება ვანის და მრავალი უმნიშვნელოვანესი ქალაქისა თუ სოფლის კერპთაყვანისმცემლობა სამუდამოდ გაუქმდა. და, განგებ შერჩეულ, არქაულ ულამაზეს ვარდისფერ-მოცისფრო, უხსოვარდროინდელ ქვაზე ყოველთა სალოცავად, ლუკა მოციქულის მიერ უძველეს ფიცარზე შექმნილი, მაცხოვრის სასწაულმოქმედი მზეხატი დაასვენეს, სადაც იმ ადგილზე მალე პირველი ქრისტიანული სამების სახელობის მცირე ბაზილიკა აშენდა.

ისტორიული სიმართლე, „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, ვახტანგ გორგასლის წინაპარმა წარმართმა მეფემ, დიდი ამალით გაილაშქრა უდანაშაულო ქრისტიანულ ეგრის-კოლხეთზე და მართლმადიდებლურ მოსახლეობას წმიდა ხატები გადაამალინესო (რაც არ გვიკვირს).

სიწმინდის გაჩენის დღიდან ღვთისნიერმა კოლხმა-ქართველებმა ოთხი მოციქულთაგანიდან ორის უპატიოსნესი ნეშტი, რომლებიც

მზის სისტემის დროთა დაუთმობელმა დინებამ ფიზიკურად მოამწიფა და კეთილმხცოვანნი მიიცვალნენ, ვალმოხდილ-იმქვეყნიურნი მიწას მიაბარა და მარადისობის მშობლიური ნისლ-საბურველი გადააფარა, წმიდად მოვლენა სვიმონ კანანელს და კეთილ მატათას: ხოლო ყოვლისშემძლე მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა კი ფეხით ქრისტესმიერად შემოიარა ჭეშმარიტების მომლოდინე ქვეყანა და ვინ იცის, რამდენი ქალამანი გაცვითა, კოლხი კეთილი მეწაღეების მიერ ირმის ტყავისგან შეკერილი. მერმე კმაყოფილი და მადლიერი ზეციური შეგნებით დაუღლელი მასწავლებელი იბერიას და სხვა მეზობელ ქვეყნებს ეახლა, ყველა მათგანი წარმატებით გააქრისტიანა. მაცხოვრის უერთგულესი მიმდევარი სვიმონ კანანელი იმდენად ახლობელი და ღვიძლი გაუხდა კოლხ-იბერიელ ხალხს – თავისუფალ და უკვე ქრისტიან ქვეყანას, მარადიულ განსასვენებლად, როგორც მოგახსენეთ, მათი მითიური მიწა ირჩია, კერძოდ, ბიჭვინთის ზღვისპირეთი. იგივე ზეციური ბედი ეწია ერთგულ მატათას, რომლის საფლავი დრომ თუ ურჯულოთა შემოსევებმა პირისაგან მიწისა წაშალა, მაგრამ კოსმოსურ უკიდეგანო მეხსიერებაში, ქალაქ პეტრას ციხის და ირგვლივი წმიდა სამარხ-სანახები ნათლად მოიხილვება; ზოგან ფანტასტიკურ ადგილმდებარეობას კოსმოსსასწაულმხილველები ციხეგოჯის მიდამოებსაც ამსგავსებენ. ღრმად მორწმუნემ და მოკრძალებულმა ბართლომემ, დაუღალავი შრომა-მეცადინეობით ყოველ მიყრუებულ მთის სოფელსაც ბეჯითად მიემასწავლებლა და თითქმის უკლებლივ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მერმე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას განმწმენდ-განმანათებლად ეწვია, სადაც უმოწყალოდ, ჭირშემყრელურად აწამეს. ყოველივე მათგან გაწეული ღვაწლ-შეწირვა უფლისმიერია და პლანეტაზე ჭეშმარიტად ჰუმანური რჯულის ზეიმ-გამარჯვებაა.

სამწუხაროდ, დიდი ქრისტიანული ქვეყნების დამპყრობლური უღვთო მოღალატური ხასიათიდან გამომდინარე, კოლხეთ-იბერიის ამ სახის რელიგიურ-სარწმუნოებრივ სიამაყე-ისტორიაზე თვალს ხუჭავს.

ღვთიური ნატვრაა ამ ნაწარმოებში და ოცნება...

ზოგჯერ რა ძლიერი ყოფილა უსამართლობა და ბოროტება. ეს უკვე პირდაპირი მტრული მოქმედებით მაცხოვრის უარყოფა – ჭეშმარიტებისა და წმიდათაწმიდა რელიგიის უკეთური დამახინჯებაა. ნუთუ ღმერთის მაინც არ ეშინიათ, ან კოსმოსური ხელუხლებელი უბრძენესი განძთმეუფების. მაცხოვრის და თავისი უახლოესი მოწაფეების რეალურ ისტორიას ხომ ვერავინ და ვერავითარი უკეთური შური ეშმაკეული ვერაგობითაც ვერ ამოშლის წმიდად დაწერილი თუ დაუწერელი წიგნიდან.

ქრისტიანობის საზიანოდ სატანას ნუ ახარებთ, ბოროტზრახვებიანო ადამიანებო!

პლანეტის ახალმა რელიგიამ პერიოდულად გაანადგურა უსასტიკესი წარმართობა და, სამწუხაროდ, მათგან შეუგნებლებმა იმ დროთა, შორეული უფლის, ზემოქმედებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშ-შედევრებიც მიაყოლეს.

რელიგიურად უძლიერეს იუდეველებს კი ვერაფრით ვერ გაეკარნენ, აქ რაღაც კოსმოსურ კანონ-წონასწორობასთან გვაქვს შეხებები. საუბედუროდ, წარმართობის მოშლას მოჰყვა ადამიანების დიდი მსხვერპლი, ალბათ, დადგენილია სამყაროში ღვთიური სიახლე – დიადური, გარკვეულ თავდადებას მოითხოვს: ამას მგონი ვერც ერთი ზემალა ვერ გაითვალისწინებდა კოლხეთ-იბერიაში კი, როგორც მოგახსენეთ, ყოველივე სასტიკი შეწირვები შედარებით ნაკლებად მოხდებოდა. ჭეშმარიტებამ უფრო იბერიის წარმართული ბოროტი კერპები დაამსხვრია და მათ ადგილას სიკეთის სიცოცხლის და სიყვარულის წმიდათაწმიდა ხეები აღმოაცენა.

დროთა დინებას შებერებული კაცობრიობის ცივილიზაცია საწყის ლეგენდა-ქალაქი აია, ფაზისი, დიოსკურია, ციხეგოჯი (არქეოპოლისი), პეტრა ჭყონდიდის საბრძანებელი, კოლხეთის რამდენიმე ქალაქი და სოფელი პირადად, ასევე თქვენგან მრავალთ, წარმოგვიდგენიათ კოლხეთ-იბერიის ქრისტიანული სარწმუნოების სათაყვანებელ უძველეს აკვნად, რომელთაც მოგვიანებით ქალაქი მცხეთა მზის ამოსვლასავით გულღიად შეეგება, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინო კაბადოკიელის მეოხებით და მარადიულ ქრისტიანულ სახელმწიფო სარწმუნოებად დაკანონდა, ერთ დროს ლეგენდარული მეფე აიეტის, ოქროს ვერძის საოცრება ასული მედეას მითოსურ-მისტერიული კოლხური მხარით და სრულიად საქართველო.

ჩვენს მარტოსულ, სიცოცხლით სავსე პლანეტაზე შვიდ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს: ხუთი მილიარდი, თუ მეტი არა, ქრისტიანი არ გახლავთ, რამდენიმე ათი მილიონი კი ათეისტია. სამწუხაროდ, მრავალათასეული ანტიქრისტე და სატანისტებია. ხოლო ნაღდი ქრისტიანები ვინც ვართ და სხვა უახლოესი აღმსარებლობის მრავალ უფლისმიერ ხალხს კბილებით და სიცოცხლის ფასად გვიკავია კაცთა შორის ჭეშმარიტება, სიყვარული და სიკეთის ზეცისგან განწმენდილი გრძნობები...

უსასრულო ოკეანიდან ხმელეთზე უმწეოდ გამორიყულივით, ბავშვობიდან ღრმად მორწმუნემ და ხატმწერმა წარმოსახვით მაინც რომ ვინატრო სიყვარულითა და სიკეთით სავსემ ვიოცნებო, რომ ზეუსასრულობის საუფლოს ლეგენდარულ კოლხეთ-იბერიაში მოევლინა ნათელი იესო. ამით რა სარწმუნოებრივი დანაშაულია დაშვებული? ყველაფერი ის წმიდა წიგნები, საღვთო წერილები, ლოცვები, სწავლებებიც ოდნავ ან საკმაოდ განსხვავებით შავი ზღვისპირეთში, ქალაქ აიაში, ფაზისში ან პეტრაში რომ დაწერილიყო, ხომ შეეძლო მათივე უსაზღვრო ზეციური ფანტაზია გავლენა ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ყოვლისშემძლე ზეციურ დასს. კოლხი ხალხი, მრავალი ათასი წლიდან მოყოლებული, უთუოდ ქვეცნობიერად მაცხოვრისეული თანდაყოლილი უძველესი რწმენით და სრულყოფილი ზნეობით ცხოვრობდა. ისე უბრალოდ და თვითდინებით არ შეიქმნებოდა ოქროს ვერძი და კოლხური ოქრომრავალი კულტურა-ცივილიზაცია... ჩვენ კი რატომღაც გვგონია ურყევ კანონად და დოგმებად ქცეული ყოველგვარი დღევანდელი რელიგიური აზროვ-

ნება კანონიკები რომ არა, თავზე დაგვექცევა ცა და მიწაო. რეალურად ასე ხომ არ გახლავთ! კოსმოსი მოწყობილი; ყოველგვარი ეჭვების გარეშე სამყარო აურაცხელი გალაქტიკებით შეუჩერებლივ მოძრავია და სიახლეებითი უსაზღვრო გარდაქმნებია, საერთო აზროვნებითაც მარად პროგრესულია და მისგან მაგნიტურად მოესხივება ყოველგვარი რელიგიური ზესიახლე-სწავლებები ადამიანთა ზნეობრივ წარმმართველი სულიერი ჰარმონია და ვარსკვლავეთური საოცრება საღვთო წერილისეული შეგონება. უზარმაზარი უსაზღვრო წარმოსახვებითი შემოქმედია თავად სამყარო, ვინ იცის, მართლაც მაცხოვრის მეორედ მოსვლა კოსმიურ გავლენა ულამაზეს მცხეთაში მოხდეს, ვარძიაში, უფლისციხეში, ზღვით განბანილ ფაზისში ან კავკასიის მთებისკენ მიმავალ მარტვილში და მხოლოდ ქართულ ენაზე იქადაგოს, მომავალი ათასწლეულების სიბრძნე, სიკეთე და სიყვარული. ჩვენ ხომ შორსა ვართ ამდაგვარ ზეციურ-ღვთიურ მოულოდნელობათაგან. ეს აუხდენელი ნატვრა? ჩემეული ლოცვაა თავად და, ნეტავიც კია ფრიად თავისებურებებით. უჩვენოდაც უსასრულობის ღმერთისთვის ყველაფერი წინასწარ ნათელია. საუბედუროდ, ადამიანში ჩასახულ ეშმაკეულ ბოროტად შობილ თვისებებს ხშირად და საბოლოოდ არაფერი არ ჯაბნის. ეს უკვე ცალკე ისევ კოსმიური მიუწვდომელი უღვთო მკაცრი ძალაა მარად უსაშველო და მეცნიერულადაც შეუსწავლელი. თქვენ, ჩემზე ძლიერნო, ჯობია მას მიხედოთ და ღვთისნიერად გაანელოთ უკუღმართული თვისებები, ვინემ ღრმად მორწმუნის კეთილ და ალალ ნატვრას, ალმაცერად უყურებდეთ, რათა ყოველივე ჩემეული ისევ მართალი ცისარტყელას პლანეტარიუმის ანარეკლი ფერებიდან მოედინება შეუდარებელი მზიური და კეთილმოსიყვარულე ზრახვებით. ვის ჰკითხეს ან ვინ უთანხმდება ადამიანებს, სად უნდა მომხდარიყო ღვთის მოვლინება. შესაძლოა, კოსმოსური უთვალავი მოძრაობა-ბრძოლა წინააღმდეგობების ტალღურმა ცვლილებებმა მაგ დროს შემთხვევით ისრაელში ჩამოიარა, მაგრამ (მართალია, რელიგიურ სწავლებათა ეტაპებთან კი გვაქვს საქმე, ოღონდ) შედეგი? მთლიანობაში გაოგნებულმა ადამიანებმა რაც კი ვიწვნიეთ ტანჯვა-წამებით სიკვდილის ყველა უსაშინლესი ფორმით, ისტორიულად სახეზეა; რასაც ჩაჟამულ ქარბორბალად მოჰყვა მომაკვდინებელი ჯვარცმა, წმიდანის (იოანეს) თავის კვეთა, ტანჯვა, პირადი და ხალხთა მასიური შეწირვები წარმართთაგან საშინელი დასჯები, მკვლელობები, ჟლეტა, ხოცვა, სარწმუნოებათა უთანხმოება, დევნა და ასეთ უბედურებას, საქვეყნოდ ბნელ ტრადიციად ქცეულს, ბოლო არ უჩანს. რათა? რატომ? რისთვის, საბოლოოდ რას ფიქრობს ქვეყნიერების პატრონი? ცნებების, ფანტაზიების, მომავლის ოცნებების და უფრო უხილაობის იქითაა, ყოველივე ადამიანის თანდაყოლილმა უმძიმესმა ბუნებამ ხომ არ გაამძაფრა ის მოვლენები, ზემოთ სულიერი ტკივილებით რომ შევეხე მარად შეუგუებელ ქვესკნელურ ჩვენეულ ხასიათს?

ველური ცხოვრების სინამდვილეში, დედამიწაზე თუ ქვეყნიერებაში, უთვალავი რამე ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და გონებრივი ჭეშ-

მარიტებისაკენ სვლაში უმართავია. საუბედუროდ, მაგ უკეთურობებს სრულიად სხვა ბნელეთური ძალა განაგებს და, აქედან გამომდინარე, მრავალი ზეციურ-სტიქიურ-მომწამვლელი სულის სივრცობრივი ჟანგი ადამიანშიც მძლავრობს და საშინელ ბოროტმოქმედად აყალიბებს. რა თქმა უნდა, ისევ ზნეამღვრეული ვარსკვლავთა უარყოფითი მკვეთრი სხივები მოქმედებს და უკეთურთა ქსელს დღენიადაგ აძლიერებს. ბევრჯერ დამიწერია, რომ კეთილ და ავ პლანეტათა ქვეყნიური ქმედება, ჩვენდა საბედნიეროდ, უფლის კეთილი განგებლობითაა დამუხტული, რითაც მუდმივად გაწონასწორდებ-განიწმინდება კაცობრიობა...

ხოლო ნატრული მშვიდობიანი, მორჩილი, უფლისეული სულიერების გარემოცვაში აღვლენილი სარწმუნოება მარად პროგრესულ კეთილ და ურთიერთსიყვარულის გარემოცვაში იქნებოდა. ხალხთა, ეროვნებათა და მრავალ პიროვნებათა განადგურება-ხოცვა-ჟლეტვებს როგორც სრულიად საქრისტიანოში, ასევე ყველგან უთუოდ ავიცდენდით და არ დაიბადებოდნენ კულტურა-ცივილიზაციის და ხალხთა გამანადგურებელი, ბელადად წოდებული დემონები. ამ შემთხვევაში თბილისის ათი ათასი წმიდანის ისტორია ხომ ყელაფრის მთქმელია! რა თქმა უნდა, როგორც მოგახსენეთ, კოსმოსმაც დედამიწაზე თავისი უარყოფითი სხივებიც მრავლად ჩაყარა და უაზრო-უადგილო მარტვილობა ეშმაკეულ ტრადიციად იქცა... კოლხეთ-იბერიასა და საბერძნეთში, მაცხოვარს, შესაძლებელია, ას ოც წლამდე ან ბევრად მეტიც ღვთიური სვლა-დიდებით პლანეტის მანათობლად ეცხოვრა, მსოფლიოს უამრავი და ყოველგვარი წამყვანი რელიგიები ოცნება-კაცთმეგობრობაში მოექცია და მართლაც, უფალს ხელს ვერ შეუშლიდა ფუჭი ადამიანური დაუნდობელი ბოროტი ძალა და მორჩილ ნებად დაჰყვებოდა უზენაესის უკეთილშობილეს მიუწვდომლობას. ამჟამად?! თვალს ნუ ვხუჭავთ, კრიტიკულად განწყობილო საზოგადოებავ, და კარგად გადავხედოთ პლანეტის რელიგიურ მარად კონფლიქტურსა და ხშირად დამღუპველ ნერვიულ შავბნელ მოზაიკას.

უხსოვარი დროიდან ადამიანის უკეთურობა და ბოროტება ყველგან ყელაფერს მისწვდა და უკუნეთური კვალი დატოვა, მაგრამ ზეციურ ანგელოზებს ავი ქმედებით ვერასოდეს მიუახლოვდა: მხოლოდ გამუდმებითი თხოვნა-მუდარით და მორჩილებით იმედის თვალ-გონებით შესციმციმებს. გვიკვირს და დაისმის კითხვა, რაშია მდგომარეობა? რათა კოსმოსურ უტეხ სულიერ იდუმალ უფლისეულ ზეენერგიულ ფენომენთან გვაქვს სიახლოვე, როგორც დედა მზესთან მიუდგომელ-მიუწვდომელია, ცოცხალი არსებანი, ასევეა ყოველთა მფარველ ანგელოზებთანაც, თავისი ვარსკვლავეთური განსხვავებული სულიერი თუ სივრცობრვი სიშორით. ამ ფორმის შეუძლებლობაზე მოკრძალებით წუთიერად მაინც ვიფიქროთ და ვითომდა მთავარანგელოზიც რომ განკაცებულიყო, მაშინვე წიოკით დაუპირისპირდებოდნენ უღვთო-უკუღმართად დაბადებულნი, საშინელი შურით, ბოღმით და ბოროტულ-მოღალატეობრივი ზრახვებით...

ვაჟა-ფშაველას ხევსურეთისეული საკვირველი გამონათქვამია: გველს დაუჩივლია, კბენა ადამიანმა მასწავლაო... (ერთ-ერთმა განაწყენებულმა მისტიკოსმა საშინელება ბრძანა თურმე, სატანა ადამიანის ტყუპისცალიაო!!)

რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია მორგენშტერნი: ნათელი რეალობაა.

უძველესი რელიგიებიდან, უფრო წარმართობიდან, მოყოლებული, დედამიწაზე, სამწუხაროდ, ადამიანებთან ერთად ღმერთებიც დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს: გადის მნიშვნელოვანი საუკუნეები და გონებრივ-ზნეობრივი წინსვლის მაგიერ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ახალი და ძველი რელიგიები უფრო დაუპირისპირდა ურთიერთს. აღმაშფოთებელ ღვთიურთაგან გაისმის კითხვა, საიდან იბადება ამდაგვარი უთანასწორო საშინელებაო?! ჯიუტი ფაქტია, რომ ყოველივე ადამიანის უმძიმესი და უნდო ბუნებიდან მომდინარეობს. ადამის მოდგმის გადამრჩენელად უსასრულობიდან ეზომა მას წმიდა უფლისმიერობა, მაგრამ თავისი შეუთავსებელი ხასიათ-თვისება ყველგან ბოლომდე ბნელ ფორმად ჩადო. თანვე სრული მიწიერი კაცთა არსება ხომ მარადიულ წვალებაშია და ცხოვრებისეული უმკაცრესი გამოცდაა. ამდაგვარი არსებობიდანაც გამოუმუშავდა მწარე საპირისპირო თვისებები.

ადამიანი რომ ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან ის ძალას წარმოშობს. ნიცშე. უთუოდ დიდ ნებასაც მოაბრძანებს, მაგრამ... საკვირველ და უმნიშვნელოვანეს ვარსკვლავეთურ მოვლენა მოძრაობათა გაქრობა-აღდგენა თუა სამყაროს სივრცეში, მაშინ საოცარი საწყისი, შუა და ბოლოცაა მისი; აგრეთვე მარადიული ფენომენური საიდუმლო ხაზიც არსებობს უკიდეგანობაში, რომელსაც დაწყებადასასრული არ გააჩნია. ჩვენ უთუოდ სივრცობრივი იმ გზა ელემენტ-ხაზთ მოძრაობის მავალნი ვართ, რა თქმა უნდა, აზროვნების, სულიერი და შინაგანი განწყობილების სხვადასხვა სფეროთი. ამქვეყნიური ცხოვრება თითქოსდა მიწიერი თვისებებითაა შემოფარგლული და იქვე ჩამაფიქრებლად ცხოველურ-ფიზიოლოგიური პირდაპირი თანხმობით, ფიზიკურად მრავალი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე; ხოლო შემდეგი სხვა იდუმალი, სულიერ-ფსიქოლოგიური საფეხურები ურთულესია და მის წინაშე ნებისმიერთა რეალური შეგონებები უსუსურია... პიროვნება – ადამიანი, უწყვეტად მოდის სივრცის მიუწვდომელი მდიდარ-უკვდავი უჯრედოვანი საგანძურიდან და შეუწყვეტლივ გადის ზეცის სავსეობის გაგრძელების უსასრულობაში. რატომღაც ბევრს ჰგონია, ყოველივე ჩვენეული მხოლოდ მიწიერი პროცესიაო. აგრე რომ არაა, მეგობრებო (ფაქტია, კოსმოსური ინსტინქტი, სიმართლესთან ბინადრობს), რათა, თვით დედამიწა, ქვეყნიერების უმცირესი შემადგენელი მორჩილი კონტაქტ-პლანეტათაგანია. ხოლო ადამიანის მთლიანი ფსიქო-სულიერი გონ-გულის გამოუკვლევი სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივად პირადული გაუცხოებული თავის მეობის ძიებაშია, აქვე, რაც მთავარია, ყოველთა მხსნელი და მიუწვდომელი ღმერთისა: ოდითგანვე იმიტომაც დაიწყო ადამიანმა უფ-

ლისკენ მოუსვენარი ლტოლვა, ქვეყნიურთან ერთად პირადი, ყოველგვარი სულიერ-გონებრივი განზომილებებით. თითქოსდა ხილული ნაწილობრივ დაემორჩილებინა მას, მაგრამ უკლებლივ მათგანს თურმე გარემოსგან უამრავი პირობები და ყველაფერი ზედმეტადაც სჭირდება, დღენიადაგ ეძებს, უკმაყოფილოა მუდამ, აღუვსებელია, ქმნის, იგონებს სიახლეებს, იბრძვის, ბოროტობს, სულ კონფლიქტშია და იწვის. საბოლოოდ თავისი შინაგანი უმთავრესი ბუნება როგორმე ერთობ უნდა შეიცნოს, დაიურვოს, მაგრამ დაისმის კითხვა: აგრე რატომ უჭირს – ეძნელება ყველაფერი და წამებაშია?.. უეჭველად მასში მისი გაჩენის და არსებობის შეუცნობადი უფლის მიუწვდომელი და ურთულესი ფენომენია ჩასახული. ან, შესაძლოა, რომ ის, თავად იყოს ყოველივეს და ყველაფრის საწყისი, (ზოგჯერ კითხვასაც ვსვამ: – სატანა ადამიანით ხომ არ გაჩნდა?!) კოსმოსურ უწყვეტ სხივ-მაგნიტს დაქვემდებარებული, ანუ სამყაროს სიმბოლური უიშვიათესი მეტეორული მუქი ლურჯი ქვისგან გამოჩორკნილი სიცოცხლის თასისმიერი (რაზეც მე ხშირად ვსაუბრობ).

მილიონობით და ათასწლეულთა დაგროვილი, მაღალგონიერი აზროვნება დასჭირდა ადამის მოდგმას, ბიბლია – წიგნ-შედევრი რომ შეექმნა; ებრაელთა უძლიერესი თორა და შესანიშნავ-ნააზრევი ყურანი. აგრეთვე სივრცობრივი სულთჰარმონია ბუდისტური მოძღვრებისა. სიყვარულის, სიკეთის და ჭეშმარიტება-ზნეობის დროშა „ახალი აღთქმა“ და, კიდევ რამდენიმე შედარებით მცირე, მაგრამ ნათელ-თეორიული სწავლა-ქადაგებანი და ამათგან იშვა საოცრება განძთსიმდიდრე ვარსკვლავებით მოვარაყებული ღვთიური წიგნები, ურთულესი მიწიერ-ზეციური ზნეობრივ ჭეშმარიტებათა გამოხატვისა. კოსმოსური უზარმაზარი მომავლის ადამიანებს ისევ ათასეული წლები დასჭირდება, მათივე დროების სრულყოფილი რელიგიური სიახლეების მოსვლის ლოდინში, რის შემდეგ გაუმთლიანდება უფლის, ურთულესისეული შეუსწავლელი სულის და სრულიად უცხო ზეციურ ახლად აღმოჩენილ უხილავ სამყაროს, ანუ უთვალავ გალაქტიკათა მარად ურღვევ ჰარმონიულ ანსამბლს. ამ სახის შორეული მომავლის გარდაუვალი საღვთო სწავლებანი უფრო კეთილ განსხვავებული იქნება ამჟამინდელ მყარად არსებულთან შედარებით. ხოლო უბრძენესი „ათი მცნებიდან“ დაწყებული წმიდათაწმიდა უამრავი ჭეშმარიტებანი მიმდინარე ტოტებდახუნძლული ათასწლეულისა, ოქროს მოქნილი ზამბარასავით გაჰყვება სამარადისოდ უკიდურესად განსხვავებული სიახლე რელიგიური მოძღვრებების; ასევე აურაცხელ წელთა მერმეც, ნებისმიერ ახლად გამოცხადებულ სამყაროსეულ სარწმუნოებრივ ჰარმონიას, ოდნავ გაუმჯობესებული ფორმით გაჰყვება მცნება „გიყვარდეს მტერი შენი“... „რათა არ იციან, რასა იქმნან“. მარადიული და უზარმაზარი კოსმოსური ფილოსოფიაა მზის სხივივით ნათელი... დიახ! მომავლის საუკუნეები და ათასწლეულები, უფლისეულ ამოუწურავ გენიათა საოცრება ქმნილებების ჭეშმარიტ და თვითმყოფად წმიდა რელიგიების ეპოქათა ღაღადი იქნება, პლა-

ნეტის უმთავრეს და სრულიად სიახლე აღმსარებლობათა გვერდით...

ადვილად შესაძლებელია, მომავალში სიტყვა ტერმინ-განმარტება რელიგიური, შეიცვალოს მოსული მცნება, კოსმოსური მოძღვრებებით, რათა აწ მომდინარე უსასრულობის ათასწლეულები სამყაროსეული დაუსრულებელი და მრავალმხრივი ვარსკვლავეთური ფორმა-ძიებებით იქნება სავსე...

წუთით წარმოვიდგინოთ, ადამიანი რომ არ არსებობდეს ჩვენს პლანეტაზე, თავისი მრავალი ხასიათ-ურთულესი ფსიქოლოგიით რა სახ-ზნეობისა და შინაარსის იქნებოდა გაძარცული დედამიწა? უფალი ქვეყნიერების მიმართევაში ზეენარული ძალა ფუნქციებით როგორ იმოქმედებდა, ამ თემაზე მიახლოებითი გააზრებაც კი ძნელია. სრულიად სიმართლით ვამართლებ ბრძენ მეცნიერს, რათა „ადამიანი ციდან ჩამოგდებული ღმერთიაო“. აგრეთვე სიღრმისეულად რომ გვმოძღვრავენ, „ადამიანს ზეცა ახსოვსო“, მაგრამ მას დროულად მიწა ულამაზესი კეთილი, წყალი, ჰაერი და აურაცხელი ცოცხალი არსებანი დახვდა. რა თქმა უნდა, ის თავიდანვე ზეციური სრულყოფილებით ვერ ეწვეოდა დედამიწას და გარდაუვალი ევოლუციური განვითარებაც ბუნებასთან სიახლოვით თანადროულად მიიღო, მაგრამ, როგორც თავის დროზე მოგახსენეთ, ზეციდან უმთავრესი ვარსკვლავების კეთილი და უხიაგი თვისებები უკლებლივ ჩამოჰყვა, მათგან უმთავრესი სიყვარული და ბოროტქმედებიანობა. დედამიწაზე ღმერთი და ადამიანი ერთად გამოჩნდა და სამარადისოდ დამკვიდრდა, მაგრამ კაცთა მოდგმა, თავისი ბრმა და გონებრივი სისუტეებიდან გამომდინარე, მარადიულად დაეძებს თავის გვერდით მყოფ უფალს და ხშირად ღალატობს კიდევაც. დადგენილი ვერსიაა, როგორც ხშირად ვწერ, მხოლოდ სამყაროს ახალმა უკეთილშობილესმა დინება-ნაკადმა უნდა უშველოს მათ... უფლისმიერად ძირფესვიანად გააძლიეროს და თავადვე გააწმენდინოს თავისი კუთვნილი მხოლოდ სულიერი გარემო წმიდათაწმიდა ზნეობრივი ფორმიდან დაწყებული, თუ არადა, დედამიწაზე ადამიანის ტანჯვა-წამებას დასასრული არ ექნება.

მზის სისტემის სანიმუშო მიწიერმა მასპინძლებმა შხამს ამოვლებული სულით აწამეს მაცხოვარი და ყაჩაღის დონეზე მოკლეს. მერე სიბრძნისეულად ითქვა, ასე უნდოდაო მხსნელს; რათა გამოესყიდა, თურმე, დიდიან-პატარიანად მისივე მკვლელებითურთ თანდაყოლილი ბინძური ცოდვებისგან. მერმე?! მაინც არ დაადგა საშველი და სხვა ფორმით უფრო მძაფრად გაგრძელდა მორჩილ მორწმუნეთა გაუთავებელი დასჯა, ტანჯვა და მკვლელობები. მხოლოდ ასეა საჭირო, თუ არადა სამოთხეში ვერ მოხვდებითო. ალბათ, გულუბრყვილო ფანატიკოსები მალე უბოროტეს დამნაშავეებსაც გაამართლებენ მიტევების ფონზე ის საშინელი უკეთურობა ხომ ფაქტიურად მასიურად მათ, კანონმდებლებმაც, განახორციელეს.

ამქვეყნიურობა უწყვეტი წინააღმდეგობებია და სიცოცხლე ჟამთა სვლით ურთულესია, კოსმოსური თუ უახლოეს მიწიერ მოვლენათა ჩახლართული ხვეულებით. უპატიებელ შემთხვევაშიც გვეუბნებიან, ყო-

ველივე მაგ სახის მოქმედებები აუცილებელ-ჩვეულებრივია თურმე. აქ დავძენ უმძაფრეს მოვლენას:

„მამა, რატომ მიმატოვე?!“ – ჯვარზე გაკრული და უკიდურესად ნაწამები, დასისხლიანებულ-სხეულ-დაგლეჯილი მომაკვდავი იესო, მარტოდ დარჩენილი, მიწასა და ცას შუა ჯვარს ცმული, შესთხოვს უფალს და ზეციდან პლანეტის წონის ბრილიანტ-ცრემლი გადმოვარდა. მაცხოვრისეული ასეთი უმძიმესი გარემოების შემთხვევაში მიუწვდომელი ფსიქოლოგიურ-მართალი ფიქრ-ვედრებაა და უკიდურესობისას მაცხოვარი რეალურობით გაიხსნა და იდუმალ მკვებავმა, ღვთიურმა გონ-სულით სინათლის უშორესმა მართალმა გონიერმა ფორმამ ათქმევინა: რატომ მიმატოვე, მამა?! საუბედუროდ, უსაზღვრო სამყაროს მთავარ-უფალიც ვერ უმკლავდება თურმე ავსულსხივოსან პლანეტებს და დედამიწაზე მისი გავლენისაგან ბოროტად მცხოვრებთ, რათა უმეტესობათაგანი სიკვდილამდე გამოუსწორებელი სიავის საშოა...

წარმართობიდანაც უსაშველოდ ცოდვილიანთ, კეთილი და მოსიყვარულე, ბრძენთაბრძენი, ზეციური მოვლენა მხსნელი, როგორც იქნა, გვეახლა გადამრჩენად, ჩვენ კი ჯვარცმა, წამხდარი ძმარ-შხამწურწუფა შევახვედრეთ.

შხამისფერ მრავალფეხა უკიდურესად მონდომებულმა ეშმაკმა ვერაფერი ვერ დააკლო იესო ქრისტეს, ჭეშმარიტების მოძულეებმა კი დაუნდობლად აწამეს და სიკვდილით განიშორეს. სათაყვანებელი წიგნი „ახალი აღთქმა“ ჩვეულებრივი მომუშაკე პიროვნებებიდან უფალ იესოს მიერ მოციქულებად ნაკურთხებმა დაწერეს მაშინ, როდესაც მაცხოვარი დედამიწიდან ამაღლებით გასული იყო. წმინდა ოთხთავი უთუოდ, აწმყო-მომავლის წარმოუდგენელი იმედით სავსე, ბრძნული და კეთილაზროვნებითი რელიგიურ-ქრისტიანული სწავლებაა, რომელშიც შესწორებების შეტანის უფლება მხოლოდ ღმერთ იესოს ექნებოდა და აქვს, მაგრამ...

დრო! უსასრულობიდან მოედინება უწყვეტად და დაუსაბამობაში გადის.

სიბრძნე-სიმართლის ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სრულ ჭეშმარიტებაზე, უფალი მხოლოდ გენიოსებს ააზროვნებს. როგორც თქვენ ნებისმიერნი, მეც ხომ უფლის და სამყაროს უმცირესი ნაწილაკი ვარ და ჩემდა უნებურად ზოგჯერ ნაწილობრივ სიმართლეზე ავლაპარაკდები: რატომ?! მიუბრძანეთ ზეუზენაესძალებო, მკვლელებად შობილ უბოროტეს არსებებს, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარულისა და ზნეობრივი ბედნიერების მომტანი და სიცოცხლის უფლისეული სიმბოლო – ძე ღვთისა, მამაზეციერი იესო?!

სწავლებაში მტკიცედ ჩაკეტილნი დამაჯერებლად გვმოძღვრავენ, ამდაგვარად წერია საღვთო წერილშიო. ნებისმიერი მოძღვრებათაგანი ხომ კაცთა მიერ დაწერილია, მრავალმხრივი ზეციური შეგონება-ცნობიერებიდან გამომდინარე. უფალს და ძე ღვთისას ერთი წინადადებაც არა აქვთ ჩვენთვის შექმნილი წერილნაანდერძევი. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მაცხოვრის უსაზღვროდ სპეტაკმა შეგნებამ, მიმნდობმა სულიერმა დაყოლამაც განსაზღვრა მთავარ-შემაძრწუნებელი და ქვეყნიურ

უმძიმესი სისხლიანი ჯვარ-ტრაგედია.

დედამიწელების შავი ძალებისგან მხსნელი, თითქმის უმეტესობისაგან მიტოვებული, უარყოფილი, განწირული პირადი ზეციური ზნეშემართებით, ყველაფერზე და ყველაზე აღმატებული აღმოჩნდა. ეჭვს გარეშეა, კოსმოსური უარყოფითი ურთიერთში გადაბურდული სხივებიც გარემო სივრცეში ხომ უხილავ ხავსისფერ კაპილარებადაა დაქსაქსულ-ჩასახული. ჩვენი კი მცირედ დარჩენილნი მოულოდნელი ზეციური მრუდე მოვლენებისგანაც წინდაუხედავად და საცოდავად შემცდარნი ურთიერთგანმწირავ გადაბრალებებზეც ვართ გადართულნი. ამდაგვარი დაუსრულებელი მდგომარეობით დაღონებულნი, სამართლიანად ვკითხულობთ: – რა ხდება ჩვენს ირგვლივ და სამყაროში?! თქმაც არ უნდა, მიუწვდომელი განზომილების და უმკაცრესი უდრეკ, დაუმორჩილებელ კოსმოსურ უმძაფრეს გარდამავალ წესრიგთან გვაქვს საქმე-შეხებები, რომელიც ჯეროვნად აღაზევებს ცოდვილიანობისკენ გადახრილ კაცთ-ეშმაკეულთ.

ჩვენგან, ყველას ხომ არ ძალგვიძს თვალ-გონების დახუჭვა და გულღიად ვაღიარებთ, რომ გონსულიერი მოთმინებით უნდა ველოდოთ შეწუხებულ პლანეტაზე უფლისმიერ უკეთილშობილეს ზნეობრივ-განმწმენდი ჭეშმარიტების ჰარმონიის მეორედ მოსვლას...

უსასრულოა სამყარო, მაგრამ უფრო ბევრად მეტი დაუსრულებლობაა ქვეყნიური გონდამბინდველი იდუმალი სავსეობის უხილაობა.

საოცრებათა სიმრავლის უძირო საკვირველებანია ყოველივე, რომლითაც გადავსებულ-გადატენილია ხილული ვარსკვლავეთის უხილავი უკიდეგანობა. აქვე მოვიყვან ფიქრმიუწვდომელ მაგალითს: მაგრე რომ არა, საიდან გამოგვეცხადებოდა დედამიწაზე მეცნიერულად შეუსწავლელი, ცოცხალი ოქროს ფონდი, ორი ათას ხუთასი, ერთმანეთისაგან ძირფესვიანად განსხვავებული ენა და მეტყველება?

მართალია, ბუნების მრავალფეროვან ლანდშაფტს, ოკეანეთა – ზღვა და მდინარეთა სიახლოვეს: განსაკუთრებულმა კლიმატმა გარემოს უწყვეტმა ხმამ – ქარმა, დაფანტულმა სივრცის მუსიკამ და ზეციურ სხივთა იდუმალმა ზეგავლენამ, საკუთარი მეტყველება შესძინა ადამიანთა ჯგუფებს და ხანგრძლივ დროთა ჟამში გამოუმუშავა თვითმყოფადი არქაული ბგერა და გაუმართავი სიტყვა, შემადარ ამყოლი მიმიკით და სხეულის მრავალმხრივი მოძრაობით, მაგრამ ყოველივე მაინც, როგორც მოგახსენეთ, ზენაარიულიდანაა მტკიცედ ჩამოყოლილი.

ამჟამად უძველეს ხელოვნება-კულტურა-ცივილიზაციებზე თავს ვიკავებ.

ზეშთაგონებით უახლოესი საუკუნეების ღვთიურმა კომპოზიტორებმა გენიალური მუსიკა გამოიხმეს განუზომელ-მიუწვდომელი ხმოვანი ზეცის უმდიდრესი სივრციდან. დიდმა მეცნიერებმა ჩამოათრიეს მომაკვდინებელი ატომიც (აქ ისევ ბოროტებამ შეუშხაპუნა ადამიანის გონებას თავისი მომაკვდინებელი სატანური გესლი). თანვე სამშვიდობო ტელეეკრანი, რადიო და სხვადასხვა

ტექნიკით ცაში გაფანტულ ხმათა გამომხმობი. მიწიერებასთან ცოცხალ შეზავებით ვიზიდავთ ლექს-შედევრებს და პროზაულ ბრძნულ გენიას. აგრეთვე მოგვეწოდება ქანდაკების უთვალავი ინდივიდუალური უმკვრივესი პლანეტებისეული ფორმა სიახლე სტილი-შემადარი. რა ვილაპარაკო საოცრება არქიტექტურაზე, კინოსა და თეატრზე, ოპერის მომღერლებზე, რეჟისორებზე, ასტრონომებზე და კოსმოს-ნათელმხილველებზე... მაგრამ ფერწერაზე, როგორც მხატვარი, გამორჩეულად ვიტყვი მის განუმეორებელ ზეციურობაზე, ღმერთსა და კაცთ შუამავლობაზე. დავიწყოთ ლეონარდოთი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, მაზაჩო. საოცრება ბიზანტიურ-ქართული ხატები და ღვთიური ეკლესია-ფრესკებით. დღესდღეობით კოსმოსში პირდაპირ უხილავი სიახლე ფერებით და ფორმებ-ხაზებით რომ გაგვიყვანა გენიალურმა ვასილი კანდინსკიმ, ხუან მირომ, სალვადორ დალიმ; არ გამომრჩეს დიდი კლასიკოსი რემბრანდტი, ცის სიღრმეებში გამავალი ელ გრეკო. ფერწერის მეფე ტიციანი, კრანახი, მიუწვდომელი გოია, ბრეიგელი, სულ-გონ უშუალობა ფიროსმანი. შევიხედოთ ანტიკურ ხელოვნებაში და ვიხილავთ ჰომეროსს, ფილოსოფოსებს – პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს და უფალ ფიდიასს, პრაკსიტლეს, ვენერა და ნიკეა მილოსელის უცნობ ავტორებს. ახლა კი შევჩერდები კოსმოსური ფერწერული არნახული კონტაქტი საოცრება მზე ვან გოგით. სუყველა, ზემოთ მოკლე სიით ჩამოთვლილ გენიათ ზეცა – უფალი მართავდა და კვებავდა, უძირო სავსეობა და უსაზღვრო. საკვირველ შემოქმედებით წყარო-წარმოსახვებს უხილაობიდან ჩამოაქვს უამრავი უნიკალური ღვთიური სიმდიდრე, მაგრამ ყოველივე ოკეანიდან ერთი კოვზი წყლის ამოღების ტოლიც არ არის ვარსკვლავეთური განძთაღურიცხველობის და ქვეყნიერების მრავალმხრივი ამოუწურავი ნიჭ-მეხსიერებისა.

მომავალში, უცილოდ, აინშტაინის დონის თუ უფრო დიდი მეცნიერები გამოიგონებენ აღმაშფოთებელ იდუმალ ელექტრო-რენტგენულ აპარატებს; გარდასულთა სულებთან დამაკავშირებელს და აწ დასაბადებელ ყრმათაც უნაკლოდ შეისწავლიან, რითაც დედამიწაზე ახალ სიცოცხლესთან ერთად, მოსვლა არ გამოცხადდების მეცნიერულად ჩარევის შესაძლებელ საკითხებსაც თანამედროულად დაამუშავებენ და მერმე მართლაც შეიძლება მოხდეს სუფთა ზნეობრივი წმიდად მიწიერი დახარისხებები; რითაც ბოროტთვისებიან სულთ არ მიაკარებენ მომავალ ბედნიერ დედას და ქვეყანა შეივსება კეთილისმყოფელი პიროვნებებით აი, და მაშინ იქნება უფლისმიერი სინთეზი კულტურა-ცივილიზაცია მიუწვდომელი სრულიად წმიდანური ფორმა-სახით...

წარსულში კაცობრიობის ყოველგვარი გენიის მიღწევები უახლოეს პლანეტებთანაა მჭიდრო კავშირში, მაგრამ მომავალი მეცნიერ-სწავლულთა და ხელოვანთა ქმნილება-გამოგონებები სრულიად უფრო ღრმა და განსხვავებული მიუწვდომელთვალთ უხილავ სამყაროსეული იქნება. მთავარია, ავისმზრახველთა თანდაყოლილმა ბოროტმოქმედებებმა არ შეაფერხოს მომავალი ათასწ-

ლეულის მრავალ კეთილ გამოგონებათა კულტურა, ხელოვნების და ცივილიზაციის სიახლეების სვლა...

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ფიქრობს და მართებულადაც იტყვიან, როგორ და რისიმიერი ძალისხმევით ცხოვრობენ და სუნთქავენ უნიჭო ათეისტები, ეშმაკეულნი და უკეთურნიო. ამ ცნობისმოყვარეობით სავსე შემთხვევაში პასუხად ბრძენნი იტყვიან უფლის უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე მფარველობს განურჩევლად მათაც. ღმერთი დიდსულოვნად მიუტევებს თითოეულსაც, ვინც ბარბაროსულად დაფლითა ჭეშმარიტება და უმოწყალოდ განდევნა ზნეობა-სიკეთე-სიყვარული. ნამდვილად რომ უზენაესის ლმობიერება და მიმტევებლობა, შეიძლება კაცთა მოდგმის ღვთიური დიდი ათასწლოვანი გამოცდაც იყოს; რაც ხილულ-უხილავი ყოველივე სამყაროსეული და ზენაარის მთლიანობის მოკაშკაშე მიწიერთათვის გაუკეთესობის სახეა. სრულიად ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ყოველ ცოცხალ არსებათა მხსნელ ცისფერ ფარდაგად გადაფარებული. უთუოდ მხოლოდ სიკეთის უზენაესისეული ზესიდიადე დათრგუნავს ადამიანის სულის თანდაყოლილ თითქმის განუკურნებელ ბოროტად დაჩრდილულ სატანურ უჯრედებს. მერმე უფრო ღვთისნიერ-ჰარმონიული გახდება დედამიწაზე არსებობა და ცხოვრება. ყველაფერი და აურაცხელობაც მომავალში საიმედოდ მოგვარებადია, მაგრამ, სიკვდილს, საუბედუროდ, არასოდეს არაფრით არა ეშველება რა, რათა ქვეყნიერების უკიდეგანობის ურთულესი და უმძიმესი ფუნქციებია მასში ჩასახულ-ჩაკირული. ის უსახურ-უნდო, უთუოდ აუცილებელი ფიზიკური წმენდაა ყოველგვარი შავბნელი მოქმედებითაც, ვარსკვლავეთის უსასრულობისა, რომლითაც ცოცხალთათვის შეურიგებელი, შეუთავსებელი უსაშინლესი ფორმა-სახის მოვლენის მფლობელია: საერთო ქვეყნიური პლანეტათა და არსებათა სიცოცხლე, ქვესკნეთელ სიკვდილს ვერასოდეს შეურიგდება. ყოველგვარი ეჭვების გარეშე, ერთ რამეზე მართებულად უნდა დავიმედდეთ და შეგნებულად მცირედად გაუშიფრავი მოლოდინით გავმაგრდეთ, რათა კოსმოსის იმ იდუმალი სფეროებით სრულიად ახალ და განსხვავებულ არსებითი გარდასახვებით ფუნქციებში რომ გადავალთ და მერმე ამქვეყნად ისევ განვმეორდებით...

და მაინც უტკბილესი დედამიწის მზისქვეშეთში დაბადებულ-აღმოცენებულთ, სიცოცხლის ფენომენალურ სუნთქვა-ფეთქვა და ხილულთან ინდივიდის სამუდამო გაყრა, შორეულ ვარსკვლავეთამდე ავარდნილი ჩაბნელებული შხამ-ეკლიანი ტრაგედიაა უთუოდ მის წინაშე აურაცხელი გალაქტიკები და დაზაფრული პლანეტებიც კანკალებენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ღმერთებიც რომ უძლურია?! ასეთი ყოფილა ეს ქვეყნიერება მარადიული, რომელსაც უზენაესივე ყოველთა მიუკარებლად ერთუფლისმიერობით და სავსე იდუმალებებით წინამძღოლობს...

უძველესი კოლხეთ-იბერია, ანტიკური საბერძნეთი, ტროელები, ასურელები, ხეთები, ქალდეველები, ეგვიპტელები, ატლანტიდელები, სომხები, არაბები და ძველი რომაელები. თავიანთი შინაგანი მიუწვდო-

მელი ბუნებით, ზნეობით და აზროვნებით ხომ ზოგად შედარებით იმ მოძღვრებისა იყვნენ, რაც იესო ქრისტემ ათას ხუთასი წლის შემდეგ იქადაგა და გვასწავლა ზეციური განძი „ათი მცნება“, ციური აზროვნებითი სიკეთე, სიყვარული და ურთიერთწმიდა დამოკიდებულება ოდითგანვე ზნეობრივად მოჰყვებოდა ზემოთ ხსენებულ ლეგენდარულ უძველეს ქვეყნებს-ხალხს. წარმართობის ეპოქებში თუ სხვა აღმსარებლობისას მუდამჟამს შინაგანად ბუდობდა მათ სულში, გონება-გულში ნერვ-კაპილარებში ყოველივე ნათელ-ღვთიური ჰუმანურ-კოსმიურ-მარადიული. მახინჯი წარმოდგენები და უბედურებები ადამიანთა შეწირვებზე ყოველივე ხომ უკეთურ-უაზროვნო ქურუმების და მოწინავე მლოცველების ფანატიკური და ქვესკნელური ეპოქალური შეთხზვა იყო, არ სჭირდებოდა ადამიანთა სისხლი და ცოცხლად ამოგლეჯილი სისხლმდინარე გული, კეთილ მზეს, წარმართული ღმერთების წინამძღოლ ზევსს, თუ კოლხეთ-იბერიის რამდენიმე ჯიუტ კერპებს. უფლისმიერი და ადამიანური ურთიერთგაგებით იმდენად შორს იყვნენ ერთმანეთისაგან, რომ ეშმაკეულ სალოცავებს და ჩვეულებრივ ადამიანებს არ გაეგებოდათ ერთმანეთისა. მაცხოვრის ქადაგება სწავლებამ დამატებით შორეული სიღრმეებიდან ამოატივტივა ის ძვირფასი, სათუთად თანდაყოლილი ზეციურ-მზისმიერი წმიდა გრძნობები და ურთიერთზეენარული ზნეობრივი გაგებები, რაც მაშინდელი მოქმედი რელიგიებისგან განგებ თუ შეუგნებლად უარყოფილი იყო. დედამიწელებს, მარადის დასჭირდებათ სულიერი ამაღლება, სწრაფვა და შეგუება ღვთიურ-კოსმოსური სიღრმეებისაკენ, რომელიც უსასრულოა და მუდამჟამს თავადვე მოგვაწვდის ეპოქებთან შემხვედრ ჭეშმარიტ ზნეობას. ბოროტება და ავკაცობა ყოველთვის იწრიალებს ჩვენს შორის და მასთან გამუდმებული ბრძოლა იქნება ადამის რჩეულთა მოდგმისა. მთავარია, სატანამ ფესვები ძლიერ არ გაიდგას კაცთა სულში, გონებაში და წმიდანურ თვისებაში. ამ ურთულეს თემას ისევ გადავხედავ, შევფიქრიანდები და განვმეორდები. უხსოვარი დროიდან ანტიკური ბერძნები (ელიტა) თვითმყოფადი კოლხები და ტროელები თავიანთი ზეციური ნიჭით და ზნეობრივი შემართებით თითქმის ისეთივენი იყვნენ შინაგანად, რა ცხოვრებისეული მისიებით დაგვმოძღვრა მაცხოვარმა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან.

ისტორიული წარსულის მიუკარება ფაქტია, რომლის წინაშე ნებისმიერი კრიტიკა იმსხვრევა. თურმე პლანეტის უძველესი ცივილიზაციის წამყვანი ზემოთ ხსენებული ქვეყნები შეგნებით და დამყოლი ზნეობრივი აზროვნებით როგორ ზეციურ ღვთიურ დონეზე იყვნენ შემზადებული უზარმაზარი მამა ღმერთის მიერ განგებ განკაცებული მასწავლებლის მისაღებად (უფრო მშობლიური სრულიად განახლებული უახლოესი შეგონების დასახვედრად), მაგრამ ის საიდუმლოება, ფერად-მრავალი ვარსკვლავებითვე შეკრული კოსმიურ-ჯადოსნური გასაღები, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებს შეუთავსდა, თითქმის ჩვენთვის ზნეობრივად მიუწვდომელია: მჭირდება აზრთა ახლებურად გადაშლა

და, ტანჯვა-წამების მოწამეობრიობის-შეწირვების, ხოცვა-კვლა, წმიდანის თავის კვეთის და ჯვარცმების ფონზე, ისევ მოკრძალებული კითხვები: დაუსრულებელო სამყაროვ და უახლოესო გალაქტიკებო! რატომ? განკაცებული ღმერთის ტანჯვით მოსვლა და ასეთ ადამიანთა მასიურ მსხვერპლად, რისთვის მოახდინე? (ყოველმხრივ გაუგებარია) საღვთო წერილები, ბიბლიური მოძღვრებები და ახალი აღთქმა, ჩემთვის ნათელია, მაგრამ; თუ დედამიწისეული ადამიანის ტანჯვა-წამების სახე, ღმერთწმინდანთა, მოვლენაც მაგდაგვარი რომ ყოფილიყო, ადამიანური სრული ჩაწვდომა-გაგებისთვის?

მსოფლიოში, კოლხთა და იბერიულ ზეზნეობრივ სტუმართმოყვარეობას არავინ შედარებია ოდითგანვე და ვერც მიემსგავსებიან ვერასოდეს, ამდაგვარი კეთილი თვისება ხომ წმიდათაწმიდა ზეენარულია: აქედან გამომდინარე, პიროვნულად ვინატრებდი უთუოდ კოსმიური დადებითი ნათელი ველით გაჯერებულ ქვეყანას მხსნელად უნდა სტუმრებოდა ძე ღვთისა სულიწმიდა – მამაზეციერი. უკლებლივ მთელი ქვეყანა მხედრული მუხლმოდრეკით, სულთამხუთავი რელიგიით და წარსულის საშინელ მოგონებებს პირწმინდად შესწირავდა ზეციურ სიკეთეს და მარადიულ მრევლმორჩილად დაგიდგებოდნენ ალალსიყვარულით სულიერადაც დაგენაცვლებოდნენ, კრისტალურო ჭეშმარიტებავ.

ისევ ჩვენთანვე კეთილი ვარსკვლავების მართალი ხმა გაისმის, მაგრამ...

ჩავიხედოთ გულში და, რაა ეს წუთისოფელი, უფლის, და მზის სითბო-ენერგიით თუ არ გათბები და განიწმინდები. სამყაროს რომელმა უძლიერესმა დინებამ ჩამოგაბრძანა შემთხვევით თუ საგანგებოდ რჩეულ ადგილ-სივრცეში? თუ ყოველმიზეზის გარეშე, რომაული და ებრაული კულტურა-ცივილიზაცია იყო საჭირო, განგებავ?.. მაგრე რომ არა! უფალო მაღალო! იესო ქრისტეს ზეციურ მოვლენა სიწმინდეს, მხსნელსა და ჭეშმარიტ მოძღვრებას მისხალითაც არ გაუნაწყენდებოდა დიდებული ებრაელი ერი და ისეთივე მოკრძალებული ურთიერთობა ექნებოდათ, როგორც მათთვის უშორეს ბუდისტებთან და ისლამთან. გამონაკლისი ბრძენი თეოლოგნიც გონ-ვარსკვლავეთურად ჩუმად აგრე ფიქრობენ, რატომ მოხდა ასეო? ამდაგვარი შეკითხვის დასმას მე კი ვერ ვბედავ: თუმცა ჩემი სრულიად განსხვავებული ნაწარმოები მაგ ფორმის აზრთა მოვლენების ირგვლივ ტრიალებს, მაგრამ ზოგადად ვპასუხობ, კოსმოსური მიუკარება სიმართლე, რომელიც მთელ სამყაროშია განვრცობილი უძლიერესია და ნებისმიერ ხალხზე თუ კულტურა-ცივილიზაციაზე მაღლა მდგომია, უთუოდ რომ მიკვირს, რადგან პირადადაც ვერ ავცდი ჩემი სისუსტეებიდან გამომდინარე, ამ გასაიდუმლოებულ იშვიათსა და კეთილ ჯანსაღ გამოსხივებათა გონებრივ ზემოქმედებას...

მხსნელო და სიკეთე-სიბრძნით სიყვარულო. კოლხთა და იბერიელთა ქვეყანაში ვინ გაკადრებდა საეჭვოდ გადახრილ სიტყვასაც. თუ აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო კოსმიური სრულიად უცხო ძალების

ჩარევით? პლანეტა-დედამიწა ხომ შენი საუფლოთაგანია! დაწყებული ადამიანებიდან, ცხოველებ-ფრინველებ-თევზებ-ქვეწარმავლებ-უმცირესი მოლეკულების ჩათვლით. ნეტავ მოსულიყავი სრულიად საქართველოში და საბერძნეთში. ნუთუ რაღაც უძლიერეს ფორმას აქვს გავლენა ყოველივესა და ყველაფერზე, ჩემო იესო უფალო. იბერია-კოლხეთი ხომ კულტურა-ცივილიზაციით, შეგნებით და უდრეკი გმირობითაც უჭოჭმანოდ შენთან შემხვედრი იყო, მაღალო და უზომო სიკეთევ! თუ რა ხდება?! რატომ, უფალო, შენგან გაჩენილი სამყარო და ყოველთა ფსიქიკა და აზროვნება დროთა-ჟამში შეუგნებლად ხომ არ გეურჩება – ქვეყნიერების მომწესრიგებელო? ამ უკიდეგანო ქვეყნიერებაში შენცა გაქვს სულიერ-უსულოთა უსასრულობის პრობლემები? ჩვენ უთუოდ მარად თავაშვებულ ურთულეს, მკაცრ მოვლენებთან გვაქვს შეხვედრები. ალბათ, იდუმალ სარკედ მოგვევლინა, ჩვენეული მუდმივი ტანჯვა-ვაების, ეპიზოდურ მკურნალ მაამებლად უძველესი კოლხეთის მიწაზე ჩამოსულ შენს უნიჭიერეს და შეწირულ მოსწავლეებს ღირსეული პატივით და მომავლის მტკიცე იმედით, რომ დახვდა ხალხი სამაგალითო... აგრეთვე ზეციური საამო შუქ-ნათება იბერიას დროულად რომ ეახლა ღვთიური მადლით აღივსო ერთ დროს წარმართობისგან ჩაგრული ქვეყანა. ამდაგვარ რწმენითსავსეობით ვფიქრობ და იმედად ჩემს წინ ინათა, იოანე ზოსიმეს მოძღვრებამ – ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ დამარხულ არს ენად ქართული დღემდე. მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. X საუკუნის ქართველი სასულიერო მწერლის და ჰიმნოგრაფის ნაწინასწარმეტყველებიდან გონდაძრული მიწიერი ზნემართალი სარწმუნოებრივი ჩემეული გოდება ნატვრა ოცნებისა, უსასრულობიდან მართალ თანამდგომ იმედად ამოსხივდა იოანე ზოსიმესეული ზესამყაროსეული აღსრულებადი ღაღადისი.

გოლგოთა: დაუზოგავად ნაწამები მაცხოვარი ჯვარზეა გაკრული, ქვეყანა ბნელეთმა მოიცვა ორ ყაჩაღს, დისმასსა და გესმასს, შუა; მისუსტებულ-მომაკვდავი, ცას ახედავს და უკვე განწირული იტყვის, უსასრულობის სიტყვებს ღვთისა ისევ ვიმეორებ: „რატომ მიმატოვე, მამა?!“ უთუოდ აქედანაც გადმოიღვარა თავადვე, უჩემოდ – შობილი ზეციურობით აღვსილი თითქმის სივრცობრივ-მითოლოგიური უცნაური და სიკეთე-სიყვარულით სავსე რელიგიურ-სტიქიური ნაწარმოები.

კოსმოსური იშვიათი ფორმა ჯვარი ქვეყნიერების ოთხივ კუთხის იდუმალების მაუწყებელი დამოუკიდებლად, უტრაგედიოდ არანაკლებ ღვთიურ ფუნქციებს შეიძენდა შენგან და მრავალმხრივ სამყაროსეულ სიმბოლო ოპტიმისტურ უძლიერეს ფუნქციებსაც განავრცობდა და მაცხოვრისეული ჯვრის სხეულიდან უწყვეტად სიკეთის და სიყვარულის ნათელი ვარსკვლავები, სევდა და ურვა აღკვეცილი მოგვევლინებოდა. ასეთი მართალი რწმენითი შინაარსისაა ჩემი წარმოდგენები და ხილვა-ფანტაზიები ამ უკიდეგანო რელიგიურ თემაზე. მაგრამ ღვთიური მიუწვდომელი აზროვნების სინამდვილესთან

გონსაღად რომ შევიხედოთ, უთუოდ ვიხილავთ მაცხოვრისმიერ ზეციურმა და სულიერად მრავალმხრივმა ჯვრის ახლებურმა შემკობამ და მისმა, ბრწყინვალებამ შორეულ გალაქტიკებამდე ააღწია... მეგობრებო, დავუბრუნდეთ წინამდებარე მთავარ თემას. სვიმონ კანანელი და მატათა, კოლხებმა გარკვეული დროის შემდეგ უდროოდ მაინც გარდაცვლილები, საკუთარი შვილივით თავიანთ მიწას წმიდანური პატივით მიაბარეს. უდიდეს რომში კი ქრისტიანებს დამნაშავეებივით სამალავებშიც დევნიდნენ, უმოწყალოდ ხოცავდნენ და მაცხოვრის უპირველესი მოციქული პეტრე ჯვარს აცვეს. მორჩილ კითხვას ვსვამ მოვლენა ღვთიურ შემთხვევაშიც, უთუოდ სადღაც მიუწვდომელში იაზრეს, რომ ძლიერი ქვეყნის ზეწოლა მორალურ-ფიზიკური ძალისმიერობა იყო საჭირო, რათა უპირველესი ქვეყნებიდან უთუოდ ადვილი იქნებოდაო ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება, მაგრამ მათმა ფაქტობრივად ხომ არ დაინდეს არცერთი ქრისტიანი მორწმუნები. ნუთუ უხილაობის გარკვეული ძალები ზეცის უკეთურ სივრცეს აკუთვნებდნენ უპირატესობას? ისევ მორიდებულად წამოვწევ ჩემს უმთავრეს სათქმელს და კოლხ-იბერიელთა კეთილ გონ-გულ-სულიანობას არავინ უდგას წინ, მაგრამ დედამიწაზე სიმართლე და სიკეთე ხშირად მწარედ იგნორირებულია. მოციქულთა და წმიდანთ მჩაგვრელ ქვეყნებთან ამ შემთხვევაშიც რომაელებსაც ვგულისხმობ, მათ რატომ წარუდგინეს იესო ქრისტე?! ზემოთ განხილული წარსულის უკუღმართი და ურთულესი ეპოქებიდან ყოველგვარი კეთილშობილური და ღვთიური სიბრძნე სიყვარული მხოლოდ შენგან დაგვრჩა, ჩვენო მხსნელო. იმ საუკუნის ადამიანების უმეტესობიდან კი, ბოროტება უზნეობა, ღალატი, სიძულვილი, განწირვა, შური და გულქვაობა ფიქსირდება. იმდენად წინააღმდეგობებით და ძლიერი ურთიერთდაპირისპირებებითაა სავსე ეს ქვეყანა, რომ, სულიერად მტკიცედ მდგარი, ძალაუნებურად თუ ძალდატანებით, კინაღამ შავი ხვრელივით სივრცეში მეც ვიძირები.

პირადად დიდ პატივს ვცემ უძველეს ებრაელ ხალხს და მათ გამორჩეულ ნიჭს – გენიას ნებისმიერ დარგში, ასევე რომაელთ, რატომ მოხდა ასე, რომ განკაცებულ მაცხოვარს – მზედ ხილულს, ვერ ჩაწსვდნენ. ზეციურთა ვექილობისა რა უფლება მაქვს, მაგრამ თავიანთი რელიგიის სიკეთე-თავმდაბლობისგან დაცვამ და უსაზღვრო სიყვარულმა ასე მწარედ დაუბრმავა თვალი განურჩევლად ორივე მხარეს, მაცხოვრის წარმოუდგენელი წამება და ტანჯვის მიყენება, რომელიც უმძიმესი გარდაცვალებით დამთავრდა, საუბედუროდ ადამიანურ ყოველგვარ უბოროტეს შავ ფორმებსაც შორდება. აქვე მინდა მოგახსენოთ, კოლხეთ-იბერიაში მაგ ბედნიერ დროს რელიგიური კრიზისი არ ჩანდა და მაინც მაცხოვრის მოციქულები სითბო-სიყვარულით ღირსეულად მიიღეს და მათ ჭეშმარიტ მცნებას თავისუფალი თანდაყოლით გაუმთლიანდნენ. რის შემდეგ მირონმომდინარე წმიდა ხატები იბადება, კერძოდ, უპირველესად კოლხეთის საქრისტიანოში (ამის ისტორიული ფაქტობრივი მტკიცებულებანი არსებობს). წარ-

მოვიდგინოთ, მაცხოვარი რომ შობილიყო ლეგენდარულ და მითოსურ დედაქალაქ ისტორიასავით უძველეს აიაში. რა თქმა უნდა, უხსოვარ-დროინდელი ლეგენდა მისტერიები მიწყნარდებოდა და პრეისტორიულ ქვეყნებისეულ წარსულს ჩაბარდებოდა, თუმცა ოთხი მოციქულის ქვეყნად ჩამოსვლის შემდგომ ასეც მოხდა. მერმე კი, ბევრნი და უთვალავნიც უსუსურ კითხვას დასვამდნენ, ყოვლის მძლე ტანჯული ჯვარი ხომ არ გვექნებოდაო! ამ ურთულეს რწმენით საკითხზე ზემოთ უკვე გესაუბრეთ, რათა ჯვარის სამყაროსეული უმდიდრესი ღვთიურ-სიმბოლურ-მისტიკური წარმოსახვები უსასრულოა...

საღად თუ ვიაზრებთ, უფლის შემოქმედებითი დიადური სივრცე განუზომელია და, ვინ იცის, ქვეყნიერების სასიკეთოდ კიდევ როგორი ოპტიმისტურ-მაცოცხლებელი წმიდა სიმბოლოები, სიღრმისეული იგავები მოწმენდილ ცასავით გამჭვირვალე რელიგიური ჯანსაღი ისტორია და სალოცავები გვექნებოდა ზემოთ ჩამოთვლილ უძველეს ქალაქებში. შეიძლება, სხვამხრივ შემადარი პასუხიც გაიცეს, ბიბლიის მქონე, მოსესა და დავითის ქვეყანაში უნდა შობილიყო მაცხოვარიო?! ან აღმოსავლეთის და ევროპის კულტურა-ცივილიზაციის გზაჯვარედინზე. უფალს ამ უზარმაზარ სივრცეში უნდა აღმოეჩინა ადამიანები, რათა იმ პერიოდის ფსიქო-ზნეობრივი არენა ფართო იყო. ჩვენ უთუოდ ვეთაყვანებით მარადიულს, ამ შემთხვევაში კი განსხვავებული, შეუგუებელი აზრებით, ზეციური სიკეთე-სიყვარულიდან გამომდინარე, მხოლოდ მზეფორმას ვნატრულობთ, სულიერად უზომოდ ვეფერებით და ვლოცულობთ კიდევაც...

ჩავიხედოთ შორეულში და, როდესაც უძველესი კოლხეთ-იბერიის წინაპრები ეტრუსკები, პელაზგები და ქალდეველები პლანეტის სიახლე იყო და მაშინ მათში რომ მოევლინა მამაზეციერს ძე ღვთისა კაცობრიობის მხსნელად, უთუოდ ვერ ჩასწვდებოდნენ ზეციური სიკეთისა და სიყვარულის ნათელ შეუდარებელ სიბრძნეს და, ამდაგვარი გაუგებრობიდან გამომდინარე, კერპ მზეკაცად გამოაცხადებდნენ, რითაც მაცხოვრის მიუკარება კულტივიზირება მოხდებოდა. ამ სახით გარდაქმნას თუ ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მხსნელი უარყოფილი იქნებოდა; რათა იმ პერიოდში მოუმწიფებელი იყო მაღალ ზნე-იდეებთან შესახვედრად ადამიანის გონება. გაივლის რამდენიმე ათასი წელი და საღვთო წერილით განსაზღვრულ ადგილას, მოწიფულ დროს გვებოძა შობა ღვთისა, დამაღონებლად გარდაუვლად შეიქმნა მკაცრი მოულოდნელობა – ვერ გაუგო კაცობრიობამ და უზომო მსხვერპლის შეწირვების და ბნელი, მტანჯველი უფსკრულების გავლით განსაზღვრულ მიდამო-ქვეყნებში უთვალავ ადამიანთა მსხვერპლგაღებით გავრცელდა ქრისტიანობა და მაინც იტყვიან, მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყოო, რათა ყოველივე საღვთო წერილიდან გათვლილ-კანონიკურიაო (ძალიან მშრალ-უხეშად ჟღერს სიტყვა „კანონიკური“, ბევრად სჯობს „ჰარმონიული“, რათა უფალთან უფრო ახლოსაა...).

თქვენს ხელთ არსებული ნაწარმოების, უფალ იესო ქრისტეზე ნატვ-

რა-ლოცვებით, ფრიად განსხვავებული და სიკეთით სავსე ნაფიქრალი ალალად რომ არ დამეწერა და გაუშუქებლად თითქოსდა მიწაში ჩამყოლოდა, როგორც წინა გვერდებში მისტიკურად აღგიწერეთ, საფლავშიაც ვერ მოვისვენებდი. ნათელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაშიც არაფერი არ იმალება ჩვენგან და ირგვლივი გარემო სივრციდანაც, რათა ყოველგვარი ფაქტ-მოვლენა, გაჩენის წამიდან უსასრულობის მოუშლელ ქსელშია შემავალი და ქვეყნიერების მეხსიერებას მუდმივად ამდიდრებს.

ღამის ვარსკვლავთმხმობელი ლოცვების მერმე ჩაძინებულს, უჩვეულო გამოცხადებით წარმოსახვამ გამაღვიძა და ჩამაწერინა ის გარკვეული აზრი, კეთილგონიერებით რაც შეგიქმნია ესოდენ ახალი, თითქმის მითური ნაწარმოები, სასიამოვნოა და საკვირველი: უთუოდ ათას წელს მიღმა მიწად ქცეულ კოლხ-იბერიელთა ჩაფერფლილ ძვლებს ეამებოდა ესოდენ კეთილსიყვარულიანი ნატვრა-ლოცვა და მათ მარადიულ, ცაში შერწყმულ, იაიასფერ სულებს გაახარებდა, ასევე ებრაელთა უდიდეს შორსმჭვრეტელ წინაპრებს, მაგრამ ყოველივე ამდაგვარი ქვეყნიურ-რელიგიური მოვლენა შეუძლებელია მომხდარიყო; ისევე, როგორც კოსმიურ სივრცეში დედამიწის ბრუნვის შეჩერება ერთი საათითაც. წინასწარ ვგრძნობ, რომ ჩემს ნატვრა-ნაოცნებარს, საკმაოდ განსხვავებულ ფიქრაზრებს და ქრისტესმიერად კეთილ-ფანტაზიურ გამონათქვამებს მრავალი თქვენგანი ჩვენდა დამაღონებლად არ მიიღებს, მაგრამ მე დაბეჯითებით მჯერა, ყოველთა ცხოვრებისეულ საიდუმლოების ნისლში შებურულ ნიღაბს იქით, რეალობაში ოცნებით ამ მხრივ ჩემნაირები ხართ და უფრო თამამ-სიღრმისეულებიც...

✍ *გელა ღვინეფაძე*

ღვინის სახელდებისათვის

(ეტიმოლოგიური ეტიუდი განსჯისათვის)

ღვინო რომ ქართველი კაცის მიერ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის შექმნილი საოცარი და უძვირფასესი საჩუქარია, საუკუნეებია, ამის თაობაზე მრავალი ფაქტი თუ არტეფაქტი მეტყველებს, რომელთა შორის გამოვარჩევდით რამდენიმე უმნიშვნელოვანესს:

- უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის მიერ ყურძნისაგან მიღებული პროდუქტის მიმართ იმ სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რომელიც გამოიხატება ჩვენში პურ-ღვინოს, ზედაშის, საერთოდ, სუფრის წარმართვის ფენომენების საკრალურად აღქმაში;

- ყოველივე ამის დიდებულად ასახვას ხუროთმოძღვრებასა თუ ხალხურ შემოქმედებაში;

- დაბოლოს, აღნიშნული დამოკიდებულების ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითს – ქართული საგალობლების მწვერვალს, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსს „შენ ხარ ვენახი“!

სწორედ ასეთი მიდგომის „პრაქტიკული რეალიზაციის“ შედეგია, რომ ჩვენში არსებობს ვაზის 500-ზე მეტი ჯიში და ის, რომ მსოფლიოში არსებული ღვინის დაყენების 3 წესიდან 2 ქართულია! მეტად ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ მხოლოდ საქართველოში გვხვდება ველური ვაზის ჯიშები.

დაბოლოს, ყურძნის ღვინის სამშობლო რომ საქართველოა – ეს მოსაზრება დადასტურდა საზღვარგარეთ არსებულ სამეცნიერო ცენტრებში ჩატარებული, უახლეს მეთოდებზე დაფუძნებული ლაბორატორიული კვლევების შედეგადაც – აღმოჩნდა, რომ ჩვენში კულტურული ვაზისა და მისგან ღვინის დაყენების ისტორიის დასაწყისი თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის მე-6 - მე-5 საუკუნეებით!

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ **ღვინის სახელდება მომხდარიყო სწორედ ჩვენში და შემდეგ ეს ტერმინი ამა თუ იმ მოდიფიცირებული სახით სხვა ენებშიც გადასულიყო.**

აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა მრავალი მცენარის თუ პროდუქტთან მიმართებით ამა თუ იმ ქვეყნიდან (ან კონტინენტიდან) მათი სხვაგან გატანა-გავრცელებისას.

წინამდებარე სტატიაში გამოვთქვამთ მოსაზრებას: **თვით ღვინის სახელისათვის ამოსავალ ცნებად, ფუძედ უნდა ქცეულიყო ტერმინი ხვია (ხვიარა).**

მართლაც, ვაზი ხომ სწორედ ასეთი – ხვიარა ნიშან-თვისების მქონე მცენარე გახლავთ!

ვვარაუდობთ, რომ აღნიშნულ ჰიპოთეზას ამაგრებს რიგი სხვა ფაქტი, კერძოდ, ის, რომ **ხვ (ღვ)** ბგერათ-კომპლექსი გვხვდება ამ მიმართებით ბევრ სხვა საინტერესო, უძველეს ქართულ ტერმინში, როგორიცაა:

ღვენთვა, ღვარი, ღივ (მცენარის თესლი ღივ-დება), ხვან-ჭკარა, ღვან-კითი, ღვთაება, ხვითო, ხვრეპა და სხვ., შესაძლოა, – ყურძენშიც, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, მიღებული უნდა იყოს ხვ(ი)არ-ზენ → ყვარ-ზენ → ყურძენ ანდა ხვ(ი)არ-ძელ → ყვარ-ძელ →ყურძენ გადასვლებიდან ერთ-ერთის მეშვეობით.

აქვე შევნიშნავთ, რომ თავის მხრივ, ტერმინები **ხვია** და **ხე,** სავარაუდოდ, სათავეს უნდა იღებდეს კიდევ უფრო ძველი, წყლის ცნების აღმნიშვნელი **ხევ(ი)** სიტყვისაგან. საქართველოში ხომ უამრავი ჰიდრონიმი (და მათგან მომდინარე) ტოპონიმი არსებობს, ისეთი კომპოზიტის სახით წარმოდგენილი, რომელშიც სიტყვის შინაარსის მთავარი მსაზღვრელის, მისი განმაზოგადებელი ცნების სახით სწორედ **ხევი** ტერმინი ფიგურირებს! აქ, ვვარაუდობთ, რომ უნდა მომხდარიყო ასეთი გადასვლა:

ხევი ←ხეჲ ← ხე,

(ანალოგიურად შემდეგი სახეცვლილებებისა: *რუ ← რუჲ ← რუვი. შევნიშნავთ, რომ სიტყვათა ბოლო მიმდევრობა გადმოკოპირებულია ვიკილექსიკონის ამოსავალ, სხვა ენებისათვის შაბლონად ქცეული ინგლისურენოვანი საიტიდან).*

აქვე, განსახილველ თემასთან მიმართებით, საჭიროდ ვთვლით, მოვიყვანოთ ამონარიდი წიგნიდან „ქართული გვარები“ [1]:

„საქართველოში მრავლადაა გვარები, რომელთა ეტიმოლოგია ღვინოს უკავშირდება, რაც სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ასევე ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში ღვინის, მევენახეობის კულტთან დაკავშირებული, ბახუსის, დიონისეს ფუნქციური დატვირთვის მქონე ღვთაებების არსებობაც. არის კიდეც, მაგალითად, აგუნა. რაც შეეხება მოცემული გვარის ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით (ლ. სულამან., გ. ღვინეფ.), იგი, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს ღვინობა (ღვინება) უძველეს ღვთაებას (გავიხსენოთ ღვინობისთვე), რომლის სახელწოდება სავარაუდოა, ჯერ მამაკაცის სახელად ქცეულიყო (შდრ. ხარება) და შემდეგ – გვარადაც ამგვარი გადასვლების შედეგად: ღვინო → ღვინობა (ღვინება) → ღვინებაძე → ღვინეფაძე“.

უნდა ითქვას, რომ ლინგვისტებს შორის ტერმინ *ღ ვ ი ნ ი ს* სახელდების შესახებ რაიმე, საფუძვლიანად დასაბუთებული მოსაზრება არ არსებობს, თუმცა უმეტესობას მიაჩნია, რომ ღვინის დაყენება პირველად სწორედ კავკასიის ან მცირე აზიის ტერიტორიაზე მოხდა [2, 3].

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ ახლახან საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევებით დამტკიცდა, რომ **ღვინის დაყენებას საქართველოში 8-ათასწლოვანი ისტორია აქვს,** შესაბამისად, სავსებით დამაჯერებლად გვესახება მოსაზრება:

ღვინის სახელდება სწორედ ჩვენში მომხდარიყო, შემდეგ კი იგი აქედან მთელს მსოფლიოში გავრცელებულიყო ასეთი „ნამსხვრევების სახით“:

ღვინო → *(ინდოევროპულ ენებში) vinum, wine, vin, vino, Wein, вино*

ღვინო → *(სომხ.) գինի (ginin).*

შემდეგ, ფრიად საინტერესო და ნიშანდობლივი ფაქტია - ამ მართლაც საკრალური სასმელის ჩვენებური დასახელება თითქმის პირვანდელი სახით არის შემონახული უელსში - **ვალიურ ენაზე ღვინის სახელწოდებაა gwin!** და ეს სრულებითაც არ გახლავთ შემთხვევითი მოვლენა – მეცნიერები თვლიან, რომ ამ ერის წინაპრები (კელტები) თუ დასავლელი იბერების განშტოება არ გახლავთ, ერთი პერიოდი მათი დიდი გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი! (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბასკურ ენაში ასეთი კავშირი არ შეიმჩნევა – იქ ღვინის სახელწოდება არის არდოა).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდი, ტერმინ ღვინის ზემოთ აღწერილი გზით წარმოშობის შესახებ არცთუ უსაფუძვლოდ გვესახება.

დაბოლოს, ამონარიდი „დათა თუთაშხიადან“:

„განგებამ ღვინის სიყვარული გვიბოძა, რომ ჩვენი აზრისათვის მშვენიერება და სიკეთე მიენიჭებინა. ფიქრისა და საუბრის სარბიელად სუფრა მოგვიჩინა, სუფრავე დაგვითქვა ადგილად, სადაც ერთმანეთისათვის მხოლოდ კეთილი სურვილი ითქმის და საგნისათვის მხოლოდ პირუთვნელი შეხედულება. ქართული სუფრა ქართულ სიმღერას ჰგავს – სხვადასხვა ხმაზე ვმღერით და კონტრაპუნქტში ვერთიანდებით. არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა“.

ლიტერატურა

1. ლ. სულამანიძე, „ქართული გვარები (ეტიმოლოგიური ძიებანი)“. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ., 2017.
2. https://en.wiktionary.org/wiki/wine
3. https://ru.wiktionary.org/wiki/вино

✍ ივანე (მამუკა) გიორგაძე

სახელმწიფო, ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება - პრობლემები და პერსპექტივები

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ქართველი ერის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მისი მრავალათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. დასახული მიზნის პირველი ეტაპი განხორციელდა – საქართველო არის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი გაეროს წევრი ქვეყანა. ამჟამად ქართული საზოგადოების წინაშე მორიგი საპასუხისმგებლო ამოცანა დგას – გამოიჩინოს მტკიცე ნება პოლიტიკურ პროცესებში – საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე შეიმუშაოს და დანერგოს უსაფრთხოების ქმედითი და ეფექტური მექანიზმები, დაიცვას და განავითაროს ეროვნულ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისა და ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჰარმონიულ თანაარსებობასა და თანამშრომლობას.** ამ ინსტიტუტებს შორის ურთიერთმიმართების მიმდინარე პროცესების ანალიზისა და, მასზე დამყარებით, სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრების განვითარების ვექტორის მკაფიო განსაზღვრის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების ოპტიმალური გზის მოძიება შეუძლებელია. მით უმეტეს, შეუძლებელი იქნება ქვეყნის შიგნით საჯარო სივრცის უკიდურესობებისგან დაცვა და სამოქალაქო პოლარიზაციის საფრთხის განეიტრალება, რაც ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია, სასიცოცხლო აუცილებლობასაც კი წარმოადგენს.

პასუხი უნდა გაეცეს აგრეთვე ძირითად კითხვებს (სხვა კითხვებთან ერთად): არის კი მზად ქართველი ერი ზნეობრივად და საქართველო, როგორც სახელმწიფო, და მისი სამოქალაქო ინსტიტუტები მსოფლიოსა თუ რეგიონში განხორციელებული ცვლილებების გამო წარმოშობილი ახალი საფრთხეებისა და ახალი გამოწვევების საპასუხოდ და სად გადის დღეს ბრძოლის მთავარი ხაზი?

ამავდროულად, ქართველ ერს ჩამოსაყალიბებელი და შესათანხმებელი აქვს თუ როგორს ხედავს საკუთარ თავს, ან როგორი უნდა, რომ იყოს: იქნება კაცობრიობის პარტნერი ერი თუ გლობალიზაციის ეპოქაში საბოლოოდ დაკარგავს საკუთარ

ეროვნულ თვითმყოფადობას; გახდება მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტი, თუ კვლავ დარჩება სხვისი ზრუნვის, და, შესაბამისად, მისი მომსახურე ობიექტი; რას უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორიენტირები და რა ღირებულებები უნდა განსაზღვრავდეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წესს.

ჩვენი კვლევის მიზანია, გავარკვიოთ დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებში რამდენად არის გაზიარებული ქართული სახელმწიფოს ამ ინსტიტუტებს შორის ტრადიციული ურთიერთობები და რამდენად გამოყენებადია ის თანამედროვე პირობებში.

I

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა ამ ინსტიტუტებს შორის დამოკიდებულების, ძირითადად, ორ ფორმატს იცნობს – თავისუფალი ნებით არჩეულს, დაფუძნებულს სახარებისეულ სიბრძნეზე – „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“ და ოკუპანტის მიერ თავმოხვეულს – ეკლესიის იზოლაციისა და იგნორირებისას.

პირველი – გიორგი მთაწმინდელის მიერ დამკვიდრებული ქართული ფორმულა – **„ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის“** განხორციელება, სადაც ეკლესიის წმინდა მამებს საზოგადოების სულიერი ლიდერებისა და მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით მაკონტროლებლების ფუნქცია აქვთ, **„პირველად ყოვლისა აღლესა მახჳლი მხილებისაჲ მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებისათჳს უშიშად და თუალუხუად“.** ფეოდალურ საქართველოში ქრისტიანული რწმენა და ეთიკა იყო ქართველთა კულტურული ერთობის მთავარი საფუძველი და ერთიანი ქართული ეროვნული („მესიანისტური“) იდეის მამოძრავებელი ბაზისური მახასიათებელი ფაქტორი [1].

ქართულ სახელმწიფოს მისსავე ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ისტორიული ტრადიციის საილუსტრაციოდ ნათელ წარმოდგენას ქმნის თამარ მეფის დროს მოწვეული ადგილობრივი კრების მასალები, სადაც წმინდა თამარი მიმართავს სასულიერო პირებს – ამ ქვეყნის, ჩვენდამი რწმუნებულის, პატრონნი უნდა ვიყოთ, **„თქუენ სიტყვითა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ: თქუენ, ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქუენ ვითარცა მწენი, ხოლო მე, ვითარცა ებგური (გუშაგი)“,** თქვენ სიტყვით, ჩვენ საქმით დავიცვათ შეურყვნელი სჯული იგი ქრისტესიო. ქართული სახელმწიფოებრიობის ზეობა – „ოქროს ხანა“ – იყო შედეგი ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებული ეროვნული ცნობიერებისა [2].

ცხადია, საქართველოს ისტორია იშვიათ გამონაკლისებსაც იცნობს. მაგ., წმინდა გრიგოლ ხანძთელსა და წმინდა აშოტ კურაპალატს, წმინდა ევდემოზ კათალიკოსსა და როსტომ

მეფეს, წმინდა დიმიტრი თავდადებულსა და პატრიარქ ნიკოლოზ III -ს შორის სხვადასხვა დროს განსხვავებული ზნეობრივი და ეთიკური ხედვების გამო სხვადასხვა სიმწვავის დაპირისპირებებს.

ქართული სახელმწიფოებრივი გამოცდილების უნიკალობა იძლევა საშუალებას თამამად ითქვას, რომ საერო და სასულიერო დაწესებულებების იდეალური თანაცხოვრების ქართული ისტორიული მოდელი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჰარმონიულ თანამშრომლობას ეფუძნება.

მეორე – პირველის საპირისპირო. 1921-1991 წლები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ხანა იყო. სახელმწიფომ და მისგან დამორჩილებულმა საზოგადოებამ გასაბჭოებიდან ორი თვის შემდეგ 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომის მიერ გამოცემული სპეციალური დეკრეტით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოაცხადა. სახელმწიფო პროგრამა შეიმუშავა და ეკლესიის აქტიური დევნა განახორციელა. „ოკუპაციისთანავე დაფუძნდა „მებრძოლ ათეისტთა საბჭო“, რომლისთვისაც დიდი ოდენობის თანხები, შენობები, ბეჭდვითი პრესა და ა.შ. გამოიყო. მას დაევალა ანტირელიგიური პროპაგანდა ლენინის მიერ ჯერ კიდევ 1905 წელს წარმოთქმულ სიტყვებზე დაყრდნობით: რელიგია ხალხის ოპიუმია. რელიგია სულის არაყივითაა, რომელშიც კაპიტალის მონები თავიანთ ადამიანურ სახეს და ღირსების გრძნობას კარგავენ“ [3].

70 წლის განმავლობაში მმართველობის საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის, მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც „საზოგადოებრივი ფორმაციისა“ და ათეიზმის, როგორც იდეოლოგიის, ზემოქმედების შედეგად არასწორი ცხოვრების წესისა და დამახინჯებული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება განაპირობა, რამაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახლადწარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობის წინაშე მრავალი ბუნებრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სულიერ-ზნეობრივი და კულტუროლოგიური პრობლემა წამოიჭრა. ზემოაღნიშნულს დაემატა ხელოვნურად თავსმოხვეული მიმდინარე ეტაპის მრავალი სხვა პრობლემა. გლობალიზაციის პროცესისა და კომუნიკაციისა და ტექნოლოგიის განვითარებამ საფრთხეები გაზარდა და უფრო და მით უფრო დახვეწილი და მაცდუნებელი ფორმები მისცა.

ამ პროცესში მხოლოდ ის ერი და სახელმწიფო ახერხებს თვითმყოფადობის შენარჩუნებას და სახელმწიფოებრიობის განვითარებას, რომლებიც მოძებნიან მისთვის ყველაზე ოპტიმალური საზოგადოებრივი ერთიანობის, სოციალური წონასწორობისა და სახელმწიფო მართვის მოდელს. მაქსიმალურად შეკრავს ერს ერთიანი ეროვნული ამოცანების გადასაჭრელად, ჩართავს თითოეულ ადამიანს მის რეალიზაციაში და ახალ რეალიებში საკუთარი ფუნქციის მოძიებასა და აღსრულებას შეძლებს.

საქართველო უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა. ცხადია, ზნეობრივ და კულტურულ ფასეულობათა შექმნას შესაბამისი მსოფლმხედველობითი საფუძველი სჭირდება. ქართული კულტურა, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით, წარმოუდგენელია ქრისტიანობის გარეშე. ქრისტიანულ ორბიტაში მოქცევამ, ანუ უმაღლესი ცივილიზებული სამყაროს წევრობამ, ერთი მხრივ, განსაზღვრა საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ორიენტაცია, მეორე მხრივ, ქართულმა სულმა თავისი სრულყოფილი გამოხატვა ქრისტიანობაში შეძლო. ქრისტიანობა ქართველი ერის შინაგანმა სულიერმა ბუნებამ ორგანულად შეითვისა და შეისისლხორცა. ეს არ იყო შემთხვევითი და გაუცნობიერებელი გადაწყვეტილება. ქრისტიანობაზე მოქცევით განსრულდა ის რამდენიმესაუკუნოვანი სულიერი დუღილი, რომელიც ქართველმა ერმა განვლო ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის შემდგომ. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ნაწილი, რომლებიც ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს გამოხატავდა. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის და ჩვენი ეროვნული ცნობიერების საყრდენ ღერძად. ამ გადაწყვეტილების მიღება მეტად ძვირი დაუჯდა და უჯდება საქართველოს, ქართველმა ერმა შეგნებულად გაიღო უდიდესი მსხვერპლი, მაგრამ რომ არსებობს, საკუთარი სახე გააჩნია და კაცობრიობისათვის საინტერესოა, სწორედ ამ გადაწყვეტილების დამსახურებაა.

საქართველოს ისტორიის მრავალმა საუკუნემ (IV-XVIII) ჩაიარა თითქმის უწყვეტ ბრძოლაში სხვა რელიგიათა მატარებელი, საქართველოზე მრავალჯერადად დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც, ყველანი უკლებლივ, თავის შემოტევებში საქართველოზე ისეთივე ძალისხმევით ცდილობდნენ ქართველი ერის მიქცევას სხვა რელიგიისაკენ, როგორითაც საქართველოს მიწის დაპყრობას. საქართველო ზემოხსენებული საუკუნეების მანძილზე იყო ქრისტიანობის მოწინავე საგუშაგო, ფორფოსტი აღმოსავლეთში.

საქართველოს აყვავების ეპოქაში სახელმწიფოს იდეოლოგიის არსებითი პუნქტი იყო საქართველოს ერთერთ უმთავრეს ფუნქციად აღიარება ქრისტიანობის (ჭეშმარიტების) დამცველისა სამხრეთ კავკასიაში და მის მიმდებრე რეგიონებში.

XIX საუკუნეში კი "ერთმორწმუნე" რუსი დამპყრობელი, სხვათა მსგავსად, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გზით, შეეცადა ქართველი კაცის ფესვებიდან მოწყვეტას და მისთვის მიუღებელი ზნე-ჩვეულებების დანერგვას, მათ შორის, ბატონყმობის ფორმების გამწვავებას.

ქართველმა ერმა 1921-1990 წლებში განიცადა უმძიმესი რეპრესია რუსული ბოლშევიკური იმპერიის მხრიდან, რომელიც, თუ გამოვიყენებთ თანამედროვე ტერმინოლოგიას, დახასიათდება, როგორც ქართველი ერის გენოციდი. შესაბამისად, იდევნებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მღვდელმსახურთა ფიზიკური განადგურებისა და ტაძრების

დანგრევა-დახურვის ჩათვლით. ქართველი კაცი იქამდე მიიყვანეს, რომ **თავისი ხელით ანადგურებდა თავისი წინაპრების მიერ შექმნილ სიწმინდეებს.**

ისტორიის თუნდაც ძალიან მძიმე ეტაპზე ქართველები ეროვნული ენერგიის და კულტურის ძირითად პარამეტრებში მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს არ ჩამოვრჩენილვართ, არც ერთი მიმართულებით – სულიერებაში, ზნეობრიობაში, განათლებაში, სამხედრო ქველობაში, არქიტექტურაში, წარმოებაში თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების დემოკრატიულ მოწყობაში. ვმონაწილეობდით ისტორიულ პროცესებში, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, და არ ავითქვიფეთ სხვებში, მათ შორის – ჩვენზე გაცილებით ძლიერებში. შევინარჩუნეთ და განვავითარეთ საკუთარი პოლიტიკური ეროვნული მეობა. ჩვენი შინაგანი ძალა და გადარჩენისათვის გაუნელებელი ბრძოლის ჟინი მხოლოდ „ხმალში და თოფში“ კი არ იყო, არამედ რწმენაში. კონკრეტულად, ქრისტიანულ რწმენაში (გავიხსენეთ დავით გურამიშვილის სტრიქონები: „მტანჯვენ, „მსთმეო“, აწ ვითა გთმო, უსახოო მარგალიტო, ღვინო ტკბილი ვით დაგღვარო და ძირმწარის წვენი ვხვრიტო?!“) [4].

ქრისტიანობა საქართველოში არასოდეს ყოფილა საკუთარ თავში ჩაკეტილი, განყენებული მოძღვრება. საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში და მის პრაქტიკულ განხორციელებაში ქრისტიანული რელიგია მუდამ წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფოს აღმავლობის ყველა ეტაპს წინ უსწრებდა საქართველოს ეკლესიის გაძლიერება. როცა ეკლესია ამ მისიას კარგავდა, მაშინ იწყებოდა სახელმწიფოს საძირკველის მოშლის პროცესი.

ღრმა ქრისტიანულმა კულტურამ განუზომელი წვლილი შეიტანა ქართველი ერის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში. ეს სისტემა დამყარებულია იმავე აბსოლუტურ, ანუ შეუვალსა და არც ერთ ვითარებაში არ დასათმობ ღირებულებებზე, რაც თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე ნაწილის იდეოლოგია და მორალია საერთოდ: თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობაზე, ადამიანთა პრინციპულ თანასწორობაზე, სამართლიანობაზე, შემბრალებლობაზე, შემწყნარებლობაზე და სხვაზე. ეს ღირებულებები საქართველოში იმპორტირებული არ არის: ეს ქართველი ერის მიერ საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივი ძალით საკუთარ ქვეყანაში შემუშავებულ ღირებულებათა სისტემის ელემენტებია.

ამავე დროს, **საქართველო არის ტრადიციულად დემოკრატიული ქვეყანა.** საქართველოს დიდ ნაწილს, სახელდობრ, ბარს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დიდი ნაწილი გატარებული აქვს ფეოდალური წყობის პირობებში, რაც პრინციპულად განსხვავდება საქართველოს მეზობელი დიდი ქვეყნების დესპოტიებისაგან, ხოლო საქართველოს მცირე ნაწილს – მთას – სამხედრო დემოკრატიის, სახელდობრ, თემობის პირობებში. საქართველოსა და ქართველ ერში არსებობს, მიუხედავად რუსეთის ორსაუკუნოვანი იმპერიული ბატონობისა, ღირსეულ რიგით ადამიანად ყოფნის და ამით ამაყობის კულტურა (პრინციპით „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“)

და საზოგადოების ყველა წევრისათვის პირადი თავისუფლების მიუცილებლობის ცნობიერება (პრინციპით „არც არავის ყმად ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო წლიდან წლამდე გამყოლია“), რაც სამოქალაქო საზოგადოებისათვის მკვიდრი მორალური საფუძველია.

ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართველ ერში ტრადიციულად და დღესაც ეროვნული სულისკვეთება და დემოკრატიული სულისკვეთება ერთია და მას, სხვა მრავალ ცოცხალ წყაროსთან ერთად, პირველ ყოვლისა, მისი მშობლიური სარწმუნოება ასაზრდოებს. საქართველოსა და მის ერს დღევანდელ პირობებში (და, სავარაუდოა, მომავალშიც) ესაჭიროება დასავლეთთან კონსულტაციები და გამოცდილების თავისუფალი ურთიერთგაცვლაც დემოკრატიის კონკრეტულ იურიდიულ ინსტიტუტთა სრულყოფის მექანიზმებზე, მაგრამ არა ინსტრუქტირება მისი პრინციპების შესახებ.

ქართველ ერს, თავისი მრავალი თაობის თავგანწირული ბრძოლის შედეგად მოსაპოვებელი დამოუკიდებლობა გაიგივებული ჰქონდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აღორძინებასთან, დემოკრატიასთან, ადამიანის ბუნებრივი უფლებების და კერძო საკუთრების დაცვასთან, და ა.შ. დამოუკიდებლობის პირობებში საჭირო იყო ჩამოყალიბებულიყო თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება, განვითარებული ეკონომიკა, კონსტიტუციური სამართალი, რომელიც, ბუნებრივია, ტრადიციულ ქრისტიანულ მორალზე იქნებოდა აგებული, ანუ ყველაფერი ის, რითაც ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დასაწყისში ღმერთის და ცივილიზებული სამყაროს წინაშე წარვსდექით.

სამწუხაროდ, საბჭოთა ათეისტური პერიოდის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა დამოუკიდებლობის დროსაც მთლიანად ვერ იქნა უკუგდებული და დავიწყებული. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის არცერთ ეტაპზე **არ შედგა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობა.** ხელისუფლება სრულფასოვანი პარტნიორის ნაცვლად ეკლესიაში კონკურენტს უფრო ხედავს. ნათლად იკვეთება ხელისუფლების სურვილი – გავლენა ჰქონდეს რელიგიურ დაწესებულებაზე. თავს „კომფორტულად“ და „მშვიდად“, მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ღია კონფრონტაციაშია ეკლესიასთან და ეს უკანასკნელი, ხელისუფლებაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება. რატომღაც, მას, მხოლოდ, ასეთი ფორმა მიაჩნია **„ინსტიტუციონალურ სეკულარიზმად“.** მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი), სადაც გაწერილია ორივე მხარის უფლება-მოვალეობები და თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები. სახელმწიფომ ეკლესიასთან თანამშრომლობა სწორედ კონკორდატზე უნდა ააწყოს და არა მასთან კულუარულ ან მის წევრებთან ინდივიდუალურ ურთიერთობაზე.

ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი კონტაქტები სასულიერო პირებთან ან, თუნდაც, მათი მხრიდან საეკლესიო ინფრასტრუქტურის განვითარების თუ სხვა სახის ფინან-

სური ხელშეწყობა ჯერ კიდევ არ გამოხატავს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ქვეყნისთვის ინსტიტუციონალურ პარტნიორობის სასურველ ხარისხს. მართალია, სახელმწიფო ეკლესიის საჭიროებისთვის გამოყოფს გარკვეულ თანხას (ისიც საბჭოეთის მიერ მიყენებული ზარალის კომპესაციის სახით), მაგრამ თანამედროვე მსოფლიო თუ რეგიონალური საფრთხეები და გამოწვევები აუცილებელს ხდის სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას განსაკუთრებული ნაბიჯები, რათა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტს ჰქონდეს შესაძლებლობა ბოლომდე აღიდგინოს და სრულყოფილად შეასრულოს საკუთარი ისტორიული მისია - თავისი ადგილი დაიკავოს მოქალაქეთა სულიერ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში; უფრო აქტიურად მონაწილეობდეს ღრმა განათლებისა და ანალიტიკური აზროვნების მქონე თავისუფალ მოქალაქეთა ჩამოყალიბების პროცესში.

ოფიციალური სახელისუფლო სტრუქტურები დეკლარირებას უკეთებენ ეკლესიასთან მათ, თითქოს, თბილ ან, თუნდაც, კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, განსაკუთრებით არჩევნების დროს. რეალურ ცხოვრებაში ხელისუფლება სრულფასოვნად ვერ აცნობიერებს, რომ ეკლესია არა მარტო აღმსარებლობითი დაწესებულებაა, არამედ, ამავდროულად, დამოუკიდებელი და განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინსტიტუტია და მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ მასთან პარტნიორობითაა შესაძლებელი. ამ ორ ინსტიტუტს პასუხისმგებლობისა და ზრუნვის საერთო არეალი აქვს – საქართველოს მოქალაქეთა ყველაზე დიდი ჯგუფი „მორწმუნე საზოგადოება“. **ეკლესიას კი არ სჭირდება დახმარება, არამედ ამ საზოგადოებას სჭირდება თანადგომა ათეულობით წლების განმავლობაში მებრძოლი ათეიზმის მიერ დატოვებული მეტასტაზებისგან გასათავისუფლებლად და რელიგიური თუ სამოქალაქო განათლების ასამაღლებლად.**

თანამედროვე ადამიანისთვის მისაღებად და მარტივად გასაგებად საჭიროებს ახსნას, რომ ბოლშევიზმი და „მარქსიზმ-ლენინიზმი“ განსხვავებული მოვლენებია. რუსული ბოლშევიზმი თავისი არსით არის ცხოვრების წესი, მოქმედების ფორმა, სტილი, დამყარებული მორალური და ზნეობრივი კატეგორიების უარყოფაზე, როდესაც აგრესიული უმცირესობა თავს ახვევს უმრავლესობას თავის ნება-სურვილს და წარმართავს საზოგადოებრივ ცხოვრებას. იდეოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლება იყოს სხვადასხვა. მარქსიზმ-ლენინიზმი იმ დროის ერთი „კლასის“ (პროლეტარიატის) სახელით მოქმედი პარტიის დიქტატურის ოფიციალური იდეოლოგია იყო, დამყარებული საღი აზრის, სამართლიანობის, ადამიანის პიროვნული და ეროვნული თავისუფლების უგულვებელყოფაზე. საბჭოთა კავშირის კრახმა მისი იდეოლოგიის უსაფუძვლობა და სიცოცხლისუუნარობა დაადასტურა. მაგრამ მებრძოლ ათეიზმსა და ტოტალიტარიზმს ადამიანთა სულში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. მისგან გათავისუფლება დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, გრძელდება სახელმწიფოსა და ეკლესიის ინსტიტუციური განცალკევების გაიგივება საზოგადოების ეკლესიიდან გამიჯვნასთან. კონსტიტუციით გაცხადებული „რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, ეკლესიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან“, ანუ **სახელმწიფოს ინსტიტუციური სეკულარიზაცია** არ ნიშნავს საზოგადოებისა და ეკლესიის განცალკევებას. სეკულარული სახელმწიფო არ ნიშნავს სეკულარულ საზოგადოებას (წინააღმდეგ შემთხვევაში არის საფრთხე მივიღოთ ტოტალიტარული სისტემა, სადაც სახელმწიფო, ხელისუფლება და საზოგადოება ერთიანი ორგანიზმია). ამ აღიარებულ ნორმის დამკვიდრებას დიდი წინააღმდეგობები ხვდება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ფართოდ ეხსნება გზა **„მსოფლმხედველობრივი სეკულარიზმის“** პროპაგანდირებას, როგორც, თითქოსდა ცივილიზებული სამყაროს დემოკრატიულობის მთავარ მარკერს.

როგორც ბოლო წლების მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, ე.წ. „არასამთავრობო სექტორის“ აქტივის უმრავლესობა, განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელიც ფოკუსირებულია „უმცირესობების უფლებების“ დაცვაზე და მათგან პოლიტიკურ სპექტრში გადასული ჯგუფები ამ დროშით ცდილობენ წარმართონ საზოგადოებრივი ცხოვრება. იმ საზოგადოების ელიტად მიიჩნევენ თავს, რომელთანაც თავად აქვთ პრობლემები (მათსა და მთლიან საზოგადოებას შორის არსებული წინააღმდეგობები ცალკე კვლევის საგანია). როგორც საბჭოთა სისტემაში აგრესიული უმცირესობა ძალადობრივი მექანიზმებით ახორციელებდა ზემოქმედებას უმრავლესობაზე. ისინი ანტაგონისტურად არიან განწყობილი ეკლესიისა და ეროვნული ფასეულობების მიმართ და მაქსიმალურად ზღუდავენ განსხვავებული ხედვის მქონე საზოგადოებრივი ჯგუფების, განსაკუთრებით მრევლის, აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო სივრცეში. ეს ჯგუფები თავს საზოგადოების ინტერესების მთავარ (ან ერთადერთ) გამომხატველად აცხადებს, **ფაქტობრივად, ჩადგა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის და საზოგადოების სახელით ხელს უშლის მათ თანამშრომლობას. დასახელებული ჯგუფები იყენებენ თავიანთ სახელისუფლებო რესურსს და ფინანსებსა და მედიაზე წვდომის ფართო შესაძლებლობას საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისათვის.**

მათი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მითის გავრცელება (ტელეეკრანის სრული მონოპოლიზაციის პირობებში), თითქოს:

ა) ქართული შეგნებული სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი წინააღმდეგობაშია თანამედროვე დასავლური დემოკრატიის პრინციპებთან;

ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლი თავის მოქმედებაში ღალატობს რელიგიური შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) პრინციპებს და ყალიბდება ფაშისტურ, ექსტრემისტულ, აგრესიულ ფუნდამენტალისტურ პრორუსულ ძალად;

გ) ქართველ ერში დიდია ჰომოფობიური („კაცთმოძულე“) ტენდენციები და ამიტომ საჭიროა გონიერი კაცობრიობის მიერ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა მის გასანეიტრალებლად. მათ შორის, თუნდაც, ახლო წარსულში ხელისუფლებების

მხრიდან განხორციელებულ ზოგიერთ ძალადობაზე თვალის დახუჭვა და დრომოჭმული „ქართული ფასეულობების“ წინააღმდეგ საბრძოლველად გრანტების მომატება.

დ) საყოველთაოდ აღიარებული ლიბერალური ღირებულებები და ქრისტიანული, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლური ფასეულობები ერთმანეთთან სრულ ანტაგონიზმშია და ამ უკანასკნელის მქონე ადამიანებს არ ძალუძთ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირება. შესაბამისად, აქტიური მრევლი წარმოადგენს ახალი ტიპის აგრესიულ სექტას, ხოლო მართლმადიდებლობა ჩაკეტილი შუასაუკუნოვანი დოგმატური სივრცეა.

ე) საქართველოს ეკლესია თავის დგომაში ეროვნული სულიერების სადარაჯოზე განიცდის რუსული ეკლესიისა და სპეცსამსახურების გავლენას, ხოლო ქართული მრევლი მიესალმება რუსულ ოკუპაციას, და შესაბამისად, ოკუპანტთა საყრდენია ქართული სახელმწიფოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ.

ვ) საქართველოს „ურჩევენ“ ხელი აიღოს მაღალ მოთხოვნილებებზე (მაგალითად, მოწინავე განათლებასა და მეცნიერების ქონაზე) და დასჯერდეს მომსახურე ერის ფუნქციას, ამასთან ერთად – თავისი ქალაქების ქუჩებში განუკითხავი ბატონობის უფლება მისცეს ყველანაირი „გადახვევების“ მქადაგებლებს და აგრესიულ სექტებს.

მოითხოვენ ქართული საზოგადოების მეორე (გაცილებით დიდი) ნაწილისგან, რომ მან აღიაროს სხვა აღმსარებლობაც ჭეშმარიტებად (რაც მინიმუმ ლოგიკური აბსურდია); ზოგიერთი ქმედება თავისთვისაც ცოდვად არ ჩათვალოს და ადამიანის ქცევის ჩვეულებრივ მდგომარეობად მიიჩნიოს (მით უმეტეს, რომ ცნება „ცოდვა“ არ გამოიყენება იმ ადამიანების ქმედებების მიმართ, რომლებიც თავისი ნებით უარს აცხადებენ ეკუთვნოდნენ ქრისტიანულ სამყაროს); საზოგადოების სხვა წევრებს აიძულებენ აღიარონ ის, რაც არა მარტო ეწინააღმდეგება ქართველი კაცის შინაგან ბუნებას, ეროვნულ ტრადიციებს, სარწმუნოებრივ სწავლებას, რომლებიც განუყრელია ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებისაგან და მის სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შემოქმედებას განაპირობებენ.

ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის მის მიერ თავისი გარესამყაროსათვის (პირველ ყოვლისა – თავისი საზოგადოებისათვის) იმ სახის მიცემისათვის ბრძოლის უფლება, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია ამ გარესამყაროსათვის (ამ საზოგადოებისათვის). ადამიანის სწორედ ეს თვისება იგულისხმება ბიბლიურ ფორმულირებაში, რომ ადამიანი შექმნილია „სახედ და ხატად ღმრთისა“.

შექმნილი ასობით ე.წ. „არასამთავრობო“ ორგანიზაციების უმეტესობა (საკმაოდ შთამბეჭდავი ბიუჯეტებით) სარგებლობენ იმით, რომ ეკლესიის წარმომადგენლები, სასულიერო პირებისა და მრევლის დიდი ნაწილი, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობას შეადგენენ, **ვერ ჩამოყალიბდნენ ერთიან სოციალურ ჯგუფად.** მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა და მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ეროვნული დამოუკიდებობისთვის ბრძოლის პროცეს-

ში. წარმატებით უთავსებდა რელიგიურ და საზოგადოებრივ აქტიურობას და, კიდევ უფრო მეტი, სახელმწიფოსა და ეკლესიის აღორძინება გაიგივებული ჰქონდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრევლის უდიდესმა ნაწილმა ჩათვალა, რომ საფრთხეები მოიხსნა, იდეოლოგიური დაპირისპირების ეპოქა დასრულდა და მაქსიმალურად ჩამოშორდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მათ საჭიროდ აღარ ჩათვალეს, როგორც ეროვნული მოძრაობის დროს, სამოქალაქო სივრცეში **თავისი ინტერესების ქმედითუნარიანი გამომხატველი სუბიექტის არსებობა**.

სახელმწიფოზე მინდობილი სამოქალაქო ცხოვრებისა და სამართლებრივი ცოდნის ნიუანსებში გაუცნობიერებელი ადამიანებისთვის რელიგიური და სამოქალაქო უფლებების ერთმანეთში აღრევის თავსმოხვევა დაინტერესებული ძალების მხრიდან დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. გაურკვევლობაში მყოფ მრევლს გაუჭირდა, გაეყო ერთმანეთისგან თავისი აღმსარებლობის დაკმაყოფილების უფლება (რომელსაც მკაფიოდ იცავდა) და რელიგიურ მრწამსზე დაფუძნებულ თავისივე სამოქალაქო შეხედულებებისა და ქრისტიანული მორალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გატარების რეალიზაციის უფლება, რის გამო სამოქალაქო ცხოვრებაში თავისი აქტიურობის აუცილებლობა ვერ დაინახა.

მისი საზოგადოებრივი პასიურობის პირობებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ახალი მოცემულობა – გარკვეული სტერეოტიპები, „სამოქალაქო სივრცის სტანდარტები“ და ჩაკეტილი მონოპოლისტური გარემო, რომლის გარღვევა დღეს დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. ამ სირთულეების გამო საზოგადოება, რომელიც თავის თავს მრევლს უწოდებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ინერტული, აქტიურ სამოქალაქო პოზიციას მოკლებული გახდა და არ ცდილობს თავის თავზე აიღოს ინიციატივა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. თავისი ძირითადი ფუნდამენტური ღირებულებების დამკვიდრების ნაცვლად, ყოველდღიურ მოვლენებზე (ბევრ შემთხვევაში ხელოვნურად შექმნილზე) რეაგირებაში ჩართული მიიჩნევს, რომ:

ა) საქართველოში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, მართლმადიდებლობისთვის იდევნებიან;

ბ) სახეზეა საზოგადოების ფსიქოლოგიური დამუშავება და შემოტევა ქართულ ცნობიერებაზე (მათ შორის კანონმდებლობითი);

გ) მიმდინარეობს საქართველოს სულიერი ნგრევა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. რაც მტრის შემოტევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო და არის დღესაც. იცვლება მხოლოდ ფორმები და მეთოდები;

დ) სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების (რომელსაც არავინ არ ებრძვის), დაცვისათვის ბრძოლის უზურპირებული დროშით რეალურად მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული სიწმინდეების, საქართველოს ისტორიის, ეკლესიისა და რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ;

ე) სექტები, რომელნიც, სარგებლობენ რა მოსახლეობის არსებული სიდუხჭირით, ფინანსური დაინტერესებით ცოდვის ჩადენის სტიმულირებას უწყობენ ხელს.

ვ) ტოლერანტობის და თანასწორობის პროპაგანდირება ეკლესიის გვერდის ავლითა და სრული იგნორირებით ქვეყანაში, რომელიც გაიზარდა პავლე მოციქულის სიტყვებზე – „არა არს ჰურიაება არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოჲს მიერ“ (გალატელთა მიმართ III, 28) – მისი გამხორციელებლების რეალურ ზრახვებს ამხელს;

ზ) საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოების აღმსარებელთ არა აქვთ ყველა დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალება შეურაცხყოფილმა სუბიექტებმა რომ პასუხი გასცენ შეურაცხმყოფელთ იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

თ) და, რაც მთავარია, **მრავალი სამწუხარო ანომალიით დაკავებული საჯარო, მაშასადამე-პედაგოგიური სივრცე და ეროვნული და მართლმადიდებლური ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებად საღდება.**

„აგრესიულ რევოლუციურ კლასად“ გარდაქმნილი „უმცირესობების უფლებების დამცველები“ **ცდილობენ სხვებსაც მოახვიონ თავისი აზრი, თითქოს თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, თითქოს აღარ არსებობს ზნეობრივი კრიტერიუმები და ამ აბსურდის აღიარებას ბოლშევიკური მგზნებარებით მოითხოვენ ყველასგან.** თავისი პროპაგანდის შინაარსით (!) სახელმწიფოს საფუძვლებს არყევენ, ხოლო სულისკვეთებით, პრინციპებით, იდეოლოგიითა და ზოგადი მიზნებით ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ჭეშმარიტ სიღრმისეულ ბუნებას. ამავე პარამეტრებში, აგრეთვე თავისი პრაქტიკით ეწინააღმდეგებიან საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. იგი თავისი პრაქტიკით ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებრივ ადამიანურ უფლებათა იმ ნაწილს, რომელიც უკვე კოდიფიცირებულია ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილსა და საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტებში.

ეჭვს ქვეშ დააყენეს ერთიანი ქართული კულტურული სივრცის მნიშვნელობა და საქართველოს ეკლესიის ღვაწლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში და ჯიუტად ცდილობენ საქართველოს „მულტიკულტურულ ქვეყნად“ ჩამოყალიბებას. მსგავს აქტივისტებზე საუბრობდა **წმ. ილია მართალი** – „ჩვენი ტყუილი ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილურის წყალი დალიეს“. (ოდნავ მაინც განათლებულმა ადამიანმა, თუ ის შეგნებულად არ ამახინჯებს ფაქტებს, უნდა იცოდეს, რომ გერმანიამ, საფრანგეთმა, ბრიტანეთმა და სხვა დემოკრატიებმა დღეს ეჭვს ქვეშ დააყენეს განუკითხავი მულტიკულტურიზმი საკუთარ ქვეყნებში) [5].

ღვთისმსახურთა და მრევლის შემადგენლობა არაერთგვაროვანია თავისი მსოფლმხედველობით. მრევლის შიგნითაც არ არის ხედვებში სრული ჰარმონია. მისი ერთი ნაწილი, რომელმაც უკრიტიკოდ მიიღო მიმდინარე ინფორმაციული სივრცე, მიიჩნევს, რომ დასავლეთი მედიის, არასამთავრობოთა და სხვადასხვა

პოლიტიკური ძალის ხელით სულიერად ხრწნის საქართველოს; მიმდინარეობს ლაშქრობა ქართველი ერის ტრადიციული ღირებულებებისა და მართლმადიდებლური ცნობიერების წინააღმდეგ; აიძულებენ ხელისუფლებას შემოღებულ იქნას სხვადასხვა უმცირესობათა დაცვის კანონმდებლობა და გადადგას მისი დამკვიდრებისთვის კონკრეტული ნაბიჯები, რაც უფრო სახიფათოდ მიიჩნევა ვიდრე რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციის ფაქტი. მათგან რუსეთი მართლმადიდებლური ღირებულებების მთავარ დამცველად არის მიჩნეული, ხოლო მსგავსი პოზიცია საკუთარი პატრიოტიზმის გამოვლინებად. ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს და ამიტომ არ ვეხებით ამ პროცესში სპეცსამსახურების როლს. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების გარკვეული წარმომადგენლები თავიანთი შეგნებული თუ შეუგნებელი უმოქმედობით ან გაუაზრებელი ქმედებებით ხელს უწყობენ ზოგი ისეთი ჯგუფების აქტიურობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოთ ნათქვამ მითებს კონკრეტული არგუმენტაციით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი რიტორიკა საჯარო სივრცეში იძლევა შესაძლებლობას მიეწეროს ის მთელ ეკლესიას და გამოყენებულ იქნეს მისი კომპრომეტაციისთვის (რაც ხდება კიდეც). ამასთანავე, იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ნეგატიურ რეაქციას, რაც, თავის მხრივ, გამოყენებულია ამ ჯგუფებისგან თავიანთი ბრძოლის სისწორისა და აუცილებლობის დასადასტურებლად.

მრევლის გარკვეული ნაწილის აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალმხრივი ნგრევა რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების" სახელით ხდება. ეს უკანასკნელი გეგმაზომიერი ქმედებებით შეაძულეს ხალხს. ამასთან, ეკლესიაში მიიჩნევენ, რომ წმინდა ილია ჭავჭავაძის კლასიკური ლიბერალიზმი (რომელიც ერთმანეთისგან ანსხვავებდა „ტყუილ" და „ჭეშმარიტ" ლიბერალს) ჩანაცვლებული იქნა ე.წ. ფსევდოლიბერალური დემაგოგიით და დასავლური ფასეულობებიდან იმას კი არ იღებენ, რაც ჭეშმარიტი ღირებულებებია და ამავდროულად, ქართული ტრადიციული ღირებულებების იდენტური, არამედ ისეთს, რაც არც დასავლური პროგრესული მსოფლმხედველობისთვისაა მთლიანად მისაღები, საქართველოსთვის კი სულაც დამანგრეველია. აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი-პენსის ტანდემის გამარჯვებამ ამ ჯგუფის არგუმენტაცია გაამყარა და თვალსაჩინო გახადა ის, რომ ტრადიციული ღირებულებების დაცვა განვითარებულ დემოკრატიებშიც ბუნებრივი პროცესია.

მრევლის ორივე ჯგუფი თანხმდება იმაში, რომ გარე ძალები ცდილობენ საქართველოს თავს მოახვიონ პოლიტიკური „ფსევდოლიბერალური" (საეკლესიო წრეებში დამკვიდრებული ტერმინი) ხედვები, როგორც „პროდასავლური იდეოლოგიის" ბოლო მიღწევა. **საქართველოსათვის ყალბი გზის შემოთავაზება, ანუ მისთვის ე.წ. „მარგინალური ცივილიზაციის" სამარცხვინო და უპერსპექტივო როლის შემოთავაზება გამიზნულია ქართულ ღირებულებებთან სრულიად იდენტური დასავლური**

ღირებულებების დისკრედიტაციაზე ფართო მასის თვალში. (ქრისტიანული ცხოვრების წესი, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები და ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, არჩევანის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, რეალური თვითმმართველობა, ყველა სფეროში ანტიმონოპოლიური გარემოს უზრუნველყოფა, კანონის წინაშე თანასწორობა და სხვ.).

„ფსევდოლიბერალებმა“ შეაღწიეს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მაქსიმალურად ლობირებენ ანტიმეცნიერულ „კონცეფციას“, თითქოს ადამიანის უმალესი ნიჭი – თავისუფლება – საკუთარ მდარე ინსტინქტთა აყოლის თავისუფლებაში მდგომარეობს და არა შრომის, ბრძოლისა და შემოქმედების – მათ შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შემოქმედების თავისუფლებაში. ბუნებრივია, რომ ეს უსუსური იდეოლოგია უპირისპირდება ქრისტიანობას და ეროვნულობას არა მხოლოდ როგორც აღმსარებლობას, არამედ აგრეთვე, როგორც სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ცხოვრების წესს. **ერთგვარად დავბრუნდით ნერონისა და დიოკლეტიანეს ეპოქაში, სადაც პირველ ქრისტიანებს ქრისტიანობის აღიარების გამო კი არ დევნიდნენ, არამედ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი მრწამსის საწინააღმდეგოდ, იმპერატორებს, როგორც მიწიერ ღმერთებს, მსხვერპლს არ სწირავდნენ.** დევნის განმსაზღვრელია ის, თუ საზოგადოებრივ სივრცეში რა ღირებულებებს ამკვიდრებ, და არა პრივატულ გარემოში რა რელიგიურ რიტუალებს ასრულებ.

დეკლარირების მიუხედავად, ვერ იტანენ განსხვავებულ აზრს. თუ არ დაეთანხმები მას-მედიის სრული მონოპოლიზაციის პირობებში ფაშისტად, ექსტრემისტად და ჰომოფობად (კაცთმოძულედ) მოგნათლავენ. გააპროტესტებ ძალადობას, აზრის გავრცელების შეზღუდვას, ცოდვის გავრცელებას სტიმულირებას ან მოითხოვ საჯაროდ მსჯელობას, კონცეპტუალურად ემთხვევა თუ არა მათი დეკლარირებული ღირებულებები მათსავე ქმედებებს, მყისვე საქმეში ჩართავენ მედიას და მათ ხელში არსებულ ადმინისტრაციულ რესურსს რითაც, ხშირ შემთხვევაში, მოძალადედ დაზარალებული გამოჰყავთ. ანტიდემოკრატის, შუა საუკუნეების ფუნდამენტალისტის, „მართლმადიდებლური ირანის“, „დასავლური ღირებულებების მოწინააღდეგის“, „ოკუპანტების ინტელექტუალური მხარდამჭერისა“ და „რუსეთის აგენტის“ იმიჯითაა გარანტირებული.

III

სახეზეა საბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი თითქოსდა გაურღვეველი ჯადოსნური წრე. ძალიან ფაქიზ თემებზე ერთმანეთთან დაპირისპირებული პოზიციები – სულიერი და მსოფლმხედველობითი განსხვავებები პროდასავლურ და თითქოს განწყობით იზოლაციონისტურ ორიენტაციის ემოციურ ფონზე. სხვა ქვეყნის აგენტურის გაუვნებელყოფის (ლუსტრაციის) კანონმდებლობისა და პრაქტიკის არარსებობის პირობებში მათი ჩართულობის მაღალი ხარისხი პროცესებში ავანტურისტებისა და

სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესთა რეალიზებისთვის ნოყიერი ნიადაგია. რაც დამატებით ართულებს საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამუშავდა საბჭოთა სისტემის დროს ჩადებული შენელებული მოქმედების ნაღმები. იმ თემების მკვეთრი ხელოვნური აქტუალიზაცია, რომლის ინიციატივა საქართველოს გარეთ ძევს, საქართველოსთვის წამგებიანია მისი ეროვნული ენერგიის არარაციონალური ფლანგვის თვალსაზრისითაც და საზოგადოებრივი ჰარმონიისადმი ფრთხილი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებმა **შემაშფოთებელი ტენდენცია გამოკვეთა** – აქციებისა და კონტრაქციების მომრავლებამ და დაძაბულობის მკეთრმა ზრდამ საზოგადოების პოლარიზაცია რეალური გახადა. არის საფრთხე ქვეყანაში მოხდეს ისედაც დაძაბული ვითარების კიდევ უფრო ესკალაცია. რაც შესაძლებელია დიდ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

საქართველოს აღარ აქვს დრო და ფუფუნება თვითდინებაზე მიუშვას პროცესები. თავისი ქვეყნის შიგნით ქართველ ერს ჰმართებს დაცვა თავისი საჯარო სივრცისა ყოველგვარი უკიდურესობებისაგან, რომლებიც საზოგადოებრივ აზრზე ძალით ზემოქმედების მცდელობებს წარმოადგენენ.

ხელისუფლება არ შეიძლება იყოს მოვლენების პასიური დამკვირვებელი. ის უნდა იყოს მოწოდებული ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოებრივ ჯგუფებს, ასევე საზოგადოებასა ეკლესიას შორის თანამშრომლობის პლატფორმების შექმნას, რომლებზეც შესაძლებელი გახდება ღია, საჯარო, პრინციპული, სისტემატური და მუდმივი დისკუსიის მოწყობის ორგანიზება. „დიდი ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა“ (წმ. ილია მართალი).

ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული და მათი თანამედროვე ფორმების მიმცემი გამჭვირვალე და ობიექტური პროცესის წარმართვა, ადმინისტრირების სანდო სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, **რელიგიის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება** და კონსტიტუციით გარანტირებული კონკორდატის განხორციელების კონკრეტული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა პრობლემის გადასაწყვეტად პირველი რიგის ამოცანებია.

ამასთანავე, ხელისუფლებამ უნდა სრულყოს კანონმდებლობა, რითაც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს წარმატებული მართვის შესაბამისი ბერკეტი მიეცემა და, მეორე მხრივ, დაიცავს ერსა და სახელმწიფოს კაპიტულაციისაგან უცხო ძალების წინაშე, ანუ ისეთი დათმობებისაგან, რომლებიც ვნებს საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრატეგიულ ინტერესებს და რომელთა გამოსწორება შემდეგში შეუძლებელი იქნება.

ცივილიზებულ სამყაროს შემუშავებული აქვს და ცხოვრებაში წარმატებულად იყენებს, კანონის გარდა, ზნეობრივ სტანდარტებს, ეთიკური კოდექსის „დაწერილ“ თუ დაუწერელ ნორმებს. **მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მავნე ზემოქმედებისაგან იცავს ადამიანს და არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას.** (მაგ. აშშ-ის

ფედერალური კანონი „კომუნიკაციების ზნეობრივი სტანდარტების“ შესახებ). დასავლური მედიასივრცე დაუშვებლად მიიჩნევს ბილწსიტყვაობის, უხამსობის, ძალადობის და ა. შ. სტიმულირებასა და პროპაგანდას, როგორც ეს ხდება ქართულ არხებზე.

საქართველოში ასეთი კანონმდებლობის მიღება მიუწვდომელი ფუფუნება ხდება. მედია, თავისი ტოქშოუების მეშვეობით და სკანდალური გადაცემებით, რომელიც თავისი ყურადობის გაზრდაზეა ორიენტირებული საერთო პოზიციების შეჯერების ნაცვლად დაპირისპირების ესკალაციას უწყობს ხელს. ოპონირება დამყარებულია უმეცრებაზე, შემოქმედებითი ნიჭის არარსებობაზე და, უკეთეს შემთხვევაში, გამორჩეული საჯარო ყურადღების მოპოვების სურვილზე გამორჩეული პოზიტიური პირადი მახასიათებლების უქონლობის პირობებში.

ხელისუფლებამ მამობილიზებელი როლი უნდა იტვირთოს მთლიანი ქართული საზოგადოებრივი საქმიანობის გააქტიურებისა და ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობის დინამიური პროცესების წარმართვის საქმეში. საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, მისი მოზარდი თაობების ფსიქოლოგიური და მორალური ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებას მისცეს მეცნიერულად დაუსაბუთებელი პროპაგანდისაგან თავდაცვის საშუალება, რომელსაც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს და ტენდენცია აქვს ამ საზოგადოების გონებრივი და მორალური დონის დაქვეითებოსა მარგინალური ცივილიზაციის დონემდე.

IV

სამოქალაქო მშვიდობის დამყარება, ქვეყნის აღმშენებლობის დაწყება და არსებული დაპირისპირების თანამშრომლობის რელსებზე გადაყვანა შესაძლებელია, თუ მოხდება ეკლესიის მრევლის (მოსახლეობის უმრავლესობის) ორგანიზება აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად – **ერთ ადამიანში მრევლის წევრისა და სახელმწიფოს მოქალაქის ჰარმონიული შერწყმა** (სინერგია).

ერთი მხრივ, ეს ადამიანი, როგორც მრევლის წევრი, იქნება სულიერი შვილი დედა-ეკლესიისა, რომელიც ყოველთვის იყო და დღესაც არის თავისუფალი, ღირსეული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე, ეროვნული ცნობიერების, თავისი არსით დემოკრატიული, რეალურად ტოლერანტულ-მიმტევებელი და პატრიოტი პიროვნებების აღზრდისა და ჩამოყალიბების კერა. საქართველოს ეკლესია დღესაც საქართველოში არის ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ამკვიდრებს ხალხში აბსოლუტურ ზნეობრივსა და მორალურ ღირებულებებს, ანუ ცხოვრების ისეთ ამაღლებულ მიზნებს, რომელთათვისაც სიცოცხლის გაწირვა ღირდეს. იგი ადამიანებს აძლევს ღვთისგან დადგენილ კანონებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანმა უნდა მოიპოვოს შინაგანი მშვიდობა, თავისუფლება, განსაზღვროს და მოიწესრიგოს თავისი ცხოვრების წესი.

მეორე მხრივ, როგორც მოქალაქე, იგი იქნება საქართველოს სახელმწიფოს ერთგული შვილი, რომელიც

მოწოდებულია დაიცვას, განავითაროს და სამარადისოდ შეუნარჩუნოს თავის შთამომავლობას ქვეყანა – „საქართველო“, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მოსახლეობის უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სამოქალაქო მშვიდობა.

ასეთ მოქალაქეთა ერთობა ქმნის ძლიერ, მდგრად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო სივრცეს და, ამავდროულად, ხდება ეკლესიის სოციალური პარტნიორი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მას ძალუძს მოძებნოს საკუთარი ადგილი ცივილიზებულ თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს მიმდინარე გამოწვევებზე და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი პიროვნული და ეროვნული თვითმყოფადობა, რომელიც განისაზღვრება ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული სისტემით და ქართული ტრადიციულ ყოფა-ცხოვრების წესებით, შეინარჩუნოს ერთიანი ეროვნული ცნობიერება, საქართველოს კულტურის ერთიანი სივრცე, ზოგადქართული ყოფა-ცხოვრების ტრადიციად დამკვიდრებული წესით; რიგითი კაცის ცნობიერებაში აღდგება ქართული ინტელექტით, დამწერლობით და ზეპირსიტყვიერებით შექმნილი სინამდვილე, საკაცობრიო სინამდვილეში თანაარსებობის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული და განმტკიცებული. საკუთარი ქვეყნისა და საკაცობრიო კულტურის სინთეზის მატარებელი, ისტორიულად და ტერიტორიულად საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში ჩამოყალიბებული, სხვადასხვა კუთხეში დაბადებული და გაზრდილი.

ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელი ზნეობის ნორმებიდან გადახვევას კი ეს მორწმუნე და სოციალურ-პოლიტიკურად მოწიფული რიგითი კაცი განიხილავს, არა როგორც „შეურიგებელ კლასობრივ მტრობას“, არამედ როგორც ინდივიდის კონფლიქტს საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან, როგორც ტრადიციებისაგან მოწყვეტას და აღზრდის ხარვეზს; ამასთანავე, მხოლოდ ასეთ და თავის ღირებულებებში დარწმუნებულ ადამიანებისგან შემდგარ უმრავლესობას ძლუძს შექმნას ისეთი მდგრადი სამოქალაქო სივრცე, **რომელიც ერთი მხრივ გამორიცხავს ავანტურისტებისა და სხვა ქვეყნის დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან სხვადასხვა უმცირესობებისა თუ ჯგუფების სახელმწიფო რყევების ორგანიზების პროცესში გამოყენებას და, მეორე მხრივ იქნება ამ უმცირესობებისთვის თავიანთი უფლებების რეალიზაციის გარანტი.** ამ უკანასკნელის გააზრება და თანამედროვე ცხოვრების პირობებში ადაპტირება კი ასეთი მოქალაქისა და მთლიანად სახელმწიფოს (საზოგადოების) მთავარი საზრუნავი გახდება.

საქართველოს ეკლესია მუდამ იყო არა მარტო რელიგიურ-აღმსარებლობითი მიმართულების ინსტიტუტი, არამედ ეროვნულ-საკაცობრიო და მაღალზნეობრივი ქმედებების მასტიმულირებელი, ხელისშემწყობი და, ხშირად, საკუთარი თვითშეწირვით მაგალითის მიმცემიც. ეს ფუნქცია მას თვით მებრძოლი ათეიზმის პირობებშიც კი ვერ წაართვეს. „საბჭოთა უძრაობისა“ და სტაგნაციის

დროს სწორედ ეკლესიის წიაღში წარმოიშვა თავისუფალი ქართული სამოქალაქო სივრცე, რომლის წარმომადგელებმა ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწფოს შექმნის **საქმეში. დღესაც, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ თავისი ძალისხმევა უნდა მიმართოს გათითოკაცებული ინდივიდების ერთიან სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირებაში, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. მასზე უკეთესად ამას ვერავინ შეძლებს.**

ძლიერი სამოქალაქო პარტნიორის არსებობა მოხსნის მტრულად განწყობილი ძალების მხრიდან საქართველოსა და მის ეკლესიაზე შეტევების საფრთხეებს. საქართველოს ეკლესია, გარედან ზეწოლის შემცირების პარალელურად თვითონვე მოუვლის მის წიაღში არსებულ პრობლემებს (ეკლესია თავისთავად ცოცხალი ორგანიზმია, სადაც შეიძლება გარკვეული პრობლემა რეალურად არსებობდეს), ეკლესიას გამოიყვანს თავდაცვის მდგომარეობიდან და ის ღია, საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის გახსნილი და შემკრები ინსტიტუტი გახდება.

ერთ ადამიანში სახელმწიფოს მოქალაქისა და მრევლის წევრის ჰარმონიული შერწყმა გარანტიაა იმისა, რომ ადამიანი აღარ დაუბრუნდეს საბჭოეთისთვის დამახასიათებელ მდგომარეობას, როცა საჯარო სივრცეში ლენინის ციტატებით საუბრობდა, სახლში კი იმავე ლენინზე იგივე კაცი ანეგდოტებს ჰყვებოდა. ასეთი გაორებული ადამიანი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს მშენებელი ვერ იქნება, ვერ იქნება მორალური პასუხისმგებელი თავისავე გადაწყვეტილებაზე. ის მხოლოდ ბუზღუნა, მაგრამ მორჩილი და მართვადი „კეთილგონიერი შემგუებელი“ მასის შემადგენელი წევრი იქნება.

თუ ეს ჰარმონია დაირღვა, ეკლესია დაკარგავს პარტნიორს და, თავის მხრივ, მოქალაქე კარგავს თავისი ცნობიერების ერთ-ერთ მკვიდრ საფუძველს, ზნეობრივ მარეგულირებელს, ძლიერების წყაროს და სულიერ ორიენტირს. ადამიანი დარჩება ან როგორც მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლისთვის განწირული მაღალ ზნეობრივ ღირებულებებისკენ გზამოჭრილი მდაბალ ინსტიქტების დაკმაყოფილებისკენ მიდრეკილი ადვილად მართვადი, უპასუხისმგებლო, პიროვნული თვითმყოფადობისაგან დაცლილი უსახური, მორჩილი მასის ნაწილი. სახელმწიფო კი დარჩება მუდმივი არასტაბილურობისთვის განწირული ღირსეული და შეგნებული სახელმწიფოებრივი მოტივაციის მქონე მოქალაქეთა გარეშე. ეს ფორმულა გამოიყენება სხვა აღმსარებლობის მატარებელ ან საერთოდ ათეისტი ადამიანების მიმართაც, რადგანაც მათ თავისი ხედვების დაცვისა და განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ მყარი თავისუფალი საზოგადოების პირობებში ექნებათ.

სახელმწიფო ინსტიტუტების, ეკლესიისა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა დროის მოთხოვნაა. „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის,

საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ – იშვიათი!“ – წმ ილია მართალი.

საზოგადოებამ უნდა მოძებნოს საკუთარ თავში ძალა, რომ თვალი გაუსწოროს საშიშროებას და იმოქმედოს ვითარების შესაბამისად, თუნდაც ამის გამო დღეს პრობლემები შეექმნას, რადგან ხვალ უფრო დიდი განსაცდელის წინაშე იქნება. საჭიროა ქართულმა პოლიტიკამ და სამოქალაქო საზოგადოებამ მოახდინოს ახალი რეალობების კომპლექსური ანალიზი და ჩამოაყალიბოს კონკრეტული მექანიზმი საფრთხეების ლიკვიდაციის თვალსაზრისით. გათვალისწინებული უნდა იქნას წინაპრების გამოცდილება, რომელიც ეფუძნება საქართველოს მოქალაქეთა თვითიდენტიფიკაციის, საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების ხელშეუხებლობის დაცვის და განვითარების პრინციპებს. სასწავლი გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ მიზნის რეალიზების ტექნოლოგია.

მხოლოდ მათზე დაყრდობით არის შესაძლებელი დანაწევრებული საზოგადოების გაერთიანება. ქართველ ერს უფლება აქვს (და ვალდებულებაც!), დაიცვას თავისი ღირებულებები, რადგანაც „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან... ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“ (წმ. ილია მარათლი).

ლიტერატურა:

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს). დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი.აბულაძის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1967, წიგნი II, გვ. 162.
2. ქართლის ცხოვრება, ტომი II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1955. გვ. 118
3. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია კომუნისტური აგრესიის შესახებ საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში #6 აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა ოთხმოცდამესამე კონგრესი მეორე სხდომა 1954.
4. დავით გურამიშვილი დავითიანი, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1998. გვ. 73.
5. ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თბ., 1881, გაზ.: „ივერია“.

✍ ეთერ შამანაძე

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის (ნატოს) სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები

ნატო არის ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსის საფუძველზე, თითოეული წევრი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოს, განურჩევლად მისი ტერიტორიული სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერებისა აქვს თანასწორუფლებიანი სიტყვა განხილვებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს. ნატოს გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ორგანოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო წარმოადგენს. გადაწყვეტილების მისაღებად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრები სამ დონეზე იმართება: ელჩების, მინისტრების და სახელმწიფოს მეთაურების დონეზე (მათ შეხვედრას სამიტი ეწოდება).

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომებს ნატოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.გენერალურ მდივანს სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: 1. ის არის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის, ნატო-რუსეთის საბჭოს, ნატო-უკრაინის საბჭოს, ნატო-საქართველოს საბჭოსა და ხმელთაშუა ზღვის დიალოგის თავმჯდომარე; 2. ის მოქმედებს ორგანიზაციის სახელით; გამოხატავს ორგანიზაციის პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; 3. ის არის ალიანსის უმაღლესი წარმომადგენელი და ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი პირი. ნატოს გენერალურ მდივანს ხმის მიცემის უფლება არ აქვს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთი წევრი ქვეყანა, რომელსაც გენერალური მდივანი წარმოადგენს, ორი ხმით ისარგებლებდა, ნატოში კი თითოეულ წევრ ქვეყანას ერთი და თანაბარი ძალის ხმის უფლება აქვს. ნატოს გენერალური მდივანი წევრი სახელმწიფოების მიერ 4 წლის ვადით ინიშნება. დღემდე ნატოს სულ 12 გენერალური მდივანი ჰყავდა. ამჟამად ალიანსის მთავარ პოსტს ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი იკავებს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა. ნატოს დამფუძნებელი ქარტიის (ვაშინგტონის ხელშეკრულება) მე-5 მუხლში მოცემულია კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება, რომლის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრ

სახელმწიფოზე. არსებულ შემთხვევაში, ალიანსი დახმარებას გაუწევს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყანას ან ქვეყნებს და განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. მე-5 მუხლი ნატოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის 12 სექტემბერს ამოქმედდა, აშშ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის მომდევნო დღეს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ გააჩნია შეიარაღებული სამხედრო ძალები მუდმივ საწყისებზე. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ვალდებულია გამოყოს განსაზღვრული რაოდენობისა და სახეობის შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად. თუმცა 2006 წლიდან ნატოს სრულ მზადყოფნაში ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი „სწრაფი რეაგირების ძალები“ (NRF-NATO Response Force), რომლებიც მოიცავს სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს.

სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურებმა ნატოს პრაღის სამიტზე 2002 წელს მიიღეს. ნატოს დოქტრინის თანახმად, ამ ძალების მთავარი ამოცანა, საჭიროებისამებრ, კონკრეტული პლაცდარმის ხუთი დღის განმავლობაში დაკავება და ძირითადი ძალების მხრიდან სრულმასშტაბიანი ოპერაციის დაწყების ხელშეწყობაა. ბოლო პერიოდში ევროპაში შექმნილი ახალი გარემოებების გათვალისწინებით სწრაფი რეაგირების ძალების რაოდენობა 13000-დან 30000-მდე გაიზარდა.

ნატოს შტაბ-ბინა ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) მდებარეობს. მასში განთავსებულია: წევრი სახელმწიფოების ეროვნული დელეგაციები, ორგანიზაციის პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტები, გენერალური მდივნის ოფისი და საერთაშორისო სამსახური, საერთაშორისო სამხედრო სამსახური, პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიები და სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულები.

ნატოს აქვს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა, რომლის საქმიანობაც მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს. თითოეული ეს სტრუქტურა ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს – ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს.

სამოქალაქო სტრუქტურა

ალიანსის ყველა წევრ ქვეყანას ნატოს შტაბ-ბინაში მუდმივი წარმომადგენელი/დელეგაცია ჰყავს. მას ხელმძღვანელობს ელჩი, რომელიც თავისი ეროვნული მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებს. დელეგაცია, ძირითადად, დაკომპლექტებულია სახელმწიფოს საგარეო და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებით. ის ფაქტი, რომ ეროვნული დელეგაციები ნატოს შტაბ-ბინაში მუშაობენ, ხელს უწყობს მათ საერთაშორისო სამსახურთან ოფიციალურ და არაოფიციალურ ურთიერთობებს. ნატოს შტაბ-ბინა წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის ადგილს პარტნიორ და წევრ

ქვეყნებს შორის, რომელიც სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების მიზნით, მათ ერთობლივ მუშაობას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო სამსახური ნატოს საკონსულტაციო და ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსა და დაქვემდებარებულ კომიტეტებს ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება. საერთაშორისო სამსახური წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შედგება. ისინი ნატოს მიერ არიან დაქირავებულები ან შესაბამისი ეროვნული ორგანოების მიერ 3-4 წლის ვადით ინიშნებიან. ნატოს საერთაშორისო სამსახური უშუალოდ გენერალურ მდივანს ექვემდებარება. კონსულტაციებისა და ადმინისტრაციული ვალდებულებების გარდა, საერთაშორისო სამსახური ჩართულია ალიანსის გაფართოების პროცესში. საერთაშორისო სამსახურის თანამშრომლები აქტიურად ეხმარებიან ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს გარკვეული ვალდებულებების განხორციელების პროცესში.

სამხედრო სტრუქტურა

ნატოს სამხედრო კომიტეტი წარმოადგენს ნატოს უმაღლეს სამხედრო ორგანოს, რომელიც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექვემდებარება. სამხედრო კომიტეტი ადგენს ინსტრუქციებს ნატოს პოლიტიკური სტრუქტურებისათვის, სამხედრო სტრატეგიასთან დაკავშირებით და პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო საქმიანობაზე. სამხედრო კომიტეტი აფასებს ნატოსთვის შესაძლო საფრთხის შემცველი ქვეყნების სამხედრო ძლიერებასა და შესაძლებლობებს. საომარი მდგომარეობის, კრიზისული სიტუაციების ან ალიანსის სამშვიდობო-სამხედრო ოპერაციების დროს მას ევალება მოხსენებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფისათვის. აღსანიშნავია, რომ სამხედრო კომიტეტი შეიმუშავებს დირექტივებს ნატოს სამხედრო სარდლობებისათვის. ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთო უსაფრთხოების, თავდაცვისა და კრიზისების მართვის საკითხებზე ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლებთან.

ნატოს ჰყავს სტრატეგიული მნიშვნელობის ორი მთავარსარდლობა: 1. მოკავშირეთა მთავარსარდლობა ევროპაში, რომლის შტაბ-ბინაც განთავსებულია მონსში (ბელგიის სამეფო); 2. მოკავშირეთა ტრანსფორმაციის მთავარსარდლობა, რომლის შტაბ-ბინაც მდებარეობს ნორფოლკში (ვირჯინია, აშშ). მოკავშირეთა მთავარსარდალი ევროპაში მეთაურობს მოკავშირეთა ოპერაციების სარდლობას და ხელმძღვანელობს მოკავშირეთა მიერ გადაცემულ ძალებს. იგი პასუხისმგებელია ნატოს ყველა სახმელეთო ოპერაციაზე, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა. ევროპაში მოკავშირეთა მთავარსარდლის პოზიცია, ტრადიციულად, ამერიკელ სამხედრო მაღალჩინოსანს უკავია, რომელიც ამავდროულად შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის მეთაურსაც წარმოადგენს. ხოლო მოკავშირეთა მთავარსარდალი ტრანსფორმაციის დარგში, პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო შესაძლებლობათა მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესზე.

საქართველო და ნატო

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში.

ნატო-საქართველოს კომისიის მიზნები:

- გააღრმავოს პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა ნატოსა და საქართველოს შორის ყველა შესაბამის დონეზე;
- ზედამხედველობა გაუწიოს ნატოს ბუქარესტის სამიტზე დაწყებული პროცესის წარმართვას;
- კოორდინაცია გაუწიოს ალიანსის ძალისხმევას, ხელი შეუწყოს 2008 წლის ომის შედგების აღმოფხვრას;
- ხელი შეუწყოს საქართველოს ძალისხმევას, განაგრძოს პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვის რეფორმები, ნატოში გაწევრიანების მიზნით მის ევროატლანტიკურ მისწრაფებასთან დაკავშირებული მიმართული დემოკრატიული და ინსტიტუციონალური მიზნების მისაღწევად.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ყოველ ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაში მასპინძლობს სამიტს, სადაც წევრი ქვეყნების მთავრობების მეთაურები განიხილავენ ორგანიზაციის წინაშე მდგარ სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებსა და იმ მომენტისთვის არსებულ გამოწვევებს. ნატოს დაარსებიდან დღემდე სულ 27 სამიტი გაიმართა. ბოლო სამიტი 2016 წლის ივნისში, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში შედგა.

საქართველოსთვის განსაკუთრებული დატვირთვისა და მნიშვნელობის სამიტი 2008 წლის აპრილში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა. სწორედ აქედან მოყოლებული სამიტების ქრონოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება: 2008 წლის 2-4 აპრილი – ბუქარესტი, 2009 წლის 2-3 აპრილი – ერთდროულად მიმდინარე სამიტი სტრასბურგსა და კელში, 2010 წლის 19-20 ნოემბერი – ლისაბონი, 2012 წლის 20-21 მაისი – ჩიკაგო, 2014 წლის 4-5 სექტემბერი – უელსი და ბოლოს 2016 წლის 8-9 ივლისი – ვარშავა.

- **1992** წელს საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი (NACC);
- **1994** წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას (PfP);

- **1998** წლის 22 აპრილს გაიხსნა საქართველოს დიპლომატიური მისია ნატო-სთან და საქართველოს ელჩმა რწმუნებათა სიგელი გადასცა ნატოს გენერალურ მდივანს;
- **1999** წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში;

საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ჩართულნი იყვნენ 1999-2008 წლებში კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR-Kosovo Forces). პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში 1999 წელს გამოჩნდა, (კოსოვოში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის განთავსების შემდეგ). 34-კაციანი ქართული ოცეული ქ. მამუშაში თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხებოდა. 2003 წლიდან ქართული სამშვიდობო კონტინგენტი კოსოვოში რამდენჯერმე გაიზარდა. ქ. პრიზრენში გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში ჩავიდა 150-კაციანი ქართული ასეული. ამის შემდეგ კოსოვოში მუდმივად იმყოფებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 180-ზე მეტი წარმომადგენელი. მათი როტაცია ყოველ 7 თვეში ერთხელ ხდებოდა (გერმანულ ბრიგადაში გასაგზავნი ქართველი სამხედროები რამდენიმე კვირა ჯერ გერმანიაში ემზადებოდნენ და შემდეგ ჩადიოდნენ კოსოვოში, ქ. პრიზრენში). კოსოვოში ქართული კონტინგენტი 2008 წლამდე იმყოფებოდა.

2015 წლიდან საქართველო განაგრძობს ნატოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ჩართულია გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მომსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. ასევე, 2015 წლიდან საქართველო ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF – NATO Response Force). 2002 წელს პრაღის სამიტზე სათავე დაედო გადამწყვეტი მნიშვნელობის რამდენიმე ინიციატივას, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნატოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაა. 2006 წლიდან ნატოს სრულ ოპერატიულ მზადყოფნაში ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი სწრაფი რეაგირების ძალები.

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა 2015 წელს, 27 აგვისტოს (NATO Response Forse), რომლებიც მოიცავს სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს. აღნიშნული ძალების რაოდენობა დაახლოებით 25 000 კაცს შეადგენს. ისინი მუდმივ მზადყოფნაში არიან, ბრძანების შესაბამისად, დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსდნენ 5 დღის ვადაში და ერთი თვის განმავლობაში თავიანთი რესურსებით უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციებისა და დავალებების შესრულება. ნა-

ტოს სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენს მნიშვნელოვან საბრძოლო გამოცდილებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების მიმართულებით. სამშვიდობო და სტაბილიზაციის ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, არის ნატოს სანდო პარტნიორი და ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული ნატოსთან თავსებადი ჯარი, რაც ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი კრიტერიუმია. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით, სამხედრო მოსამსახურეები უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას იღებენ, რაც ხელს უწყობს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას. დღეისათვის დაახლოებით 14 000-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა ამგვარი სამხედრო მომზადება. საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო და სტაბილიზაციის მისიებში საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა მსხვერპლი, რომელსაც საქართველო საერთაშორისო ოპერაციებში იღებს, ძალიან მძიმე და დიდია. ავღანეთის საერთაშორისო მისიაში გმირულად დაეცა საქართველოს შეიარაღებული ძალების 31 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ერაყში – 5. (2015 წლის დეკემბრის მონაცემებით)

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში, ნატოს სამშვიდობო მისიის დროს (ISAF – International Security Assistance Force) გარდა კოსოვოსა და ავღანეთის მისიებისა, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში (2004-2008წწ.). ხაზგასასმელია, რომ ერაყის ოპერაცია ნატოს ეგიდით არ მიმდინარეობდა და კოალიციური ძალებს ერაყში ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდა.

ეთერ შამანაძე

რეზიუმე

ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსი (ნატო) წარმოადგენს სამხედრო-პოლიტურ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს. ნატო შედგება ამერიკის ორი და ევროპის ოცდაშვიდი სახელმწიფოსაგან. ნატოს მთავარი მიზანია ჩრდილოეთატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო საშუალებებით. ალიანსი მკაცრად იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. ჩრდილოეთ-

ატლანტიკურ ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის მეშვეობით. ნატოს ყველა წევრ ქვეყანას თანასწორუფლებიანი სიტყვა გააჩნია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტილების მიღების დროს. ჩრდილოეთატლანტიკური საბჭოს სხდომებს ნატოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. ამჟამად ნატოს გენერალური მდივანი გახლავთ ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა. ალიანსს არ გააჩნია შეიარაღებული სამხედრო ძალები მუდმივ საწყისებზე.ნატოს აქვს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა, რომლის საქმიანობაც მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს. თითოეული ეს სტრუქტურა ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს- ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს.

ETER SHAMANADZE

Summary

The North Atlantic Alliance (NATO) is the military-political organization which has been founded on April 4, 1949. NATO consists of two American and twenty seven European states. The main objective of NATO - to ensure the peace in North Atlantic space and also freedom and safety of member states, both political, and military ways. The alliance strictly protects and respects such values as sovereignty, territorial integrity, democracy, individual freedom, human rights and rule of law of NATO member states. All decisions in the North Atlantic Alliance are made on the basis of a consensus. All NATO member states have the equal rights during decision-making of any question. The NATO Secretary General is the head of North Atlantic council. The current NATO Secretary General - the former prime minister of Norway Jens Stoltenberg. One of the key principles of the North Atlantic Alliance is collective defense. The alliance has no armed forces on a constant basis. NATO has civil and military structure which activity includes political and military aspects.

ლიტერატურა:

1. ზ. აბაშიძე, „ნატო და საქართველო“ უტოპიიდან რეალობისაკენ, თბ., 2000.
2. ნ. ჩიტაძე, „ნატო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, თბ., 2008.
3. ე. გვენეტაძე, რ. რუხაძე „ნატო (NATO) საერთაშორისო ურთიერთობებში“, თბ., 2009.
4. http://infocenter.gov.ge/nato-structure/#1
5. https://www.nato.int/nato-welcome/index.html
6. საქართველო - ,,ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები“. თბ., 2007.
7. ზ. აბაშიძე, „ნატო და საქართველო“ უტოპიიდან რეალობისაკენ. თბ., 2000.

✍ *თინათინ კოსტავა*

პიროვნების და საზოგადოების თანაფარდობის პრობლემა

ფილოსოფიურ მეცნიერებაში ამ პრობლემას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც თავად ფილოსოფიას. ბევრს მიაჩნდა, რომ „ადამიანის არსის, მატერიალურ, სულიერ, ზნეობრივ ასპექტებში მისი გამოვლენის შესწავლა ყველაზე ძირითადია იმ პრობლემთა შორის, რაც კი საკაცობრიო მეცნიერების წინაშე მდგარა ისტორიის მანძილზე. აქ მხედველობაში კიდევ ერთი გარემოებაა მისაღები: ადამიანმა თავისი არსებობის მანძილზე უფრო მეტი ცოდნა შეიძინა ბუნების შესახებ, ვიდრე თავის თავზე. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანი არსებობისთვის ბრძოლამ აიძულა ადრე დაიწყო ბუნების შემეცნება და როცა ბუნებასთან ურთიერთობაში „მოაგვარა“ საარსებო

საშუალებების საკითხი და მის სიცოცხლეს შენარჩუნების საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მხოლოდ შემდეგ დაფიქრდა იგი თვითშემეცნების პრობლემაზე, ამდენად, ბუნების შემეცნებას უფრო დიდი ისტორია აქვს, ვიდრე ადამიანის შემეცნებას. თითქმის არ დარჩენილა ისტორიაში ფილოსოფოსი, რომლის წინაშე მეტნაკლებად არ დასმულიყო ადამიანის არსისა და რაობის საკითხი, მაგრამ საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზია, ბუნებრივია, არც ერთ მათგანს არ შეიძლება ჰქონდეს და ადამიანის კვლევა, ადამიანის არსში წვდომის პროცესი გრძელდება. მისი არსის მიგნება განსაკუთრებულ სიძნელეებს დღესაც აწყდება.

როგორც აღვნიშნეთ, თვითონ საკვლევი საგნის სპეციფიკურობითაა განპირობებული. საქმე, უპირველეს ყოვლისა, ეხება სუბიექტის დინამიკურობას, მუდამ „გზაში ყოფნას“. ამიტომაც ადამიანის არსი დაფარული და ამოუცნობია.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს რომელიმე ერთი დებულება, ადამიანის არსს ზედმიწევნით გამოხატავდეს; არც ადამიანის „მკაცრი“ დეფინიციაა ჩამოყალიბებული;

ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი ზედმიწევნით რთული, უნიკალური, მრავალმხრივი და არსობრივად ღრმა ფენომენია. მის შესახებ ვერ იმსჯელებ მხოლოდ გარეგნული ნიშნებით და ვერც მოქმედების მანერებით. ადამიანის არსი, მისი ბუნება განსხვავებულ გარემოსა და სიტუაციაში სრულიად სხვადასხვა ფორმითა და სახით მჟღავნდება, რაც მისი ბუნების მრავალმხვრივობასა და მრავალგანზომილებას ადასტურებს.

აკად. ა. ბოჭორიშვილის აზრით, ადამიანის ისეთი დეფინიცია, რომელიც ერთადერთი და ყველას მიერ იქნება აღიარებული, არ არსებობს და ამიტომ არის დღესაც ადამიანის

პრობლემა აქტუალური კვლევის საგანი, იმავე მეცნიერის აზრით. ადამიანის სამ ძირითად მახასიათებლებს გამოყოფენ: სხეული, სული (ფსიქიკა) და გონება.

ადამიანის არსის განსაზღვრისას რამდენიმე თვისებას მიუთითებენ. ადამიანის არსი ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა. ვერ იარესებებს ადამიანი და ვერც მოიაზრება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა კანონი, თვისება და მოვლენა თავს იყრის ადამიანში. ადამიანი ამ ურთიერთობათა თავშეყრის ადგილია, ანუ მათი „ერთობლიობაა“.

ამრიგად, ადამიანის არსი არ არის მისი ერთი რომელიმე თვისება და ნიშანი, როგორც თავად ადამიანი მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებებისა და ნიშნების მთლიანობაა განსაკუთრებით კი პოლიტიკაში.

ადამიანს არისტოტელე განსაზღვრავს, როგორც პოლიტიკურ ცხოველს, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს სახელმწიფოში, სხვ, ასევე, „სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ“ ადამიანებთან ერთად.

შუა საუკუნეების ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნის, პოლიტიკის თეორიაში გამორჩეული ავტორიტეტის თომა აქვინელის მტიცებით, „ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი“. ე.ი ადამიანს მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია არსებობა და განვითარება, საზოგადოებრიობა მისი არსებითი და სპეციფიკური ატრიბუტია.

საკმაოდ პოპულარული და აღიარებულია მე-19 საუკუნის ამერიკელი მოაზროვნის ფრანკლინის ორიგინალური განსაზღვრება – „ადამიანი არის ცხოველი, რომელიც იარაღს ამზადებს და იყენებს“. ყველა ცხოველი მოიხმარს მხოლოდ იმას, რასაც მზა სახით აწვდის მას ბუნება. ადამიანი ერთადერთია ცხოველთა ამ უზარმაზარ სამყაროში, რომელიც ბუნებრივი საგნების გარდაქმნით ამზადებს იარაღს და მათი გამოყენებით იფართოებს ბუნებით სარგებლობის არეალს.

გონიერი, მოაზროვნე ცხოველის შესახებ მსჯელობის მომდევნო განვითარებით გერმანელმა ფილოსოფოსმა კასირერმა „ადამიანი სიმბოლოების შემქმნელ ცხოველად“ განსაზღვრა. მისი აზრით, ყველაზე არსებითი და სპეციფიური, რაც ადამიანს სხვა ცხოველისაგან გამოარჩევს და მის გონებას ამტკიცებს, არის ის, რომ მას შეუძლია შექმნას სიმბოლოების ისეთი სისტემა, როგორიცაა: მითოლოგია, პოეზია, რელიგია, ისტორია და კომუნიკაციის ისეთი საშუალება, როგორიც ენაა. ასეთი უნარი არც ერთ სხვა ცხოველს არ გააჩნია.

ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი, რაც ადამიანს სხვა სამყაროსაგან განასხვავებს, ეს ადამიანის ყოფიერების წესია. სწორედ ყოფიერების წესი არის ის მთავარი და ძირითადი, რომელიც ადამიანის თავისებურებას ამჟღავნებს. ადამიანიც და ცხოველიც ისწრაფვის დაიკმაყოფილოს ის ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელიც მას უჩნდება გარემოსადმი დამოკიდებულების პროცესში.

განსხვავება ისაა, რომ ცხოველს ძირითადად მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილებანი შეიძლება ჰქონდეს, ხოლო ადამიანს, გარდა ამისა,

გაცნობიერებული, გონებრივი განსჯის შედეგად ჩამოყალიბებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი და ა.შ. მოთხოვნილებანი.

გარდა ამისა, ადამიანის ყოფიერებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ისაა, რომ ადამიანის საქმიანობის სფერო ვერ ეტევა ბუნების სივრცეში და გადის მის გარეთ, თანდათან იფართოებს არსებობისა და ფუნქციონირების არეალს.

სარგებლობს რა ბუნებაში არსებული მზამზარეული საგნებით, ადამიანი, მის გარდა, თავად ქმნის ახალ და ახალ პროდუქციას მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ადამიანი სამყაროს წვდომის უწყვეტ პროცესშია ჩაბმული და თანდათან უფრო ღმად იმეცნებს სამყაროს; მეტად და მეტად იმორჩილებს მას საკუთარი ინტერესებისათვის. ამ პროცესში ადამიანის ყველა მოქმედებას შეგნებული, მიზანდასახული ხასიათი აქვს და ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის განსხვავებულობას სხვა ცხოველებისგან, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ინსტიქტური ქცევაა.

ადამიანი მუდმივ მოქმედებაშია; იგი არასდროს არ არის ცხოვრების უბრალო მჭვრეტელის როლში; იგი შემოქმედი სუბიექტია და მუდმივად შემოქმედებით პროცესში იმყოფება. ამრიგად, ჩვენ ადამიანის ძალიან მნიშვნელოვან არსობრივ განსაზღვრულობას გავუსვით ხაზი – ადამიანი არის ყოფიერებასთან მიმართების შესაძლებლობა, რომელსაც იგი ცნობიერების საშუალებით აფუძნებს.

ადამიანის არსობრივ მახასიათებლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას მუდმივად ახასიათებს მისწრაფება – გადალახოს საკუთარი ემპირიული ყოფნის საზღვრები და წინ გაიჭრას, ანუ მას აუცილებლად სჭირდება ორი არსი- რეალური და იდეალური. „რეალურ არსში შემოსული იდეალური არსი რეალურ თვისებებს იძენს და მოქმედებისაკენ (შემოქმედებისაკენ) წარმართავს სუბიექტს“.

იდეალური ადამიაში მუდმივად აღძრავს მოთხოვნილებას, ხოლო მოთხოვნილებანი მოქმედებას, მისწრაფებებს, მიზანდასახულ, გაცნობიერებულ ქცევას. სწორედ ესაა მთავარი და ძირითადი. ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანს, ვიტალური მოთხოვნილებების გარდა, აქვს გონითი (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი, სულიერი, რელიგიური, ესთეტიკური და ა.შ) მოთხოვნილებანი და ინტერესები.

გარდა ამისა, ცხოველი ყველა შემთხვევაში. თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფფილებლად მოქმედებისას მთლიანად რჩება ბუნბის ფარგლებში; იგი არაფერს ახალს, მისგან განსხვავებულს არ ქმნის და ვერც შექმნის. ადამიანი კი ვერ „ეტევა“ ბუნების ფარგლებში; მას არ ყოფნის ბუნებრივი სივრცე, რაც არ არის საკმარისი მისი არსებობისა და ფუნქციონირებისათვის. ამიტომ იგი გადის ბუნების საზღვრებს გარეთ და აქტიურად მოქმედებს ცხოვრების ყველა სფეროში.

ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობა შეეხება პიროვნების პოლიტიკურ სფეროში მოღვაწეობას, კერძოდ, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან

და ხელისუფლებასთან მისი მიმართების პრობლემებს.

ვიდრე უშუალოდ ამ პრობლემებზე საუბარს დავიწყებდეთ, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ადამიანის ცნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნიუანსის განმარტება. ცნება „ადამიანი“ საკმაოდ მრავლისმომცველია. მასში ნაგულისხმევმა აღრევამ შეიძლება გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს. საქმე ეხება ცნების ისეთ დაკონკრეტებას, როგორიცაა: ადამიანი, ინდივიდი (პირი) და პიროვნება. ხშირად მათი, იგივეობრივი მნიშვნელობით გამოყენება გაუგებრობას ქმნის, თუმცა პრინციპში საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფენომენის ნაირსახეობასთან.

„ადამიანს აუცილებლად აქვს მისი განმსაზღვრელი ორი არსი: უზოგადესი და საკუთრივი (ინდივიდუალური). ერთი მხრივ, ის არის ადამიანი (და არა სხვა რამე), მეორეს მხრივ კი, „ასეთი ადამიანი, გარდა ინდივიდისა (პირისა), ასევე პიროვნების სახითაც არსებობს. პიროვნებად ადამიანი იმთავითვე არ ჩნდება, იგი ასეთად იქმნება, ყალიბდება.

ყოველი პიროვნება ადამიანია, მაგრამ ყოველი ადამიანი არ არის პიროვნება. პიროვნება ადამიანის განსაკუთრებული ტიპია. პიროვნება ადამიანის „სუბსტანციაა“, იგი „ადამიანის ცენტრია“.

ის, რომ პიროვნებაზე საუბრის დროს მხედველობაში ჰყავთ ადამიანი, კონკრეტული ინდივიდი, ამაში სადავო თითქმის არაფერია, რამდენადაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიროვნებაში აუცილებლად ადამიანიც იგულისხმება, მაგრამ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ადამიანი პიროვნება არ არის, მაშინ საკითხის სრულად გარკვევის აუცილებლობა ნათელი გახდება. პიროვნებად ადამიანი ყალიბდება, მაშასადამე, გარკვეული დროის მანძლზე ეს ორი ცნება შინაარსობრივად ერთმანეთს არ ემთხვევა.

ყოველდღიურ საუბარში, პიროვნებისა და ადამიანის ცნების გარდა, მსგავსი მნიშვნელობით გამოიყენება ინდივიდი. თითქოს სადავო და დაუშვებელი არც აქაა არაფერი, მაგრამ საქმე ისაა, რომ როცა პოლიტიკის სუბიექტზე გვექნება საუბარი, ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი – პიროვნება, ადამიანი, ინდივიდი სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიყურებოდეს. ამიტომ ყველა ასპექტში ერთი მნიშვნელობით ეს ცნებები არ უნდა გამოიყენებოდეს; მეტიც, მათი იდენტური შინაარსით გამოყენება სირთულეს და გაუგებრობას შექმნის; ამიტომ ცნებათა გამიჯვნის აუცილებლობა არსებობს. მით უფრო, რომ წინამდებარე ნაშრომში პიროვნების, ადამიანისა და ინდივიდის ცნებები მხოლოდ მეცნიერული გაგებით გამოიყენება.

თუ ისევ ადამიანის პოლიტიკური სუბიექტობის საკითხს დავუბრუნდებით, აქ ცნებების აღრევამ, თუ გაუგებრობა არა, გარკვეული უხერხულობა შეიძლება შექმნას.

სხვა საქმეა მსჯელობა ზოგადად ადამიანზე, როგორც პოლიტიკის ძირითად სუბიექტზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე პოლიტიკაში და სხვა კონკრეტული პიროვნების, კონკრეტული ინდივიდის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში, მისი როლისა და მნიშვნელობის კონკრეტული გამოვლენა, მისი ინდივიდუალური თვისებების უნარ-ჩვევების შეფასება.

ადამიანი გარკვეული ბიოლოგიური სახეობის – ჰომო საპიენსის (გონიერი ადამიანი) წარმომადგენელია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს მის ასაკს, ნიჭს, უნარს, ფსიქიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობასა და ა.შ. ყველა მათგანი ადამიანია. ვიდრე ადამიანი ჰომო საპიენსის სახით მისი წინაპარი ცხოველისაგან ჩამოყალიბდებოდა, მან ხანგრძლივი ევოლუციის პროცესი განვლო.

პიროვნება არ არის ბუნებრივად მოცემული არსება, იგი გამომუშავდება კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიულ მოძრაობაში, „პიროვნების ფორმირების პროცესი, არსებითად რევოლუციური, მტკივნეული პროცესია და ამიტომაც მძიმე და მიუღებელი მოსახლეობის მასისათვის, რომლებიც აგრძელებენ ცხოვრებას არაპიროვნულ სამყაროში.

პიროვნებად ჩამოყალიბებული ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური არსებაა, ე.ი არაჩვეულებრივი ჰომო საპიენსია, არამედ მისი განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა ადამიანის ბიოლოგიურ თვისებებთან სოციალური თვისებების შეხამების, შერწყმის შედეგად. ადამიანი სოციალურის გარეშე ბიო არსებაა, პიროვნება კი ბიოსოციალური.

TINATIN KOSTAVA

Summary

Contemporary researchers of the person's essence are almost unanimous in recognizing that the personality is not in any epoch as well as unconsciously and problematic as in our era. The reason for this is that the number of unresolved problems with the intensity of the person's awareness does not decrease but increases. Personality is a developing person, we can always say "continuity" as a developing person, personality changes over time in the context of different circumstances (social, political, cultural, spiritual, biological) or internal contradiction, but it has some pillar that produces Variation Contrapuntal polyphony actions throughout the cycle. It changes depending on "what remains to be the same with the head". Although the modern epoch knows more about the personality of all previous epochs, he still feels that the personality is deep in space and is the ultimate unknown one.

ლიტერატურა

1. არისტოტელე, პოლიტიკა, თბ., 1995.
2. ბოჭორიშვილი ა., რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ, თბ., 1980.
3. აბაშმაძე ვ., პოლიტიკური აზრის ისტორია. თბ., 1980.

4. კვესელავა ი., შუბითაძე ვ., პაპაშვილი მ., პოლიტოლოგია, თბ., 2009.
5. ბალანჩივაძე რ., ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა. თბ., 1976.
6. ბრეგაძე ა., ადამიანის არსი და ხასიათი. თბ., 1991.
7. დემოკრატია და მოქალაქეობა. თბ., 2011.
8. გერიგი რ., ზიმბარდი ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, თსუ, თბ., 2009.
9. ხეჩუაშვილი ლ., პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, ნაწილი I. თბ., 2015.
10. აბესაძე გ., პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ., 1996.
11. მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, თბ., 2010.
12. არტი/ჯერვიზი, საერთაშორისო პოლიტიკა, თბ., 2011.
13. ჭანუყვაძე ვ., პოლიტოლოგიური დიალოგი, თბ., 2002.

რუსეთი, როგრც პარტნიორი საერთაშორისო ურთიერთობებში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები

რუსეთ-საქათველოს ურთიერთობების დაწყების ოფიციალურ თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1920 წელი, როდესაც ლენინის მთავრობამ ცნო საქართველოს სუვერენიტეტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით, რუსეთსა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ორმხრივი ურთიერთობების დამყარების თარიღად მიჩნეულია 1483 წელი, როდესაც რუსეთის მეფის კარზე კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ელჩები წარდგნენ. ამ თარიღიდან იწყება ქართულ სინამდვილეში რუსეთის დამკვიდრება, როგორც „ვერაგი და არასაიმედო პარტნიორი საერთაშორისო ურთიერთობებში“.

მე-18 საუკუნის დასაწყისში ირანში შექმნილმა კრიტიკულმა ვითარებამ პეტრე I-ს კასპიის პირეთის დაეკავების სურვილი აღუძრა. ამისათვის მან რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს ჩარევა გადაწყვიტა. რუსეთის ელჩმა ვოლნსკიმ თავისი ვერაგობითა და მოხერხებული დიპლომატიით, ასევე ირანის ბატონობისაგან განთავისუფლების დაიმედებით, ქართლის მეფე კასპიისპირეთში ერთობლივ მოქმედებებზე დაითანხმა. 1722 წლის აგვისტოში 40000-იანი ქართული ლაშქარი განჯაში დაბანაკდა და რამდენიმე თვე ამაოდ ელოდა რუსულ ჯარს. პეტრე I ბრძოლას მოერიდა და ვახტანგ VI მოწინააღმდეგესთან პირისპირ დატოვა, თან ელჩის პირით შემოუთვალა, რომ ბრძოლა თვითონ გაეგრძელებინა და ირანის ბატონობისაგან თავი დაეღწია.

რუსეთი მე-18 საუკუნის ბოლოსთვისაც ასეთივე წარმატებით აგრძელებს თავის ვერაგული ხასიათის პოლიტიკას და შედეგად 1782 წლის 21 დეკემბერს რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას ითხოვს. 1783 წლის 24 ივლისს ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რამაც მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების განაწყენება გამოიწვია და საქართველო გაძლიერების ნაცვლად დიდ განსაცდელში ჩავარდა. იგი მტრული ძალების მიერ სამმხრივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, რასაც შემდგომში 1795 წლის 10 სექტემბერს აღა-მაჰმად ხანის შემოსევა და თბილისის აოხრება მოჰყვა. რუსეთისთვის მისაღები

იყო ქართლ-კახეთის დასუსტება და მის დასახმარებლად, როგორც მაშინ, ისე მას შემდეგ არაფერი არ გაუკეთებია. დახმარების ნაცვლად 6 წლის შემდეგ 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტი გამოსცა.

ოპონენტები მიჩნევენ, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურვილს იმთავითვე რუსეთის სიძლიერე, ასევე მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიური ფაქტორი და მის მიერ საქართველოს გარეშე მტრებისაგან დაცვის იმედი განაპირობებდა, თუმცა ქართველთა მოლოდინი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არცერთ შემთხვევაში არ გამართლებულა.

უფრო მეტიც, 1811 წლის 24 ივნისს ერთმორწმუნე რუსეთმა გააუქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის ელკესიის ეგზარქოსების სათარეშოდ გადააქცია.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ვერაგული ხასიათის პოლიტიკას ახლა უკვე არასაიმედოობაც დაემატა. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის რწმუნებულმა ლევ კარახანმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგოლ უროტაძემ ხელი მოაწერეს საზავო-სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს სუვერენიტეტი, თუმცა რამდენიმე თვეში, 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილებმა მოახდინეს თბილისის ოკუპაცია, ხოლო შემდგომში რუსეთმა სრულიად საქართველოს ანექსია განახორციელა.

1992 წლის 14 ივლისს რუსეთის ფედერაციის სახელით ბორის ელცინმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელით ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „**საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ**“. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ძალების დაშორიშორებას და შემდგომში ლტოლვილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად სტაბილური გარემოს შექმნას, მაგრამ რუსული მხარე ნაცვლად სტაბილური გარემოს შექმნისა მუდმივად ახდენდა დაპირისპირებული მხარეების პროვოცირებას და ვითარების დაძაბვას. 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა დაარღვიეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი, როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში და მოახდინეს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპირება, ხოლო 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა განახორციელა ამ სეპარატისტული რეგიონების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარება.

ურთიერთობა სხვა მეზობლებთან

რუსეთი არა მხოლოდ საქართველოსთან დამოკიდებულებაში არამედ სხვა მეზობლებთან მიმართებითაც ავლენს თავის ვერაგულ და არასაიმედო პარტნიორის ხასიათს. ამის ბრწყინვალე მაგალითია რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები. როგორც ცნობილია 1997 წლის 31 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და უკრაინის პრეზიდენტმა

ლეონიდ კუჩმამ კიევში ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობის და პარტნიორობის შეთანხმებას. მიუხედავად ამისა, 2014 წლის თებერვალში რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, ხოლო 21 მარტს ოფიციალურად გააფორმა მისი ანექსია. მსგავს დამოკიდებულებაშია რუსეთი მოლდოვას რესპუბლიკასთან, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლისას 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. აღნიშნულ ვითარებას რუსეთისათვის ხელი არ შეუშლია მდინარე დნესტრის აღმოსავლეთ ნაპირზე შეექმნა დეფაქტო სეპარატისტული თვითგამოცხადებული ანკლავი, დნესტრისპირეთის ადმინისტრაციის მმართველობის ქვეშ.

დასკვნა.

როგორც – სერ **უინსტონ ჩერჩილი** ამბობდა: „**რუსეთთან დადებული ხელშეკრულება ღირს ზუსტად იმდენი, რაც ქაღალდი, რომელზეც იგი არის დაწერილი**" – რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით და ბოლო დროს განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ რუსული სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში გამოირჩევა როგორც **ვერაგი და არასაიმედო** პარტნიორი. მაგრამ რუსეთის ერთმორწმუნეობით დაბრმავებული ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი ვერ ან არ ამჩნევს რუსული **ვერაგული პოლიტიკის** ხასიათს, თუმცა **პრობლემები** მართლაც, რომ **რუსეთიდან მოდის.** აქვე უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი რომ რუსეთი საქართველოს მეზობელია და მასთან ურთიერთობა, როგორც ორმხრივ ისე საერთაშორისო დონეზე ავად თუ კარგად მაინც მოუწევს. ამისათვის კი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს – „**ასჯერ გაზომე და ერთჯერ გაჭერი**"-ს პრინციპით მოქმედება.

შოთა ოთხოზორია

რუსეთი, როგრც პარტნიორი საერთაშორისო ურთიერთობებში

რეზიუმე

თანამედროვე საქართველოში, ისე როგორც არასდროს მწვავედ დგას საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხი. დღეს საზოგადოების დიდი ნაწილის აზრი ორად არის გაყოფილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა არის ყველა იმ პრობლემის მოგვარების საფუძველი, რაც ასე მწვავედ დგას ქათული სახელმწიფოს წინაშე. ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხების გადაჭრა. ხოლო საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემები სწორედ, რომ რუსეთიდან მოდის.

წინამდებარე სტატიაში განხილულია რუსეთის ურთიერთობა მის ახლო მეზობლებთან: საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. რომელიც დაგვეხმარება ისტორიულ კონტექსტში დავინახოთ რუსეთის საერთაშორისო ურთიერ-თობების სტილი და მისი ეფექტები მეზობლებთან მიმართებაში.

თემაზე მუშობის დროს მიმოხილულ სამეცნიერო ლიტერატურის და ბოლო დროს განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე დაკვირ-ვებით ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ, როგორი პარტნიორია რუსული სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში?

SHOTA OTKHOZORIA

RUSSIA AS A PARTNER IN INTERNATIONAL RELATIONS

Summary

In modern Georgia, burning issue of Georgia-Russia relations reached the level never seen before. Today the opinion of a large part of the society is divided over the issue of Georgia-Russia relations. Some people think that close relations with Russia are the basis for solving all the problems facing Georgia. This will be the solution of political, economic and social issues. But some part of the society thinks that the problems come exactly from Russia.

This article discusses Russian relations with its neighbours: Georgia, Ukrain and Moldova. It will help us to see the style of Russian international relations in the historical context and its effects on neighbors.

By observing scientific literature reviewed during working on this topic and recent military-political events, we can reveal what kind of a partner is the Russian State in international relations.

ლიტერატურა

1. ბედიანიშვილი ა., დაუშვილი ა., ნათმელაძე მ., საქართველოს ისტორია ტ. IV, გამომც. „პალიტრა L“, გვ: № 260. № 21. თბ., 2012.
2. ასათიანი ნ., ოთხმეზური გ., სამსონიძე მ., ჯამბურია გ., საქართველოს ისტორია ტ. III. გამომც. „პალიტრა L“, გვ: № 260. № 136. № 308,309. № 431-437. № 468-477. № 511-513. თბ., 2012.
3. ჯავახიშვილი ივ., თორმეტ ტომეული. ქართველი ერის ისტორია ტ. 5. გამომც. „პალიტრა L“, გვ: № 64-67. № 76-87. № 96. თბ., 2012.
4. ანჩაბაძე გ., საქართველოს ისტორია მოკლე ნარკვევი. გამომც. „კავკასიური სახლი“, გვ: № 17-18. თბ., 2005.

ინტერნეტრესურსები:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს საპატრიაქოს გამოცემები. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=patriarc&cl=CL3&d=HASH01f6592277b7a54a158574d4.20.2

2. შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ http://www.parliament.ge/files/613_8104_674812_9b.pdf
3. Договор о дружбе, сотрудничестве и партнерстве между Российской Федерацией и Украиной от 31 мая 1997 года. http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=4181
4. Официальные сетевые ресурсы Президента России. УКАЗ ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ О признании Республики Крым. Президент Российской Федерации В.Путин Москва, Кремль 17 марта 2014 года N 147 . http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&firstDoc=1&lastDoc=1&nd=102171789
5. РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ ФЕДЕРАЛЬНЫЙ КОНСТИТУЦИОННЫЙ ЗАКОН О принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов - Республики Крым и города федерального значения Севастополя http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&nd=102171897

აბრეშუმის გზა და საქართველო

(წარსულის, აწმყოსა და მომავლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი)

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.
ილია ჭავჭავაძე

საქართველო მდებარეობს ევრაზიის უნიკალური ტრანსკავკასიური სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელოვან ნაწილში. შავ ზღვასა და ოკეანეზე გასასვლელი საშუალების წყალობით, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV-I სს.) საქართველოზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებს ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა.

მოგვიანებით (ძვ. წ. II - ახ. წ. XVII ს.ს.) აქვე გადიოდა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალის „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რის საფუძველზეც საქართველოს დაეკისრა „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ დამაკავშირებელი ფუნქცია.

აბრეშუმის გზა მრავალ დარგსა და მიმართულებას მოიცავს. წინამდებარე პუბლიკაციის ფორმატის სიმცირის გამო, ამჯერად შევეხებით – ქ. თბილისის ჩართულობას ამ საქმეში, ვაჭრობისა და ჩაის კულტურის განვითარების საკითხებს.

თბილისი - გზაჯვარედინის ფორპოსტი

როცა თბილისი დასახლებულ პუნქტად ითვლებოდა, საქართველოში უკვე არსებობდა მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქი. თბილისის მახლობლად უძველესი დროიდან, როგორც ადმინისტრაციული, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი ფუნქციონირებდა ქალაქები: ჩრდილოეთით – მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, აღმოსავლეთით – რუსთავი, სამხრეთ-დასავლეთით – სამშვილდე, ხუნანი და სხვ. თბილისის მოსახლეობას პირველ რიგში ამ ქალაქებთან უხდებოდა ურთიერთობა, მათ უკავშირდებოდა სხვადასხვა გზით.

VI საუკუნიდან თბილისი თანდათან იქცა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად. ქალაქის აყვავებას, ზრდა-განვითარებას ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეოდალური ურთიერთობის დამყარებამ. VI საუკუნის დამდეგიდან, თბილისში გაჩნდა ახალი სავაჭრო და სახელოსნო ნაგებობანი. თბილისი არა მარტო აქტიურ საშინაო ვაჭრობას აწარმოებდა, იგი საგარეო ვაჭრობაშიც ერეოდა. იმ დროს თბილისი ვაჭრობას აწარმოებდა სომხეთთან, ირანთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან, ეგვიპტეს-

თან და სხვებთან. ამ ქვეყნების ქალაქებში ქართველებს გაჰქონდათ თავიანთი ნაწარმი და შემოჰქონდათ იქიდან სხვადასხვა საქონელი. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გააქტიურებაზე მიუთითებს ის, რომ VI საუკუნის დასასრულს და VII საუკუნის დამდეგს ქართლის ერისმთავრებმა თბილისში, ქართული ასომთავრული წარწერით, საკუთარი ფული მოჭრეს. ჩვენამდე მოაღწია თბილისში მჯდომ სტეფანოზისა და სხვა ერისმთავრების მიერ მოჭრილმა მონეტებმა. ეს ფაქტები თბილისში განვითარებულ აღებ-მიცემობაზე მიუთითებს.

არაბთა მფლობელობის დამყარების პირველ წლებში გაძლიერდა თბილისი, რომელიც არაბებმა ჩრდილოეთის მთავარ დასაყრდენ სამხედრო პუნქტად, ბიზანტიის იმპერიის საწინააღმდეგო ფორფოსტად აქციეს. თუმცა, თბილისს არაბებისთვის ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამის დასტურია ის, რომ VIII საუკუნის დამდეგს თბილისში არაბებმა ფულის მოჭრა დაიწყეს. თბილისში მოჭრილი ფული ამ ქალაქის მსოფლიო ვაჭრობაში ჩაბმის ერთერთი გამომხატველი იყო.

არაბთა მფლობელობის დროს, თბილისის დაწინაურება უკავშირდება საერთაშორისო ვაჭრობის, – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილოეთის ქვეყნებთან (ხაზარებთან, სლავებთან) ვაჭრობის აღორძინებას. აღსანიშნავია, რომ თბილისი სამხრეთ რუსეთთან დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის არა მარტო ხიდი იყო, არამედ აქტიური მონაწილეც. შემთხვევითი არ არის, რომ დავით კურაპალატის (გარდ. 1001 წ.) მიერ მოჭრილი ფული ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე. შორს გადიოდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფულიც (მათ შორის ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებში).

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ თბილისს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის და დასავლეთის, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის შორეულ ქვეყნებთან. X საუკუნის სომეხი მწერალი უხტანესი თბილისს უწოდებს საქართველოს „დიდებულ დედაქალაქს... განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოვოსა და საკვირველს“. არაბი გეოგრაფი ისთახრი X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისზე მოგვითხრობს: „თბილისი დარუბანდზე ნაკლებია. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი, მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები... მთელს ირანში ბარდავზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობსო“. ნიშანდობლივია, რომ თბილისიდან სავაჭრო საქონელი მდინარე მტკვრით და სახმელეთო გზით სხვადასხვა ქვეყანაში გაჰქონდათ. ამისათვის კი, როგორც ქართული წყაროების ცნობებიდან ირკვევა, მტკვარზე საგანგებო ნავები იყო. მაგალითად, როცა ბაგრატ IV-ის მიერ შევიწროებულ თბილისის ამირა ჯაფარს გაუჭირდა და გაქცევა გადაწყვიტა, ტივები და ნავები მოამზადა, რომ ღამით მტკვრით გაპარულიყო.

დავით აღმაშენებელმა ენერგიულად დაიწყო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამოსწორება და მალე წარმატებას მიაღწია. თურქთა სულთანი დიდი ლაშქრით წამოვიდა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. ომი 1121 წლის 15 აგვისტოს თბილისის მახლობლად, დიდგორთან გაიმართა. მეფემ ბრწყინ-

ვალე გამარჯვება მოიპოვა – მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. გამარჯვების შემდეგ, მეფემ თბილისისკენ გასწია და თბილისი იერიშით აიღო.

ქართველ მეფეთა მიერ საუკუნეების განმავლობაში წარმოებული ბრძოლა თბილისის გასათავისუფლებლად მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა. თბილისი, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში უცხოელებს ჰქონდათ, მეფემ მტერს გამოგლიჯა და შთამომავალთ საქართველოს დედაქალაქად საუკუნოდ დაუმკვიდრა. მეფემ რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ასე გადაიქცა ერთ დროს ქართლის სამეფოს დედაქალაქი თბილისი გაერთიანებული საქართველოს უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრად. დავით აღმაშენებლის დროიდან იწყება თბილისის აყვავების ხანა. საქართველო უკვე წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იყო გადაქცეული და მისი დედაქალაქი არა მარტო პოლიტიკურად, ეკონომიურადაც პირველობდა მეზობელ სახელმწიფოთა ქალაქებს შორის.

XII-XIII საუკუნეში, ათასგვარი საქონლით დატვირთული მრავალი ქარავანი შემოდიოდა თბილისში მეზობელი და შორეული ქალაქებიდან. ასევე ქარავნები გადიოდა თბილისიდან. სხვადასხვა წყაროიდან ირკვევა, რომ თბილისში, საქონელი მოჰქონდათ არაბეთიდან, ირანიდან, ბიზანტიიდან, სომხეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან. მაგალითად, XI-XIII საუკუნეების მასალების მიხედვით, ბაღდადიდან და სხვა მაჰმადიანური ქალაქებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ბაღდადური ქსოვილები, ნელსაცხებლები, ცხენის აკაზმულობა, შაქარი, ძვირფასი თვალმარგალიტი – ლალი, იაგუნდი, ფირუზი, ბროლი და სხვა. ბიზანტიიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილი, საეკლესიო ნივთი, – ხატი და სხვ. შორეული ვაჭრობაც წარმოებდა. მაგალითად, საუკეთესო მატყლი ვაჭრებს ქალაქ ალექსანდრიიდან (ეგვიპტე) მოჰქონდათ. თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს: თამარმა „დაიწყო ალექსანდრიიდან ვაჭრების მიერ შემოტანილი მატყლისაგან სამოსლის მოქსოვაო“. საქართველოს სამეფოდან მეზობელ ქვეყნებში მატყლი, ტანისამოსი, ხალიჩები, ნავთი და სხვა გაჰქონდათ აქლემებით და გემებით.

XII-XIII საუკუნის საქართველოში წარმოებული საგარეო ვაჭრობის უმთავრესი ცენტრი თბილისი იყო.

XV საუკუნიდან თბილისის დაცემას ხელი შეუწყო, საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკურმა დაშლამ. ქვეყნის სამეფოებად დანაწილებამ განამტკიცა ფეოდალური კარჩაკეტილობა. 1453 წელს, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ საქართველო მოსწყვიტა კულტურულ მსოფლიოს, უმთავრესი სავაჭრო გზები გადაიკეტა.

XVII საუკუნის დამდეგიდან თბილისი აღმავლობის გზას დაადგა. ამ პერიოდიდან ქართლის მეფეები ირანის შაჰის ვასალები გახდნენ და ამან სატახტო ქალაქს ერთგვარი სიმშვიდე მოუტანა. როსტომ მეფის და შაჰნავაზის (ვახტანტ V-ის) მოღვაწეობის დროს თბილისი აღორძინდა. აღდგა და გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. აი, რას მოგვითხრობს XVII საუკუნის 60-იანი წლების თბილისის შესახებ მისიონერი სერაფინო მელიკოკანელი: თბილისში „განუწყვეტლივ ერთმანეთს ხვდებიან ყოველი მხრის ვაჭრები – სპარსეთიდან,

ალეპოდან, სმირნიდან, კონსტანტინოპოლიდან და მთელი საქართველოდან... თუმცა, აქ ყველაფერი უხვად არის, აუარებელი ვაჭრებიც არიან და ყოველდღე დატვირთული ქარავნებიც შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირიაო". ამავე საუკუნის 70-იან წლებში თბილისში მყოფი ფრანგი შარდენი აღნიშნავდა: „თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მჭიდროდ დასახლებული. თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდებით, ვიდრე სხვაგან სადმე. აქ გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა".

ძველი თბილისის ვაჭართა ორგანიზაციები

ძველი თბილისის სოციალური წყობა და მმართველობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქალაქის მართვა მეფეთა ხელში გადავიდა. ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაიწყო ბატონობა ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გაერთიანებული ფეოდალურ-ყაჩაღური არისტოკრატის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალაქში თავმოყრილი ყმა-გლეხთა კონკურენცია, ქვეყნის ფეოდალური წყობილება ეს იყო ძირითადი მიზეზები, რამაც აიძულა ქალაქის მოსახლეობა გაერთიანებულიყო მათი საქმიანობის მიხედვით, ცალკე ორგანიზაციებში – ამქრებში.

თბილისელ ვაჭართა შორის გამოირჩეოდნენ „დიდვაჭარნი". თამარის ისტორიკოსი XII საუკუნეში ასახელებს, თბილისის მკვიდრს დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს. „დიდვაჭართა" გვერდით უბრალო „ვაჭრებიც" იყვნენ, რომელნიც ეკონომიური მდგომარეობით დიდვაჭრებს ჩამორჩებოდნენ. დიდვაჭრები და ვაჭრები ქალაქში ცალკე წრეს (საზოგადოებას) ქმნიდნენ. მათ მოსახლეობისაგან განსხვავებული ტანსაცმელი, სპეციალური „ვაჭრული სამოსელი" ეცვათ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" არის მოხსენიებული – „სამოსელი ვაჭრული", „ვაჭრულად შემოსვა" და სხვ.

დიდვაჭარნი და ვაჭარნი ფეოდალურ თბილისში პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ. ზოგი მათგანი მეფეების ახლობლად ითვლებოდა. მაგალითად, თბილისელი სომეხი დიდვაჭარი უმეკი საქართველოს მეფის დავით ულუს „მამად" იწოდებოდა.

დიდვაჭრები ბატონობდნენ თბილისის არა მარტო საშინაო ვაჭრობაში, არამედ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. სატრანზიტო ვაჭრობას ყოველთვის დიდვაჭარი ხელმძღვანელობდა, რომელიც სავაჭრო ქარავანს მეთაურობდა და ქარავნთუხუცესად იწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულმა თბილისელმა დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა, სამეფო დარბაზის დავალებით, ჩამოიყვანა საქართველოს მეფის თამარის საქმრო ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი რუსი, ჩრდილო კავკასიიდან.

საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას საქართველოში აწარმოებდნენ ვაჭართა ამხანაგობები. ამ ამხანაგობას XIII საუკუნეში „ურტაღი" ეწოდებოდა. ურტაღი მონღოლური სიტყვაა და ამხანაგს, კერძოდ, სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს ნიშნავდა. ამავე გაგებით იხმარებოდა საქართველოში. „ურტაღში" მსხვილი ვაჭრები იყვნენ გაერთიანებული და ხშირად მოქმედებდნენ, როგორც მეფეთა ან

მსხვილ ფეოდალთა აგენტები (წარმომადგენლები).

როგორც აღვნიშნე, თბილისში ვაჭრები, განსაკუთრებით დიდვაჭრები პრივილეგიურ წრეს ქმნიდნენ. მათ თავიანთი ორგანიზაცია ჰქონდათ, რომელსაც „ვაჭართა უხუცესი“ მეთაურობდა. ვაჭართა უხუცესად დიდვაჭარი იყო და მას, მის ორგანიზაციაში მყოფ ვაჭართა გამგებლობის გარდა, უცხოეთიდან მოსულ ვაჭართა სათანადო მიღებაც ევალებოდა. უცხოელ ვაჭრებს ვაჭართუხუცესისათვის უნდა მიემართათ. ვაჭართუხუცესი უცხოელებს ადგილობრივ კაცს მიამაგრებდა და მათ ქალაქში მხოლოდ დღის სინათლეზე შემოიყვანდა. ვაჭართუხუცესს უნდა დაეწესებინა ფასები გასაყიდ საქონელზე, გაენაწილებინა საქონლის გასაღების ადგილები ვაჭართა შორის და სხვ. ვაჭართა ხელში იყო საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაც. როცა თბილისელი ვაჭრები უცხოეთში მიდიოდნენ, მოქარავნე ვაჭრებს „ქარავნისა უხუცესი“ ედგა სათავეში და ვაჭართუხუცესის მოვალეობას ასრულებდა.

ვაჭართა ორგანიზაციებს, თბილისიდან გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი, ასევე შემოჰქონდათ უცხო ქვეყნებიდანაც. გვიანფეოდალურ ხანაში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაჰქონდა ღვინო ირანში, ბეწვეულობა - ირანსა და ოსმალეთში; აბრეშუმი, ენდრო – არზრუმში და ინდოეთში. აგრეთვე, თბილისიდან გადიოდა მატყლი, ერბო, თაფლი და სხვ. შემოდიოდა რკინა, მარილი, თევზი და სხვ.

საგარეო სატრანზიტო ვაჭრობას გვიანფეოდალურ ხანაშიც „ვაჭართუხუცესი“ მეთაურობდა, მაგრამ საქონლის შემოტანის თუ გატანის ორგანიზატორი ქარავანთუფროსი, ანუ ქარავანბაში იყო. იოანე ბაგრატიონი ამასთან დაკავშირებით წერდა: „იყოს ქარავანთ და ვაჭართ უფროსი და მას ეკითხებოდეს ვაჭრებისა და სხვათა ქვეყნებსა შინა აღებ-მიცემის საქმე და ამასაც ჰყავნდეს ხელქვეითნი“.

თბილისში საქონლის შემოტანა და გატანა უმთავრესად ქარავნებით ხდებოდა. ქარავნები ძირითადად აქლემებისაგან იყო შედგენილი, ზოგჯერ ცხენის, ჯორის, ვირისა და ხარისაგანაც. ქარავანი ხშირ შემთხვევაში მრავალრიცხოვანი იყო, მასში რამდენიმე ათეული კაცი ერთიანდებოდა. მოგზაურობას ქარავანბაში მეთაურობდა. მას თავისი ხელქვეითი მოხელეები ჰყავდა. საქონლით დატვირთულ ქარავანს შორეული და სახიფათო გზების გავლა უხდებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მეკობრეთა თავდასხმა. ამიტომ ქარავანს თან დაცვა ახლდა.

სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა საქარავნო გზების უსაფრთხოებაზე, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მოქარავნეებს. მათთვის ეწყობოდა გზებზე ქარვასლები, სადაც ქარავანი ისვენებდა და ღამეს ათევდა. გზებზე მოწყობილ ქარვასლებში გაჩერება და დასვენება უფასო იყო. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გზებზე ძველი დროიდან მრავლად იყო ასეთი ქარვასლა.

XVII საუკუნის ცნობილი მოგზაური შარდენი ერთ-ერთი ქარვასლის შესახებ წერდა: „მდ. დებედაზე ძლიერ ლამაზი ხიდის გვერდით არის ლამაზი ქარვასლა, რომელიც უკვე დაძველებულია და იწყებს დანგრევას. მისი არქიტექტურა გასაოცარია. მასში მრავალი ოთახია... მთელს საქართველოში მე არ მინახავს ამაზე ულამაზესი ხიდი და ულამაზესი ქარვასლა“.

შარდენი ქარვასლების აღწერისას აღნიშნავს ქარავნების მომსახურების თაობაზეც: „ამგვარ სასტუმროებში სხვა არაფერია ოთხი კედლის გარდა. ყოველი მგზავრი შედის და იკავებს პირველ თავისუფალ ოთახს იმ მხარეს, რომელიც უფრო მოეწონება. რჩება იმდენ ხანს, რამდენიც სურს. ამისათვის წასვლის დროს ის არაფერს იხდის... რადგან მსგავსი შენობები აგებულია ქველმოქმედებისა და მოგზაურთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, მომსახურეობისათვის ქარვასლის მეკარეებს და მსახურებს განსაზღვრული ხელფასი ეძლევათ. მეკარე იქ ყიდის ყველაფერს, რაც საჭიროა ცხენებისათვის, ასევე პირველი მოთხოვნილების საგნებს, როგორიცაა პური და ღვინო... კარაქი, რძის ნაწარმი, ხილი, ფრინველი და სხვ.“.

ამგვარი ქარვასლები ეწყობოდა მოქარავნე ვაჭართა უზრუნველსაყოფად. მაგრამ ფეოდალური ქვეყანა მაინც ვერ იცავდა ვაჭრებს თავდასხმებისაგან, ამის გამო, ფეოდალური თბილისის საქარავნო-სატრანსპორტო ვაჭრობა გვიანფეოდალურ ხანაში დაბრკოლებებს აწყდებოდა.

ჩაის კულტურის განვითარების ასპექტები

ჩაის კულტურის გავრცელებისათვის ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებია სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის მთის ფერდობებზე, სადაც ჰაერი თბილი და ნესტიანია. მკვლევართა უმეტესობა ჩაის სამშობლოდ სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთს თვლის. როგორც ძველი ჩინური ლეგენდა გადმოგვცემს, მწყემსებს შეუნიშნავთ, რომ ცხვრები და თხები, როცა მუქი მწვანე ბუჩქების (ჩაის) ფოთლებს ჭამდნენ, უფრო მოძრავი და მოქნილები ხდებოდნენ. მწყემსებს გაუხმიათ ფოთლები, მოუხარშავთ და დაუწყიათ ნაყენის სმა. ასე აღმოუჩენიათ ჩაი, როგორც ჩინელები უწოდებენ „ღვთაებრივი ბალახი“.

ძველმა ჩინელებმა, ყურადღება მიაქციეს ჩაის მარადმწვანე ბუჩქებს და დაიწყეს მისი შესწავლა. ის პერიოდია, როდესაც ჩინეთში ხალხური მედიცინა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. დაკვირვების შედეგად გამოავლინეს ჩაის სამკურნალო თვისებები და თავდაპირველად მხოლოდ ამ მიზნით იყენებდნენ. ხმარობდნენ თვალის დაავადებისა და მოწამვლის დროს, აგრეთვე, მალამოს სახით სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

უძველეს ჩინურ ჩანაწერებში, როგორიცაა „შენპუნის სამკურნალო მცენარეთა აღწერილობა“ აღნიშნულია, რომ ჩაის მწარე გემო აქვს, მისი მიღება აუმჯობესებს გონებრივ მუშაობას, კლავს წყურვილს და სხვ.

ცნობილ „ჩაცზინ“-ში ჩაის ახასიათებენ, როგორც სასიამოვნო სასმელს, რომელიც ამსუბუქებს თავის ტკივილს, აქრობს სიცხეს და სხვ, რომ ჩაი თავისი თვისებებით უტოლდება საუკეთესო ღვინოს.

ჩაი ჩინეთში მასობრივად გავრცელდა III-IV საუკუნეებში. ამას ხელი შეუწყო ბუდისტურმა სასულიერო სექტამ, რომელიც ჩინეთში ერთ-ერთი ძლიერი მიმდინარეობა იყო. ჩაისადმი მათი დამოკიდებულება გამომდინარეობდა იმ მოსაზრებიდან, რომ ჩაის თვლიდნენ სასმელად, რომლის მიღების შემდეგ ადამიანის გონება თავისუფლდება მავნე აზრებისაგან და საშუალება ეძლევა ჩაიძიროს სასარგებლო ფიქრებში.

ჩაის ფოთლის დამუშავებასა და მიღების წესების დადგენაში დიდი

მნიშვნელობა ენიჭება, სწავლული ცზი იუის (728-803 წ.) შრომას. ამ ნაშრომის მიხედვით, პირველად იქნა შემოღებული ჩაის თანამედროვე დამუშავების მსგავსი მეთოდი. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „ჩაც-ზინი“,– ტრაქტატი ჩაიზე. ავტორმა პირველმა მოგვცა ჩაის ბუჩქის თვისებების საფუძვლიანი აღწერილობა, მისი კრეფისა და დამუშავების გაუმჯობესებული წესები.

სახელწოდება „ჩაი“ ჩინური წარმოშობისაა. სიტყვა „ჩა“ ნიშნავს ნაზ, ახალგაზრდა ფოთოლს. ჩინელები მოკრეფილი ფოთლების სახელწოდებას გამოთქვამენ, როგორც „ჩაე“, ხოლო მზა პროდუქტს და ნაყენს როგორც „ჩაი“. ჩინეთში ჩაის ათზე მეტი სახელწოდებაა გავრცელებული.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ენებზე „ჩაი“ სხვადასხვაგვარად ჟღერს. მაგალითად, ინდოეთსა და პაკისტანში „ჩხაი“, შუა აზიის ქვეყნებში „ჩოი“, არაბეთში „შაი“. იაპონელები ჩაის უწოდებენ „თეა“-ს. აქედან გავრცელდა ეს სახელწოდება ევროპასა და სხვა კონტინენტების ქვეყნებში.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩინეთი ჩაის წარმოების ერთადერთ ქვეყნად რჩებოდა.

ჩაი ჩინეთის სავაჭრო ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი იყო. ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ჩინელები საიდუმლოდ ინახავდნენ ჩაის გამოყვანის წესებს. ჩაის ნარგავების საზღვარგარეთ გატანა იყო აკრძალული. მაგრამ, ჩაის მზა პროდუქციის გატანას და მისი სმის დანერგვის შედეგად, მთელმა რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს ჩაის პლანტაციების გაშენება. ყველაზე ადრე ჩაის კულტურა ჩინეთიდან იაპონიაში გავრცელდა და მალე ჩაის სასმელმა ბევრ ქვეყანაში აღიარება მოიპოვა. რუსეთში ჩაიმ ციმბირის გზით შეაღწია. მოსკოვში ჩაი პირველად 1638 წელს შემოიტანეს. მოსკოვის ელჩებმა ვასილ სტერკოვმა და ვასილ ნეველოვმა მეფე მიხეილს მონღოლეთი დან მოტანილ საჩუქრებთან ერთად მიართვეს 60 კილოგრამი ჩაი. რუსეთში ჩაის სმის კულტურამ დასაბამი მიიღო მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მოკლე ხანში მოსახლეობამ შეიყვარა ეს სასმელი და მალე რუსეთი ევროპის ქვეყნებს შორის ჩაის ერთ-ერთი ფართო მომხმარებელი გახდა.

ჩინეთში დამზადებულ და გამომშრალ ჩაის ერთი იშვიათი თვისება აქვს, ადვილად ითვისებს ყოველგვარ სურნელებას. ამ თვისებას იყენებენ ყვავილოვანი ჩაის მისაღებად. უფრო ხშირად ხმარობენ ჟასმინს და ვარდს. ღუმელში ფოთლების დნობასა და გამოშრობის შემდეგ მათ აცივებენ ჰაერზე ან სარდაფში, ყვავილის გაუშლელ კოკრებთან ერთად, რათა ჩაიმ აითვისოს არომატი. ერთ კილოგრამ ცოცხალ ყვავილთან ერთად აწყობენ ხუთ კილოგრამ გამომშრალ ჩაის ფოთლებს. ყვავილოვან ჩაის სასარგებლო თვისებებთან ერთად, სასიამოვნო, ნაზი არომატიც აქვს.

ჩინეთის ყოველ რეგიონში ჩაის თავისი თავისებურებანი აქვს, რომლებიც დამოკიდებულია ჰავის, ნიადაგისა და ფოთლების დამუშავების სხვადასხვაობაზე.

სუჯოუს მცხოვრებნი ხმარობენ დუ-ჩას. ამ ჩაის ის თვისება აქვს, რომ ერთ ჩამოსხმაზე შეიძლება ოთხჯერ და ხუთჯერ შეავსო ჭიქა ადუღებული წყლით, ჩაი სურნელებასა და ფერს მაინც არ დაკარგავს.

ჩაი ხარისხიანი ფოთლებისგან მზადდება, მაგრამ ეს უკანასკნელი

ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ ეფექტს, თუ კარგი წყალი არ მოიძებნა. „მთის წყალი – უმაღლესი ხარისხისაა, მდინარის წყალი – საშუალო ხარისხის, ჭის წყალი – დაბალი ხარისხის“, ამბობს ლო იუ თავის ტრაქტატში. ტანის დინასტიის ეპოქის ჩინელები ჩაის დასაყენებლად ვარგის წყალს შვიდ სახედ ჰყოფდნენ, აი, რას ამბობდნენ ისინი: „ყველაზე კარგი წყალი - ნან შუის წყალია იანძიდან, მას მოჰყვება ვეიშანას მთაზე აგებული პაგოდის (საკულტო ნაგებობა, რომელშიც ბუდისტური სიწმინდეები ინახება, აქვს პავილიონის ან მრავალსართულიანი კოშკის ფორმა, გაჩნდა ჩვ. წ-აღ-ის დასაწყისში ჩინეთში) წყაროს წყალი, უკანასკნელ ადგილზეა ხოუძიუს პაგოდაში მომდინარე წყაროს წყალი“ და ა. შ. მაგრამ კარგი ჩაი და წყალიც უსარგებლო იქნება, თუ მისი ადუღება არ იციან. წყალმა უნდა იდუღოს განსაზღვრული დროის განმავლობაში. ადუღებული წყალი განსაზღვრავს ჩაის ხარისხს. ლო იუს ტრაქტატში წერია: „თევზის თვალის მსგავსი ბუშტები და სუსტი ხმა იუწყება დუღილის პირველ პერიოდს; წყლის შხეფები აღნიშნავენ დუღილის მეორე პერიოდს, ბუშტები, რომლებიც სწრაფ-სწრაფად ამოდის ფსკერიდან და წყლის დგაფუნს იწვევს, გვამცნობენ დუღილის მესამე პერიოდს. თუ ამის შემდეგ წყალი კიდევ დიდხანს იდუღებს, იგი ცუდი დასალევი გახდება“.

1949 წლიდან დაწყებული ჩაის წარმოება ჩინეთში აღმავლობის გზას დაადგა. აგრარული რეფორმის წყალობით გლეხებმა მიწა მიიღეს. ჩაის მწარმოებელ რაიონებში გლეხები სწავლობდნენ აგროტექნიკურ მეთოდებს. წლიდან წლამდე იზრდებოდა მანქანების გამოყენება და შემოსავალი.

ჩაი საქართველოში

საქართველოში ჩაიმ პირველად 1770 წელს შემოაღწია. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინემ მეფე ერეკლე მეორეს საჩუქრად გამოუგზავნა სამოვარი და ჩაის სერვიზი. ასე დამკვიდრდა ჩაის სმის ტრადიცია სამეფო კარზე, რომელიც გრძელდებოდა გიორგი მეცამეტეს დროსაც. მეფის ისტორიკოს პლატონ იოსელიანის გადმოცემით „გიორგი მეფე მიირთმევდა ჩაისა დილით და დარიჩინით მოდუღებულსა – სნეულებისა დროსა სამკურნალოდ“. XIX საუკუნის დასაწყისში ჩაის მიირთმევდნენ მოწინავე ქართველთა ოჯახებში.

ევროპაში ჩაის პირველი პლანტაციები გააშენეს 1833 წელს რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, ყირიმში ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. ჩაის ბუჩქები ყირიმში ჩინეთიდან შემოიტანეს. ყირიმში ჩაის კულტურამ ვერ პოვა განვითარება, რის გამოც ჩაის ნარგავები 1848 წელს, გადმოიტანეს კავკასიის შავი ზღვისპირა ადგილებში: სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, ზუგდიდში – დადიანისა და გორაბერეჟოულში – ერისთავის მამულებში.

1885 წელს, ჩინეთიდან შემოიტანეს 15 000 ჩაის ახალგაზრდა ნერგი და პირველი საცდელი პლანტაცია ჩაქვის მიდამოებში, გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკის ა. სოლოვცევის მამულში გააშენეს. ა. სოლოვცევმა გადაამუშავა ჩაი, რომლის ნიმუშებმა თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო. ამავე პერიოდში გაშენდა ჩაის პლანტაცია ოზურგეთში.

აღსანიშნავია, რომ ჩაის პლანტაციების გაშენებაში მონაწილეობას იღებდნენ ჩინელი და იაპონელი სპეციალისტები. ამ მხრივ გამოირჩევა ჩინელი ლაო ჯონ-ჯაუს დამსახურება. იგი 1893 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ჩაქვის ჩაის პლანტაციების მფლობელის კ. პოპოვის მოწვევით. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, 3 წლის შრომის შედეგად ლაო ჯონ-ჯაუმ საწადელს მიაღწია. მისი რჩევითა და მონაწილეობით ჩაქვში გაშენდა 80 დესეტინა ჩაის პლანტაცია.

1900 წელს, პარიზში გაიხსნა მსოფლიოს ნაწარმთა საერთაშორისო გამოფენა. კონკურსზე წარმოდგენილმა ჩაქვის ჩაიმ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო კონსტანტინე პოპოვი გამოფენის დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1901 წელს აშენებულ ჩაქვის ჩაის ფაბრიკას ლაო ჯონ -ჯაუ ხელმძღვანელობდა. საქართველოში ჩაის განვითარებაში დიდი ღვაწლისთვის, 1909 წელს ლაო ჯონ-ჯაუ სტანისლავის ორდენით დაჯილდოვდა. ის იყო პირველი ჩინელი, რომელმაც მეფის რუსეთში ასეთი ჯილდო მიიღო.

საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების წლებში, როცა აჭარა თურქეთის ჯარებმა დაიკავეს, ლაო ჯონ-ჯაუმ ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ფაბრიკის მუშებისგან შექმნა შეიარაღებული რაზმი და შეძლო ფაბრიკის დაცვა. მან, 1921 წელს ფაბრიკა და ჩაის მზა პროდუქციის მარაგი უკლებლად ჩააბარა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს. საბჭოთა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო ლაო ჯონ-ჯაუს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა და 1924 წელს, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ახალგაზრდობის წლები ლაო ჯონ-ჯაუმ აჭარაში გაატარა. 1926 წელს იგი ოჯახით სამშობლოში გაემგზავრა.

1891 წელს, კონსტანტინე პოპოვმა ჩაის საკითხების შესწავლის მიზნით, პროფ. ტიხომიროვის ხელმძღვანელობით, საკუთარი ხარჯით მოაწყო ექსპედიცია. ექსპედიციამ მოიარა ცეილონი, იავა (კუნძული მალაის არქიპელაგში, ეკუთვნის ინდონეზიას), ინდოეთი, იაპონია და 1892 წ. საქართველოში დაბრუნებისას ჩამოიტანა დიდი რაოდენობის ჩაის თესლი, ნერგები და ჩამოიყვანა ამ საქმის მცოდნე სპეციალისტები.

კ. პოპოვმა, (რომელიც იმ დროს ჩაის ვაჭრობას ეწეოდა) 1892-1896 წლებში ბათუმის მიდამოებში შეიძინა დიდი მამული. ჩინეთიდან, ინდოეთიდან და ცეილონიდან შემოზიდული ნერგებით გააშენა ჩაის პლანტაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩაის წარმოებით დაინტერესდა მეფის საუფლისწულო უწყება, რომელმაც ე.წ. „ჩაქვის აგარაკზე“ გააშენა ჩაის პლანტაცია. ამ უწყებას 1913 წლისთვის 500 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჰქონდა, როცა ამავე დროს კ. პოპოვის ჩაის პლანტაციებს 128 ჰექტარი ეკავა. 1899 წელს, საუფლისწულო უწყებამ ააშენა იმ დროისთვის დიდი და ტექნიკურად აღჭურვილი ჩაის ფაბრიკა ჩაქვში. ამ ფაბრიკის მიერ გამომუშავებულმა პროდუქციამ 370 ტონას მიაღწია. პოპოვის გაწეულმა შრომამ, დიდი სამსახური გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას ჩაის კულტურის ტრადიციის დანერგვაში.

საქართველოს ზღვისპირა რაიონების კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები ხელსაყრელი აღმოჩნდა ჩაის კულტურის გაშენებისთვის.

აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის აზრი საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების თაობაზე. 1887 წელს, გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობები და ბიუროკრატიზმი“ აღნიშნავდა: „ამიერკავკასიის ნოყიერი მიწა და ხელსაყრელი კლიმატი საშუალებას იძლევა გავაშენოთ ყველა მცენარე, რომელიც დედამიწაზე იზრდება... ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მთავრობამ ყურადღება მიაქცია საქართველოში სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, ჩაის კულტურის განვითარებას. შეიქმნა სპეციალური ტრესტი „საქართველოს ჩაი“, რომელსაც დაევალა ჩაის წარმოების ხელმძღვანელობა. საქართველო მალე გახდა საბჭოთა კავშირის მეჩაიეობის მნიშვნელოვანი რესპუბლიკა. ჩაის უხვმოსავლიანი რაიონები იყო და არის აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიებზე.

ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანისა და ნედლეულის რაციონალურად გადამუშავების მიზნით, საქართველოში შეიქმნა საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ანასეულში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმში). ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკები აღიჭურვა უახლესი ტექნიკით.

სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციები თითქმის განადგურებულია. იმის მაგივრად, რომ მთავრობამ დასავლეთ საქართველოში განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები ჩაის კულტურის აღორძინებისათვის, ხელისუფლების წარმომადგენლებს სურთ რამდენიმე ათასი უცხოელის (ჩინელების და სხვების) ჩამოსახლება...

გეოპოლიტიკა

„ჩვენ, ქართველები, საჭირონი ვართ
არა მხოლოდ ჩვენი თავისთვის,
არამედ სხვებისთვისაც“.
ილია ჭავჭავაძე

საქართველო მესამე ათასწლეულის დასაწყისს, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით შეხვდა, მაგრამ სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის მთავარი საკითხი, რაც მის ტერიტორიულ მთლიანობასთან იყო დაკავშირებული, მოუგვარებელი დარჩა. აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა ისევ უაღრესად აქტუალურია. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ – გაერთიანდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ანუ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში (ნატო), – ქვეყანა რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებამდე მიიყვანა.

2008 წლის აგვისტოს ომმა, საქართველოს საზოგადოებრიობას და პოლიტიკურ წრეებს აჩვენა, რომ დროთა და საუკუნეთა მიმდინარეობას არ შეუცვლია სახელმწიფოთა ხასიათი. საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა და ე. წ. მეგობარი სახელმწიფოების (ძირითადად ევროპისა და ამერიკის) ხელისუფალნი კვლავ, მხოლოდ თავიანთი (და არა ჩვენი) ინტერესებიდან გამომდინარე გვეპყრობიან. ამიტომ ისეთი გეოსტრატეგიული მდებარეობის ქვეყანამ, როგორიც საქართველოა (მისმა ხელისუფლებამ) უნდა გაითვალისწინოს წარსულის გამოცდილება და საკუთარი ხალხის უკეთესი მომავლის პერსპექტივაზე გათვლილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი შეიმუშაოს და განახორციელოს.

საქართველო გეოსტრატეგიული ტერიტორიისა და რესურსების გამო: თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე, – საკმარისია გავიხსენოთ არაბების, მერე მონღოლების შემოსევა, შემდეგ აგრესიული მეზობლების (განსაკუთრებით სპარსეთი და ოსმალეთი) თავდასხმას განიცდიდა, რაც ხშირად არა მარტო ხარკის გადახდით, არამედ ქვეყნის ძარცვითა და მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით მთავრდებოდა; საქართველოს ბედკრული ისტორიის წარსულის გაანალიზების შედეგად, დავრწმუნდებით იმაშიც, რომ ჩვენი ქვეყანა ხშირად დიდი იმპერიების ინტერესების გადაკვეთის ველში ექცეოდა; ქართველ ხალხს მრავალმხრივი ბრძოლა უწევდა ეროვნული მეობისა და ღირებულებების გადასარჩენად, ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და დამოუკიდებლობის დასაცავად.

საქართველო უცხოელთა მხრიდან ისევ იწვევს ინტერესს. კვლავ მოდიან ე. წ. „არგონავტები“, მხოლოდ არა „ოქროს საწმისის“, არამედ ნავთობის, ბუნებრივი აირის, სხვადასხვა მასალებისა და პროდუქტების წაღების მიზნით. ამ საშუალებას შეუქმნით თანამედროვე სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან და ჩრდილოეთთან (აგრეთვე დასავლეთს აღმოსავლეთთან) დააკავშირებს.

ამჟამად, საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ ე. შევარდნაძის ეპოქაში გაპიარებული აბრეშუმის გზისა და ნავთობსადენის მაგისტრალის გაყვანის **ინიციატორი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მისი დავალებით, მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტმა მოამზადა ამ მაგისტრალის ეკონომიკური პროექტი. ეს პროექტი 1991 წლის 24 სექტემბერს, ზვიად გამსახურდიას ხელმოწერით დამტკიცდა.**

წარსული მომავლის გაკვეთილია

საქართველომ დღემდე მოაღწია, მაგრამ ქვეყანაში არსებული ამჟამინდელი რთული მდგომარეობა (ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირე, მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირება, დაძაბული საგარეო ურთიერთობა და სხვ.) შეიძლება საბედისწეროდ განვითარდეს. ამიტომ, როგორც უმთავრესი – მიმაჩნია, რომ საქართველოს დღეს სჭირდება: **ქვეყნის ნეიტრალიტეტის სტატუსი; მოსახლეობის ერთიანობა (და არა იმისტობა და ამისტობა); ხალხისა და ხელისუფალთა ერთიანობა (ხელისუფლება უნდა უსმენდეს საკუთარ ხალხს); სამართლიანი სამართალი (და არა შერჩევითი სამართალი); კანონიერება და სამართალი ყველგან და ყველაფერში; ხელისუფლების მიერ სწორი, ანუ მართებული ნაბიჯების გადადგმა.**

ლიტერატურა

1. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია. 1952.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975.
3. ჟურნალი ,,ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი“. №1. 2006.

✍ რ. ღიბრაძე

დემოგრაფია პოლიტიკის პოლიტიკაა !

სალექციო თემა ეყრდნობა საქართველოს ბოლო 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებს, საქართველოს პირველი დემოგრაფის, პროფ. ანზორ თოთაძის მიერ 2017 წელს გამოცემულ შრომას „რად არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება, ანუ თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია“, რომელშიც შესანიშნავად არის გამოკვლეული და გაანალიზებული ქვეყნისა და ერის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული პრობლემები.

დავიწყოთ მსოფლიო დემოგრაფიული პრობლემების მოკლე მიმოხილვით. ბოლო პერიოდის მონაცემებით, გაეროს პროგნოზით დედამიწაზე ამჟამად მოსახლეობა 7 მილიარდს აჭარბებს, პლანეტის მოსახლეობა 2050 წლისთვის 9 მილიარდამდე გაიზრდება, XXI საუკუნის ბოლოს კი 11 მილიარდი იქნება, მისი ნახევარი 5,6 მილიარდი აფრიკაში იცხოვრებს. დემოგრაფები მოსახლეობას მატებაკლებით ორ ბანაკად ყოფენ. არიან ქვეყნები, რომლის მოსახლეობაც სწრაფად კლებულობს. მაგალითად: ტაივანი – 46%-ით, ტაილანდი – 38%-ით, პოლონეთი და სამხრეთ კორეა – 31%-ით, ბრაზილია – 22%-ით, ჩინეთი – 21%-ით. მოსახლეობის დეპოპულაციას, ანუ სწრაფ შემცირებას უწინასწარმეტყველებენ ამომავალი მზის ქვეყანას – იაპონიას, რომლის ნაციონალურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევის პროგნოზი, რომლის მიხედვითაც საუკუნის ბოლოს იაპონიის მოსახლეობა 126,9 მილიონიდან 50 მილიონამდე შემცირდება, ხოლო XXII საუკუნეში მხოლოდ 10 მილიონი დარჩება, XXIII ს. კი – 62 კაცი (თუ მანამდე იაპონიის კუნძულები წყალმა არ დაფარა). ახლახანს მსგავსი პროგნოზი გაკეთდა სამხრეთ კორეაშიც, მკვლევართა აზრით, 2050 წლისთვის ნახევარკუძულზე 10000 იცხოვრებს. მოსახლეობის შემცირება გარკვეული ტემპით მიმდინარეობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც: ბულგარეთში, ბალტიისპირა ქვეყნებში, განსაკუთრებით ლატვიაში – 26,2%-ით; უკრაინაში 2050 წლისთვის 25%-ით შემცირდება, საქართველოში კი ყველაზე მეტი – 31%-ით.

რაც შეეხება მეორე ბანაკს, ანუ მოსახლეობის მატების ბანაკის ქვეყნებს, აქ ლიდერობს ნიგერია, რომლის მოსახლეობა 2050 წლისთვის გასამმაგდება. ამ ქვეყნებს ძირითადად მიეკუთნებიან აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები (თუმცა მათ მიგრაციის პრობლემები აქვთ). სერიოზული პრობლემები აქვთ: ზიმბაბვეს, მალავს, აფრიკაში 213 მილიონი შიმშილობს; აზიაში 257 მლნ, სადაც დემოგრაფიული აფეთქებაა მოსალოდნელი. სუდანში, იემენში, სომალში, ერაყსა და სირიაში მიგრაციის ძირითადი მიზეზებია ომი, შიმშილი,

გაუსაძლისი მდგომარეობა. ევროკომისიის ცენტრის შეფასებით შიმშილობა 108 მილიონს შეეხო და სიკვდილის წინაშე დააყენა. შიმშილობა ყოველწლიურად პროგრესირებს. შარშანდელთან შედარებით 28 მილიონ ადამიანზე მეტი შიმშილობს.

გამოჩენილმა ინგლისელმა მოაზროვნემ თომას მალთუსმა 1798 წელს გამოიკვლია და დაადგინა, რომ მომავალი ინდუსტრიული საზოგადოების მთავარი პრობლემა იქნება ის, რომ მოსახლეობის გამრავლების დიდად მზარდი ტემპები გადააჭარბებს მიწის მოსავლიანობის შესაძლებლობებს, ანუ არსებობის საშუალებებს. მისი აზრით, თუ საარსებო საშუალებები იზრდება მათემატიკური პროგრესიით, მოსახლეობის გამრავლება ხდება გეომეტრიული პროგრესიით. ამ პესიმისტური თეორიის შემდეგ გაჩნდა ოპტიმისტური მიდგომები, აგრარული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას საშუალება მისცა; მინერალური სასუქების, პესტიციდების, გენური ინჟინერიის წყალობით ცდილობენ მოსავლიანობის გაზრდას და მოსახლეობის გამოკვებას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მილიონობით ადამიანი მაინც შიმშილობს. თანამედროვე კვლევები პროგნოზირებენ, რომ 2050 წ. სასურსათო პროდუქციის მოცულობა 50-60%-ით უნდა გაიზარდოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღნიშნულმა ტექნოლოგიებმა ეკოლოგიური პრობლემები შექმნეს: მიწის გამოფიტვა, ტყის განადგურება, გრუნტის წყლების დაბინძურება, ბიოლოგიური მრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება, კლიმატური პირობების შეცვლა და სხვ. სურსათის ნაკლებობას პლანეტის მოსახლეობის 11% განიცდის, ძირითადად ეს ეხება ომგადახდილ აფრიკა-აზიის ქვეყნებს.

ჩვენი ავბედითი დემოგრაფიის საჩვენებლად და შესადარებლად საჭიროა მიმოვიხილოთ პოსტსაბჭოური სივრცის დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელშიც 70 წელი ვიმყოფებოდით.

ცხრილი №1

ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა		ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა	
	1989 წ.	2017 წ.		1989 წ.	2017 წ.
რუსეთი	147,022	146,545	მოლდოვა	4,335	3,553
უკრაინა	51,452	42,761	ლატვია	2,667	1,960
ბელორუსი	10,152	9,498	ყირღიზეთი	4,258	6,020
უზბეკეთი	19,810	31,600	ტაჯიკეთი	5,093	8,547
ყაზახეთი	16,464	17,671	სომხეთი	3,305	2,999
საქართველო	5,401	3,720	თურქმენეთი	3,523	5,400
აზერბაიჯანი	7,021	9,947	ესტონეთი	1,566	1,316
ლიტვა	3,675	2,853			

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან უკრაინა და საქართველო ყველაზე მეტად არის დაზარალებული. საქართველოში მოსახლეობა 1989 წლიდან 2017 წლამდე 1,681,000 შემცირდა, ე.ი. 31%-ით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობაც რომ მივა-

თვალოთ, საქართველოს მოსახლეობა პროცენტულად ყველაზე მეტად არის შემცირებული. შემდგომ მოდის ლატვია – 26,2%-ით და ა.შ.

ცხრილი გვიჩენებს მუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის არნახულ მატებას, ხოლო ქრისტიანული ქვეყნების მოსახლეობის კლებას. 1989-2017 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ცხრა ქრისტიანულ ქვეყანაში მოსახლეობა 14,3 მილიონით შემცირდა, ხოლო 6 მუსლიმანურ ქვეყანაში 23 მილიონით გაიზარდა. მატების მხრივ პირველ ადგილზეა უზბეკეთი – 11,7 მილიონით, აზერბაიჯანი – 3 მილიონით და ა.შ.

ჩვენი „უფროსი ძმის“ – რუსეთის დემოგრაფიული მდგომარეობაც არასახარბიელოა. რუსეთის ფედერაციაში საკუთრივ რუსების კლებაა 1000 სულზე 12–15 კაცია. 147 მილიონიან რუსეთში მოსახლეობა 1989-2017 წწ. 477 ათასით შემცირდა. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში 1989წ. რუსი ეროვნების 2 მილიონ ნახევარი ცხოვრობდა. ამჯერად ეს რიცხვი ორჯერ არის შემცირებული (ისინი თავიანთ სამშობლოში გადასახლდნენ).

რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად საქართველოს ხარჯზე დაირღვა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ 1926-2016წწ. 2,6 მილონიდან მხოლოდ 3,7 მილიონამდე მოიმატა. ზრდის ტემპი კავკასიაში ყველაზე ნაკლებია. თუ წინათ ქართველთა მოდგმა კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა (იხ. ცხრილი №2). საინტერესოა ასევე ჩვენი ჩრდილოკავკასიელი ავტონომიების დემოგრაფიული მდგომარეობა.

ცხრილი №2

	რეგიონი	**მოსახლეობის რაოდენობა (ათ. კაცი)**	
		1926 წ.	**2016 წ.**
1	ადიღე	114	451
2	ყარაჩაი-ჩერქეზეთი	102	468
3	ყაბარდო-ბალყარეთი	204	862
4	ჩრდ. ოსეთი	75	704
5	ინგუშეთი	75	473
6	ჩეჩნეთი	310	1,394
7	დაღესტანი	788	3,016
8	საქართველო	2,677	3,720
9	აზერბაიჯანი	2,315	9,947
10	სომხეთი	881	2,999

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება, როგორც მონაცემებიდან ჩანს, ყველაზე მძიმეა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს ძალიან გაუჭირდება თავისი სტრატეგიული, გეოპოლიტიკური და საერთოდ ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე ექმნება მის ეროვნულ თვითმყოფობადობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, დაკარგავს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელ უნიკალურ ნიშან-თვისებებს, ფსიქო-სოციალურ წყობას, რწმენას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

თუ ერმა არ გამოიღვიძა და რადიკალურად არ შეცვალა გენოფონდისადმი დამოკიდებულება და დემოგრაფიისადმი მიდგომები, ამ ტერიტორიაზე ავი პროგნოზების მიხედვით, 2050 წლიასათვის უმცირესობაში აღვმოჩნდებით.

საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გაცილებით ცუდი იქნებოდა, რომ არა საქართველოში მცხოვრები მუსლიმანი მოსახლეობა;. 2000-2009 წლებში საქართველოში მოსახლეობის მცირე მატება დაფიქსირდა 53,584 კაცი. ამ დროს ჩვენ მეზობლებში ბუნებრივი მატებაა: სომხეთში 3-ჯერ მეტი, აზერბაიჯანში – 8-ჯერ, თურქეთში – 11-ჯერ მეტი.

დღეს, როდესაც საქართველოში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა, დაბალია შობადობა, მაღალია სიკვდილიანობა, დიდია ემიგრაცია, სამაგიეროდ, იზრდება უცხო ქვეყნებიდან შემოსული პირების რაოდენობა. უარყოფითია ემიგრანტთა და იმიგრანტთა სალდო, 2016 წელს საქართველოდან გავიდა 98288 კაცი, შემოვიდა 90228. ვიზალიბერალიზაციის მიღებამ გაზარდა ქვეყნიდან გამსვლელთა რიცხვი. (EAGO) სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის დეკემბერში 625 კაცი გავიდა თავშესაფრის საძიებლად. 2017 წელს იმავე თვეში 1570 კაცი, მხოლოდ გერმანიაში ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებისთანავე პირველ ჯერზე 220 პირმა მოითხოვა ემიგრაცია, შემდეგ ეს რიცხვი თანდათან იზრდება. 2018 წ. თებერვალში 745 მოითხოვა თავშესაფარი. ემიგრაციაში წასვლის მიზეზი საქვეყნოდ ცნობილია: სიღატაკე, უმუშევრობა, დაბალი პენსიები, საარსებო მინიმუმი და სხვა აუცილებელი პირობები ნორმალური ცხოვრებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან და მეზობლებთან შედარებით ძალზედ მძიმეა. ქართველი დემოგრაფები კარგახანია არისხებენ განგაშის ზარებს კატასტროფიულად ნეგატიურად პროგრესირებადი დემოგრაფიის გამო, მაგრამ დემოგრაფიული პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას არ დაადგა საშველი. 2014 წელს ჩატარებულმა საყოველთაო აღწერის მონაცემებმაც მეცნიერულად დაასაბუთა დემოგრაფიული მდგომარეობის მწვავე კრიზისი, რაზედაც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და დასახოს მთელი რიგი ღონისძიებები კრიზისის დასაძლევად, რადგან თუ ავტოქტონური, უძველესი ერის – ქართველების სწრაფი გადაშენება მოხდა (რასაც კვლევები და სტატისტიკა ღაღადებს), დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში ქართველებისათვის საქართველო აღარ იქნება. როგორც ვაჟა ფშაველა თავის დროზე წერდა, „საქართველო წააგავს მსუქან დუმას, რომელსაც გარეშე ხალხი ნელნელა აჭრიან ნაჭრებს. თუ ეს ასე გაგრძელდა, საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვადასხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, განსვენებული ეთნოგრაფი ლ. ზაგურსკი რომ წამომდგარიყო საფლავიდან, ვეღარ იცნობდა აქაურობას და დაიკივლებდა: ეს ქვეყანა საქართველოა თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო! (ვაჟას შემდეგ მდგომარეობა გამოსწორების ნაცვლად უფრო დაგვიმძიმდა).

ახლა კი თვალსაჩინოებისათვის შევეცდებით საკუთრივ საქართველოს რეგიონების მწვავე კრიზისული

დემოგრაფიის ბოლო აღწერისა და კვლევის ანალიზის გრაფიკულად წარმოჩენას: რეგიონების, ქალაქების, სოფლების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მიხედვით.

ცხრილი №3

	რეგიონები	**საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა**		
		1989 წ.	**2002 წ.**	**2014 წ.**
1	თბილისი	1,246,936	1,081,678	1,108,717
2	ქვემო ქართლი	608,490	497,530	423,986
3	კახეთი	441,045	407,182	318,583
4	შიდა ქართლი	321,598	314,039	263,382
5	სამცხე-ჯავახეთი	235,512	207,598	160,504
6	მცხეთა-მთიანეთი	121,791	125,443	94,573
7	ცხინვალის რეგიონი	98,527	-	-
8	აღმოსავლეთ საქართველო	3,073,900	2,633,470	2,369,745
9	აფხაზეთი	525,061	-	-
10	სამეგრელო - ზემო სვანეთი	424,746	466,100	330,761
11	აჭარა, გურია	392,432 158,052	376,016 143,357	333,953 113,350
12	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	59,757	50,969	32,089
13	დასავლეთ საქართველო	2,326,941	1,738,064	1,344,059
14	საქართველო	5,400,841	4,371,534	3,713,804 სხვაობა –1,687,037

წინა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა აღემატებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას, მაგრამ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან ქართველებმა იწყეს დედაქალაქისკენ – თბილისისკენ გადმოსახლება. XIX საუკუნიდან თბილისი და საქართველო ითვლებოდა ამიერკავკასიის ცენტრად, ხოლო თბილისი – დედაქალაქად.

მართალია, თბილისი ყოველთვის ინტერნაციონალური ქალაქი იყო, მაგრამ XIX საუკუნეში 1876 წლის აღწერით ჩანს, რომ თბილისში 37,000 სომეხი ცხოვრობდა, აქედან 11,000 – წერა-კითხვის მცოდნე; 20,000 რუსი (ჯარების გარდა), აქედან 9,000 – წერა-კითხვის მცოდნე; ხოლო ამერიმერეთიდან ქართველნი თბილისში 22,000 არიან, აქედან 7,000 – წერა-კითხვის მცოდნე; თათარი 2,000, წერა-კითხვის მცოდნე 381; ყიზილბაში 1700, წერა-კითხვის მცოდნე 240; გერმანელნი 2000, წერა-კითხვის მცოდნე 1500; პოლშელი 1500, წერა-კითხვის მცოდნე 1000. ყველაზე წინ არიან გერმანელები, შემდეგ პოლშელნი და რუსი.

ი. ჭავჭავაძეს გული გახეთქვაზე ჰქონდა, როცა ამის თაობაზე წერილს წერდა 1889წ. 27.10 „რათ არის ასე, სად არის სათავე და მიზეზი ხალხის სიღარიბისა“. აღნიშნული წერილიდან კიდევ მინდა მოვიყვანო სხვა ადგილებიც ახალგაზრდების გასაგონად. მართალია, ახლანდელ დროში რადიკალურად არის შეცვლილი მდგომარეობა, მაგრამ, როგორც ილია

წერს, „აწ არსებულ სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თავიანთ დედაქალაქში თითქმის ყველგან ნაკლებად არიან“. ამ სასწავლებლებში სულ 358 მოსწავლე ყოფილა, მათ შორის ქართველები მხოლოდ 27, მაშინ როცა რუსი ყოფილა 138, სომეხი – 136, გერმანელი – 24, პოლშელი – 16, თათარი – 10, ბერძენი – 4, ებრაელი – 3. ეს გულსაკლავი სურათი იმის მაუწყებელია, რომ გერმანელებსა და სხვა შემოხიზნულებს კარგად ესმით ცოდნის ფასი. „სწავლა-განათლება სამკაულად კი არაქვთ მიჩნეული როგორც ბეზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულმკერდისათვის“. იგი ცოდნა-განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელ საჭიროებას. „გერმანელი პურს და ღვინოს, შიმშილსა და წყურვილს არ შეუშინდება და შვილის კაცად ქცევისათვის არაფერს დაზოგავს. მან იცის, რომ ცოდნა ვენახზე უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მიმცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი. რა ღვთის რისხვაა, ჩვენს თავს ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ, გუშინ მოსული გერმანელი კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰპოულობს. ჩვენ კი ვამბობთ, ღარიბნი ვართ და შვილების გაზრდის ხარჯს ვერ ვშოულობთ. ჩვენ საანგარიშო „ჩოტკში“ შვილების გაზრდის ხარჯში ადგილი არ ააქვსო, თუმცა სურვილი კი გვაქვს, მაგრამ გადასახადს ვერ ვიხდითო“. მაგრამ ამ წერილში სხვა მონაცემებიც არსებობს. მაგალითად, 1877 წელს ამიერკავკასიაში გამოწერილი 41 დასახელების 1428 ეგზემპლარი ჟურნალ-გაზეთიდან 75% გამოწერილია საქართველოში: თბილისის გუბერნიაში – 816 ეგზ. ბაქოს გუბერნიაში – 19 ეგზ, ერევნის გუბერნიაში – 100 ეგზ., ქუთაისის გუბერნიაში – 256 ეგზ., დაღესტნის ოლქში – 60 ეგზ. გარდა ამისა, თბილისი იღებდა 9 დასახელების 44 სპეციალურ გამოცემებს, კიევის სასულიერო აკადემიიდან 6 ეგზ. (მიწათმოწყობაზე, მებაღეობაზე, მებოსტნეობაზე), 18 ეგზ. თანამედროვე მედიცინის შესახებ. მხოლოდ თბილისში გამოწერილი ჰქონდათ 100-ზე მეტი უცხოური პერიოდული გამოცემა. კავკასიისთვის თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა „კავკაზი“, „ლიტერატურული ფურცელი“, „სამედიცინო კრებული“, „სოფლის მეურნეობის ჩანაწერები“ და სხვ.

1865 წ. თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა 602,954 კაცი; ერევნის გუბერნიაში – 437,719. თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 67,770 მოსახლეს, ბაქოს – 14,715, ხოლო ერევნის – 14,070.

1886 წ. რუსი მოსახლეების მიერ შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით საქართველოში მოსახლეობა 1,731,449 შეადგენდა, აქედან 1,218,696 კაცი ქართველი იყო, 70,4%. აღმოსავლეთ საქართველოში 396,673 ათასი; იმერლების რაოდენობა – 422,877; მეგრელების – 245,422. მთლიანად რუსეთის იმპერიაში იმჟამად 1,352,500 ქართველი ცხოვრობდა. ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე თბილისის გუნერნიაში – 467,600, ე.ი. ქართველების 98,8% თავიანთ სამშობლოში ბინადრობდა. როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველოში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს მდგომარეობა 1989 წელს გათანაბრდა და როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში 1,894-1,894 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

ცხრილი №4

ქართველთა რაოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ყოველი სააღწერო წლის მიხედვით 1886-2014წწ. (ათ. კაცი)

	188 6წ.	1899 წ.	1939 წ.	1979 წ.	1989 წ.	2002 წ.	2014 წ.
სულ ქართველები	1,219	1,337	2,174	3,433	3,788	3,661	3,225
აღმოსავლეთ საქართველო	397	468	875	1,636	1,894	1,969	1,902
	32%	35%	40%	47,7%	50%	53%	59%
დასავლეთ საქართველო	822	869	1,299	1,797	1,894	1,692	1,323
	67,2%	65%	59%	52%	50%	46%	41%

2014 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 3,224,504 ქართველი ცხოვრობდა, ანუ 86,8%. მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1989 წელს, ანუ 16,7%. ამასთანავე, ქართველების რაოდენობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 562,889 კაცით, ხოლო 2002 წელთან შედარებით – 436,669 კაცით. ბოლო ორ აღწერათა შორის პერიოდში ქართველები ყველა რეგიონში შემცირდა, თბილისის გარდა (თბილისის უმნიშვნელო მატება განაპირობა მცხეთისა და გარდაბნის სოფლების შემოერთებამ 27 ათასი კაცით).

ბოლო აღწერამდე საქართველოში ქართველების შემდეგ ადგილს იკავებდნენ სომხები. ბოლო აღწერამ დაგვანახა, რომ მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს აზერბაიჯანელებმა. ამჟამად საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი და 168 ათასი სომეხი ცხოვრობს. განსაკუთრებით შემცირდნენ რუსები. 1989 წელთან შედარებით – 315 ათასით.

ამჟამად რუსების რაოდენობა 26 ათასია. მათი ნახევარი თბილისში ცხოვრობს.

ცხრილი №5.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ეროვნება სულ	1989 წ.		2002 წ.		2014 წ.		ცვლილება
	რაოდენობა 5,400,841		**რაოდენობა 4,371,534**		**რაოდენობა 3,713,804**		**2014**
ქართველი	3,787,393	70%	3,661,173	83,8%	3,224,504	86,8%	–436,660
აზერბაიჯანელი	307,556	5%	284,761	6,5%	233,024	6,3%	–51,737
სომეხი	437,211	8,1%	248,929	5,7%	168,102	4,5%	–80,827
რუსი	341,172	6,3%	67,671	1,5%	26,453	0,7%	–41,218
ოსი	164,055	3%	38,028	0,9%	14,385	0,4%	–23,643
*იეზიდი	-		18,329	0,4%	12,174	0,3%	–6,155
უკრაინელი	52,443	1%	7,039	0,2%	6,034	0,2%	–1,005
**ქისტი	-		7,110	0,2%	5,697	0,2%	–1,413
ბერძენი	100,324	1,9%	15,166	0,3%	5,544	0,1%	–9,622
ებრაელი	24,795	0,5%	3,772	0,1%	1,405	0%	–2,367
დანარჩენი	55,892	1%	19,557	0,3%	16,482	0,3%	–3,075

** 1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. 2002 წლიდან აღირიცხებიან ცალკე.*

*** 2002 წლის აღწერამდე ქისტები დანარჩენი ეროვნებებიდან არ გამოიყოფოდნენ.*

განვიხილოთ საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს რეგიონები მოსახლეობის ბუნებრივი მატებითა თუ კლებით განსხვავებულია. ბოლო წლებში ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობა მცირდება. განსაკუთრებით საგანგაშოა ისტორიული კუთხეების მოსახლეობის დაცლა: რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. რაჭაში, მაგალითად, 1939 წელს 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად 17 ათასი (ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები), რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოსახლეობის ბუნებრივ კლებას.

თუ ასე გაგრძელდა, 3 ათეული წლის შემდეგ ისინი მოსახლეობისაგან დაიცლება. წინა 2002 წლის და 2014 წლის აღწერებმა დაადასტურა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის კატასტროფიული კლება.

ასეთივე ტენდენციები იკვეთება სვანეთში, XXI ს-ის დასაწყისში მნიშვნელოვნად მცირდება: მესტიაში 14,248 მოსახლიდან 9,316 კაცამდე შემცირდა; ხოლო ლენტეხში – 8,991 დან 4,386 კაცამდე შემცირდა. მომავლის პროგნოზით რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში მოსახლეობისაგან 22 წელიწადში დაიცლება ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, თიანეთის მუნიციპალიტეტები, ხოლო 40 წელში სხვა მთიანი მუნიციპალიტეტები. ახლა დაცლის რიგშია თავის დროზე ყველაზე ხალხმრავალი იმერეთის რეგიონი თავისი დედაქალაქით – ქუთაისით.

განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოს მე-2 ქალაქის მოსახლეობის ყოველწლიური დიდი კლება, რომელსაც მოსახლეობის რაოდენობით უკვე ბათუმმა გაუსწრო. 1989 წლის აღწერით ქუთაისში ცხოვრობდა 233 ათასი, 2002 წ. – 186 ათასი, 2014წ. – 148 ათასი.

გასული 12 წლის განმავლობაში იმერეთის მოსახლეობა 165,760-ით შემცირდა. ასე რომ გაგრძელდეს, 30 წელიწადში იმერეთი რაჭა-ლეჩხუმის ბედს გაიზიარებს. ასეთივე ბედი ელის სამეგრელოს და გურიას. თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელეთ, ქვეყნის მოსახლეობის შემცირების დასაძლევად და ქართველების გასამრავლებლად არაფერი არ გვეშველება. ამ ბოლო ხანებში საქართველომ ტერიტორიების 30% დაკარგა. დღეს ქართული მიწები გროშებად იყიდება და უცხოელების ხელში გადადის.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობაში ზოგიერთი სახელმწიფო მოხელისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ქართულ მიწას ვინ დაამუშავებს და ვინ იცხოვრებს მასზედ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთდროულად 30000 თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მხოლოდ 2017 წ. განმავლობაში 28000-მა აფროამერიკელმა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან შემოსულებმა მიიზომეს ქართული მიწის ათასობით ჰექტრები. იუსტიციის სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიაზე რომ გაიაროთ, ადამიანთა ყოველი მე-2-3 არაქართველია, რომლებიც ეწერებიან, იმტკიცებენ ქართულ ქონებას.

ცხრილი №6

საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ

საქართველო	**1989 წ.**		**2002 წ.**		**2014 წ.**		**სხვაობა**	**სხვაობა**
	სულ	**%**	**სულ**	**%**	**სულ**	**%**	**1989-2014**	**2002-2014**
თბილისი	5,400,841	23	1,081,678	24	1,108,717	29,9	–138,219	+27,039
ქვემო ქართლი	1,246,936	11,3	497,530	11,4	423,986	11,4	–184,505	–73,544
კახეთი	608,491	8,1	407,182	9,3	318,583	8,6	–122,462	–88,599
შიდა ქართლი	321,598	6	314,039	7,2	263,382	7,1	–58,216	–50,657
სამცხე-ჯავახეთი	235,512	4,4	207,598	4,7	160,504	4,3	–75,008	–47,094
მცხეთა-მთიანეთი	121,791	2,2	125,443	2,9	94,573	2,5	–27,218	–30,870
ცხინვალის რეგიონი	98,527	1,8	-	-	-	-	–	–98,527
აღმოსავლეთ საქართველო	3,073,900	56,9	2633,470	60,2	2,369,745	63,8	–704,155	–263,725
იმერეთი	766,892	14,2	639,666	16	533,906	14,4	–232,986	–165,760
აფხაზეთი	525,061	9,7	კოდორი 1956	-	-	-	–525,061	–1956
სამეგრელო-ზემო სვანეთი	424,746	7,9	466,100	10,7	330,761	8,9	–93,985	–135,339
აჭარა	392,432	7,3	376,016	8,6	333,953	9	–58,479	–42,083
გურია	158,053	2,9	143,357	3,3	113,350	3	–44,703	–30,007
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	59,757	1,1	50,969	1,2	32,083	0,9	–27,668	–18,880
დასავლეთ საქართველო	2,326,941	43,1	1,738,064	39,8	1,344,059	36,2	–982,882	–394,005

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს დემოგრაფიის სუსტი წერტილი შობადობასთან ერთად დაბერების პრობლემაა, 60 წელზე მეტი ხნის ადამიანი 20% შეადგენს, რაც ძალზედ არასასურველია.

საქართველოში განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობა შემცირდა. 2014 წლის აღწერით, თუ ქალაქის მოსახლეობამ 2,122,623 შეადგინა, სოფლისამ კი – 1,591,181; 2002 წლის აღწერით შესაბამისად ქალაქის – 162,173 და სოფლისა 495,558 კაცით შემცირდა; ამ პერიოდში თითქმის 500 ათასით შემცირდა სოფლის მოსახლეობა, ხოლო 1989 წლის აღწერასთან შედარებით – 818,308 კაცით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი დაიცალა ახალგაზრდა ნაყოფიერი თაობისაგან – მათი დიდი ნაწილი ქალაქში წავიდა, ნაწილი საზღვარგარეთ. სოფლები გაჩანაგდა, გაჩნდა გაუკაცრიელებული სოფლები – 223; ერთი და ორკაციანი სოფლები – 39; სამი და ოთხკაციანი – 22; ხუთი და ექვსკაციანი – 138; შვიდი და რვაკაციანი – 184; ცხრა და ათკაციანი – 180. ეს პროცესი კარგა ხანია დაწყებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში: რაჭა-ლეჩხუმში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში – 53, ქართლში – 44 სოფელი. სულ საქართველოს სოფლის მოსახლეობა შემცირდა 283,157 კაცით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1960-2009 წლებში საქართველოში დაბადებულ გოგონათა რაოდენობაა 466,622 გოგონა; 2000-2009 წლებში –

236,680, რადგან მდედრობითი სქესი შობადობის ძირითადი ფიგურანტია დაახლოებით 10 წელიწადში კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს და 2020-იანი წლების შუა წლებში მოხდება სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება.

უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად ყველამ უნდა ვიზრუნოთ და ვიცოდეთ, რამდენი ბავშვი უნდა შვას ქართველმა დედამ. თუ ქალი აჩენს ორ ბავშვს, იგი ანაზღაურებს მშობელთა თაობას, ეს არ იძლევა გამრავლებას. ასეთი ერი გარკვეულ პერიოდში ამოწურავს არსებობის შესაძლებლობებს. ყველა ცოცხლად დაბადებული ბავშვი ვერ აღწევს ნაყოფიერების ასაკს, ყველას არ აქვს გამრავლების უნარი და არსებობს სხვადასხვა ხელის შემშლელი გარემოებანი. 3 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ტიტულოვანი ერი (რომელმაც სახელი მისცა ქვეყანას) უმცირესობაში აღმოჩნდება, მითუმეტეს ჩვენს გარემოცვაში, რადგან მაღალი გამრავლებით გამოირჩევიან მეზობლები, გარდა რუსეთისა. ჩვენი ერის გასამრავლებლად ქართველმა ქალმა 4 და მეტი შვილი უნდა გააჩინოს მტრების ჯინაზე და ეს უნდა გახდეს ქართველთა ცხოვრების წესი-ნორმა. ეს უნდა მოხდეს არა ძალდატანებით, არამედ ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკით და ეს პოლიტიკა პირველ ადგილს უნდა იკავებდეს და ეს არის სწორედ პოლიტიკის პოლიტიკა.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის სიტყვები პოლიტიკურ ანდერძად უნდა ჩავთვალოთ: **„მცირერიცხოვანი ერებისთვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის იარაღია სიმრავლე, ... როცა ჩვენი მტერნი, რიცხვითა და ძალით ძლიერნი, ჩვენ წინააღმდეგ სიმრავლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივადაც დაღუპული იქნება“**.

კარგახანია, საზოგადოება და მთავრობაც საუბრობს იმაზე, რომ მრავალშვილიანობა გადაგვარჩენს, რომ ხალხს უნდა შეუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები, ხოლო მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დავეხმაროთ. „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 12,369 ოჯახია ოთხი და მეტშვილიანი, ეს რიცხვი უნდა გაათმაგდეს, მაგრამ საქმე წინ არ იძვრის. თუ რეალურად არ მივხედავთ ყველაზე დიდ ეროვნულ სატკივარს, ქართველი თავის სამშობლოში სანთლით საძებნი იქნება.

2018 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ოფიციალური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც საქართველოდან წასულია 840 ათასი ადამიანი საცხოვრებლად, აქედან 450 ათასი ცხოვრობს რუსეთში; 80 ათასი – საბერძნეთში; 70 ათასი – უკრაინაში; 50 ათასი – სომხეთში; 30 ათასი – ამერიკაში; 20 ათასი – გერმანიაში; 20 ათასი – კვიპროსზე, 10 ატასი – იტალიაზე და ა.შ.

ამგვარად, საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა ტრაგიკულია: მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ანუ მეტი კვდება, ვიდრე იბადება; მოსახლეობა ბერდება, ანუ ხანდაზმულთა წილი აღემატება ახალგაზრდების წილს; მცირდება ქორწინების და იზრდება განქორწინებების რაოდენობა; მაღალია ემიგრაციაში წამსვლელი ახალ-

გაზრდების წილი, რომლებიც ქმნიან შერეულ ოჯახებს და სამშობლოში აღარ ბრუნდებიან.

რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 24 ივნისს პარლამენტმა დაავალა მთავრობას, 2017 წლის 1 ივნისამდე დაემტკიცებინა დემოგრაფიის პოლიტიკის შემუშავება, მაგრამ მთავრობაში ამით არავინ დაინტერესებულა. ქართველმა დემოგრაფებმა შეიმუშავეს „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია", რომელიც პარლამენტმა მთავრობას გადაუგზავნა, მაგრამ მთავრობამ იგი სამოქმედო გეგმად არ გაიხადა. ბატონებო, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა მეტად მძიმე და კრიზისულია. დროის დაკარგვა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს. აუცილებელია საგანგებო ღონისძიებების გატარება.

აღნიშნული კონცეფცია არის სამუშაო გეგმა დემოგრაფიული პოლიტიკის პრინციპების, ამოცანებისა და მიზნების შესახებ.

1. საჭიროა შეიქმნას სპეციალისტთა 5-კაციანი კომისია. პარალელურად მედიის საშუალებით პროგრამა საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. საბოლოოდ პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა მთავრობას, რომელმაც უნდა გამოავლინოს პოლიტიკური ნება.

2. დემოგრაფიის პოლიტიკა ძირითადი ღონისძიებების 4 ჯგუფს გულისხმობს:

1 ჯგუფი მოიცავს ნორმატულ-სამართლებრივ აქტებს – კანონებს, დადგენილებებს, ბრძანებულებებს, მაგალითად უნდა დადგინდეს ქორწინების მინიმალური ასაკი, აბორტის უფლება და სხვა იურიდიული საკითხები.

2 ჯგუფი მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებებს.

3 ჯგუფი მოიცავს საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ღონისძიებებს.

4 ჯგუფი მოიცავს საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებებს: ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხები და სხვა დემოგრაფიული საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის დემოგრაფიული კვლავწარმოების მაჩვენებლების ცვლილებები; საოჯახო პოლიტიკის რეგულირება და მხარდაჭერა, გარკვეული ოჯახების დახმარება.

დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრი, რომელსაც ექნება თავისი ფილიალები.

დემოგრაფიული კრიზისული ვითარების მყისიერად, სწრაფად გაუმჯობესება შეუძლებელია. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი ორი თაობა სჭირდება. ამიტომ საჭიროა დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდით, როგორც ეს საფრანგეთმა გააკეთა, გეგმაზომიერი ღონისძიებების გატარებით გაიუმჯობესა დემოგრაფიული ვითარება და უკიდურესი მდგომარეობიდან გამოვიდა, ამჟამად ევროპის ქვეყნებს შორის დემოგრაფიული მაჩვენებლებით საუკეთესოა.

აღსანიშნავია, რომ უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება მხოლოდ პატრიოტული გრძნობებით აღჭურვილ მთავრობას შეუძლია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობად თავისი ერის კეთილდღეობა, სიმრავლე და ჯანმრთელობა მიაჩნია.

რეზიუმე

ავტორი სტატიას იწყებს მსოფლიო დემოგრაფიული პრობლემების მოკლე მიმოხილვით. ნაჩვენებია პრობლემური დემოგრაფიული ქვეყნების მდგომარეობა. გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოგრაფიული ვითარება, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში №1.

შემდეგ ავტორი განიხილავს საქართველოს ჩრდილო-კავკასიური ავტონომიური რესპუბლიკების დემოგრაფიულ ვითარებას (ცხრილი №2); საქართველოს მეზობელი ქვეყნების: რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის დემოგრაფიულ მდგომარეობას. შემდეგ გადადის საკუთრივ საქართველოს მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვაზე, გაანალიზებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დემოგრაფიული ვითარება (ცხრილი №3,4,5), საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა; ნაჩვენებია საქართველოს რეგიონებში ქალაქებსა და სოფლებში არსებული მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა.

სტატიას ავტორი ამთავრებს საქართველოს მწვავე კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის რეკომენდაციებით, მოიშველიებს საქართველოს დემოგრაფების მიერ შემუშავებულ „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციას“.

✍ ნუგზარ (ზაზა) იაშვილი

ვის ეკუთვნის პრიორიტეტი ქართველ თავადს თუ ამერიკელებს

საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში ცნობილია პეტრე ბაგრატიონი-თავადი, გენერალი, 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი პეტრე ბაგრატიონი – გამოჩენილი მეცნიერი და ინჟინერი. იგი დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ძმის შვილი იყო. სწორედ ამ პეტრე ბაგრატიონმა თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მეცნიერებაში – მან პირველმა დაადგინა ლითონური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ხსნადობა ტუტე ლითონთა ციანიდების ხსნარებში.

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი დაიბადა 1818 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ყიზლარში. იგი ცხრა წლისა იყო, როდესაც მათი ოჯახი თბილისში ჩამოვიდა და მშობლებმა პატარა პეტრე მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც შემდგომში კეთილშობილთა გიმნაზიად გადაკეთდა. პეტრესთან ერთად სწავლობდა შემდგომში დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელთანაც პეტრეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

1835 წელს პეტრე ბაგრატიონი პეტერბურგშია და სამხედრო კარიერას შეუდგა: მან სამსახური დაიწყო ლაიბ-გვარდიაში და უკვე ორი წლის შემდეგ პროპორშჩიკი გახდა, შემდეგ პოდპორუჩიკად დაწინაურდა. 1842 წელს იგი ინჟინერთა გვარდიის კორპუსის უფროსი ადიუნტანტია. სწორედ ამ დროს დაიწყო მან მუშაობა ფიზიკასა და ქიმიაში. ოცდაოთხი წლის პეტრე ბაგრატიონი ცდებს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ლაბორატორიაში ატარებდა.

1843 წელს მან უკვე პირველ მეცნიერულ წარმატებას მიაღწია: გალვანურ ელემენტის შექმნაში წარმატებისათვის მას სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით აჯილდოებენ, ხოლო 1844 წელს მან უკვე პრაქტიკულად გამოიყენა თავისი ცდების შედეგები: გალვანური ელექტროდენების საშუალებით ყინულისაგან გაათავისუფლა პეტერბურგში კრონშტადტის ნავსადგური. ამის შემდეგ პეტრე ბაგრატიონი მიავლინეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გალვანური დენების საინჟინრო საქმის გამოყენების მეთოდების შესასწავლად. ევროპის ქვეყნებში პეტრე ბაგრატიონმა თითქმის შვიდი წელიწადი დაყო. ცხოვრების ამ წლებმა პეტრე ბაგრატიონის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.



ასეთია პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის გენეალოგიური ხე

1845 წელს პეტრე დაინიშნა ჰერცოგ მაქსიმილიან ლაიხტენბერგელის ადიუნტანტად. ამ დროს იგი უკვე ცნობილი მეცნიერი იყო, მაგრამ ადიუტანტად ყოფნისას მისი სამეცნიერო შრომები გალვანურ დენებზე და მის გამოყენებაზე აღარ ქვეყნდებოდა. სამაგიეროდ, ჰერცოგმა მაქსიმილიან ლიხტენბერგელმა დაიწყო თავისი შრომების გამოქვეყნება და მათი პრაქტიკულად დანერგვა. ჰერცოგმა დააარსა გალვანოპლასტიკური ქარხანა, მაგრამ ჰერცოგი თავისი მასწავლებლის, პეტრე ბაგრატიონის სახელს არსად არ ახსენებდა. სამაგიეროდ, ჰერცოგმა თავისი ადიუნტანტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჯილდოებზე წარადგინა. პოლკოვნიკი პ. ბაგრატიონი დაჯილდოვდა შვეიცის, გერმანიის, იტალიის და სხვა ქვეყნე-

ბის ორდენებით. 1852 წელს ჰერცოგი გარდაიცვალა და პეტრე ბაგრატიონი გამოიძახეს რუსეთში და 1854 წელს იგი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სასახლის კომენდანტად დანიშნეს.

სწორედ პეტერბურგში მოხდა პეტრე ბაგრატიონისა და მომავალი დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის შეხვედრა. ახალგაზრდა აკაკი წერეთელი პეტერბურგში ძმასთან ერთად ჩავიდა და სამხედრო სამსახურში შესვლას აპირებდა. აკაკი მისმა ძმამ რჩევისათვის პეტრე ბაგრატიონთან წაიყვანა. პეტრემ აკაკი ქართულად მოიკითხა. აკაკის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მან იცოდა, რომ პეტრე ბაგრატიონი ოცდაექვსი წლის წინ წამოვიდა საქართველოდან და არ ეგონა, რომ მას აქამდე ქართული ეხსომებოდა. პეტრე ბაგრატიონს აკაკის განცვიფრებაზე გაეცინა და უთხრა: „განა ქართველი აღარ გგონივარ, დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული“.

პირველი მეცნიერული შრომა პეტრე ბაგრატიონმა 1843 წელს გამოაქვეყნდა. მაშინ ის ოცდახუთი წლის იყო. შრომა გალვანურ ელემენტს შეეხებოდა. იმ დროს დენის ერთადერთ წყაროს გალვანური ელემენტი წარმოადგენდა და ახალგაზრდა მეცნიერმა სწორედ ამ მიმართულებით იმუშავა და შექმნა და დაამზადა ახალი ტიპის გალვანური ელემენტი. ეს იყო ქართველი მეცნიერის დიდი მიღწევა დენის ქიმიური წყაროების დარგში.

პ. ბაგრატიონს ეკუთვნის მშრალი გალვანური ელემენტის შექმნის პრიორიტეტი. მსოფლიო პრაქტიკაში პირველად მან გამოიყენა საელემენტე ელექტროლიტის შესქელების რაციონალური მეთოდი, რომელიც ამ ელექტროლიტის რომელიმე ფხვნილოვანი მასით ამოვსებას ითვალისწინებდა. ელემენტი ასეთი შესქელებული ელექტროლიტით, თუთიისა და სპილენძის ელექტროდებით სუსტ, მაგრამ მუდმივ დენს იძლეოდა. დიდმა შვედმა ქიმიკოსმა ი. ბერცელიუსმა (1779-1848) ძალზე მაღალი შეფასება მისცა პ. ბაგრატიონის გამოგონებას და ის „ელექტრული კვლევების ასპარეზზე მნიშვნელოვან შენაძენად აღიარა“. როგორც ვიცით, დღესაც დენის წყაროების თითქმის ყველა სახეობა მშრალ ელექტროლიტს იყენებს, რაც ნათლად მეტყველებს ქართველი მეცნიერის სიახლის დიდ მნიშვნელობაზე.

პ. ბაგრატიონის ხელსაწყო შედგებოდა სპილენძისა და თუთიის ცილინდრებისაგან, რომლებიც ერთმანეთში იყო ჩადგმული. თავის მხრივ, ორივე ცილინდრი მოთავსებული იყო თიხის (ან რომელიმე არალითონის) ჭურჭელში. ცილინდრებსა და ჭურჭელს შორის ადგილები შევსებული იყო ქვიშით, რომელსაც დროდადრო ნიშადურის ხსნარით ასველებდნენ. ამ ხელსაწყოში დენი გადის თუთიიდან სპილენძისაკენ. ცნობილი ფიზიკოსი იაკობი ამ ელემენტს უწოდებდა „მუდმივეფექტიან წყვილს“ [3].

როგორც ცნობილია, ნიშადური NH_4CL ხსნარში იშლება ამონიუმის NH_4^+ და ქლორის Cl^- იონებად. ქლორის იონი თუთიას გადასცემს თავის მუხტს და მასთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის ხსნადი თუთიის ქლორიდს. ამონიუმის იონი კი ხვდება სპილენძის ელექტროდზე,

გადასცემს სპილენძს თავის მუხტს და იშლება ამონიაკად NH_3 და წყალბადად H. წყალში გახსნილი ამონიაკი სპილენძის ელექტროდის გარშემო ტუტე არეს ქმნის.

პეტრე ბაგრატიონის ნაშრომი გალვანური ელემენტის შესახებ დაიბეჭდა აგრეთვე ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში გამომავალ სამეცნიერო ჟურნალებში 1844 და 184 წლებში.

უფრო საინტერესოა პეტრე ბაგრატიონის ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა ოქროს ხსნადობას. გალვანოპლასტიკაში წარმოებული ცდებისას მეცნიერმა შენიშნა, რომ მეტალური ოქრო იხსნება კალციუმციანიდში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მოოქროვილ ფინჯანში მოთავსებულმა კალციუმციანიდის მარილის ხსნარმა მთლიანად ამოჭამა ოქრო. პეტრე ბაგრატიონმა ჩაატარა ცდა: კალციუმციანიდის ხსნარში შეურია ოქროს ფხვნილი. ხსნარში ოქროს არსებობის დასადგენად მასში გალვანური ელემენტით ატარებდა ელექტროდენს. გალვანური ელემენტის სპილენძის ფირფიტაზე (კათოდზე) გამოიყო ოქრო, რომლის ფენამ ორი-სამი საათის შემდეგ ფირფიტა სულ დაფარა.



პეტრე ბაგრატიონის მიერ შექმნილი გალვანური ელემენტი

იგივე შედეგები იქნა მიღწეული გაფილტრული ხსნარით სარგებლობისას. ნათელი გახდა, რომ ოქრო ამ ცდებში ელექტროდენის მოქმედების გარეშეც უნდა გახსნილიყო. ანოდად აღებული იყო არა ოქრო, არამედ პლატინა. შემდგომმა ცდებმა დაამტკიცა, რომ სითბო ძალზე ადიდებს გამხსნელის ძალას.

ოქროს ფენის სიმტკიცე და სისქე საკმარისი აღმოჩნდა გაკრიალების ასატანადაც.

საერთოდ, ოქროს გამხსნელად ქიმიკოსები მხოლოდ ერთ მეტალს ასახელებენ – ეს არის ე. წ. „სამეფო წყალი“, ანუ აზოტ-ქლორწყალბადმჟავა. პეტრე ბაგრატიონმა დაამტკიცა, რომ კალციუმის ციანური მარილები ოქროს გამხსნელი არიან.

სახლი პეტერბურგში, სადაც მოწყობილი იყო პეტრე ბაგრატიონის ლაბორატორია

ქიმიის ისტორიის მკვლევარებისათვის ცნობილია, რომ 1848 წელს, გამოჩენილმა ქიმიკოსმა ლ. გმელინმა (1788-1853) ცნობები პ. ბაგრატიონის ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესახებ შეიტანა ცნობილი „თეორიული ქიმიის სახელმძღვანელოს“ მორიგ გამოცემაში, რომელიც არაორგანული ქიმიის კლასიკურ ცნობარად იყო აღიარებული. ლ. გმელინი კარგად ერკვეოდა ციანიდური მარილების ქიმიის საკითხებში (სწორედ მან აღმოაჩინა 1822 წელს კალციუმის ფეროციანიდი) და ის ფაქტი, რომ მან კალიუმის ციანიდში ოქროს ხსნადობის პირველაღმომჩენად პეტრე ბაგრატიონი აღიარა, ძალზე მრავლისმეტყველია. პ. ბაგრატიონი სახელმძღვანელოში დასახელებულია როგორც კალიუმის ციანიდოაურატის მიღების ახალი წესის ავტორი, რომელიც კალიუმციანიდში ოქროს მარილების ნაცვლად უშუალოდ მეტალური ოქროს გახსნას ითვალისწინებს.

პ. ბაგრატიონმა თავისი ცდების საფუძველზე მოამზადა სტატია, რომელიც ჯერ გამოაქვეყნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში (1843), ხოლო შემდეგ კი გერმანულ ჟურნალში „პრაქტიკული ქიმია“ (1844). გერმანულ ჟურნალში ორი წლის შემდეგ, 1846 წელს იმავე საკითხზე ნაშრომი გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა ლ. ელსნერმა, რომელმაც სტატიის შესავალში გაკვრით აღნიშნა, რომ კალიუმის ციანიდში წვრილდისპერსიული ოქროს ხსნადობა დაადასტურა, მაგრამ მას არ უხსენებია ის ფაქტი, რომ პეტრე ბაგრატიონმა წვრილდისპერსიული ოქროს ხსნადობა წინასწარ სასინჯ ცდებში აჩვენა, ხოლო თავის ძირითად ცდებში ოქროს, ვერცხლის და სპილენძის მასიური ნიმუშების ხსნადობა კალიუმის ციანიდისა და კალიუმის ფეროციანიდის ხსნარებში არა მარტო დაადგინა, არამედ აღნიშნა, რომ რეაქციის სიჩქარე ჰაერ-ხსნარის გამყოფ ხაზზე საგრძნობლად იზრდებოდა.

ახალგაზრდა პეტრე ბაგრატიონი

რა შედეგები მოჰყვა ამ საინტერესო და მნიშვნელოვან აღმოჩენას? თანამედროვე მეტალურგია დღესაც ფართოდ იყენებს მადნიდან ოქროს მიღების ციანურ პროცესს, მაგრამ მოხდა სამწუხარო ისტორიული უკუღმართობა. ნახევარი საუკუნის შემდეგ 1894 წელს ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს მიღების შესახებ რუსეთში დაბრუნდა მაკ-არტურისა და ძმები ფორესტების სახელწოდებით. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, 1897 წელს რუსეთმა თავის ქარხნებში შემოიღო „მაკ-არტურისა და ფორესტების მეთოდი“, რომლის პატენტში დიდძალი თანხა გადაიხადა. სინამდვილეში, ამერიკელებს ეკუთვნით პირველობა არა მეთოდის შექმნაში, არამედ ამ მეთოდის წარმოების დანერგვაში, რაც მათ განახორციელეს სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის სხვადასხვა ოქროს საბადოებში. მათ ააგეს პირველი ქარხნები, სადაც ოქროს და-

მუშავება პეტრე ბაგრატიონის მიერ აღმოჩენილი მეთოდით წარმოებდა.

პეტრე ბაგრატიონი

ასე რომ, ჭეშმარიტი ისტორია ღაღადებს, რომ მაკ-არტურამდე და ძმებ ფორესტებამდე პირველმა ქართველმა დიდებულმა თავადმა, გენერალ-ლეიტენანტმა და მეცნიერ-ქიმიკოსმა პეტრე ბაგრატიონმა შექმნა შრომები ოქროს დამუშავების შესახებ. პირველად მან გვიჩვენა ტუტე ციანიდებში მეტალური ოქროს, ვერცხლის და სპილენძის გახსნა, მან აღნიშნა, რომ გახსნის რეაქცია ჩქარდება, თუ ხსნარი ჰაერს ეხება, გამოარკვია ტემპერატურის როლი რეაქციის მსვლელობაში და დაადგინა, რომ გახსნის სიჩქარე იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მეტალის ფარდობითი ზედაპირი იზრდება.

სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც ქართველი მეცნიერის – პ. ბაგრატიონის სამუშაოს პრიორიტეტულობა დროთა განმავლობაში მივიწყებას მიეცა. ასეთივე ბედი ეწია მის აღმოჩენას კალიუმის ფეროციანიდის ხსნარში ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ხსნადობის შესახებ. მხოლოდ 80 წლის შემდეგ, 1923 წელს, ე. ბეიტელმა და ა. კისტლინგმა შეძლეს პეტრე ბაგრატიონის ცდების გამეორება, თუმცა თავიანთ ნაშრომში ქართველი მეცნიერი არ მოუხსენიებიათ.

ბოლოს მოვიყვანთ ერთ საინტერესო შემთხვევას დიდი ქართველი მეცნიერის – პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფიიდან: მან ურალში ყოფნისას გეოლოგიური გათხრები ჩაატარა ერთ-ერთ მაღაროში და იქ ნაპოვნი მინერალი პეტერბურგში ჩაიტანა. ეს მინერალი მაშინ მსოფლიო მინერალოგიისათვის ცნობილი არ იყო და პეტრე ბაგრატიონის მეგობარმა, განთქმულმა მინერალოგმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ კოშკარიოვმა გამოიკვლია ეს მინერალი და მას სახელად მისი აღმომჩენის პატივსაცემად „ბაგრატიონიტი“ უწოდა. 1847 წლიდან აღნიშნული მინერალი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში „ბაგრატიონიტის“ სახელწოდებით შევიდა.

საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ თითქმის ყველა სახის ენციკლოპედიასა და ცნობარში, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგობრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ პეტრე ბაგრატიონმა აღმოაჩინა მადნიდან ციანირებით ოქროს გამოყოფის მეთოდი, შეისწავლა ოქროსა და ვერცხლის ხსნადობაზე ელექტრული დენის გავლენა.

ასევე შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ პეტრე ბაგრატიონმა დიდ წარმატებას მიაღწია სამხედრო საქმიანობაშიც. 1865 წელს მას მიენიჭა გენერალ-ლეინტენატის მაღალი წოდება, ხოლო 1970 წლიდან მას ექვსი წლის მანძილზე ეკავა ბალტიისპირა ქვეყნების (ლიფლანდიის, კურლან-

დიის და ესტლანდიის გუბერნიების) გენერალ-გუბერნატორის პოსტი, სადაც მეტად სასარგებლოდ იღვაწა და ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა.

ლოგიკურად ჩნდება ჩვენთვის სასურველი და ამავე დროს, ალბათ, რიტორიკული კითხვაც; შესაძლებელია თუ არა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ციანიდებში ოქროს გახსნის მეთოდის ავტორად არა ამერიკელების მაკ-არტურისა და ძმები ფორესტების, არამედ ქართველი მეცნიერის – პეტრე ბაგრატიონის აღიარება?

NUGZAR (ZAZA) IASHVILI

WHO DID THE PRIORITY BELONG TO: THE GEORGIAN PRINCE OR AMERICANS?

Summary

One of the heroes of Russian-French war of 1812, famous General Peter Bagrationi had a namesake nephew – Peter Bagrationi. The latter was also successful in army. He held the rank of lieutenant-general and was the general-governor of the Baltic Countries for several years. The paper deals with the scientific activity of Peter Bagrationi. He left an appreciable trace in chemical science. He studied the effect of electric current on dissolution of gold and silver. In all handbooks and encyclopedias on chemistry it is stated that Peter Bagrationi invented the method of extraction of gold from ore.

The method invented by Peter Bagrationi was patented by American scientists J.S. MacArthur and brothers R. and W. Forrest. Nowadays, these Americans are deemed to be the authors of the method invented by the Georgian prince.

ლიტერატურა

1. ვ. პარკაძე, პეტრე ბაგრატიონი. მეცნიერება,თბ., 1970.
2. გ. ცინცაძე, მ. ცინცაძე, ნ. ბოლქვაძე, რ. ჩაგუნავა. პეტრე ბაგრატიონის ერთი საინტერესო მოოქროების წესის შესახებ. Georgian Chemical Journal, 2002, #7(2)
3. Кобалава Р., Цинцадзе Г., Чаганава Р., Куциава Н. О галваническом элементе П.Р.Багратиони и его применении. Georgian Engineering News. 2002,# 2.
4. Мертуков М., Орлов А. Металлургия благородных металлов (зарубежный опыт). Москва, Металлургия, 1991.
5. Лукьянов П.М. История химических промыслов и химической промышленности России. Изд. «Наука», М., 1965, т.VI, 479 с.
6. Якоби Б.С. Работы по электрохимии. Сборник статей и материалов. Под ред. Акад.А.Н.Фрумкина. Изд. АН СССР, М.-Л., 1957, 304 с
7. Павлова О.И. История техники электроосаждения металлов. Изд. АН СССР. М., 1963, 128 с.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

P A R A L L E L I

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:
რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე
სარედაქციო კოლეგია:
მერაბ ახობაძე
ირაკლი გაბისონია
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
გიორგი კულდონაშვილი
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვლი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
ანანია ჯაფარიძე

EDITOR:
R E V A Z M I S H V E L A D Z E
EDITOR STAFF:
MERAB AKHOBADZE
IRAKLI GABISONIA
GIOGRI GACHECHILADZE
JEMAL GAKHOKIDZE
GIORGI KULDONASHVILI
VAKHTANG DAVITAIA
IVANE TVALAVADZE
IGOR KVESELAVA
HANRY KUPRASHVILI
SHALVA NACHKEBIA
VAZHA PAPASKIRI
GIORGI SALUQVADZE
SOSO SIGUA
(DEPUTY EDITOR)
ARCHIL FRANGISHVILI
QETEVAN QOQRASHVILI
RUSUDAN QUTATELADZE
BADRI TSKHADADZE
(EXECUTIVE SECRETARY)
TEMUR JAGODNISHVILI
ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGENEERING FACULTY
ყდის დიზაინერი **ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,
აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru